

**UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376**

**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია**

**ათინათი
2021 / 2 / (40)**

თბილისი
2021



წმინდა გიორგი

ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები



წმინდა გიორგის წამება ბორბალზე
ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები



წმინდა გიორგის წამება კირის ღუმელში
ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები




მამა ბაბრიელ

მამა გაბრიელ შენით ვსულდგმულობ,
შენით ჩავიცვი, მადლის სამოსი...
თავდახრილი ვარ, კი არ ვდიდგულობ,
მაცვია ლექსის ტანისამოსი.

გულნაზ ხარაიშვილი





**უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**

რომ ყველაფერი კარგად იქნება

უწმინდესს და უნეტარესს ილია II-ს

წმინდა სამების მადლი გამშვენებს,
ხატ-სალოცავად გაქვს ან-ბანია...
რა დაგაძინებს, რა მოგახვენებს,
მთელი ქვეყანა შენ გაბარია.


ვიცით ცხოვრება მეტად რთულია,
დროც ამინდივით ხშირად იცვლება.
შენ გვაძეგნებებ ბრძენო ილია,
„რომ ყველაფერი კარგად იქნება“.

როცა სამშობლო გასაჭირშია,
მამულის ბედი მრუდედ იხრება.
მყის გვაიმედებს შენი სიტყვები:
„რომ ყველაფერი კარგად იქნება“.

ღვთისმოსაობით, წმინდა ლოცვებით,
ბეციდან მადლი ჩამოიფრქვევა,
შენი სიბრძნით და უფლის წყალობით,
გვწამს, „ყველაფერი კარგად იქნება“.

ლამზინა შეყილაძე






უფალო

ზათხულში არ შეგვაცხო,
უფალო, გთხოვ და გვედრი,
არცა ცრემლები ვაქციოთ,
თვალის ქვაბიდან ვედრით.

სულის პეპლემა იფრინოს,
ფრთები გაშალოს მართვემ...
ეზოში ბავშმა ირბინოს,
ყინვის შემდეგ, რომ გავთბეთ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი



გინდ ღაიჯერეთ, გინდ არა



ქუჩ კუჩისკლი

კოლხუჩი ფსალმუნები

100-ტომეული



ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ჟურნალების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, აღმოსავლეთი სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფი ტიტჩინის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმენ ნათელი!“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოდერნიზმი“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორი ათასზე მეტი პოეტური ჟანრი იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტავებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენერეთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო ასოციაცია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა ასოციაციამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაქტიონ ტაბიძის პრემიების ღაშტის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმკანის მედლისა და „ლიტერატურა 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის ღრუვის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენერეთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო ასოციაცია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აფხაზეთის მცენერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა „ვარძის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდის, ხობის, იმალეთს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათათომეულის მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნევერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ ღონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამოსაღებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მცენერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონობრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო ასოციაციის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის ღმკანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მცენერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰეაჰს მუდღე – ბილდა სუნიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და საბი შვილიშვილი – ვაჟა, ნათა და ლილა. იბი – მცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).



პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“



ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინათ ვწერდი: „რუსთველს, აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებ ჩუმიდ სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გავიხილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „ბაჯალლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული რომ წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვეყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც

ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

ღიან, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „გონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დაფიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი... დაბოლოს: „აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

P. S.

პოეტმა ვაჟა ეგრისელმა პოეზიის ასი ტომი საჩუქრად გადმოსცა აკადემიას.

გულნაზ ხარაიშვილი

პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



პოეზია



მაყვალა გონაშვილი

სამი დოზილი

მე მიმატოვეს, მუდამ მტოვებდნენ,
 კი არ მტოვებდნენ, ნადირის გეშით
 აღრევე ვგრძნობდი დაკარგვის საფრთხეს
 და თვით ვტოვებდი ერთი დღით აღრე,
 მანამდე, სანამ მიმატოვებდნენ,
 რა იყო – შიში თუ სიამაყე?
 ეს კი იწვევდა გაოცებას
 სხვათა და სხვათა,
 ზოგმა ისიც თქვა:
 – გულგრილია, დაუნდობელი.
 მათ კი მიჰქონდათ ჩემი გული ნაწილ-
 ნაწილად,
 ვით საქორწილო თეფშის ნამწვრევი
 გაუთხოვრებს და შინაბერებს.
 მე კი ვრჩებოდი და ვიზრდებოდი
 თითო ნაოჭით,
 თითო ცრემლით,
 თითო სიშორით.

აბა, თქვენ სცადეთ, ადვილია?!
 მოჭუტეთ თვალი,
 ვითომ ქანისგან ავიცრემლდათ
 და გაიღიმეთ,

გულში იტირეთ ჩუმად, უსიტყვოდ,
 უცრემლოდ ასე!!! ჰო, აბა სცადეთ!
 არ მედარდება ვითომ არცა რა,
 არ მეშინია ვითომ არაფრის.
 არვინ გაბედოთ შეზრალეზა, არვინ გაბედოთ.
 არვინ გაბედოთ შეზრალეზა, ბედნიერი ვარ.
 მე ვარ ნაძვის ხე,
 საშობაო მე ვარ ნაძვის ხე.
 და მორთული მაქვს ტანი ფერად
 სამკაულებით.
 ვარ მარადმწვანე, არ მსურს, რომ ვინმემ
 იხილოს ჩემი სევდა-სიშიშვლე.
 მე ვარ ნაძვის ხე,
 გარს მივლიან, შემომნატრიან,
 და ავიწყდებათ,
 რომ მუხლებში ვარ გადაჭრილი
 და წავიქცევი კვირაძალზე, რა მელის მერე?
 მე ვარ ნაძვის ხე და ვერვინ მამჩნევს,
 როგორ მაყრია ტანზე ეკალი.
 სამაგიეროდ, ბედნიერი ვარ!
 მე, სიამაყე, სიმართოვე – სამი დოზილი.

სიყვარული

დაიგვიანე!
 რა იქნებოდა, მოსულიყავ
 ცოტა ხნის წინათ,
 დაიგვიანე!
 თუმც შენი ბაგე ძლიერა ჰგავს
 ველურ ლიანებს,
 ხეს გამაღებით რომ ეკონება,
 თუმც თავბრუს მახვევს
 შენი გონება,
 თუმც სულ არა მსურს
 შენი ჭმუნვა და დაღონება.
 თუმც შენს დიდ ხელზე
 მე ცვარივით გავინაბები,
 თუმც მომიტანე საქორწილოდ
 სხივის კაბები
 და სავსე არის მაჩიტებით
 თუმც შენი სული,
 თუმც გაუღენთილხარ შენც ჩემსავით
 ბალახის სუნით.
 ჩემი ბრაღია?
 ასე რატომ დაიგვიანე?
 ჩემი ბრაღია?
 ეშმას სატრფო ვარ,
 ახლაც მისვენ მიმიხარია.
 რად შემიყვარდა?
 რას გაუგებ პირველ სიყვარულს?
 უცებ მოვარდნილს ადარებენ

ზვავს და ნიაღვარს
 და თუ უმცირესთ ის მოუტანს
 შვებას, ია-ვარდს,
 ზოგისთვის მაყვლის დაეკლილი
 გვირგვინიც მოაქვს.
 თუ შემიყვარდა ეშმა, განა
 ჩემი ბრაღია?
 ახლაც სათიბსი
 სატრფოსაკენ მიმიხარია.
 კოცნით ამინთებს თმის ჩანჩქერზე
 ყაყაჩოს კოცონს,
 ვიცი მასწავლის გაზაფხულის
 წვიმების ცეკვას.
 მოზიდავს ციდან მზის ზანზალაკს,
 აახმიანებს
 და სიყვარულის სადიდებლად
 სამჯერ დარეკავს.
 შურით ივსება ჩემს კისკისზე
 ეული თელა,
 ვაი, თუ სატრფოს მოეწყინოს
 ყვავილთა თელვა,
 ან მიმატოვოს, როგორც ქარმა
 მორცხვი ყაყაჩო.
 მე გაძარცვეული დავემხოზი
 იების ძნაში
 და უსუსური ყვავილების
 ცრემლი დამაღრჩობს.





ეთერ ჭელიძე

ნუ აგვიანებ!

ნუ აგვიანებ იქ სადაც არ ხარ
და სადაც უნდა იყო უდაოდ,
ბედნიერების ყველა გასაღებს
ხელი ჩასჭიდე ისე, უბრალოდ...
არ დათმო ის, რაც შენია მხოლოდ,
ვინ რას იტყვისო, აღარ იღარდო,
თორემ სინანულს არ უჩანს ბოლო,
რამდენსაც გინდა, სწუხდე იდავო.
არ შეგეშინდეს, იქ, სადაც სიტყვა
შენია, ბასრი ხმალივით მჭრელი,
არ დაგავინყდეს რომ ეს სამყარო
არც ადვილია, არც ისე გრძელი...
ნუ დააბამთრებ შენს გაბაფხულებს,
ყველა დროს თავის მოაქვს სურნელი...
რომ შენი სულის სასაფლაოზე
არ ბოგინობდეს ვინმე სულელი!
ნუ აგვიანებ, იქ, სადაც არ ხარ
და სადაც უნდა იყო უდაოდ,
ბედნიერების, შენც გაქვს უფლება,
ხელი ჩასჭიდე ისე, უბრალოდ...

დრო საცნაური რამ არის...

ცისკრის ყანაში თავთავებს
მთვარე ნამგალით ჩეხავდა,
სანამ მზე ფიქრებს აშრობდა
ხმა შეუცნობი მეძახდა!
დრო კი, დრო, ძნებად შეკრული,
ხან ტკბილი სიზმრით მათრობდა,
ჟამთა სვლა სავსე ფიალას,
შხამნარევ შარბათს მასმევდა!
დრომ შემაჩერა იქ, სადაც,
ქარის ჩიბუხი ფერთლავდა,
გახავსებული მრწამსიდან
თითქოს სალხენად მეძახდა!
დრო გახდა შეუცნობელი,
კაცთა უხილავ ექოდან
სუსხი ღველფავდა თავთავებს
მზით შემორაგულ ბეჭობთან.
დრო, საცნაური რამ არის
არ ააქვს განზომილება,
ხარ მისი ყანის თავთავი
და გინევს დამორჩილება!

სამივე საფიცარია!!!


მინას , ზეცას და სიყვარულს
არა აქვს განზომილება!
უფლის სარკვეში მომზირალს
მოუხდათ დაძმობილება!
ერთი, ცოდვილს თუ უცოდველს
შვილივით გულში იხუტებს,
მეორე, – სულსა შთაგბერავს,
კეთილ ხელს გამოგინოდებს!
მესამე, ვარდ-ყვავილობას
ფიქრს, ფურცლებივით აგიშლის,
რადგან ეს სიყვარულია,
ოქროს ხალიჩას გაგიშლის!
სამივე თანამგზავრია
გულის, გრძნობის და გონების,
სამივე საფიცარია,
ოდითგან რასაც ვმონებდით!

როცა არ ეძებ მოყვარეს შენსას
და ირგვლივ მყოფსაც დღითიდღე კარგავ
აბა მითხარი დახავსილ ხნულში
ვით გაახარებ სიკეთის ნარგავს...
თავის მართლებების რეჟიმში ბორგავ
თავის მართლება რად უნდა მართაღს,
გგონია ოდეს მეორედ მოხვალ?
ყოველი დღიდან იწყება ათვლა!
ლაბირინთების უკვალავ ფერში
გზაჯვარედინიც არა სჩანს არსად,
შენ ისევ შენში ჩარჩენილ ქაოსს
და ყალბ სიკეთეს უწოდებ მართაღს!

ახლა!

ახლა უკვე ლოცვის დროა
ჩვენი ქვეყნის სალხენად.
სულ ახალი ყლორტი მოვა
ჩემი მუხის ნამყენად!
ჩემი ფესვის გადაჭევვას
თუნდაც ერთხელ გათელვას,
არ შეირჩენს ჩემი რჭული
არ მოითმენს ამჯერად!
მშფოთვარე დღეც გადაივლის
მადლი ბოღმას გათელავს
გონს მოგების მოვა წუთი
ბოღმა ქარებს გაჰყვება!

არ წახდება ჩემი გენი
ეს ოცნება ფარსია,
საქართველო ღვთისმშობლის და
ქართველების სახლია...
მოთმინებით ველოდები
გენში ცისკრის ნათებას!
საქართველოს სადროშოსთან
უნდა დავრჩე ქართველად!
ერისა და ბერის სიტყვა
ღალადებდეს ქართულად!
ქართულ მიწას ვეამბორო
ქართველებო! ქართულად!



ჯგუფი ხლვარი



სერგი ლომაძე

* * *

როცა მთავრდება პოეზია,
დასვი წერტილი...
მაგრამ პოეზია
არასდროს მთავრდება, –
იგია უსაწყისო და
უსასრულო...

* * *

თუ გაიხსენებ ზეცის სივრცეებს,
ვანსკვლავებს, როგორც ანთებულ ფოთლებს,
შენ დამშვიდდები, შენ დაისვენებ,
თვითმკვლელობაზე ფიქრი რომ მოკვდეს.

თუ გაიხსენებ მილურსმულ ხელებს,
ეკლიან გვირგვინს, ცრემლიან თვალებს,
შენ შეიმეცნებ აღდგომას მერე
და ფიქრს, რომ უნდა იცოცხლო ხვალეც...

შენ ხარ ერთი და
სხვა არვინ, არა!
შენს იქით
გზები წყდება, მთავრდება.
მე თავს ვაფარებ
მთებსა და კარავს,
ფერად ოცნებებს,
გულის ანთებას.

* * *

შუქი ანათებს
ლამეულ სივრცეს.
ლამის შემჭამონ
შენზე ფიქრებმა.
თუ პოეტია
სტრიქონთა ქრისტე,
გოლგოთა
შენი გული იქნება...

ბადავა სრამლი

გადავა წვიმა, გადავა, მარი,
აუცილებლად, წვიმა, გადავა.
მზის ჩასვლა. გზები. სიობლე კარვის.
და მე არ ვიცი, ახლა, სადა ვარ.

იქნება შენ ხარ ფერადი ქარი,
ქარში შრიალებს ზღვისფერი პალმა,
იქნებ ანთო ამ გულში კვარი,
იქნება გრძნობა იცოდეს ქარმა.

თუკი ფიქრია მთავარი, მარი,
მაშინ ფიქრების სასახლეს ვაგებ,
და შენი სახე ლოცვაა მთვარის,
და ჩემი გული – სინათლის სარკე.

გადავა წვიმა, გადავა, მარი,
აუცილებლად წვიმა გადავა.
თუკი შენა ხარ ფერადი ქარი,
რომ დავიკარგო ქარში, მზადა ვარ.

მანადისობა იქნება მკვდარი,
მგზავრი ზღაპარში თუ ვერ გადავა....

* * *

ვარსკვლავმა
სივრცეს ასე უთხრა, –
სულ მარტო ვარო,
არადა, ცაზე
უამრავი ვარსკვლავი ენთო...

კოეზიუმი

შეცნობის სურვილს,
ყოველივეს შეცნობის სურვილს,
ეს თოვლი, ახლა,
დაათარებს უთეთრეს რიდეს,
თუმც იტევს სიბრძნეს
ღვინისაგან აღსავსე ჭური...
გამოცლი ჭიქას,
და ფიქრებში ნახულობ იმდენს
ჭეშმარიტებას, რომ ვერც ხვდები –
რა არის სწორი,
რომ იკარგები
იასამნით მოფენილ გზებზე...
ეგებ ყვავილნი
მირაჟია სპეტაკი თოვლის,
ან ის ქალია,
ფერადების ზღვაში რომ ეძებ,
ან ის აზრია,
რომ დაგისხლტა ასჯერ, ათასჯერ,
ან შენი სული არის იქნებ,
ვით ჩუმი მგზავრი,
ან ის მტერია,
რომ შეიპყარ, თუმც – არ დასაჯე,
ან მოკეთეა..
და მოალო „კარები“, კარვის,
თოვლ-ქარმა, ახლა
ჰიმალაის მწვერვალებს უმზერ,
ინეალობას
ცხადზე უფრო ცხადადაც ხედავ...
და მარტოობა ასვენია
გაყინულ გულზე
და ზმანებები არ შორდება
პოეტის ცხედარს...
ზეცის თალიდან
მკრთალ მუსიკად ეშვება თოვლი...

მოხატიალე

ქარის სივრცეში
არასოდეს არის სიმშვიდე.
არის სიმშვიდე, არასოდეს,
სივრცეში ქარის.
ამ ცხოვრებაში
არაფერი უნდა გიკვირდეს,
არ ის, უეცრად რომ გაიგო –
ყოფილხარ მკვდარი.
თუ შენს სიცოცხლეს
ტკივილები გახსენებს მარტო,
ეს არა ნიშნავს
სიცოცხლეს და
ამაზე დასტურს.
ბრძოლაა იგი,
პოზიციებს რომელიც არ თმობს,
ბრძოლაა იგი,
სიცოცხლისას რომ გაძლევს პასუხს...
ან მე ვინა ვარ,
მოძღვრება რომ დაეწერე ლექსად...
ვარ ვინმე მგზავრი,
შარაგზაზე ყოველთვის რომ ჩანს.
უბრალოდ, ზეცის შორეთიდან
სიტყვები მესმა, –
უბრალოდ დილამ მომაწოდა
ღრუბელთა ხონჩა,
და იმ ხონჩაში
სტრიქონები ეყარა ბევრნი...
მერე ფიქრები, მერე გზები
და დიდი სევდა...
და ასე გაფხდი
უსასრულო რეისის წევრი.
მე ვარ მოხეტე
საზღვარწაშლილ შარათა, გზებთა...
არცა მეფე ვარ, არცა – მონა,
ვარ კაცი ვინმე,
ვინც ფიქრობს, ფიქრობს,
გამოსავლის ძებნას ვინც ბედავს...
შენ კი, თუ გინდა – განმერიდე,
თუ გინდა – მიძმე.
მე კი, მე მსურს, რომ
ჩემთან დარჩეს ლამაზი სევდა...

წითელი ქარი

წითელ ფოთლებით მოედო სივრცეს,
მოედო სივრცეს წითელი თმებით,
და მომიწოდებს ფრენისკენ, მზისკენ,
და სუნს, რომ მქონდეს ფერადი ფრთები.

ქარი მოვიდა წითელი კაბით,
ცეცხლოვან სულით, ცეცხლოვან გზებით,
თვალეების მართლაც ქალური ნაზვით,
და ჩამჩურჩულეს ამ სიტყვებს გზნებით:

„გიყვარდეს მუდამ!“ მერე კი ქრება,
მე დავრჩი ფიქრით და ქარის ძებნით...
ჩემი ნიჭია თვით ღმერთის ნება,
შენ კი ქარი ხარ, ხარ გრძნობის ფრთები...

* * *

მჯერა ფოთლების,
მე ბალის მჯერა,
და გაზაფხული
როდესაც მოდის,
ზეციდან ისმის
ნელი სიმღერა
ცას ყვავილები
დასცვივა ოდეს.

* * *

მზე მთებში ჩადის,
და სივრცეს მოსავს
პოეზია და,
გამქრალა პროზა,
ისე ლამაზი
არის სამყარო,
თითქოს
უფალი გარემოს ლოცავს,
ისეთ ფერებში
ცურავს გარემო,
თითქოსდა
ვიღაც უკრავდეს მოცარტს,
მზე მთებში ჩადის,
ობოლ საყდარში
კითხულობს ბერი
სალამოს
ლოცვას...

ღროზა მუტი

ისინი, თავიდან,
თითქოს მხოლოდ წამებს ეძებდნენ,
ბოლოს კი
თვით მარადისობას მიაგნეს...



კახა ბაცივაძე

ღილის პატარა ექსპრომტი

მე ვესალმები საყვარელ თბილისს,
დღეს გაზაფხული ახალ გვერდს ფურცლავს,
სულს ეფერება ეს სითბო ფრთხილი
და ფიქრთა სივრცე ფერებს მოუცავს...
მე ვესალმები საყვარელ თბილისს!.....

* * *

ეს ლურჯი წყალი საიდან გაჩნდა,
ამდენი წყალი, ზღვად რომ ქცეულა;
როგორ მივანდო სულის გემი;
იგრძნობა – ქარი მოიმატებს აუცილებლად,
თან ხმა ჩამძახის:
„არ შეუშვა ამ ზღვაში გემი!“
იგრძნობა ქარი.

ეს ლურჯი წყალი საიდან გაჩნდა,
ამდენი წყალი, ზღვად რომ ქცეულა...
მე ხმას ვპასუხობ:
„სხვა გზა არა აქვს გემებს, ხომ იცი,
რადგან ხმელეთზე ვერ გაშლიან
ლამაზ იალქნებს – დიდი ცურვისთვის“ ...
და ჩემი სული ამ წყალს მივანდე....
იმატებს ქარი, იქმნება შტორმი,
თითქოს ზღვის შოლოს
ბეთპოვენი დირიჟორობს ტალღების
ორკესტრს.

ეს სიმფონია მესხეთეს მოჰგავს,
აქეთკენ მიდის იღვრა შტორმის....
იწყება ლეწვა. გემი უკვე შუა ზღვაშია.
ტალღები, როგორც ურჩხულები,
თავს არ ზოგავენ,
ვერ გადარჩება ეს პატარა, ლამაზი გემი,
თუმცა კი იბრძვის თავგამოდებით.
ის ვერ გაატანს ამ ქარიშხალს.
შტორმი მრისხანებს...

ეს ლურჯი წყალი საიდან გაჩნდა...
და ხმა მპასუხობს:
„ნუთუ ვერ ხვდები,
ეს ხომ თავად შენი ცრემლია,
და ცრემლის ზღვაში, ოკეანეში,
ამ უსაზღვრო ოკეანეში,
ილუპება თეთრი გემი შენი სულისა“ ...

სიყარო

ამქვეყნად
სუყველა ცოდვაა,
ცხოვრება ხომ
დიდი ბოდვაა,
მედნიერება როცაა, –
ძლიერ ცოტაა,
ისე ცოტა, რომ
სათქმელადაც არ ღირს...

ნათიზა

(ეს ლექსი სერგის და კობის თანაავტორობით
დავწერე).

ცაზე ვაგელვებ სისხლისფერ ფაეტონს;
მომცრო ბინაში ღმერთი ელვარებს;
მე დღე და ღამე თავთან ვპაექრობ,
და ხშირად ვფიქრობ ზღვისფერ ელაზე.

ვისაც სმენია ბგერა გოლგოთის,
ვერ გაჩერდება მკვდართა ქალაქში;
ხშირად მებრძოდა ვილაც ბოროტი,
მაინც სივრცეში გრძნობას ალად ვშლი.

სადაც მეფეთა მეტყველ ნაბიჯებს
შემორევია ზღვათა ჭაღარა,
მე, აზროვნებას, სიღრმეს ვანიჭებ,
მეგულებოდეს ლექსის ჭა სადაც.

მესმის მღუმარე ბუთა ქარაგმა,
როცა სიბრძნეში ეშმაკს ვემდური;
ვარ შეფიცული, მე, ამ ქალაქთან,
თავად სიტყვაზეც ვარ პოეტური.

როცა ხურავდნენ კარებს გუმაგნი,
უცებ ვაგჩერდი ნისლის პირისპირ;
და მე ლურჯ ზეცას ფერს არ ვუშავებ,
და კიდევ სხვა ცა მოჩანს ცის იქით.

ბროლმა ოლართა ქროლვა აობლა,
ის ფლობს სხვა შუქსაც,
უფრო საზარელს;
და პოეზიის სასაფლაოდან
ლექსი აღსდგება,
როგორც ლაზარე.

კანკალ-კანკალით წვეთავს უდაბნო;
გულზე სიკვდილის დაღი მასვია;
მხოლოდ მე ვიცი, დღემდე, უდავოდ,
ბრძოლა რომ თვალის ახელაზგა,

რადგან პოეტში ღმერთი სულ იყო,
თუნდაც სამყარო დალუპულიყო....

ზესა – ეპოსი
(ეს ლექსი ნიკა კობერიძის (კობის)
თანაავტორობით დავწერე).

...და ჩემი სული, თეთრი მთასავით,
იდგა ჩემს წინ და ასვლას მიხმობდა.
გამოდევნილი, თან – შემზარავი,
მე ვარ გზავნილი უთარილოთა.

ბროლის ოცნებებს ბედი ამსხვრევდა
და ცა ღელავდა – როგორც პოემა,
და მდუმარებდა, ღმერთის სახესთან,
მარადიული განმარტოება.

გიგანტურ ტაძარს თვალს ვერ ვაწვდენდი,
სიკვდილის ფრესკა ფერს არ იკლებდა,

როგორც გრანელის ბრმა ლაზარეთი,
ვკლავდი სიჩუმეს ზეცის ციხესთან.

სისხლის ხეების ფრთები გაშლილად
თავზე მახვევდნენ სხვა შთაგონებას.
ფიქრმა შეშლილთან დააკავშირა
გაღმერთებული კაცის გონება.

სულზე კრთებოდა ღრუბლის მარაო
და მზე აღწევდა ნისლის ფარდიდან...
რამდენიც ცრემლი დაიღვარაო,
ქვეყნად იმდენი ლექსი აღიღდა...



გიორგი გუხბია (გუხბა)

ის რას იყო და არა იყო რა

ახლა საკუთარ თავს ციდან ვუმზერ,
შუქებმა, ოდნავ, დღემდე ისრბოლა,
თუ ბილიკია, ის გადის გულზე,
თუ რამე არის, არა იყო რა.

არავინ კვდება და არსად მიდის,
სწუხს – ვინაც ხარობს, ხარობს – მწუხარე,
სივრცეებს ნელა ეკვრება ბინდი,
ცას, ვით მუყაოს კოლოფს, ხურავენ.

რჩება თამაში დროთა გრძობაში,
ჩვენ არა ვიცით, გულმა იცოდა,
თამაშობს ღმერთი, ო, ღმერთი – ბავშვი,
მის თამაშს ჰქვია მარადისობა.

თუ ფრენა არის, გულია ფრენა,
ცად გადაქცევა და ცის მიყოლა,
რადგან ყოველი უსრული წრეა,
ის რაც იყო და არა იყო რა...
და კვლავ იქნება, და არც იქნება....

სარბიო თქვა

„ლომში,
 ამ უზარმაზარ პანტერაში,
 ამ ყველაზე მაღალ კატაში,
 არის კატა და არის ძაღლი.
 ლომში მგელია,
 მგელზე უფრო მძვინვარე მგელი.
 სწორედ ლომი არის
 დრაკონი თანამედროვე.
 ისაა მარადგამარჯვებული.
 ადამიანში უნდა იყოს
 თვისება ლომის.
 ლომივით საოცარი, თითქმის,
 არის არწივი.
 იგივე ატარებს მეფის სახელს.
 ფსოვიც – თეთრკუდა არწივიც ხომ
 საოცარია,
 და კონდორიც –
 დიდი, მუქი არწივ-ორბი.
 ადამიანში უნდა იყოს
 თვისება არწივის.
 ზოგადად – დრაკონს,
 ზოგადად – არწივს,
 ზეცა უყვართ.
 ადამიანი ზეცის არის,
 მიწისაცაა,

მაგრამ მიწას, მისი თავი,
 წაართვა ზეცამ,
 რადგან აფიქრა, ადამის ძე,
 იდეალებზე.
 პოეზია, ზეცა და მთები –
 ვინ ან რაა მათზე ლამაზი?!
 ეს, სამივე, პოეზიაა,
 რომელიც არს იდეალი უზენაესი.
 პირველად იყო პოეზია“... –
 თქვა, ერთხელ, სერგიმ.
 არაერთხელ თქვა.
 ბევრი სხვა რამეც
 უთქვამს იმას,
 აი ისეთი,
 გულზე რომ გადის,
 ცოცხალსა გულში
 კვალს რომ ტოვებს
 სამუდამოდ,
 და ეს კვალი
 მე მაგონებს
 ვარსკვლავთა ძახილს,
 ძახილს
 უმაღლეს (უღიადეს)
 სივრცეებისას...

ალუზია

კვირისფერ ყვავილს, მოჰაერეს, ჩაგიქსოვ სულზე.
 ახლა შენს ხელში გაქვავებულ მუსიკას ვუმზერ.
 იგი გიჭირავს, ვით პატარა... გულმა გისურვა...
 იგი გიჭირავს, ვით პატარა ღმერთის ფიგურა,
 და მეუბნები შემლილივით, რომ ის სრულიად...
 რომ ეს პატარა საოცრება სიყვარულია,
 შენი – ჩემდამი...
 ეს – ციციქნა ღმერთის –
 ფაიფურის წყნარი ფიგურა....

ქაენი

აღარ გასულა თუნდ წამი ჯერაც,
ცხოვრებავ, გიმზერ, როგორ დაბერდი...
და ვფიქრობ ასე, მე ახლაც მჯერა,
რომ არ მოუკლავს კაენს აბელი.

განა უფალი შიშისთვის ქმნიდა
სინათლის სუნთქვას, ღროს და ზექარებს?
სიჩუმე ფრთხილად გადმოდის ქვიდან,
ვერაგინ ვწვდებით ღროის შესაქმეს.

უფალი ქმნიდა, ნათლისთვის, აისს,
თუმცა აისებს ვუმზერთ ნაკლებად,
სამყაროები გადის და მაინც
გვჯერა, – აბელი მოკლა კაენმა,

რადგან ღროებით შუქების სურვა
რაც უნდა ვჭვრიტოთ, აღარ სხივდება,
და რომ მკვლელობა არსებობს სულაც,
ასე გვგონია, რომ იქ, პირველად,

ვიღაცას უნდა მოეკლა ვიღაც,
იმ მკვლელს კაენი ვარქვით, სასრული,
და რომ არასდროს გაგვიჩნდა კითხვა,
სწორედ ამიტომ არ გვაქვს პასუხიც.

რისხვა სინაზის საზღვარს ინავლებს.
„სულერთად“ დავრჩით ყველა ღროისთვის.
დიდი ხანია ვფიქრობ სიმართლეს,
რომ არვინ არის ქვეყნად ცოდვილი.

მე ვგრძნობ სამყაროს სამყაროს იქით,
განცდის კიდებე უკვე დავდექი,
და საერთოდაც, როდესაც ითქმის,
რომ ცოდვილნი ვართ, ჩვენ, დაბადებით,

რომ ცოდვილნი ვართ გზების სივრცემდე,
რომ გაჩენამდე დავეცით, ვვენეთ,
იქნებ ეს აზრი არის სიბეცე,
რადგანაც ცოდვებს ვიგონებთ ჩვენვე,

და ამ სიმუნჯით, უმეტყველებლად,
ასე ურიგოდ, ასე ამრიგად,
როცა ცოდვები მოგვეტევება,
მოგვეტევება ჩვენივ თავისგან,

რომ აქ გადავრჩეთ, გავავლოთ ხაზი,
ვმსახურობთ ინსტინქტს, ყოფნის სამეფოს,
რომ ვანუგემოთ შემცდარი აზრი,
თუმც გვავიწყდება, რომ არ ვარსებობთ.

კი არ ვარსებობთ, ბნელის სამეფოც
არ არს, სიწმინდე არის ჩვენს ირგვლივ,
თუმც არსობდა და ისევ არსებობს
მხოლოდ სიბეცე და მხოლოდ იგი.

სხივს, აისების, ცოტა უკლია,
სულ რაღაც სულის სახიერება.
აბელი კაენს არ მოუკლია,
აბელი მოკლა მიწიერებამ...

P. S.
როცა სერგიმ წაიკითხა
ეს ლექსი, მითხრა: დიახ,
ადამიანებს მიწიერება ღუპავთ,
ამიტომ, ისინი, ზეციერებას
უნდა დაუბრუნდნენო...

პური

რა არის პური? – სივრცეა მეწროლი,
იგი არასდროს არ ეძებს შველას,
პური ყოველი წამია დროის,
როცა პურს შია, აპურებს ყველას.

სული მივიდა არსის შეცვლასთან,
ადამიანურს განუდგა სურვილს.
რა არის პური? – გონის ზეცაა,
როცა ცას სწვდები, ეს არის პური.

მზენი თვალების სიღრმით ილოცვის.
თვალეები – სურო, მზენა – ნაგეზი.
პურია, როცა შენი სიცოცხლით
წარმოთქვამ სიტყვებს, როგორც ბაგეთი.

საზრისის სივრცე. მიწა მოზარე.
ხმას, ტკივილისას, ტკივილსვე ვაწვდი.
პურია, როცა თანაგრძნობაზე, –
თვით ამ გრძნობაზე მალღებები წამით.

სულზე გაკრთება შეცნობის დელგმა,
როცა არა გაქვს გზა და მიზანი,
და ერთდროულად შენში და ყველგან
როცა ხარ ყველა ადამიანი.

კვლავ პურის შიმშილს უნდა გაუძლო,
ანუ – ხარ პურიც, გულიც, საგანიც...
და ყველას განა შენ თანაუგრძნობ,
არა, შენა ხარ ყველა მათგანი...

შენი თავი კი მაინც არა ხარ...
ზეცაა პური...

დამატება სერგი ლომაძის მიერ: როცა მეუბნებიან, ჯგუფ „ზღვარის“ ყველა წევრი ჩამოთვალეო, მაშინ ვამბობ ხოლმე, რომ წევრების ზუსტი ციფრი (თუ – რიცხვი) არაა განსაზღვრული. ცნობილია ეს: „ზღვარის“ ძირითად ოთხეულს წარმოვადგენთ მე, კახა, ზუხბა და ვასო. მაგრამ ჯგუფში, სხვადასხვა დროს, მოიაზრებოდნენ გია მიჩიტაშვილიც, ლუკა ამირანაშვილიც (რომელიც ტატო ებანოიძემ შეცვალა, ტატო კი შეცვალა გია ჩადუნელმა), სემი იუნკინიც (რომელიც გოგა გოგსაძემ შეცვალა) და სხვებიც... საერთოდ, „ზღვარი“ განსაკუთრებული ჯგუფი მგონია, ერთადერთი და განუმეორებელი. იგი რთულ (ურთულეს) მოვლენად მიმაჩნია. მის შესახებ დაუსრულებლად შემოიძლია ლაპარაკი....





ნაირა უგულავა
(ნია გორღელი)

კორონოზისას – მაისის თვეში

მინის მადლმა ყვავილები ამოხეთქა,
დაფრიალობს გაზაფხული ჭრელი კაბით,
დილის ცვარმა მარგალიტი დაიბერტყა,
აკაციის რძისფერ მტევნებს ცრემლი დასდის.

ცის ნაჟურმა ზამბახებიც დაასველა,
ჟასმინის ტოტს ანანავებს მთვრალი ქარი,
ვარდის ეშხით გაიბადრა მირაბელა,
კესანემაც გაახილა ნატვრის თვალი.

ცისარტყელამ ველ-მინდვრები დაამშვენა,
გამიტაცა, – გული სახლში ვერ გაჩერდა,
ამ დილიდან საპოვნელამ ამამღერა,
ველზე ვეძებ პანანინა მარჯნის ყვავილს.

ბუდეს ინცობს მერცხალი და მაფშალია,
ელის ბუჩქმა მთის ფერდობი გადაჰვნტა,
მიხარია, მეც ბავშვივით მიხარია, –
ცამ, ბუნებამ, გულის კარი არ დაკეტა!..

ა გ ო ნ ი ა

გონებამ გაჭრა გარდუვალი სხივის თამასა,
სამყარომ, თითქოს, უცხო რითმი გაახშიანა,
დიდ უკუნეთში დრო და სივრცე გადათამაშდა,
დაისმა ცაზე თეთრი დროშა ააფრიალა.

გულმა ნაცადმა ვერ გახედნა დროის სამხილი,
ქვა – გაბზარული ვერ აღმართა ახალ ზღუდებად,
სადავები ვერ დათოვა ლაგამ-ახსნილი,
განსაცდელეები აბორგებენ ახალ სიზმრებად.

მზე ინვის ახლა უფრო სწრაფად, ვიდრე გვგონია,
გულქვა მხედრები სულს დაღავენ

როგორც არასდროს,

წარსულ ზმანებებს ურცხვად ანგრევს ეს აგონია,
სიტყვა, ლაღადი, ცის შერისხვა არის ამაო.

ამ გამოწვევებს აღარა აქვთ კუთხე ფარული,
გაბოროტება არის ძალი და ხელდასხმული,
ახლა კითხვების დრო არ არის –

მხოლოდ პასუხის,

განდეგილობა ახლა თითქმის დაღუპვას უდრის.

შემომაგება აპრილო სუნთქვა

მინა დაღალა შფოთვა-განგაშმა,
ცამ არ დაინდო სული ფაქიზი,
ჭკუა შეშალა ტყუილ-მართალმა,
საით ვიპოვი ნუგეშს არ ვიცი...

არადა, მზეო, მე შენი მწამდა,
იცი, რომ ამ მრწამსს ხშირად არ ვიცვლი,
მჯეროდა შენი, იმედის დარად,
მზევ, შენი მზის და მწვანე აპრილის.

თუ რამ დღე მქონდა, თუ რამე მწამდა,
გამოვატანე სვე-ბედს თქვენამდე,
იქნება, ხიდიც ჩემადვე აღდგა,
იქნებ, ავზიდო სული მწვერვალზე.

ახლა, მიდამო რუხ ფერებს იცვლის,
გული იშუშებს ნაზამთრალ ტკივილს,
შემომამგებე აპრილო სუნთქვა,
მზეგაფერილი პატარა კვირტის.

სული ქართველთა

რაც ჭირთათმენა, განსაცდელი გამოიარა,
იყო დიდება – სახელოვან გმირთა – ქართველთა,
ღრომ, ქარტეხილმა, რაც სიმდიდრე შემოგვინახა,
ვთქვი თაყვანცემა – დავიჩოქე ყველა ნანგრევთან.

დიდება ქართველს – დამარცხებას ვინც არ დანებდა,
ვინც ლოცულობდა, ცივ ლოდებზე ღამეს ათევდა,
სამართლიანი გამარჯვება ღმერთს შეავედრა, –
იყო ხელმწიფე, დედოფალი – ღირსი ქართველთა.

ვინც ფსალმუნები გადმონერა, გადმოათეთრა,
ევნო, ენამა, – სამშობლოსთვის ვინც ჩაიფერფლა;
ვინაც ქართული ანბანთქება ამოამღერა,
იყო ღიადი და პატივი არ შეიფერა.

მიმოდიოდა ხმელად, ველად, ზღვად – ფეხშიშველა,
წმინდა გრძნობები – სიყვარულით ღმერთს შეაფერა;
ქვეყნიერებას განსაცდელში სული ჩაჰბერა,
წაიღო ტაოს – უდაბნოში ცას შეაკვდლა.

სამშობლოსათვის თავდადება ვინც დაისახა,
უხმო წმინდანებს და პირჯვარი გარდაისახა;
ვინც გასაჭირში ძმად გვიგულა და გაისარჯა,
გააპო გული საქართველო შიგ ჩაისახლა.

ვინც საფუძველი განამტკიცა და აღაშენა,
ყარიბობაში წმინდა ძვლები ვინც შეასვენა,
განძთა ქვეყანას ხელი ახლო და მოეფერა,
ვინც მტერი იცნო – მოღალატე და შეაჩვენა.

ჟამი რეკავს და აზანზარებს ცოცხლებსაც, მკვდრებსაც,
უნდა ახსოვდეს ყველა ღროში ერსაც და ბერსაც,
მათი დიდება დააკნინოს – არ უშვებს ზენა,
სისხლით ნაწერი სტრიქონები არასდროს ქრება.





ედუარდ უგულავა

ყვავი

სანამ კარგად გათენდება,
ამოსვლამდე მზის,
ყრანტალებს და ანძის ტავზე
არხეინად ზის.

უფრო ხშირად იმ ანძაზე
ჯდომა უყვარს ყვავს,
საიდანაც დარჩენილი
საქართველო ჩანს.

სიცოცხლეს უქმად რა გააჩერებს,
ჯერ ალაგ-ალაგ ამოვა იად,
ამოაღრმავებს თოვლის ნარჩენებს,
ირგვლივ რომ დახრულ ძვლებივით ყრია.

მერე იმედი მოვა კვირტებად
და ამ ნაზამთრალ დღეების დამლევს,
ხელები ხელებს ჩაეჭიდება,
თვალები ძებნას დაუნყებს თვალებს.

ცოტა კიდევ და მზე, სათაყვანო,
ჩაათბობს სისხლში უცნაურ ჟრჟოლას
და გამოთვრება მთელი სამყარო,
როცა კვირტიდან რძე გამოჟონავს.

საუკუნეა უკვე მრავალი

საუკუნეა უკვე მრავალი
თავის გზით მიდის ქართლის ცხოვრება.
მოდის საღამო, მზე ჩამავალი
სოფელს დილამდე ემშვიდობება.

მოაქვს ზაფხულის ნიავს სინაზე,
დასწითლებიათ შორ მთებს ფერდები.
მართლაც კარგია ფიქრი იმაზე,
რომ აქ ცხოვრობ და აქ დაბერდები.

ახლა დიმილიც არის იოლი,
ცა დასავლეთის ღრუბლით გუნდაობს
და კვლავ თეთრია კავკასიონი, -
ანგელოზების საციგურაო.

ეს მირჩევნია

ქარი ჩადგება, ისევ გავა თვე,
ახლა სიცოცხლე სულ სხვა ფერია.
მე გათოშილი ბარტყი გავათბე
და თქვენს ცხოვრებას ეს მირჩევნია.
სევდით ნასეტყვი სათუთი სახე
როგორც ყოველთვის, აქეთ ბევრია.
მე პურის ნატებს ჯვარი დავსახე
და თქვენს ღრეობას ეს მირჩევნია.
ქუჩაში გაველ, არ მახსოვს, რაზე
და ვხედავ ირგვლივ ყველგან რიგია.
თქვენ რომ სასახლის კარი დარაზმეთ,
მე ჩემი ოდის გამომიღია.
დამძძიმებია თოფისგან ბეჭი,
იქ, სადაც ვიყავ, ყველგან მთებია
და თეთრი ცხენი ლაგამნალეჭი
მთების თეძობზე მიჭენებია.
ხმა გამიგია დაშრეტილ დოქის:
იქ გზა კი არა, მწვანე ბორცვია.
მდინარის პირას მუხლზე დაჩოქილს,
კალმახის ცრემლი დამიკოცნია.
ქარი ჩადგება, ისევ გავა თვე.
ახლა სიცოცხლე სულ სხვა ფერია.
მე გათოშილი ბარტყი გავათბე
და თქვენს ცხოვრებას ეს მირჩევნია.

მშვიდად სუნთქავდა სურნელს ტაძართა,
როს შეკრთა მისი წილი ცხოვრება.
კანი გაჭკნა და ხორცი გაძვალდა,
ამოშრა თვალთა ფერადოვნება.

ზოგჯერ მზე იწვა ცაცხვის ფურცლებში,
ან თოვლით იყო სავსე ეზო და
დრო კვლავ გარბოდა და მოუსვლელში
წასვლა რაც უფრო ახლოვდებოდა,
უცქერდა, ათას ტკივილს ნაჩვევი,
მთებს და მთები კი იდგნენ მეფურად.
მერე წავიდა ბებიაჩემი,
წავიდა და არ დაბრუნებულა.





იზა შუბითიძე

*

ძილი მორევია წყლის პირს აკაციას,
 წასულან წლები და ბევრ წყალსაც ჩაუვლია,
 სიჩუმეს კვლავ არღვევს საათის ფეთქვა :
 სიცოცხლე, მაინც დღესასწაულია.
 სიზმრიდან გამოსვლა უჭირდა ღამეს,
 ხსოვნა კი ჩურჩულით მომყვება კვალში,
 ღიმილი შერჩენია სურათში სახეს,
 ეს დედა იღიმის ცარიელ სახლში.
 აქ რომ თონე იდგა, აბრიალებული,
 ჩირით რომ სავსე იყო სხვენი და ერდო,
 მგზავრსაც ცხელ შოთისპურს მიანვდიდა,
 ჩემი თმაჭაღარა ბებო.
 დამტკუნარი ხელებით წინდებს დაგვიქსოვდა,
 არავის დარჩებოდა ვალში,
 ყველაზე ტკბილი იყო წითლად დაფერილი,
 კალთიდან გამოწვდილი ვაშლი.
 ცვარი რომ ეკვროდა მძივებად ბალახებს,
 რიჟრაჟს დაასწრებდა მამა,
 თვალს მოავლებდა მშობლიურ სანახებს,
 სადაც ვცხოვრობდით და გვწამდა.
 სამზერს დაკლებიან და სულეთს გადასულან,
 აღარც ყანაა და არც გზები დასათარი,
 დედის ღიმილიან სურათთან ფრიალებს,
 ფერებარეული ბებოს თავსათარი.
 ძილი მორევია გზისპირს აკაციას,
 წასულან წლები და ბევრ წყალსაც ჩაუვლია,
 სიჩუმეს კვლავ არღვევს საათის ფეთქვა:
 სიცოცხლე მაინც დღესასწაულია.

ჩემო გვირილა, დაგითვალეს მკერდზე ფურცლები:
 - მიყვარს.. - არ მიყვარს, - სხვისია თუ ისევ ჩემია...?!
 ღეროზე შეგრჩა მომღიშარი გული უცვლელი
 და ეგ ღიმილი გულწრფელია, როგორც გჩვევია.
 შენ? შენ არ გიყვარს? დავიჯერო არ გყვარებია?
 განა არასდროს გაუშლია ფრთები ოცნებას...
 ან ნიავექარის მონაფერებ ფურცლებს, ვნებიანს,
 რატომ ვერ ვამჩნევ ვერც დარდსა და ვერც გაოცებას?...
 ჩემო გვირილა, დაგითვალეს მკერდზე ფურცლები,
 დააფრიალებს ურჩი ქარი ქვეყნად ამ ეჭვებს,
 შენს ბაგეებს კი ამშვენებენ მხოლოდ ლოცვები,
 და რომ უყვარხარ, უფურცლოსაც კი არ გაეჭვებს...

*

ვით შევადარო ქვეყნებს შორეულს,
 ქვეყანა ჩემი, ათგზის ნაცემი,
 ჩემი მამული ტყეს ჰგავს შერეულს,
 აქა-იქ ფესვმძლავრ მუხა კაცებით.
 ტყეები - ხობხით მოგიზგიზენი,
 საუფლისწულო, ხეთა - ტიტანთა,
 გვქონდა დღეები მართლა ისეთი,
 მხოლოდ ქართველი რომ აიტანდა.
 ტევრი - ალგეთის ლეკვთა საღრენი,
 გასადევარი შველთა, ირემთა,
 ისევ ამაყი დგანან ბიჭები,
 მსგავსი პაპების სულთა სიღრმეთა.
 როცა წარსულის ხვატი მთხრის თვალეებს,
 და საკუთარ ჩრდილს ვედარ ვერევი,
 შერჩენ მუხები მტერთა სიმრავლეს,
 როგორც კრწანისთან არაგველები.

ნეტავი არაგვო შენს ტალღებს,
 ნაფერებს, მთის მკლავებგამოვლილს.
 ვნებადაუმცხრალს და მშფოთვარეს,
 ბნელ ხევში ამაყად ჩამოვლილს.
 ნეტავი, არაგვო, შენს სავალს,
 უნახავ სიზმრებს თან ერთვები,
 კალთაზე ემთხვევი გვირილას,
 სიცოცხლედ რომ დარჩეს წვეთები.
 ნეტავ თქვენ, ჭაღარა ნისლებო,
 ფიქრები რომ გესმით მთებისა,
 ოცნების ბილიკებს მიჰყვებით,
 მგზავრებო არწივის ფრთებისა.
 თუკი სიყვარულის არა გწამს,
 აბა იმ სიცოცხლეს რა ჰქვია?
 ნეტავი, არაგვო, შენს ტალღებს,
 უმისოდ არაგვიც არ გქვია...

მზის გულივით თბილი მოლი,
ყაყაჩოთა სისხლის ფრქვევა,
ჯეჯილებში ჩამალული
ლალი შურთხის წამოფრენა.
ნამი - მინის შვილობილი,
ნამში - ოქროს ცისარტყელა,
დილა - მზის სხივს მინდობილი,
ლერნამმა რომ ამეტყველა.
ქარი ტირიფს ნაწნავს ურხევს,
და ყაყაჩოს ღვინით თვრება,
ნაზამთრალ და ნამარხულევ
მძინარ ვარდებს თავს ევლებს.
გვირილების ნაფეხურებს,
მზე რომ ადგას ოქროს გედად,
უფლის პეშვი დაარწყულებს
კვლავ სიცოცხლის გამგრძელებლად.

ნუ განსჯი და გაზომავ
გრძნობას, თუ გნამს ღმერთი,
დღიდან, ვით მზე ჰორიზონტს,
გული - შენს ცას ელტვის.
იყოს ასე თავარა,
ყინვის სუსხს ვერ შევძლებ,
გულმა - ფუძით ამყარა,
სამოსახლოდ გეძებ.
ნუ, ნუ მიმიზ - მომიზომ,
გრძნობას ან ვინ ზომავს,
განა დევა გაურბის
ხარ - ირემის ძოვას?
რაც რომ ლერნად ამჭერი
დღიდან, შენს გულს ვჩემობ,
ჩემო დიდო იმედო,
მევენახევ ჩემო.

*

სიზმრად გადაქცეულ ძველი ფიქრებიდან,
თვალწინ მეშლებოდნენ ძველი სონეტები,
ნანგრევ - ნამუსრევი წყალსაც გავატანე,
ჩემთვის დავიტოვე ტკბილი მომენტები.
და თუ აღარახარ, მაშ ხომ არსებობდი?
შენეული კოცნით თვალებს მიღამებდი,
მახსოვს გაზაფხულზე ნუშის პატარძლობა,
ხელში ჩაფერფლილი ერთი სიგარეტი.
ხშირად ვხეტილობ ფიქრთა სამეფოში,
მე მწამს ბედისწერის, მუდმივ აზრთადენის,

და თუ აღარა ხარ, მაშ ხომ არსებობდი,
მაინც შენთან ვპოვე ისევ დასაყრდენი.
ღამის ხეტიალში მთვარე შევიწირე,
ბევრი ვიარე და არც მას ჩაეძინა,
მორცხვი სიყვარულით მზემ რომ გამიღიმა,
მთვარეს ეწყინა და ჩუმად ჩაიძირა.
სიზმრად გადაქცეულ ძველი ფიქრებიდან,
ველარ მოვახერხე დაღწევა თავის,
მზეო საყვარელო, დღე ხომ შენი ვარ და,
ღამით კი ვიქნები უძილო მთვარის!

ჩემო გვირილა, დაგიტვალეს მკერდზე ფურცლები:
- მიყვარს.. - არ მიყვარს, - სხვისია თუ ისევ ჩემია...?!
ღეროზე შეგრჩა მომღიმარი გული უცვლელი
და ეგ ღიმილი გულწრფელია, როგორც გჩვევია.
შენ? შენ არ გიყვარს? დავიჭერო არ გყვარებია?
განა არასდროს გაუშლია ფრთები ოცნებას...
ან ნიავექარის მონათფერებ ფურცლებს, ვნებიანს,
რატომ ვერ ვამჩნევ ვერც დარდსა და ვერც გაოცებას?...
ჩემო გვირილა, დაგიტვალეს მკერდზე ფურცლები,
დაათრიალებს ურჩი ქარი ქვეყნად ამ ეჭვებს,
შენს ბაგეებს კი ამშვენებენ მხოლოდ ლოცვები,
და რომ უყვარხარ, უფურცლოსაც კი არ გაეჭვებს...
სამშ., 23:20





ხათუნა ჩიტაძე

გულიდას

დალლა არ არის, როცა თვალები
 ფიანდაზებდად ნატვრას მიგვებენ,
 მერე ფიქრიდან მოდის თავნება რითმა!
 და მისგან რას არ ვიგემებ!
 ღამეში ისევ ბავშვის ტიკტიკი,
 დილაზე ისევ მზის აფეთქება,
 ყველა დარდი და ყველა ტკივილი,
 მისი თვალებით კვლავ განმრთელდება.
 შუადღის გარჯას ბოლო არ უჩანს,
 არც შვილთა ღიღინს, არც იავნანას,
 მხურვალედ ვუკრავ ჩემი გულის ჩანგს!
 თოკზე სარეცხს ვფენ დღის იალქანად!
 საღამოს გზაზე ვის არ მოელი,
 რას არ მოელი, ან მოელიან,
 და მრჩება ტვირთი განზე, ყოველი,
 არც მოლოდინი გამომელია!
 არ გამაგონო, ოღონდ, ღალატი!
 ოღონდ ორპირი მაცილოს ღმერთმა!
 ოღონდ არ ვწერო ცრემლით, ძალათი!
 და ვქარგავ ამბავს,
 ნემსს ვაბამ ღერ თმას....
 და მზის ჩასვლისას გადაწვენილ დღეს,
 ტრფობის საკინძე გულზე ეხსნება,
 კვლავ გათენდება! და გათენდება!
 და ჯარად მოდის შედნიერება!
 დალლა არ არის,
 ან მე რა დამღლის,
 ცაზე ავუშვი ეს ჩემი გული,
 ყველას ეყოფა ჩემი სამყარო,
 ჩემი დალოცვა და სიყვარული!

2015წ.

* * *

(მამულს)

რისთვის ვირჯები?
 შენტვის!
 შენი სიმღერებისთვის!
 და თუ რაიმეს კვლავ ვიპრობებ,
 რაც მითესია,
 მომავლისა და რთული აწმყოს იმედების-
 თვის!
 და ეს შვილები, სამომავლო, მყარი ფესვია!
 ზე-ოცნებებში ამ ხელებით
 თავს გადგამ გვირგვინს,
 ძლიერებისთვის,
 სიყვარულის და სიკეთისთვის!
 ვიცი, საწუთროვ, არც რა გსურს და
 არც არა გიკვირს,
 ვეძებ ლაზურიტს,
 მაგ გულ-მკერდის მძივ-იებისთვის!
 ძვირფასო ჩემო,
 საფიქრალო და სადადრდელი!
 ტანჯულო ჩემო!
 დაფლეთილო და საჯავრელი!
 თვალებით ჩემით,
 შენი ფიქრის ლაბირინთს ვწვდები,
 და მთელი ანსით,
 იცოდე რომ შენს სულში ვრჩები!
 შენთვის ვირჯები...
 და ეს ფიქრიც ცრემლმა შეცვარა,
 -იქნებ მოვესწრო,
 იქნებ ვპოვო,
 ან, იქნებ ვნახო!
 ოჰ, ღმერთო ჩემო,
 ეს იმედი რამ არ შეცვალა...
 და რჩება მხოლოდ თვალსაწიერში
 იქნებ...
 და ვახ!
 ...რომ.....
 რისთვის ვირჯები?!
 შენთვის...
 შენი იმედებისთვის!

2015წ.

ბია

შენ მყავხარ მარად საიმედო,
 შენს სუნთქვას სულში ლამაზად ვინთებ,
 გულს სევდა შენ არ დაიბედო,
 რადგან ყოველ დილით ლოცვას გითევ!
 მე შენი ჭიკო ვარ,
 – შენ კი ჩემი!
 ან კი რა აზრი აქვს,
 – რადგან ვავსებთ ერთ-ერთს,
 ჩვენი ფრთა-უღელით,
 ცხოვრების სიძნელით,
 ვპატრონობთ სიყვარულს,
 დიდს,
 მთლიანსა
 და რთულს!
 შენ მყავხარ!
 მეტი არც რა მინდა,
 უზენაესმა კი იცის თავად!
 წლებით ეს სული და კერია გაგვითბა,
 მე შენი სატრფო ვარ
 აწ და მარად!
 2015წ.

უქინარი

ფეხდაფეხ,
 მომდევს ცისფერი მზე,
 ცისკრის ვარსკვლავის მოგონება,
 ფეხდაფეხ,
 სულის ალიონზე,
 ჩემი ზღაპარი და
 როგორც ხდება...
 ქუჩის თავი მახსოვს,
 გულის მხრიდან,
 ჩამავალი მზიდან წამოსული,
 მხატვრულ ბავშვობაში ჩარჩენილი,
 მერე სიზმრებიდან გადმოსული...
 ტრფობის ნაპერწკალი, გაფანტული,
 ისევ ჩაუქრობი, მშვიდი ცეცხლი,
 მდინარის პირს მდგარი, დაკარგული,
 გულში სიო-ქარი და არ ცრემლი...
 ფეხდაფეხ, სიზმრებში გადავინება,
 ფეხდაფეხ, როგორც უხილავი,
 გრძნობით ღამის ცისფრად გათეთრება,
 ამიტომაც მქვია უქინარი.....
 2015წ.

ბიას

ოი, როგორ გამიხარდა
 შენი ია-კონებიო,
 ფიქრის გონას,
 ლურჯ მზე-ფარანს,
 ისევ ისე მოველიო...
 ის წერილი გამიხარდა,
 გაზაფხულის თეთრი სიო,
 ისევ აქ ვარ,
 ცხადში ვდგავარ,
 ვერ გაიგე?
 გიხმობდიო.
 ყველა ჩემი ფიქრის ენა,
 ყველა ჩემი იმედო,
 ყველა ჩემი სულის მზერა,
 შენ გეძახის,
 მოხვედიო?...
 თუ კი რამე გზაზე დავდექ,
 შენს სიყვარულს მოვსდევდიო,
 დიდხანს ერთად ვივლით ასე,
გიო.... 2015წ.

ფიქრთან დიალოგი

...და დედამიწაზე ნატვრა არ სრულდება...
 ცრემლები იღვრება მცირე და ეული,
 გრძნობების გარეშე ქვეყანა ხუნდება
 ვერ ბადებს ყვავილებს – და კვდება სხეული!
 – ადგილს გააჩნია! ადგილის დედასაც!
 აქ კი ყველაფერი ძველ წარსულს ეკუთვნის,
 ამ სოფლის სურნელი კვლავ აქვს მის ვერანდას,
 მათობს და მალალებს ზეცა ჩემი კუთხის.
 წარსულის სიძველით გამშრალ სულს ვიპურებ,
 ამ მოდგმის თვალეში ისეთი მწველია...
 დილით ამოგორებულ დღის სხივს ვიპურებ,
 და ვგრძნობ, რომ ეს მიწა გულწრფელად ჩემია!
 აქ სისხლიც მომძახის, წარსულის აჩრდილიც,
 წინაპრის ლექსებიც გზადაგზა მეწევა!
 და კვლავ მუზა მეტრფის მე ამ სისხამ დილით!
 და მთების ჩრდილებში ღიმილით მეწევა!
 კი! დედამიწაზე ნატვრა ასრულდება!
 ცრემლი იმედისა მოდის, ეს ეული,
 გრძნობები სავესა, სული არ ხუნდება.
 და ჩნდება ყვავილთა უკვდავი სხეული!





მალვინა ჭელიძე

თვლემდა ღამე...

ვარსკვლავებით მოჭედული, მოკამკამე,
 ქროდა ქარი.... მოშრიალე ნიავ ქარი,
 მთვარის შუქი სულს უთბობდა,
 სულში სევდად ეღვრებოდა
 მოგონება განვლილ დროთა,
 უძილობით გადაღლილი,
 ღამეს ისე აუხირდა...
 თითქოს მასთან
 შეჭიდებაც გაუიჭირდა.
 ვიღაც ქუჩას მიუყვება,
 ეზოში კი ძალღი ყეფდა,
 ღამე თვლემდა,
 მიიძინა გულში სევდამ,
 განერიდა დარდს და ტკივილს,
 არც აწვიმდა, არც ათოვდა,
 ზღვის ტალღებში ჩაძირული
 თავის დარდებს მიაჰობდა.
 მთვარე ისევ დანათოდა...
 ქარი ისევ გნიასობდა,
 ღმერთი ქალის ბედზე ბჭობდა,
 ეს შემლილი თეთრი ღამე,
 ხარხარებდა, იცინოდა.
 ქარს კი ქალის ფორიაქი,
 ზღვიდან მთაში გადაჰქონდა.
 სარკმლის ახლოს, მთვარის ჩრდილში,
 ქალი.... ბედთან ვამათობდა.
 მისტიროდა დაკარგულ დროს,
 თუმც სიმშვიდით ამაყობდა,
 დარდი, ქალზე ძალადობდა,
 ღამე, დარდზე ჯალათობდა.

მონატრება.....

სულში სუსხი მძვინვარებს,
 გარეთ ცივი ქარია,
 ღამე წყვდიადს მოუცავს
 მენატრებით ძალიან.
 გაზაფხულის მზის სხივებს
 ვეფიცხები მდელღობე,
 ვეძებ სულის სიმშვიდეს
 ვუხმობ ღვთის ანგელოზებს.
 არეული დღეა და
 უცნაური დარია,
 რაღაც ისე ვერ არის,
 ქარმა გზები არია...
 სილამაზე ბუნების...
 გადაშლილი კვიტები...
 გულზე მიმოვიბნიე
 როგორც მარგალიტები.
 აპრილის მზის სხივებმა
 სადღაც გაინაპირა,
 უთქვენობამ დამღალა,
 მონატრებამ მატირა
 ღამეს... დარდად მოვლემარეს
 ველარ გაუხარია,
 თითქოს რაღაც მახარებს...
 თითქოს არც მიხარია....
 თითქოს... რაღაც იმედით
 ვეგებები განთიადს,
 მაგრამ ბედის ვარსკვლავმა
 გზიდან გაინაპირა.
 მაგრამ გული, ეს გული,
 ღვთის იმედით ივსება,
 უიმისოდ ყოველი დღე
 ძალზედ გამიჭირდება.
 გარეთ ქარი მძვინვარებს,
 სულშიც ქარიშხალია....
 სევდამ ამიყოლია....
 მონატრებამ,
 ძალიან!!!!

ფოტოთი მოვიხიბლე.....
ხომ შეიძლება
მგელიც შეგიყვარდეს!!!.




ღამე ნათევი ფიქრებით,
თითქოს სამყაროს მცველი ხარ,
შენთან შეხვედრა ვინატრე,
მაგრამ ვაი რომ მგელი ხარ.
არ მჯერა შენი სიავის,
რა უცნაური ფერის ხარ,
ისეთ სიმშვიდეს ასხივებ
არადა ვიცი, მგელი ხარ.
რალაც მეფური იერით
მიუნვდომელი მზერის ხარ,
დინჯი, ამაყი... ძლიერი,
რა უცნაური გენის ხარ.
იდუმალი გაქვს თვალები
შენ ბოროტებას ვერ იზამ,
შეუცნობელი დუმილით
შენ, მგელზე უფრო მგელი ხარ.
თუკი შენამდე მოვედი
შენთან შეხვედრა მეღირსა,
სულის მეგზურად გაგიხდი
შენ ხომ სიცრუეს ვერ იტან....
არ მჯერა შენი ღალატის
შენ კანონების მცველი ხარ,
მინდა, რომ გულით მიგენდო,
არადა ვიცი, მგელი ხარ!!!.

3.05.2021.

სიზმარი...

გზაზე შემომეფეთა და
გზის ბოლომდე გამომყვა,
სულში ისე ჩამისახლდა,
ვერც გავიგე რა მოხდა.
უცებ გვერდი ავუქციე
და უეცრად წამომცდა,
უფლის საჩუქარია თქო
შემომხედა, გაოცდა...
შუაგზამდე მიმაცილა
და ბარათი გადმომცა,
მთხოვა, ჩემთვის წამეკითხა
და ჩურჩულით აღმოხდა,
რომ ვუყვარდი ისე ძლიერ,
მოსვენება არ ჰქონდა,
სულით ზეცას შეენივთა,
გულს კი დარდი აპობდა.
თითქოს გზები აებნია
ჩემგან შველას ითხოვდა,
თითქოს ზეცად ამაღლებულს
ჩემზე დარდი დაჰქონდა,
როცა თვალი გავაყოლე
ის ქარივით მიჰქროდა...



შორს ღრუბლებში მონავარდე,
მთელ სამყაროს მითბობდა.
როცა გზები გაიყარა
მისი, მაშინ ვინამე,
ის, უფალთან მიიკვლევდა,
თავს მიხრიდა მიწამდე.
უსასრულო ღამეა იყო,
თითქოს დარდიც გაყუჩდა,
სევდა ისე მომეძალა
ვერც გავიგე რა მოხდა.
როცა თვალი გავახილე,
მივხვდი, იყო სიზმარი,
და ტკივილი გამიახლდა,
მე ის ... ამოვიცანი.!!!

14.02.2021.

ზღვა და ქალი

ზღვა ბობოქრობდა,
ზღვა ღელავდა
ქალის ტრფიალით,
ქალი კი იდგა ამორძალი,
კაბის შრიალით.
ზღვამ უმასპინძლა,
ქალის გული სითბოს ეძებდა,
გულში ჩაიკრა, გადუქცია ბალი ედემად.
ღღე იყო რალაც უცნაური,
ქარიშხლიანი,
ღღე მზიანი და
ღღე ნათელი, იმედიანი.
ღღე შემოდგომის, სუსხიანი
და სევდიანი,
მოგონებების, მონატრების...
ორომტრიალის,
მიმოფანტული ფოთლები და
ღღე ნისლიანი, ღღე წვიმიანი,
ღრუბლიანი და სევდიანი.
ფოთოლ ცვენაში მოყოლილი,
თვალ ცრემლიანი,
ერთგულებისათვის მებრძოლი და
სამართლიანი,
მარტოობაში გამონვრთნილი,
და სევდიანი.
სიყვარულში კი უიმედო,
ღალატისანი,
ქალი ძლიერი, იდუმალი,
გულით მზიანი,
სულით მდიდარი, მეოცნებე,
და მომღიმარი,
ზღვის ტალღებივით მღელვარე და
გულისხმიერი,
ქარიშხალივით მძვინვარე და
მუდამ ძლიერი.
ზღვა ბობოქრობდა,
ზღვა ღელავდა, ქალის ტრფიალით...
ქალი კი იდგა, ამორძალი....
კაბის შრიალით.



26.09.2020.



მზიური დათიაშვილი-აფციაური



ჩემს უერთბულეს მებობარს – ნინო ხოსიტაშვილს

ცინცხალ დილის ვარდის შტო ხარ,
გარიჟრაჟ-ცვარ-ნაპკურო,
გებობ სახედ ნატურისა,
აის ფერანაცურო...
ვაზის ლერწემს აყოლილო
სიბრძნის წვეთ-წვეთ ნაურო,
კოსმიურო სათნოება
ლაჟვარგამონაწურო...
მაკბადონას სილამაზე,
ვარდფურცლობის თილისმავ,
გონიერების სიუხვე,
გიძღვნა დედა თბილისმა...
მალე ვნახო ბედნიერი
ჩვილი პირმშოს ნირ-მღიმი,
ქალწულობას გიმშვენებდეს,
საქორწინო გვირგვინი...

სინაზის და სიყვარულის
თვისებების საუნჯე,
შენი თბილი მზის ალენსი,
საუცხოო მამუნჯეს...
ბესიკის სულის ამბორო,
აკაკის ქნარს მაგონებ,
საქართველოს ლირად შეთხზულს,
ვაჟას ხმას გამაგონებ...
იის სურნელს ნაზიარებ
ველ-მინდვრებს და მთა-გორებს.
გასდევს შენი ტკბილქართული □
სიყვარულს შთამაგონებ...
მაგ სალბუნი ხმის სინაზე,
სიბრძნეს ტალღად აგორებს,
საქართველოს ტურფა სულო,
შენგან რა განმაშორებს!..

მზიური დათიაშვილი-აფციაური.
2021/V





ლია ჯავახიშვილი

დღეს ყველაფერი ბურუსითაა მოცული.
ყველა რაღაცას "აკეთებს" მაგრამ მალავენ,
საქმენი არ იმალებიან. თვითონ კორონაც
ხომ უხილავია.

******ბურუსი******

ფაფარაშლილი ცხენების რემა,
რომ გადაირბენს გადამწვარ მინდვრებს,
ისე მიქრიან ჩემი ფიქრები
ღამის წყვდიადი ისე მაშინებს.
შავი ლანდების ჩუმი შრიალი,
და ჟანგისფერი ბურუსი სევდის
მინდა ჩამოვხსნა ღამეს ფარდები
თეთრი კარვები მოჩანს შორეთის!
შემოცურდება იისფერ ცაზე
გავსილი მთვარე
კაცის ფრესკებით,
დაეცემიან მინას ჩრდილები
აღზევდებიან სულთა კერპები.
გაიცრიცება თანდათან ცა და
ფერს დაკარგავენ შავი ჩრდილები,
მერე ყველაფერს სინათლე შთანთქავს
მზე რომ ამოვა განთიადების.

2021წ 22 აპრილი.

ქართული ენა

ქართული ენა ანი,ბანი,
განზე გადით ყველა დანი.
ასო ბგერა სიტყვის ძალი
დედა ენა ქართლისანი.
ძველ ქურუმთა
შემეცნებით
ასო რიცხვთა შენონილი,
მზის სხივებთან
ანონილი, შერწყმული და განზომილი.
წინაპართა ქალდეურის,
მირიანის, მარგიანის,
ამ ენაზე მოუბარი თვით იესო ქრისტიანი..
ცამეტ დაო,თუ და ძმანო
ნუ ჩამითვლით
თავის ქებას,
როცა ვამბობ მე სიმართლეს
ქართულ ენის მე დიდებას.

_____**_**

ახლა ჩემს გულში ქარიშხალია,
ძლიერ მახეთქებს გრძნობის ნაპირებს,
აღარც კი მახსოვს
თბილი დღეები,
სიცარიელე მკლავს და მატირებს.
სიცარიელე სულშია მგუდავს,
ვისი ვინამო,ვის დავეუჭერო,
ცხოვრება ჩვენი უფრო გვარწმუნებს,
გადასხვაფერდა მთელი სამყარო.
სულეთის ფერიც შემოიძარცვა,
სიტყვებს სიყვარულის აღარ აქვს ნდობა,
მისაკუთრება სხვისი გონების,
აღარ სჭირდებათ სინმინდის წვდომა.
ვებრძოლო მაცდურს,სიკეთეს ვუხმო,
იქნებ ცხოვრება წავიდეს ნაღმა
ეგების შევწვდე დიად სანადელს,
ფერად სიყვარულს გავუშვებ გაღმა.

ემიგრანტები

ლარნაჰში დამჭკნარ ყვავილს გავს ემიგრანტების ცხოვრება.
 თავისუფლების მოყვარულნი დავრჩით მონებად.
 ჩამოცვივდება თითო ფოთოლი ჯერაც ყვავილის,
 სიცოცხლის დღენი გვაკლდებიან მწარედ განვიცდი
 მოხუცის მოვლას
 გაჰყოლია წლები ედემის,
 გარდასულ დღეებს რა დააბრუნებს,
 ან ვით ეცდები.
 შვილებს ვპარავდით ოქროს წუთებს, ოქროს წამებსა,
 ეს დაშორება თუ კი ღირდა ამდენ წამებად?
 ეგების ღირდა ეს თავგანწირვა ვალი მშობელთა,
 მამულისა და მომავალის გადასარჩენად.
 ეგების ღირდა!

ქართლის დედა

მინის ყვილი მალვიძებს
 ყოველ ცისმარე დილას,
 – ღმერთო! სამშობლო მიხარე,
 – ვლოცულობ ყოველ დილას.
 – მტერმა გვმუსრა და ვერ გვმუსრა,
 ნაგვგლიჯა მინა-წყალი,
 სულ პანანინა დარჩა
 – ღმერთისგან ნაბოძარი.
 თმებსა და ხელებგაშლილი
 მუხლის ჩოქებზე იდგა,
 დაფანტულ შვილებს ეძახდა,
 ითხოვდა თავის მინას.
 – დაბრუნდით უკან შვილებო
 ქვეყანას უნდა შველა,
 ყოველ დილას რომ მეძახის
 ვიცანი ქართლის დედა!

აპრილი


ისეთი უჩვეულო აპრილი მოვიდა,
 დროის სიცივისგან იყო გათანგული,
 ღრუბლებმა
 გაშალეს ფრთა,წვიმამ იცრემლა და
 წყალს გაატანეს ყველა სატკივარი.
 გრძნობები თითქოსდა აპრილებს უცდიან
 ემოციებს ხომ ვერ თოკავს აზრები,
 როცა სიახლეს განცდებით ელიან,
 ვნებათა ჭიდილებს ანელებს ქარები.
 კოკრებს ასკდებათ გრძნობათა ლაგამი,
 გაუთავებლად იწყება ჭიდილი,
 სიყვარულის და სიცოცხლის სანყისი,
 ასეთი არის აპრილში აპრილი.

6/4/2021წ.ლ.ჯავახი..

სამშობლო

სამშობლო მხოლოდ ერთია,
 ძნელად არს დასაფიცარი,
 სამშობლო მხოლოდ ერთია,
 წამით არ დასავინყარი.
 სამშობლოს შემდეგ შვილები,
 ქრისტეს ჯვარგადანასკვული,

გულის ფიცარზე ნანერი,
 და წმინდა ხატად აღქმული,
 საქართველოც ხომ ერთია,
 ღვთის მინას დაუფლებული,
 მითომ არს ასე პატარა,
 ნალკოტად გადაქცეული!





გერმანე საზანოელი

გულს გამოანგრევს მაისის სუნთქვა,
გონების გულთან ბრძოლის, ფრე არის,
სასიყვარულოვ, ნუ მომკლავ გულქვად,
არ გაფურჩქნული სუნთქვის ტრფიალით!

დარდის წვეთები სახურავზე ლამაზად ცეკვავს,
თბილი სახლიც კი აჰყოლია, გულის თქმის კოცონს,
თითქოს მზადაა, წვიმის ხორუმს ჩაეცვას სევდად,
თან სისველისგან შეცივებული, კოცნოს და კოცნოს !

გეულეს

შენ ჩემს საგულეს სიყვარულო ისე ჰკიდიახარ,
ვით მნათობი და ვერ გედრება ქვეყნად ვერავინ,
შენ ჩემი სუნთქვა, ჩემი ცქერა, ჩემი ხიდი ხარ,
და ჩემი სიტყვის, ჩემი ლექსის მუზის მერანიც.
მოდიახარ ჩემთან თან მაღლა მზის გულად ასხივებ,
ვიცი ამდენი ღრუბლის დევნაც როგორ ძნელია,
როცა ვერ გხედავ როგორც ადრე, გეტრფი, ღრმა ხილვებს.,
ჩემი წუთებიც ადრინდელზე მეტად გელიან!

თავზე ნელ-ნელა გვადნება ფერფლი,
წლების და წამის, წამის და წლების,
არაფერს ვდარდობ, სხვას არას გეტყვი,
ღიმილით მყავდე, არც მინდა მეტი.
თავზე ნელ-ნელა გვადნება ფერფლი,
ვერცხლის ასაკით, ასაკი ვერცხლის,
ამდენი წელი ჩვენ ტრფობის ფერს ვთლით,
ერთი წლებისაც, წლები ჩვენ ვერ გვცვლის!

ჩემში სუნთქავ, როგორც ია გაზაფხულის, თბილა, მაგრამ არც კი მხატავ, დავიჯერო?! თითქოს მთებში ბურუსად ვარ, ასახული, თუ ვბურუსობ, მზად ვარ, გული გავიჩერო. მოდი, მოდი, და ზეცამდე ავყვით, ფანტელს, ფანტელსაც ყინვის სუნი შეგვრჩენია, ვფიცავ, ვფიცავ, ბობოქარი აზრის ნამტვრევს, ყველა ბგერა, რომელსაც ვქმნი, დღეს, შენია. დღისით, მზისით, ვის ვუნოდო, გამოცხადდი, ღრუბლად ფიქრებს გონებას კი აერიათ, განთიადიც შენზედ რწმენის გამო, ცხადიც, სტრიქონივით ჩემთვის მზე და ჰაერია. მოვედი და ძილშიაც კი დარდით გჩემობ, ჩემთან ფრინავ, ტურფავ, იას გაზაფხულო, გრძნობები ხომ არასოდეს დადის, ჩეროდ, სიდიადით სიტურფეში ასახულო!

როდემდე

ყველაზე მეტად ქალებს ავარდებს; ამ სამყაროში არსებობს რაც კი, მაგრამ უფრო და უფრო უხდებათ, შესაფერისი ხმა მამაკაცის! სამწუხაროა რომ გამეზარა, ვაცურ ვაცობის გამიძნა ფასი, „ქალი მყავს მაგრამ გაღმა ქარს ჰყავსო“ სიტყვა ქართულიც არ მინდა ფარსი. ჩემო ძვირფასო, რაც შენ წახვედი თვალზე აღარც კი გამშრალა ცრემლი, ოჯახი რაა?? ცოლი და ქმარი როცა ერთობის ბრწყინვალეს გრდემლი.... არა სიშორეს და გაღმა ყოფას, დღეს გაღმა ყოფის გამეფდა ჯერი, ღმერთო ?! ქონებას რა თავში ვიხლი, .სიყვარულის თუ დამემხო ჯერი.!

ზოგს ხასიათში ეცვლება აზრი და ზოგჯერ აზრიც რომ მოვა მთვარედ, როგორ მწირია ხმაური ბაზრის, მცირე ღიმილიც რომ მოაგვარებს!

ადამიანად

ვერ აყვავდები ადამიანად, თუ გაზაფხული არ ფეთქავს შენში, თუ სულს ბურუსი ადგას, მთლიანად, თუ ცის და მიწის ერთობა შენ, გშლის. თუკი მუდმივად გინდა სიუხვე, შემოდგომისა მოირგო ზეცად, ძნელია ქარის ქროლვას მიუხვდე, ბრახს დეკემბერი ტანთ თუკი გეცვა. ვერ აყვავდები ადამიანად, თუ სიყვარული არ გალამაზებს, ვერც ამღერდები ცამდე, ხმიანად, თუ არ გათბობს და არ გაალმასებს. თუ კი არ გიყვარს ქალის სინამე, რომელიც შენზე ზრუნვით შემშრალა, მისულა შენთვის დაცლის მიჯნაზე და შენზე ფიქრმა თითქოს შეშალა. ვერ აყვავდები ადამიანად, თუ მეგობრობის არა ხარ ასლი, თუკი ის შენთან ჩაიჭრა, მაგრამ, შენ პატიების მცირე გაქვს თასი. თუ სულს ბურუსი ადგას, მთიანად, თუ ცის და მიწის ერთობა შეგშლის. ვერ აყვავდები ადამიანად, თუ გაზაფხული არ ფეთქავს შენში!

აპრილის თვეშიც რთულია პოვნა, უსიყვარულოდ ვერც ვსუბთქავ, ვერც ვფრენ, მე მუდამ შენი ვიქნები მონა, ნუ გამაციებ უცხენო მეფეს!

თქვენ გენაცვალეთ შვილებო ემძლავროს დიად ფერს ხნულში წარმატებულად გეცეკვოთ საგანთიადოს ფერხულში!





ია კურტანიძე

"ნ ი ა ვ ი".

შარა გზაზე..მივსეირნობ
ხალისს მმატებს..ნიავი
ჩემს თმებს სახეს ეფერება,
ეს..სიო და..ნიავი.

გვერდით ჩემი ძალი მომსდევს
წკმუტუნით და ქოშინით,
ვიღაც გზაზე ჩამომტდარა
დაღლილია..ლოდინით.

მარჯვნივ ჰურის ყანა მოსჩანს,
მარცხნივ თივის ბულულები
დედას გზაზე ბავშვი მოჰყავს..
შვენის შავი კულულები.

უჩვეულო სიციხე არის
მზე მის სხივებს არ იშურებს..
მწყემსებს ძლიერ დასცხომიათ
ხის ქვეშ სძინავთ გათიშულებს.

სულსაც ალბათ ვერ მოვითქვამ,
სიო რომ არ იძვროდეს..
მის გარეშე ყველაფერი
ალბათ უნდა იწვოდეს.

ჩვენ მხარეში კი ხშირად გვაქვს,
დღე ასეთი..მზიანი
სუნთქვასაც კი ვერ შევძლებდი..
რომ,არ ქროდეს..ნიავი.

" ღამის სიჩუმეს ვაღმერთებ".

მოსაღამოვდა..შევძელი..
ფიქრებთან მარტო დარჩენა,
ღამის სიჩუმეს ვაღმერთებ
ეს უკვე წესად დამჩემდა.

ზუსტად ახლა და ზუსტად ამ წუთში,
ზღვა ოცნებებში გადავიკარგე
მთლად მოვიარე მთელი სამყარო,
მადლობა ღმერთს რომ არ დავიკარგე.

ასე უსაზღვრო..მონატრებაში
გული,ყველასთან ახლოს მივიდა
ჩემთვის ფიქრებში ვიმოგზაურე..
სანამ ღრმა ძილი არ მომივიდა.

მგონი შევძელი თავს მოვერიე
ქარს გავატანე ძველი დარდები
და არაფერი არ შემანუხებს,
ხვალ დილით როცა,ზეზე ავდგები.

" ვ ა რ დ ე ბ ი".

ფორმა აქვს..ულამაზესი
სუნით..გვათრობს და გვაბრუნებს
გამვლელ-გამომვლელს იზიდავს,
ეკლებით კი ბევრს ..ატყუებს.

სხვადასხვა ფერის არსებობს,
სხვადასხვა ზომის..იზრდება
მას გულგრილად ვერ გაუვლი
მისი დაყნოსვა გინდება.

ამ სილამაზის..შემყურეს
გულში მენყება..ქავილი
განა არსებობს ამქვეყნად
ვარდზე..ლამაზი..ყვავილი.

ვისაც..ვარდები..აჩუქეს
სათქმელი ულალ..გაიგო
ლამაზი გოგოს გულიც ხომ
მხოლოდ...ვარდებმა..დაიპყრო.

"უუუნა..წვიმა".

ცას ლურჯი ნისლი გადაეფარა
მთის წვერს შეეხო ღრუბლების წვეტი
სუყველაფერი ნისლში გაეხვა..
უმაღ დამეცა მე წვიმის წვეთი.

უცებ განათდა და გაიელვა
ჩიტებმა იწყეს ბორგვა წუხილი..
მთის ფერდობებზე ნისლი ჩამონვა
ატყდა უეცრად ჭექა-ქუხილი.

ჯერ წყნარად ნაზად წვრილ-წვრილად წვიმდა
უცებ გამსხვილდა პირი მოიწყო
ჭუჭყი და მტვერი გზას ჩამორეცხა
პური,ვენახი,ყანა,მოირწყო.

"ვარსკვლავთა გუნდი თავზე გვადგია".

ვარსკვლავებს ხშირად,ვეუმერ და ვუცქერ
სულს და გულს მითბობს მათი ნათება
უსასრულობის შეგრძნება მიპყრობს,
და უცნაური რამ მემართება.

ამ ჩვეულებას ვერ შეველევი
მქვს უცნაური რაღაც ცდუნება
ღამის წყვილია მიტევს და მიპყრობს
და მთელ სახეზე მელაქუცება.

თითქოს ზეცისკენ მაღლა მივიწვ
თითქოს დავფრინავ უკვე ზეცაში,
თანდათან უფრო მაღლა მივდივარ
ვარსკვლავებს მივწვდი უკვე რწმენაში.

ეს ყველაფერი თქვენც ხომ გინახავთ
ან უცხო თქვენთვის ნეტა მე რა ვთქვი
ამ მოკაშკაშე ვარსკვლავთა ფონზე
როგორ ლამაზად ზის ცაში დათვი.

ვხედავ მკაფიოდ და მკვეთრად მოსჩანს
მე მისი ცქერით..გადავირევი
ასე მგვანად და ასე ლამაზად
ან ვინ დახატა ცაში ირემი.

უცხო ნათება და სიკაშკაშე
მათი ჩვენდამი ლტოლვა უფროა,
დედამინას და პლანეტებს შორის
ყველაზე დიდი საიდუმლოა.

უფრო მეტი რამ მინდა გავიგო
მისკენ მიზიდავს ეს ფიგურები
უსასრულობის შეგრძნება მიპყრობს
მაღლა და ცაში სულ..ვიყურები.

ღამის სიბნელეს გვიადვილებენ
ვარსკვლავთა გუნდი თავზე გვადგია..
ჩვენთვის ყველასთვის კობტად ლამაზად
ვიღაცას..ზეცა..მოუქარგია.

წვიმის წვეთები შეიშრო მინამ
ცამ დედამინას ნამი აპყურა
ყვავილს და ბალახს უცებ შეეტყო
და გაუხარდა წვიმა შხაპუნა.

დილით მზემ ისევ გამოანათა
ცაზე ღრუბლები აღარ იძვროდა,
ხის ტოტებს ნაზი სიო არხევდა
ჩიტების ხმა და სტვენა ისმოდა.

ქარმა განდევნა შავი ღრუბლები,
ეს მშვიდი წვიმა მინამ იკმარა..
ფოთოლმა ყლორტმა ნამი შეიშრო
და ცაზე ისევ..გამოიღარა.

"გულო ისმინა მისმინა".

გულო ნუ ბორგავ ნუ წვალთბ..
მე შენ ეს ბევრჯერ..გითხარი
ვცდილობ..ვერ გაგაგებინე,
რატომ არ მისმენ მითხარი.

ყველაფერს თვალყურს ადევნებ
ბობოქრობ ღელავ განიცდი,
ჭკუა მაინც ვერ ისწავლე
მე მეტს კი ვეღარ დაგიცდი.

გულო..მე შენით ვარსებობ,
გულო..შენა ხარ მთავარი
უშენოდ მე რა ვიქნები
უგულო..კაცი რა არი.

ყველას რომ ვერ განვვდებოდი,
ეს უკვე ვეღარ გათვალე
ამდენი ფეთქვა..გუგუნით
ნუთუ არ გადაიღალე.

ნუ წვალთ ნუ იტანჯები,
განა თან ვინმე გაგყვება
უეცრად..დაგივიწყებენ..
აქ ყველაფერი..თავდება.

არ დაიჯერო..იცოდე
თუ ვინმე რამეს გპირდება,
რადგან ვერავინ გიშველის
როცა,შენ..გაგიჭირდება.





მამუკა ოჩიაური

დაგვიანებულ გაზაფხულს

დაგავიანდა,
გაზაფხულო დაგავიანდა
აქაღმე მოგვდევს ცივი ზამთრის სუსხი ცბიერი,
ისევ ქათქათა ფერებშია აქ მათათა კალთა,
მოგვნატრებია ამ ბუნების მწვანე იერი.

დაგავიანდა,
გაზაფხულო მთებში შემოსვლა,
ღრუბლით და ქარით იმოსება მათათა თხემები,
მომნატრებია ველ-მინდვრების ჭრელად შემოსვა
მაგრამ, შორსაა შენი მწვანე, თბილი ხელები.

დაგავიანდა,
გაზაფხულო მთებს მოსავს თეთრი,
გახვეულია ფრიალონი ყინულთა თორში,
აღარც ბარისკენ სავალია, ბილიკი მკვეთრი
ვით მთის კალთები, დაფარულა ბილიკიც თოვლში.
დაგავიანდა,
გაზაფხულო დაგავიანდა.

შენ კაბა გეცვა ნისლივით თხელი
ტევრებად გენყო მხრებზე ნაწნავი
მოგიახლოვდი მოგხვიე ხელი
გაყუჩდი, მხარზე დამადე თავი

ჩემად ვიარეთ მცირე მანძილი
თუმცა სათქმელი იყო რამდენი
ხეზე ყვაოდა თეთრად აპრილი
მინას ეფინა ყვავილთ ფანტელი

* * *

იყო დრო, ის წლები ბავშვობას მაღავდა,
ღნებოდა დღეები წუთებად, წამებად
გეტყოდი, – ხევსურეთ წამოდი ქალავ და
უარით მოგწონდა შენ ჩემი წამება.

მერე კი გავიდა დღეები ქარულად,
ორივეს გვიკვირდა ამ წელთა სიბერე,
შენ დანარნარებდი უდარდელ ქალურად,
არადა მაგ თმებზე გათოვდა სიბერე.

* * *

.....მე თხრობით არა,
ლექსებით მოგწერ
გეტყვი რომ ჩემთან ეს თოვლი ღნება,
ჭერ ხომ უცხო ხარ,
(ამ გულს ვერ მოგცემ),
მართლა გულცივი და უკარება!!!

* * *

უწინდელ დროში,
ბერმა ვაცმა ტყე გაჭრა ახოვ,
შორით მოსულმა,
აქ დაიდო ფუძე და ბინა
გავიდა წლები,
ძველი ახო ამ ბარისახოვ,
ჩვენ მოგვევლინა!

* * *

ვერაფრით ვერ ვთქვი გულში ნადები,
ვერაფრით ვერ თქვი სიმორცხვე გწვავდა
ირგვლივ კი თეთრად ენთო ბაღები
სითეთრე ბაღებს ზღაპრულად რთავდა

შენ კაბა გეცვა ნისლივით თხელი,
ორს უთქმელობის ჯანდი გვეფარა
წარსულს ჩაბარდა ის ყველაფერი,
წავიდა, გასულ წლებს მიებარა !

ქართული ქალი

დარწეულა ქარში ხე და
კვლავ იღება ამ დღის კარი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი.

ნიავეარმაც არ იკადრა,
აუჩეჩოს თმა და კაბა
და სიამით დაბანგული,
ორღობეში გაინაბა.

ქალი, ქალი მზისა დარი
"გავაზივით მოქნეული",
საროსა და ლერწმის ტანი,
თავზე თავშალმოხვეული.

ძუ ვეფხვივით მოსხლეტილა
მტრისას, სიტყვაც გაუბედო
მასზე ფიქრით სულ არ სძინავს,
მომავალში მის საბედოს.

მოდის, მოაქვს სურნელება
დანამული ტურფა ვარდის,
გული მასზე ფიქრით დნება,
ზვავად მოდის, კი არ დადის.

დაარწია ქარმა ხე და
უნანავებს ღამე ნათევს,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მზისებრ მონათებს.

ძუ ვეფხვივით მოსხლეტილი,
არვის ამჩნევს, არვის ხედავს
სიტყვის თქმა და გულსწადილი,
დღემდე ვერვის გაუბედავს.

ხის ტოტებში როგორც სურო
ჩამონწულა თმები ქარის,
ღმერთმა არ თქვას გაახუნოს,
სილამაზე ქართველ ქალის!

მომევილინა ამ დღის მზედა...
გულს სწავს ფიქრის ნაღვერდალი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი!

ოთია

აღარ ჰყავს მამა, დაობლდა ბალღი,
დილიდან ჩეხავს შეშას ოთია
იანვრის თვეა გამქრალა ჯანღი,
ირგვლივ კი ზამთრის ქარაშოტია.

ვეღარ აკავებს ნაქსოვი ყინვას,
კუნძიც ჯიუტობს წლობით ნაზარდი,
სუნთქვას ამოაქვს მკვერდიდან გმინვა,
როგორც ჭირი და როგორც სახადი.

ნელ-ნელა იპყრობს სიცივე ხელებს,
აროს ყოფილა ბალღი ჯაბანი,
ირგვლივ მიძინარე ტყესა თუ ველებს
ადევს ქათქათა თოვლის საბანი.

სახლში ღუღუნებს ღუმელი დინჯად,
ტკაცუნობს შეშა, ბოლს ერთვის ხმები
დატანჯულ დედას ღუმელთან მიმჯდარს,
თმას უვარცხნიან ოტიას ღები.

უსასრულობას გაჰყურებს დედა,
ჭალარა ჯაბნის მის გიშრის თმათა,
სამწუხაროა რომ დაებედა
სავალი მძიმე, ეკლიან გზათა.

ბედნიერება წლებს მიეფარა,
კუპრივით გახდა მისთვის ცა ლურჯი
ერთი წელია რაც მიაბარა
მიწას, მეუღლე – ოჯახის ბურჯი.

ერთი წელია ტანთ შავი მოსავს,
მის გულში დარდის ქარაშოტია,
გულის კანკალით უვლის და ლოცავს
ობლად დარჩენილ, გამრჯე ოტიას.

გარეთ კი ცივა ყოჩადობს ბალღი,
დილიდან ჩეხავს შეშას ოთია
იანვრის თვეა გამქრალა ჯანღი,
ირგვლივ კი ზამთრის ქარაშოტია.

მაბრიელ ჰაპა

შემოგვალამდა ქეიფში ბანზე,
გვერდით ვუზივარ გაბრიელ ჰაპას
ვიჭერ ნაღვლიან მოხუცის ნამზერს,
ღამე, ნელ-ნელა სინათლეს ხაპავს.

უცხო გვეკარნახობს ცხოვრების ალღოს,
ყველაფერს ანგრევს რაც ქართულია,
არაფერს ვდარდობთ, არაფერს ვნაღვლობთ
ვერ ვგრძნობთ გონება რომ მართულია.

მიყვება ჰაპა გარდასულ წელთა,
სიშმაგისა და სიამის ამბებს
ღამემ აიღო დროებით ხელთა,
მცირე სინათლე, სხივი რომ აბნევს.

და ნამეტანმა გულლიაობამ,
სულ გადაგვიჭრა მძლავრი ფესვები,
დღეს ,მომავალმა რა ქნას თაობამ
არ დარჩა წმინდა ადათ-წესები.

დიდ წინაპართა საგმირო საქმეს,
ვერ ფარავს წელთა მრუმე ნისლეები
ჰაპა მწუხარედ თავს ნელა აქნევს,
მტრის სრულდებაო ავი მიზნები.

ქართველის ხელით ,ქართველის ენით
ინგრევა ფუძე დაუნგრეველი,
მტერს ვახალისებთ დუმლით თმენით,
სადაა გმირი მტერთა მძლეველი.

მცირე ქართველთა სულს იპყრობს ეშმა,
ვაიმე ქმარო, ვაიმე ცოლო,
გაგვართო ერცხვის ღალატის ეშმა,
კარს მოგვდგომია სამზეოს ბოლო.

ჰაპა მწუხარედ თავს ნელა აქნევს,
ფიქრები იპყრობს მოხუცს ქციოტი
ვინ გააკეთებს მამულის საქმეს,
სადაა გმირი და პატრიოტი ?!

სად დაიკარგა ერთობის გრძნობა,
რად დავიქსაქსეთ რა სენი გვიტევს,
გაუფერულდა კაცობა, ძმობა
უცხოს უღელი კისერზე გვიჭერს.

გავერთიანდეთ, ისწავლე შვილო
ნიშნები მოდის ბოლო ჟამური,
რაც შემოძლია მოხუცი ვცდილობ,
შენ შეგაყვარო ჩვენი მამული.

ვაიმე ერო დაუჯახნელო,
ურიცხვ ბრძოლაში გაცვდა მახვილი,
დაუჩოქებო კაცო, – ქართველო
რატომ დადიხარ დღეს თავდახრილი.

შემოგვალამდა ქეიფში ბანზე,
ნაღვეი მთვარე ცაზე თვალს ნაბავს,
მთვარეს გაჰყურებს დამჯდარი სკამზე,
გულდარდიანად, მოხუცი ჰაპა.

გულსივოზ

ფიქრებით როგორ გვეკვრები
შემრჩა იმედი ხვალისო,
გულცივობ, მსუსხავ ეკლებით,
იქნება ამით ხალისობ.

დღემდე გული დარდს ითმენდა,
დაჰქონდა მწუხრის ხურჭინი
გამოიყენა რითმებთან,
კალამი, – მხატვრის ფუნჯივით.

იქნება გულის ღადარი,
მინავლულია საჩემოდ
დროს გავცქერ, წლებზე გადავლილს
ჩემამდე გზა რომ ვაჩვენო.

და ჩამოფერფლილ საგონარს,
მეორედ მოსვლით აცოცხლებს
დღენი ლოდებად დაგორავს
და მოგონებებს აფოთლებს.

ვედარ გავლენე ის კალო,
რისაც მინევდა გალენვა
გულო იქნება ისწავლო,
ხალისით დარდის დალენვა.

ფიქრებით ისევ გვეკვრები
ცოცხლობს იმედი ხვალისო,
გულცივობ, მსუსხავ ეკლებით
გულქვა ხარ, ამით ხალისობ.

* * *

დღესაც მომწერე, მთები დავთმო ნისლიანები,
შენ დაიღალე, რომ ჩვენ შორის გზებია შორი,
მაგრამ ძვირფასო, მთებს ვერ თმობენ ჩემისთანები,
ბარში ცხოვრება ჩემთვის აროს არის იოლი.

ვერ ვეგუები მოზუზუნე ქუჩებს მტვრიანებს,
რომლებსაც თავზე დასწოლია სასტიკი ბუდი,
მიზიდავს მთები, სადაც სულის სითბო ტრიალებს
და გესმის უღლელ მდინარეთა ჩუმი ლულული.

ჩამოდი ბარად მერამდენედ მწერ ამ სტრიქონებს,
გავხდით ავად უშენობამ გამანამაო,
მერე მოჰყვები და იმ წასულ დღეებს იგონებ
და მეკითხები უჩემობამ არ დაგღალაო?!

დამღალა მართლა, უსაშველოდ დამძიმდა სული,
მაგრამ ერთია გულსაკლავი, მოუნელები
ვერ შეგაყვარე თეთრი მთები, სინძინდის სუნი
ჰირიმზიანი, დეკიანი მწვანე ველები.

ვერ შეგაყვარე ქარაფებზე ყინულთა თორი
მზე ნამალევი, შენისლული მთათა თხემები,
ვერ დაგანახე გაზაფხულზე მოსული თოვლი,
თოვლის დნობის დროს მდინარენი განახელები.

დღესაც მომწერე მთები დავთმო ნისლიანები,
ზეცის კიდესთან გაფერმკრთალდა სინათლის ზოლი,
მაგრამ ძვირფასო მთებს ვერ თმობენ ჩემისთანები,
ბარად ცხოვრება ჩემთვის აროს იყო იოლი!





ლია შენგელიძე

ეს არის ჩემი სულის ცხოვნება!..

ვინც ეზიარა მშობლიურ მიწას,
ბედნიერების ჰოვა სავანე.
ქართული ჭიშის სურვილით მიცან:
აქ გამითხარე ბოლოს სამარე!
ჩემი სიმდიდრე, ჩემი ქონება,
ეს მიწა არის, თუნდ – ერთი პეშვი.
ეს არის ჩემი სულის ცხოვნება,
ჩემი საუნჯე და ჩემი ფესვი.
გავახსენდები როდესაც სიკვდილს,
მომწვდება თავის უნდო ხელებით,
მინდა, შევიგრძნო სურნელი მიწის,
ქართული მადლით და გახელებით!

რა დამავინწყებს ს.....

ვერ შეგეშველე ჭვარის ზიდვაში,
ვერ შევიგრძენი მისი სიმძიმე.
იესო, წუხელ გნახე სიზმარში,
შემზარა ჩემი სულის სიმწირემ!
ცოდვილთა შორის ვიყავ ცოდვილი,
ფარისეველთა მზაფრავდა გუნდი.
გარს, როგორც ღამე შუქდამხობილი,
ისე დაედო სამყაროს ხუნდი.
ძალაგამოცლილს მწვავედა სახმილი,
ეს გული იყო ამის სამხილი,
მაგრამ გონება მექცა მონებად,
სადუკვეველთა მოსაფონებლად.

ძალი არ მეყო, საბელით შევრულს,
პირმოთნეობით დაცემულს, შემკულს,
რომ შენთან ერთად მეზიდა ჭვარი
და ცოდვებისთვის დამეხშო ვარი.
მომსწრეს და მხილველს, საზარელ სცენის,
უმოქმედობის შემყროდა სენი,
ჭვარცმის შემყურე, უნდო, ეული,
ვიყავ სანუთროს სენით ძლეული.
ჩემ წინ განამეს, ხრიდი წამწამებს,
გადაგეფარა თვალეებზე ნისლი.
რა დამავინწყებს სირცხვილის წამებს,
ჩემთა ცოდვათგან გდიოდა სისხლი...

წარსული ფარმკრთალდება

ძველებურად აღარ მესალმები,
დაჭკნა უკვე ჩემი კესანები,
შხაპუნა წვიმების დარია
ღვარცოფმა არია – დარია.
ძველებურად აღარ მეგულები,
სხედან მონყენილი ბელურები,
ბაღში ყვავილები არ არიან,
სულში სევდიანი ზამთარია.
მთის წვერს გადმომდგარი მზე აისი
სხივებს კანტიკუნტად გადმოისვრის,
თვალწინ დამიდგება დრო წარსული,
ციოთ სითბო – სინათლედ გადმოსული.
რამდენი გეძებე ლელიანებს,
რამდენი შამბნარი გამივლია,
ავყევი ბილიკებს ეკლიანებს,
გული უიმედოდ დამიღლია.
ძველებურად აღარ მენატრები,
სიზმარშიც იშვიათად მეღანდები.
დროს მიაქვს ნატვრა და სნება,
წარსული ფერმკრთალდება.

შინდისულ გმირებს

ქედს ვიხრი თქვენ წინ, გმირებო,
ნაღდო მამულიშვილებო,
სამშობლოს შეწირულებო,
უდროოდ გარდაცვლილებო.
ვერ დაგაჩოქათ დუშმანმა,
სალი ვლდის პირმშო ლოდები,
ვერ შეგაშინათ მუქარამ,
გიგონებთ სიმწრით , გოდებით.
დაიდვრებიან ღრუბლები,
გაიმართება მარულა,
თქვენ აღარ დაგვიბრუნდებით,
არც ცხადად, არცა მალულად.
სასმისს დაცლიან ხსოვნისას,
სუფრას აკურთხებს თამადა.
– მაგარი ბიჭები გვყავდა! –
დაიგუგუნებს თამამად.
თქვენი სულების სადარი
გაილექსება სათქმელი.
არ გეპოვებათ ბადალი,
გედგათ იმქვეყნად ნათელი!

მივეზიდახით ჯვარს გოლგოთისკენ!

ბედნიერებად ისიც მეყოფა,
რომ უბედურის არ მაქვს სახელი,
რას არ მაგემებს ჩვენი ეპოქა,
სატანურ ძალთა თანამზრახველი.

შემომჯარვია ფარისეველთა,
სადუკეველთა მთელი არმია.
წამხდარა სული აქ ნინეველთა,
სოდომ – გომორის სალოცავია...

ღირსება, როგორც ლალი ფრინველი,
გალიაშია გამომწყვდეული.
ათას ვარამის მე ვარ მხილველი,
მზარავს ცის თალი ჩამორღვეული .

მივეზიდებით ჯვარს გოლგოთისკენ,
ღვთისმშობლის წილკერძ დაძრწის სატანა,
უფლის მცნებებით მადლშემოსილებს,
ვხედავ, მოგვიწვეს მეტის ატანა...

წაბილწულია ყველა მდინარე,
ტევრებს წაუხდა სიცოცხლის ნიში.
თვალცრემლიანთ და უხმოდ მტირალეებს,
ვხვდები ქუჩაში ვაით და ვიშით.

ისიც მეყოფა ბედნიერებად,
ღვთის სიტყვა საქმედ ბინადრობს ჩემში,
რომ თვით მაცხოვარს ასე ენება,
გამოვერჩიე, უმტვერო, მტვერში!..

მაინც ცდილობს, ჰქონდეს ქალის ხიზლი

რ რ ე ვ ა

შემოაცვდა დროს სამოსი ჭრელი,
მოგონება ხედავს შავ-თეთრ კადრებს.
ერთ დროს ქალი, სიხარულით მშვენი,
ვუყურებ და გულში სევდას ბადებს.

ჩემი არსებობა თუ განამებს
და ჩემი სიცოცხლე გკლავს,
გირჩევ, დღეებს ნულარ გაიმწარებ,
დროულად მიხედე თავს.

მზის სხივივით მოციმციმე თვალებს,
გედის ყელს და ტანის ნაზად რხევას,
აღარავინ აღარ უთვალთვალეებს,
აღარავინ არ აყოლებს მზერას.


სახეზე ღიმილი შემამჩნიე,
ანაზღად შეგიპყრო შოთვამ,
მე შენ ტყუილად არ შეგარჩიე
ჩემგან აღსავლენ ლოცვად.

მისი ტკბილი ხმოვანება თითქოს
გაჰყოლია ბუღბუღების სტვენას,
არას ამბობს, არც არაფერს ითხოვს,
ასე ხვდება ქალი ბედისწერას.

ორივეს გვეყოფა სამყარო,
ვერავინ წაგვართმევს ნათელს,
არ მინდა, დრომ შენგან გამყაროს,
გონთ მოსვლის აგინთებ სანთელს.

შემოაცვდა დროს სამოსი ჭრელი,
დაკარგვია ქალს იერი ძველი.
მაინც ცდილობს, ჰქონდეს ქალის ხიზლი
მანამ, სანამ ქვეყანაზე ივლის!

და, შენ, უფლისაგან კურთხეულს...,
ეშმა თუ დაგიგებს მახეს,
თუ ვერ მოერიო სულს სწეულს,
მოდი და მკურნალად მნახე!





ღვთისო ღვთიური

მე ვერაფერი დამაჩოქებდა...

მე ვერაფერი დამაჩოქებდა,
არა! არ მყავდა ქვეყნად მომრევი,
აუხდენელმა მომკლა ოცნებამ
და გახდა იგი ყოფის მორევი.

მე ვერაფერი გადამტეხევდა,
გრძნობის მუხა და ვნების თარი ვარ,
სულის კვართი, რომ არ გავგხადა,
იქნებ შენს ფიქრებს, ვერ მივმხდარიყავ...

მე ვერაფერი შემადულებდა
სიყვარულს, მაგრამ ის შევიძულე,
რადგან ჩემს სულში ხელებს ურევდა,-
მისი მოყვასი, ჩემი მოძულე...

არ ვიყავ, გავხდი დაუნდობელი,
მე, უსასჯელო პატიმარი ვარ,
მთვარის განედზე მზეს არ მოველი,
იმედებისგან უკვე მკვდარი ვარ...

თავად ვაქციე რებუსად არსი,
ვარდებს ჩავაცვი ცრემლის ძაძები,
კვირტი ჩახმა და ყვავილებს არ შლის,
მე? – მეორედ არ დავიბადები...

საზიზღარია არყოფნის ყოფნა
და ყოფის არსი საზიზღარია,
სისხლი, ცრემლები, კვნესა და ოხვრა,
კაცობრიობის ავი დარია...

ზოგჯერ გიჟური ხარხარი მინდა,
შევაზანზარო, რომ უმეცრება,
აღარაფერი შემოგვრჩა წმინდა,
თავი მოიკლეს ჩემმა ლექსებმა...

ერთს, ყელზე ყულფი გამოუბამს და
მეორეს, ლულა მიუბჭენია,
ვინდლო მესამე, – მკვდრეთით თუ აღსდგა,-
ამისი რწმენა უკვე ძნელია...

არ ვიცი ფიქრი რისკენ მივმართო,
(რა გიხარიათ მშვენიერებო?!)
იქნებ ჩაგრულთ წინ თავი იმართლოთ, -
ფუფუნებაში ბედნიერებო!..

არსად არ არის სულის სავანე,
რწმენა, ოცნება, დროის ფარსია,
ვინაც იმედებს ცაში ავანებს,
დამიჭერეთ, რომ ფრთებს ვერ გაშლიან...

მე ეს ტკივილი მომაქვს ზეციდან,
რადგან მინაზე არ მიცხოვრია,
მე ავშრიალდი ცაში ვერხვიდან,-
შუალედ გზებზე მხოლოდ თოვლია...

მონად ვაქციე სული ობოლი,
პოეზიის და მონად თემიდას,
სამყაროს, თუნდაც უფლის მოგონილს,
რომ შევიცანი, მიტომ ვერ ვიტან...

...

2018.

მე და სამეზა

ვგრძნობ არ განიცდი, შევგუე
ჩემს დაავინყებებს,
თურმე არც არა თავდება და
არც რა ინყება,
თურმე ამაოდ მეგონა, რომ
ისე მიცნობდი,
დამინახავდი ზეცად გაკრულს
ფიქრის ნისლებად...

ძალიან მალე მიეჩვიე იმ ამრს,
ალარ ვარ
შენში და შენთვის, სულიერი ცის
მეგობარი,
შენ ვერ გამიგე? გაოცებით მართლაც
სახტად ვარ,
განვიცდი, ვუსმენ, დანყვეტილი
სიმის მოძახილს...

ვუსმენ გულის ხმას, როგორც კვაზი,
რეკვას ბარების
და მეგობრობის ფოთოლცვენას
ველარ ვაჩერებ,

სულ ღია იყო შენთვის ჩემი,
ქოხის კარები,
რომ ვერ შემიცან ეს მტკივა და
გულს ვერ ვაჭერებ...

თუმც არაუშავს, მე ხომ მუდამ
მცდის ბედისწერა,
დადგება ჟამი და ყველაფერს
დრო თავად განსჯის,
მეზიზღებოდა მიზეზებთან
ყალბი ჭვრისწერა,
ჩემი შარბათი შარბათია,
თაფლი კი, თაფლი...

და არ გავურევ მათში გველის
შხამს და სულის გესლს,
რაკი არ ჩქარობს დრო, მეც არსად
მიმეჩქარება,
შენგან მოკლული გული ახლა,
მხოლოდ ლექსში ძვერს,
ახლა მარტო ვართ სამყაროში,
მე და სამეზა...

...

2017.

ღმერთთა შენი გადასარჩენი...

ო, რა უბრალოდ
დაავინყდები,
ნაფიც საძმოს და
ნაქებ მეგობრებს,
ჩუმად ხარ, მაგრამ
უღვთოდ მიწდები,
როცა უთმობდი
დემონთ სამოთხეს...
როცა უსმენდი
ფაუსტს და უხმოდ,
ბჭობდნენ ზურგსუკან,
ა ს ი მ ე თ ა ნ ი ,
წარსულს თვალეებში
უშვებ,
არ უხმობ,
უკვე გაღიმებს,
ფარსი მ ე დ ა ლ ი :
ყალბ მეგობართა,
რომლებმაც სულზე,
ფეხი დაგადგა,
გადაგიარა,
დუმხარ და უძლებ,
დუმხარ და უძლებ,
დანაპრალებულს,
მკერდში, იარას...

გრძნობ დღე გადიქვა
უკუნეთ ღამედ,
თუმც ვერ ხვდებიან
ამას ისინი,
არ მიაჩნიათ
მათ უკვე რამედ,-
და ამ შეგრძნებით,
კვდები სიცილით...
მიზეზს ეძებ და
მიზეზი არ ჩანს,
იცინა არ ხარ
ჩამშვებ -გამცემი,
როს მოგონებებს
კინძავ და მარხავ,
მხოლოდ რიდი გაქვს,
წმინდა გამჩენის...
წყდება მაჯაზე
გიშრის მარჯანი,
იჰნევა თვალნი
პატიოსანი,
ზღვაზე გაივლის
სულით მართალი –
გრძნობის მგოსანი...
ყველაფერს წაშლის
ალბათ დროება,

ვერ მოკლავს ლექსში
ჩადებულ გრძნობებს,
ხელოვნებაა, რაც
მეორდება,
ამ უკვდავებას,
თვით ღმერთიც ჰმონებს...
არაფერია ძმობის სადარი
და სიყვარულის
მსგავსება ქვეყნად,
ეს ტანაყრილი
არის ჭადარი,
ესაა წმინდა სამების
ფეთქვა...
თუნდ დაგივინყოს
მთელმა სამყარომ,
არ დაგივინყებს,
გნამდეს, გამჩენი,
შენ, დამწვარ მუხის
ა მ ო ნ ა ყ ა რ ო ,
ღმერთთა შენი
გადასარჩენი...

...

03.12.2021.

შევენირები სულის სამეფოს...

არ ვიცი რატომ მოვედი ქვეყნად,
 მოსვლა არ მახსოვს, წასვლა მაშინებს,
 ზურგით დავათრევ ცოდვილის ერთ ქვას,
 მძიმეს, საშინელს...
 აზრი ვერ ვპოვე ვედარაფერში,
 ბედის მაძებარ, ზღაპრის გმირს ვგეგვარ,
 შუა ზღვაში ვარ, თუმც აფრებს ვერ ვშლი,
 ბრძოლის ველზე ვარ, ვერ ვფლობ სატევარს...
 იმ სამყაროში, რომელშიც ვიშვი,
 არაფერია სულმომხიბლავი,
 არავინ არ გრძნობს, სისხლისღვრით
 სირცხვილს,
 ყველა გამხდარა, ბედის მჩხიბავი...
 სულ სხვებს ვაბრალებთ, რაც თვით ჩვენშია,
 ეგოს, ვითარც ცხვარს, წინ მივუძღვებით,
 სუყველაფერი ნდომით შეგვშლია,
 თუმცა სხვებია, შვილი უძღები...
 ვუმზერ ადამთ და ყველა ერთნია:
 „მეფეც“, „მხედარიც“, „პაიკიც“, „ეტლიც“,
 თვით „დედოფალი“, თავის ღმერთია,
 ყველა მას ჰმონებს, უჩოქებს, ეტრფის...
 დროებითია ბედნიერება,
 წამიერია ჟამთა სამანი,
 ისლის ქოხია ქვეყნიერება,
 ფიფქია მინის თეთრი საბანი...
 და ერთმანეთში არეულია,
 დადებითი და უარყოფითი,
 დაჭრილს, ყოველთვის წყალი წყურია,
 ცოცხალს, აბრმავებს არსი ყოფითი...
 მე ამ ყველაფერს, ვხედავ სარკეში,
 ცირკის არენას, ვამსგავსებ ყოფას,

ჩვენ ვერ ჩავხედეთ, ერთურთს თვალეებში,
 ვერ მოვისმინეთ, ერთურთის ოხვრა...
 ვართ ქარიშხლისგან აგორებული,
 თოტებს გაცლილი, ხმელი ფოთლები,
 ჰერბარიუმთა დამაქვს კრებული,
 იმედით, ტოტზე შევიფოთლებით...
 ქვეცნობიერი დაცარიელდა,
 დაცლილ ჭურს ვგეგვარ, ბადაგს ვნატრულობ,
 გადავეფარე მკერდით შიშველ ბავშვს,
 სადა ხარ ბედო?! ოდეს ზღაპრულო?!...
 სისხლი წყურია ვაცობრიობას,
 ვფიქრობ, მშვიდობა გაუფასურდა,
 რწმენა უკვდება, თვით ემბრიონსაც,
 ვერ ვქმენი ღმერთო, ის, რაც არ მსურდა...
 ანუ, ვერ დავთმე ომი დემონთან,
 გადავიკიდე თავად თემიდა,
 ყველას ნატვრისხეს, მარტო მე მოვრთავ,
 თუნდაც მომკვეთოს „თემმა თემიდან“...
 ოქროს ხანისკენ ილტვის გონება,
 დავითს, თამარს და რუსთაველს ვუხმობ,
 გმირი არავის არ ემონება,
 თუნდაც, რომ დარჩეს, უხმლოდ და უყმოდ...
 შევეწირები სულის სამეფოს,
 რომანტიული გრძნობის ამალით,
 ვაცთა დაცინვა, ღმერთო! არ გეყო?!
 რატომ არა აქვს, სიკვდილს წამალი?!...
 დახამხამება გვაშინებს თვალის,
 ერთი წამია, – გვმოძღვრავენ – ჩვენი,
 აქამდე რად ვერ დავფარეთ ვალი,-
 უ ფ ა ლ ო ! შ ე ნ ი?!..
 ...

03.03.2021.

ცრემლი სდის ნინოს ჯვარს...

მოვედი...
არ ვიცი, სიცოცხლის
მიზანი,
ვუმზერ სამყაროს,-
ვერ შევიცანი...
მეზრდება ფრთები და
მოკლდება საფრენი,
ვერ ვპოვე მიწიდან-
ცად ასაფრენი...
მესმის ხმები და
ერთურთში ვერ ვარჩევ,
მივდივარ... ვჩერდები...
ვუმზერ ცის ხერხემალს,
უშორეს ოცნებებს,
ვით პეპლებს, ვსდევ და ვსდევ
და სამწუხაროდ,
ჟამის სულს, ვერ ვხედავ...
წამები ჩქარობენ წუთებად
აკინძვას,
წუთები ერთვიან უღმობელ
საათებს,
სიცოცხლევ, არ ვიცი ისეთი
რა გითხრა,
ღამეს, რომ უტურფეს, დღედ
ამონათებ...
ერთია მოსვლა და მეორე,
დახვედრა,
უფესვო ხეები, არ
იფოთლებიან,
ვერ ვაგებ სულისთვის,
გრძნობების ტახტრევანს,
ურგძნობო ვნებები ეულად
კვდებიან...

მოვედი...
ეს მე ვარ, ტაძრისკენ
მავალი,
შენ ვინ ხარ, ვინც დამხვდი?
ან რა გზით მიდიხარ?!
იესოს არ ჰყავდა
შთამომავალი,
როცა მოძღვრავდა ერს:
თქვენი ხიდი ვარ...
შუა გზაში ვარ,
არც აქეთ, არც იქით,
დაბლა მიწაა, მაღლა კი,
ზეცაა,
ხანდახან სუყველა მგონია
ნარცისი,
გაკვინარცისდა სრულიად
ქვეყანა...
ჩაკეტილია თიქრების
გისოსში,
კაცობრიობა და სარკმელს
ვერ აღებს,
შეგუებულან მონები
მეფის ძილს,
ცრემლი სდის ნინოს ჯვარს,
აჭრილ ზვრის ვენახებს...
ვდგევარ...
სად წავიდე, სივრცვა
დახშული,
მზერა ეხება შორეულ
ჰორიზონტს,
აღარათფერი შემოგვრჩა
ზღაპრული,
ყველაფერს ზვარაკად,
სასტიკი დრო ითხოვს?!..

...

03.20.2021.

მე თუ მოვკვდები...

თვით ღმერთსაც ვყავდი მივინყებულის,
არათუ ვაცსა,
შესაძლებლობა ჩემი, ფიქრის
ნაპირს ვერ გასცდა,
რაც კი შემეძლო, გავიბრძოლე,
რა მექნა უფროსს,
ვფართხალებდი და ვფელობოდი
განცდებში უფრო...

მე ჩემი სუსტი მხრები მტკივა,
ადრეც მტკიოდა,
გამო იმისა, ივერთ სისხლი,
აღარ ყოფილა,
არ დაბრძენდა და არ გაიხსნა
გონება ბრიყვთა,
ვწევ მშვილდს, ვერ ვართყამ სამწუხაროდ,
სამიზნეს ისარს...

მე, ბრძენთა შორის, ნაღდ მწერალთა შორის,
ვარ მცირე,
ყველა სტრიქონი, ჩემს სამშობლოს,
მსხვერპლად შევწირე,
მაგრამ ვერავინ წაიკითხა, იმ ლექსის არსში,
ჩამხმარი ფესვი, რომ ნორჩ ყლორტებს,
ვერასდროს გაზრდის...

ძმებო! მოგიხმობთ! უკეთესი
მითხარით რამე,
სუყველამ ერთად, მზე შევკიდოთ
საწუთროს ღამეს,

რით არ გბეზრდებათ შუღლი, ბოღმა
და სიძულვილი,
ნუთუ სულ არ გაქვთ ჭეშმარიტი
ძმობის წყურვილი?...

ჩვენ ხომ სუყველა, დემონების ვართ
სათამაშო
და ერთმანეთში ომობანას,
რატომ ვთამაშობთ?!
არ ძალგვიძს რატომ, სიყვარულის
გაცისკროვნება,
დახშულ ბგერათა, სიმღერებში
ახმოვანება?! ...

გეძებთ, მომძებნეთ, გავუსწოროთ
თვალეები თვალებს,
მხოლოდ ამურის, ნუ დავიდებთ
ცრემლ -სისხლის ვალებს,
სიკვდილ -სიცოცხლის სარეცელზე,
მძულს სინანული,
არ ეპატიოს მზიარებელს,
მკვლელის წარსული...

არ ეპატიოს სისხლისმღვრელის
შენდობა მოძღვარს,
მე თუ მოვკვდები, ვიცი, მხოლოდ,
სიმართლე მომკლავს,
ღვთიური სულით, ღირსეულად,
ჯვარცმასაც ვითმენ,
ფარისეველთა დასს ვერასდროს,
ვერ დავწინდებ...

...

14.10.2016.

შენს სიყვარულში გარდავიცვლები...

მე სიყვარულში გარდავიცვლები,
 ნამოვალ ციდან თოვლის ფიფქებად,
 ჩემი სიცოცხლე, იყო და არა,
 იყო და არა იყო იქნება...
 შენზე სიმღერით, გულს მოვიოხებ,
 შევექმნი ამურზე მითს და ლეგენდას,
 დავიჩოქებ და ხატთან ვილოცებ,
 რომ დაგაბრუნოს უფალმა ჩემთან...
 თუ ასე მოხდა, ბედნიერებას,
 ქედს მოვუხრი და გადავხვევი,
 ჩვენი იქნება ქვეყნიერება,
 აგავსებ სულით ნაძერწ ლექსებით...
 და თუ ოცნება, ფიქრი, იმედი,
 მოლოდინებში ნაცრად იქცევა,
 ჩავთვლი, ეს მოხდა, მხოლოდ ღვთის ნებით,
 შევეკედლედი ღვთიურ ღირსებას...
 ცალმხვრივი გრძნობა განწირულია,
 ზოგჯერ უსამნოდ ქრება ორმხვრივიც,
 როცა გულისთქმა სრულყოფილია
 ორში, – მას ჰქვია, სულთა ქორწილი...
 შენს სიყვარულში გარდავიცვლები,
 უცხო ყვავილთა არ მსურს ძიება,
 აჩრდილად დაგდევს ჩემი ფიქრები,
 ეს, იმედია, მეჰატიება...
 პასუხს ველოდი, პასუხი არ ჩანს,
 რომ ჩემი ბედის გზები ვიცოდე,
 რწმენის ხრიოვში, იმედის ბზას ვრგავ,
 წერაქვი მაინც გამომიწოდე...
 ჩავსაფრებივარ სიღრმეთა ჩურჩულს,
 (მტრედებს „რგოლი“ ხომ არ გავუკეთო?)
 გულისკარს მიღმა, საშინელ უკუნს,
 გასურს, რომ სარკმელიც გამოუკეტო?!..
 უსიყვარულოდ ვერ ძლებს უფალიც,
 სიყვარულისთვის, მას, ჩვენ, ვჭირდებით,

მე ხომ სული ვარ თავისუფალი,
 მომიხმე, ოდეს თუ დაგჭირდები...
 ხელს გამოგინვდი, მე ხომ მიყვარდი,
 ამ გრძნობას უკვდავება დავარქვათ,
 ჰერბარიუმს აქვს ახლა ის ვარდი,
 ხელოვნებამ რომ, მისთვის წამართვა...
 ვუმზერ ხმელ ფოთლებს, ან უსახურებს,
 მოგონებასავით გაცრეცილებს,
 რაც ბედად მერგო, არ ვიმსახურებ,
 გრძნობა სულ მწვანედ ავაჯჭვილე...
 თუმც, მართალი ხარ, მე არ მეცალა,
 („სატაშფანდუროდ“, „სარიტუალოდ“),
 ყანწი თალიის, რომ დამეცალა,
 არსი მომწონდა ღვთისებერ უბრალო...
 შენ, სიამაყემ გაგანადგურა,
 ახლა ხომ ხვდები, ნებით დამკარგე,
 არ გამოვდგები ყალბთა სადგურად,
 გული ცივი აქვს მთვარეს და მკვდარ მზეს...
 მე ვერასოდეს დავწერ სხვებივით,
 ვერ შევიყვარებ, – კევრად საზიდად,
 დახლართული ვარ ფიქრში გზებივით,
 უფლის სინმინდე, ვერვინ ვერ ზიდა...
 რადგან მძიმეა, ძალზედ ღვთიური,
 უსახსრებო და უსახლკაროა,
 სიყვარულია მხოლოდ წრიული,
 ის კლდეთა შორის, წმინდა წყაროა...
 უფალი ყველას სულში ქარგას ჭრის,
 ჩემიც ექნება ალბათ აჭრილი,
 დადგება ჟამი, ჯვრიდან გადმოხსნის,
 სისხლს გადარეცხავს, თეთრი აპრილი...
 ის, რაც მოხდება და რაც ჩაიარს,
 აღარასოდეს არ დაბრუნდება,
 ტყვიას ივინყებ, განა ნატყვიარს?
 სულის იარა, მხოლოდ დუმდება...

...

04.19.2020.

თან დამაქვს უფლის, წმინდა წერილი...

დამძიმდა ყოფა, დასკდა სამყარო,
არეულია ერთურთში ყველა,
შენიც არ სჯერათ მუხის ნაყარო,
არ ესმით ადამთ, ერთურთის ენა...
გაცივდა მზეც და შეერწყა მთვარეს
და ორ ცივ სხეულს, ვერ უძლებს მიწა,
უფალი ხურავს იმედის კარებს,
უმაღურ ცოდვილთ, ისიც არ იცავს...

ცეცხლი მართოდენ, სულში ბრიალებს,
წვავს ნედლ ფოთლებსაც ცად მწვდომი ალი,
ქარი ნაპერწკლებს, ფანტავს, გრიალებს,
ჩაფიქრებულა ცრემლსავსე წყალი...
ირგვლივ ქაოსი და ბურუსია,
ნისლში ეხვევა ზეცის ნათელი,
მგლები ბნელ ღამეს, ისე უცდიან,
როგორც მომლოცველს, წმინდა სანთლები...

ყმუის ძაღლების ალღო, გუმანი,
დღეის „მინდიას,“ მათი არ ესმის,
ვართ, წუთისოფლის, წამის სტუმარნი,
ვიციტ, თუმც გვხიბლავს, ხმალი ნალესი...
ვფიქრობ... ფიქრები სულს მიწრიალებს,
ჩამოეშალა ქონგური სიბრძნეს,
ღმერთო! როგორ ვერ ავამზიანეთ,
დედამინა, ან ბნელს, როგორ ვითმენთ?!..

ვუმზერ, მაოცებს არსი ადამთა,
ყოფიერების ომში ჩაბმული,
ლუკმაპურისთვის შემოალამდათ,
ყოფით ძაღლურით...
ვნატრობ... შემომრჩა სანატრებელი,
ვნატრობ ჟამს, როცა გვქონდა ედემი,

როცა ცად გვედგა ხორბლის ბეღელი,
როს არ ტიროდნენ, ტბაში გედები...

როცა ერთმანეთს გულში იკრავდნენ,
კაცი და ვეფხვი, – ზღაპრად შთენილი,
ღმერთო! ვიღვრები ულევ ფიქრად მე,
წამით ავ ფიქრებს გადარჩენილი...
რატომ ვერ ვხედავ გვირაბის ბოლოს,
იმ შუქს, რომელსაც გაყვება რწმენა,
მასწავლე! ბოლო მოეღოს, რომ ომს,
რომ ყველას ესმას, ერთურთის ენა...

ვერ შევეგუე დაცინვას კაცთა,
გაჩენისდღიდან, გვამამიუნეს,
მრევლი აღარ ჰყავს ნდობის დიდ ტაძარს,
ვის შევავედრო სული, იღუმენ?!..
არავინ იცის თუ რას გვიმზადებს,
მომავალი, თუმც აწმყოს გავურბით,
ვერასდროს ვისმენთ იმ იდუმალ ხმებს,
რაიც ღიღინებს, გზებით საურმის...
სად გავიხედო, ვინ რით დავმოძღვრო,
ვის ვუთხრა სიტყვა დაიმედებით,
თავადაც შველას, მხოლოდ უფალს ვთხოვ,
არეულია ზეცის ხედებიც...

და დავალ ასე, თვალსუღხეფილი,
მინდა ვიყვირო: სინათლე არ ჩანს,
თან დამაქვს უფლის, წმინდა წერილი,
წერილს არჩევენ, ვერცხლსა და მარჯანს...
ამიტომაა ჩხრიალებს ვერცხლი,
სულიერებას სცვივა ფოთლები,
გაკოჭილია თავ-ფეხით ვერძი,
ობლობას ტირის, ალგეთს ბოკვრები...

...

02.21.2021.

ღია ნარილი:

(ჩემი ცხოვრების უერთგულეს მეგობარს, –
ლია პეტრიაშვილს...)

... გამოვიარეთ დრო საამური, ულამაზესი,
მერე გზა კატამ გადაგვიჭრა, ნამით შევჩერდით,
შენ მე შემიცან, მზიანშიც და სრულ ბნელ მთვარეშიც,
არ ჩავდგომია არასოდეს იჭვი თვალებში...

...გამოვიარეთ ნლები ლალი, მძიმე და უღვთო,
შენ, გამიცანი რეალურად და არ ნახვედი,
სხვებმა, ვინც მნახა, იმ წამიდან წავიდნენ უხმოდ,
სულში დატოვეს აუნყავი, სევდა – ნალველი...

...გამოვიარეთ დამცინავი ხმების ტყეები,
შენ ერთადერთი შემრჩი ფვის სივრცეში წრფელი,
არ მავინყდება შენით, ჩემი ცისკრის დღეები,
რწმუნადაკარგულს გამომინოდე, გულიც და ხელიც...

...შენ შემიცანი ერთადერთმა, სულით – ხორცამდე,
ბევრჯერ სიმართლის და სიცრუის, გავმხდარვართ მსხვერპლი,
ყველა დამშორდა, შენ შორიდან, მუდამ მლოცავ მე,
შენს წრფელ სიკეთეს, იმდენია, ვერა და ვერ ვთვლი...

...იმ სიკეთეზე არ ვსაუბრობ, რაც გულს გაივლე,
მე მეგობრობის სიკეთეზე ვსაუბრები,
შენ სულ ამრავლებ ჩემს თბილ მკერდში, ბალის ყვავილებს,
თოვლშიც საოცრად ლამაზია, ეს ყვავილები...

...ვგრძნობ, რამდენიმემ იცის კიდევ, ვინაა ღვთისო,
არ ვიცი ვისთან რა თქვეს, ეს მე სულ არ მადარდებს,
სწორედ ისინი გამეცალნენ, ვინც მართლა მიცნობს,
სიყვარული და მეგობრობა, განზე გადადეს...

... მავანთ და მავანთ, ვგრძნობ რა ხიბლავთ და მეცინება,
მათგან გულმოკლულს, უკვე გული, არ მეტკინება,
ვისაც არ უყვარს ჭეშმარიტი სიტყვის უფლობა,
მე ვერ გავყვები, ზღვისკენ მავალ, მღვრიე დინებას...

... მე მეცოდება, ვინაც ჩემში, ეძებდა სქესს და
მხოლოდ იმიტომ მმეგობრობდა, ვეგონე ვაცი,
ანდა პირიქით, ქალს ეძებდა და ისიც შეცდა,
მათგან ვერცერთმა ამოიღო, იჭვიდან ქაცვი...

...შენ არ დამტოვე, უფრო მეტად შემოეკედლე,
ჩემს პოეზიას და მინოდე სულის პოეტი,
პატარა ვახი, მუდამ იყო დიდი ერეკლე,
ფარსადანთაგან როდი წყინდა, ლალატი, კრახი...

...ველარ მოვეხმობ, იმათ, ვინაც ნებით განმიდგა,
თან შეგნებულად და ეს ვიცი, ფაიზალია,
მანვე ძირს დასცა ის კვარცხბევი, ვინაც დამიდგა,
თან მომძახხა: „შ ე ნ ზ ე ა ხ ი ა!“...

...მართლა ვერ ვიგებ, მხოლოდ პოეტს, რა ბრალი დამდეს,
სიმართლე რატომ იქცა ვერ ვხსნი, მტრობის საბაბად,
მე, ყველას სახე, ყველას სიტყვა, გონ და გონ დამდევს,
ვით შეგონება ერისადმი, სულხან – საბასგან...

...გინდათ გაიგოთ ვინ ვარ? ფიქრობთ, რომ ვიმალები?
ჩემს სახელ – გვარს რად არ ვნერ, ანდა, რად არ ვდებ ფოტოს?!,
ნუთუ ლექსებში, ამას ეძებს თქვენი თვალები?
იტყვის თუნდ ერთი, ვინმესაგან, რაიმეს, ვითხოვ?!...

... დამიმეგობრდით?! მიმეგობრეთ ისეთს, ვინცა ვარ,
არ ვარ სათქვენო?, მეგობრობას ძალად დავიჭერთ?
ადრე ვითხარით, მე, უბრალო, უფლის მიწა ვარ,
რომელიც მხოლოდ, სიმართლისთვის, მკერდში დავიჭერ...

...და სისხლმდინარე მოველ თქვენთან, თქვენ, მომეფონეთ,
გულში ჩამისვით, სულისკარი გამალებინეთ,
მერე უეცრად, ყველამ ერთად გადამემტერეთ,
გადამისხვავდით, მიმატოვეთ, მოვკვდე, ვერ ვიგებ!...

...მხოლოდ ერთისგან შემრჩა სიტბო და სიყვარული,
მხოლოდ ერთეულთ შემოვრჩი და ვფიქრობ, რომ კმარა,
ჩემგან განვლილ და ან სავალ გზებს, მტკიცედ ჩავუვლი,
მე არასოდეს არ ვყოფილვარ, თვით უფლის ფარა...

...ყველამ საკუთარ გულში ჰჰოვოს ნაგლეჯი კვართის,
იმან მესროლოს თუნდაც ლოდი, ვინც ცილს დამწამებს,
ტყვია მესროლოს, შუბლს შევუშვერ, ილია მართლის,
მზად ვარ, თუ მართალს, იუდეები, ჯვარზე გამსვამენ...

...პოეზიაში ვინაც ცრუობს, ცრუობს უფალთან,
ერთი ბნკარედიც, გულსგარეშე, არ მინერია,
მიზეზს არავის ვეკითხები, ჩემთვის, ჩუმად ვარ,
ის ხდება ჩვენზედ, რაც რომ გამჩენს დაუნერია...

...ვერავინ შეცვლის, უფლის ნება, გარდუვალია,
იბედნიერეთ, მივუყვები გზას ხელოვნების,
ნუ იმკითხავებთ, „კაცია“ თუ, ღვთისო, „ქალია“,
მივცთ უფლება ქვეცნობიერს, ლექსთან ცხოვრების...

...პოეზია ხომ ის მადლია, რაც იგივედება:
ლოცვა – ძირონთან, სიყვარულთან და თვით უფალთან,
როცა პოეტის ნაღდი გრძნობა, კვდება, ცივდება,
ის ემსგავსება ქარბორბალას, უგრძნობს, უმართავს...

... მე ვი, არ მინდა, რომ ამქვეყნად, ვიღაცას ვგავდე,
რალაცის გამო, დავიბრმავო ხედვა ნათელი,
მქონდა ოცნება, ერთობისთვის დამენნა ბადე,
სული დამენტო ტაძარს შინა, ვითარც სანთელი...

...იგივ ოცნებით მივაბიჯებ, რწმენის სხივისკენ,
მეგონა ყველას ვატარებდი, ამ გზებით მხოლოდ,
რად ჩამომგლიჯეთ სიყვარულის თქვენის, მძივი მკერდს,
ნუთუ ეს იყო იმ ზღაპრული სინშინდის ბოლო?!...

... დაგლალეთ?, ჰო, მეც დავიღალე, განცდამ დამლალა,
უმიზეზო მიზეზს ვეძებ და ვერ მიპოვია,
ფიქრის ფიფქები ისე მათოვს, როგორც ჭაღარა,
მოსაკვდინებლად კენჭიც ყოფნის, გრძნობებს, მგრძნობიარს...

...და მეც მოგიკვდით, ვით სესესგან, ხეზე, მერცხალი,
ვითარც თამარი, დავიმარხე უმისამართოდ,
შენ ვი, მადლობა ბანოვანო, რომ შემიცანი,
შენ ერთმა იცი, რომ ნაღდი ვარ და არ ვთამაშობ...

...

10.15.2020.





თეა გურგენიძე

—ამაოდ ვფიქრობ—

ზღვა ანანავებს სევდისფერ ტალღებს,
შორს, ცასთან მოჩანს თეთრი აფრები...
გადაგივინყე?... ამაოდ ვფიქრობ,
რომ არასოდეს მომენატრები.
ციცქნა წვეთებმა დამალეს თვალზე
ცრემლის კვალი და სევდის სხივები...
გადაგივინყე?... ამაოდ ვფიქრობ,
როგორც არასდროს, ისე მჭირდები!

* * *

ნუ მეტყვი, რომ ღამეს თეთრად ათევ,
ნუ მეტყვი, რომ მარტობა გკლავს,
თორემ დარდით ავცრემლდები უცებ;
აბა, მეტი კი არ უნდა ქალს?!.....

* * *

"დედა ომიდან 30 წლის შემდეგ....."
აი, უკვე მერამდენდ ითვლის...
დამტკნარ თითებს შლის და კეცავს უხმოდ,
თუ ატყუებს საკუთარი ფიქრი,
გონებაში ჩავლილ დღეებს უხმობს...
წამოუნთებს ჩამქრალ თვალებს სხივი
და ნამცეცა სიხარული კრთება...
ახლა დარჩა სულ, სულ მარტო სახლში,
წინათ?... იყო სამი ვაჟის დედა...
აი, უკვე მერამდენედ ითვლის
სიმარტოვის წუთს კი არა, თვეებს...
შეისწორებს გახუნებულ თავშალს
და წყვდიადში იმედის სხივს ეძებს...

* * *

შემომამშველე ხელები დროზე,
ამ ბენვის ხიდზე დგომა გაჭირდა...
გულო, ცოტა ხანს მიერთგულე და...
მერე?.. მომკითხე მერე რაც გინდა...

* * *

დღე უნდა დავინყო ამჯერად შენით და
ცის თაღზე ავანთო ციმციმა სანთელი.
უნდა ვთქვა, აქამდე თუ რამე ვერ ითქვა,
არ მინდა რაიმე რომ დამრჩეს სათქმელი.
დღე უნდა დავინყო ამჯერად შენით და
არ შემეშინდება ფიქრების გამხელის...
სანამ თმა შეღებეს დღეებმა ვერცხლისფრად
და სანამ ყვავიან ათასფრად ვარდები.
დღე უნდა დავინყო ამჯერად შენით და...
ვიცი, რომ ხვალ, ან ზეგ, სადმე, გზად დამხვდები!

* * *

მთვარემ ღამეს ჩამოხია გულისპირი,
დედამინას გამოუჩნდა მკერდი...
გადმოყარა მერე ბროლის ვარსკვლავები,
ცის კიდიდან დაკოჟრილი ხელით...
გაიშალა ღრუბლის თეთრი დალალები
საუკუნის მონატრულმა მთამ და
უცებ მივხვდი, მთვარე რაზე ჩურჩულებდა,
რა დარდი და რა ვარამი ჰკლავდა...
ცის კიდებზე მთვარე რიდიტ ვანკალებდა,
ვერ ამხელდა ნასათუთებ გრძნობებს....
ჩქარა მთვარევ, ირიჟრაჟებს, მზე ამოვა
და შენს სათქმელს მთელ ქვეყანას მოჰფენს...

* * *

მაისი იწვის ვარდების ალში,
ნაჰკიდებია ალიონს ცეცხლი.....
ვზივარ სარკმელთან და როგორც ბავშვი,
ბელურებს პურის ნამცეცებს ვესვრი.
მაისი მატებს ოცნებებს ძალას,
რთავს დედამინას ათასგვარ ფიქრით.
გულისდარდს სადღაც კუნჭულში ვმაღავ,
ღიმილის ალში უცეცხლოდ ვინვი...
ცას გაუპია ღრუბლების ბაგე
და დედამინის კოცნა სწადია.
მე კი მზის სხივებს ღუბლებში დავდე
და მეშინია, რომ არ დავინვა.
მაისი იწვის ვარდების ალში,
ნაჰკიდებია ალიონს ცეცხლი...
ფებს შევაბიჯებ ოცნების ზღვაში,
სანამ ცხოვრება მომსპობს და შემშლის.

მე მაინც მოვალ

მე მაინც მოვალ, მოვალ და გეტყვი,
როგორი ფერი აქვთ დილით ღრუბლებს,
იმდენ სიხარულს გაჩუქებ ერთად,
ვარსკვლავებს შენი თვალების შურდეთ.
მე მაინც მოვალ, მოვალ და ჩუმად
მოგიტან ფიქრთა საოცარ ასხმას,
რომ ვერ შეგბედოს თვალის შევლება,
ქვეყნად მავალმა ვერცერთმა ქალმა.
მე მაინც მოვალ, როგორც ღვარცოფი,
ან ნოემბრისპირს თოვლის ფიფქები,
მერე სიცოცხლით დავთვრები უღვთოდ
და... შენს ხელებში გარდავიცვლები...





შორენა ჩხიკვიშვილი

დრო

შემოდგომა რომ დადგება,
ხეს ფოთლები დასცვივდება
და ბულბული უკვე აღარ სტვენს.
როცა გარეთ აცივდება,
შენი სითბო მომინდება,
საქართველოვ, გეფერები შენ!

გამთარი რომ მობრძანდება,
არემარე იბარდნება,
ტყეში სარჩო მოაკლდებათ მგლებს.
საქართველოვ, მენატრები!
საქართველოვ, მებრალეები!
აბა, როგორ დაგივიწყო შენ?!

მზეზე ნისლის ჯარი დგება,
წვიმა მოდის ნება-ნება,
როცა გარეთ ცივი ქარი ქრის.
მტრისაგან აოხრებული,
ბედკრული და გატანჯული,
საქართველო – ებრალება ვის?!

ისევ მოვა გაზაფხული,
ათასფერად მოქარგული
და მერცხალი ლაჟვარდ ცაში ფრენს.
მდინარე რომ ადიდდება,
უფრო მეტად განრისხდება,
მოაგორებს ლოდებსა და ქვებს.

როცა ზაფხული დადგება,
არემარე ლამაზდება,
მზე აცოცხლებს ბალახსა და ხეს.
დაღლილო და ნაომარო,
რომ დაეცე, საქართველოვ,
ნეტავი, ვინ შეგაშველებს ხელს?!

26.05.2010

პანანინა ყვავილო

პატარა თავოს

პანანინა ყვავილო,
სიხარულო ახალო,
მთელი ჩემი სიცოცხლე
მინდა შენ განაცვალო.

სული გქონდეს ფაქიზი,
გული კი უანგარო,
და დედის დარიგებას
გვერდი არ აუარო!

სულ სიკეთით იარე,
არ გქონოდეს სადარდო,
დედის ნანა გიყვარდეს,
მისმა ლოცვამ გაგზარდოს.

მტერმა არ შეგაშინოს
პანანინავ, მზისთვალო,
სამშობლოს სიყვარული
არავინ მოგიშალოს!

სხვისი ბედნიერება
არ შეგშურდეს არასდროს,
ვინმეს ხელს თუ გაუწვდი,
არ უნდა დაამადლო!

ეშხი გქონდეს ქალური,
სილამაზე ვარდისა,
მე ვიქნები მშველელი
შენი სევდა-დარდისა.

პანანინავ, საყვარელო,
შუქი გიდგას თვალებში,
თან ატარე სასოებით
ჩემი წმინდა ალერსი.

სიკეთით და სიმართლით
გაინათე გზა შენი,
ვინმემ თუ გიღალატოს
სულით ნუ დაეცემი!

სიმართლის გზით იარე,
შენ სამოთხის კარამდე,
თუკი მტრობა გაგწირავს,
სიყვარული გფარავდეს!

16,10,2002

შენ საქართველოს სიყვარული გასულდგმულედა

*ჩემს საყვარელ მწერალს, სიტყვის
დიდოსტატს, კონსტანტინე გამსახურდიას*

ვფიქრობ და ვედარ გამიგია, როგორ დავწერო
ლექსი, მე შენი სიდიადის გამომხატველი,
როგორ შევამკო შენი ღვანლი დაუღალავი
და როგორ უნდა მოვიხსენო შენი სახელი.

შენ მოიარე საქართველოს ყოველი კუთხე,
იყავი მუდამ მებრძოლი და დაუცხრომელი.
შენ ვერ იტანდი უსამართლო, დიქტატურ რეჟიმს
და გაიარე გრიგალები დაუნდობელი.

შენ საქართველოს სიყვარული გასულდგმულედა,
შორს გასცქეროდი შენი ქვეყნის ქედებს და სერებს.
შენ ამდიდრებდი შენებურად სიტყვებს მაღლიანს
უკვდავ პროზაში ასახავდი უამრავ ფერებს.

იბრძოდი მუდამ შეუპოვრად, დაუღალავად,
მუშით და ბრძოლით შენ გაკვეთე შავი წყვიადი,
ემსგავსებოდნენ შენს ხასიათს შენი გმირები,
შენი აზრები ელვარებდა, ვით განთიადი.

ქედს არ უხრიდი არასოდეს უსამართლობას
და შენი პროზით მიაპობდი ბობოქარ ქარებს.
შენ უმღეროდი სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს,
ენგურის მიერ მოტაცებულ სევდიან მთვარეს.

არავინ იცის, სადაური იყო ურჯულო,
შეცდომა იყო „ფარსმან სპარსის“ ქვეყნად გაჩენა,
შურიტ და მტრობით, დაბეზღებით და ვერაგობით,
მოჰკვეთეს ოსტატ არსაკიძეს მკლავი მარჯვენა.

მუხანათური წუთისოფლის ეკლიან ბილიკს,
შენ მიჰყვებოდი გაბედულად, აუჩქარებლივ,
იმედიანად შესცქეროდი ხვალინდელ დილას,
არ გაშინებდა არასოდეს მწუხრის ზარები.

მრავალტანჯული საქართველოს თავისუფლება,
აი, ეს იყო, რაც კი ქვეყნად შენ გინატრია,
თავდაუზოგავად ებრძოდი უსამართლობას,
სინდისისათვის არასოდეს გიღალატია.

მე ნათლად ვხედავ შენს გმირებში შეუპოვარ სულს,
შენი სახელი სულ იბრწყინებს სიცოცხლის დარად,
შენს უკვდავებას სულ დაიცავს შთამომავლობა,
შენს დიდებულ ნიჭს აღიარებს სამშობლო მარად!

16.03.2011





მარი კუბლაშვილი



შენ თქვი, რომ გათავდა სიტყვების მარაგი,
და თითქოს ჩემამდე ძალიან შორია,
ხომ გახსოვს ის ჩვენი ბავშვური არაკი...
იმ დღეებს სხვაგვარი ხალისი ჰქონია.

რა მოხდა, თუ ისევ გახსენებ ძველ ამბებს,
მტკვრის პირას მერცხლების ჭიკჭიკს და თოლიებს,
უჩემოდ გაზაფხულს დაითვლი კვლავ რამდენს
და ხელჩაკიდებულ გზებს მოიგონიებ.

შენ ამბობ, სიტყვების გათავდა მარაგი,
არადა სათქმელი რამდენი გვქონია,
არ დამავინწყდება არც ჩვენი არაკი,
არც შენი ცრემლები, არც თეთრი თოლია.



ტალღებად დაგდის სხეულში ეჭვი
და მზის ჩასვლასთან ერთად დაისობ,
შენ, გეშინია მოგვრილი სევდის...
შენ, სხვა სამყაროს ჩემსას არ იცნობ...

შენდობასავით მოელი ჩემგან
სიჩუმეს, როცა გრგვინავენ მთანი,
ახლა აპრილის დღეებიც მე მგავს,
უცხოა მათთვის სხვა გულისთქმანი.

შენ არა, მაგრამ მე კარგად ვიცნობ,
სამყაროს, უცხოდ რომ ხარ სრულიად,
და ისევ ისე ფარულად ვმისნობ,
რადგან დღეს სულ სხვა გაზაფხულია.

24.03.2021



ტალღებად დაგდის სხეულში ეჭვი
და მზის ჩასვლასთან ერთად დაისობ,
შენ, გეშინია მოგვრილი სევდის...
შენ, სხვა სამყაროს ჩემსას არ იცნობ...

შენდობასავით მოელი ჩემგან
სიჩუმეს, როცა გრგვინავენ მთანი,
ახლა აპრილის დღეებიც მე მგავს,
უცხოა მათთვის სხვა გულისთქმანი.

შენ არა, მაგრამ მე კარგად ვიცნობ,
სამყაროს, უცხოდ რომ ხარ სრულიად,
და ისევ ისე ფარულად ვმისნობ,
რადგან დღეს სულ სხვა გაზაფხულია.

24.03.2021



მეც თეთრი მოვისხი მანდილი,
ვემსგავსე მაისის მზენვლას,
რა დილა გათენდა ასეთი,
ან რალა დარდები მენვია.

დრო მიდის...დრო მოდის და ისევ
ისეთი ღიმილით გიგონებ,
რომ თითქოს წლებია დაისებს
მე და შენ სულ ერთად ვიყოფდეთ.

თუმც მალე მოველი ცივ ზამთარს,
აქ, ჩემთან ვიტოვებ მზენვლას,
რა დილა გათენდა ასეთი,
ან რალა დარდები მენვია...



და მერამდენე ზამთარი მოვა...
არ გამაკვირვებს მხოლოდ ის თოვა,
სადაც ფიფქების ნაცვლად ასულის
აჩრდილი მოვა, როგორც წარსული.

არ მეყვარება დღე, თუ არ მელი,
რადგან მე უკვე არ ვიცი ვინ ვარ,
და მაგონდება ღია სარკმელი,
ნუთუ სიცოცხლე იმ წასვლად ღირდა...

დარჩება მხოლოდ სიტყვა უცვლელი
და მხოლოდ ერთი სუფთა ფურცელი,
ეს განთიადი , შეკრული ფიცით,
სადაც ვწერ იმას, რაც უკვე ვიცი.

მე ისევ შენზე ფიქრით გავთბები,
და იქნებ ვიგრძნო ჩემგან რას ითხოვ,
დღეს, როცა მოაქვთ ჩემთან ამბები,
სულ სხვა გრძნობები ხმაურობს თითქოს.



და მერამდენე ზამთარი მოვა...
არ გამაკვირვებს მხოლოდ ის თოვა,
სადაც ფიფქების ნაცვლად ასულის
აჩრდილი მოვა, როგორც წარსული.

არ მეყვარება დღე, თუ არ მელი,
რადგან მე უკვე არ ვიცი ვინ ვარ,
და მაგონდება ღია სარკმელი,
ნუთუ სიცოცხლე იმ წასვლად ღირდა...

დარჩება მხოლოდ სიტყვა უცვლელი
და მხოლოდ ერთი სუფთა ფურცელი,
ეს განთიადი , შეკრული ფიცით,
სადაც ვწერ იმას, რაც უკვე ვიცი.

მე ისევ შენზე ფიქრით გავთბები,
და იქნებ ვიგრძნო ჩემგან რას ითხოვ,
დღეს, როცა მოაქვთ ჩემთან ამბები,
სულ სხვა გრძნობები ხმაურობს თითქოს.



მწიფობის თვეში ღამეებიც მომწიფდებიან,
დაღვიანდებიან თავგასული ალბათ დღეებიც,
წლები, ოხ წლები, ეკლიანნი, როგორ დნებიან,
ეს უღელთა განსაცდელთა, რასაც შევები.

და გადაღლილი, არეული ფიქრით, ოცნებით,
საკვირველია დღესაც ისევ სიჩუმეს ვიჩვევ,
თუმც გულს მომდგარი საყვედურის ბედიც თოვს ნებით,
ავყვები, მაგრამ ამ ერთხელაც თავს გადავირჩევ.

და გზას გავდივარ, გზას, რომელიც არსაით მიდის,
რომელსაც ძველი ღამეების ნახვა აღარც სურს,
მე არც ბოლო ვარ...ვინც ყველა დარდს ალიონს ვგვრიდი,
გრაციოზული შეხვედრები ახლავს დასასრულს.

როგორ

როგორ ვაქციო მოგონებად, ის რაც არ კვდება,
როგორმე უნდა უკვდავება შენთან გავიყო,
ან დავაჭურო საკუთარ თავს რომ გაცამტვერდა,
ან დაგივინყო, ან მახსოვდე, ან მე არ ვიყო.

მე როცა წავალ

მე როცა წავალ, აღსრულდება დროის ვენდეტა,
შეხვედრა ჩუმი, მრავლისმთქმელი, მოგვიწევს მალე,
შენ მონინატრებ დაბრუნებას, იტყვი-ეჰ, ნეტა...
რად დავანგრე ბუდე, სადაც აქამდე გმალე.

ვფიქრობ და ვფიქრობ, ნუთუ ვადა გასვლია გრძნობას,
ნუთუ ლამაზად განშორების დამდგარა ჟამი,
მაინც ვერ ვსწავლობ სიმართლის და სიყალბის ცნობას,
სულზე შემოცმულ სიცივესაც ედება ნამი.

არარსებულის არსებობა მაკვირვებს მხოლოდ,
და ისიც, დღემდე რომ ვიჭერებ ჭრელ-ჭრელ არაკებს,
იცოდე მაინც, სამუდამოდ და საბოლოოდ,
რომ ამ სიტყვებსაც დიდი გრძნობა მალაპარაკებს.

მე როცა წავალ, შენთან მოვა უცხო დარები,
სხვანაირი მზე, წვიმები და გაიმაისებ,
მერე კი მაინც მთელ სამყაროს შენადარები
ძველი გრძნობები აგტკივდება ისევ და ისევ...



ვინ სთქვა, სიცოცხლე სრულდება ოდეს,
ანდა სიკვდილი – ეს არის ბოლო,
უფლება არ გაქვს რომ გეშინოდეს,
სანამდის სუნთქავ, უნდა იბრძოლო.

არც არაფერი ქრება უკვალოდ,
ყველა დასასრულს აქვს დასაწყისი,
ხომ გათენდება ღამე უმთვარო,
ხომ ძველებურად მოვა აისი.

სიცოცხლე, იცით როდის მთავრდება?
როცა სიკვდილსაც აღარ აქვს ფასი,
და მაშინ ხვდები როს ავდარდება,
შენი დარი რომ ყოფილა ფარსი.

ვინ სთქვა, სიცოცხლე სრულდება ოდეს,
ანდა სიკვდილი – ეს არის ბოლო,
უბრალოდ სხვისი სუნთქვა გესმოდეს,
შენი ძახილი რომ გაიგონონ.



შენ თქვი, რომ გათავდა სიტყვების მარაგი,
და თითქოს ჩემამდე ძალიან შორია,
ხომ გახსოვს ის ჩვენი ბავშვური არაკი...
იმ დღეებს სხვაგვარი ხალისი ჰქონია.

რა მოხდა, თუ ისევ გახსენებ ძველ ამბებს,
მტკვრის პირას მერცხლების ჭიკჭიკს და თოლიებს,
უჩემოდ გაბათხულს დაითვლი ვვლავ რამდენს
და ხელჩაკიდებულ გზებს მოიგონიებ.

შენ ამბობ, სიტყვების გათავდა მარაგი,
არადა სათქმელი რამდენი გვქონია,
არ დამავინწყდება არც ჩვენი არაკი,
არც შენი ცრემლები, არც თეთრი თოლია.

ისე რაა 

წამო წავიდეთ, ხომ ხედავ რომ შენსკენ აცივდა...
გზაბნეული წვიმებია გულს რომ გისერავს,
არც მე ვარ კარგად, გეფიცები, კარგად არავარ,
მაგრამ თუ მკითხავ, გიპასუხებ რომ ვარ „ისე რა!“

ხომ შეიძლება ერთ დღეს ლექსად ვედარ მოვქსოვო
ვერც სათხოვარი, ვერც გრძნობების მთელი არმია,
და ვერც შენ მიხვდე, უგუნებოდ შევიქმენ რატომ...
ან მონატრების ტკივილებმა რად გადამრია.

წამო, წავიდეთ, ამას იქით სხვა სამყაროა,
იქ სიყვარულის ფიალები ლექსად ივსება,
არავარ კარგად, გეფიცები, მაგრამ... მაგრამ რა?!...
თუ მაინც მკითხავ, გიპასუხებ ისევ– „ისე რაა“!



მწიფობის თვეში ღამეებიც მომწიფდებიან,
დაღვიანდებიან თავგასული ალბათ დღეებიც,
წლები, ოხ წლები, ეკლიანნი, როგორ დნებიან,
ეს უღელთა განსაცდელთა, რასაც შევები.

და გადაღლილი, არეული ფიქრით, ოცნებით,
საკვირველია დღესაც ისევ სიჩუმეს ვიჩვევ,
თუმც გულს მომდგარი საყვედურის ბედიც თოვს ნებით,
ავყვები, მაგრამ ამ ერთხელაც თავს გადავირჩევ.

და გზას გავდივარ, გზას, რომელიც არსაით მიდის,
რომელსაც ძველი ღამეების ნახვა აღარც სურს,
მე არც ბოლო ვარ...ვინც ყველა დარდს ალიონს ვგვრიდი,
გრაციოზული შეხვედრები ახლავს დასასრულს.





ლელია ვადაჭკორია

დათა ვანიშვილს

ზედ გულზე გადაგატარეს,
მავთულხლართების ჯერი,
თავი ვერ დაგახრევივინეს,
არ დათმე ფუძე-ჭერი.

მტრის სული მაინც შესძარი,
არ გაახარე დაცემით,
სამაგალითოდ იქეცი,
ქვეყნის ღირსების დამცველი.

ახლაც სამოთხის მკვიდრი ხარ,
დიადი სულის პატრონო,
ნათელი კვალი დატოვე
ჩვენს გულში დათა ბატონო.

ვინ არის მართალი?

ქარიშხლად როგორ იქეცი,
სულ უწყინარი ნიავი,

ახლა შენც გიკრთი ნიავო,
არ მომაცენო ზიანი.

ამდენ სიგიჟეს ვერ უძლებს,
ცაც გარინდების დღეშია,

აქ, სადმე შევიყუყუები,
სანამ ქვას თავში მესვრიანი.

ქვასა და სიტყვას ხომ არ ვსდევ,
ნაბიჯებს მივდევ რაც არი.

ღვთისა და ერის წინაშე
ვნახოთ ვინ არის მართალი.

ღირსება

შენს ქილივს არად
დაგიდევს,
იგი ღირსებით სავსეა,
შენ რაც გაკვირვებს,
გაოცებს,
მისთვის შაურის ფასი აქვს.
იგი სულ სხვაა,
შენ სულ სხვა,
ღმერთი მართალ კაცს
უშველის,
შენ შეიმოსე ძვირფასად
მას სულიც ყოფნის შიშველი.

* * *

რამდენი წელი გავიდა,
წუხელ გიხილე სიზმრად,
იმდენად ვერ დავიჯერე,
სიზმარშიც გამიკვირდა.

მე ფორიაქმა შემიპყრო,
შენ ხომ გეძინა მშვიდად,
გათენდა, ვარდის კოკონი
გვირგვინის ფურცლებს შლიდა.

ღროის ღინება

ღროის ღინებას
ვერც ვერავინ მოსდო
მუხრუჭი,
სიმწრით ნასესხებს
ვერ შევწირავ
სიტყვათა ხროვას.
კეთილშობილი გაიმეტე
სულის ნამცეცი,
ისე მოველი,
როგორც მარტში
იების თოვას.

მზეს რას დააკლებ

ვინ დაგანათლა ავი საქმის
კეთება მხოლოდ?
არ უწერია ასრულება
შენს ფიქრებს ბოროტს.

ტყუილად იბრძვი, ამოა
მაგ ბრძოლის ბოლო,
მზეს რას დააკლებ,
საკუთარ თავს დაიწვავ მხოლოდ.

სისოსხლე ხარობს

მოისაკლისა დილამ თავისი,
ბალახზე ბზინავს ნამი,
წამოიჩიტნენ ხეზე კვირტები,
მზემ გაახილა თვალი.

ყვავილით დამძიმებული
ასკილი აქნევს თავს,
მერცხალი ბარტყებს მთარმევს
ჭია-ლუებს და მატლს.

ყვავის კუნელი, მოცხარი,
ყველგან სიცოცხლე დულს,
მეც მიხარია რომ ვარ ცოცხალი,
ისე არა წვიმს, როგორც ქუხს.

ადამიანი არა ხარ?!

ხედავ, ჭაობშიც კი ღვივის
სიკეთის პატარა თესლი,
ცდილობს იმწვანოს, აყვავდეს,
შენ რომ გულგრილად ქვას ესვრი.

ადამიანი არა ხარ?
რას გიშლის მისი სიმწვანე,
იხაროს, სხვაც გაახაროს,
სიცოცხლეს ნუ გაუმწარებ.

სრუთა ზმანება

ძლივს დავაღწიე
თავი ცრუ სიზმარს,
ძლივს მოვიხსენი,
გულზე სიმძიმე.
შენ არც ყოფილხარ
თურმე „შიოლაგ“,
მეც რა ტყუილად
გამოგიტირე.
ღმერთო შემმატე
იმდენი ძალა,
რომ მოვერიო
ცრუთა ზმანებას,
რომ გადავიხსნა
ულელი მძიმე,
ტვირთი, რომელიც
უბროდ ვზიდე.

„მარტო კასი“

ნუ ცდილობ მარტო ჭირს მოერიო,
ნუ მიფრთხილდები, არა ვარ ბავშვი,
მე დაგიფარავ ქარაშოტისგან,
და სიმარტოვის განცდასაც წავშლი.

გავერიდებით ღრუბლის სიავს,
მოწმენდილ ცის ქვეშ დავიდებთ ბინას,
ნახე, მზე სხივებს რა უხვად აფენს,
არა და გუშინ გულდაგულ წვიმდა.

მე შენზე ბრუნვა მამბედნიერებს,
სულაც არ მიმძიმს კაცური ვალი,
ნუ დამიმალავთ ავსა და ვარგსაც,
რომ „მარტო კაცის“ არ მედოს ბრალი.

ზაა ბავიკვლია

ფიცხმა მომთმენი გამხადა,
ავმა მაქცია გულადად,
რკინა ვიყავი უწრთობი,
მტერმა გამომწრთო ფოლადად.

შენი კრულვა რას დამაკლებს,
გზა გავიკვლიე უკუნეთს,
შენ ხლართე ტყუილ-მართალი,
ღმერთი ყველაფერს უყურებს.


სინანული მკურნალია

ქარი ქრის და ქარი ხეებს
და ხეივანს არხევს,
ადრე რომ არ შემემველე,
გულზე ტვირთად გაწევს.

იმედი რომ დამეკარგა,
ჯავრი ფრთებს რომ შლიდა,
მიკვირს რომ არ მომისმინე
როგორ იყავ მშვიდად?

ახლა ნანობ, ვერ ისვენებ,
არც იფიქრო მძულდე,
სინანული მკურნალია,
ტვირთს რომ მოგხსნის გულზე.





გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)

...შემდეგ... სამაჩაბლოს ტრაგედიები:

სხვაზე დიდი ხარ

*(ვუძღვნი ბავშვობის მეგობარ
ბეგლარ კასრაძეს, რომელიც
1991 წლის მარტში ოსმა
ექსტრემისტებმა მუხანათურად
გამოასალაშეს სიცოცხლეს)*

ქართველი კაცი ვაჟკაციც თუ ხარ,
ნამატიტ უნდა გახდე საჩინო.
ვერხვად კი არა, მოხვედი მუხად,
მოდგმის სახე რომ წარმოგეჩინა.
იყო იმედი... მარტის სურნელი...
იყავ თავკაცი დიდებულ სოფლის...
მაგრამ, იმ მარტმა, რიტმის მსურველი
დრო შეგიმოკლა ამ ქვეყნად ყოფნის.
ძალისმიერზე მზად გქონდა ძალა,
გონისმიერზე— მზად იყავ გონით.
უთავომ თავზე გაგიპო ქალა,
დონეს ვერ შესწვდნენ, მდაბლები დონით.
ვაჟკაცი იყავ და ნამდვილ ვაჟკაცს,
ამ სოფლად დაგრჩა ასული ოთხი...
მტერს ვაცად დახვდი... კი, ერთი— ათ კაცს,-
კაცის სიტყვა ხომ ბარიკადს მოთხრის.
...კოცონთან ქარი გვაფრქვევს წვის ფერფლებს,
ყველანი ვრჩებით... შენ კი მიდიხარ...
შენ საქართველოს მტრებმა გიმსხვერპლეს,
გვანიშნეს, რომ შენ მათზე დიდი ხარ!..

...ასე დაინყო თავიდან..

ერთი გოგო, პატარა...
(სიმღერა)

ერთი გოგო...
ერთი გოგო, პატარა...
ერთი გოგო, აფრენილი თოლია...
სიყვარულმა ზეცა შემომატარა,
ის კი, თურმე, აგერ, გვერდით მყოლია...
ხმა—წვრიალა, სირინოზის სადარი...
თვალთა ჭრილში ორი მწველი ბროლი აქვს...
ბევრი ვძებნე,—სად იყო და სად არა,
ის კი, თურმე, აგერ, გვერდით მყოლია...
ფეხაკრეფით, უხმაუროდ მოვიდა,
შემაჭიდა გრძნობას,-ზღაპრულ გოლიათს.
მე ვიფიქრე, მოვიდოდა შორიდან,
ის კი, თურმე, აგერ, გვერდით მყოლია...
შეუმჩნევლად მოჩიტული ასაკი
თვალს ეამა...
თვალს ხომ დიდი როლი აქვს!..
მომლოდინე ბედი მეც და მასაც კი,
თურმე, ხელის განწვენაზე გვყოლია...
ბაგე მისი, თითქოს, ლოცვებს ამბობსო,
ნორჩი გული სავსე მთვარის ტოლია...
აღთქმულ სიტყვას: არ მოგაკლებ ამბორსო,
იცავს...
ის ხომ...
უკვე ჩემი ცოლია!..



სისხლით მოწინდეთ სოფელს ნამუსი

11 ოქტომბერი 19916.

*(ედღვნება 1991 წლის 11 ოქტომბერს
ს. ახალშენში ოსი ექსტრემისტების
მიერ ვერაგულად ჩახოცილ მოხუცებს:
ამ ლეესის ავტორის მშობლებს –
ეთერ და ლევან მესხებს, ასევე
ელენე და ილიკო სადღობელაშვილებს,
ვასილ ხუციშვილს)*

*(ამ დღეს ოსმა ექსტრემისტებმა სიცოცხლეს
გამოასაღმეს 5 ქართველი-მათ შორის
ამ სტრუქტურების ავტორის მშობლები, –
ეთერ და ლევან მესხები)*

თქვენს ნათელ სახეს დაეცა ჩრდილი
ჩახმახშემართულ შავი სატანის.
ეშმაკთან მკვლელთა ნაყარი წილი
ჭოჭოხეთშია მათი გამტანი.
ცოდვა აჰკიდეს სინდისს საკუთარს,
უკუნისამდე მოუნევთ თრევა.
ღვთისგან მოიმკის მოდგმის საწუხარს,
ვინც თქვენი ცოდვით ჭოჭოხეთს შევა.
კეთილს რომ თესდით და შულს კიცხავდით,
გეგონათ, მადლი გზად, ქვაზე, თუ დევს...
ეჰ, ხუთეულო, ვერ დაგიცავით,
ვერ დაგიდექით შეუვალ ზღუდედ.
ქართულ სიმართლეს ხაზი გაუსვით...
შუბლგანგმირულნი შერჩით ახალშენს.
სისხლით მოწმინდეთ სოფელს ნამუსი
და უკვდავებას გაეთამაშეთ.
სასუფეველში გადასულები
ლოცვა-კურთხევას გვითვლით ციდანაც.
ღმერთმა აცხონოს თქვენი სულები,
ფრონის ჰავამ რომ გაანწმინდანა.

შტამი

(ბ-ნ ა. გამყრელიძეს)

სილა გაგვანნა შტამმა ახალმა
და ურცხვად გვმუხტავს კენტად ყოფნისკენ.
„ჩადრი“ მოვირგეთ კაცმაც და ქალმაც
და „დისტანციით“ მივალთ სოფლისკენ.
ვიდრე ვიხილეთ მეფე შიშველი
და ვიდრე მასზე ვინმემ ცუდი თქვას,
მჯერა, „კლასტერი“ თქვენი, გვიშველის
და ასროლინებს მაგ შტამს კუდით ქვას...

(ბ-ნი ამირანის „კლასტერში“ იგულისხმებიან
დიდებული ექიმები: იმნაძე, რატიანი, ცერცვაძე,
ეზუგბაია და სხვ.(ავტორი-გ. მ.)

სივრცე მოუცავს კაეშანს,
ლხინი ჩაუსვამთ დილეგში.
ციდან სიკვდილი დაეშვა
და მალვით დაძრნის ჩრდილებში.
ცოლ-ქმარი მსჯელობს პარმადთან...
ქალმა ჰორიზონტს გახედა...
-საქართველოა!-ქმარმა თქვა,-
ფეხს არ მოვიცვლით აქედან!..
...მზესთან ღრუბელი გამოჩნდა,
მსგავს ტანდემს ძუნწად თუ ნახავთ...
კაცმა: დრო გვინცობს გამოცდას,
შვილებსო წარსულს ვუნახავთ.
...მოსვლას რად ჩქარობს დაისი,
რატომ ბობოქრობს ხიზანი?
...სადღაც გასროლის ხმა ისმის,
სადღაც ფეთქდება მიზანი...
მოიკლაკნება ლულიდან
ტყვია და ცელავს ორ წყებად...
წყვილი, გარს მზე რომ უვლიდა,
უცებ სიცოცხლეს მოსწყდება.
სუნთქვა ეკვრებათ აღმართებს...
ყფფას დააკლეს ბროლიაც...
ქალზე ხელი რომ აღმართეს,
არც და, არც დედა ჰყოლიათ...
...ღმერთთან წყდებოდა იქ, ცაზე
და ასეც ხდება აქამდე:
სულს აქ, ამ წმინდა მიწაზე,
იმპერიები ღაფავდნენ.
უფლის წვლილია ნობათში
შავით რომ თეთრზე წერია:
ხელის განვდენა-მყობადში
სულს დალევს ეგ იმპერიაც...

განაჩენის მოლოდინში
(ბ–ნ ამირან გამყრელიძეს)

დევებთან ბრძოლის ოსტატი
ზღვა ლეგენდებში ცნობილობ.
ღმერთებს რომ ცეცხლი მოსტაცე,
ქვაზე მადლად დევს, ძმობილო.
უზომო ბოღმის ამტანმა
მინა გათვალა ცრუ თვალმა.
...ვინძლო, შეიგნოს მაგ შტამმა,
მირონი რომ გცხო უფალმა...
დე, კორონამაც იცოდეს,
რომ შენ დაუსვამ განაჩენს.
...მალე შედეგით გინოდებს
ერი „ამირან–გადამრჩენს“...
ხვალ მადლის ქვაზე მნახველი
მადლს ნახავს, ზღვად რომ იმარცვლებს...
ფანასკერტელის სახელი
შენს ჩრდილში გადაინაცვლებს...

„კლასტერის“ „შეჯანჭლარებამაც“ ვერ გვიშველა... მინაც
„შემოგვეპარა“ კოვიდი და ძვირფასი მეუღლე გვერდიდან
გამომაცალა...

შეხვედრამდე...
(მეუღლის ხსოვნას)

*„ოჰ, რა ძნელია, ვაცი რომ რჩება,
და ქალი მიდის სამარადისოდ“
ბათუ დანელია*

ჭმუნვად მედება თხემზემოთოვლილს,
ცად რომ იძუნნეს შენდა საშველად.
(ძნელად კენტდება ხეზე ფოთოლი,
ქარმა ხელი თუ არ შეაშველა.)
ღიმი რომ გდევდა ლაიტმოტივად,
ღანვებს სევდისფერს მატებდა იერს.
...ჩვენ ერთი ფრონის ორი ტოტი ვართ,
გამოკვეთილი მეჩეჩის მიერ.
...გზები ვი დიან, ვით ურჩნი დრონი,
სერავენ ცის ქვეშ არსებულ შორისს...
...ჩვენ კვლავ შევხვდებით, ვით ორი ფრონე
ხვდება ღირბსა და აგარას შორის...





ნინო უდილაური

მლოცველი ქალი

ტაძარში ერთი ვიდოდა ქალი,
ყოველ ცისმარეს და ყოველ ჟამათა,
იდგა მუხლებზე თვით ღვთისმშობელი
და იღვრებოდა სურვილად სამთა.

ჩამოქნილ თითებს ეპყრათ სანთელი,
პირჭვარს იწერდა ხატება ხატთა,
თვალთ უბრწყინავდა შუქი ნათელი,
შარავანდედად მაცხოვრის კალთა.

ზე სიყვარული არხევდა სიმებს,
გალობდა სული და ხმები ზართა,
ახშობდა გლოვას ... ზეცად კი წვიმებს,
ცრემლი სდიოდათ ამ ტაძრის კართან.

ცარიელია ალაგი ტაძრის,
ამ ერთ ცისმარეს და ლოცვის ამ ჟამს,
მუხლზე დაჩოქილ მლოცველი ქალის,
ადარ ისმოდა ჩურჩული ტაძარს.

სულის კალენდარი

კალენდარზე ციფრებია შერჩენილი,
ოცდაორი, ოცდასამი, ოცდაშვიდი,
მოგონება კვლავ დამყვება და აჩრდილი,
მითვლის დღეებს...მინდა დავრჩე ახლაც მშვიდი.

ღმერთს გაფიცებ, დამავინწყე თარიღები,
შემლილია კალენდარი მინდა გითხრა,
უსასრულო ბილიკებით, რთული გზებით,
ბედს მივყევარ ისტორიის უცნობ ხიდთან.

ზეცამ მინას ჩამოადგა ცის თაღები,
მზე ათენებს ოქროს დილას, ვისთან, როდის,
კალენდარზე მონიშნული თარიღებით,
სულში ხან თოვს, ხან წვიმს, ხანაც მზე ამოდის.

თოვს

თოვს...
ფანტელები გადაფარავს წარსულ ნაკვალევს,
ფიფქები სულში ბავშვებივით მეფერებიან,
როგორ უხდება თბილისს თოვლი...
ქუჩა გავკვალე,
თეთრი, ქათქათა ფანტელები თმებზე რჩებიან.
ქუჩაში ძველი ნაკვალევი გამქრალა სადღაც,
გადაპენტილა თეთრად გზები...
ახლდება დილაც,
თოვლის ქვეშ გმინავს სიძულვილი, სიცოცხლის ნაცვლად
და მიაბიჯებს ქუჩას, თოვლით დაფარულს, ვიღაც.
თოვს...
ფანტელებმა გადაფარა ძველი იარა,
როგორ უხდება თბილისს თოვლი, თეთრი, ქათქათა,
ღანვებშეფერილ სიხარულმა ტანს დამიარა
და გუნდაობა გადავწყვიტე თბილის ქალაქთან.

17.02.2021

* * *

*რა უღალატოა ბუნება, როგორი სიცოცხლით
სავსეა, ერთგული, მოსიყვარულე, ღვთის პირველ-
ქმნილებსა და ამიტომაც სრულყოფილი...ყველაზე
ბოლოს შეჭმნა უფალმა ადამიანი... ბოლოს
დაუშვა ადამიანური ბუნების შეცდომა...*

ბუნებავ ჩემო, სულის მშველელო,
მუზის სავანევ, ღვთაებავ სრულო,
მოსიყვარულევ, ერთგულო, მცველო,
ნათლით შექმნილო, კაცთაგან კრულო,
მაინც სრულქმნილო, მოძღვარო, სულო,
სიცოცხლევ ჩემო, სიკეთევ უფროთ,
მადლო, იმედო, მადლობა სულ რომ,
მიხუტებ, მათობ, უფრო და უფრო.

დაიბადე და...

დაიბადე და...
ამობრწყინდა ჩემი ვარსკვლავი,
ეს დაბადება ამ სამყაროს იმედად შვენის,
მოზღვავებული სიყვარულით მომხვიე მკლავი,
ვიდრე შემცივა,
ვიდრე გიმზერ თვალებით შველის.

დაიბადე და...
ცას სიკეთის მოსწყდა ცრემლები,
სიტურფედ იშვა ჩემთვის ჩემო შენი სახება,
უკიდევანო სიყვარულით მომხვიე ხელი,
ამ სიყვარულში ჩემი გული,
შენს გულს ეხება.



ლალი ევლალია პერპერიდი

შალომ იზრაელ შალომ

გამოიკვტა ლოდინმა კარი
სევდა იყო ვერასატანი
აღფოთებიდან გაოგნებული
გაგვქვავებოდა გული და ტანი.

ირგვლივ გლოვის ქუხდა
ზეცამდი აღწევდა რეკავდა ბარი
აუტანელმა მდგომარეობა გასცდა
ფარგლებს
და დაჰკარგა ზღვარი.

როგორ მინდა დამკვიდრდეს სიმშვიდე
გაქრეს მტრობა და დაიდოს ზავი,
დაძრწის სიკვდილი ალესილ ცელით
დავთარს ავსებს წყეული ავი.

შალომ ისრაელ იერუსალიმ
იკურთხე მარად ღმრთისგან
კურთხეულო,
გამაგრდი ერო ისრაელისავ
დარდი ვარამად გულსა ხეულო.

სევდა აშუქებს ახლა ოთახში
დარდი იმკვიდრებს ვერასატანი,
ნეტავ როდის აყვავილდება კვლავად
ჩემს სარკმელთან იასამანი.

ნეტავ როდის გაზაფხულდება
როს სამადლობელს ვწირავდეთ ზენას,
ჩემი თვალეხი მსურს როს ხედავდეს
ებრაელ ერის ტკბობას და ლხენას.

მტერი მოყვრად მსურს როს გადაექცეს
ივწყებდნენ ერთურთის წყენას,
ყველაფერი ღმრთის ნებით ხდება
ვითარ გამოთქვამს ამ სიღრმეს ენა.

შალომ ისრაელ იერუსალიმ
დარდი გაგშორდეს ვერასატანი,
ღმერთით მწადია გამოზაფხულდე
ყვოდეს შენში ვარდი ლამაზი იასამანი.

15 мая.2021г. 21:40

დედი გილოხავთი დახადების დღეს

ჩემს სულიერ დედას

ჩემ სულიერი დედისთვის,
მადლობას ვწირავ ზენასა,
გფარავდეთ უკუნისამდე,
სულს ნუ მოაკლებს ლხენასა,
თქვენს არსებობით ვიხარი,
გულიც ეცემა ლხენასა,
თქვენი შესამკვი სიტყვები
ვერ ძალს აღმოსთქვას ენამა.

თქვენით მიხარის არსობა,
ცად ვინცე აღმაფრენასა,
სკდებიან გრძნობის კვირტები
მაღლის ხმით ვინცე მღერასა.
თქვენ ირგვლივ სითბოს ასხივებთ,
გულში ღრმად იკრავთ ყველასა,
ამიტო თქვენ გინოდებენ,

ყოველ სულდგმულის დედასა.

მეამაყებით დედილო
წმინდა სული გაქვთ ნამდვილი,
თქვენებერ სიკეთეს იქმიან,
სანუთროდ მხოლოდ მართლები
დალოცვილ იყოს ეგ უბე
მრავალი შვილის გამზრდელი,
გფარავდეთ მაღალი ღმერთი,
გიკურთხოთ თავზე მანდილი.

რომ ჩაგეხუტო ბავშვივით,
ეს არის ჩემი წადილი,
რითმებს გადმოვცემ გრძნობებით,
მაღლიერებით აღვსილი,
გულები ძალზეა ახლოა,

გვაშორებს მხოლოდ მანძილი,
მიყვარხართ მემამყებით,
ჭეშმარიტი ხართ ნამდვილი.

როდის გიხილავთ მე იმდროს
მოთმენით დაველოდები,
მინდა რომ გულში ჩაგვეკრათ
ჩამოგხსნათ,დარდის ლოდები,
მინდა ბავშვივით მოგიყვით
ჩემი ცხოვრების ავ კარგი,
დედილო არ გაგშორდები,

თქვენთან ვიქნები მარადის.

თქვენ დედის სითბო მაჩუქეთ,
თქვენში ვგრძნობ წმინდა სულია,
თქვენს გაკეთებულ სიკეთეს
არა აქვს დასასრულია,
მინდა ხარობდეს მარადის
ეგ თქვენი თბილი გულია,
ჩვენი კავშირი მუდმივი,უკვდავი,
სიყვარულია.

მისაბაძი ხართ ნამდვილად

ჩემს ძვირფას ქალბატონ ნატო მეფარიშვილს

თქვენგან იღვრება უსაზღვრო სითბო
მისაბაძი ხართ ჩვენი ლამპარი,
მინდა თქვენებ წმინდა უმამკო
ამ წუთისოფლად იყოს მრავალი.
განათლებული ხართ გონიერი
ვარსკვლავებ კიაფებს თქვენი ოცნება,
სამშობლო გულზე დარდადა განვეთ
მაოცებს თქვენი პატიოსნება.
რომელიც ჩვენთვის სამაგალითო
საარსო წყარო,არის ნექტარი,
გქონდეთ ცხოვრება ღმრთისგან
კურთხეულოვ,
საამური და მარად ნეტარი.
ყოვლის დამოძღვრი სიკეთისაკენ
მასწავლებელი ხართ დიდებული,
თქვენი ქმედებით პატიოსნებით

ამაღლებული და ხართ ქებული.
სიკეთეს იქმ დაუზარებლად
კარგის საქმენით თქვენ ხართ
გართული,
თქვენში ყოვის რჩეულთა სისხლი
განდიდებული გენი ქართული.
თქვენს ლექსებში ჩქეფს სიყვარული
გრძნობები რითმით დაუშრობელი,
მისაბაძიხართ აღმაფრთოვანებთ
პოეტი ხართ და კარგი მშობელი.
ვინ შეგედართო დიდსულოვნებაში
წუთისოფლად ნეტავ რომელი?
მწერალი და ხართ ჟურნალისტი
გამორჩეული, საღმრთო,მშრომელი.

12МВЯ 2021г.16:40

**ყოველგან გავუფრთხილდეთ
.....მამობარს.....**

მას გაუფრთხილდით ყოველგან
ვინცა შეგფიცავს ძმობასა,
ლხინისას შენთან ბევრს ნახავ
გასაჭირის ჟამს ცოტასა.
მეგობარს ჭირშიც ახსოვხარ
აი ეგ არი მთავარი,
ვინც შენს წუხილსა არა სწუხს
შენი მოყვარე არ არი.
მეგობრით გადალახო
დარდი ვარამი საზარი,
თუ ერთგულების ფასი გცოდნია
ბედმა ვით დაგცეს თავზარი.
ჩემს მეგობარს აროდეს გავუდგები
შემოვევლები თავსაო,
მას ჩემს დარდ ვარამს გავანდობ

მუდამ დავულოცავ გზასაო.
მისი სიკარგე მიხარის,აღვიქვამ
ჩემს სისხლ_ხორცადა ვითარ ძმასაო,
მისთვის ჭვარს კავევრები
შევსვამ ნაღველნარევ ძმარსაო.
ლხინისას ყველას ახსოვხარ
ჭირში რავეყოთ ცოტასა,
ვინც მეგობრობის ფასი არ იცის
ვაი იმის ცოდვასა.
დიდი მოკრძლებით ვუძღვნი ლექს,
ჩემი მშობლების მეგობარს
და ამავედროს ჩემს ძვირფას
მეგობარს ბატონ ბადრი სვანაძეს

12 мая.2021г.11:6

24.მამა მამრიელ

ღმრთის სიყვარულით ატარებდი
მამა გაბრიელ შავ ანაფორას,
თითქოს და ლოცვა ესოდენ წრფელი
გიმსუბუქებდა დარდების გროვას.

ხშირად ღამეში თვალთა ხედვაში
ანაფორიანი ჩაივლის ლანდი,
მნათი სხივები ეფინება მის ანაფორას
და მეფანტება უეცრად დარდი.

ძალზედ გვაკლიხარ სასონარკვეთილთ
სოფლად ახლა განსაცდელია,
არსებობა გაუსაძლისდა
ადამიანთა ნდობაც ძნელია.

გაუფასურდა ახლა ღირსება
ყელანი იბრძვის თავის თავისთვის,
მამა გაბრიელ ბრძელები ვერ ხვდება
ჰასუსს აგებენ ღმრთისწინ ამისთვის.

თქვენი ლოცვებით ვვლავ შეგვენიე
მამა გაბრიელ გული გვიწამლე,
ამდენი ქაოსით და დოგმატებით
ვეღარ ვუძლებ მე მოვინამლე.

ახლა მარტოკა ფიქრ გართხმული
უსამართლობამ ღამის ამრია,
გაუფასურდა ერთგულების ფასი ვაი
რომ სოფლად ერთი ლარია.

მე სანუგეშოდ ნუთისოფლად
ვერ ვპოვე რამე,
ლექსებში ვაქსოვ ჩემ განსაცდელს
გულის გოდებას მე ყოველ ღამე.

მსურს გაშორდეს დედამიწას
ესადგურება ლუკუმი ბინდი,
ანაფორიან ლანს ახლაც ვხედავ
მამა გაბრიელ მითავარ მშვიდი.

მსურს რომ ანთოს ჩემში იმედი
მამა გაბრიელ ახლა მიმქრალი,
მძალუძს დაცხრეს უსამართლობით
გამონვეული ჩემში გრიგალი.

მინდა სამადლობლად მთელი
არსით, გადგიხადო მე ჰანაშვიდი,
როს ჩემმა სულმა იგრძნოს სიამე
და მით იქმნას მშვიდი.

21apr.2021 06:02

სამშობლო ჩემი თვალის ჩინია

გრძნობით და ცრემლით ნანერი არი
სამშობლოზე ჩემი ლექსები,
ის არის ჩემი ფუძე საძირკველი
მასშია გადადგმული ჩემი ფესვები.

ვითარ ვარსკვლავი ბრწყინვალეს იგი
გულში გაიდგა მჭიდროდ ფესვები
როს არ აღვესრულო უცხო მიწაზე
ჩემს დროს უფალს დავესესხები.

უმისოდ მოგლეჯილ ხეს ვემგვანები
გამიხმება მისებრ ძირები,
ქართულ ნანათი მე აღვზარდე
საბერძნეთში ჩემი შვილები.

არცა დიდება და არც ქონება
ამ წუთი სოფლად არ მდომებია,
ქართული მიწა მსურს რომ დაამყარონ
სხვა მიწა გულზე დამძიმებია.

ვერ ვიარსებებ სოფლად წამიერ
თუ სამშობლოსთან გავირიყები,
სიცოცხლეს ფასი დაეკარგება
და სასიკვდილოდ გავინირები.

სამშობლოს ქებას მუდამ
კრძალვით აღმოთქვამს ენა,
არ მსურს მოაკლდეს ამ საჟამოდ
სიმშვიდე ლხენა.

ჩემს მშობელ მიწას ვენაცვალე
მე მისი დარდი დამთოვებია,
მასზე ფიქრებით ახლა ვსულდგმულე
რომელიც წამით არ გამშორებია.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები
მინდა მისი დიდების გავხდე მნახველი,
როს ამ ღუნიაზე მუდამ დიალობდეს
უკუნისამდე მისი სახლი.

15.მსურს რომ იცოდეთ ვინავარ

მსურს რომ იცოდეთ ვინავარ
ამ მიწისა და ცისა ვარ,
მიყვარხართ თანამოძმენო
ჩემს დასაფიცარს ვფიცავარ.

მშობლიურ ფესვებს მომწყდარი
მონატრებიზგან ვგმინავლა,
ლექსის რითმი ვარ მტირალი
ერთი უსტუმრო ბინა ვარ..

ვაჟას ია ვარ, ლურჯთვალა
ირემი მთასა მყვირალა,
შვილის ნუკრი ვარ დაჭრილი
მე საქართველოს მიწა ვარ.

მინად გართხმული მწირი ვარ
ვლოცულობ უფალს შავვედრებ,
ვაჟას დაჭრილი არწივი
ვიცი კვლავ შაინავარდებს

ხან მთის წვიმა ვარ შხაპუნა,
დილის ცვარი ვარ ფოთლებზე
მთას დაშვებული ზვავი ვარ
ხავსი ვარ ღობე ყორეზე

მსურს რომ მთა-გორებს
შევძახო ჰერი ჰერი და ჰერიო,

თვალწარმტაცნია საოცრად
ლამაზი მშვენიერიო.

მე ამ მთა-გორის შვილი ვარ
მითით ვარ ბედნიერიო,
სულის სიამის მომგვრელი,
ფირუზ ბურმუხტად მფენიო.

კლდე, ჭიუხვები, მთა, ველი,
ედემბალივით მშვენიო,
ღმერთო ძლიერო აკურთხე
დალოცე ჩემი ერიო!

მიყვარხართ თანამოძმენო!
ღმერთმა გყოთ ბედნიერნიო,
დაგლოცოთ უზენაესმა
გიკურთხოთ ფუძე ჭერიო.

მრავალჟამიერ იმრავლეთ
ხარობდეს ერი ბერიო
ხვავი ბარაქა წყალობა
უფლიზგან შენაძენიო!

მიყვარხართ დანო და ძმანო
ჩემს დასაფიცარს ვფიცავარ!
მინდა იცოდეთ ვინა ვარ
ერთი მიწის და ცისა ვართ!





ლეილა გაფრინდაშვილი

რა შევქალ

გადატკეპნილ გზებს გადავხედე,
ავწონ-დავწონე,
რა კვალი დავდე,
უფალს თავი თუ მოვანწონე?
ან რა ვითხვას ვსვამ,
ჯერ თავს ვკითხო, მომწონს ყოველი?
საკუთარ წარსულს ჩავუღრმავდი...
დარდის მთოველი ვიპოვე ბევრი,
შეცდომები აღვნიშნე წითლად,
თურმე რა ბევრი,
მაგრამ მაინც რა ცოტა მითქვამს.
კიდევ დროს ვითხოვ,
ცოტა ღრმად რომ გავავლო ხნული,
წლები ვი მათოვს, არ ბერდება ეს ციდა გული.

გადატკეპნილი გზები ფიქრის თვალით ავწონე,
ნეტავ რა შევძელ, უფალს თავი თუ მოვანწონე?

მომგზაური

მომგზაური უსასრულო სივრცის...
აღბათ მეტად, პოეტებზე ითქმის.

გაფრთხილებებს და აკრძალულ ნიშნებს
პოეტი ვერ უმორჩილებს ფიქრებს.

თავანწყვეტილ ოცნებების მარშით
პოეტები დაფრინავენ ცაში!

აგროვებენ განძს, სიტყვებით ნაფერს
და ფურცლებზე დაიტანენ სათქმელს.

პოეტში ვერ ჩაიხედავ ისე,
ერთი მაინც არ იპოვნო სიბრძნე!

ნუ გაიოცებ

ნუ შემიდევები იმ საყდარში, სადაც სიყალბე
ატუბულია კუთხეში და მაცდურ ილიმის.
ფარისეველთა ამაღაში გზა ამებნევა,
ცის მნათობელთა წრფელი მზერის მხიბლავს ღიმილი.

სხვა გზას ავირჩევ, არ მომყვები? გზა დამილოცე,
თუ არ შეგყვები მაგ საყდარში,ნუ გაიოცებ.

ათვლის წერტილი

ამოუცნობი ეძიე შენში
თუ ჰპოვო განძი, რაც არც შენ იცი,
საგულდაგულოდ მოჰფინე ირგვლივ,
გაანანილე უკლებლივ, მისხლივ...

როს დასასრულის ათვლის წერტილი
(არა იქმს ღმერთი უამისობას)
ჩაინიშნება, და ვალმოხდილი,
ოდეს, შეერწყმი მარადისობას.

აბა რა იცი

სიმშვიდით მისდევ სიცოცხლის ბილიკს,
ხარ მეოცნებე, მიზანსახული,
აბა რა იცი, რას მოგიმზადებს
კვირტათაფეთქება ამ გაზაფხულის.

მინდვრის სურნელი, ყვავილთა ცვენა...
სიყვარულის ცეცხლს აგიბრიალებს,
იცი? გაზაფხულს მოჰყვება ვნება,
არც სიყვარული დააგვიანებს!

ჩაგიშრიალებს ლამაზი ქალი,
მიზიდულობის აგიტანს ჟრჟოლა,
თავბრუს დაგახვევს მზერა მაცდური...
შემოგენტება ჭიაკოკონა!

იქნებ შენია, იქნებ ის არის...
იქნებ აპრილის საჩუქარია,
არ დაიმორცხვო, თმებზე შეეხე
და სიყვარულის უძღვენ არია!

აბა რა იცი? სად ჩაგისაფრდა
ჯერ არ განცდილი გრძნობის ზმანება,
კვირტათაფეთქება ამ გაზაფხულის
და ტრფობის ცეცხლია აბრიალება!!!

არ დამიფანტოთ

ვიგაზაფხულოთ, ტყეს ვესტუმროთ,
ერთად ვიმარტოთ...
არ დამიკრიფოთ ენძელები,
არ დამიფანტოთ.
გადავირბინოთ მთის კალთები,
ვიცელქოთ ერთად,
გამოვიყოლოთ მთის სიმღერა,
ხალისი ფერთა.
ნუ მოსწყვეტთ იას,
ნაზია და ძალზე მორცხვია,
მწვანე ველ-მინდვრის
ლურჯთვალეზა ანგელოზია!
მივესათუთოთ ფურუსულებს,
რითმებით მოვრთოთ,
ოღონდ არ მითხრათ დავკრიფოთოთ,
ოღონდ ნუ მომთხოვთ.
მეც თეთრარშია ვაბა მეცვას,
სხვა რა ვინატრო,
არ დამიკრიფოთ გვირილები,
არ დამიფანტოთ!
ხელი არ ახლოთ ტიტას,
გული არ გამიფატროთ,
არ დამიკრიფოთ ყვავილები,
არ დამიფანტოთ!

არ ვარ ნარცისი

არც ნარცისი ვარ, არც მაისი,
ვინ ვარ და რა ვარ?
გულის სითბოთი, მიკრძალებით
მსუბუქად დავალ.
მე ფიქრები ვარ,
ერთმანეთთან ჭიდილში მყოფი,
მინდა, რომ გავცე
სიყვარული თქვენი სამყოფი.
რაც გინდ მატკინო,
შემომწყრე და მადარდიანო,
ვერ შეგიძულებ,
ვერ გაგწირავ, ადამიანო.
საიდუმლო არ შემინახო, გამახშიანო?!
სალამს მაინც არ დაგაყვედრი, ადამიანო.

ციცინათელას მინდა ვგავდე,
გინათოთ ღამით,
გულს ბოროტებას არ შევახებ,
არც ერთი წამით.

არ ვარ ნარცისი...

იქნება ასეც
/შვილებს/

წავალ, დავტოვებ ერთგულებას წლობით ნაფერებს,
სტროფებს უფლისგან ნაწყალობებს, მადლს ნაზიარებს,
დედის ლექსებით გზასავალზე ლოცვით იარეთ,
გაიადვილეთ უჩემობა, გაიმზიანეთ!

ვეზიარები, აღსარებას ვეტყვი მამაოს,
ჩამოვიბერტყავ ცოდვებს, გამყვეს სულის სინძინდე,
ჩემი სტროფებით მოიშუშეთ გულზე იარა,
ვიდრე ცრემლების ნიაღვარი გადაივლიდეს.

ზეცაში ლაღად ინავარდებს ჩემი სიმღერა
და სული, ტრფობით დახუნძლული, როგორც აკიდო.
მკერდს გავიღვავ გულგადახსნილ ბროწეულივით,
სიტკბოს, მარცვლებად გამოზოგილს, გულზე დავიდნობ.

გადამიქროლებს თბილისის ზღვის გრილი ნიავი,
ასე იქნება, სხვა რა გზაა? გაითავისეთ,
არ დაიდარდოთ შვილნო ჩემო, რა შემაცეიბს...
თანამეცხედრე დამაფარებს ედელვაისებს.



ნიკა ფუხაშვილი



რეალობა

გზა ამებნა, გზა დავკარგე ღმერთო,
აღარ ვიცი საით არის სწორი მხარე,
შენი რწმენა დამიბრუნე ერთადერთო,
და ჩემს სულში გთხოვ სიმშვიდე დაამყარე.

გზა დავკარგე, აღარ ვიცი ვიღას ვენდო,
ვერ გავიგე ვინ მტერია ვინ მოყვარე,
აღარ მინდა გვერდით ხალხი დავიბედო,
ვინც აქამდე სულ ტყუილად შევიყვარე.

აღარ მინდა ჩემი ფეხი სადმე დავდგა,
მეგობრები და ქალებიც ყველა ფლიდი,
რომ შემეძლოს ფიგურებში სულის ჩადგმა,
ყველა მათგანს ჩემი ხელით გამოვთლიდი.

გამოვთლიდი და ბოროტი სულის ნაცვლად,
სიყვარულით ავახსევდი ყველა გულს,
ნუთუ ქრისტეს თქვენი ხელით ჭვარზე აცვამთ,
ნუთუ ღმერთი თქვენში ვერ დაისადგურებს.

ნუთუ მართლა სატანაა თქვენი კერპი,
იუდობა და ღალატი მოდაშია,
ნუთუ იმიტომ გაიწყვიტეთ ჭვარზე ცეპი,
რომ თქვენი სული უდიდეს ცოდვაშია.

სულს იმძიმებთ მრუშობით და სხვა ხორცებით,
სიცრუეა დღემდის რაც მოგიქონიათ,
ისე ცხოვრობთ, თითქოს არ დაიხოცებით,
ისე კვდებით თითქოს არცკი გიცოცხლიათ.

ზღვარი არ გაქვთ, არ იტყვით ვსო გვეყოფა,
ჭერ არ იცით, რომ ყველაფერი ომია,
ადამიანს არასოდეს არ ეყოფა,
რაც გვექნება, რაცა გვაქვს და რაც გქვექონია.

კაცის სული არ ფასდება არც სიმდრიდეთ,
არც ქონებათ, ამ სიცრუით ნუთუ აღარ დაილაღეთ,
ფულისათვის თავს ყიდით დღეს მონებათ,
და ფიქრობთ ამ ფულით ხვალე გაიხარებთ.

მაგრამ მონა! უნდა იყო ღვთის წინაშე,
არა ფულის! არა ოქროს! არა ვერცხლის,
ღმერთის რწმენა ჩემში ვერა ვერ მივაშრე,
სატანიზმი და დროება მე ვერ შემცვლის.

მე ვერ ჩემცვლის, მაგრამ ხალხი შეიცვალა,
კეთილ თვალებს გადაეკრა თითქოს ბინდი,
ღმერთმა ბევრი ჩვენთაგანი შეინყალა,
მაგრამ ამას, სასწაულად მე არ ვთვლიდი.

იცით ვინ მძულს? სიყვარულის მძარცველები,
სიყვარულს, რომ სექსად არა გრძნობათ თვლიან,
შურით ბოღმით გატენილი ქართველები,
სხვის სიყვარულის ცრემლებით რომ განიცდიან.

მე კი სხვისი სიხარული სხვაზე მეტად მიხარია,
შურს არ მივცემ უფლებას რომ დამიმონოს,
სიკეთე ხომ გრძნობებს შორის ტიხარია,
ვისაც ვურჩევ ვფიქრობ უნდა გამიგონოს,

რადგან მჯერა, ბევრზე მეტი გამოვცადე,
ღალატს ბურგში დანის ჩართვმას შევეჩვიე,
ღმერთო ნეტავ კიდევ ერთხელ დამლოცავდე,
მე შევცოდავ, შენ კი ისევ შემენიე.

ასე ვცხოვრობთ, ვცოვდავთ, მერე ვინანიებთ,
ცოდვას ისე შევეჩვიეთ, როგორც ტყუილს,
ადამიანს ცოდვას ველარ გადააჩვევ,
როგორც მგელს ვერ გადააჩვევ ღამით ყმუილს,

როგორც მლოცველს ღამით ლოცავს,
რომ ადიდოს ისევ ღმერთი,
ღმერთი ვიცი გამუდმებით ყველას გვლოცავს,
მაგრამ ხალხში პრობლემაა მუდამ ერთი,

ღმერთი მაშინ გვახსენდება, როცა გვიჭირს,
ლოცვას ვიწყებთ ვედრებასა და პირჭერის წერას,
დაფასება ვერ ისწავლა ხალხმა ნიჭის,
მე კი ისევ ძველებურად არ ვწვეტ წერას.

ლხინში ღმერთი რომელს ახსოვს ამ სიიდან,
მდიდრებს ჰკითხე თუ გაგიჩნდა კითხვები,
მე კი მახსოვს ერთი ფრაზა ბიბლიიდან,
არ გაკითხო და არ განიკითხები.

ინტერნეტი გადაივსო ბრძნული ფრაზებით,
დღეს ჰაულო კოელიო მოდაშია,
არ მსურს ყველას ვუპასუხო გაბრაზებით,
ჩვენი შვება ქრისტესა და ლოცვაშია.

10/05/2016





ეკატერინე ნადირაშვილი



კოვიდი დავამარცხე! 🧡💜 ჩემო ძვირფასებო, სრულიად ჯანმრთელი მოგესალმებით ..მადლობა დიდი ყველას მოკითხვისთვის..

აღამიანს მხირადი ყურადღება ახარებს

თურმე, ამ ჩემს გულს, სულ პანანინა სითბო ახარებს, ცის კაბადონზე უფროთოდ უნდება სულსაც აფრენა, უნდა, მზეს შენვდეს და სხივები მონყვიტოს წამსვე, ხოდა ეს სითბო გაუნაწილის ამ ხელით ყველას.

ჰო, ამ, ჩემ გულს სულ, პანანინა სითბო ახარებს, ჰოდა პანანა წყენაც სულსვე აღებეჭდება, მე კი გპირდებით პატარა გულებს არასდროს გატკენთ. ჩანავლულ ბუხარს ავაგიზგიზებ გაგითბობთ ყველას.

თურმე ამ ჩემს გულს სულ პანანინა სითბო ახარებს....
2021.05.01.



სიცოცხლევ მაცალე, დავტკებები ცოტაც და ჯერ ისევ ბავშვივით ფრთხილებს ეს გული, მერე რა ციფრები აჩვენებს შუა ხანს, მერე რა სარკიდან თეთრი თმა მიმზერის.

ჩემს გულში პატარა ლამპარი, ანთია, არ ქრება არასდროს იმედად ნაპერწკლის. მზის ხელი, ამ გულს ხომ სხვაგვარად ატყვია, ვით, პირმშოს თავისი დედიკოს ხელები.

სიცოცხლევ მაცალე, დავტკებები ცოტაც და დღეს მოვასწრებ და სიყვარულს, აგისხნით ცაზე გამოვსახავ ფთილებით მიყვარხართ, ახლა კი გაგიმხელთ თუ როგორ მჭირდებით.

სიცოცხლევ მაცალე, დავტკებები ცოტაც და ხვალ იქნებ ,მზეც ჩაქრეს, წყვდიადმა ჩამყლაპოს, ჩემი სიყვარული ყველას უნაწილე ამას დაგიტოვებ ანდერძად სამყაროც.

სიცოცხლევ მაცალე დავტკებები ცოტაც და
2021.04.22.

მინდა მიყვარდე

მინდა გიყვარდე,
მინდა მიყვარდე,
ერთად გავლიოთ
ლამაზი წლები.
ერთად ვაშენოთ
ეს სიყვარული,
ულამაზესი საშენი ქვებით.
არ გბებრდებოდე,
არ მბებრდებოდე,
თვალის ჩინივით
ვუფრთხილდეთ ერთ-ერთს.
მინდა ამ გრძნობას
წყალიც დავესხათ,
ლამაზ ყვავილად
ვუზარდოთ ერთ-ერთს.
და მერე მისი

შეხედვით დავტკებთ,
როგორც გაზრდილი
პირმშოთი დედა.
არ გბებრდებოდეს,
არ მბებრდებოდეს,
ულამაზესი გრძნობის ფერება.
ისე გვიყვარდეს,
როგორც მარტის თვეს
ამშვენებს მუდამ
სიგიჟე ქალის.
ხან გაიავდროს,
ხანაც გაგვათბოს,
ხოდა ამგვარად
გავლიოთ წამი.
მინდა ამ გრძნობას
ვარდსაც ვადრიდეთ.
მისი სურნელით
თვრებოდეს ყველა.
პოეტს კი წერის
მუზა უვლიდეს და
ჩვენს სიყვარულს
უმღერდეს ნეტაც.

მინდა გვიყვარდეს, ისე როგორც,
არავინ არავის არ ყვარებია

2020. 02. 15.

ექსპრომტად..

როგორც არასდროს, ისე მომინდა,
ნუგემ მომცემი, სიტყვები თბილი.
ვარდის ფურცლებით, მირთავდეს ოთახს,
სანუგეშებლად ჩამჭიდოს ხელი.

დღეს მართლა, ისე მომანვა დარდი,
ცუდმა ამინდმაც ამიყოლია.
ხოდა გინატრე, სულ ერთი წამით,
ჰო, ამ დარდბის დასავიწყებლად.

როგორც არასდროს, ისე მომინდა,
ნუგემ მომცემი, სიტყვები თბილი,
ოჰ, იმ წყაროსთან შეხვედრა ისევ,
და საამური სიმღერა ჩიტის.

2021.04.19.

*დედა ენის ცენტრი სტამბულიდან გილოცავთ
ჩემო ძვირფასებო სიყვარულის დღეს!
სიყვარულით ძგერდეს მუდამ თქვენი გულები!*

მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ !

მარტო სული ვარ, ობოლო ბავშვივით,
ბედმა მარგუნა ეს მწარე იარა,
მაგრამ, ეს ღიმილი გულწრფელი ბავშვის,
ბუნებამ მიბოძა და მისაჩუქრა.

მარტო სული ვარ ობოლი ბავშვივით,
ვვანცობ და მივიკვლევ ჩემს წილ შარა გზას.
არ გავბოროტდი, თუმც ქონდათ წადილი
არ გავიმრუდე ბილიკი, გზადაგზა.

ოჰ, ძლიერი ვარ, ჩემს თავს ვარწმუნებ,
ექვი არ გაუჩნდეს, არ მინდა მოეშვეს.
არ შეუშინდეს ყინვებს და ქარაფებს,
ცხოვრების აღმართებს რითმებად აუყვეს.

მარტო სული ვარ, ობოლი ბავშვივით,
მარტო მივიკვლევ მიუვალ გზასაც და
ხან წავიფორხილებ, გამკანრავს ეკალი.
უფალო შენამდე მოვიკვლევ ახლა გზას.

2021.04.07.

მომენატრა უდარდელი ბავშვობა

მინდა... ჩემს ბავშვობაში
გადამაგდონ უეცრად
და სურამის, ლამაზ ქუჩებს
მოვეფერო გულწრფელად.
ის, ბავშვობა მენატრება
ის ლამაზი წუთები,
წარსულს მუდამ
მივსტირი და
ჩუმად ვეჩურჩულები,
უფალსა ვთხოვ,
დამიბრუნოს, ის
ლამაზი წუთები.

მინდა ჩემს ბავშვობაში
გადამაგდონ უეცრად...

2021.04.18.

ჩემს შვილებს

სანთლებს ავანთებ ცრემლმორეული,
ჩემს ორ სიცოცხლეს ვავედრებ უფალს,
ჩემი გული კი ფრთხილებს ისე,
როგორც დაჭრილი ბელურა ხტუნავს.

დავიარები უცხო მიწაზე
და ხელით დამაქვს ჩემი ორი მზე,
სიბნელე იყოს გზასაც მინათებთ,
როს შემამცივნოს, თქვენ მათობთ ისევ.

ჩემ ორ სიცოცხლეს ვავედრებ უფალს,
და ჩემი გულით დამაქვს ორი მზე
თქვენ ჩემს ცხოვრებას ამშვენებთ მუდამ,
ვით დედამინას, შვენის ცის კიდე.

სანთლებს ავანთებ ცრემლმორეული,
ჩემს ორ სიცოცხლეს ვავედრებ უფალს.

2021.04.04.





მონატრების წყურვილი კლავს ამ სულს ახლა,
ოცნებებში ეფერება თავის მხარეს,
ოცით!? უნდა მერცხალივით ფრთები ესხას,
გაზაფხული მიახაროს ყველა ქართველს..
2021.04.01.



*ყველას გილოცავთ გაზაფხულის
შემობრძანებას ჩემო საყვარელო ადამიანებო.*

ისე გინატრე, როგორც
უდაბნოს წყლის
დანატრულმა.
მხოლოდ, ოცნებით
გეფერები შორიდან
გეტრფი,
ახლა შორსა ვარ,
კილომეტრები
მაშორებს შენს თავს,
მაგრამ იცოდე
ჩემო ქვეყანავ,
შენ მეფიქრები.
მართლა ვინატრე
ფრინველი ვიყო,
ავფრინდე ზეცას,
გადავუფრინო,
გულში ჩავიკრა
სამშობლო ჩემი.
არწივის ფრთები

გადავაფარო
იმერ-ამიერს
დამილოცნიხარ
დედა სამშობლოვ
მრავალუამიერ...
ისე გინატრე,
როგორც უდაბნოს
წყლის დანატრულმა,
მხოლოდ ოცნებით
გეფერები შორიდან
გეტრფი,
ახლა შორსა ვარ
კილომეტრები
მაშორებს შენს თავს,
მაგრამ იცოდე
ჩემო ქვეყანავ,
შენ მეფიქრები.
2021.03.17.

ჩემო სამშობლოვ გამოიღვიძე

სად გაქრა, ქართველის
რკინის აბჯარი,
მომხვედურ მტერს
შიშის თავზარს,
რომ სცემდა,
სად ჩაქრა ქართველის
მამაცი სული,
ვეჭვობ, ალათას,
ღრმა ძილით სძინავს..
გამოიღვიძე
ერო და ბერო,
ძილის დრო მართლა
არა გვაქვს ახლა,
მინა წაგვნიწუნეს,

დაგვანანვერეს,
ჰესსაც ითვისებს
მომხვედური ახლა.
გთხოვთ გამოვფხიზლდე
და შევიყვართ,
ხელი ჩავკიდოთ
ერთმანეთს მყარად,
მტრობა, შუღლი კი
გადავივინყოთ,
მტერს მტრულად
დავხვდეთ ის
დროა ახლა.
2021. 21. 03.





შორენა გაბელაშვილი

იქ, შორაულ წარსულიდან

თანამედროვეთაგან დაუფასებელ გიორგი სააკაძეს ❤️

ასე მგონია, გიცნობ და მესმის,
შენი გულისთქმა, ტკივილი, ფიქრი,
თითქოს ვხედავდე, შვილს რომ იხუტებ,
მერე სამშობლოს საშველად მიჰქერი...

ორი ბუნება: ეჭვი და შური,
ძლიერ ხასიათს ვერ თმობდი წამიც!
სიმართლისათვის გდევნიან ვაჟკაცს,
შენ კი ქართველი დარჩები მაინც!

ვინ ხარო, ერთი უგვარო კაცი!
ანდა, ვინ მოგცა ამის უფლება:
"დიდ" კაცს ეტოლო გულით მამაცი,
გინდოდეს სრული თავისუფლება...

გაიძულებენ, წახვიდე შორით,
რასაც ღალატად გითვლიან მერე...
შენ, უსირხვილო ცილისწამებავ
არ დაგიჭერე და ლექსად ვწერე!

თუ ძალუძს ვინმეს, ქვეყნის იარებს
პირმშო დაადოს გულზე მაღამოდ,
დარდად დაჰქონდეს სამშობლოს ბედი
და ჩაუაროს გარჯამ ამაოდ...

შენი ფიქრები, თვალებწყლიანი,
ჩემო გიორგი, გულში მიგრძვნია...
რომ არ მტკიოდე, რომ არ მიყვარდე,
არ შემიძლია... არ შემიძლია...





მაგდა გოშნიაშვილი

ჩემო მამულო

ჩემო მამულო, ჩემო მიწის ყველა მტკაველო,
შენი სურნელი, შენი ძალა მომეც ზიაროდ,
რომ გამიბრწყინდეს შენი მადლით ზეცა უღრუბლო
და ყველა ფიქრი, ყველა საქმე გაგიზიარო.

რომ შენი ერთი ყლორტი ვიყო ამოხეთქილი,
ვიცოცხლო მერე შენდა ლხენად, შენ საიმედოდ,
მომეცი სითბო, სიმამაცე, მომეცი რწმენა
და დასაკარგად არასოდეს არ გამიმეტო.

ჩემო მამულო ვგრძნობ შენს ტკივილს და მეცა მტკივა
ჩემი კრწანისი, მარაბდა და ჩემი შამქორი.
ვითყვი, თუ მიყვარს სხვაზე მეტად ჩემი მამული
მოვიდეს ვინმე, გამიბედოს, აბა ჩამქოლოს?!

ჩემო მამულო გაპოხილო გმირების სისხლით,
დღეს აქამომდე მოყვანილო ვაგლახ წვალეებით,
მეფე დავითმა როგორც შეგკრა ქართულ დროშის ქვეშ
მსურს ისევ ისე დაგინახო ჩემი თვალეებით.

ჩემო მამულო ნადიდგორალ-ნაშამქორალო
რამდენი მტერი ილესავდა შენს კართან კბილებს,
და დღეს ეს მიწა ბუმბულად რომ ფარავს რაინდებს
შემოუნახეს ჩვენს მომავალს – ჩვენს შვილთა შვილებს.

ჩემო მამულო ბევრი მტერი უკუ გიგდია,
შინ ვაჟკაცები ბრუნდებოდნენ ბრძოლის ველიდან
გზა – გზა დაჭრილი არა კვნესით, არმედ სიმღერით
სისხლმოსვრილი დროშას გადასცემდნენ ხელში ხელიდან.

ხერხეულიძის დედას ხოტბა – გმირი ქალია,
ალგეთს გვიმრავლე კვლავ ლეკვები როგორც რკო მუხის,
შენს ცხელ მიწის გულს ჩაგვახუტე ყველა ქართველი,
არ დაგვზარდება ქედის მოხრა, მოკეცვა მუხლის.

ჩემო მამულო დღეს მე ვდგავარ შენს მყარ ფესვებზე,
დამლოცე – შევძლო, შეგენიო და ვინაყოფო,
დალოცე შენი ყველა კუთხე ამერ-იმერი
და ქართველები მუშტ შეკრულნი ერთად გვამყოფოს.

შემოგვინახე ოქროს ფონდში წლები მძივებად,
მემატიანევ, კვლავაც წერე „გმირთა ვარამი“,
რომ არ ჩანავლდეს ისტორია ხვალ-ზეგ წარსულის
და არ მოჩლუნგდეს დასანერად მწერლის კალამი.

მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ, საქართველოს მინა თან დამაქვს,
 მინასთან ერთად დავატარებ გამხმარ ბალახებს.
 არ მერიდება, როცა ვხვდები უცხო რჭულის ხალხს,
 ვაცნობ ჩემს მხარეს, ცრემლით მინას, ბალახს ვანახებ.
 ცეკვა ისეთი გვეხერხება, ბრძოლის სადარი,
 დაბადებიდან ნიჭი ლექსის, სიმღერის დაგვყვა,
 ქართულ ასოებს, ქართულ ანბანს დედამინაზე
 სხვის დამწერლობას ვერ შეადრიოთ, ბადალი არ ჰყავს.
 ვუხსნი – ზაფხული იქ მწვანეში იმოსავს კაბას
 და გაზაფხულის მინას ხეთქავს ლურჯთვალა ია,
 მეკითხებიან შენს სამშობლოს საქართველო თუ
 ადამ და ევა რომ ცხოვრობდა, სამოთხე ჰქვია?!
 აბა რა ვუთხრა, სხვა პასუხი მომეძებნება?!
 სამოთხეს მოჰგავს, შემოდგომის, როცა დგას ჯერი,
 სისხლძარღვებიდან ყურძენს ტკბილი სისხლი სდინდება
 და როგორც მუხას მუმლი, მარცვლებს ეხვევა მწერი.
 ასე ტკბილია დალოცვილი? – გაუკვირდებათ...
 დიახ, ვენახში გლეხი გოდრით აგროვებს ყურძენს.
 იქ შემოდგომა ქარვასავით ჯდება ბადახში,
 აქ მონატრებას, სხვის მინაზე, ვერაფრით ვუძლებ.
 მოგიტეხიათ თქვენი ხელით სიმინდის ტარო?!
 გუმანით ხვდები სიმწიფეში შესულა ყანა,
 როგორ შრიალებს თუ გსმენიათ მისი ლერწამი?
 ეს საოცრება დავიჯერო გინახავთ განა?
 ახლა ბადაგი მოთუხთუხე დიდი ქვაბებით
 და ჩურჩხელები ხარისხაზე ასხმული მძივად,
 ფიქრებით შემოდგომის ფერებს ვიმოსავ ტანზე,
 უშემოდგომოდ ნოსტალგიის ცრემლები მცვივა.
 ვერც წარმოიდგენთ როგორ ღელავს ქვევრებში ღვინო,
 მაჭარმა ლამის ამოხეთქოს ქვევრის ყელიდან,
 სიტყვა „ჭაშნიკი“ გაგიგიათ? – არ ითარგმნება!
 ყანნი გადადის ალავერდით ხელში ხელიდან.
 მოგისმენიათ მთვრალი კაცის „ღვინო კახურო“?
 არ აქვს მნიშვნელი თეთრია თუ ფერად წითელი.
 ჩვენთან აკვანში იზრდებიან ხვადი ლომები,
 ვაჟა-ფშაველას აყვარებენ „ხმელი წიფელით“
 მერე მოაწვეს თოვლიანი ზამთრის მირაჟი,
 თეთრი საბნის ქვეშ გაეხვევა შარა და შუკა,
 კალენდარს ბოლო ოცდათერთმეტს შევაცლი სევდით,
 ემიგრანტობის ამ ერთ წელსაც დავტოვებ უკან.

* * *

აი ამ მხარეს საქართველო ჰქვია სახელად,
 სადაც აპრილი იმოსება ტანზე კვირტებით...
 ეს რაც აღვწერე ნამცეცია სიტყვებით თქმულთა,
 საკუთარ თვალთა როცა ნახავთ, გამიკვირდებით.

14.09.2019

დაახიჯას გულზე ბევრჯერ, დაახიჯას!

დაახიჯეს, გულზე ბევრჯერ, დაახიჯეს!
 ხორციც ჭიჭენეს, როგორც ძიძგნის ხოლმე ყვავი,
 მაგრამ ჩემი სამოთხე და ედემ-ბალი,
 საქართველო, მტრის ჭინაზე მაინც ჰყვავის!
 დაახიჯეს, გულზე ბევრჯერ დაახიჯეს!
 შეურაცხვევს, მუშტი-კრივიშიც გაინვიეს,
 მაგრამ ჩემმა ქართველებმა მტერ-მოყვარე
 შუღლის ნაცვლად პურ-მარილზე დაინვიეს.
 დაახიჯეს, გულზე ბევრჯერ დაახიჯეს!
 ჭიხვის ყანწით მტერი მაინც ადღეგრძელა..
 ჩემს ქართველებს გული დააქვთ სადაც წავლენ,
 უნორმო და მთელი გალაქტიკის ხელა.
 დაახიჯეს, გულზე ბევრჯერ დაახიჯეს!
 ქორთა ბალახს მის საზღვრებთან თქერავს უცხო,

თუმც ხლართს იქეთ, მესაზღვრეებს ქართველის დედამ
 პური გადაანოდა, რომ გამოუცხო.
 ჩვენი რუქა პატარაა მსოფლიოში,
 მაგრამ ხალხი დიდგულაა, ქიციც იცის...
 გაპატიებს, ბევრს მოგიტმენს, გაპატიებს,
 და ერთხელაც, ერთიანად გულს დაიცლის!
 აი, მაშინ ეშინოდეს ყველა მავანს,
 ქარქაშიდან ჩაგებულ ხმაღს რომ შემართავს,
 დაძიძგნილი, დაკორტნილი, სისხლდაცლილი
 ვალებს ერთად გადაუხდის, თავს ვერ მართავს.
 დაახიჯეს, გულზე ბევრჯერ დაახიჯეს,
 სისხლი სწოვეს, ხორციც ჭიჭენეს, ძვალიც დაფლეს,
 მაგრამ ჩემმა ქართველებმა მტრის ჭინაზე,
 საქართველო, მაინც, არა და არ დათმეს!

12.07.2019

მე ის საქართველო მენატრება

მე ის საქართველო მენატრება,
 სადაც სითბო და ღიმილია,
 სადაც ვაცი ვაცთან არ უღლდება,
 ქალია – ვაცის იდილია.
 სადაც „გამარჯობა“. გულს გიხარებს,
 მზე არწევს ცაზე ღრუბლის აკვანს,
 სადაც სიტყვები „შენ გენაცვალე“
 ძვალსა და სისხლში ერთად ატანს.
 სადაც კვლავ მღეროიან „შავლეგო“-ს და
 ვაჟკაცს აბჯარი აუსხია,
 სადაც სხვის ტკვილზე დედა ტირის,
 „ნატვრის ხეს“ ნატვრა დაუსხია.
 „ჰერიო ბიჭებო“-ს ღიღინებენ,
 ინყებენ სწავლას „დედა ენით“
 სამოთხის კარები ღიაა და
 ღმერთი გმასპინძლობთ, კართან გელით.
 სადაც სამართალმა პური ჭამა,
 შური და ტყუილი არ იცია.
 გული როცა გინუხს, ავადა ხარ
 სხვები გარშემო განიცდიან.
 სადაც ხავსი არ ჭამს ბებერ ოდას,
 ბუხარში ხმელი შემა იწვის,
 სადაც სიზარმაცე დაამარცხეს
 თავჩაღუნული ყველა იღწვის.
 სადაც ძმა ძმის სისხლით არა ძლება,
 ერთად ცხოვრება უხარიათ,
 მშობლებზე თანაბრად ზრუნავენ და
 ოჯახი დიდი დულაბია.
 ჰო, მართლა, „წინ წყარო“. დამავინყდა,
 ეს ხომ ბუღბუღლის ჰანგებია.

ზღურბლთან მასპინძელი მოსულ სტუმარს
 ფიანდაზებდა დაჰკვებია.

მე ის საქართველო მენატრება
 კოტეს ქეთო რომ ჰყვარებია.
 ქართველი ქალების სილამაზე
 ღვთიურ ანგელოზს ჰგვანებია.
 სადაც მომაკვდავ ვაცს იმედი აქვს,
 რომ უკვდავების წყალი კურნავს,
 ქართველ ვაცს სიმბოლურად ვაჟკაცობის
 ნამუსის ქუდი ისევ ხურავს.
 სადაც ვაზის ძირი დალოცვილი
 ყურძნის მაგიერ ქარვას ისხამს.
 მამლის ყივილი რომ წამოგაგდებს
 ძილს არ დაგაცდის დილის სისხამს.

მე ის საქართველო მენატრება
 ნაკურთხი დავითის, თამარის,
 სადაც არ უნდა ვსტუმრობდე, მაინც
 ჩემი საქართველო აქ არის.
 მინდა დავიბრუნო ის საზღვრები
 როცა ჩამომაჭრეს მძინარეს.
 ვერა, ვერ გავატან მამა – პაპის
 ნაშრომს, ნამოღვანარს მდინარეს.
 აბა რომელ ერთი ჩამოვთვალო,
 თქვენ გააგრძელეთ დანარჩენი,
 საქართველოს რომ გულით ვატარებ
 გამომიტანეთ განაჩენი.
 ღმერთო შემენიე, მიდღეგრძელე,
 შენ დამილოცე საქართველო,
 შენ დაგენაცვლები ჩემო კუთხევ,
 ჩემო მთებო და მინდორ-ველო.

ო, როგორ მიყვარხარ!

ო, როგორ მიყვარხარ, ჩემო ქარბორბალავ,
გადარებ ლაჟვარდებს, გადარებ ცის ტატნობს.
ერთხელაც იქნება უზომოდ დავლევ და
მერე იჩივლე ღვინო რომ დამათრობს.

ო, როგორ მიყვარხარ ჩემო საოცრებავ,
გადარებ ქარაფებს, შლეგიან ზღვის ტალღებს,
უშენოდ მდუმარე დღეებს ვერ ავიტან,
ვერც თავს გავიტან, უშენოდ რა გაძლებს.

გადარებ მზიან და დარიან გაზაფხულს
კვირტებს რომ მოიყვანს ცელქობის მადამე.
ატმის ყვავილებს დაფანტულს მიწაზე,
რომ ვაგროვებ და ვიკვრებ კაბაზე.

ო, როგორ მიყვარხარ ასეთი ცუდიც კი,
სიბრაზით დავლენავ მზის სხივებს წვივებში,
ნერვებს მოგიშლი და ეჭვებით გაგჟღენთავ,
ხელკავით რომ ვივლი გრძნობებთან წვიმებში.

ო, როგორ მიყვარხარ— შენ კიდევ არ გჯერა...
ცას ჩამოვიწოდებ შენს გამო ციდანო.
ასე საოცარი რა დედამ გშობაო...
გოგოს შეუყვარდი სულ ერთი ციდასო.

რისხვი 13

ვინა ვარ ნეტავ, რა მაქვს მისია?
მძაგს რიცხვი ნავსი, კენტი ცამეტი!
თუ ერთგულება არ შეგიძლია,
მეც ვაპროტესტებ— შენგან წავედი.
ჩემი ცხოვრება ფარდობითია,
ზღაპარს ჩამოჰგავს , ხანაც მითია.
შენს დანახვაზე ცეცხლი მინთია
და მკერდექვეშ გულის ვგრძნობ არითმიას.
მახსოვს მეძახდი მტრედს და ნიბლიას,
შენზე ოცნება დღეს ზღვა ფიქრია.
მდუმარედ მისმენ— გთხოვ, ხმა გამეცი!
შენგან წასული ბევრჯერ დავეცი.
მე და შენს შორის ბენვის ხილია,
ხიდზე გზა არ სჩანს მწუხრი, ბინდია.
იცი რატომ მძულს რიცხვი ცამეტი?
რომ მიღალატე, სხვასთან წახვედი.
რადგან სიყვარულს მალვით მიყოფდი,
მეც მოთმინება მიჭირს ყოველის.
დამილოცნია გზები, მშვიდობით
და გიშვებ მასთან ვინც შენ მოგელის.

მძაგს რიცხვი ნავსი, კენტი ცამეტი.
ვისაც ვუყვარდი— მასთან წავედი!

01.11.2020

ჩემი მუზა

ჩემო მუზავ მოფრენილო შორეთიდან,
ჩემი მუზის შემადგენელ ნაწილო,
ცალ-ცალკე ვართ, სხვა— სხვა მერიდიანებზე,
როგორ შევძლო და დაგფარო მანძილო.



შენ მანდა ხარ, სადღაც ქიმზე , ჭიუხებში,
კლდიდან კლდეზე გადამფრენო არწივო.
რომ გდომოდა ჯოჯოხეთსაც აირჩევდი,
ჩემთან ერთად, მაგრამ ვხედავ არ ცდილობ.



ჩემი მუზა ცხელია და ვნებიანი,
მაცდურია, როგორც ქალის თვალები.
თუ ერთხელაც მუზას სადმე დაენახვე
ბევრიც სცადო ვერსად დაემალევი.



მუზა ლექსად მემიჯნება, მენერება,
მოაქვს მთელი შთაგონების ამაღა.
პოეზია— ეს რითმების თამაშია
და შენს შემდეგ მე მომიწევს დამალვა.



მუზა უკვე მომდგომია, კარებს მინგრევს,
ლექსის წერას აქვს თავისი წესები.
თუ ამ წესებს ჩემთან ერთად არ დაიცავ
უკაცრავად, მაშინ გამელექსები.



ჩემო მუზავ მოფრენილო შორეთიდან,
შენ კი მუზის შემადგენელ ნაწილო,
სიყვარული მიწილადა და მასწავლე,
როგორ გძლიო და დაგფარო მანძილო.

08.02.2019

მეფე ლირი

მე მეფე ლირის ბედი არა მშურს,
ბედი მეფისა, არა მშურს ტახტი.
სკიპტრა, გვირგვინი, ძალაუფლება,
კარიდან კარზე თავისით დახტის.
მე მეფე ლირის მამობაც არ მშურს,
მეფეც ცდება და უშვებს შეცდომებს..
ზენიტს ასული ძალაუფლება
ეცემა, ვერ იგერიებს ომებს.





ეთერ ლობჯანიძე

* * *

ბოშა ქალმა გამიშალა კარტი-
მოდი უნდა გიკითხოო, მითხარა,
უნებურად ამიშალა დარდი
აბდა— უბდად ბოდიალმა მისმა...
მითხრა რომ ხარ დანყვევლილი ქვეყნად-
შენს სიკეთეს არა აქვსო ფასი,
რომ აჩუქო გული ვინმეს მუქთად
იტყვიან რომ ყოფილათ ფარსი...
მაინც მისდევ ამ ცხოვრების ავ— კარგს-,,
თუმც სიმშვიდის ვერ იპოვე არსი,
გინდა ყველა მუდამ იყოს კარგად
რადგან იცი შენ ტკივილის ფასი....
გტკივა მაგრამ, არ ემდური უფალს-
რაც არა სურს არ იქნება იცი,
ბევრჯერ მდგახარ ბნელ ბილიკზე მაგრამ,
ბოროტების არ გქონია ფიქრი....
რა ვქნა... ქალო, არ გიღიმის ბედი-
ეს ცხოვრება არის შენთვის მკაცრი,
ღმერთს მიენდე, არ დაკარგო რწმენა
დრო გადის და განა დიდხანს გვაცდის...
არასოდეს ჩაიქნით ხელი-
სიყვარულის, გააგრძელე კვლავ გზა,
და თუ ვინმე შენგან შველას ელის
შენი ხელი შეაშველე კვლავ მას...
მერე რა თუ დაგიცდება ფეხი-
გზად მიმავალს უფალი თან გახლავს,
წამოდექი გააგრძელე გზა და
დარდს არ მისცე, არც ფიქრები
მსახვრალს...
არ გიმართლებს, ეს ცხოვრება არა-
შენ ხომ მაინც, გამართლებას ელი?!
სიცოცხლისთვის ეს ლოდინიც კმარა,
თუმც ლოდინში გაილივინენ წლები!
ბოშა ქალმა გამიშალა კარტი-
უნებურად ამიშალა დარდი!.....

* * *

ხანდახან გონებას, ვიქარვებ სიტყვებით,
და სულ არ მადარდებს, რითმია თუ არა,
არ ვჩემობ არასდროს, მე სხვისას არაფერს,
არც "იმიტაცია"— არ ვიცი ვინღაა?!.....
ასევე ვერა ვცნობ, ამ — "პლაგიატიას",
რამდენი ვიარე, არსად შემხვედრია,
ნეტავი მანახა, რა ფერის აცვია
მარჯვენა ხელია , თუ არის ცაცია?!
თუ მხოლოდ ხანდახან, სიმართლე მანუხებს
ვამბობ და ზოგჯერ ხომ , არც ისე ლამაზად,
ყოველთვის შენს სათქმელს, ვერ იტყვი ისე რომ:
არ დაახურადოს მავანმა აბაზად!
და მაინც ითქმება, სათქმელი რაც არის,
ზოგის შედეგია და ზოგის უბრალო,
ყველა ლექსში არის, მარცვალი სიმართლის,
ვისაც რა ანუხებს და ვინც რას უგალობს!

* * *

როგორც ჭილყავნი დაჰფრენენ-
სამშობლოს ცაზე ძერანი,
მოხიბლულს მისი სიტურფით
მტერს გული უძგერს ვერანი.....
ჰვი ! რა ძალა გქონია....
შენ საქართველოვ მზიანო,
ვამაყოფ შენით, ვამაყოფ,
ქედმოუხრელო სვიანო.....
ცა ზურმუხტისფრად ნაფერო,
მინაო ბარაქიანო
ჩემი სამშობლოს მთა--- ბარო,
გორებო აღმართიანო...
იქნებ გვეღირსოს გავზარდოთ,
დავითის მსგავსი სახელით,
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი.....
რამდენი გმირი გვყოლია,
დაგირწვევია აკვანი,
ვამაყოფთ მათი გმირობით,
დღეს თაობაა სხვაგვარი.....
გაავებულა ჭიხვინებს,
ტორებს სცემს, ტატოს მერანი...
ზვიადაურიც ხმაღს ლესავს.....
ცხენზე ამხედრდა ლეილაი---
ეგებ ინებოს უფალმა,
გაგვმარჯვებოც მტერზედა,
სანათას , რწმენით ვილოცოთ,
მუხლმოყრით, ჩვენს ხატებზედა.....
საქართველოა ქვეყანა,
წილხვედრი ტურფა დედისა,
ჭირშიაც მაგარს არ უყვარს,
სუსტად მოდრეკა ქედისა!

***სანამდე შენთან მოვალ–

მუხლმოყრით შეგთხოვ— ერთსო...
სულზე დანთებულ სანთელს
გთხოვ, ნუ ჩამიქრობ ღმერთო!
ვიცი მუდამ ხარ ჩემთან,
ავდარშიცა და დარშიც,
რომ, მშველი გასაჭირში
არასდროს მტოვებ გზაში!
ვეძებ, ნაკვალევს შენსას
ვეძებ, დღითა და ღამით,
შენს სახეს ვხედავ ყველგან

ტანჯვასაც ბევრს ვძლევ ამით!
შოლტის ხმა მზარავს ისევ-
შენთვის ნარტყამი ღმერთო,
წამებას იტან უთქმელს
შენ, დაცემულთა ბევრსო!
ჯვარზე აზიდულ ცოდვებს
აღარ გაკმარეთ ჩვენსო..
ცოდვილები ვართ, ჯვარცმით...
გთხოვთ დაგვიფარე ღმერთო!

* * *

რაც ვთქვი, არ იყო არც
ბევრი,
არა ყოფილა, არც
ცოტა,
რაც არ ვიცოდი ვერა
ვთქვი
არცოდნა იყო
არცდვა...

ვნერდი სულ უბრალო
სიტყვებს,
არც არა
მაღალფარდოვანს,
აზრს დავეძებდი
სიმართლის
გლახურ კილოში
ნაპოვარს...

უფლის განგებას
ვლოცავდი,
სანთელს ვუნთებდი
მაცხოვარს,
მას ვავედრებდი
სამშობლოს,
და ჩემს, ერთად— ერთ
სახსოვარს!

* * *

რით ააშენა
კლდის წვერზე,
რა ძალა ჰქონდა,
რა რწმენა?
ვინ აიტანა
ლოდები,

მონასტრისათვის
რა ხელმა?!
თავზე დაადგა
ქვეყანას,
უფლის წყალობა

საშველად,
ღმერთო, დალოცე
ახარე,
ქართველი კაცის
მარჯვენა!


* * *

ვაზის ადგილი ხარ —
ღმერთი, რომ ეძებდა,
„ღვინის აკვანი“ ხარ
ჩემო საქართველო,
ფეხზე დაგიდგები
ფიალით ხელში და,
შენს ჭიშ და გენს ვლოცავ
ჩემო სასახელო...
შემივსეთ ფიალა —
უნდა ვეზიარო,
ეს ქრისტეს სისხლია
თან ტკბილი ბადაგი,
ოდითგან კურთხეულს
მუდამ უგალობდნენ,
ქალწულის თმებით აქვს
მას ლერწი გამთბარი....
დამისხით ღვინო და
უნდა ვადღეგრძელო,
დღეს ჩემი სამშობლო
ასე დაკარგული,

გმირული წარსული,
წმინდა ადათები...
ლხინი და მოლხენა
მის ფესვში გადგმული...
დამისხით, დღეს მტრებთან
გადავალ ალავერდს,
ერთობას დავლოცავ
მე, ვაზის ნაჟურით,
ნატავ ვის რად უნდა
ისეთი დიდება,
თუ ხინჯად იქნება
მისივე მამულის...
მინდა ვადღეგრძელო მე
ყველა ქართველი,
ვინც მხოლოდ
მამულის ფიქრებით ივსება,
ტაძრის კედლებზეც ხომ
ვაზები ხატია,
და სალაგალობელიც
აქ ,ვაზით იწყება...



ნელი სანებლიძე


 უნინ და ახლა

როცა კითხულობ
ლექსს გაფითრებულს,
ასდის ნისლი და
ფარავს ღრუბელი..
შემოდის ფიქრში,
გარდასულ დღეთა,
სულის კადრები,
განსაცვიფრელი..

.....

ადამიანად ყოფნა
არ ყოფნის,
დგება დროება –
ნირგამოცვლილი..
გაოცებული აღამებ
დღეს და
ღამეა დღისგან,
სულ-გათან-გული..

.....

განუხებს ახლა,
ახალ დღის განცდა..
არ იცი თანაც,
სადაა სხვა ცა..
იმედს კი მაინც
გაშლია ფრთები,
მიიწვეს ზეცით..
მაღლა და მაღლა.. 

ფ ი ქ რ ე ზ ი რ აჭის ნისლში..



ცისფერ ნისლში გახვეულა ფიქრი,
დრო კი ჩუმი გამალებით მიჰქრის,
მიაქვს მძიმე ნიაღვარი სულის,
ქარი ფოთლებს-გარს შრიალით უვლის..

ცა-ცას ღრუბელი ახრჩობს,
თმა-თმას ჭალარა ათოვს,
გული-გულს სიცივე აკრთობს
ყინვამ, რომ დასუსხა ახსოვს..

წვიმს, სცრის, ქარი ჰქრის..

წვიმა ქარით იკრებს ღონეს,
სევდა კვნესის და მალონებს,
ქარი უსისინებს ფიქრებს,
ლოცვამ ძალა მოგცეს იქნებ...


ლოცვა-ლოცვას აიყოლებს,
ნატვრას ზეცა გაიგონებს,
ბინდი ნაცრისფერი ბინდი,
ფიქრი ფიქრს მიჰყვება, მიდის..

ან იქნებ მოდის და რჩება შენში..

≡ მადლოზა ქაჩაი და დიდუბაის ≡

დატყვევებულ ქართულ სიტყვავ,
მე შენით მშვენიერ განდობა ფიქრთა..
შენა ხარ ღმერთის ნება და აზრი,
სიბრძნეს ფლობს შენსას ბებერი ლაზი..

თურმე ლაზარე რქმევია ქართულს
და შეუნახავს იდუმალ სიტყვა...
ჩვენი წინაპრის ნაანდერძევით
გაგვანდობს იგი ჩვენ ყოვლადწმიდას..

ქართველს ის დარჩა ელოდოს რწმენით..
რომ აუსრულოს ღმერთს თვისი ნება..
და მოწინებით მადლობა ვუთხრათ
ბრძენი ზოსიმეს - - დ ი დ ე ბ ა ქ ე ბ ა ს... 

● ორი განხილვა – ერთ არსში..

.....

გვეიმედება თუკი
გრძნობები,
საოცარია მაინც
განცდები..


სულიერებით არის
მოცული,
ხორციელების,
ლაბირინთები..

ჰოდა ინთები,
როგორც კანდელი,
ზეცის ფიქრებით..

საოცარია და
საკვირველი,
ეს, ყველაფერი..

ცხადი მითებით,
ვნივთდებით,
ვფორიაქდებით..

მერე ვმშვიდდებით,
ერთი სიტყვის ..
შემიწყალე..ს
თვინიერებით..

და მაღლა მზე-რით,
ისევ ვფიქრდებით.. 

26 04 2021 წ.

✿ თანხმობა უფალთან..


არ მხიბლავს სიტყვები, წუნუნა..
არ მიყვარს იმედის არ ქონა..
ლექსით ნაჟური სიტყვებით,
მიყვარს უფალთან თანხმობა..

ცხოვრება მრავალ ფერებით,
ხან არის, მოსა – ფერები..
ხან ტკვილია გამოცდის,
ხან სასწაული – ოცნების..

ბედისწერაში ნათქვამი –
მისი ავან და ჩავანი..
ცხოვრება ერთი წამია,
სიკვდილ-სიცოცხლე მავანის..

ცხოვრება-სიყვარულია,
უფლის ხელდასმა, ყოველის..
ცხოვრება ერთობ, რთულია,
და მაინც, ფერადოვანი..

ცხოვრებაშია, ყოველი,
სიხარული და ტკენანი..
ჩვენ ვერც ვერაფერს ვერა ვწყვეტთ,
ბედია – ბედისმწერალი..

ან რას გავხდებით დიდ
გონთან-მისით მოძრაობს,
ყოველი.. განგებამ მოგვავლინა
და სიახლეს -მისგან მოველით... 

დადლილა....

.....

ასდის ცას ორთქლი,
დედამინის – დადლილა, ცქერით..
ყანყალებს ღერძი
ცოდვისნაყარ, კვირტების ფერით..

სისხლად ინთხევა
რაც ვერ იქნა მონელებული..
ღმერთის მონართმევ
სილამაზეს ელევა – სული..

გაბაცდა მთვარე,
გააყვითლა – ზღვა სიყვარულის
დავდივართ ხორციით
ნაგვემი და გვიმზერს უფალი..

ამოდის მზე-უცოდველი
ვითარცა ბავშვი
ახლით იწყება დღე და
ვხდებით თავისუფალი..

უსასრულობის ჯაჭვითა ვართ
მიბმულ-შეკრული,
გვინდა, არ გვინდა,
ერთმანეთზე – გადაჯაჭვული..

.....

რამდენი რამე
გაგვხდომია წუხილ ვარამი..
სულია ჩვენდა სანუგეშოდ,
ზეცით – სავალი...

ქრისტე აღსდგა!!!

🍎🌱 ნათელი
კვლავაც ჩამოდგა,
წმინდა ცეცხლის,
ნათლით ნათელი..
დროს მოუცია
ამ დროებით,
ის განსაცდელი,
რომელიც ნატვრა-ლოცვითაა
ფრთა გასაშლელი..

რა საკრალური ფერებია,
ალი სანთელის..
რამდენი რამე დამრჩენია,
მისთვის სათქმელი..
ტირის წვეთები,
ლანდად ბუუტავს ქუჩის
ფანრები..
წვიმს გააფთრებით..

მივესალმები
მტირალა ხეს,
დუმან ფანჯრები..
სხვაფერი წვიმა,
ლამეს სხვაფერ,
ესალბუნება,
წვანან ღრუბლები..

.....
იმედი მრჩება,
ცეცხლის ნათების,
ზეცის პასუხით –
უცებ ვმშვიდდები.. 🌱

სხვა სიხოცხლა..

🌱🌤
სიზმარით გაფრენილო ფიქრო..
სინამდვილე ნუთუ მართლა იყო..
ისევ სიზმარს შევეფარო-მინდა,
ვერ მომაგნოს-ვინც რომ მე არ მინდა
{შავი-შავ სიკვდილის ფერი}
ბედისწერის წიგნი ჩავიხუტო,
ამოვკრიბო,წმინდა ადგილებად..
დავივინყო, რაც სიცოცხლის ტკივილს,
მოაქვს ასე – მოულოდნელობად..
იმ ცხოვრების – აჩრდილივით შემკრთალს..
იმ ცხოვრებით, დასჯილსა და შემცბარს..
ნაოცნებარს,ზოგჯერ ფერადსა
და ზოგჯერ, შავად მოფენილო სევდავ..
ბევრი ცვარი, ნამი და ცის, ფანდით
შემშლელია გაფრენა ზეცამდი..
ციდან ჩამოყრილხარ დარდში
ელობები სულს, ზემო-წინსვლაში..
მიყვარს ლალი სიზმრის შეგებება,
სურვილების,მშვიდი აღმაფრენა..
მოშორებულ მიწის ცდომილების
და სიცოცხლე ცისფერ ღრუბლის ფენა..
თეთრ იისფერ რაშთა გადაფრენა –
მათი ფრთების,სილამაზის ცქერა..
აირია ძილ ბურანში ყველა –
რეალობამ ყველა,გადათელა.. 🌱
ასე მიჰქრის, ამ სიცოცხლის ფრენა..
სხვა სიცოცხლის ფიქრთა შესაქმნელად..





გიგი თეთრადე

* * *

ასეა ყველა დათვლილი წამი,
ჩემი სიცოცხლის მიცურავს ნავი,
გავა წლები და იტყვიან მერე
სიყვარულისთვის განირა თავი.
მიჰქრის ცხოვრება თავისი რაშით,
მეც მას მიყვები დამონებული,
ო როგორ მინდა დრო შევაჩერო
წლები დავტოვო გაოგნებული.
დღითიდღე მითრევს ცოდვის ჭაობი,
ბილწი ფიქრებით გარბის წუთები,
დღევანდელ ღამეს თეთრად გავათევ
და ალიონზე აღარ ვიქნები.
სიკვდილის მონად მაქციეს წლებმა,
და ველოდები გამონათებას,
აღბათ ჩაქრება წამი სიცოცხლის,
ვეზიარები ცად აღმაფრენას.

2016

დავტოვებ სიხოსხლეს

დავტოვებ სიცოცხლეს გაშლილი ხელებით
არ შემეშინდება სიკვდილის ფერების,
ჩემი დარგული ამოვლენ ხეები,
მერე კი დავტკბები მე მათი ფერებით.

გავცდები სანუთროს დარდებს და ტკივილებს,
ფარდა დაეშვება ბნელი და უკუნი,
ჩემს სატკივარს აქ ვინ გააყუჩებს
მიდი ცხოვრება გააბოლეთ ვგ მწარე თუთუნი.

ქარის ზუზუნში ფიქრი ამერია,
არ მინდა უმზეოდ წლები გავიდე,
უფალო არ ვიცი დღეს რა მომერია,
აღბათ შევიშალე და უნდა გავვიყუდე.

გონ არეული,ოდნავ ნამთვრალევი,
უხმოდ მივუყვები ოცნების ნაპირებს,
ღმერთო გამითენე დილა ბედნიერი,
თორემ ფიქრები მომკლავს და წამილებს.

ღმერთს კი არ ესმოდა ჩემი გულის ძგერა,
ღმერთმა ვერ გამიგო უბრალო ცოდვილს,
იცი უფალო, ცრემლი მენატრება,
ჩემი თვალებიდან ის აღარ მოდის.

1.7.16

* * *

ითმენდი ტკივილს,
ქრისტესავით ითმენდი ჭვარცმას,
გადიოდა სისხლი, ცრემლები ნაცვლად,
შენი გზა ქვეყნად არავის არ ჰგავს,
უძირო თვალებს სიმუქე დაჰკრავს,
დარჩენილ წუთებს ცხოვრება ფანტავს,
აპირებ ახლა მომავლის ხატვას,
ჯდები და იღებ უფერო ფანქარს.
ითმენდი ტკივილს,
ითმენდი ჭვარცმას,
შენი ტკივილი
არავის არ ჰგავს.

20.05.18





მარი ბიბილური

როგორ დავყარეთ ფარ-ხმალი,
მტერი მიუშვით ნებასა,
სამშობლო მთლად მივატოვეთ,
ვგმობთ დიდი უფლის მცნებასა.

დაჟანგებული ქართული,
ხმალი წინაპართ ნაკურთხი,
ვერ გადავლახეთ გზა რთული,
ვერ გავუგზავნეთ საკურთხი.

მტერს უპასუხოდ დავნებდით,
როგოც ,ბრიყვი და აბდალი,
ერთმანეთს ვხოცავთ დანებით,
ვერ ვცანთთ,მტყუნ და მართალი.

ქალს ჩავაბარეთ სამშობლო,
ენაც არ იცის ქართული,
თავისი მიზნები აქვს და
არის ფიქრებში გართული.

ეხლა, მეორეც გამოჩდა,
თამარ ქალობა სწადია,
სურს სამეგრელო დაიპყროს,
და იყოს მისი გადია.

ვაი თქვენს დედას ბეჩავნო,
ვაი შენ- ჩემო მამულო!
შვილებო,მგოსნად დაბრდილნო,
უდედოდ გადაკარგულნო.

ვაი,-ქართველო ვაჟკაცო!
და შელახულო ღირსებავ,
ნეტავი გამოღვიძება,
თუ ოდეს,კვლავ გედირსებათ.

18.05.2019.

დღესაც გაავდრდა, წვიმს და წვიმა მისველებს ფიქრებს,
დღესაც ტირიან მონატრებით ჩ ემი თვალები,
-ოჰ , გულოვ ჩ ემო, რამდენ რამეს იტევ და ითმენ,
რით ვერ გავლიეთ ,ეს დღეები განანამები?!
სულ დამისველდა ეს გრძ ნობები , ნაკონინვეი...
სხეულს შ ეახმა სული, უკვე ღ მრთისგან გამწყრალი,
მე ხომ ყველაფერს, სიკეთისგან ვაკონინებდი,
-მითხარით მაშ ინ , რად არ ყოფნის ამ სულს საგზალი?!
-მითხარით მაშ ინ, სად დამთავრდა ბილივი უფლის?!
გზა მაღლიანი, რომ მატარა რწმენით და რიდით. ..
-მითხარით ხალხო! -ვინ გამიბა
აქ ცოდვის ყულფი,
ან სად დავკარგე, ამ ცხოვრების მეგზური-გიდი.

11.05.2021.

უნდა გადაგმალო საქართველო...
ვფიცავ, არ გავამხელ სად ხარ.
როგორ დამეღალე სადარდელო
როგორ აგირიეს თავგზა.

უნდა გადაგმალო საქართველო...
ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქეთ, სადღაც..
უნდა დაგასვენო ყველასაგან,
გეყო წვალება და დაღ ლა.

გულზე ჭრილობები დაგიკემსო,
ფეთქვა გაგიხშირო მაჯის.
მკერდზე გვირილები დაგაბნიო,
ჩ ემთან გადაგმალავ მთაშ ი.

-უნდა გადაგმალო საქართველო!
მაღე მოგაშორო ავ თვალს.
როგორ დამეღალე სადარდელო..
როგორ აგირიეს თავ-გზა.

უნდა გადაგმალო, დამიჭერე,
ალარ დაგვრჩენია სხვა გზა.
გულით ქართველებს მსურს
ჩ აგაბარო..

ვიცი, მოგივლიან კარგად..♥

2018.მილანი.

ყველას რაღაც ჩინი ერგო,
ზოგს ვარსკვლავი, ზოგს სიგელი,
ჩემს გულს მხოლოდ სევდა ერგო,
და ობლობა საძაგელი...

ყველა დიდებისთვის იბრძვის,
ლექსებს ვაზმავს, როგორც რაში ი
ჩემი ლექსი ცეცხლში იწვის
მეკვირვები, კვლავაც ბავშვი.

ყველას ტკივილები მტკივა
გულში ი საქართველო მეწვის,
მტკივა უსამშობლობა და....
ეს წუხილი არვის ესმის.

წლები გადის სხვის მიწიდან
ვსტირი, მოვთქვავ გულში იწადებს,
ყველა სტროფი ჩემს წიგნიდან
გულში ი იარებად მადევს.

მტრის ჭინაზე კვლავ ვიღიმი ..
მზეს ვუსწორებ მწუხარ თვალებს,
ბედისწერაც კვლავ ღილინით,
მომყვება და მითვალთვალებს.

ცოცხალს, არვინ არად მაგდებს,
ვის რად უნდა ჩემი ლექსი,
მხოლოდ სამშობლო მადარდებს,
ჩემი დარდიც იმას ესმის.

როცა წავალ იმა სოფლად,
დამაყრიან ცრემლებს ფუჟად,
რა აზრი აქვს ან აქ ყოფნას,
კეთილს პირი აღარ უჩანს.

2021. მილანი

ცის საკიდზე ჩამოვკიდე,
ცრემლი წვიმის წვეთებად,
ინვიმებს და ჩემს მშობლიურ,
ველებს დაეწვეთება,
მონასტრების ლექსებს ვუნერ,
სხვის ზეცის ქვეშ შედევრად,
ჩემს მშობლიურ,
ღვთიურ მიწას,
ქვეყნად რა შეედრება?!

თუ საქართველოს ბედი არ გტკივა
მისი ტკივილით, გული არ გწვის,
მაშ, შენ ქართველი სულაც არ გქვია,
რატომ იბრალე, რა ძალა გერჩის?!

თუ საქართველო გულში არ გტკივა,
თუ არ გადარდებს შენ ერის ბედი,
მაძლარი გორავ და მოძმეს შივა,
ქართველი ვარო-ნურავის ეტყვი!

ახლა თუ ქართველს სანოლში სძინავს,
თუ დარდმა მკვლელი ძილი შეჰყარა,
ნურავის ეტყვი რომ ქართველი ხარ,
რომ გიყვარს შენი ცა და ქვეყანა!

როცა შენს შვილებს ბოროტი იპყრობს,
როცა მათ სულებს სევდა ატყვია,
თუ არ ლოცულობ, მათი სულისთვის,
მაშ, არც დედა ხარ და არც გადია!

თუ ერთხელ მაინც არ გიტერია,
თუ ცრემლის კვალი თვალს არ გატყია,
თუ შენი მიწა, ერი არ გტკივა,
მაშ შენ, ვინა ხარ, ანდა რა გქვია?!

ნუ დაიბრალე, მაშ ქართველობას,
ფუჭი სიტყვები არად გარგია,
ქართველი ვარო, მხოლოდ მაშინ თქვი,
როცა სამშობლო გულში გატყია.

14.05.2018.
მილანი.

ბევრი მიწა მოვიარე,
ბევრი უცხო ვერია,
ბევრი ვაციც დავიმოყვრე,
გავიჩინე მტერიაც,
სხვისი მიწის გაზაფხული,
ჯერ ვერ ამიღწერია,
რადგან გულში ი სასაქართველოს გაზაფხული
მწვევია.

*****09.05.2020
04:28.

ლექსი რომ დაწერო, სიყვარულით უნდა გქონდეს სავსე ფიალა,
ლექსი რომ დაწერო ,უნდა გწამდეს „უფალი ღმერთი“!
-არ დაგიმონოს წუთისოფლის ფუჭმა ტრფიალმა,
-არ დაივიწყო,რომ უფალი ენაშა შენთვის.

ლექსი რომ დაწერო,სხვისი ჭირი უნდა გტკიოდეს,
სხვისი ცრემლები გისერავდნენ სახეს მადლიანს,
როცა სხვას შია ,არც შენ სჭამდე ,შენცა გშიოდეს,
და არასოდეს, არ დასცინო ბეჩავს-დარდიანს.

ლექსი რომ დაწერო, გულში ავი არსდროს ჩაიღო,
სტროფები ლექსის ლოცვასავით უნდა დაათბო,
სხვის გულის ცეცხლზე შენი ხელი არსდროს გაითბო,
და შეეცადე სხვის ყინული ლოცვით გააღლო.

ლექსი რომ დაწერო უნდა იყო ცოტა სულელიც,
ცოტა ალალიც,როგორც ბავშვი,როგორც პეპელა,
რითმები იყოს მოვარდნილი როგორც ქარაფი,
ლექსზე უნდა სთქვა: - უნებურად შემომეწერა.

ლექსი რომ დაწერო სიყვარულზე, იყავ ალალი.
გულში არ გედოს სიცრუე და მოძ მის დალატი,
შენმა ნაწერმა არ მიაყენოს შენს ძ მას ბარალი,
ლექსით იცოცხლე და უფალშ იც, ლექსით ამაღ ლდი!

ლექსი რომ დაწერო, გული უნდა გქონდეს ღვთიური,
ძარღვებს ხეთქავდეს, ვით კალაპოტს შლეგი არავგი,
როცა კალამი უფლისაგან არს კურთხეული,
წერე სიმართლე და ლექსებით ღმერთშ ი ამაღ ლდი!

მილანი.
*****09.05.2020



როგორც ჩემს თბილ საქართველოს,
ვარს მომადგა ურცხვი მტერი,
თიბავს ჩემი გრძნობის მდელოს,
დაუნდობელ,ბლაგვი ცელით.

ებრძვის, უფლის ნაკურთხ კალამს,
მელანს გაურია გესლი,
მაგრამ მაინც სიყვარულზე,
და სითბოზე ვწერე ლექსი.

ბევრი შხამი მაჰკურეს და,
ბევრიც მსროლეს,სიტყვა ბილწი,

თმენითა და სიყვარულით,
ცის საკიდზე, რწმენას მივწვდი.

ვერ დამაკლეს ვერაფერი,
უფლის მადლი,რწმენა მფარავს,
ამიტომაც ვეტრფი უფალს,
ვეთაყვანე, უფლის ძალას.

ბევრი დარდი, მარგო წილადა,
ცუდთან ,გამეჩია ვარგი,
მომამორა ტკივილი და
ამა სოფლის, ფიქრი-დარდი.



თამად მე ვარ ცრემლიანი ფიალით ხელში,
ჩემი ფიქრები დამტვრეული გადავკეტე აქ უცხოს სხვენში,
-ღმერთო! არავინ არ ამყოფო ამ წყეულ დღეში,
მონატრება და სიყვარული ჩამაკვდა ხელში.



ამეკვიატა ფიქრი ტიალი,
რომ ვერ დავბრუნდე, რომ ვერ
გიშველო...
რომ ველარ შევძლო შენი ტრფიალი,
შემოდარცულო... სულ მთლად შიშველო...

რომ ვერ შეგმოსო ჩემი ლოცვებით,
ვერ აგისრულო რასაც დაგპირდი,
მეც რომ დავიხრჩო, ამ ჩემს ცოდვებში,
რომ ველარ ვპოვო ბედის ნაპირი....

გადავინვინე მკლავზე ეს ღამეც,
ფიქრებს მივეცი თავი თავნებას,
მთვარე მთვლემარე მიჰყვება ამბებს,
თითქოს მორცხვობს და მეთავმდაბლება...

და...ჭორაობენ ეს ვარსკვლავები,
ვით ძველი სოფლის, გლეხის ქალები,
გული ამ ღამის ნატრფიალები...
გახდება ხვალე ნაჭორავები.

თითქოს მიმიხვდა გულის ნაფიქრალს,
წამომახურა ღრუბელმა „ქულა“
ღამემ კი ჩემით განაწამებმა,
ჩემი ფიქრები წამოიხურა.

უკე დაღლილი და გაოსილი,
არ დაბრუნების შიშმა დამძლია,
სული ლოცვებით,რწმენით ნაკვები,
შედრწუნებული სხეულს გაყრია....

20.06.2020



დარდით და სევდით ავაშენე დიდი –
„ხუხულა“,
რწმენით ავუნთე გადაღლილ სულს ერთი
სანთელი,
ველარ გაუძლო, შეაშინა ჭექა-ქუხილმა,
თავზე დამემხო, შემატოვა ტუჩზე
სათქმელი. ♥

ასე შემოვრჩი ამა სოფლად როგორც –
„ფუფალა“,
ცოცხალი-მკვდარად დამიტირა
ჭირისუფალმა,
ჩემი დარდი და გასაჭირი,
ერთადერთმა იცის უფალმა,
სხვის კერიაზე, ჩემი მიწის
დარდის სუფრა მაქვს.



უნდა გადაგმლო საქართველო...
ვფიცავ, არ გავამხელ სად ხარ.
როგორ დამეღალე სადარდელო
როგორ აგირიეს თავგზა.

უნდა გადაგმლო საქართველო...
ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქეთ, სადღაც..
უნდა დაგასვენო ყველასაგან,
გეყო წვალეზა და დაღლა.

გულზე ჭრილობები დაგიკემსო,
ფეთქვა გაგიხშირო მაჯის.
მკერდზე გვირილები დაგაბნიო,
ჩემთან გადაგმალავ მთაში.

-უნდა გადაგმლო საქართველო!
მალე მოგაშორო ავ თვალს.
როგორ დამეღალე სადარდელო..
როგორ აგირიეს თავ– გზა.

უნდა გადაგმლო, დამიჭერე,
აღარ დაგვრჩენია სხვა გზა.
გულით ქართველებს მსურს
ჩაგაბარო..

ვიცი, მოგივლიან კარგად.. ♥

2018.მილანი.



მე ახლა ვზივარ და რითმებით შენს პორტრეტს ვხატავ,
ფუნჯად მზის სხივი დავიჭირე რძნობით გამთბარი,
მე ამ სიყვარულს, ყოველ დილით ლოცვებით ვქარგავ
შენს ღამაზე სულს რომ არ ეწვიოს ცივი ზამთარი.

გულში მოგიწყობ სიყვარულით გამთბარ კელიას,
და გულის კარებს გადავრამზავ რომ არ გამიფრინდე,
ეგ სევდიანი,ჭირვეული, გული ჩემია,
მე მეკუთვნის და მხოლოდ ჩემი ლოცვა ამჟ ვიდებს.

ვერ შეველევდი ამ სიყვარულს, თუნდაც დარდიანს,
იყოს სიმორე,მთავარია რომ შენ არსებობ,
ეს სიყვარული, ჩემთვის ახლა ისე მაღლია,
დაღლილი გული იმედით და რწმენით ამევსო.

თუ წახვა ჩემგან ,დამიმონებს, ურჩი ზამთარი
გამინადგურებს, სიყვარულით გაუღენთილი გრძნობებს,
ქვეყნად ასეთი სიყვარული ვფიქრობ არც არის,
შორსა ხარ ჩემგან , ჩემს სულში კი ნაკვალევს ტოვებ.

10.05.2018.

მილანი





ნონა გაგნიძე

* * *

წვიმას ზეცის სურნელი
აქვს ,
ჩამორეცხავს ცოდვებს,
მელოდია ხმის წკარუნის ,
გადაფარავს ჭორებს.
მოგონებებს დაასველებს,
მონატრებას წლებად,
გავსებული გუბეებით ,
გაზაფხული დგება.ნ.გ.

* * *

ფეხი დავადგი სიკვდილის
ლოდებს,
ფრთები შევიბი მხესთან
მივდივარ,
ცბიერო გადექ!არ
მომეკარო,
დაგწვავ,დაგწყლულავ ,არა
დ მინდიხარ.
სიცოცხლის მშვიდი
მჭირდება სფერო,
საქანელათი დავინყო
ბრუნვა,
ღმერთს
ვუმადლობო ,გრძნობებზე
ვწერო,
არ დამჭირდება არავის
ზრუნვა.ნ.გ.

* * *

რომელ საფეხურზე ვარ არ
ვიცი,
რა ადგილი მაქვს ვერ ვნახე,
მაგრამ უფალო გჯეროდეს,
მინდოდა მარტოს გენახე.
ატირებული სულ სხვა ვარ,
ვერ ვცნობ იმ წუთში
ვერაფერს ,
გახსნილი სულით ცრემლს
ვგავარ ,
გახსლულზე რომ სდის
ვენახებს.
იცი ჩემზე რომ არ ვტირი?
მე სხვათა დარდი
მატირებს,სხვათა ობლებზე
ფიქრები ჩემებსაც
გამომატირებს.

* * *

დაღლილ სხეულზე სული
სწორად თუ ვერ გაცვია,
საკუთარ თავის უნდა
შეძლო მოტივაცია.
შთაგონებები არშიებად
სულს ჩააყოლე,
სხვებს თავს ნუ ადრი,
უარყოფითი წყალს
გააყოლე.
საკუთარ ეგოს მართვა არის
ბედნიერება,
წარმატებაში ველარავინ
ვერ მოგერევა! ნ.გ.

ლოდების სიძველეს
ხავსები შეავსებს,
ყველგან გზამოჭრილზე
სათქმელს დავამინდი,
სულში სიმშრალეა,
გულში კი იავდრებს,
ალბათ მოგონებებს უკვე
დავაავიწყდი.
გონება არეულ ფიქრებში
ირწევა,
წარსულზე მიკრული,ვერ
ვხედავ გაზაფხულს,
სიცხეში ზაფხულსაც მზეები
დამინვაავს,
იმედს გამოვძებნი ათასჯერ
დამარხულს .ნ.გ.

ნეტარებაა რწმენა,
სულს ედემ-ბაღად გაშლის,
განა კი რამე გრჩება?
ამაოების ნაწილს.
ცხოვრება წუთებია,
იმასაც სხვა თუ მართავს,
ჩემ გადაქანცულ სულში ,
უფალი რწმენით მნათლავს .
ჩრდილებს მაცილებს
მზერა,
შიში არ მრჩება გულში,
ხვალე არ ვიცი მაგრამ,
დღეს ავიყვავე ნუში!
ფიქრები მოვიშორე,
თვით მხეცსაც შევებმევი,
მადლი მაქვს ,ძალა მომეც ,
ღმერთს ამას ვევედრები!
ნ.გ.

ბრძმედში გატარებულა
გული ჩემი,
შეცდომათა რიგებში
სიკეთე მშველის,
ყოველი ცრემლი ლოცვად
ქცეული,
ცისკენ მიფრინავს სულით
ეულით.
სწორი გზის ძებნა
არასდროს დამღლის,
უფალს ვადიდებ
დილა ,სალამოს,
მიწიდან ცამდე ვერ
მიმწვდარ მანძილს,
ჩემი გოდება მიწდა
გავანდო.ნ.გ.

წლებმა საჩუქრად
დამიტოვა გულზე იარა,
სიბრაზემ
ჩემმა,აღშფოთებამ
გადამიარა,
ყველა ჩემს ნაოჭს სახელი
აქვს,
სარკე კი არა,
გატკინეთ რამე? არა მგონია
დამნაშავის გზებით მეარა..
სიკეთეს ვაცის ,ნუ დააყრით
მკაცრ ირონიას
ჩემთვის წამალი ტკბილი
სიტყვა და მირონია,
თუ სიყვარულმა უფერულად
გამიყოლია ,
არც სხვას წავართვი
არაფერი,არც მითხოვია!ნ.გ.





ნანა ჩარკვიანი

დუმილით ნათქვამი ფიქრი

დავდივარ ტაატიტ ქუჩებში,
ფეხდაფეხ დამყვება დუმილი.
არ უნდა დაკარგო იმედი
სიკვთის კეთების სურვილი.
ქვეყანა ხელიდან გვეცლება,
ყორნებმა ჩქმიტეს და
დაკორტნეს.
ეს უსამართლობა მტკივა და
ეს უსამართლობა მოცებს.
არ მიყვარს,თუმც არეულობა,
ვერ ვიტან ქუჩებში ამბოხებს.
დუმილიც ღალატის ტოლია,
რას ვეტყვით,მომავალ თაობებს.
შვილმოკლულ დედათა გოდება,
სახელებს,ხმამალლა

ბიჭები,ერთმანეთს ხოცავენ.
სამართლის,დგას უსამართლობა,
განუკითხაობა ზეიმობს.
კანონი,ყველასთვის ერთია,
დიდმა და პატარამ შეიგნოს.
დილა იწყებოდეს ღიმილით,
ღამე ღამდებოდეს მშვიდი.
ხალხმა ერთმანეთში კვლავ
გადოს
ძმობის და მშვიდობის ხიდი.
თაობებს კვლავ ჰქონდეს
მშობლების,
პატივისცემა და რიდი.
ერთმანეთს სიყვარულს
ვჩუქნიდეთ,

დედის როლი

დედა რომ გქვია,
უფალმა,რომ
გაჩუქა შვილი.
დედას მიუძღვის
მის აღზრდაში,
ლომისა წვლილი.
გაზარდე,მშვიდად,
სიყვარულით,
შენივე ქმნილი.
ვასწავლოთ
შვილებს
სიყვარული,
შენდობა,თმენა.
„არა ვაც ჰკლა“-ო
დაგვიბარა,
უფალმა ჩვენმა.
დრო,მუხთალია,
ზოგჯერ,არის
წყნარი და მშვიდი,
ზოგჯერ კი მეფობს
სატანა და,
ცხოვრება ფლიდი.
შვილის ცხოვრებას,
ჩვილობიდან,
ნელნელა ვთლიდი,
თუმცა,ჭირდება,
მოთმინება და,

შრომა დიდი.
დედა ყოველთვის,
შთაგონება,
არის შვილების.
მაგალითია,
სიყვარულის,
ნდობის,
სიკვთის.
შვილის თვალებში
იკითხება,
დედის იმედი.
დღეს,სამწუხაროდ
სავალალო
ზღვართან მივედით.
ერთმანეთს კლავენ,
არ ინდობენ
ჩვენი შვილები.
თუმცა დღეს უწევს,
შეტაკება,უფალს
გრძნეულთან.
სანამ სამყარო,
შეშლილა და
გადარეულა.
ვიდრე,ძმა ძმაზე
სასიკვდილოდ
ამხედრებულა.
დედებო!

ისევ,უნდა ვიხსნათ
ჩვენი შვილები.
მეგობრობის და
სიყვარულის
გაკვეთილებით.
ვებრძოლოთ ეშმაკს,
დავამარცხოთ
გამოცდილებით.
დღეს ჩვენს თაობას
უნდა შველა,
გვერდით დადგომა,
თორემ,ხომ ხედავთ,
აირია ახალგაზრდობა.
აღარ არსებობს
ერთმანეთში,
ტკბილი დაძმობა,
აღარც სიცოცხლის
დანდობაა,
გამეფებულა
შური და მტრობა.
ვასწავლოთ შვილებს
სიყვარული,
შენდობა,თმენა.
„არა ვაც ჰკლა“-ო,
გვიანდერძა
უფალმა ჩვენმა.

მე ვინყებ „ბრძოლას“.

| | | |
|--|--|---|
| <p>მე ვინყებ ბრძოლას მიყვარხარ, მარტო არ ჰყოფნის მამულს. შევკრიბავ ყველას, უცხო მხარეში, ჩემსავით წასულს. და, დავიბრუნებთ ჩვენს მიწებს ქართულს. ყველა გამყიდველს კი, მოვსთხოვთ პასუხს. ნეტავ რა გახდა, ეს ერთი მუჭა საქართველო, რომ ვერ პატრონობთ. რამდენი,წელი უმოქმედოთ გადააგოროთ. სამშობლოს ხარჭზე, თქვენ ფულები უნდა აგროვოთ,</p> | <p>მშიერ – მწყურვალი ხალხი გინდათ, რომ დაამონოთ. ახალგაზრდები, პლანით გინდათ, რომ დააბოლოოთ. ერის ღირსება, ამბიციებს გადააყოლოთ. მე ვინყებ ბრძოლას, სიტყვა მიჭრის, ხმაღზე ბასრია. ჩემი ქვეყნისთვის, სხვა,სიმდიდრე, არ გამაჩნია. ვერ დავაგროვე, ვერც ქონება, არცა მაქვს ფული. მაგრამ, სამშობლოს სიყვარულით, მიფეთქავს გული.</p> | <p>მე ვინყებ ბრძოლას, იბერია,კვლავ, რომ წამოდგეს. შინაური თუ, გარეული წინკნის,აოხრებს. უმექმედობა, ჩემი ერის მართლა მოცებს. ნუთუ,დანებდით, შეეჩვიეთ ყველგან ქაოსებს. მე ვინყებ ბრძოლას, გაჩუმება,არის ღალატი. უნდა დამთავრდეს, უსამართლოთ, მათი ფართაში. კაცის,სიკვდილი და მიჩქმალვაც, არის თამაში. დროა დავრეკოთ, ყველა მხრიდან ზარი განგაშის.</p> |
|--|--|---|

მონატრებით დავიღალა

| | | |
|---|--|---|
| <p>შენზე ფიქრში, მზე ჩავიდა დასალიერს, გული ისე, გავუშალე ვით,სულიერს. ნოსტალგია მომეძალა ცრემლი ვღვარე. მერამდენედ ავედდევნე ჩამავალ მზეს და, გავანდე, როგორ ძლიერ მომენატრე. მზემ,უმწეოდ აიკვცა ნაწნავები, დამიკოცნა,დანამული წამწამები. ცას იმედად</p> | <p>ამოცურდა ბადრი მთვარე. მას შევჩივლე, უმწეოდ,რომ დავიღალე. სული მქონდა, მონატრებით ნაწამები, შევაშინე ცის კალთებზე უდარდელად შემომსხდარი ვარსკვლავები. ვის მივანდო,ვინ მოგიტანს ჩემს სიყვარულს. გულში, ჩუმად, ხელუხლებლად გადანახულს. იქნებ ქარმა,</p> | <p>მოგიტანოს ის სურნელი, ორივესთვის ნაცნობი და სასურველი. იქნებ დიღამ კვლავ ჩაიცვას თეთრი ვაბა. დაიხუროს კოჭებამდე გრძელი ფატა. მზის სხივებმა, მოგვილოცოს გათენება, როგორც ადრე, მერამდენედ მასხენდება. განთიადის სიხარულით შეგებება.</p> |
|---|--|---|

ნიაჰი

| | | |
|---|--|---|
| ბროლის ყელს შემოგვხვევა, მთით მონაბერი ნიაჰი. ჩამოუქროლებს შენს ბაღში, ყვავილებს შრიალ -შრიალით. ბაგეზეც გეამბორება, განა შლეგივით, სინაზით. ვინძლო ქარმა არ გაიგოს, თავსაც მოიკლავს | სიბრაზით. გადაგიღვდავს გულის პირს, აგიფრიალებს მაქმანებს. მოგეპარება, კოცნაში დაგიღლის თვალეებს, დამფრთხალებს. მთით მონაბერი ნიაჰი, ფეხქვეშ დაგიფენს | ყვავილებს. ჩურჩულით გეტყვის „მიყვარხარ, შენს მოტაცებას ვაპირებ“. ფრთხილად იყავი ნიაჰო, აშარი ქარი გაგიგებს. ჩემს თავს არ დასთმობს იცოდე და სადმე, მახეს დაგიგებს. |
|---|--|---|

რა ლამაზია

| | | |
|--|--|--|
| რა ლამაზია ზეცა, რა ლამაზია მთები. გადმოდენილი კლდიდან, მჩქეფარე ჩანჩქერები. რა ლამაზია,ბაღი, ყელყელა გვირილები. ტყეში ხეების ჯერი, ბილივიც,როგორ ჰშვენის. ქალაქის შუაგულში, ქუჩაში გოგო მღერის. ყური დატკბება სმენით, თვალეები მისი ცქერით. რა ლამაზია კოშკი, იქ მისასვლელი გზები. რა ლამაზია,ზღვა და | ტალღებს სილურჯე ჰშვენით. ზოგჯერ სიმშვიდით გვხიბლავს, ზოგჯერ ტალღების ღელვით. სადღაც ჰორიზონტს მიღმა, სჩანს,რომ მიცურავს გემი. დაფართატებენ ზღვაზე, უსტვენენ თოლიები. რა ლამაზია ზღვაში, სჩანს,მთვარის სილუეტით. ცას ბრწყინალებას მატებს ვარსკვლავი,თვალის მჭრელი. რა,ლამაზია დილა, | მზის ამოსვლა, რომ ჰშვენის, მაგნოლიების,ჩრიდილში, დაფენილ დალალებით. და,მონინებით გზებზე თავს ხრიან ტირიფები. მთას შეფენილი ვაზი, გადაპენტილი ზვრები. ვუცქერ,მომწონს და მხიბლავს, მაგრამ არ არის ჩემი. რამდენჯერ მინატრია, რომ ეხლა მომცა ფრთები, ერთხელაც ჩავისუნთქო, ნაზი სურნელი შენი. მამულო, საყვარელო, რა,ძლიერ მენატრები!... |
|--|--|--|

დაგეძებდი...

| | | |
|--|--|--|
| დაგეძებდა, ეს თვალეები დღისით. დაგეძებდა ჩემი სული ბინდში. სიზმარივით, შორეული,იყავ, სიზმარივით გაიფანტე ნისლში. დაგეძებდი, ვაცეცებდი ხელეებს, სად წახვედი, ვერაფრით ვერ მივხვდი. გეძახოდი, | მთა,იხმობდა ექოს, შემეპარა,მე დაკარგვის შიში. სამყარო,რომ მოიარო ფეხით, ბოლოს მაინც, ჩემთან მოხვალ ვიცი. გულის გულში,კი გაკრთება ეჭვი, მაგრამ მაინც, საყვედურს არ ვიტყვი. მთვარის წვერზე, ჩამოვკიდე გული, თუ გიყვარვარ, | იმარჯვე და მისწვდი. დამიკრიფე, ცაზე ვარსკვლავები, გადავმაღავ, სიყვარულის სკივრში. ეს ბილივი, ტაძართან თუ მიდის, ერთგულეების, კვლავაც, დავდოთ ფიცი. არასოდეს, მიმატოვო მარტო, არასოდეს, გაიფანტო ნისლში. |
|--|--|--|

დარდი ხარ ჩემი

| | | |
|--|---|--|
| <p>სულს დასჩენია, ნაიარევი, ისე, ღიმილმაც ვეღარ დაჰფარა. ყველას ჰგონია, რომ ვარ ძლიერი, მაგრამ,ქალი ვარ სუსტი,ჰატარა. შენზე,დარდმა და შენგან, შორს ყოფნამ შემომჩვია, თმაში ჭაღარა. ჩემო მამულო! დარდი ხარ ჩემი, ნაოჭმაც შუბლი ლამის დაჰფარა. მონატრებამ და შენმა სურვილმა,</p> | <p>ვერატრით თავი, ვეღარ დამალა. არ ვიცი,ასე, თავდავინყებით ჩემი სამშობლო რამ შემაყვარა. დაუსრულებლად შენზე ვლოცულობ, შენი მშვენება, კვლავ,რომ მანახა. ეხლა მხრებს განევს მძიმე,უღელი, არ მინდა,შენი ცრემლის დანახვა. აყვავებული, ჩემი სამშობლო, დედაო ღვთისავ რომ დამანახა. ქართველი ერის</p> | <p>ლადი ღიმილი, იმედი,რწმენა სითბო მანახა. სულს დასჩენია ნაიარევი და მონატრების, ბოლო არა სჩანს. ყველა დარდი, და, ყველა ტკივილი, გულსა და თვალებს მაინც დააჩნდა. მიმოფანტული ემიგრანტების, შენს უბეს მინდა ერთად დანახვა. შენი ტაძრები, სინმინდეები ფეხშუშველი,რომ შემომატარა.</p> |
|--|---|--|

არ ვიმჩნევ, ასაკს

| | | |
|--|--|--|
| <p>არ ვიმჩნევ ასაკს მაგრამ,არ იცის ადამიანის, წლებმა დანდობა. თოვლის ფიფქივით, ჩამადნა ხელში, და უცევ,გაქრა ახალგაზრდობა. არ ვიმჩნევ ასაკს, მაგრამ ჩემს თმაში, ჭაღარა,ზოგჯერ ისე მაოცებს. გულდანყვეტილი ვუცქერ სარკეში, თვალთან გაჩენილ მცირე ნაოჭებს. არ ვიმჩნევ ასაკს,</p> | <p>ბავშვური ჟინი, ზოგჯერ სიგიჟის ჩამომიქროლებს. გადავარდები მოგონებებში და გავიხსენებ, ბავშვებს ჩემს ტოლებს. წარსული წლები, ასე ძვირფასი, სულში ნაკვალევს წარუშლელს ტოვებს. არ ვიმჩნევ ასაკს, წლების მატება, გინდა,არ გინდა სხეულს ატყვია.</p> | <p>სული ვი, რჩება, მაინც უცვლელი, წლების მატება არც გულს ამჩნია. არ ვიმჩნევ ასაკს, ვკვლუცობ ისევ, მინდა,ჩავუდგე სიბერეს ჭიბრში. ყველა ასაკში ყვავილობს მაინც ქალი,თუ არის ქართული ჭიშის და,მე ვამაყობ, ჩემი ფესვებით, საქართველოში, ქართველად ვიშვი.</p> |
|--|--|--|





ანამარია ლილუაშვილი

* * *


გადაშალე გული,
ნუ დაინწყებ ჭავრს.
უმადლოდე უფალს,
მისთვის რაცა გაქვს.
აიმაღლე სული,
ნუ ჩაიდენ ავს.
დააკვირდი მხარზე
ანგელოზი გყავს.



მუზა

მუზა სტუმრად გულს ეწვევა
და ფიქრებში დაიქუხებს,
ამოხეთქავს ნიაღვარად
და ფურცელზე დაიბუდებს.
რაშზე სწაფად მიაქროლებს
აჟღერებულ ლექსის რითმებს
შემოიფრენს ცის კამარას
წამში შექმნის ულევ მითებს.
ძერწავს სულის ქანდაკებებს
ამოუცნობ საკრავს იღებს
ფერად სივრცეს უქმნის სიმებს
ამ სივრციდან მღერას იწყებს.

ა . ლ



დაჰბერე ქარო

ქარო სადა ხარ? შეარყიე ყვავილთ
კოკრები,
ასე გულგრილად სად დაჰქრიხარ ?
რად იფოფრები?
დაჰბერე ,მარდად გამოცოცხლდეს
ირგვლივ ყოველი.
ჩამოუქროლე ,დაარბიე
წუთისოფელი.
ამოუცნობი ხმის სიმები ააჟღარუნე.
კუთხე კუნჭული არ
დატოვო ,დააფათურე.
გაშეშებული, გაყინული დრო
შეანძრიე,
ააღმოქმედე , ამოძრავე და
შეარყიე.
დაჰბერე ქარო, ჩაკეტოლი კარი
ამტვრიე.
კლდე მიუვალი არ დატოვო ,ხელი
დარიე.
დაჰბერე ქარო, ოცნებები ფიქრად
აქციე.
ფიქრები ულევ სიხარულად
გადააქციე.

სამშობლო

გული დამიმძიმა
სამშობლოს ტკივილმა,
ბევრსაც არ მოვყვები
დამლალა ჩივილმა.
მინდა გზა გამოჩნდეს,
ამაღლდეს გრძნობები.
წმინდანებს შევკრიბავ
ლოცვას რომ მოვრჩები.
საბრძოლო გეგმასაც
ერთადვე შევადგენთ
ქუდზე კაცს მოვუხმობ,
ღვთის გზას რომ დავადგეთ.
ერთობა გვჭირდება
და სუფთა სულები,
წმინდა სიყვარულით
აღვსილი გულები.
სამშობლოს სახსნელად
ტყვიაზე წამსვლელი
ჩოხისა და აბჯრის
წამშივე ამსხმელი.
ერთი მიზნებით და
ერთი ქადაგებით,
შემართული ძალით,
უცვეთ ქალამნებით.
გაყიდულ მიწა-წყალს
უკან რომ წავართმევთ,
გაცვეთილ საზღვრებს კი
უკლებლივ აღვადგენთ.
მხოლოდ ის მართავდეს
ქვეყნის სათავეებს
ვინც კარგად დაიჭერს
ერთგულ სადაკეებს.

სიყვარულის ფერები

სიყვარული სპეტაკია თოვლივით
მაგრამ მაინც არ აქვს თეთრი ფერი
რამდენ ფერად გამოყოფენ სიყვარულს
თითველი თავის ახსნას ელის.
ზღაპრულსა და რომანტიულ სიყვარულს
ვნების მსგავსად აქვს წითელი ფერი.
მაგრამ ლურჯი უზრუნველი სიყვარული
გასართობად მოგონილი "ტერი".
ყვითელია მეგობრული სიყვარული
ერთ გაგებას ეფუძნება სულაც.
მესაკუთრეს იასამნის ფერად უყვარს
არ დაკარგოს და გაატენვს გულსაც.
შერჩეული, მწვანე ფერის სიყვარული
ეფუძნება სურვილების კვეთას.
უპირობო ნარინჯისფერ სიყვარულს კი
სიკეთე და ერთგულება კვებავს.
სხვა და სხვაა თითქოს ყველა სიყვარული
და ფერების უსასრულო განცდა
ვისაც უყვარს ხელოვნების ზიარია
უგემია საამისოდ ტანჯვა.

ა . ლ.



საქართველოს სევდა

მონატრებულ გულს აწვება
საქართველოს სევდა,
ეფერება და ვერ წვდება
წინ სიძნელე შეხვდა.
ქარიშხალი ძაფებს ხლართავს
ქმედების დრო დგება,
იმედების ზღვა ზვირთდება,
ულრუბლო ცას წვდება.
აუღებელ კოლხის ველზე
ფიქრებს დარდი ღებავს.
ცისარტყელა ხვამლის მთებზე
სულს სიამიათ კვებავს.
წარსული და მომავალი
აწმყოს სათქმელს კერავს.
ნუგეშს გზები გაუხსენით
ნანატრ სიზმრებს ხედავს.

მინდა ვიცხოვრო

ძველმა ტკვილმა დამიტოვა
შიშის იარა
მინდა დავძლიო გამოვცალო
ჯავრის ფიალა.
მე სიყვარულით, სიხარულით
მინდა ვიცხოვრო
უფლის წყალობა და დალოცვა
მინდა ვითხოვო.
ახალ ცხოვრებას ავაყოლო
ნაბიჯი ჩემი
და მზის ამოსვლას შევაგებო
ღიმილი მწველი
ცისარტყელები მიმოვფანტო
ცის კიდეგანზე
აღმართს ავუყვე ბედნიერმა
დავუკრა ქნარზე.





ქეთი ატენელი

* * *

თანამედროვე ქართული პოეზია
შვილებო...

ჩემი პატარა სახლი, ჩემი პატარა ეზო
ჩემი დიდგულა უბე ბედნიერია ეგზომ...
ჩემი პატარა სახლი – დიდი გულების კერა
არ გაცივდება აროს, მისი სიცოცხლის მჭერა!..
ჩემი პატარა სახლი გაცივებულა როდის,
მისი სიცოცხლე დიდი, პაპის პაპისგან მოდის.
ჩემს სახლს არ უყვარს ოქრო, ჩემს სახლს არ უყვარს ვერცხლი,
მას ჩუქურთმები შვენის ძველი, რომელსაც ვერ ვცვლი...

ჩემს სახლს სურნელი ასდის ვინც გაუზრდია ოდეს,
არაფერს ითხოვს გარდა გაზრდილთ იმედი ჰქონდეს
არ გაუნელონ ღუმელს, არ გამოურთონ შუქი,
რა დააღონებს ჩემს სახლს სითბო ექნება თუკი...
ჩემი პატარა სახლი – ჩემი სიცოცხლის ექო,
მეც დავიბადე მასთან – მისი ჭერ-უბე მექო...

ოი ცხოვრებავ ჩემო როგორ შეგებდავ წყენას,
ჩემი პატარა სახლი სიცოცხლით ზეცას სწვდება...
აღბათ მეც წავალ რადგან წესი ყოფილა აგრე,
არ გამიცითო უბე თქვენ შემოგვევლეთ აგრემც...
არ დამინგრიოთ სახლი მიზილ-პიპილოს გეგმით,
– არ ამირიოთ სული გარობგვითა და გვემით...

პაპა წავიდა, ბებოც, მამაც წავიდა, დედაც,
მაგრამ ვაღვივებ ღუმელს, ჰოდა სიცოცხლეს ვბედავ...
დამიჭერებდეთ შვილნო, მუდამ ვიცოცხლებ როცა,
გემახსოვრებათ დედის "სათხოვარი" და ლოცვა
– არ დამიბნელოთ ჭერი, არ გამიცითო კერა,
თქვენი იმედით ვხარობ, თქვენი სიკარგის მჭერა!..

თუ გამითელა შვილნო უცხომ ეზო და კარი,
მაშინ ვიქნებით მეც და ჩემი დედ-მამაც მკვდარი...

ისეთ სიყვარულს შემოგყრი...

ისეთ სიყვარულს შემოგყრი,
თუ მოვინამლე შენითა,
გიჩემო, ფარ-ხმალს არ დავყრი,
დამზავდე თავის ნებითა.

წახვიდე, იმ გზას დაგიხვდე,
სადაც, არ მეღი გგონია,
დღეს თუ არ, ხვალე მიმიხვდე,
ჩემს მეტი მონაგონია...

თავისრიდება მოგწყინდეს,
დაღლილი ბედსაც დანებდე,
ისეთ წყურვილით მოგწყურდე,
შეშლილს, მე ვეღარ გაგდებდე...

იმგვარ სიყვარულს დაგჩემებ,
სიკვდილსაც გამოესარჩლოს,
გტკიოდეს – უმალ გარჩენდეს,
გშიოდეს – გესვას, გესარჩოს...

მინდა ამ ძნელა სოფელში,
კარვად მიგულვო წკვარამსა,
შენი სიცოცხლის მთრობელი,
ვზიდავდე შენს ჭირ-ვარამსა!

საძილედ მკლავი მოგხვიო,
ნანად აღერსი დაგინთო,
ჭრელ-ჭრელ სიზმრებში გაგხვიო,
ცამდე სავალი გაგითბო.

მადლს წყვეტდე ღამე-დილისას,
ცხად-სიზმარს ვეღარ არჩევდე,
დაგებნე ისეთ თილისმად,
ჩემს იქით ვერვის ამჩნევდე...

იმ "ავადობას" შეგყრიდე,
არნანახს, არსით გაგეგოს...
მაგ სუნთქვას მკერდზე მაყრიდე,
ერთურთი ვსვათ და შავვერგოს...

/ 01.01.2016. სტამბული /

* * *

იცვი? – ძალიან მიყვარხარ,
იცვი? – ძალიან მჭირდები,
მთელს ქვეყანაზე რომ მყავხარ
სიკვდილსაც შევეჭიდები!

შენ რომ არ მეგულებოდე
დღეების ჭირთა ცვენაში,
იქნებაც კიდევ ვკვდებოდე
სისხლად არ მჩქეფდვ ვენაში.

ისე უცხო და სადა ხარ
მინის ღმერთო და ჩემგულავ,

ზოგჯერ არც ვიცი სადა ხარ
მაინც მიყვარხარ ერთგულად.

სულ სხვანაირი გემო ხარ
მწვავ უმოწყალოდ მზე ვითარც,
თუმცა ძლიერი გოგო ვარ
მდრეკ უცნაური მზერითა.

არც რა მაქვს ხელში საბუთად
რატომ მიყვარხარ ვიცოდე,
ვიცი – რომ ღმერთმა აკურთხა
ჩემს გულში შენი სიცოცხლე...

/ 15.05.2021. გერმანია /

* * *

ცხოველი წუთისოფელი გხარჯავს და დაგლევს წამებით,
არც სიკვდილისთვის გიმეტებს, არც ცოცხალს რამით გაგხარსა,
ჯანს ალევ ყოფას და ბოლოს – არც რაისა ხარ წამლები,
მაინც ვლოცულობთ ვაღმერთებთ სიცოცხლეს ნავაგლახარსა.

ხან ისეთია წუთები – სიკვდილი სანატრელია,
ზოგჯერ – მზით გამონადარსა შენი გგონია ქვეყანა,
რაგინდაც ფრთები გაშალე ყოფნა მიწა და მტვერია,
მთელი ცხოვრება სული რომ გინდოდა გამოგეყვანა.

იმედი მაინც უკვდავი – ხარ უკვდავება გნადია,
დღეებს წისქვილში ამსხვრევ და გული მზეს ელიცლიცება,
ასე თუ ისე სიცოცხლე სულ რაღაც ერთი წამია,
უსიყვარულოდ რა წამი – დედაზე დამეფიცება!

/ 11.05.2021. GERMANIA /

* * *

შენ, რომ არა, მომტაცებდა მზეს სიბნელე,
შენ რომ არა, ზამთარს რა დღე გაათბობდა?!..
ვიცი, მონად წამიყვანდა მე სიბერე
და სიკვდილის მონატრებით დამათრობდა...
ახლა, როცა ქარიშხლები წამოურევს,
ცხოვრებას რომ მავნე სენად დაჰყოლია,
შენი ყოფის ძალით ფიქრებს ამოვურევ,
ქარის კი არ, გული შენი გამგონეა...
ვერ დამცალა, ვერ დამძლია ათას ჭირმა,
ყველა დარღმე საოცრებით მისაღბუნე...

რისხვასთანაც მხოლოდ სიყვარული მჭირდა,
ჩემი დაბადებისდღიდან გისაკუთრე...
ეს ცხოვრება მიხარია, რომ შენ მყავხარ,
ყველა დარდი შენს ფეხთ გდია, ფერმიხდილი...
ღმერთის იქით არაფერს და არვის გაგხარ,
ამიტომაც, ვერ მაშინებს ვერც სიკვდილი.
გულში ტახტზე დაგაბრძანე გემო, ღვთის გმის,
ჩემში რომ ხარ -სულვმადლობ და ვმხიარულობ...
სანთელი ხარ, სალოცავი, "ლოცვა შვიდგმის",
შენი მონა ვქალბატონობ სიყვარულო!

/ 28.06.2016. სტამბული /

* * *

მიყვარდი... გიყვარდი.. გიყვარვარ?... მიყვარხარ!
რა შუაშია აქ, დროის დინება...
წავედი... წახვედი... ჩემთვის კვლავ ცისა ხარ...
ჩვენ რაც კი შვცოდეთ, სულ ღმერთმა ინება...

დაასკდა ამ ღამეს ვარსკვლავნი კვირტებად,
მთვარესაც გადევსო იერი ციმციმით,...

ავვისტოს ღამეში ვის გაუკვირდება,
მზის სხივის ლოდინში თუ მოვკვდი სიცივით...

დრომ ზურგზე ტკივილი ღვთის ძალით ატარა,
ნეტავი სავალი კიდევ თუ შორია...

წლებს ვკვცავთ, თუმცა შენ ისევ ხარ პატარა,..
თურმე სიყვარულიც ერთერთი ჭორია...

/ 2021 სტამბული /



თორნიკე ჩხიკვაძე.

* * *

სანამ გესმის სხვისი ჭირი,
ეზიარე მასთან ვარამს.
ობოლი თუ ცალკე ტირის,
უთხარ, კალთა დაიფარავს.

საზრუნავი არის ვიდრე,
მშვიერისთვის დაპურება.
გაუყავი რამ სიმდიდრე,
არ დაუნყო სხვას ყურება.

არის მხოლოდ გადარჩენა,
უანგაროდ სხვაზე ზრუნვა.
სამკაული აქ დარჩება,
მინის წესი არის ბრუნვა.

შენც აროდეს დაიზარო,
ამგვარ ხელის განოდება.
ეშმა მით არ დაიზავო -
დაგმე ჩინი და წოდება.

გახსოვდეს რომ ავისაგან,
არ მიიღო სიტყვა – გესლი.
არ შერცხვები არვისაგან,
შენივ თავის თუკი გესმის.

მომავლის ხედს უიმედოდ,
თუ ღრუბელი ისევ ფარავს.
მწუხარებას არ მიენდო,
შეგიტყუებს ხედავ კარავს.

თუ მიანდობ საიდუმლოს,
თან მიანვდი მას გასაღებს.
არ გგონია და ის მუმლობს,
მეგობარად თავს ასაღებს.

* * *

შენს გამო შევძრავდი სამყაროს,
საკუთარ სიცოცხლეს დაგიტობ.
უფალმა შენგან არ გამყაროს,
ყოველ წამს, ყოველ წუთს გაგიტობ.

მოვივლი მინდორს და ხეობას,
დაგიკრეფ რაც ია ვარდია.
დარდს გიქცევ სილაღედ მხნეობად,
გავკავებ ვკალ თუ ბარდია.

არ დაგიტობ, მე ჩემად გიგულე,
დღეს შენი მტერიც კი ჩემია.
რომ ახლა გვაშორებს მანძილი,
ნათელიც ჩემთვის კი ბნელია.

თითქოსდა გავიდა ზამთარი,
თუმცაღა სულს ყინვა რად ატანს?!
შენით მსურს რომ ვიყო გამთბარი
და დარდებს ნიავსაც გავატან.

არ მინდა უშენოდ გათენდეს,
არ მინდა დარებო იავოთ.
იქნებ და ეს გულიც გამთელდეს,
იქნებ და ერთადაც ვიაროთ. . . !!!

05. 03. 2017.

რაც რამ ნახე, გაიგონე,
შეინახე შენივ სიტყვა.
ენა კბილით დაიმონე,
უარჰყავი მოთქმა – მითქმა.

ასე იყო, მუდამ ბოროტს,
სიავესთან გადაკვეთილს.
ვერ გაეგო მისი ბოლოც,
ელობება გზაზე კეთილს.

არ ჩერდება წამი წუთში,
ის დრო არის იმოქმედო.
ჩალის ფასი არის ყუთში,
განძეული თუკი გედო.

თუ გეკუთვნის, მაინც მოვა,
და მიიღებ რაც წილია.
ბევრმა უკვე მიგატოვა
– გამარჯვების ნაწილია!

26. 02. 2021

ცხოვრება ზოგჯერ წააგავს არაკს,
სიცოცხლე ვისთვის მძინე სენია.
სულელს გაუბავ თუკი ლაპარაკს,
დანაშაული მაინც შენია.

ზოგჯერ მეძახის სრულიად სხვა ხმა,
ვინმეზე მეტი აქ სხვა რითია.
ვეღარ გაიგო ნუთუ ამ ხალხმა,
მინაზე ყოფნა დროებითია.

ძლიერი მაშინ უფრო იქნები,
თუ შეგიძლია სხვისი შენდობა.
ზოგჯერ სრულიად შენივე "ნებით",
ადამიანში არა გაქვს ნდობა.

სცენაზე ისევ ეშვება ფარდა,
მოგონებები რჩება კადრებად.
თუ ხვალინდელი გუშინდელს ჰგავდა,
ამდენი მაინც არ გვეკადრება. . .

27. 10. 2018

ადამიანთან დაიჭირე ჯერ დისტანცია,
ზოგი ჭკვიანი, ზოგიც ბრიყვი, ბევრი ანცია.
გაცხარებული ნუ გადანწყვეტ ცივი გონებით,
მშვიერი იყავ და ნურავის დაემონები.

ვისაც მეტი აქვს, სიხარბისგან მაინც სულ შია,
ხორცი რომ გხიბლავს, სილამაზე უფრო
სულშია.
თავი ძლიერი ნუ გგონია, როცა ერევი,
იქ, შენი საქმე რაც არ არის ნუ ჩაერევი.

როგორც ჩვენ გვინდა, სამწუხაროდ რადგან არ
ხდება,
დაუღალავად თუ იშრომებ მაშინ ახდება.
ბოლოს სრულიად დამთავრდება ყველა ქაოსი,
გამოცდა თუკი ჩავაბარეთ სააქაოსი.

წესიერება და სიმართლე დაიმეგობრე,
არ მიატოვებს საკუთარ გემს, როგორც
მეკობრე.
მეგობარმა თუ შეცდომები გიქო – მტერია,
ადამიანი საბოლოოდ მაინც მტვერია. . .

25. 05. 2019

ბევრი შემშლია, ალბათ შემშლიან,
მტარვალის არის ვხედავ ჟამთა სვლა.
ხშირად მესვრიან, მაგრამ ვერ მსვრიან,
მე სხვა ბილიკზე მინდა გადასვლა.

არის ორპირი და ეს პორფირი,
მლიქვნელთა ხელში რჩება ვადამდე.
დაგლუპავს პირი, მოკლეა ფირი,
საქმე ხვალისთვის ნულარ გადასდე.

სათქმელი ვრცელი, თუმც სარეცელი,
ნუთუ დააცდის მავანს სრულიად.
აქვეა ცელი და მისი მცველი,
განიშნებს თურმე დასარულია.

შენია ნება, დღეები ცვდება,
მებრძოლის ბოლო უკეთესია.
ვინც არ ეცდება, მეტად შეცდება,
კრიტიკა მაინც ყველგან თესია.

ზეცა ქუხილით, კაცი წუხილით,
მონაცვლეობენ – უწევთ მსგავსება.
ადამის ხილით სავსე მარხილით,
სულის ცოდვებით გვიწევს ავსება.

07. 11. 2020





მარინე შანიძე

მიტხრა სანუთრომ, ტიალმა...

მიტხრა სანუთრომ, ტიალმა, იცხოვრე ცივსა ქვაზედა!
 მომკიდა ტვირთი საძნელო, მემძიმა სუსტსა მხარზედა.
 ეგონა, შევმინდებოდი, რა არ მომაბა თავზედა?!
 სულ აღმა-დაღმა მატარა ნისლში ჩაკარგულ გზაზედა.
 თავს შევუძახე, არ შედრკე სანუთროს მუქარაზედა!
 სიკეთის ყველა ამბავი გადავიხდინე თავზედა.
 ჩემის მარჯვენით ვიპურე, თვალი არ მედგა სხვაზედა,
 თხოვნა-მუდართით არავის არ მივდგომივარ კარზედა.
 წყვილი სანთელი დავანთე, ნიკორას წყვილსა რქაზედა,
 მოვხანი, თესლი ვაბნიე, ძილს არ ვკარობდი თვალზედა!
 თუ მტერი გამოჩნდებოდა, სულ ხელი მედო ხმალებდა,
 მიფრთხოდა პირისისხლიანი, მირბოდა უკუ გზაზედა!
 შვილები უხვად დავზარდე, ნაფერი თავის გვარზედა,
 ყველას თავყვანი ვაჩვიე უფლისა წმინდა ჯვარზედა!
 ჩემსავით ნანაც ვამღერე თვით ანგელოზთა ხმაზედა,
 გავმრავლდით, ახლა ბევრნი ვართ მადლიან ქვეყანაზედა!
 ეჭვი, ნუთისოფელო, მხედავ? – მიტომც ვარ ჯანზედა,
 გამიშვი, დიდხანს ვიარო წინაპრის ნაკვალავზედა!

დილის დალოცვა

მზიანად გათენებული,
 გენიოთ მადლი დილისა,
 სიმშვიდე გამოგყოლოდეთ
 ღამის ნეტარი ძილისა!

სითბო არ გამოგლეოდეთ
 ციდან ნაფენი სხივისა,
 გესმოდეთ ლალი ტიტინი
 აკვნად მწოლარე ჩვილისა!

მუდამ გემატოთ დღეები
 სიხარულის და ღიმილისა,
 ღმერთმა დალოცოს ოჯახი,
 გამზრდელი ბევრი შვილისა!

კვლავაც გქონოდეთ იმედად
 სავსე ბეღელი ფქვილისა,
 გიკურთხოთ შთამომავალი
 მადლმა – ზედაშის ღვინისამ!

მტერიც თუ სადმე გამოჩნდეს,
 მაფხიზღებელი ძილისა,
 ისეთი თვალით გიმზერდეთ,
 თქმა ვეღარ შეძლოს ძვირისა!

გაძლიერდით და გამრავლდით,
 დღენი არ ნახოთ ჭირისა,
 ლოცვა არ შემოგკლებოდეთ
 უფლისა ენა-პირისა!

ნასოფლარები...

აღარც ურმული, არც ოროველა,
 არსად მოისმის სოფლის შარაზე,
 სად გაიხიზნენ მეგუთნეები?
 სახლის კარებიც რატომ ჩარაზეს?!
 დაცარიელდა ორღობეები,
 ეზოს დარაჯობს მარტო მურიცხი,
 აღარავინ ჰყავს ლუკმის მიმგდები,
 პატრონის ნახვა როგორ წყურია?!
 ყურს აღარ ახშობს თავბრუდამხვევი
 გოგო—ბიჭების ყივილ—ხივილი,
 თითქოს ყველაფერს სული ამოხდა,
 საბედისწერო – მტანჯავს ტკივილი.
 ვინ უმასპინძლებს მტერს ან მოყვარეს,
 მხოლოდ მოხუცნი შერჩნენ კერიას,
 მამულიშვილნი, მოხედეთ სოფელს,
 დაბრუნდით, ახლა თქვენი ჯერია!
 გულს კლავს უმწეო ნასახლარები,
 ტკივილმორეულს ცრემლიც მერევა,
 თუ კვლავ სოფელი ფეხზე დადგება,
 ქვეყანას მტერი რას მოერევა?
 ვუშველოთ, სანამ ნანგრევად იქცა,
 თორემ მძლავრობენ ირგვლივ ბზარები,
 დაბრუნდით! – მოთქვამს ადგილის დედა,
 დაბრუნდით! – რეკენ დედობარები!

მაგულის განთიადი

რა განთიადი გაქვს?! ეჭვი, მამულო,
დღეს, შენთვის ნამღერი, ტოროლას ჰანგი ვარ,
შენ გულის ფეთქვა ხარ, სიცოცხლის იმედი,
მე კი ამ იმედით ამაყი დავდივარ.

ვაზი ვარ და ჩემი ცრემლები ნაკადი,
მთის ბროლის მძივებად გულმკერდზე გაპკურე,
ყანა ვარ გაშლილი, თავნაყარ ჭეჭილის
და ბელლის სიუხვით გავსებ და გაპურებ.

წყარო ვარ ანკარა, ცელქი და რაკრაკა,
ვიჩქარი მწყურვალეს მოგიკლა წყურვილი,
ხან მდელოს ია ვარ, ხან არწივს ვედრები,
ზეცაში აფრენის მიჩნდება სურვილი.

დილის ცვარ—ნამი ვარ, ბალახის სილაღე,
მზის ოქროს სხივი ვარ მდელოზე ნატყორცნი,
ჭიხვი და არჩვი ვარ კლდის წვერზე შემდგარი,
შენს მთათა მწვერვალებს იქიდან დავკოცნი!

მთვარე ვარ, ღამითაც ნათელით დაგყურებ,
მხრებზე სულ ციმციმა ვარსვლავად გეყრები,
წვიმა ვარ, ზეციდან კურთხევად მოსული,
და დამსკდარ გულმკერდზე მირონად გედვრები!

ზვარი ვარ, ქარვისფერ მტევნებად ასხმული
და ღვინო, ნაკურთხი, ბარძიმით შესმული,
შენს ბედზე მლოცველი ერთგული შვილი ვარ,
ხარი ვარ, ნიკორა, გუთანში შებმული!

სიცოცხლე მაისობს, ბავშვით შეგხარი,
მე ამ სიხარულით ზეცაში მფრენი ვარ,
სხვა რაღა ვინატრო, მითხარი მამულო,
შენ ჩემი გქვია და მე კიდევ შენი ვარ!

ღმერთო, იმადით შეგყურაჲ!

ღმერთო, იმედით შეგყურებ,
ღარი მიკურთხე მზიანი,
ყოველ ცისმარეს შემყარე
გულსავსე, ალერსიანი,
არ დამიდუნო მარჯვენა
გამრჯე და დოვლათიანი,
მიმრავლე შთამომავალი
ლადი, დღეგრძელი, ჭკვიანი,
ჩემნილ სავალი ბილიკი,
არ შემახვედრო ტყიანი,
მამული მქონდეს სიმდიდრედ,
უხვი და ბალახცვრიანი,
არ გადამყარო მოკეთე
სულმოკლე, ავიზნიანი,
მტერიც იმ დღეში ჩამიგდე,
ვერასგზით მიყოს ზიანი!

**არწივო
(ალეგორია)**

არწივო, ჩასაფრებულო,
რად უცქერ ჩიტის ბუდესა,
პატარა... და მკერდშიაც
პატარა გული უდევსა.

შენც ხომ დედა ხარ, რას ერჩი?
საქმეს ნუ იზამ, მრუდესა!
ნურც შორიახლო ჩაუფრენ,
ნურც შეულახავ ზღუდესა!

თორემ ცოდვა არ შეგრჩება,
წყალნი აღმადაც დიანო,
თავს ნააკლავ... და მართვნიც
ობლებად დაგრჩებიანო!

*
ობლობას ვინღა დაეძებს,
შიმშილით დანყდებიანო!

რა ვუთხრა პაპას?

დაჟანგებულხარ, ძველო სახნისო,
ახლა რაც გტკივა, მე კარგად ვიცი,
გიერთგულებო! – შეგპირდა პაპა,
მაგრამ, საბრალომ, გატეხა ფიცი.

რა უნებლიედ დაგტოვა გზაში?!
ნუ იტყვი დაგთმო... ბედის ბრალია,
სწორედ მიტომ, რომ აღარ ხართ ერთად,
ყველა ბილიკი გაუვალია!

მე კი თან დამდევს მისი აჩრდილი,
მუდამ სოფლისკენ გვიხმობს თავისებს,
დღეს უფრო მტკივა, წყვილად ხარები,
უღელს შებმულნი, რომ გაასხვისეს...

მას მერე ბევრმა წყალმა იარა...
იმედით მიმზერ, მე მოვალ როდის?
ვერ შეგპირდები... ვერ გაგიმეტებ,
ფიქრით შეაკვდე უაზრო ლოდინს.

გული კი – გბრალობს და ენანები,
ვაი, თუ მართლა ჟანგმა შეგჭამოს?!
რა ვუთხრა პაპას, რით გავახარო,
შრომით მოღლილს რომ გულზე ეამოს?

ვერათფერს ვეტყვი, ტყუილს ვერ ვკადრებ,
დღეს, სინამდვილე ცხადზე ცხადია!
დაცარიელდა ყველგან სოფლები,
ისე ვპატრონობთ, მტერს რომ სწაღია...





მამა ამირან ამირანაშვილი

დარიალი

უფალო, აცხონე ერი,
მცინვარი – ამაყად მდგარი,
მრევლი დაითარე შენი,
ამ შენს სამსხვერპლოზე მდგარი.

სამშობლო, ჩაკეტე კარი!
თერგი გამოსტაცე მტარვალს.
გვიცავს ანგელოსთა ჯარი,
სამება აკურთხებს მრავალს.

შენთვის წამებული ერი,
ლომგულნი, ვაჟკაცი, ბრგენი.
დავითის, თამარის, შოთას,
ილიას ნათელი გენი.

ღვთით წინ მიგვიძღვება მამა,
ბრძენი, დაუღლეი მწყემსი.
მშობელ ხალხს მოგიწოდებს ლოცვით,
ფეხზე დგას ერი და ბერი.

ფეხზე დგას ერი და ბერი,
ქართველნო, ღვთისაკენ ერთად,
ისმინეთ, ვისაც გაქვთ გული,
არ შედრკვთ, იარეთ მედგრად!

ბრძოლა მამულისთვის მარად, –
ეს არის ქართული სული,
გვამხნევენს და ძალას გვმატებს
ღვთის შიში და სიყვარული.

ღვთისმშობლის წილხვედრო მიწავ,
მდიდარო წინაპართ ძვლებით,
იმრავალჟამიერო მარად,
აივსე მშითა და ზერებით.

დავფიქრდეთ, ერო!

განსაცდელეები და სასჯელეები
დაბადებიდან თან დაგვყოლია...
ტრფობით ეწამა დიდი რუსთველი,
და წინამურთან მოკლეს ილია.

ურჯულოებმა როგორ შებღალეს,
გურამიშვილის საუნჯე.
არ შეიბრაღეს ბარათაშვილი,
მისი მერანი ვერ დაამუნჯეს.

გალაკტიონი ლირს დაემსგავსა,
დარჩა ყველასგან მიტოვებული...
მისი სახელისგაუკვდავება
ქვეყანას დარჩა ლურჯი კრებული.

გრანელს შეუკრეს თეთრი ხალათი,
არ დაენერა სიტყვა მართალი.
წუთისოფელში მეფობს სიყალბე,
ვერვინ იპოვა აქ სამართალი.

სულხან-საბასთვის ვერ გაიმეტეს,
მონასტრის გარეთ ერთი ველია...
საკუთარ მიწას მოსწყვიტეს ბერი,
სხვაგან ეწამა, დიდი გენია.

სოფელ ჩოხიდან მოვიდა ბიჭი,
გულანთებული, ავსილი ნიჭით,
ჩვენი გოდერძი მშიერი მოკლეს...
პატიოსან ხალხს ყოველთვის უჭირს.

კიდევ რამდენი დავასახელო,
ერის სირცხვილად კმარა ნიკალა,
კიბის ქვეშ მოკვდა დიდი მხატვარი,
შურმა და მტრობამ ვერ გაიკარა.

დავფიქრდეთ, ერო, ჩვენს მომავალზე,
საკუთარ შვილებს როგორ ვექცევით...
ჩვენც დავგიდგება განკითხვის ჟამი
და უფლის რისხვას ვერ გავექცევით

30.X.2020

ქვეყანას თუ გავასხვისებთ

დედა ენის ძეგლი გვიდგას,
გვერდით უდგას მინარეთი.
გუშინ დიდგორს ვზეიმობდით
ხუთგზის გრგვინავდა მეჩეთი.

თუ ქვეყანას ველარ უვლით,
დაგვანებეთ, შვილო, თავი.
რალად გვინდა ძალოვნები,
თუ ვართ სხვისი სამართავი?!

სად ვარ, კაცი დავიბენი,
ვინ ვართ, ძმებო, ამიხსენით!
ერთი სცადეთ და თურქეთში
ეკლესია გამიხსენით!

ქვეყანას თუ გავასხვისებთ,
რას გვიშველის ენის ძეგლი...
სარწმუნოებას თუ დავგმობთ,
არ შეგვრცხვება წინაპრების?!

ნანგრევებს არ გვაკარებენ,
ლოცვა გამორიცხულია.
კაბით გავლა თუ გაბედე,
ჟანდარმები ჩართულია

რას იცავენ დამცველები,
გველების და მგლების ჯიშებს?!
ხალხნო, ჩვენ შვილებს მივხედოთ,
სანამ არ გადაგვაჯიშეს!!!

სიტყვა

ძვირად ფასობდა კაცური სიტყვა,
კაცის ნათქვამი არ გატყდებოდა,
თუკი შემთხვევით რამე ხდებოდა,
სიკვდილ-სიცოცხლის ბედი წყდებოდა.

ამას მოჰყვება ხოცვა და ჟლეტა,
და ქუჩა-ქუჩა საქმის გარჩევა.
დაუნდობლობს, ტყვია თუ დანა,
სასაკლაოა მთელი ქვეყანა.

ახლა სიტყვები გაუფასურდა,
სიცრუის მთქმელთა ჯარმა იმატა,
ყველა ერთმანეთს ატყუებს „აგდებს“
მოცემულ სიტყვას არაფრად აგდებს.

ამდენი სისხლი არ იღვრებოდა,
მცირე ომები რომ იწყებოდა,
სამართალს ვერსად პოულობს კაცი,
ყველას ჰგონია თავი მამაცი.

ჩვენი ბარტყები

ჩიტები ბუდეს რომ აშენებენ
მერე ჩეკავენ პატარა ბარტყებს,
ჩვენ გაგვიფრინდა ძუცა და ხვადიც,
არ იკარებენ მშობლების სარტყლებს.

ერთმა აიგო ბუდე კოჭორში,
სამი ვაჟკაცი თავს დასტრიალებს,
გიგას აუგო დედიკომ ბუდე,
ეს გიჟი კიდევ შტატში გრიალებს.

მოკლედ დავიპყრეთ ზღვა და ხმელეთი,
ბათუმს ავაგეთ აპარტამენტი,
ჩხარში გვაქვს დიდი ციხე-სიმაგრე,
თბილისში ბინა, რა გინდა მეტი.

მეტი გვინდოდა, ა, ტაბახმელა,
შერატონში გაქვთ ძმაო, ნომერი.
ოღით, მოხუცებს ნუ დაგვალონებთ,
გახსოვდეთ, ჩვენ ვართ თქვენი მშობელი.

27.XI.2021

დანიის პრინცი

„ყოფნა-არყოფნა?
საკითხავი აი ეს არის“
ულიამ შექსპირი

დანიის პრინცი, რამ ჩაგაფიქრა,
რატომ დაუსვი მსოფლიოს კითხვა?
ნუთუ ცხოვრებამ შენც დაგამძიმა
და ქვეყნად ყოფნა ჩათვალე რისხვად.

ჯერ გადახედე ყოფიერებას,
სადაც ვერ ვპოვე შენ სამართალი.
მერე არყოფნა ამოტივტივდა,
აქ კი ნამდვილად არ ხარ მართალი.

პრინცი იყავი დიდებულ ქვეყნის
ხელთ გეპყრა ყველა სადავეები.
ასეა, ყველას უნდა გვირგვინი,
ხელში ჩაიგდოს სათავეები

თუკი სათავე ამღვრეულია,
მაშინ ქვეყანაც დარღვეულია,
მღვრიე ჭაობში იხრჩობა ხალხი,
მეფის სასახლეც დანგრეულია.

შენ პრინცი ჩემო, ძვირფასო ჰამლეტ,
„ყოფნა-არყოფნას, ვის ეკითხები,
ცხვარი განწყობეს მთელ მსოფლიოში
სამაგიეროდ მომრავლდნენ თხები.

თუ ნებას მომცემთ, მეც დავსვავ კითხვას;
„ყოფნა-არყოფნა“ ვინ გამცემს პასუხს...
ცხვარი ინთქმება დამპალ ჭაობში,
რქიანი თხა კი, ამას არ ნაღვლობს.

29.XI.2021

ხარი

მე, გამარჯობა გითხარი,
შენ, გაგიმარჯოს – მითხარი,
მე გკითხე როგორი ხარო,
მითხარი, ღმერთმა გახაროს.

სად მიხვალ გასახარელო,
ცოლ-შვილთან, რომ გავახარო,
ხურჭინში მიდევს სამხარი,
შვილები მსურს ვახარხარო.

ერთი უღელი მყავს ხარი,
თუ იცი სოფელი ჩხარი.
სოფლად ჭა უნდა გავთხარო,
ბიძაშვილები ვახარო.

ერთი ბულა მყავს სახარე,
დავწინდავ, მერე გავხედნი,
ვიცი, რომ მაგრად იხარებს,
ღვიძლი ბიძა მყავს გამხედნი.

გაზაფხულს ყანებს გადავხნავთ,
კავს აგვილესავს მეხარე.
ტაროს წისქვილში დაფქვავენ,
ჩალა და ქათო ჩვენ ხარებს.

ეჰ, კიკია და ნიქარა,
ბუღობა არ დაგაცალეს,
მალე დაგადგეს უღელი,
საბუღე გამოგაცალეს.

ჯერ მარჩენალი გეძახეს,
რამდენი ოფლი დაღვარე,
ხვნა-თესვა რომ ვერ შევძელი
დაგკლეს, სოფელი ახარეს.

29.I.2021

ვილოცუბ, ვიდრე ავმადლები

არ ვიცი, ვინ როგორ მიყურებს,
არ ვიცი, ვის როგორ ვუყვარდი,
არ ვიცი, ვინ იყო მართალი,
არ ვიცი, ვინ იყო მტყუანი.
ვიცი, რომ უფალმა დამლოცა,
ვიცი, რომ ღვთისაგან მოხვედი,
ვიცი, რომ თუ რა გამაჩნია,
ყველაფერეს ღვთის ხელი აჩნია.
ვუყვარდი მშობლებს და ჩემს და-ძმას,
ვუყვარდი მეზობლებს, კლასელებს,
ვუყვარდი საოცარ მეგობრებს,
ვუყვარდი უამრავ გოგონებს.
ვუყვარვარ საყვარელ ჩემს ოჯახს,
ვუყვარვარ ნათესავთ, მთელს სოფელს,
ვუყვარვარ კოლეგებს, სტუდენტებს,

ვუყვარვარ უსაზღვროდ ძვირფას მრევლს.
ვმღეროდი მე მგონი აკვნიდან,
ვმღეროდი საყვარელ დედასთან,
ვმღეროდი, როდესაც ვცეკვავდი,
ვმღეროდი პატარა ჩემ დასთან,
ვიმღერე ოპერის თეატრში,
ვიმღერე მუსკომედიასთან.
ვიმღერე ტელევიზიაში,
ვიმღერე ჩემ ეკლესიაში
ვლოცულობ იესო ქრისტეზე,
ვლოცულობ მშობლიურ მამულზე,
ვლოცულობ სამყაროს დახსნაზე,
ვლოცულობ ძვირფას პატრიარქზე.

20.XI.2021

მედგრად დავდგეთ

| | |
|---|---|
| <p>ორი თვეა კალამი არ ამიღია, მძიმე იყო განსაცდელი „პანდემია“, მე და თამრომ ვაჟუკაცურად გავიარეთ, მითითება არასდროს დაგვირღვევია.</p> <p>მადლობა ღმერთს შვილებს საღად შეგვახვედრა, სიხარული გვქონდა რაღაც არნახული. თათულიკა, ლიკა, გიგა ჩამოფრინდნენ, იანვარში გაგიოთენდა გაზაფხული.</p> <p>ორი დღეა ყინვა გალღვა, მზე ჩახჩახებს, ნელ-ნელა გვიყუჩდება იარები, „ამაღლება“, გამოცოცხლდა მონყენილი, ვლოცულობ და ბარძიმით ვეზიარები.</p> | <p>ჩემი მრევლი სიხარულით ივსებიან, მოკრძალებით დავუბრუნდი საკურთხეველს, ვიცი, ღმერთი უძღებ შვილს რომ არ გამწირავს, სირთულეებს გადავლახავ დაუძლეველს.</p> <p>დამეხვევა ისევ ჩემი მეგობრები, კლასელები, კურსელები, კოლეგები... განახლდება ძველი იუბილევები, მწერალთა სახლს გაავსებენ პოეტები.</p> <p>გვსურს სიბერე სიყვარულით გავატაროთ, ჩავატაროთ წიგნის პრეზენტაციები, ეს „კოვიდიც“ მშვიდობით გვსურს გავაცილოთ, მედგრად დავდგეთ, არ ვაცინოთ ჩვენი მტრები.</p> <p style="text-align: right;">27.I.2021</p> |
|---|---|

პირველი თოვლი

პირველი თოვლი მოგვიახლოვდა, კოჭრის მთებზე და ტაბახმელაში. ახალგაზრდობა ხვდება ხალისით, ხანდაზმულები გავრბივართ სახლში.

მახსოვს, სოფელში როცა ბარდნიდა, ბავშვები ერთად ვიკრიბებოდით, ვისაც რა გვქონდა ციგა თუ სუფრა, გორაკებიდან დავეშვებოდით.

თოვლში ვგორავდით, როგორც ბამბაში, იყო ყვირილი, იყო განგაში,

სახლში შევრბოდით დამშეულები, ბებოს მზად ჰქონდა ცხელი ლავაში.

თავით ფეხამდე ვიყავით სველი, გარს ვეხვეოდით გუზგუზა ღუმელს, ვშრებოდით, ორთქლი ჭერს ასველებდა, სახლს ვამსგავსებდით სანჯიმარ ღრუბელს.

სოფელში ღამით ადრე ვწვებოდით, მატყლის საბანში გავეხვეოდით.. ბებო გვიშრობდა წინდებს, სამოსელს, ახალ დღეს და თოვლს რომ შევხვედროდით.

20.XI.2020





გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ვმართავ

გემის მართვა მე არ მიჭირს,
სმენის შემცვლელს არსად ვეძებ.
და თუ ვინმე გზებს გამიჭრის,
მივაჩოჩებ ყველას გვერდზე.

მეგობრულად ყველას ვიღებ,
არ იციან? შევასწავლი,
ეკალს ჩემით ამოვიღებ,
დროსაც ბრძოლით გავასწარი.

თეთრი იასამანი

ის დღე გავდა თეთრ ქათქათა იასამანს,
წმინდა იყო, ვით კანდელის შუქი...
დღე დაიყო, მეგობრებით ერთი სამად,
სინაზით და არა ბაჭიბუქით.

სურნელება ყვავილების გულს მოედო,
ზეციდან კი აღდგა გარდაცვლილი,
სიხარული ყველას ერთად გადაგვედო,
ფიქრით იყო ყანნი გამოცლილი.

აღსარება

რით დავინყო აღსარებას ვიტყვი ახლა,
და მოსმენა მოკრძალებით უნდა გთხოვოთ,
თუ, ხელახლა ჩემი ხელით ვაზებს გავსხლავ,
მომავალმა ვაზის ფესვი გამოთოხნოს.

სხვისი ცუდი არასოდეს, მიხარია,
თუ რაზე მაქვს, დავარიგებ, ნაწილ-ნაწილ...
ჩემი გული სიყვარულის ტიხარია...
და თუკი მაქვს, დავაპურებ ხელებგანვდილს!

ნიჟარები

ზღვაში ჩაძირულ ნიჟარებს ვეძებ...
ძირს რომ არიან მიმობნეული,
ბევრი ნაპირზეც ვნახე წყლის გვერდზე,
ქვებს და ქვიშაში გადარეული.

გულში ვიხუტებ ფერად ნიჟარებს,
დიდიც იყო და ოდნავ პატარაც,
შეუღლებულან, ერთად იმგზავრეს...
საბნად ზღვამ ქვიშა გადაათარა.

იქვე დავანყვე, ყველა ნიჟარა,
დაფიქრებული, გავყვევი დაისს...
დღემაც იმ დღისით გამოიღარა,
მიუალერსე ჩემს ლამაზ მაისს!

ზღვა დელავს

რა შეაჩერებს, ამ ზღვათა შფოთვისა,
ღელვას თან მოდევს შტორმის ხმაური,
ვიღაცა ჩუმად, მდუმარედ მოთქვამს,
სადღაც შორს ხდება აურზაური.

ვინ დავამშვიდო, თუმცა კი ვცდილობ,
ვცდილობ, ზღვის ნაპირს მოვწმინდო ცრემლი,
ზღვაო, ხანდახან, ძალიან თბილო...
როგორ გიხდება ზაფხული ცხელი.

შენთან მზის ჩასვლა, არის ლამაზი...
რიჟრაჟი არის მართლაც ზღაპარი,
რად არ გწყინდება, შფოთი და ბრაზი...
პირით ქვები გაქვს გადმონაყარი!

სხირტლაძეებო

როგორ მიყვარხარ სხირტლაძეებო,
შვილიშვილებო, გვარო საერთოდ,
სიამაყონნო, მზეთა მზეებო,
ჩემი ლექსებით, მინდა გაგათბოთ.

აფრენილებო, რაჭის ფუძიდან,
უბოროტო და ტკბილნო, ალაღნო,
ფესვთა ნაყარო, ბებერ კუნძიდან...
ცოლიკაურის ვაზის წალამნო.

შთამომავალნო, შოთას, თამარის...
სულის სინმინდე, მოგმადლებიათ,
სიყვარულია გწამდეთ მთავარი,
სიკეთე ეს, ხომ გადამდებია!

თამაროზას გილოხნავთი

ზოგი თამუნიაა, ზოგიც ჩემი თამარი,
ქართველ ქალის ბუმია, ნაზია და თამამიც.
ღმერთო, კარგად მიმყოფე, იჯამრთელონ, ილაღონ,
თუ კი ჩემს გულს იყოფენ, სულაც ამომიდაღონ.

თამუნიაც ჩემია, ბებო, დიდი თამარიც,
ბედის განაჩენია, არ სწორდება მთა-ბარი.
ხან კორონა ვირუსი, ხანაც ქარის წისქვილი.
გული გამონატრუსი, მენატრება სიცილი.

ჩემო, გულის წილაღნო, ციცქნაც, დიდო ქალებო,
ბედო, აღარ მადარდო, ცრემლში ამონავლებო ...
დამილოცე სუყველა, გაზდილიც და პატარაც,
არსად მიწვდეთ ცრუ მელა, არ გადაძვრეს ფანჯარას ...

ჩემი არის თამუნა, ქართველ დედის გაზრდილი,
ცაში ფრინავს ღამურა, სახე გადაბადრული.
მისით ევნო მსოფლიოს, დაიკვება საზღვრები,
დამდის სიმწრის ოფლიო, მაგრამ, სულ არ გავქრები.

მოვა, ცხელი ზაფხული,
ქაფქაფა და თაკარა,
დროც გაძვრება ფაფხურით,
ღვინოს დავლევთ ხვანჭკარას.

იმ, ღამურას მიწვდები,
ნახევრად რომ თავგია.
წავა, წეწვა-წინკვნები,
საძაგელი ავია.

თამარები იცეკვებს,
იმღერებენ ალილოს,
ყველას გამოვეცეკვოთ,
გულო, დარდით დაღლილო!

ზარმაცხი

სიმდიდრეს ვარიგებ, მოდით და წაიღეთ,
უფულოდ, არც ერთი თეთრიც კი არ მიხდა,
ვინც შრომობს, იმისთვის კარები გავაღე,
იჩქაროს, სანამდის მზე სულ არ ჩავიდა.

ზარმაცი მოიჭრა, სხვებს უნდა დავასწრო,
ცოლს ვირთავ, კოსტუმი ცოტახნით მათხოვე,
აჭობებს აქედან სასწრაფოდ გამასწრო,
იშრომე, ცოლი კი, რად უნდა მათხოვარს!

იმ თამარს ვეძებ

სიტყვა თამარიც ნიშნავს, იმას რომ
იყო რჩეული, ბრძენი, ჭკვიანი...
თამარს არ უნდა, აჭობოს დრომ და...
იქნებ კვლავ გაჩნდეს, ქუდბედიანი.

თვითონ სახელიც საქართველოა,
სამაჩაბლოა და აფხაზეთი...
თამარი ჩემი სულის მდელოა,
დანინკნილი და მტრისგან ნაფლეთი.

ყველა კუთხეში ვეძებ იმ მეფეს,
„ლეკვი, რომ იყო ლომისა სწორი“,
ეგბა ვნახო, ეგბა შემხვდეს,
ერს მოაცილოს, ყვავი და ქორი!

დაიბადება, იმედს ვიტოვებ,
ანდა არის და მე ვერა ვხედავ,
თუ შემხვდა, გულშიც აღარ ითოვებს.
ეჭვებს იმედით, კვლავ გამოვკვებავ!

სხირტლაძეების შთამომავალი
(ნანა სხირტლაძეს)

გაზაფხული ხარ, ჩემო ნანიკო,
დინჯი, უზადო და ნიჭიერი.
გავხარ დედას და გავხარ მამიკოს,
ხარ კეთელი და გულსხმიერი.

თვალმოხატულო, ნაზო, ფერიაგ,
რა არ იცი და რას არ ისწავლი,
მზე შენი სახის ანაფერია,
ისე თეთრი ხარ, როგორც მიტკალი.

უგულობაში ბრალს ნუ დაგდებენ,
გულს სულ უხდება, ჩუმად ჩურჩული,
სიყვარულს ჩუმად აბადაგებენ,
მიუვალი ხარ, როგორც კუნძული.

შენ მოფარფატე თოვლის ფიფქი ხარ,
ცისკარო, დილით ამომავალო...
შენი სიმშვიდით რამდენს უყვარხარ,
სხირტლაძეების შთამომავალო!

სარუქარი



უერთგულესი მეგობრისგან მერგო საჩუქრად, ვარდების კონა, ლამაზი და სურნეღიანი. თუმცა მე ბედმა, სიცოცხლე სულ დამინაქურჩა, ჩემნაირია, ლამზირაც და თვალცრემლიანიც.

იმერული „ციცქა“

მორწმუნე კი ვარ, მაინც ვცოდვილობ, მარხვას ვერ ვიცავ, ნაკლი ეს არის, ასაკით ტოლებს ყველას ვძმობილობ, ამაშიც ვცდილობ, რომ მქონდეს ზღვარი.

ჩემზე დიდები დედას მეძახის, დიდი ხანია „ტერეზაც“ მექვია, ყურძნით სავსეა ჩემი ვენახი, სულს იმერული „ციცქა“ ასხია.



ვალში ვარ



რით გადვიხადო ვალი არ ვიცი, რა გისაჩუქრო, პოეტს ხვთის მოსავს... ცის მზის სამოსი ტანზე ჩაიცვი, გავხარ იას და ხანაც კი შროშანს.

ექიმ ქალბატონს, პოეტს, თან ჭკვიანს, არც ლექსი გიკვირს და არც ქონება, მე, მიგამგვანებ, მშვიდ და ნაზ ნიავს... შენი ქალობა? არ იწონება!

მაინხ

რითი აღარ მოვიხადე დარდის ციხე, დაისია, მზე მიდის და მივდევ, მადლის კვერი, სხვას რამდენჯერ გამოვუცხვე, გულში მუდამ, ზღვა სიკეთე მიდევს.

საიმედოს გზას მივაგნებ, არ არსებობს, იმედის კოშკს, ავაშენებ მაინც... გული უნდა, მოვაცოცხლო, ვაარსებო, დაბადება მიულოცო მაისს!

ჰოდა, ჩემო მომავალო

არ, არსებობს, სულ რომ წვიმდეს, ან, ყოველდღე ქარი ქროდეს... გზები ყველგან გადავწმინდე, ქვა, რომ კლდიდან არ დაგორდეს.

ბილიკ-ბილიკ გამოყევით, შემოგხვდებათ, ტკბილი ხახლი, მტერ მოყვარე, დამოყვრდებით, დროს, შრომით და ნდობით დაღლით.

ჰოდა, ჩემო მომავალო, ჩემს წლებს, ასე შრომით ვჩეჩქვავ. თქვენთვის უნდა დავიღალო, რას მოითხოვთ კიდევ ჩემგან?

დედინაცვალი

ამ ღამის ფუსფუსში დაინერა,
სიტყვები ლექსის მაგვარი
და ღამეც ისე დაინურა,
თვითონ აერია თავზარი.

ეგონა, მას რომ დამათრობდა,
დილას შევხვდებოდი ბარბაცით,
ანდა დარდებით გამაქრობდა,
თქვენც იცით ღამე რაც არის.

შევერკინე და შემერკინა,
ჰოჰო, რა მწარედ მირტყავდა,
ცდილობდა, გულში რომ ევბინა,
გემი თვითონვე მიყავდა.

შევატყვე, ღამე დაიღალა,
სადღაც გაიძურნა ბანცალით,
მაჭობა... ზეციდან დაიბღავლა,
ყვიროდა დედინაცვალი.

* * *

მოვასწარი,
სიცოცხლეში გადავთესე,
ის მარცვალი, მომავალს,
რომ გამოადგეს!



მინდვრის ფხალი

ირმის მწვადებს მირჩევნია მინდვრის ფხალი,
დაკრეფილი, ჩემი მიწის ბარის ახოს.
მთვარე არის, ჩემი აზრით უფლის თვალი,
საქართველო, ღამითაც სურს დაინახოს.

რა ჯობია იის სურნელს, ტყის ენძელას,
სიოს ნარნარს, სიცხის ალს რომ შეაგრილებს...
„საპოვნელას“ ღვთის პოეტი აქ, ეძებდა,
ეფერება ახლა სული თეთრ გვირილებს.

უფლის თვალი „მთვარე“ დღისით რომ ისვენებს,
შეუკუპავ ფხალს, ნიგოზით შენაკმაზებს,
ნარსულს, წლებს, „ფეხშიშველას“ გავიხსენებ,
თუ ზაფხული არადოდეს გამაბრაზებს!

მაისია

მიმფარველებს, ისევ ღმერთი, რწმენით ძლიერს...
არ დამტოვებს, ქარიშხალთან მართო.
დავაპურებ ძველებურად სულით მშიერს,
ვისაც სჭერა, ლექსით დარდიმანდობს.

მაისია, გათენდება ნაზი დილა,
ხუთი რიცხვი ჩემთვის ფირუზ-ლალია.
ვტიროდი და ლექსმა გულით მიღიმია,
ყველა ლექსი, არის თვით უფალია!

სანამ

სანამ მოფერება შემიძლია,
მინდა ვვლავ კალამი მოვიმარჯვო...
მჭარბობს, სიკეთე და გადამძლია,
ჰოდა, თქვენთვის უნდა დავიხარჯო.

ჯუჯა

თვალს არასდროს, არ ვარიდებ,
მეცოდება, მუდამ ჯუჯა.
გზას მივდეგ და მადლს ვარიგებ...
ცოტას არა, ბლუჯა – ბლუჯა.

სულის სინრფელა

ცეცხლი ანთია, წიფლის ტოტი, იწვის ბუხარში...
ბზას ჩაუთქვი და აალებულ ცეცხლში ვისროლე.
ჩუმად, უთქმელად, ბზის ნედლ ფურცლებს ასე ვუთხარი...
მინდა ვხედავდე, შინ და გარეთ, სულის სინრფელეს,
რადგან ალაღად, თაფლს ვაგროვებ, დედა ფუტკარი!

მე დავიხადე

მე, დავიხადე ათას ცხრაას ორმოცდაათ წელს,
ხუთი მაისი გახდა ჩემთვის ცხოვრების წილი.
უფალს უნდოდა, მოვსულიყავ, გაზაფხულის დღეს,
გულს მიმეზნია, სიყვარულის, გრძნობების ღილი.
თუმცა ავდარმა ამატირა, ბევრჯერ დამძალა,
წუნუნ – კრუსუნი, არ დავიწყე, ბრძოლა ვარჩიე,
თუ, გაავდარდა, ავ ქარიშხალს, თითონ დავკრძალავ,
ამ სიძლიერით, მე, სიცოცხლე გადავარჩინე!

შიშით არა

შიშის აგურს არ ვიყენებ საშენებლად,
არც მუქარის მეშინია, რომ იცოდეთ,
უფლისგან ვარ, მოვლენილი საფერებლად,
სიყვარულის სადიდებლად მოგიწოდებთ.
რის ქონება, რა სიმდირე, რას მიქვია,
სიყვარულით, შეიყვარეთ, სიყვარული...
რასაც გასცემთ ეს, იცოდეთ, ის, იქვეა,
არავისგან ის, არ არის მოპარული!

მეცოდება

გულით მინდა, ნამეხარ ტოტს ვუმკურნალო,
შეუხორცო, ღრმა ჭრილობა, სეტყვით ნავნებს...
იმედის რაშს, გამოუცვლი, ნაცვით ნალებს
გადამხმარ ვარდს, რწმენა ისევ გაამწვანებს...
გულდაჭრილი, თან უიღბლო მეცოდება,
იარებით გული რომ აქვს დასერილი...
უბედობამ შემიყვარა, არ მშორდება,
მეცოდება, ჩემნაირად დასევდილი.

რა აზრი აქვს

რა აზრი აქვს იმ გაზაფხულს,
ან ყვავილთა გადაფურჩქენას...
თუ უყურებ გულს გამობრულს,
ან დარდისგან დანაქურჩდა.
როგორ ვნატრობ, მინდორ ველზე,
მიწის ბელტებს ხნავდეს ხარი,
შრომისაგან ნაკოჟრ ხელზე,
ცოლს კოცნიდეს, თავის ქმარი.
ეს, მწამს, ასეთ დროს ვნატრულობ,
ნიგვზიან მხალს, ცხელი მჭადით,
გულო, დარდით გაფატრულო,
გამძლეობით ფოლადს გადრი.
უნდა გაძლო, რაღას იზამ,
შენთან ერთად, ვბრძოლობ კარგო,
დრომ თუ, თოფი დავგიმიზნა,
ერთმანეთი არ დავკარგოთ!

სიზმარი

იქნებ სიცოცხლე ღირდეს,
რა ლამაზია დილა.
ღრუბლებს სულ გავვრიდე,
ბარში ძალიან თბილა.
მზეს გაუღიმე, ერთგულად,
ბუნება გახალისდა...
მტერს გული გამოვგულა,
ღრუბლები დახარისხდა.
მზე გაბატონდა, ცა ლურჯი,
ფერებში ფერიფერობს...
ქარი დადუმდა ვით მუნჯი,
აღარც სურს წაიმღეროს.
ხმელეთი, ცას შეურიგდა,
მზე კი მთვარესთან მასხრობს,
ყველა დანწყნდა, მორიგდა,
სხივი ნესტს გამოაშრობს.
თურმე სიზმარში ვყოფილვარ,
გამომეღვიძა თქვენში,
სადღაც ურჩხული შობილა,
ბოროტი სამტროდ ხვნეშის.
ქვეყანას, რა ეშველება,
ვინ უპატრონებს ნეტავ...
ვაფრთხილებ, ნუ შეეშლებათ,
ქართველი რკინას კვნეტავს!

იხადი

მომცვრეულ წლებს დავტრიალობ,
როგორც ქორი, კრუხ წინილას,
მზე ფარდად მსურს ვაფრიალო,
ყინვის დროში მყავდეთ თბილად.
როგორ ვცდილობ, რომ გაამოთ,
ზოგი ხვდებით, ზოგიც ვერა,
დღესვე ახლა ამ საღამოს,
სხივით იმედს შეგიკვრავთ.

დედამინავ

გაუძელი, გაუძელი, დროჟამს,
დედამინავ, ტკივილებით სავსევ,
ზეცა არის, შენი გულის „ბროშკა“
წყურვილის დროს,
წვიმის წვეთებს გასმევს.
თქვენ ორ შორის გამყოფია სივრცე,
უფალი კი, გლოცვთ, ტყუპსცალებს.
დაგპატრონობს,
გითანაგრძობს, გიცქერს...
წყვდიათში კი, მთვარე გიხელს თვალებს.

რალა მომკლავს
(შორენა ჩხიკვიშვილს)

გაზაფხულის სურნელი აქვს ამ ქალბატონს,
ტკბილი სიტყვით, რომ განკურნავს, პაციენტებს,
რალა მომკლავს, ამ სიმდიდრის, მევე პატრონს,
სულის საკვებს, ნიჭთან ერთად რომ იმეტებს.

ხო, ექიმო, გამიკურნე გული ფრთხილად,
თავისთავად დარდმა კარი გაიხურა...
როგორც პოეტს, მწამს
ბევრჯერ გაქვს თეთრი ხილვა,
ექიმობით??? მადლით ზეცას გადახურავ!

გაზაფხულდა?

გაზაფხულდა? უღიმღამოდ გაზაფხულდა,
წითელ ტიტებს, დასდებია, სევდის ფერი.
პაპის გუთნით, მიწა აღარ გადახნულა,
არია, დაირია, ყველაფერი.

ვატყობ უკვე ძველებურად, ვერ მივიღებ,
შემოდგომით, პურის მარცვლის
უხვ მოსავალს...
ეს, ჭანგები, რომ ვერაფრით ამოვიღე,
ამიტომაც თვალს ვარიდებ, ჩემს მომავალს.

ო, ის მხრა აპრილი

ჩემის თქათათქუფი, ქორთა სხეულებზე,
ამის დავინწყება განა შეიძლება,
ნეტავ გახსენებას, გული გაუძღვებდეს,
ჩემი ერის დარდი სწორედ იქ, იწყება.

თოთო სხეულების სისხლი გამონურეს...
ხოცვა, ჯახა – ჯუხი ბინძურ ჯალათების...
მერე იმ გუბეში, როგორ გამოცურეს.
ჩვენ ხომ ერთად გვქონდა ღამე განათევი.

სისხლის გამყიდველებს, გული არ პატიობს...
იყო მხრა აპრილი ჩემი ერის ჯვარცმა...
ო, ამ ბილევების სიოს როგორ ვდიო...
სტუმართ – მასპინძლობა, იმ დღეს ჩაიფარცხა!

უღელში

რა იოლია, როცა უღელს წყვილად ეწევი,
და რა ძნელია ცალუღელობა,
მართლაც საერთოდ...
ო, ეს, ცხოვრება, ხდება ბედით განაწეწები,
ყოველი დღეა, უფერული, უმისამართო.

სანთელი
(შვილის მეუღლეს,
ცირა მიქელაძეს)

ხვთისმშობელს ვთხოვე, დაგლოცე,
რძალი – შვილივით ტკბილი,
შენი სიმშვიდე მაოცებს,
ვეთილიც ხარ და თბილიც.
ხვთის მოშიშო და ძვირფასო,
გაზაფხული ხარ შვილო,
ყველასთვის უძვირფასესო,
ჩემო სიმშვიდის ძილო.
გაყოფ ალაღად, ყველაფერს,
არ დაინანებ სხვისთვის,
შენთვის არ იტოვ არაფერს...
იბრძვი სულ სიკეთისთვის,
ღმერთმა გიქციოს ათასად,
შენი ლევიკო, ნანა,
სიცოცხლე გაგიასმაგდეს,
შენ ჩემო ოქროს ყანა!...

დედა პოეტიკი

კვირტი ბუნებრივად გაიშლება,
დედა პოეტების ამურებით,
დარდი დაიფშვნება, დაიშლება,
გულის სიყვარულის ფსალმუნებით!

ფანჯარასთან

უთქმელ სიტყვას ვუზიარებ
ჩემი ფანჯრის ნაბ ყვავილებს...
დარდებს მზებზე ვამზიანებ,
გულში ცუდ ფიქრს არ გავივლებ.

დუმს ბალბა და ბარაქის ხე,
მზე ჩავიდა დასალიერს...
არც ფანჯარა გავაღე და...
იმ დღეს წყალიც არ დავლიე.

ჩემი საჩუქარი

ყველასთვის, მემეტება,
განძი ღვთისა სასაჩუქრედ,
ლოცვით ძალა გემატებათ,
ყველას გულით რაც გაჩუქეთ.
გამიმრავლდით, დამიპურდით,
სიხარული გქონდეთ საგზლად,
სიყვარულის აპურით,
ბედისწერა დაგემგზავრათ.

გული არ დამიხარხოთ

მჯერა, დაამდება ქარი,
დღეებს მისულდგმულებს რწმენა...
რა ქნას თუ ის, ცოცხლობს შარით,
მასაც მოწყინდება ღრენა.
მე კი ვიმეგობრებ ნიავს,
ცაში მელოდება მთვარე...
იქაც სიყვარული მიმაქვს,
ჩემთვის შეუცნობელ მხარეს.
სანამ აქ ვარსებობ თქვენთან,
როგორ არ მიყვარდეთ ხალხო,
გული სიყვარულით ფეთქავს,
გული არ დამიხარხოთ!

ვნატრობ

წლებს ვსადილობ, ფრთხილი ლუკმით,
სხვისას სუჰსაც არ მივირთმევ...
როგორ ვცოცხლობ, ბევრს, რომ უკვირს,
აგერ უკვე ფეხს მივითრევ.
არ ვიმჩნევდი, რომ მშოიდა,
ერთგულების, მწვადის გემო,
ყვავი თავზე დამჩხაოდა,
გაჰკიოდა საგანგებოდ.
გულის სითბოს სულ ვარიგებ
უშურველად ახლაც ისევ...
სიბოროტე ვერ მოვირგე...
თვალს ვაპარებ ჩუმად ცისკენ.
ჰოდა ასე, წლებს ვსადილობ,
ჩემი შრომის, პურის ხარჩოს,
ძნელი არის ნუ ადვილობთ,
დარდში თქვენ არ მოიხარბოთ.
ეს, რთულია არ მომბაძოთ,
ამას ქვია თავგანწირვა,
გულში ეკალს ვედარ ვაძრობ
და მასველებს ხშირად წვიმა.
ბედის აღმართს მივაბიჯებ,
ჩაის დავლევ, ვახშმად მარტო...
გულს არავის არ ვაჭიბრებ,
მარტო ერთგულებას ვნატრობ!

წლები

ადრე წლებთან ვიკენჭავე,
ახლა სულ მთლად დამეფანტა...
წარსულს ნუ დამიღეჭავენ,
იმ, დრომ წმინდათ იფარფატა.
წმინდა სულით დავდიოდით,
ჩემი ტოლნი ხვანის გბებზე,
მზევ, შენც გვიან ჩადიოდი,
არ, ვბრაზობდი მაშინ შენზე.
ახლა სწრაფად მიდის წლები,
კენჭაობას ველარ ვასწრებ...
შელამდება იმ წამს ვწვები
დიდი დარდი გულზე მაწვეს.

ხარება

გაიხაროს თითველმა ოჯახმა და...
თითველი ფუძის კერა მოძლიერდეს.
აღარ მოხდეს, კოსმიური თავდასხმა და...
სიხარული მსოფლიოში დატრიალდეს.

ხარებაა, გაიხარეთ, იღღეგრძელეთ,
ღვთის განგებით, შეგემატოთ ჯამრთელობა...
ყველამ ერთად, სიცოცხლის დღე გააგრძელეთ,
ცალკე ყოფნით, ყველაფერი გართულდება.

====
====
====

გ ა ი ხ ა რ ე თ...

მართო ქალი

(მირიან იორამაშვილს)

მეუფეო, შენ გვმოძღვრავდი, სიკეთისთვის,
ლექსებს წერდი, კითხვაც, როგორ გახარებდა,
გვასწავლიდი, რომ დაგვეთმო მოძმისათვის,
შენს სიყვარულს საქართველო ატარებდა.
ვიცი მლოცავ, მაძლირებს შენი ლოცვა,
გულში დამრჩი, არც მგონიხარ გარდაცვლილი,
ერთგულებამ ნეტავ ხომ არ გაგაოცა,
ჰა, ჟურნალი, ყდაც არ არის გამოცვლილი.
ხარებაა, დამილოცე ეს, უღელი...
რომ ვატარებ ამ ტვირთს რწმენით, უფლის ძალით...
ჩემთვის შრომა, სულ არ არის გადამღლევი,
კრძალვით ვდგავარ შენს საფლავთან, მარტო ქალი!

ვირწმუნეთ

ვირწმუნეთ სულები არ კდება,
გარდაცვლილთ ვხედავდით თვალებით,
ჩვენს ირგვლივ დადიან რა ხდება?
კაცები, ბავშვები, ქალები.
ვუღიმით დედები ჩვენს შვილებს,
ივერი შვილიშვილს შესცქერის,
უყურებთ მათ სახის ღიმილებს,
სურათს კი გვიღებდა ეთერი.
წამითაც კარგია ირწმუნო,
სიცოცხლეს, განაგრძობს სულები...
ჰოდა, რად დავინუნუნოთ,
რად ვიყოთ გულანაგულები.
აღდომის კვერცხებო, ენდროთი,
შეფერდით სიცოცხლის ფერებად,
უფალო, გვწამს შენი გენდობით
და მაინც, დარდები გვერევა!

როგორ შეიძლება

როგორ შეიძლება
არ მიყვარდეს,
ექიმ ქალბატონის ერთგულება.
მინდა ჩემად გვთვლიდე...
ხვთის გაყრამდე,
შენში ჩემი სული მეგულება.
სულთა კავშირი კი უფლითაა,
პოეტს პოეტისი ეყურება...
ჩვენი საუბარი თბილიცაა,
გული კარგი სიტყვით ინკურნება!

იმაღი

მთები, დგანან დევებივით,
ამაყად და დიდსულოვნად...
წლები მირბის მწვერავით,
დრო შემომრჩა გულში ხსოვნად.

საიდღანაც, ველი იმედს,
არ, არსებობს არ მოვიდეს...
ვთესავ მარცვალს, თანაც იმდენს,
ჯეჯილად მსურს ამოვიდეს.

მჯერა ჩემი წინათგრძნობის,
ერთხელ ჩემთვის გათენდება.
ველი ამ დღეს, დიდი გრძნობით,
თოვლ-ყინული გამოდნება.

ჩემი მერცხლის ლამაზ ბუდეს,
იჭიკჭიკებს მერცხლის გუნდი,
დარდი ჩუმად გამოვგუდე,
იმედებს კი გულში ვბუდნი!

წიგნი

მდიდარი ვარ, ამ წიგნებით,
მკვებავს, მათობს, სხვა რა მინდა,
ავდარს აღარ ვუშინდები,
წიგნით გამოიამიდა.

თუ მომზივდა, წიგნს ვკითხულობ,
არის ჩემთვის, სულის საზრდო...
არ ამაყობს, არ დიდგულობს,
წიგნს, სიცოცხლე უნდა ვანდო.

წარსულიდან შემახსენებს,
ბედნიერს და ლამაზ წუთებს...
დარდს მთებს იქით გაასვენებს,
დროსაც, ბედით განათუთქებს!

ვარსკვლავები

ღამით ვარსკვლავებმა,
დაიწყეს ხეტიალი...
გაბრაზდა მზე და დასვა
დიდი წერტილი,
კოსმოსშიც მიტომ
ატყდა ორომტრიალი,
დედამინა კი, წელში არის გადაწყვეტილი.

მთაზი

ხვანის მთების სილამაზემ არ მიშველა.
თუმცა აპრილის შეუკერავს მწვანე ვაბა ...
იქვე დარბის ის, ბავშობა ფეხშიშველა,
მთების ძირსაც მონასკვია, თეთრი ბაბთა.

ახლა მოვა, ტყეში სოკო, ქაშა, ნიყვი...
ბუმბერაზ მთებს, ააცვკვებს ნაზი სიო.
აპრილია, სიტყვით ბედზე ჯავრს არ ვიყრი...
ბედო, ცრემლით თვალი აღარ გამისიო.

სიმაართლის ბილიკაზი

(მანანა მესტუმრიშვილს)

ეს სურპრიზი, გაზაფხულმა გამიკვთა,
იმ, ლამაზ დღეს თუ გნახავდი, რა ვიცოდი.
მანქანიდან თვალმა თვალში გადაკვთა,
მანანიკო, არ მეგონა, თუ გიცნობდი.

ოცდახუთი წელი ისე მიიწურა,
რა არ შეგხვდა, ან მე რა არ ვიხლავოროთე...
ბედის ცრემლმა, ჩვენს თვალეებზე იწურწურა,
ცრემლიც ჩვენი სიძლიერით ავაორთქლეთ.

მოგეხვიე, ჩავიძირე მოგონებით,
გავისხენე იმ შეხვედრის ცისკრის ღამე.
დამიბრუნდი, ძველ მეგობარს მოგენდობი...
სიცოცხლის წლებს, უკვე შენით დავიამებ.

ეროვნული სული ისევ აკიაფდა,
ყური უგდოთ საქართველოს გულის ტკივილს...
მინა გვტკივა, გაიყიდა, გაიაფდა,
ჩვენ სიმაართლის ბილიკებზე, ერთად ვივლით!

სინათლის კვალით

გაზაფხულის სურნელება შემოგიძღვა,
მოგყვა ეშხი, იასამნის ფერის.
აპრლის თვე პოეზიის ამაღ ღირდა,
ცისფერთვალავ, ის დღე ახლაც მღერის.

ლექსის წყობა, რიტმი, რითმი, ზეიმობდა,
კითხულობდი, უფლის სიტყვებს მშვიდად.
ცივი ქარი მჭერა, ალბათ შურით მოვკვდა,
გფარველობდა, ხვთისშობელი ციდან.

დაგვათოვე, სურნელება, გაზაფხულის...
ციმციმობდი, როგორც ცის ვარსკვლავი...
იმ დღეს დარდი სადღაც იყო დაკარგული,
შემოსახლდი, სინათლის კვალით!

გლოხავთ

ღამით, ძილის წინაც, ასე ვილოცები,
გქონდეთ სიმშვიდე და ტკბილად მოისვენეთ...
წყალში გადაყარეთ დარდის გისოსები,
ყველა სიყვარულით, მშვიდათ გაიხსენეთ.

განა ეს ცხოვრება, მუდამ იცისკარებს...
ანდა დარდის კალოს ვინმე გაგიღენავთ?
თუ კი განვიმდება, ისევ გადიკარებს,
ქარსაც მოერიდეთ, ფიქრებს აგიწენავთ!

წარმატება

წარმატებები არ დაელიოს,
ძირულის პირში არსებულ სკოლას,
ზეცას ცრემლები არ გაელილოს
და არ ჩამოტყდეს, ტოტები ბჟოლას.

აკმარე ჭალვანს, გლოვა და ურვა,
ღმერთო, საწუთრომ გამოიდაროს...
ვგრძნობ გულისტკივილს ლოცვა, განკურნავს...
იქნებ, წვიმებმაც გადაიკაროს!

ისე წამოშლილა

ისე წამოშლილა ატმის კვირტი,
ისე არხეინად გაბარდნილა,
ახლოს მივედი და დავაკვირდი...
ირგვლივ ყველაფერი გარინდულა.

ნუთუ გაიშლება ტყის პანტებიც,
ნუთუ დანყნარდება არემარე,
ატმებს როგორ შვენის ეს ბაბთები,
შინდიც ყვითველ თვალებს ახამხამებს.

პირველი აპრილი

სისადავე, სინათლეს ბადებს,
თბილი სიტყვა, გულმა ჩემმაც გთხოვათ,
როცა, აგურს მოძმისთვისაც დადებთ,
გაზაფხული უსათუოდ მოვა.

შენი ეშხით

ანგელოზო, შენი ეშხის ჩურჩულს,
ყურს უგდებდა ქართვლის სიო ჩუმად,
გულს ვუბრძანებ, ალაღსა და გულჩვილს,
წასულია ეს, მერცხლები სტუმრად.

აინცობენ ცხოვრებას და მოვლენ,
პაპის საფლავს, დაურგავენ ყვავილს...
ახლა ფიქრებს, გული შევაყოლე,
დროს მივტირი მათ გარეშე ჩავლილს.

მანაჩენი

სულ ღრუბლებში, ვერ ვიცოცხლებ,
მინდა ნისლებს განვერიდო...
ცის ღრუბლები გადავცოცხე,
მადლი უნდა დავარიგო.

სიტყვით თორემ ფული პოეტს,
არც ერთ ღროში არა ქონდა,
ლექსით მღერის გრძნობის სონეტს...
თუკი ღრუბელს ჩამოშორდა.

გულის ზაფხულს დაგირიგებთ...
დღის სითბო მაქვს, განაჩენით...
ღრუბლებთანაც მოგარიგებთ...
მასაც ესმის უკვე ჩემი!

ეთერ ნინო

რათ მოგენდოთ გული ასე,
ეთერ, ნინო, ვინ ხართ ჩემთვის,
რაც მე არ მაქვს, თქვენით ვავსებ,
თქვენ ხართ სულის შენაერთი.

სხვაც რომ მიყვარს, როგორც შვილი,
ვიცი, რომ არ გეწყინებათ,
გულკეთილი, მზისებრ თბილი,
მზე თვალელებში უბრწყინდებათ.

პოეტებო, კი ფრენთ ცაში,
მაგრამ ჭიქურ მტერსაც უტევთ,
ბრძოლით დაღლილ, ბანაკს აშლით,
ხმალს ქარქაშში გადაუმტვრევთ.



მთარო

ცივ რუსეთში იქ, რუს დედას,
გარდაცვლია ომში შვილი ...
როცა სხვისი შვილი ვვდება,
იმ წამს მწყდება გულის ღილი.
დავიტირებ, ფიქრის ჩრდილში,
მგლოვიარეც ვივლი ერთ ხანს,
ჩემ შვილს ვეძებ, უცხო შვილში,
ვხედავ სული ერთად მოჩანს.
ვეფერები არ ვკითხულობ,
ვინ რუსია ვინ ქართველი,
ვცდილობ, სულთან რომ ვიფრთხილო,
ყველას ქონდეს გზა ნათელი.
ასე მტკივა ოსი დედის,
აფხაზის და ჩემი ერის,
მიყვარს ხილვა თეთრი მტრედის,
მგონია რომ სული მღერის.
რა იქნება ჩვენ კი არა,
მტერო, თქვენც ბედს შეებრძოლეთ,
ღრუბლებმა თუ გადიარა,
სიყვარული თესეთ მხოლოდ!

მიხარია

მიხარია, როცა ერი გაზაფხულობს,
მავწყდება წუთიერად ცრემლის წლები...
ახლა მინდა დარდებს კარი მივუხურო,
ყველა ტკივილს წამით მაინც გავეცლები!

ფიქრის სახლი

ფიქრის გული შემრჩა მკერდში,
ფიქრის კაბაც მაცვია
და ვსაუბრობთ ერთი-ერთში,
ფიქრი კარგი კაცია.
არ ვკამათობთ, გასაყოფი
მხოლოდ წიგნი მიწყვია,
ბრძენი არის ეს ნაყოფი...
განა ფიქრი ბრიყვია.
ფიქრის ქალი დინჯი არის,
ფიქრით დილას ათენებს...

გაბრწყინდება, ცისკრის კარი,
ხვდება ღამენათენებს.
ფიქრის სადილს გააკეთებს,
დააპურებს, მათხოვარს...
უძლებს გულსაც დანაფლეთებს,
ბედმა რომ დაათოვა.
ფიქრის სახლი, ფიქრის დილა,
რა სიამით თენდება...
ფიქრის სახლში ჩემთან თბილა,
ილუღუნეთ მტრედებმა!

შეხარძოლა

თუ, დაეცი წამოდეცი,
ქარის რუზრუზს, არ დანებდე...
დროზე ადრე გადადეცი,
მოყვრის რჩევას მუდამ ენდე.
წყალი მღვრიე თუ ბორგავდეს.
დამშვიდდება, მზის სხივებით...
ვარდი იელს თუ მოგავდეს,
მაინც ნუ შეუშინდება.
არ დანებდე, უბედობას,
შეებრძოლე ბედის ბორბალს...
გარდაცვლილებს შენდობა და...
ცოდვა არის სული ობლად!

დაამარცხლა

წამალი მაქვს, სულის საზრდო,
ვცდილობ, ყველგან დავარიგო...
არასოდეს არ იდარდოთ,
წვიმებს უნდა გაგარიდოთ.
მოვავროვებ, დარდს შარშანდელს,
კალოდ დავყრი გამოვლენევ,
პოეტს ჩავთვლი, ვით შევარდენს,
ლექს დაწერილს, ვაზის ლერწად.
ჩემი სულის მოზიარეს,
გულს ვაჩუქებ ვარდის ნაცვლად.
ცხრა მთის მთები გადავიარე,
წლები გზაში დამემარცხლა.

და მაინც

სტუმრების მიღებას, ვაგრძელებ...
რადგანაც გზავნილი ხვთისია,
ღრუბელო, მგეს რატომ აბნელენ,
ქვემეხებს ისედაც ისვრიან.
დავრწმუნდი, კოსმიურ ძალებში,
მართავენ მერკურს და ვენერას,
ნუ მთვლიან, მე ამორძალებში,
ბედი მკლავს, გადამემტერა.
და მაინც, გზას მივდევი იმედით,
გულს ვუხსნი, სტუმარს და ნათესავს.
ცოტაც და საცაა მივედი,
სხვასავით მეც მიწა დამთესავს.

არ განვიკითხავ

თუ ბედის წისქვილს ქარიშხალმა მხარი აუბა...
და ჩამოროშა, წლები ისე, ცრემლში ნაზელი...
იძულებული, ქართან ვინყებ ისევ საუბარს,
ხან ასეც ვფიქრობ, ამ ბრძოლებში
როგორ გავძელი.

ქარი ვერც ხვდება, ქარია და რა მოეკითხოს...
თავის მისიას უშეცდომოდ კარგად ასრულებს,
ალბათ ჯობია, ცოდვიანი არ განვიკითხო,
ამით ვუშველო გარდაცვლილებს,
ცათა წასულებს.

ერთგულეა

ქართველები უნდა იცნოთ თბილი სისხლით,
იშვიათად, ქართველი, რომ გაორგულდეს...
ჩემი სისხლი მხოლოდ ქართველს გადაუსხით,
ხვთის ურემი, სანამ კლდეზე გადაბრუნდეს.

გაითენეთ, ერთგულების დღე საამო,
დედას პურიტ, მოიკითხეთ ღარიბები...
და რომც გვწყინდეს, სანდურავი აღარა თქვათ,
გაჩუმდები, თუ დაგლაღეთ, დარიგებით!

შაჯიხრი

კარი გააღეთ, სიყვარული უნდა მოვიდეს,
შემოარღვიეთ სიძულვილის ღობის ჯებირი.
სანამ დრო არის, სანამ ეს, მზე სულ არ ჩავიდეს,
გინვევთ სუყველას, ერთგულების იყოს შეჯიხრი.

მიხარია

მიხარია, როცა ერი გაზაფხულობს,
მავეწყდება წუთიერად დარდის წლები...
ახლა მინდა გული ისე გამოვხურო,
ყველა ტკივილს წამით მაინც გავეცლები!

შემოგველა

ფესვი ხარ საღი ნამყენის, ქართული ვაზის ჯიშის...
ბედზე მე ვი ვარ ნაწყენი, რად შემხვდა ვაი-ვიში.
შენ დაგილოცავ გზის სავალს,
მწერვლებს გადაეველე,
ეკალ-ბარდებში მე გავალ,
შვილო, შენ შემოგველე.

ნათყრა

ხელით მინდა მივწვდე ზეცას,
დავინიო როგორც ტოტი,
თან მზისფერი კაბა მეცვას,
ყურს მესმოდეს ჟღერა ნოტის.
საგალობელს მიმღეროდეს,
აფხაზი და ოსი ერთად,
მათი ნახვა მიხაროდეს,
სადღეგრძელოც ერთად გვეთქვას.
ომის კვალი გადარეცხოს,
ძლიერმა და დიდმა წვიმამ,
თორნის პური ერთად გვეცხოს,
როგორც ადრე ვაცხვეთ წინათ.
გაიშალოს საძმოს სუფრა,
ოსურ, ქართულ, აფხაზურით,
განკრიალდეს გული სუფთად,
ერთმანეთის ვიყოთ ბრუნვით.
დანყნარდება, ზღვაც და სივრცეც,
ქარი ღრუბლებს აღარ აშლის.
მე ყველასთვის პირჯვარს ვიწერ...
და სუფრასაც მევე გავშლი!

მთაზი მიხმოგს

სულის მთები, ბარში ტირის,
მთა მთის გულზე ასვენია,
ფიქრი დარდში შენაკირი,
ყველა სულის ნარჩენია.
მთაო, მიხმე მოვალ შენთან,
დამავიწყე დარდის სახლი...
ღამეა და არ გათენდა,
ყვეა ისმის მხოლოდ ძაღლის.
ამ შავ ღრუბლებს, გავეცლები,
მზეს გავყვები სადაც ჩადის,
მშვიდად განა გავცეცხლდები,
მოთბუნების ყოფნის ვადით.

დედის ლოცვა

ასე, შევიგრძნობ, ხშირად ძალიან...
ღამე ძალღივით რომ იკბინება...
შვილო, დარდისთვის შენ არ გცალია,
დედის ლოცვაში მიგეძინება.

დამლოცე

დამლოცე მამავ, დამილოცე გვარი საერთოდ,
რომ დავიმშვიდო, დარდიანი გული ცოტათი...
ამაღლებაში, ამაღლებით გული ამენტო...
წმინდა გიორგი, შენ მოგართვი სანთლის ნობათი.



განაჩენი

სულ ღრუბლებში, ვერ ვიცოცხლებ,
მინდა ნისლებს განვერიდო...
ცის ღრუბლები გადავცოცხე,
მადლი უნდა დავარიგო.

სიტყვით თორემ ფული პოეტს,
არც ერთ დროში არა ქონდა,
ლექსით მღერის გრძნობის სონეტს...
თუკი ღრუბელს ჩამოშორდა.

გულის ზაფხულს დაგირიგებთ...
დღის სითბო მაქვს, განაჩენით...
ღრუბლებთანაც მოგარიგებთ...
მასაც ესმის უკვე ჩემი!

ღმერთით

სიყვარულით, შიშით არა,
ამივსია გული გრძნობით...
ღმერთს ვახსენებ წარამარა,
ღმერთო, შენ ერთს მოგენდობი.

შენ მიყვარხარ, შენთან არის,
ნათესავი, ქმარი, შვილი...
გულს ბედით აქვს დიდი ბზარი,
ღმერთო, შენით არის თბილი.

ნათყრა

არ ვნატრულობ, ფული მქონდეს,
არც სასახლე, ცათა ტოლი,
მინა ჩემი არ მიჰქონდეთ...
ქართველს სახლში ჰყავდეს ცოლი.

შვილი დედამ გამომზარდოს,
არც ბებია, არცა ძიძამ...
ღმერთო, ამით არ მადარდო,
დარდმა გული გამომძიძგნა.

ჰქონდეთ ცოტა მხოლოდ შვილი,
დედის გულკერდს მიმიკონე,
დედა არის ტკბილზე ტკბილი,
შვილს, დედის ხმა გააგონე!!!

გულს ნუ მატყენ

სიკეთისთვის
გულს ნუ მატყენთ,
თითს ნუ მიქნევთ წარამარა.
თაფლს გიგროვებთ,
სჯობს რომ დატყებთ,
საყვედური უკვე კმარა.
ის, მიიღეთ, რასაც სხვები,
საუკუნით ვერ იღებდნენ...
ჩუმად მესმის ცივი ხმები,
ვგრძნობ მგლებივით შემიღრუნენ...
კვლავ დაგლოცავთ,
მაგრამ იმ გზას
დაადგებით თქვენი ნებით...
ამისათვის იყავით მზად,
თქვენ მე აღარ მენანებით.
ფეისბუქი ხომ გაქვთ აგერ,
წერეთ ლექსი, ნოველები,
რაც მოიგოთ, სხვასაც არგეთ...
გახდით ფულის მშოვნელები.
ჩემს სიმდიდრეს,
სხვა ფასი აქვს,
ჩემნაირებს წიგნი უნდათ...
მუხის ნერგებს
ყველგან დავრგავ,
მტერსაც დაუბრუნებთ ხურდას!

აღსარება

გიორგი კუბლაშვილს

გულის ხმაურს მოუსმინე,
საუბრობდი, რა ალაღად...
საფიქრალი მომისილე,
სიტყვა ღირდა ერთ ქალაქად.

ვლოცავ, იმ შენს გამზრდელ დედას,
კაცთმოყვარე, რომ გაგზარდა,
ქალს რომელსაც, ბედი სდევდა,
შვილო, აღზარდას არ დაგზარდა.

რა, ტკივილი უნახია,
უბრძოლია, გულთან ქალღმერთს...
გული სევდის სამარხია,
როცა ვანონს ბედი არღვევს.

იამოყოს შენით მინდა,
კაცურ კაცად, რომ გაგზარდა.
შენში არის სული წმინდა,
მოკვდა... ბედთან არ დაზავდა.

მოვუსმინე აღსარებას,
არ უკარგავ, მშობლებს ამაგს,
რამდენ ტკივილს ატარებდა,
რაც შენ იცი იმის გარდა.

პოეტობა მაშინ ფასობს,
ლექსს ზრდილობა თუ, თან ახლდა.
ხვთის შვილია, ძილშიც ახსოვს,
ბედისწერა, როცა კლავდა.

გეფერები, როგორც ჩემს შვილს,
ჩემი გულის წევრი გახდი...
ლექსს რომ გირძღვნი ნუ დამიშლი,
საუბრისას, მგზავრად გახლდი.

მადლის სამოსს წამოვავლე,
ხელი... ვფიქრობ რაღაც გარგე...
ჩემს ცრემლს, ჩუმად მზეში ვავლებ...
შენ ღიმილებს შეგაგებებ!

ბრმას რას უზამ

რომ ეცადო, ვერ უშველი,
ბრმას რას უზამ, ვერა ხედავს...
დაუშალე დასაშლელი,
ზღვაში შესვლას მაინც ბედავს.
მიდის წინ და წყალში ტოპავს,
ხელებს იქნევს აბდაუბდა...
საცოდავი ყვირის ჰოპლას,
ამ, ჰოპლაში გაიგუდა.
დაინახა დელფინმა და...
შეიცურა მხრებზე უცებ,
მას უნდოდა ეფერინა და...
ზღვის ტალღებმა გამოგუდეს.
დაიჭერე, ბრმა ხარ, როცა,
გულკვეთილის მითითება...
გზა ნათელი ახლაც გლოცავ,
დაიჭერე მითითება!

დავამარცხებ

ჩემს თვალეებში, სულ ციმციმებს სიყვარული,
ისე დიდი, რომ ვერავინ იოცნებებს,
ის არ არის, სხვის ბალიდან მოპარული,
არც აყვება, არასოდეს ხორცის ვნებებს.
წმინდა არის დაფარფატებს, როგორც ფიფქი,
დედამინის გაყინულ გულს უალერსებს,
საზრდო არის, ზეციური ფქვილი იფლის,
სულის საზრდოს, სიცოხლეში დავაარსებ.
უშფოთველად, ყოველი დღე დაღამდება.
სიყვარული დაამარცხებს ბოროტებას,
ქარიშხალიც თავისთავად დაამდება,
არ იქცევა თაობები, რობოტებად.

ყოჩივარდები

ჩემს მაგივრად, ყოჩივარდა ეფერება,
შვილის საფლავს მოდებია გულზე...
საბანივით გულზე გადაეფარება
და ეს, ხდება მხოლოდ გაზაფხულზე.
მაისში კი, ვარდის ფერში გაეხვევა,
საფლავის ქვა, თითქოს სამოსს იცვავს.
ბევრჯერ მომკლეს, ბედისწერის ქვემეხებმა,
მაპატიე ღმერთო, ბედს, რომ ვკიცხავ...
დაიღლება, გაჩერდება, შერცხვენილი,
არ შეეფავს, კარგი ძალი ქალსო...
ცას ქმარშვილის სული არის შეფენილი,
მიძახიან დარდის ტყუფისცალსო!

დამხატე

დამხატე, სანამ ნედლი არის ტოტები,
მე ცაცხვის ხე ვარ,
საქართველოს ტყეში გაზრდილი.
იჩქარე, თორემ, წელში გავტყდები,
ყვავილებით ვარ,
ზედ ფოთლებზე გადაბარდნილი!
დამხატე, ფიქრით დამხატე,
გულში ჩახატვა, უკეთესია...
მე არ მოვიტხოვ, ფერით ბარხატებს,
უბრალობას ქვებს არ ესვრიან.
=====
=====
=====
დამხატე!

სუთი მანისი

იმ დღის დაბადება, თვით ღმერთს გაეხარდა,
დარდის დასასრული, რწმენით ილაგმება.
ცრემლი, მზეთა სხივით, გაშრა, ამოქარდა...
ფიქრის ფორიაქი, ალბად დალაგდება.

სულაც არ ველოდი, მოხდა საოცრება,
მამა ამირანმა მე დად მაღიარა...
მოდის ხაჭაპური, მჭადიც გამოცხვება,
გულის ტკივილებმა, წამით გამიარა.

გულის აკლსიაში

გულის ეკლესიაში დავანთე სანთლები...
და საქართველოსთვის ვილოცე ...

პოეტი პინგვინი

რომ მტკივა, არ ვიტყვი
ჩემით სხვას არ დავსჯი,
გულია მიმღები
ტკივილის წუთების...

ბედმა მე გამხადა,
განცდების დარაჯი,
რამდენი დარდი მაქვს
გულს შენაფუთები.

სულ ვცდილობ რომ
გავცე სიკეთის აურა,
მადლი მსურს დავთესო
და არა ბალღამი.

სად არის სიცოცხლე
იყიდოთ შაურად,
არ არის ცხოვრება,
სამოთხის ბაღნარი.

ჩემი მე მტკიოდეს,
მახსოვდეს ძილშიაც,
სხვას თავის ბედი აქვს,
მეფეთა გვირგვინი.

დარდის ზღვა თუ შეგხვდეთ,
ის ჩემი სისხლია,
იქა ვარ იქ, ვცურავ
პოეტი პინგვინი!

ჩვენი გულია

ის არ ეყოფათ, რომ წევრან მიწას?
საფლავსაც ზომავთ მტრული თავალებით,
ხელი არ ახლოთ, თორემ და მტრისას...
კოდაში ცხოვრობს, ამორძალები...

გზა ჩვენიაო, ო, ჰაჰის ცოდვავ,
რას გაბრალებენ, ხომ ტყუილია,
ვიღაცეები რაღაცას ბოდავს...
იქ, ყველა მიწა, ჩვენი გულია.

წიგნს გარჯეხბო

აბა, რისთვის მიხარია ეს სიცოცხლე,
თუკი გიჭირთ, არ მოგხედოთ, არ გიშველოთ,
გარდაცვლილნი, ჩემში რწმენით გავაცოცხლე...
ფიქრის სუფრა, ყველას უნდა გავუშალო.

აბა, რისთვის ჩამოვშორდი იმ, მაყრიონს,
ვინაც ბედის ჩამოშვებულ ვალთას აჰყვა...
იმედების ტოტი, უნდა ჩამოვწიო,
ხვთით სიკეთე, წინაპართა გენით დამყვა.

რეალობით, სულის ნაჭაფს, არ აქვს ფასი,
ფასეული რად გამხდარა რაღაც ნივთი...
კვლავ მოგეცით მეგობრებო, ერთი შანსი,
წიგს გაჩუქებთ, თუ გოგო გყავთ გასამზითვი!

გზაჯვარადინი

გზაჯვარადინია, გავლას არვინ მიშლის,
ერთგან რთული გზაა, ვინრო ღობე-ყორით...
ვივლი ნება – ნება, არ მაქვს ღამის შიში,
რადგან ჩემთან ერთად მოდის კიდევ ორი.

რწმენა, იმედი და... ლოცვას ვიმეორებ,
უფრო ახლოს არის, რბოთა შესახვევი...
გულს მე, ღვთის სიკეთეს, მით არ დავაშორებ,
გზა რომ აღარ დამრჩეს, უკან დასახვევი.

აბა როგორ

სახლი იდგა, ნაშენები ქვის მასალით,
ალუმინის სახურავით დაფარული...
ოთახებში ეწყო ვეში სულ ახალი,
მეპატრონე იყო, ფულის მოყვარული.

ეკლის ღობეს, უძახოდნენ მეტსახელად,
სიავქალეს თესდა ყველგან ბოროტებით...
თუ კი ვინმემ საქართველო ასახელა,
სიძულვილი კლავდა დიდი პოეტების.

არ ესმოდა, რომ პოეტი უფლითაა,
გზავნილი აქვს კოსმოსიდან სულის საზრდო,
ლექსი ყველა დაწერილი სისხლითაა...
იმ მდიდარს სურს, ფულით ცამდე გაიზარდოს!!!

ფოთოლთ თოვა

გაბათხული დაისევდა, თოვლ-წვიმებით,
გულო, გტკივა მწვანე ფოთოლთ თოვა...
ცას გაფრინდა, მართლაც დიდი არწივები,
რწმენით ვცოცხლობ, ყველა ისევ მოვა.

იფეთქებენ ენძელები, ტყის შროშანი,
დილის ნამი გაიათინათებს...
პლუტონი, რომ მერკურიდან ვვლავ შორს არის,
ვარსკვლავებით, ზეცა სანთლებს ანთებს.

გათენდება, შემოვიხსნი, სევდის თავშალს,
არ ვიქნები, გამოხრული დარდით...
კი მატკინეს, უმიზეზოდ, მწარედ შარშან,
ვვლავ გემს ვმართავ, უსასრულო ვადით !

მთხოვთ შემაფასოთ

არ ვიცი ვინ ვარ, ან ვარ კი ნეტავ?
სიკეთისა და მადლის მფრქვეველი,
თუ სხვას ეტკინა, გულს კბილით თუ ვკნეტ,
სულის მდიდარის თუ ვარ მეტებელი...

გულს მიშლის უცხო, მისი თუ მესმის,
ანდა სტუმარის თუ ვარ მიმღები,
სხვისი ტკივილით გული თუ ვკნესის,
ან სიყარულით ნეტავ ვიღლები?

დავექაბ

ეს დღე მილოცვებით დამთავრდა,
და მეც მომილოცეს, რვა მარტი...
ზეცა თოვლის ფიფქებს ართავდა,
დიდი იმედების დანართით.

უხვად მპირდებოდა წყალობას,
სიჯამრთელესა და ზეობას...
ჩიტიც უდარდელად გალობდა,
ელოდა კეთილდღეობას.

დავექებ, ვიპოვნო ის, გზები...
მინა სამომავლოდ გამოვხნა,
დიდი საიდულო მთის მთების...
ვცდილობ, ეს დილემა ამოვხსნა!

დედა

დედა მიშველე, მოუხმობთ მაშინ,
როცა გტკივა და ფეხს წავკრავთ ქვიანს...
თუნდაც ის, იყოს იქ, მალლა ცაში...
მაინც დედიკოს, ცოცხალი ქვია!

ორი მართვე

ბალი ხილით გავასე და...
დავრგე ნერგი, ჩემი ხელით,
კოკა მთის წყლით ავავსე და...
გავამაგრე საძირკველი.

გამოვზარდე, ორი მართვე,
შევასწავლე რაა კარგი...
ერთს ბედისწრის ქორი მართმევს,
რა ძნელია დანაკარგი.

გავიმაგრე გული ისევ,
ვვლავ მომავლის საიმედოდ,
რომ იცხოვრონ სუფთა ცის ქვეშ...
სიყვარული ჰქონდეთ კრედოდ.

ყოველ დილას იმას ვფიქრობ,
სალამომდე, შევქმნა რაღაც...
ფრთხილად, ჩემო სულის ფიფქო,
იფართატე, აღმა-დაღმა.

ჰომეროსი, როგორ ვიყო,
არსად არ ჩანს აქილევსი...
თუ გსურთ გულსაც გაგიყოფთ და...
ვიცი მიმფარველებს ზევსი!

რვა მარტი

რა მოგცეთ ან რა გაჩუქოთ,
რომ იყოს ჰაეროვანი,
გულში მსურს შემოვაქუჩო,
მუხები ათასწლოვანი.

მათმა იციან წარსული,
მტყუნ მართალი ვინ არი...
ახლაა მავთულხლართული,
დარდით სავსეა მარანი.

ხვალ გათენდება რვა მარტი,
ქალებო, გულით გილოცავთ...
მე იმ წარსულ წლებს დავნატრი,
ვინც სიყვარული იცოდა.

ოპიზარი

დედის სიტბოს და ალერსს დედისას,
მაშინ შეიგრძნობ, როცა შორს არის...
გლოცავს ყოველი შემოხედვისას,
იავნანაა, თვით ოპიზარი.

ბედისწერის ვალი

ყველა დედას გულით ვლოცავ,
რომ დედის დღეს, სიხარული ქონდეთ...
იავნანა მიჯობს, შოპენს, მოცარტს,
დედას შვილი ღმერთო, არ დაშორდეს.

შიმშილობდეს, თუნდაც ლუკმა აკლდეს,
მაინც ტკბილად გაათევენ ღამეს...
დედის გული დარდით არ ააღდეს,
გათენდესო, არ ითვლიდეს წამებს.

დედის ცრემლებს, სხვა სიმწარე ახლავს,
ვერც ავხსნი და ენით როგორ ვიტყვი,
სულ უჩუმრად, დარდებს ხშირად ვმაღავ...
სიზმარში ვარ, მე ბავშვივით ბრიყვი.

მესიზმრება, შემოაღო კარი,
როგორ ხარო, მკითხა დაღონებით...
ცრემლებს ღვრიდა, ირგვლივ მთა და ბარი,
შორს მირბოდნენ, სადღაც ვაგონები.

გამეღვიძა, ტკივილებით ნაწვენებს,
რეალობას გაუსწორე თვალი...
ვუფრთხილდები, ირგვლივ ჩემისთანებს...
გადვიხადე, ბედისწერის ვალი!

დედის სუნთქვა

ხვალის გაზაფხულია შვილი,
სუნთქვაა, სიცოცხლის დღეთა,
სიცოცხლე შვილითაა ტკბილი,
ვაიო, არავის ეთქვას.

ოი, რა მწარეა ფიქრიც,
გულს მიღრნის,
მთუთქავს და მტანჯავს...
ცაზე აწერია ციფრი, რამდენიც მიეჭაჭვა.

გიორგი, რამაზი, გელა,
დათა, გოჩა და სხვები,
მტკივიხართ შვილებო ყველა,
გახსენებითაც ვკვდები.

მაღაქტიონოლოგი

(ლუარა სორდიას)

ანგელოზივით ასე კეთილი,
ქალი-- მე არსად არ შემხვედრია,
სოხუმის დარდით გულდაფლეთილი,
ყველას ტკივილი მისი ხვედრია.

ტკივა და უყვარს, ირგვლიმყოფები,
თავის შვილები, სხვისიც ასევე
და საქართველოს, დანაყოფები,
კუთხე-კუნჭული, მის ფიქრს ავსებენ.

ლოცვა ამშვიდებს, ლოცულობს დღისით,
ქალი – ქართველებს, უფალს ავედრებს,
თავისას ეტრფის, არ უნდა სხვისი,
ცუდს კი არასდროს, არვის აკადრებს.

მის ღვთიურ ვალამს, გამოუნალდავს,
რეზო და ვაჟა, გალაქტიონი,
ბევრჯერ სტრიქონებს, ჩემთვისაც ლანდავს,
მის სულში ჭარბობს, მაღლი სიონის.

ლექსით რას ვიტყვი, მის დიდ ღირსებას,
ან რას ჩამოვთვლი რითი შევამკო,
დღეს ჩემი ფიქრი, მისით იწყება,
რავექნა, ღმერთქალი, როგორ შევაქო?

ხმა ზეხიური

კარგად ვარ მაშინ, თუ ცოცხლობთ,
რწმენით,
ცაში სიცოცხლე ისევ გრძელდება,
ცრემლებით დედავ, თუ არ დაწვები,
თუ უჩემობა, არ გიძნელდება.

კარგად ვარ მაშინ, როცა მამიკო,
არ შემანუხებ, შენი შფოთებით,
კარგად ისწავლე ჩემო დაიკო,
მე არასოდეს, არ დაგშორდები.

ბედისწერაა, გარდაცვალება,
ჩემი სიცოცხლე ცაში გრძელდება,
აქ, ზეცა არის, ცისფერთვალეა,
მზე სულ .კაშკაშებს, და არ ბნელდება!

სუფთა წყარო

მთაში წყარო, ჩუხჩუხობდა საამურად,
გამვლელის და გამოვლელის საიმედოდ...
იზრდებოდა, იქვე მოცვი, სატაცურა,
უფალმა სულ, ხვავ-ბარაქა, დააბედოს.

ხრამის ძირში, იები და ტყის შროშანი,
დიპ-დაირას, აყოლებდნენ ქარის შლიგინს.
გაზაფხული? ო, იმათთვის ჯერ შორს არი,
ჩემთვის?... მთთა ბუნებაა, ჩემი წიგნი.

დღევ წიგნია, ღამევ წიგნი, დარდიც წიგნი.
ის, ჩემია. გულის სისხლით ნაწერია.
ყველაფერი ინახება, გულის შიგნით
და სამშობლოს, სიყვარულში ნაწურია.

ზოგჯერ ვარდის ხეივანში თუ შევივლი,
არასოდეს, არ დავცნოსავ, რაც სხვისია...
თუნდაც იყოს, უპატრონოდ დარჩენილი,
სხვის ნათელი, უგზოუკლოდ მომისვრია.

თუ მწყუროდა, ო, ძნელია წყლის წყურვილი.
თუ ყველა სვამს, მელა, ტურა, მგელი, დათვი...
გამიქრება, იმ წამშივე სურვილი და...
მომავლისთვის, უნდა ვძებნო წმინდა თაფლი.

ურჯულოებს, ჩემს მიწებს, არ გავაკარებ...
ჭანგასაც კი, მოვსპობ, რომ არ გაიბარდნოს...
სათბუნებლად, ერს გულს საბნად დავაფარებ.
მომავალმა, რომ არასდროს დაიდარდოს!

ცოცხლად გვეჩვენება



**ღამზიხა შეყიდაძე,
ივეჩი ჭყვიძე,
გუნჯაზ ხაჩაიშვილი**

რწმენა იმისა, რომ სული არა კვდება,
თვალში აილანდა ყველა გარდაცვლილნი,
გული უიმედოდ აღარ დავადდება,
ცათა საუფლოა, ოდნავ ფერშეცვლილი.
დარდის წისქვილებში, რწმენის ჩანაცვლება,
ისევ წასულთათვის არის მოსვენება,
როცა შვილი დედას, ბედით მოცილდება,
ეზოს ყვავილიც კი, შვილად ეჩვენება.
ცათა ტოლი არის, ვაცის ეს ტკივილი,
„ღიმი“ წამიერიც, იყო უფლის ნება,
თითქოს სირცხვლია, ჩვენთვის ეს, ღიმილიც,
ჩვენ სამს, გარდაცვლილნი
ცოცხლად გვეჩვენება!

იქ, ზაყანაში

სიტყვა „ცოდვა“ ვერ ვიტან,
ორ ქვეყანაში ვცხოვრობ,
ფიქრით წყალს ზეცას ავითან,
რადგან ღვთის რწმენით ვცოცხლობ.
ხან ხაჭაპურით დავდივარ,
ხან შოთი პურიც მიმაქვს,
განა სულ მართო დარდი ვარ,
ანდა ნისლი და წვიმა.
ზეცაში გაზაფხულია,
დედამინაზე არა,
ცა გარდაცვლილთა სულია,
აქ, სხეულს მიწა ფარავს.
გავითავისე ეს და ის,
დარდს მიუხურე ვარი,

იქ, ვნახე სახლი მნათობის,
ცხოვრობს შიგ მნიგნობარი.
გალაქტიონი ლექსს ყვება,
ვარსკვლავები კი გალობს...
შოთა თამარის დაყვება,
სიყვარულს ღმერთი წყალობს.
არ არის შური, არც მტრობა,
სიტყვა არ ისმის ბილწი...
არსად ჩანს ხორცის ვაჭრობა,
ჰოდა ვარ, ცის და მიწის.
მოვასწარ იმის გაგება,
უმაღურს ყველა ჩაგრავს...
დავინყე კოშკის აგება.
დაუტოვ ჯიშს და ნაგრამს.

არ შვიცვლავი

მოთბინების ძაფებს მიწყვეტ,
 ცდილობ, გინდა,
 რომ შემცვალო...
 მე სიცოცხლეს ახლა ვიწყებ
 შენ კი გინდა გარდვიცვალო.
 რასა ბრძანებ, ვერ მოგართვი,
 გულის ჟეჟვა გამოვცადე,
 გემი შემხვდა გასამართი,
 მის გამართვას შევეცადე.
 პედიკური მოვისროლე,
 მივაყოლე სახის საცხიცი...
 სანადელი ავისრულე,
 რატომ უნდა შემხვდეს მარცხი.
 თუ სიკეთეს დამიშლიან,
 ფოთლებივით არ დავტყნები,
 ზეცა ჩემი დიშვილია,
 ჰოდა, ნულარ მევაჭრები.
 სიბოროტის სისხლი ჩემში,
 არ არსებობს გენაცვალე,
 თუ კი გინდა ჩაჯდე გემში
 შენ თვითონვე შეიცვალე.
 გაპატიებ, სუყველაფერს,
 უმიზეზოდ გულის სერვას
 სკამს მოგართმევ,
 შენს შესაფრს,
 თუმცა ჩემი არა გჯერა.
 მე ასეთი დავიბადე,
 არ შევჭამო სხვისი ლუკმა,
 რატომ უნდა გადავარდე,
 არ დავდივარ შუკა-შუკა.
 სიკეთეა, ჩემი ჰობი,
 ვეხმარები მიტომ სხვასაც,
 შენც თუ გიჭირს ჩემთან მოდი,
 მადლის სასმელს ჩამოვასხამ!

გონით სავსე ქვევრი

სანამ დროა, გამომწურეთ ისე,
 როგორც ყურძენს,
 წურავთ სანნახელში...
 ფიქრის სასმისს,
 სიყვარულით გივსებთ,
 თუმცა ქარი,
 სიძულვილით ხვნეშის.
 არად ვაგდებ,
 კვლავ ვაგრძელებ ჭიდილს,
 სიკეთით და
 სიყვარულის გზებით,
 თუ მენწვევით,
 მე გული მაქვს თბილი,
 მოსულ სტუმარს,
 ხელგაშლილი ვხვდები.
 რომც არ მითხრათ,
 რაც განუხებთ, გეტყვით,
 მიგიხვდებით,
 დარდის მიზეზს ნამში,
 შევისწავლე,
 ცის ხმაური სეტყვის,
 ყვავილი რომ
 გამოჭეჭვა ხრამში.
 სანამ ისევ შემიძლია მოგცეთ,
 ჩემი გულის,
 სასიცოცხლო ნუთი,
 სულ უჩუმრად, მე ისედაც გლოცეთ,
 თუმცა კი ვარ,
 ბედით განათუთქი.
 დამიჭერეთ,
 ჩემში ცოცხლობს სხვა რამ,
 მაქვს პირსავსე
 გონით სავსე ქვევრი...
 პირველ რიგში,
 მადლის ძაფებს ვართავ,
 ღამით უკვე
 ვალმოხდილი ვწვები.



პოემები

მოსუცთა ხვედრი ****კოეა****



ლია ძამუკაშვილი

ღამემ მოისხა შავი ლაბადა,
მხოლოდ ვარსკვლავნი მოჩანდნენ ციდან,
გამოსულიყო მთვარე ღრუბლიდან
და სათითაოდ ვარსკვლავებს თვლიდა.

ცის კაბადონზე არ ჩანდა ერთი
თვით ვარსკვლავებმაც ვერსად ვერ ნახეს,
მხოლოდ ის ერთი აღარ ბრწყინავდა,
უსასრულო ცის გალაქტიკაზე.

დიდხანს ეძებდნენ მნათობნი ცისა,
ვერსად მონახეს ვარსკვლავი ციდა,
დარდმა მოიცვა ცისა სამყარო
ცრემლების წვიმა წვეთავდა ციდან.

მთვარე დაბრუნდა ისევ ღრუბლებში,
შეცურდა ნისლში,დახუჭა თვალი,
საშინელება მოხდა ამ ღამეს
ცას მოსწყდა კიდევ ერთი ვარსკვლავი.

თუ გაუყვები ბილიკს ციცაბოს
გველის კუდივით რომ იკლაკნება,
გზა დაღრეცილი და ეკლიანი
მოხუცთ სახლისკენ მიემართება.

დიდი წვალეებით მიაღწევ ბანაკს
აქ უკვე სევდის შევიპყრობს სევდა

შენ ვერ გაუძლებ საბრალო თვალებს
თუ გყვარებია ოდესმე დედა.

სახლია არც თუ შეუხედავი
მაგრამ საბრალო და მოწყენილი,
რადგან იქ მყოფნი,მოხუცებულნი
ამ კედლებშია გამომწყვდეული.

აქ სამანქანე გზაც მიუყვება
გაბრტყელებული როგორც ლავაში,
დადუმებულია აქ ყველაფერი
სევდა მოჰგვრიათ ვარდებს გადაშლილს.

დაფუსფუსებენ მოხუცებულნი,
ზოგი ტირის და ზოგიც შეშლილა,
აქ ყველაფერი ისევ ისეა
აქ არაფერი ჯერ არ შეცვლილა.

ცოდვას ჩადიხარ,ღმერთმა შეგინდოს
ნუთუ ამისი ვიყავი ღირსი?
აქ რატომ მტოვებ შენ ჩემო შვილო
დედა შენი ვარ და არა სხვისი.

შეხედე შვილო ამდენ უბედურს,
ვინ ყავს პატრონი,ვინ ეხმარება?
აქ არ დამტოვო,გემუდარები
ნუთუ მშობელი არ გებრალება?

მაგრამ შვილს მისი არა ესმოდა,
უცქერდა დედის გატანჯულ სახეს,
დიდმა ოჯახმა თავის დიდ სახლში
დედისთვის კუთხე ვერ გამონახეს.

იცრემლებოდა საბრალო დედა
მან ორი შვილი გაზარდა ტანჯვით,
ერთი აღარ ყავს ხოლო მეორემ
მას სამუდამო დაასვა დაღი.

როცა ქალები დედა ხდებიან
ბედნიერების ითვლიან წუთებს,
დედა შვილისთვის თავგადაკლული
რამდენ უძილო ღამეებს უძლებს.

მაგრამ შვილები? იზრდებიან და მერე მშობელი დიდი ტვირთია, ცდილობენ თავი დააღწიონ და მათ მოშორების წუთებს ითვლიან.

თუ დედამ გმობა, გაგზარდა ტანჯვით დღედაღამ შენზე ფიქრში დნებოდა, შენზე ლოცვებში ათევდა ღამეს უფალს შენს გაზრდას ევედრებოდა.

გულში ჩაკრული დაყავდი მუდამ გზარდა თავისი ნაჯაფი ხელით, ნუთუ ასეთი მშობლების გვერდით ცხოვრება გახდა შეუძლებელი?

სად ტოვებ დედას შე უგუნურო, შეხე ქალს როგორ ატკინე გული, მოხუცთა სახლში გამომწყვდიე, აქ უნდა მოგვდეს ამოხდეს სული?

იმდენს ვერ ხვდები დედის თვალეში, მაშინ კიაფობს სიცოცხლის სხივი, როდესაც უცქერს თავის ნაშიერს და საამაყო გვერდში ყავს შვილი.

ნუთუ ისეთი რა გაგიჭირდა ვერ შეინახო შენი მშობელი, რა დაგიშავა ადამიანო რატომ ხარ ასე შეუცნობელი?

კარგი დედიკო ეხლა მე წავალ შენს სანახავად მოვირბენ დილით, დატოვა დედა თვალ-ცრემლიანი და გზას გაუდგა ამაყად შვილი.



დრონი მიჰქრია, წლები ჩქარობენ ელვისისწრაფით რბიან თვეები, ამ სიჩქარეში ვერაფერს ვამჩნევთ როგორ უაზროდ გადის დღეები.

ვერ შეეჩვია ბელლა აქ ყოფნას მის გულისტკივილს არ აქვს საზღვარი, არასდროს წყდება მისსა თვალთაგან ცრემლი ჩანჩქერად გადმონაღვარი.

მაინც რა არის წუთისოფელი უცნაური რამ არის განგება, ნეტავ ოდესმე ერთხელ თუ მაინც შვილთან შეხვედრის ჟამი დადგება?

ბელლა მოდი აქ ნუ ტირი კარგო ყველა ჩვენგანი ხომ ვართ შენს დღეში, მოგვიახლოვდი, აქ ჩამოჯექი, და ერთად ყოფნით ვიგრძნოთ ნუგეში.

არა დაიკო ჩემს მწუხარებას არ ეკარება ნუგეში ახლოს, ეს რა იქნება რომ ჩემი შვილი შორიდან მაინც რომ დამენახვოს.

ათი წელია აქა ვარ ბელლა, და ჩემი შვილი ათჯერ თუ იყო, წლებია აღარ გამოჩენილა, მეც მინდა შვილი რომ დავინახო.

მაგრამ რას ვქნათ თუ აღარ ვჭირდებით ჩვენ ხომ ზედმეტი ტვირთი ვართ მათთვის, ეს ჩემო კარგო ასეა როცა შვილს სათუთად და წვალეებით გაზრდი.

ჩვენ დედები ვართ, ვერ ვტოვებთ შვილებს, რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს, არ შეგვიძლია რომ მივატოვოთ თუნდაც შიმშილით სული ამოგვხდეს.

მაგრამ ხომ ხედავ ჩვენი შვილები ჩვენს მოშორებას როგორ ცდილობენ, თითქოს არ ქონდეთ შესაძლებლობა, მშვირები იყვნენ და შიმშილობდნენ.

ამიტომ ბელლა, რა დაგვრჩენია, ჩვენ უნდა ვმართოთ ჩვენი სიცოცხლე, რაც წლები დაგვრჩა უნდა შევირგოთ განა რამდენი წელი ვიცოცხლებთ.

და აქვითინდა მარტინა მწარედ, მკერდში ჩაიკრა, მოხვია ხელი, ბელლა ხომ ისე უმწეო იყო მას სჭირდებოდა ეხლა მშველელი.

და ბედს მიენდო, არავინ იცის,
რას უმზადებდა წუთისოფელი,
ამ კედლებს უნდა შეებრებოდა,
ეს იყო ბედი განუყოფელი.

ერთად მოთქვამდა ორი მოხუცი,
მალე მათ სხვებიც შემოუერთდნენ,
ერთად ტიროდნენ თავის გასაჭირს,
მწუხარე ცრემლებს ერთად აფრქვევდნენ.

ეს დღე იყო და ბედს შეურიგდა,
დედა, შვილისგან უარყოფილი,
მოხუცებთან თუ ჰპოვებდა შვებას,
ერთ დროს შვილისთვის თავგადაკლული.

მის დამჭკნარ ხელებს, ჩამოსხმულ თითებს,
უცქერდნენ, გული ეტანჯებოდათ,
და ეს ბავშვივით უმწეო ქალი
ყველას ძალიან ებრალებოდა.

დედა, ბებია სად წაიყვანე?
რატომ არ მოდის არასდროს სახლში,
ეკითხებოდა ბელლას ქალიშვილს,
მისი ჯერ კიდევ ათი წლის ბავშვი.

შვილო, ძალიან გადავიღალე,
ბებო არასდროს არ დაბრუნდება,
-ისე ურცხვად და ცივად პასუხობს
შვილს, მდუმარებით მოცული დედა.

რაო? როგორ თუ არ დაბრუნდება,
სად არის ეხლა? წავიდეთ, ვნახოთ.
არ შემიძლია, ბევრი საქმე მაქვს,
სულ არ მცალია დრო გამოგნახო.

-უთხარ ბებიას დაბრუნდეს სახლში,
გთხოვ, დამიბრუნე ჩემი ბებია,
რომ დაბერდები მეც იქ წაგიყვან
გაჩვენებ შენს შვილს რაც შემძლება.

ვიცი, დატოვე მოხუცთა სახლში,
ნუთუ სინდისის არა გრცხვენია?
მან ხომ გაგზარდა, გზას დაგაყენა
ის ხომ იგივე დედაშენია.

შენც დაბერდები ხომ იცი დედა,
მეც დამღლის შენი სიბერე მალე,
გახსოვდეს, მერე მეც იქ წაგიყვან,
სადაც ბებია შენ გადამალე.

შეკრთა ლაურა, ყურს არ უჯერებს,
შვილო, ამ სიტყვებს ნურასდროს იტყვი,
-დიახ დედიკო, ეს ხომ ასეა,
რასაც დათესავ, იმას მოიმკი.

ან რატომ გიკვირს, შენ თუ იღლები,
და შენ თუ ასე გაწირე დედა,
ჩემგან რას ელი? შენი შვილი ვარ,
რასაც გიყურებ იმას გავბედავ.

განა ბებია ცოტას წვალობდა?
მან შენს გაზრდაში გალია წლები,
მისი წყალობით არრა გვაკლია
სახლში უხვად გვაქვს სასმელ-საჭმელი.

შენ თუ არ გინდა მოხუცი დედა,
შენ თუ მას მიეც მკაცრი სასჯელი,
უკვე გითხარი, იგივეს ვიზამ,
სხვა არაფერი არ მაქვს სათქმელი.

თქვა ვიქტორიამ, და გამოვიდა,
მიაჯახუნა ოთახის კარი,
ვნახოთ რას იზავს ეხლა ლაურა
თუ გაუღიმებს ბელლას ცისკარი.

ერთი რამ მინდა განვმარტო,
გულს ნურვინ ატკენთ მოხუცებს,
არავინ იცის ცოდვები,
ვის სად ან როდის მოუსწრებს.

თუ დედა ღამეებს ტეხდა,
ტანჯვით გაგვზარდა შვილები,
ჩვენ რად არ უნდა მივხედოთ
ჩვენ ვინ ვართ ამისთანები.

მას შემდეგ ბელლას თვალებზე,
არ შემრობია ცრემლები,
რატომ არ გინდათ შვილებო
მოხუცებული დედები.

თითქოს ჩაწყნარდა აქ ყველაფერი და შეეჩვია მოხუცებს ბელლა აღარ ფიქრობდა თუ ყავდა შვილი, აღარც იხსენებს თუ იყო დედა.

ცდილობს რომ დარდი მიმოფანტოს და არ დაიტანჯოს ფიქრით გონება, ახსოვდა მარტას დარიგებანი ის შემართება და შთაგონება.

უყურებს მარტას,სულ არა დარდობს, თუ გარეგნულად არ იტყობს ამას, -სხვა არაფერი არ დამრჩენია უნდა მივბაძო როგორმე მარტას.

ამ ფიქრებშია ბელლა გართული, მაგრამ სიბერე არ აძლევს ნებას, თუმცა არ არის ჯერაც მოხუცი სამოცდაათ წელს ჯერ არა სცდება.

აქ არის თუნდაც ბევრი ასი წლის, ბებო ჯანმრთელი,სად-სალამათი, ბელლა ხომ მათთვის შვილის ტოლია რატომ დაასვა ცხოვრებამ დაღი.

ორი წელია გასული უკვე, რაც აქ დატოვა შვილმა საბრალო, ასეთი ბედი ქონია ალბათ ვის შესჩივლოს ან ვის დააბრალოს.

აეკვიატა სიკვდილის შიში, შავი აჩრდილი წუთით არ ტოვებს, არვის ეგონოს მშობლის ტანჯვისთვის უფალი ვინმეს შეგვინდობს ცოდვებს.

„პატივი ეცი მშობელსა შენსა, ასე გვარიგებს თვითონ უფალი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ ავცდეთ ამ ცნებას ცხოვრება გვქონდეს თავისუფალი.

ასე არაა ჩემო კარგებო, გთხოვთ გადაავლოთ ბიბლიას თვალი, მშობლის წინაშე ჩვენ უამრავი, მოსახდელი გვაქვს ჯერ კიდევ ვალი.

მოხუცთა სახლში მოწყენილობას ღრმად გაუდგია უკვე ფესვები, ყველას თავისი სადარდელი აქვს, სიხარულს ვერვის დაესესხები.

მარჯვნივ,კუთხეში ბებია რომ ზის, მის თვალებს ცრემლი არ შემორობია, მის ჩამომჭკნარს და გადაღლილ სახეს უიმედობის კვალი ატყვია.

აგერ სიცილით რომ შემოგვცქერის ის კი ჭკუიდან გადასულია, ვეღარ გაუძლო გულისტკივილს და ამჟამად ისიც მარტოსულია.

შემდეგ კი ფრანკა,ამ პალატაში, ქალი,ყველასგან გამორჩეული, მას ვერ შეატყობ თუ რამ აწუხებს დადის ყოველთვის ჩაფიქრებული.

მაგრამ მათ სევდას და მწუხარებას, მხოლოდ და მხოლოდ ერთი აქვს ახსნა, მათი შვილების „საქმე საგმირო,, კვლავ უკიდურეს საზღვარს გადასცდა

ამაზე მწარე რა უნდა იყოს, დედამ წვალეებით გაზარდო შვილი, მან კი სადღაცას მიგატოვოს და შორი გახადოს შენგან მანძილი.

კვლავ დავუბრუნდეთ ბელლას ქალიშვილს სახლში რასა იქმნს,რას საქმიანობს, თვეში ერთხელ თუ ნახავდა მშობელს, ეხლა კი უკვე აღარც კითხულობს.

მას შემდეგ უკვე ბევრმა დრომ განვლო, რაც ვიქტორიამ გამოთქვა წყენა, „დააბრუნეო,ბებია სახლში,, დედამისს მაინც ვერ შეასმინა.

არ მცალიაო-ამბობს ლაურა, ვმუშაობ,სახლშიც ბევრი მაქვს საქმე, იქ მიხედავენ დედაჩემს კარგად მის იქ ყოფნაში ცუდი რა ნახე?

ცუდი რა ვნახე? მაგას რად ამბობ,
გგონია ბებო იქ კარგად არი?
რამ გაგიქვავა დედიკო გული,
განა რა არის ბებოს სადარი?

ბავშვმა დატოვა უმაღლ ოთახი,
აზრი არ ქონდა უაზრო ტირილს,
ჩამოჯდა ბაღში და შესცქეროდა
მასავით მტირალს უმწეო ტირიფს.

ბევრი იტირა ტირიფთან ერთად
და გადაწყვიტა ბებიას ნახვა,
მეორე დილას სკოლის კარს ასცდა
და ბებიასკენ ბილიკებს გაყვა.

ბევრი იარა, ცოტა იარა
სულ კითხვა-კითხვით მიაგნო ბანაკს,
იქ იყო ბევრი საბრალო ბებო,
მაგრამ თავისი ვერსად ვერ ნახა.

მიმოიხედა, იქ არსად ჩანდა,
კითხა მოხუცებს-„სად უნდა ვნახო,“?
ეხლა აქ იყო, დასეირნობდა,
ეზოს ბოლოსკენ იქნება ახლოს.

შემოუარა ეზოს გარშემო,
შენიშნა ბებო ხის ქვეშე მჯდარი,
ჩაფიქრებული ცას შესცქეროდა
ჩანდა ძალიან სუსტი, გამხდარი.

„ეს რა მოგსვლია ჩემო ბებია,
როგორ ლანდივით დაიარები,
არ მოგიშუშდა ნუთუ ამდენხანს,
გულისტკივილი და იარები?„

გაიფიქრა და მიუახლოვდა,
რა უთხრას ანდა რით ანუგეშოს,
აქვითინდა და თვალს ვერ უსწორებს,
თავის ერთადერთ საყვარე ბებოს.

მოეხვია და გულში ჩაიკრა,
მონატრებოდა ბებოს სურნელი,
ერთურთს ალერსით ჩახუტებულებს
დასტრიალებდა თავს სიო ნელი.

შესცქერდა ბებოს გული უკვნესდა,
ხედავდა როგორ სანთლად დნებოდა,
ბებიას სახე გაფითრებოდა,
მარმარილოს ქვას დამსგავსებოდა.

იფიქრა, ალბათ სისხლი აკლია,
აქ ხომ ისეთი არა აქვს კვება,
„ეს დედაჩემო, როგორ გაწირე,
შენი საბრალო მოხუცი დედა,„

მის დამჭკნარ ხელებს გულში იკრავდა,
ოხ რა ძალია მონატრებია,
მის წუხილს ალბათ ვერვინ ჩასწვდება,
ვისაც ბებია არ ყვარებია.

როგორ მიპოვე ჩემო პატარავ,
ეფერებოდა შვილიშვილს ბელლა,
აქ რომ მოხვედი სახლში იციან?
როგორ დაგთანხმდა წამოსვლას დედა.

არა ბებია არავინ იცის,
მე დღეს სკოლიდან გამოვიპარე,
ველარ შევძელი მე უშენობა,
რომ ერთხელ მაინც არ დამენახე.

ბებომ შვილიშვილს უსაყვედურა,
მაგრამ სიმკაცრე სულ ვერ გაბედა,
ეს ბავშვი მისი სიცოცხლე იყო,
სულ არა გავდა ის თავის დედას.

დიდხანს ეფერა ბებო შვილიშვილს
გადაიწვერა მზე ცის დასავალს,
-უკვე ძალიან დავიგვიანე,
ეხლა ბებია მე სახლში წავალ,

თქვა ვიქტორიამ, არ ეთმობოდა,
ბებო, შვილისგან მიტოვებული,
დაემშვიდობა, და გზას გაუდგა
ციცაბო ბილიკს გაჰყვა ეული.

გზად მიმავალსა თან მიჰყვებოდა
ადევნებული ბებოს სურნელი,
მიაცილებდნენ მისი თვალები
და გულისტკენა უკურნებელი.

დრო მიდის, დღეები რბიან,
ლოდინს არ უჩანს საზღვარი,
არ დასრულდება ცხოვრების
შეუცნობელი ზღაპარი.

ვინ სამოთხის კარს გააღებს
ვინ ჯოჯოხეთს ვერ ავცდებით,
ცოდვებს ვერსად ვერ წაუვალთ
ყველა უკლებლივ დავხვდებით.

ვინ იცის თუ რა ტანჯვაა
მშობლის უზომო განცდები,
იფიქრე, შვილო, ცოდვილო
სანამ მოხუცი გახდები.

მიტოვებული მოხუცი,
თუ იცი მაშინ რასა გრძნობს,
შვილის გარეშე ცხოვრებას,
როცა სადღაც შორს განაგრძობს.

წამით დაფიქრდი ლაურა,
რატომ გაწირე მშობელი,
რად დაუტოვე საბრალოს
ცრემლები შეუშრობელი.

გონს მოდი შენს შვილს უსმინე,
უხვად გაეცი ალერსი,
ცოდვის მორევში ნუ ტოპავ,
ნუ იქნევ ენას ალესილს.

სანამ დრო არის დაფიქრდი,
თავს ნუ იმძიმებ ცოდვებით,
პატივი ეცი, გიყვარდეს
შენი ტანჯული მშობელი.

წამოდი ბელლა სახლში შევიდეთ
უკვე დაღამდა, რას ელოდები?
თავს წამოადგა ანა-მარია
ქალი სიკეთით გამორჩეული.

მოხვია ხელი, გულში ჩაიკრა,
მოსწმინდა ცრემლით სავსე თვალები,
შევიდეთ ჩემო ანა-მარია
მაგ სახლს მაინც ვერ დავემალები.

ნახე? პატარა გოგომ მოგნახა,
ჩანს ყვარებია ძლიერ ბებია,
რა ლამაზია და რა კეთილი
ბელლა ეგ გოგო შენ გმგვანებია.

ხო ჩემო კარგო-ეგ გოგო მე მგავს,
როგორ მინდოდა მის გვერდით ყოფნა,
შვილმა სასწრაფოდ ჩამომიშორა,
არ შეისმინა მან ჩემი თხოვნა.

მაგრამ რა ვქნა რომ შვილია ჩემი,
ვერ გავიმეტებ ავი სიტყვისთვის,
იქნებ ოდესღაც გონზე მოევგოს
მე კი ვილოცებ ჩემი შვილისთვის.

სახლში მისულ ვიქტორიას
შეეგება დედა კართან,
შვილო რატომ იგვიანებ
აბა მითხარ მთელ დღეს სად ხარ?

ეხლა აქ ვარ დედაჩემო,
მოვედი და აგერ ვდგევარ,
ბებოს სანახავად ვიყავ
მადლობა ღმერთს შენ არ გგევარ.

ფერი ეცვალა ლაურას,
ყურს არ უჯერის, ეს რა თქვა?
ჯერ შენ ბავშვი ხარ ისევე,
როგორ გაბედე იქ წასვლა?

მე თუ ბავშვი ვარ დედიკო
მოგნახე გამოსავალი,
შენ რომ დიდი ხარ რას ფიქრობ
განა ბევრია სავალი?

ბებო ძალიან გამხდარა,
დამდნარა როგორც სანთელი,
არაფრად უღირს სიცოცხლე,
მისთვის ბნელია ნათელი.

ვიხილე, ბებო, ტიროდა
ჩვენს ნახვას მონატრებული,
შენ ერთადერთი შვილი ხარ
რამ გაგიქვავა ეგ გული.

სანამ დრო არის ეფერე
მერე არ იყოს გვიანი,
იცოდე მას რომ დაკარგავ
სულს დაგიბნელებს წყვილიადი.

გონს მოდი დედა დაფიქრდი,
რატომ არ გინდა ბებია?
კარგი შვილობა გასწიო
ნუთუ ასეთი ძნელია?

წუთით ჩაფიქრდა ლაურა,
სირცხვილი იგრძნო რატომღაც,
და ვიქტორიას კიტხვები
კვლავ უპასუხოდ დატოვა.

უკვე სინდისი აწუხებს,
თითქოს მერყეობს გონება,
მაგრამ შვილივით ვერ ფიქრობს,
არ უჭრის ჭკუა-გონება.

სამშაბათი დღე გათენდა,
ადრიან ადგა ლაურა,
ფიქრებით დამძიმებული,
ციცაბო ბილიკს გაუყვა,

მოხუცთა სახლს რომ მიადგა
წამსვე შენიშნა მშობელი,
დედა,სრულიად სხვაგვარი,
გამხდარი,მეუცნობელი.

და ცხოვრებაში პირველად
თვალზე მოადგა ცრემლები,
„უფალო ცოდვა დიდი მაქვს
შემინდე,გთხოვ,გვედრები.

მზერა შენიშნა დედისა,
შერცხვა,დახარა თვალები,
„რა ვქნა დედაო,ამ სირცხვილს
ვერსად ვერ დავემალები,„

თქვა და შემოხსნა კარები,
დედა-შვილ შეხვდნენ ერთმანეთს
გადაეხვია მშობელს და
გზა მისცა მდუღარე ცრემლებს.

ძალიან დიდხანს ეფერა დედას,
ბევრი ცრემლები დაღვარა ბაღში
ბედნიერია,ვიქტორიათი
რომ გაუზრდია ასეთი ბავშვი.

მან აუხილა თვალები დედას,
გამოაფხიზლა,დაუნთო ცეცხლი,
მან გამოსტაცა ეშმაკს ხელიდან
უჩვენა გზანი ჭემმარიტების.

დედა,ბოდიში და მაპატიე
რაც გაგიკეთე,ვნანობ ძალიან,
სულ ორი კვირა მაცალე რადგან
მე ეს დღეები არა მცალია.

მე შევაგროვე საჭირო ცნობებს
რაც დაგვჭირდება რომ გაგიყვანო,
ოთახსაც კარგად მოგიწესრიგებ
და მზად ვიქნები რომ წაგიყვანო,

ეს,რა იცოდა მაშინ ლაურამ
სწორედ ამ დღიდან დაიწყო ტანჯვა,
რომ ეს დღე იყო უკანასკნელი
როდესაც შესძლო დედიკოს ნახვა.

მწუხრმა მოიცვა მთელი მსოფლიო,
გადაეფარა სამყაროს ბინდი,
აზანზარებდა მთელ დედამიწას
კაცობრიობის მტერი კოვიდი.

რამდენს მოუსპო უკვე სიცოცხლე
და შეუწყვიტა ძარღვებში სისხლი,
ეს დედამიწავ,რამდენ გარდაცვლილ
საუკეთესო ქალ-ვაჟებს ითვლი.

დამუნჯებულა მთელი მსოფლიო
პირაკრული და სმენადახშული,
შორს დარჩენილა,ეს,ძალიან შორს
ბედნიერების წლები წარსული.

ცოდვა ტრიალებს დედამიწაზე,
რომლის ახსნასაც არა აქვს აზრი,
არც რა ყოფილა წუთისოფელში
ჯანმრთელობის და სიცოცხლის ფასი.

შავბნელ-ღრუბლებმა შთანთქა სამყარო დაძრწის კოვიდი და კვლავ მსხვერპლს ეძებს, პლანეტა ისე დამძიმებულია, თვით დედამიწაც ვერ იტევს ცრემლებს.

შემოესია მოხუცებულ ხალხს არვინ დაინდო,გაავლო მუსრი, ჩინეთს ადინა მწარე ცრემლები იტალიაში ჩამოწვა მწუხრი.

უმაღ მოედო ევროპის ქვეყნებს სწრაფად გაიდგა ყველგან ფესვები, გარეთ სიცივის სუფუვდა სუსხი, შიშისგან თრთოდნენ ყველა ქვეყნები.

„კოვიდ-19,„იშვა ჩინეთში, მთელს მსოფლიოში გაიდგა ფესვი, ხალხი,სახლებში გამოკეტილი დაავადებას პირბადით ებრძვის.

პანდემია კი ბობოქრობს,უტევს, კუთხეს არ ტოვებს დედამიწაზე, კოვიდს ვაქცინაც თან მოაყოლეს და დაარწმუნეს ხალხი აცრაზე.

რალაც სასწრაფოდ შექმნილ ვაქცინას არავინ იცის რა ეფექტი აქვს, სიცოცხლეს ბევრი გამოასალმეს ფაიზერმა თუ ასტრა-ზენიკამ.

იხოცებიან ხალხი ქუჩებში ყველას გადასწვდა ჭირი კორონა, ფრინველებიც კი აღარ გალობენ აღარ ნავარდობს ცაში ტოროლა.

მოხუცთა სახლი შეშფოთდა,შედრკა, შეწყდა მიმოსვლა გარეშე პირთა, ბევრი ემსხვერპლა საშინელ აცრებს ბევრიც შეიქმნა მსხვერპლი ამ ჭირთა.

გამოესალმა სიცოცხლეს მარტა, მას მიჰყვა მალე ანა-მარია საბრალლო ბელლა შიშით ცახცახებს სიცოცხლის მეტი რა აბარია.

სხვადასხვა ქვეყნის ვაქცინა სცადეს სხვადასხვა ხალხის დამზადებული, მასონთა მოდგმამ გაანადგურა, ხალხი ღვთის ლოცვით დაბადებული.

სახლიდან გარეთ არვის უშვებენ შემოსწოლია ლაურას სევდა, ვერ შეუსრულა მშობელს პირობა, ვერ დააბრუნა ოჯახში დედა.

ცოდვა ტრიალებს,სულს უმღვრევს საწყალს ძალიან ნანობს,ღვარად სდის ცრემლი, დედას მე ალბათ ჯერ ველარ ვნახავ, მაგრამ ის მე ხომ ყოველ დღე მელის.

უფალს სთხოვს მალე გაიხსნას გზები, მალე დამთავრდეს ეს კარანტინი, ძალიან გვიან მიხვდა შეცდომას, ძალიან გვიან გაეხსნა ტვინი.

ცას ვარსკვლავები წყდება ყოველდღე, ცვივა და სადღაც ქრება სივრცეში, უფალს ხომ ჩვენთვის არა სცალია გადმოგვხედოს და დაგვიდგეს გვერდში.

გაზაფხულია,კვლავ უტევს სუსხი, ალბათ მიტომ რომ ჯერაც მარტია, შემოიტანეს მკვლელი ვაქცინა აცრეს მოხუცთა მცირე პარტია.

ვერ ესალმება ველარც გაზაფხულს, ველარც მოხუცი,ვერც ახალგაზრდა, ძნელი ყოფილა,ძალიან ძნელი, ამ საშინელი სიკვდილის განცდა.

ბელლას,ისედაც შვილის ლოდინში, დამწუხარებულს,გადაღლილს მეტად, დღეს გაუკეთეს კოვიდ-ვაქცინა ველარ მოასწრო რაიმე ეთქვა.

მოხუცთა სახლში არ წყდება გლოვა, ჩამოწოლილა პირქუში სევდა, აღარ დასცალდა შვილს,წაეყვანა ვერ ჩაიხუტა მშობელი დედა.

ეს იყო კიდევ ერთი ვარსკვლავი,
რომელიც მოსწყდა ცას ამ საღამოს
გთხოვთ პატივი სცეთ შვილებო მშობლებს
ეცადეთ ტანჯვით არ გადაღალოთ.

თორემ ძნელია ცოდვის ტარება,
მერე კი უკვე არის გვიანი,
მშობელს არასდროს არ მიატოვებს
და გულს არ ატკენს შვილი ჭკვიანი.

ჩვენი ვალია მივხედოთ მშობლებს,
ვინც რომ ჩვენიდან სიყვარულს ელის,
შევუნარჩუნოთ ცას ვარსკვლავები
და დედამიწას შევუშროთ ცრემლი.

კვლავ გამოცურდა მთვარე ღრუბლიდან,
ისევ ვარსკვლავებს დაუწყო ძებნა,
ვინ იცის კიდევ რამდენხანს გასტანს
ეს უსასრულო ვარსკვლავთა ცვენა.

2/4/2021



****ია****

გაზაფხულის ჟამს ბუჩქებში
გალვიძებოდა იას,
თავდახრილი და ლამაზი
ესალმებოდა ნიავს
მის დანახვაზე ენძელას
სულ გაებადრა სახე,
„ეს რა მშვენება ვიხილე
რა ლამაზია ნახეთ,,
მოვიდნენ მინდვრის ყვავილნი
ღიმილით შეხვდა ია,

თავისთვის ჩაიბუტბუტეს
„მართლაც რა ლამაზია,,
ხეებმა კვირტდამსკდარებმა
გადმოაფარეს ჩრდილი
თავს დასტრიალებს პანიას
ჩუმი ნიავი თბილი.
ყველა მას ესალბუნება
გარს ეხვევიან იას
და მისი ცქერით დამტკპარნი
ამბობენ,,რა კარგია,,

ესაა ჩემი პირველი ლექსი.14 წლის ვიყავი.



არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმილა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულეზულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ზრმასაო,
დააჭერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალეზდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭემმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევეო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

დიდახულ უწინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილაგო,
წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
მამულზე ლოცვით ღამეთ მხმილაგო,
გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
რამდენს ილწვი და რამდენს მუშაკობ...
შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
ჭემმარიტების მადლით მოცულო,
ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...
ერი კი, შენი, შენზე ლოცულობს,
მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
ქართველის სიწმინდის დროშად ქცეული...
საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
გლოცავს მესამე ათასწლეული.

მოკრძალებული და შვილური სიყვარულით
25. 12. 2012.

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შეჰქმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალეზდე არა ღირსსა, შესაწყალეზდელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთერთს გაჰყარო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია

ღე, ყვავილოზღეს მართალი რწმენა

უწმინდესს

ღვთივეკურთხეული სიციოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტეები...
ღე, ყვავილოზღეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
ღე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელეებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.
2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.
ჩემო წმიდა ხატო
შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო – მამულო ჩემო.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიციოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწმიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევე!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ვალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნალვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი ღიდი რწმენითა.

მთაბი

შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმალღეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიანებს,
იმედით ცოცხლობდი – მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.
1973წ.



ბეჟან ხარაიშვილი



ბალი ვნახე და სიზმარი ერთად
 ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
 ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
 ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
 მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
 მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
 “პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
 მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
 – გონს მოლით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
 ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
 – ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან

ცა რომ მტრედისფერობს,
 ტყე რომ ფერი-ფერობს,
 მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
 ბუჩქთან წამოვწევები
 სადმე ცვარიანში
 ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
 უბეს გამიქექავს
 ქარი თიბათვისა,
 გულში ჩამეტკობა პირველყოვლის,
 რითმებს გამოაკრათობს
 წვეთთა სინაზეში
 და მზით გადაფერავს
 მწვანე მოლი,
 წყარო სისხლს გადუსხამს
 ღელის ცისფერ ვენებს
 და ძმას ჩაეხვევა

ისევ გინატრე ყვავილობისას,
 თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
 კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
 მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
 და შორეული მგზავნივით დაღლილ
 მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
 მერე დავამსხვრეე ნიღაბს შიგნიდან
 და ჩემშიც ველარ დამემალეები...
 ჩემი გულივით გელის და ღელავს,
 ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
 იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
 ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
 მე იანვარში დავბადებულვარ
 და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
 – არაყს მოველით;
 ცის ნამს ვილა სვამს,
 გოიმებად და შტერებად გთვლიან,
 – მეც მოდას მივდექ! მოდი, მაკოცე –
 გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
 ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
 არა და ბალო, როგორ მიყვარდი.
 შევეხე ვარდს და...
 ბოლო კი დარჩა –
 ...ეს შენ იყავი...

ძმადნაფიცი,
 ამ მთებს ვენაცვალე,
 ამ ტყეს ვენაცვალე,
 მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
 ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
 როგორ გადალოკა არე-მარე,
 ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
 მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
 რტომან შინდებისამ იყვავილა
 და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
 გული სამარეშიც იმზიანებს,
 გული სამარეშიც ამღერდება –
 ჩვენში ასე იცის
 მზემ ამოსვლა,
 ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? დამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს სხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკან, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებინა,

ხან დამავდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადავძლიევ...
შენ ონს ებრძვი –
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაგნიტოფონი ჩანაწერის გადამლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

ბამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მუჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარეში!





**გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)**

- გავფრინდეთ..?
 - მოდი, გავფრინდეთ,
 - ვიფიქროთ..?
 - მაგრამ როდემდის,
 - მო დავედართ არწივებს,
- ცაში გვკიდოთ ბინდები.

დავსახლდეთ, თუ არ დავსახლდეთ,
კოსმოსის შრეთა შრეებში?
გზანი მიგვიყვანს ქალდავეთს,
თუ დაგვბუგავენ მზეები?

სამოსახლეობს ვინ დასთვლის,
ანდა უტეხელ ყამირებს?
აქეთ ვენერა, იქ მთვარე,
მარსიც ჩასთვალ და ჩანისლე.

- გავძლებთ კი, უდედამინოდ?
 - ეჰ, რავა არა ძამია,
- ჩვენი სიცოცხლე ბობოქრობს,
თვარა სულ ერთი წამია.

ღმერთმა ხომ შექმნა სამყარო,
ჩვენც ხომ ვართ ღმერთის ხელები,
რაც ყოვლიერში ჯანყარობს,
კეთილ-კარგით და ბნელეთით.

მოდი გავფრინდეთ

გვეძლევა ტანჯვა-წვალებით,
ცხოვრების ორომტრიალით,
სიცოცხლის მარად გაძლებით
ვართა თვალჩამომტირალნი.

მაგრამ ჰე, რა ვქნათ, სად რა გზას
დავადგეთ ხელთა ცეცებით,
ალბათ მოგვინევს გარდაქმნა,
როდი ვართ მართლაც ცეცები.

თუ, არ და დავილუპებით,
სამყარო ასე მქმნელია,
დვრიტა თუ არ სცან ბუნების
თუ, არ ხარ მცდელებზე მცდელია,

თუ, არ ხარ რკინის მკვნეტელი,
წყალთა გამჭრელი ხრმალითა,
გზათა უღევად მკეცელი,
მდინარე ნარიყალითა.

ფიქრობთ: სოფელი თუ გწირავს,
თუ, ბედისწერაც აგია,
მაჭარი თუ, არ დაღვინდა,
ვერ დასდო სასმელს ფასია,

ან, თუ რამ გადაიფიქრა,
ბედმა დარჩენილ ყოფაზე,
ეყო, რაც მიწამ იფრინა,
იბრუნა დროის ბორბალზე.

ან, ასპარეზზე სხვას ვუხმობ,
სულთ, ეთეროვან სხეულით,
მყობადს ბუკებით ვაუნყოთ
ახალ სანყისთა ზეიმი.





გურამ ქაჭხანიძე

აპრილი

აფეთქებული თეთრად აპრილი,
 მკერდგაღელილი აკვირებულა,
 მზემონატრული, ზამთარს გაყრილი,
 ზღვა სიყვარულად აზვირთებულა.
 როგორ გელოდი, როგორ მინდოდი
 და თუ გავნამდი უსიხარულოდ,
 მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი,
 რომ ვერ გაძლებდი უსიყვარულოდ.
 მოდი, დავიწყეთ ისევ თავიდან,
 რადგან სიცოცხლეს ჯვარი სწერია,
 ბევრი აპრილი ისე გავიდა,
 რომ სიყვარულით არ მიმღერია.
 ეს გაუმარჯოს შენს გაღიმებას,
 როგორც განთიადს გაზაფხულისა,
 ეს გაუმარჯოს აპრილის ვნებას,
 როგორც ტკივილს და ტრფობას გულისა.
 როგორ გნატრობდი, როგორ მინდოდი,
 გელოდი ჩუმად, უსიხარულოდ,
 მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი,
 ვერც შენ გაძლებდი უსიყვარულოდ.
 მკერდგაღელილი თეთრი აპრილი,
 აკვირებულა, ათქვირებულა,
 მზედაკოცნილი, ცვარნამდაყრილი,
 ლამაზის ცრემლად ატირებულა.
 შენი ეშხია, მე რომ მამღერეს
 და ეს ტრფიალი არ მინელდება,
 რა დააბერებს გულს ანამღერებს,
 ჩემი აპრილიც არ დაბერდება.
 ისე ქათქათა პატარძალია,
 ზამთრისთვის როგორ გამემეტება,
 მისი ბრალია, მისი ბრალია,
 თუ სიყვარულად დამებდება.

წაცარა სიყვარული

შენ ის პატარა
 სიხარული ხარ,
 მაგ გულის სითბოს,
 რომ გამახსენებს,
 შენ ის პატარა
 სიყვარული ხარ,
 მე რომ არასდროს
 არ მომასვენებს

თუ ჩემი ტრფობის
 შენც მოგწვდა შუქი,
 ჩემს თავს რაიმე
 თუ გაგახსენებს,
 მე ბედნიერი
 ვიქნები თუკი,
 ჩემი „აპრილი“
 არ მოგასვენებს.

მინდა მიყვარდე

მინდა მიყვარდე, როგორც არავინ,
 სულს მინათებდეს შენი მშვენება,
 მინდა, შენს ჩრდილში ჩავდგა კარავი,
 უშენოდ აღარ მომესვენება.


რომ სიყვარული, ვით მზე, თაკარა,
 გულში უღვევად სითბოს აქსოვდეს,
 მთის წყაროსავით იყოს ანკარა
 და არ გათავდეს არც არასოდეს.

სიავე ფიქრად არც გამივლია,
 მხოლოდ ტრფობა მკლავს, არდანახული,
 შენი ტუჩები უფრო ტკბილია,
 ვიდრე ბადაგი კარდანახული.

თუ შემეყვარდი, როგორც არავინ,
 შენი ხატება არ გამეცლება,
 არ დამინგრიო ჩემი კარავი,
 მე ხომ უშენოდ არ გამეძლება.



თარგმანები



მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

(დასასრული)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3-10 ტომსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№ 18-39 ნომრებში

.

ტირის კანიკეი მწარედ
ამიხდა ავი სიზმარი,
გული როგორ დავიმშვიდო,
დაჭრილია ჩემი ქმარი.
ვაი ჩუბაკ, ვაი სირგაკ,
ალმანბეტო — გმირთა გმირო,
სიკვდილი თქვენც მოგერიათ,
უნდა მწარედ დაგიტიროთ.
ვიცი, აღარ მეღირსება,
სიხარული, მშვიდი ძილი,
ქალმა ცრემლი შეიმშრალა
მიიხუტა მკერდთან ჩვილი.
დაინახა ერ-მანასმა
ცოლი გათანგული დარდით
მოიკრიფა ძალი, ღონე,
თავს დაიდგა მუზარადი.
მხრებში გასწორდა მანასი,
ტუჩი ტანჯვით მოელრიცა,
არად ჩააგდო ტკივილი
ტანთ აკ-ოლპოკი¹ ჩაიცვა.
და სისხლშეუმშრალი ხმალი
ოხვრით ჩააგო ქარქაშში,
ცოლ-შვილისკენ გაეშურა
თავისი საბრძოლო რაშით.
გაახარა ვაჟის ხილვამ
გამალებით უცემს გული,
შეეგება კანიკეი
მწუხარებით გათანგული:
„ნუთუ მართლა გხედავ, მანას,
თუ მე, სანყალს, მესიზმრები?
სად არიან, მითხარ შენი
უშიშარი მეომრები?“

„გევედრები საყვარელო,
ნუ მიმძიმებ სულს მშფოთვარეს,
ჩქარა, ვაჟი მომანოდე,
გულში რომ ჩავიკრა მალე,
დამიყურებს მწარე ტკივილს
ჩემი ვაჟი, ჩემი ერთა,
ჩემი შვილი რომ მენახა,
იმიტომ დამინდო ღმერთმა.
„არ გათვალოს ჩვენი ვაჟი!“
– კანიკეის შეეშინდა –
„იმზირება თვით სიკვდილი
მისი მწვანე თვალებიდან“.
ცოლმა შოლტი გამოართვა
შუბლთან მიადო პატარას
მერე ქალმა წმინდა შოლტი
ფრთხილად მიაწოდა მანასს.
ჩამოართვა შოლტი ისე,
მართლაც შვილი იყოს თითქოს,
მომაკვდავმა ერ-მანასმა
შოლტით იგრძნო ვაჟის სითბო.
კანიკეიმ სანატრელ შვილს
ასე აარიდა ნავსი,
არ ჭერია ვაჟი ხელში,
ისე მოკვდა ერ-მანასი.
გადარჩენილი მხედრები
სალამოს მიადგნენ ტალასს,
ტირილით და ვაი-ვიშით
ეგებება ხალხი მანასს.
„ცოცხალია ალმანბეტი? –
არუუკე კვენესის მწარედ,
„მითხარ, მანას, ჩემო ჟეზდე²
მკვდარი გული გამიხარე!“
ჩამოქვეითდა მანასი

¹აკ-ოლპოკი – საბრძოლო ზედა ტანსაცმელი.

²ჟეზდე – დის ქმარი.

მოეხვია არუუკეს,
 „ვერ ვივინყებ დაო, აღმას
 სიმამაცეს, სიჩაუქეს!
 აღარა გეყავს აღმანბეტი
 და მას ნულარ ელოდები
 თითქოს დამთხარეს თვალეზი,
 ძირში მომაკვეცეს ფრთები.
 აღარც ჩემი ჩუბაკია
 არც სირგაკი – გოლიათი,
 ჩინეთიდან მერგო მხოლოდ
 სასიკვდილო ამანათი.
 მალე მივალ ერთგულ ძმებთან,
 მალე ჩემი მზეც ჩაქრება,
 მაპატიე, ჩემო ხალხო,
 ეს ცრემლი და მწუხარება!
 და დაიწყო დიდი გლოვა,
 მწარე ბედს დასტირის ყველა
 არსად სხივი საწუგეშო,
 ცა ღრუბლებით დაისერა.
 ცრემლით დანამულ მინდვრებზე
 ბალახმაც არ გაიხარა,
 მწუხარებისაგან მთებიც
 თითქოს მხრებში მოიხარა.
 თავს წყევლიდა ერ-მანასი,
 ერთ დროს ბედის კმაყოფილი,
 ცალკე ხალხის დარდი კლავდა,
 ცალკე მხარი დაკოდილი.

მანასის ანდერძი

ერთ საღამოს ერ-მანასმა
 კანიკეის დაუძახა: –
 „არ შეშინდე, სანატრელო,
 თვით სიკვდილი მომეახლა.
 მონატრებულ ძმადნაფიცებს
 მალე ვნახავ, ვიცი, ვკვდები,
 ჩვენი ვაჟის სასიკეთოდ
 თავს მიხედე, გევედრები.
 თალასში ნუ გაჩერდები,
 როცა მინას მიმბარებ,
 გაიქეცი ბუხარაში
 მიაშურე მშობელ მხარეს,
 იქ გაზარდე სემეტეი
 მამაშენი უპატრონებს,
 აქ ვერ ნახავს ნათელ დღეებს
 განარიდე შვილი ომებს.
 ძმებს აბიკეს და კობეშის
 მუდამ ჩემი კლავდათ შური,
 შენ აქ არ მოგასვენებენ,
 ქალთანა აქვთ დიდი გული.

მე რომ აღარ გეყოლები,
 ვინ გიშველის? ვინ დაგიცავს,
 გადააქცევენ მანქურთად
 სემეტეის, ჩვენს საფიცარს.
 არვის ენდო, საყვარელო,
 გევედრები, იყავ ფრთხილად,
 მწყემსად როდი მინდა შვილი,
 უნდა გამიზარდო გმირად.
 როცა დაგვივაჟკაცდება,
 მოუყევი ჩემს შესახებ,
 უერთგულოს მშობელ მინას
 გაუფრთხილდეს მამის სახელს.
 შვილს ასწავლე წინაპართა
 ჩვევები და წეს-ადათი,
 მინდა ისევ განამტკიცოს
 უძლეველი ყაგანათი.
 მე მთებში დამასაფლავეთ,
 გზა იქამდე არის შორი,
 შემინახოს საიდუმლო
 ერ-ბაკაიმ და კოშოიმ.
 თორემ თავგასული მტრები
 ჩემი ბოლმით იძინებენ,
 ცოცხალს თუ ვერა დამაკლეს,
 შურს ჩემს ძვლებზე იძიებენ.
 უჩ-ტურფანში ყიზ-საიკალს
 „ერ-მანასი მოკვდა!“ — ამცნეთ,
 დღემდე მახსოვს ქალიშვილის
 სიტურფე და სიმამაცე.
 პირობა ვერ შევასრულე,
 ცოლად მოყვანას დავპირდი,
 უთხარით, რომ ვიხსენედი,
 როცა მომეძალა ბინდი.
 ჩემი მჭრელი ზულპუკოპი
 და ფარ-შუბი მომიტანეთ
 როგორც მებრძოლს აკ-ოლპოკი
 დაჭრილ მხრებზე მომაფარეთ.
 ჩემი მათრახი მომეცით,
 მხედარს იქაც დამჭირდება,
 განა მართლა ვკვდები, ქალო,
 დადლილს ძილი მეპარება.
 მანას ჩემი სახელია,
 წინამძროლად დავიბადე,
 ყვითელპირა ბარტყებისგან
 არწივები გამოვზარდე.
 ემსახურა მშობელ მინას
 ჩემი ხმალი, ჩემი ჰუნე
 და დევნილი ყირგიზები
 სამშობლოში დავაბრუნე.
 და ვლოცულობ ამ ქვეყნისთვის,
 სანამ მკერდში გული მიცემს

ჩემი ხალხი, ჩემი მიწა
არასოდეს დამივიწყებს.

მანასის სიკვდილი

მიუყვება ვინრო ბილიკს,
განოლილა მთებზე ნისლი,
ასე ჩუმად, ასე ფრთხილად
კანიკეი საით მიდის?
ერთ სალ კლდესთან ჩაიმუხლა,
ქალს თვალები დაენამა,
მცველებს უთხრა: „ჩემი ქმრისთვის
აქ უნდა გაჭრათ აკლდამა!“
რადგან უკვე დაიგულა
ხანმა საუკუნო სახლი,
ცოლსა სთხოვა, სიკვდილის წინ
მსურს ვიხილო ჩემი ხალხი,
და ერთგულმა კანიკეიმ
შეასრულა ხანის ნება,
ერ-მანასის სასახლესთან
ხალხი ზღვად მოედინება.
ყველას უნდა თაყვანი სცეს
თავდადებულს, დევგმირს, მამაცს,
ეთხოვება საყვარელ ხალხს,
ცრემლი მოსძალვია მანასს.
ჩაიარეს მოხუცებმა,
ქალებმა და მეომრებმა,
გრძნობს მანასი, დადგა ჟამი
თვალზე ბინდი ეფარება.
„ჩემს საყვარელ ძმებს ვიხილავ,
კანიკეი, გლოვა კმარა!“
ეამბორა ხელისგულზე,
სული ზეცას მიაბარა.
გულზე მჯიღს იცემს კოშოი,
ტოტიუკი ოხრავს მწარედ,
და ჭალარა ერ-ბაკაის
მლაშე ცრემლი უწვავს თვალებს.
აქვითინდა ყველა ერთად,
უკუნ ღამედ იქცა დილა,
ცა ღრუბლებმა გადაფარა,
მზე და მთვარე დაიჩრდილა.
ფესვიანად ამოთხარა
ხე და ბუჩქი შლეგმა ქარმა,
იურტასთან დაიჩოქა
აქლემმა ჟელმოიანმა.
და მწვეარი ერ-მანასის
აღარც ყეფდა აღარც ჭამდა,
შევარდენი აკ-შუმკარიც
სადღაც, მთებში დაიკარგა.
გამალეობით გლეჯდა საბელს,

გახელდა ტაიმურდული
მშვენიერმა საიკალმა
ზეცას მიაბარა სული.
დაქვრივებულ კანიკეის
ეფარა შავი მანდილი
დაენამა ცრემლის წვიმას
დაკანწული სახე-პირი:
„მზე დაბნელდა, ჩვენო მხსნელო,
შეიმოსა ზეცა თალხით,
რად დატოვე უნუგეშოდ
შენი საყვარელი ხალხი?
ან მე, ბედკრულს გული რატომ
დამიშანთე სადაგველით?
როგორ ვიცოცხლო უშენოდ,
ან შენს ვაჟკაცს რა დღე ელის?
ექვსი ძმა მწკრივში ჩამდგარა
კოჩკორი და ადიბაი,
კობეში და ჩიიბიტი,
აბიკე და ერ-კოლბაი.
„უშენოდ, ჩვენო ლომგულო,
ცად ვარსკვლავები ქრებიან!“ –
თითქოს გულწრფელად გლოვობენ,
ყასიდად იცრემლებიან.
როდესაც ღამე ჩამოწვა
და წაიკითხეს ლოცვები,
მანასი კლდეში დაკრძალეს
გადააფარეს ლოდები.
იქ განისვენებს ლომგული
უკვე ათასი წელია,
აკლდამა ხავსმა დაფარა
საფლავს არავინ სწვევია.
მეორე დილით იურტას
მალვით მოადგა მხედარი,
შემოიტანა ბაკაიმ
უცნობი კაცის ცხედარი,
„რძალო, არავინ შეგვნიშნოს“,
თქვა: – უპატრონო მკვდარიც,
შევესუდროთ ფარჩა-ატლასით
ვითომ და ჩვენი ხანია“.
სად წინაპრები მარხია,
იქ გაუთხარეს საძვალე,
ხალხს ერ-მანასი ჰგონია,
დიდი პატივით დაკრძალეს.
და იურტაში დაბრუნდნენ
ანუგეშებენ ხანის ქვრივს.
ერთ წელში ისევ გენწვევით
პატივს მივაგებთ გმირთა-გმირს.
ფიქრობს ჭკვიანი კანიკე
„ან დაბრუნდებით, ან არა“
და მარტო დარჩა ბეჩავი,

სულ მარტო, ცრემლის ამარა.
ლამაზ სახეზე ხანის ქვრივს
ცრემლი ეკიდა მივივდა,
ორმოცი დღე რომ გავიდა,
ქალს მაჭანკალი მიადგა.
აბიკემ ხელი სთხოვა და
გააგულისა უარმა,
კობეშმაც ჰკითხა ქალს, ცოლად
გამომყვებიო თუ არა?!
ხანის ქვრივსა და ხაზინას
ექვსმა ძმამ თვალი დაადგა,
რა ქნას საბრალო კანიკემ
საგონებელში ჩავარდა.
უნდა სასწრაფოდ გამორდეს
მტერს ვერაგსა და მუხანათს
მკერდთან მიიკრა პატარა
და მიაშურა ბუხარას.
ერ-აბიკემ და კობეშიმ

ვერ შეძლეს ერთად ცხოვრება,
ძმამ ძმაზე ხელი აღმართა,
ხალხი დალაღა ომებმა.
გადავიწყეს გვარებმა
ერ-მანასს გულით რაც სურდა,
ტახტისთვის ბრძოლა-ქიშპობით
სახანო ძლიერ დასუსტდა.

. . .

ტალასის მთებში მარხია,
ლომგული, სწორუპოვარი
და გმირის საფლავს დარაჯობს
დღისით მზე, ღამით მთოვარი.
ტახტი და ძალა-უფლება
წარმავალია ყოველი,
ერ-მანასს დარჩა სახელი,
სიმდიდრე აუნონელი.



Ratiani Lali

Doctor der deutschen Philologie



AUS SAMEBAS GLOCKENTURM

Fortsetzung

Bejan nahm die Bitte um eine Erlaubnis wahr, in seine Heimat zu ziehen, mit der Brutalität eines Hammerschlags auf den Rücken. Er war blutrünstig und die Natur hatte Verständnis für ihn:

“ Der alte Kuraufser schlug auf den Boden
und der Himmel wurde rot vor Scham.”

Der Geist des grossen Grigol Khandzteli wird vor dem Dichter erzogen/errichtet, der sich zu seiner Zeit in allen Teilen seines Heimatlandes, einschliesslich Tao-Klarjeti, frei bewegte: “Warum hatte dieser leere Ort keine Genehmigung/

/Einreiseerlaubnis...von Khandzteli verlangt?”

Die Anzahl der Georgier in Meskheti-Javakheti gießt tödliches Salz auf das verwundete Herz, das von dem verlorenen Tao-Klarjeti trauert. Das Ende des Gedichtes wird durch den süßen Traum von der physischen Verkörperung des Landes genährt.

“Und jetzt, wo Meskhet-Javakheti
Nach dem Mangel an Georgiern riecht,
Muss ich hier in der Nähe von Atskuri stehen,
Und die Kälte auf den Knochen spüren.

Khertvisi, Khandzta , alter Tao

sollten den ausländischen Touristen die Tür öffnen

Lass mich den gößten türkischen Überfall vergessen

Berg, lass mich /erlaub mich gehen/gib mir Recht den Berg zu überqueren?.

Wir haben diesen Vers ausführlich angehalten, um ihn als typisches Beispiel dafür zu zeigen, wie der Dichter den nationalen Schmerz der Vergangenheit und Gegenwart nicht direkt in Versen, sondern auch durch ungewöhnlich origenelle und eigenartige philosophische Tiefen dem Thema zu nähern.

So empfindet Bezhana Kharaisvili die Heimat, ihre Natur, die Luara Sordia bemerkt hat :

“Die Bäume leuchten als grünes Licht auf der Straße,
Es bedeutet, zu passieren-es liegt die Heimat vor mir!”

Der Autor der Monographie vernachlässigt keines der Gedichte des Dichters zum nationalen Thema, ignoriert sie nicht, betrachtet sie sensibel und eindrucksvoll und präsentiert die Besonderheiten, die Bezhana Kharaisvili durch seine Herangehensweise an patriotische Texte zeigt. Hier liegt der Schwerpunkt auf nationalen, traditionellen, hohen moralischen Idealen, Abweichungen von Glauben, der Vergesslichkeit des königlichen Weges durch den Dichter, der das Land in Zukunft an den Rand des Abgrunds bringen würde. Luara Sordia befasst sich mit dem Wesen des Gedichts, das : “Den Bächen wurde es in den Bergen kalt” heißt und das sich auf das Leiden der Heimat mit den Paradigmen eines Stiers und eines Wolfes bezieht. In diesem Schnitt/Abschnitt wird das Gedicht “Traum” behandelt, in dem die Funktion der Präsentation der Hauptbotschaft dem Traum zugewiesen ist. Luara Sordia schreibt:” Der Autor des Gedichts”Traum” kann seinen Herzschmerz nicht verbergen,/er entlarvt die nationale Bedrohung unter Schock /er ist schockiert, die nationale Bedrohung aufzudecken. Seine Aussage klingt wie eine Zusammenfassung:

“Verflucht sei Entartung

Garten, wie ich dich geliebt habe,

Ich berührte die Rose aber.....

Der letzte Teil davon blieb in meiner Hand,...

Du warst es”.

Im vierten Kapitel der Monographie sind die philosophischen Probleme in der Poesie von Bejan worden. Hier wird die religiöse Stimmung, selbstbewusste poetische Muster des Schöpfers, das Zeigen der Belohnung von Sünden und Güte, das Verständnis der Lehre aus der biblischen Flutstunde, den Sturm, den rabenfarbigen Himmel, die Flutlegende und die Geister von Noahs Arche in der Neuzeit des Dichters, das Vermeiden der drohender Katastrophen betont.:

“ Der Sturm hat die Schneebälle
 Zum Ufer geworfen...
 Die Möwen und
 Der Himmel wurden in den Augen braun.
 ...Wehe, wenn das Wasser
 In einem großen Strom fließt. ..
 ... Möge das Kreuz diesen Ort beschützen!
 ... Möge das Kreuz diesen Ort beschützen!
 Was hat mich an Noahs Arche erinnert?!”

Luara Sordia bemerkt ganz richtig/zu Recht:”Bezhan Kharashvili’s Tätigkeit zeichnet sich durch das Geheimnis von Tod und Leben, durch die Suche nach den Geheimnissen des Jenseits und den Gedanken an Unsterblichkeit aus.”Er forscht eben in diese Richtung. Er sammelt auch eine große Menge an Materialien über die Existenz/das Wesen von Tod und Leben aus georgischen und ausländischen Quellen, was auf die ewige /globale /weltweite Relevanz/die Aktualität dieses Thema hinweist. Von diesem Hintergrund analysiert Luara die poetischen Proben/ Muster von Bezhan Kharashvili. Die Hauptsache in der Arbeit ist, dass der Dichter **die Essenz** von Tod und Leben als Ergebnis eines individuellen und originellen Verständnisses /Denkens des Themas zeigt/offenbart: Ich würde hier und jenseits/darüber hinaus /auf dieser und jener Seite die Mauern bauen, für die man mir vielleicht beide Armen abschneiden könnte, um entweder im Himmel /im Paradies oder in der Hölle zu sterben oder ich hätte es in den Bergen von Vazha als rohe Buchenwurzel begraben, eine muss ich auch zu Tode töten.

In den Gedanken des Dichters ist es progressiv, die Angst vor dem Tod zu überwinden, den Wunsch, sie zu besiegen. Das Thema des Todes und Lebens wurde ursprünglich von ihm im Gedicht “Kerzensücke” verstanden, das eine oberflächliche Wahrnehmung von Leben und Tod und keine philosophische Betrachtung zeigt, wie der Forscher in der Analyse feststellt. Der Dichter ist empört über diesen gewohnten Tod, die Verbindung des endgültigen Endes des Menschen mit der Besetzung der Bösen, nicht der Trauer, sondern der Rechtfertigung des Ereignisses durch die Tatsache, dass wir alle Kinder des Todes sind:”Er ist mehr als 60 Jahre alt, sagte einer mit Trauer, was kann ich tun, wir sind alle Kinder des Todes-erwiderte der Zweite und streckte seine Hände aus, Gott segne ihn, der Dritte fügte hinzu.”

Bezhan bringt den Gedanken an den Tod zu Hades, dem der Autor der Monographie in einem speziellen Kapitel “ Reise zum Hades” besondere Aufmerksamkeit schenkt. Das Gefühl des Todes im Leben, über seine Geheimnisse nachzudenken, ist das Vorrecht der Auserwählten/der Elite. Dies ist die Voraussetzung für die Aufrechterhaltung des Ursprungs./der Geburt, Um dies zu untermauern, zitiert Luara interessante Zitate aus Michel Montaignes”Versuchungen”. Wir werden ohne zu zögern einen Auszug rezitieren:

“Wir wissen nicht, wohin uns der Tod führen wird. Warten wir also überall darauf. An den Tod zu denken, bedeutet auch an die Freiheit zu überlegen..Diejenigen, die an den Tod gewöhnt sind, werden sich nicht an die Sklaverei gewöhnen. Wer uns sterben lehrt, der soll uns auch gleichzeitig leben lehren.



საბავშვო განყოფილება



ნათია დაშნიანი

მე ვარ ბიჭი გაბრიელი,

მე ვარ ბიჭი გაბრიელი,
ყოჩაღი და მარდი ვარ.
მოვიარე მთა და ველი,
გორდში ცხენით დავდივარ.

უნაგირზე შემოვისვი
ბაბუა და ბიძია,
გორდელეები იძახიან -
ეს ბიჭუნა ვისია?



ლემურების სკოლა

ერთი, ორი, სამი, ოთხი...
ითვლიან და ითვლიან:
– აქ რამდენი ობობაა?!
– იქ რამდენი ჩიტია?!

მეტად რთული საშინაო
დავალება ჰქონიათ,
კუდეზე ვერ დაითვალეს
ვის რამდენი რგოლი აქვს.

დაბნეული ლემურები
მასწავლებელს ელიან,
იმითომ რომ მათი კუდი
მათ ცოდნაზე გრძელია.



ფისუნია

ანრიალდა ფისუნია -
თევზისა და რძის სუნია.


მისთვის არვის სცალია,
რძე ნინიკომ დალია.
თევზი დაჩიმ მიირთვა,
თქვა – კარგია ძალიან!



დაიჭირე თაგუნა,
შეინუხე თავიო.

მერე თურმე ფისუნა
სახლში თაგვით მისულა
და ამაყად უკითხავს -
ჩემი თაგვი ვის უნდა?

ბოჭი



გოჭი ჭყივის საღორეში:
აღარ წავალ ანი ტყეში.

რომ გათავდა რკო და პანტა,
ავიტუბე ბოსტნის კართან.

ვკარი დინგი დახშულ კარებს,
ბოსტანი სულ გადავთხარე.

მიმეძინა ჩრდილში დადლილს,
წამომადგა თავზე ძაღლი.

ძლივს მიპოვეს მერე დილით
ნაცემი და დაკბენილი.

ვწევარ, მივლის გიგო პაპა,
ვჭამ უგემურ ქატოს ფათას.



ნათავი შიქლაჯოდეს

ცაზე ვარსკვლავნი მოვკრიფო
 ზღვაში ავაგო ბინაო,
 ტყეში ცხოველებს ვეფერო
 ხელით გავღუნო რკინაო.
 თვალით ღმერთს დავინახავდე
 მის გულში მქონდეს ბინაო,
 ადამიანთა სიყვარულს
 კარი სულ ჰქონდეს ღიაო.
 სამყარო ყველასთვის იყოს
 ადგილი რასაც ჰქვიაო,
 თავისუფლება მეფობდეს
 სიძულვილს რისთვის ჰღვრიანო?
 სულყველა კარგად ცხოვრობდეს
 ეს ნატვრა ამიხდინაო,
 ნეტავი შეიძლებოდეს
 ხალხს მშვიდად დაგვაძინაო.

05.02.2021წ. ათენი



ლელა კობერიძე ჭიაურელი

ჭია-ჭია მაია

რა ლამაზი დილაა
 და რა ბრწყინვალე დარია,
 ბაღში ყვავილებს რომ უვლის
 მოცქერიალე ქალია.
 ირგვლივ ფოთლებს მოეფერა
 მოფრიალე ქარია,
 ვარდის კოკორზე დასკუპდა
 ჭია-ჭია მაია.
 ქალმა ალერსით შეხედა
 აქ რა გინდა დაია?
 ბაღში რისთვის შემოფრინდი
 ჭია-ჭია მაიავ?
 ვარდის კოკორს მივაგენი

მონყენილა ძალიან,
 ბურნა უნდა მოვაცილო
 შენთვის არა მცალია.
 ახლა უნდა ვუმკურნალო
 მთლად მონყენილ ყვავილებს,
 ბურნას ისე შემოვაცლი
 კოკორი ვერც გაიგებს.
 ასე უნდა ვუეჭიმო
 ფოთოლსა თუ კოკორსა,
 მერე ბაღში გადმოვინვევ
 ბულბულსა თუ ხოხობსა.

31.01.2021წ. ათენი





ბ ი ჭ ი კ ო

ამოვარდი ნიავო მე ბიჭიკო მქვიანო,
მთის მწვერვალზე საქანელა უნდა გავაქიანო.
გადავხედო არე-მარეს სიმაღლიდან მთლიანად,
მერე ჩემს დასაც მოვიყვან თვალხატულა ლიანას.
გავახარებ სხვა ბავშვებსაც ჩემი აზრით, გონებით,
მთაზე კარუსელებს დავდგავ ზღაპრის გმირებს მოველი.
გავაშენებ ტყე-პარკს ისეთს ბევრ სანახავს ყურობდნენ,
სხვა ქვეყნიდან ჩამოსულნი ტურისტები სტუმრობდნენ.
პატარა ვარ მაგრამ მეც მაქვს საოცნებო ფიქრები,
როცა დიდი გავიზრდები მშენებელი ვიქნები.
ავაშენებ, დავამშვენებ დავიხმარებ გელასაც
კარგი სწავლით, კარგი შრომით გავახარებ ყველასა.

26.01.2021წ. ათენი.

მ ვ ი რ ი ლ ა



ეს გვირილა ნაზია ნახეთ რა ლამაზია?
თეთრ-ყვითელი ფურცლები
მრგვალად შემოხაზვია.
მზეს უცქერის ხანდახან
და თავს უხრის მორცხვად,
მინდვრის ყვავილებს გახედავს
გაუღიშებს კობტად.
უბრალოა ძალიან
ყვითელგულა, თეთრი,
მწვანე ჭეჭილს გადუშალა
გაღელილი მკერდი.
იქვე გვერდში ყაყაჩოა
უნაზესი ფრთებით,
წითლად უელვარდება
ლოყები და ყელი.
სისხლის ფერად შეუღებავს
ჭეჭილი და ველი,
ცელქი სიო რომ დაჰბერავს
ყველა ერთად მღერის.

30.01.2021წ. ათენი

ზღვა და თოლია



ჩემო თეთრო თოლია
ზღვის სურნელი გქონია,
ლაჟვარდისფერ ტალღებთან
საიდუმლო გქონია.
უჩვეულოდ აღმერთებ
მოლივლივე ტალღებსა,
თითქოს ზღვას ეფერები
და უკოცნი თვალებსა.
თეთრად რომ გამოჩნდები
ვით ედრები მთვარესა,

ჰორიზონტს შეერწყმებით
ერთად ხვდებით ღამესა.
მერე ჩაიძირებით საიდუმლო
მხარესა სიყვარულს ეფიცები
ზღვის ქაფიდან ქალღმერთსა.
აფროდიტას მიჰყვება
მუდამ თეთრი თოლია,
მითიური სიყვარული
რა უსაზღვრო გქონიათ.

01.02.2021წ. ათენი

ფუტკარი და კეკელა

მინდვრიდან დაბრუნებულსა ფუტკარს,
გზად შეხვდა კეკელა,
რა უშნოდ დამძიმებულხარ
მიტომ დაფრინავ წელ-წელა.
სულ მოთხუპნული ტრიალებ
ირგვლივ, გარშემო ველზედა,
ფეხები დაგმძიმებია ბარგიც
გკიდია წელზედა.
ჰეი! გზიდან ჩამომეცალე
უნდა ავფრინდე ცაზედა,

ჩემს სილამაზეს ხომ ხედავ
არ გამეკარო ტანზედა.
ეს ვაბა არ დამისვარო
მორგებული მაქვს ტანზედა,
ასეთი არვის აცვია
და თან ძვირია ძალზედა.
ფუტკარი უცებ გაბრაზდა
მე შენ გაჩვენებ დღესაო,
თუ ჩემი შხამი გესროლე
უცებ გაფშვიკავ ფეხსაო.
თუმცა მე გადავიფიქრე
სუსტთან რა მესაქმებაო,
დღეს გზას დაგიტომობ,
რადგანაც ეს მე არ მეკადრებაო.
რომ შევებრძოლო უღონოს
უიარაღო შტერსაო,
მით უფრო სუსტს და პრანჭია,
ფარფატა სულდგმულეზაო.

10.02.2021წ. ათენი



ლომი და კოლო



ცხოველთა მეფე, ლომსა მზის გულზე ტახტზე მჯდომსა, კოლო ეახლა როცა, უნდა ეომათ ორსა. მეფემ ჯერ ბევრი იცინა იქნებ მოეგო გონსა! მე ფაფარაშლილ ლომსა როგორ მიბედავ ომსა?

კოლო ძალიან გაბრაზდა და გაგულისდა ჯინზე, გამოეყანა წუილით ბევრჯერ უკბინა ცხვირზე. მეფეს ეს ძალზე ემწარა ტორებს იცემდა პირ-სახეს, სულ დაიკანრა თავ-პირი ისე დაეცა მიწაზე. გამარჯვებული კოლო შორ-შორს გაფრინდა ოლონდ, ობობას ქსელში გაბმული იმას ჰყვიროდა მხოლოდ. გამარჯვებული წამოველ ძლიერ ლომს ვძლიე! ოლონდ, დახე ამ წუნკმა ობობამ უცებ მომიღო ბოლო.

13.03.2021 წ. ათენი.

ფ ა ნ ქ ა რ ი

- მამი-მამი, ჩემო მამი.
- რაო ჩემო პატარა?
- ერთი მითხარ ჩემს ფანქარზე ხე ვინ შემოაფარგლა?
- აბა, შვილო, დააკვირდი რას მიაგავს ფანქრის გული?
- ნახშირსა ჰგავს მაგრამ იცი? ნახშირია უფრო რბილი.
- აბა კარგად დააცქირდი, რას გაგონებს კიდევ რასა?
- ლურსმანივით წვერგათლილი, ნახშირის და რკინის ნაზავს.
- მართალი ხარ, გენაცვალე, დედამინას ბევრი რამ აქვს, მის სიღრმეში დაბადებულ ათასგვარ სიმდიდრეს ნახავ. ოქრო ვერცხლი და სპილენძი

მარმარილო, თუჯი, რკინა, გრაფიტი თუ ქვანახშირი, გიშერი თუ ბროლის მინა. ფანქრის გული" გრაფიტია" ასე ჰქვია მის ნაწილებს, ჩხირებისგან ქარხანაში ამზადებენ ფანქრის მილებს. საწარმოში დამზადებულს გამოთლიან ხისგან ქარქაშს, შიგ გრაფიტის გულებს დებენ ამზადებენ მთლიან ფანქარს.

01.0.2021წ. ათენი



ენის გასატეხი

ჭრელ ჭალაში ჭრიჭინებენ ჭრიჭინები, ჭრიჭინობით ჭამენ ჭია-ჭუნასა,

ჭაჭუნაში ჭაობების ჭყყ-ჭყყა, ჭყყ-ჭყყა ჭაჭის ჭურში ჭკვიანად.


ათენი



პროზა



რეზო ადამია



პაემანი სიკვდილთან

ტერენტი გრანელი

დასასრული

დასაწყისი №10 ანთოლოგიაში

ახლოვდებოდა ამ ქვეყნიდან ტერენტის გასვენების დრო-წუთები და თბილისის მიწასთან მიბარების მარადიულობის კოსმიური მიუკარება საწყისი. მრავალჯერ ნახმარი და დეფორმირებული ფანერის კუბოში ჩასვენებულს მხოლოდ ცამეტი ადამიანი მიაცილებდა. წინ პატარა ბიჭი დიდი ხის ჯვარით და თორმეტიოდე, ოჯახებიდან გამოქცეული თუ ქუჩის მოხეტიალე მშვიდობიანი, მდუმარე ძალღი ადევნებოდა მათ; ქრისტიანულ უღარიბეს პროცესიას, მხოლოდ უძირო სევდა და უახლოესი დების გლოვა-მოთქმა ჭარბობდა ყოველივეს. მოხუცი მოძღვარი კი გაკვირვებული მიუყვებოდა ამ დევნილ განდევილობას თუ? სამი თეთრი დაღლილი მტრედი კი, მათ თავს დასტრიალებდა მთელი ეს კაცთაგან ჩაშხამული დრო...

„ცხოვრება ისე ამაზრზენია, რომ მისი ატანის ერთადერთი საშუალება ესაა: უნდა გაექცე“. გუსტავ ფლობერი.

მიწად მიბარებულს რამდენიმე უპატრონო მონყენილმა ძაღლმა მთქნარებით ღამეც უთიეს პოეტის კაცთაგან მიუკარება საფლავთან და თითქოსდა დაისვენა ყველამ ქვეყანასთან ერთად მხოლოდ მგოსნის ლექსი და დრო, სამუდამოდ დაუმეგობრდნენ ურთიერთს...

რა გააჩნია გაუთვითცნობიერებელ უხილავ ბედნიერებას და, დღეს გულცივი მესაფლავებისგან გოლგოთას მიმსგავსებული საფლავზე მიყრილი, ქვალორღიანი მიწის გამაყრუებელი ბაგაბუგ-ბრაგუნი არ გაუგონია მგოსანს, მხოლოდ ნერვიული უხილავი მოშინდისფრო უწვრილესი ხაზები სერავდა ყოველ კუთხე-კუნჭულს.

არიან დიდი პოეტები და მწერლები, რომელნიც შედეგებს საკუთარი სისხლით ქმნიან, მაგრამ მათგან გამონაკლისნი, უფრო სულ-ნერვითაც წერენ გახურებულ სისხლთან ერთად და-

ბადებიდან შეწირულნი! რომელიც საერთოდ ხელოვნებაში უიშვიათობას წარმოადგენს... მაგდაგვართ, მხატვრებიდან რამდენიმეს დავასახელებ: მიქელანჯელო, ვან-გოგი, სეზანი, რენუარი, ფიროსმანი, სუტინი და მოდილიანი...

თქვენთან ერთად, ცხოვრებასთან სულ სხვა ფორმის შეხვედრა გვაქვს ბევრი ბუნდოვნად ფსიქიური შეტევებით იგუდებიან და სულიერ ტკივილს ვერ გრძნობენ, ხოლო უზომოდ ალტყინებული ტერენტი გრანელი უკვე ჩასვენებული მზის შემდგომი მუქი ცისფერ-შინდისფერი გახდა და მძიმედ დამარცვლა მართლაც მებრალები, სიკვდილო! ჯერ ერთი და ვერავინ ვერასოდეს ვერ გაგიგებს მეორე და ქვეყნიერების ურთულეს-უსასტიკესი ჯალათური ფუნქცია გაკისრია. ამ დროს მოუსვენარმა სიკვდილმა შავი ფერი მიუვალ უკუნეთად იცვალა და ტერენტის ეხრინინიანება; მარტო არა ვარ, პოეტო! მე მყავს ურთულესი ფუნქციის და სიღრმის ფუნქციონერები, რომლებიც წინასწარ მრავალმხრივ სამუშაოებს ასრულებენ მათგან ზოგი უცაბედად და ხშირად სხვადასხვა ავადმყოფობებით ამწიფებს ჩემს გამოცხადებას. ხოლო სიბერე შედარებით ხანგრძლივი ფუნქციაა, მოულოდნელი დასასრულით, უფრო მეტად ვისტუმრებ ავადმყოფობებით-ომებით და უბედური შემთხვევებით. ეს ყოველივე ადამიანის ჩემთან ერთად სამყაროს და ცხოვრების უტეხი კანონია, ამ მხრივ სხვა სამოქმედო სივრცე არ არსებობს, რომელსაც თქვენი ღმერთებიც ვერ შეცვლიან: ჩემს ბავშვობაში, მოხუცებისგან გამიგონია: სიკვდილმა თქვაო, მე მოვკლავ და თქვენ რაც გინდოდეთ, ის დაარქვითო.

დიალოგი გრძელდება: ქვეყნიერების მიმდინარე დრო კი, ჩემზე არანაკლებ სასტიკია და ისიც ხელშემწყობ გარდაუვალობაა ჩვენში, უფრო უკიდევანობის გარდამავლობაა აუცილებელი ბრუნვით, რითაც სიახლის აღვლენით ერთ-ერთი უმთავრესი რგოლი ვართ. მგოსანმა პასუხად მი-

უგო: აი ამიტომაც დადუმებული ვარ, კი არ მე-შინია და მეზიზღები, უსასრულო ძალავ, მე არც მიკვირს შენი იმ, ჟამიანი ჩასაუკუნებელი ფერი-სა. უკუნეთი მიმართავს: გარდამავალი ტერენტი! ყოველი სამყაროსეული საიდუმლო სისტემა ბნელია ჩვენ ხომ ნებისმიერ პლანეტებთანაც პირდაპირი საქმე გვაქვს მუდმივად. ისინი თუმცა გიგანტებია, მაინც თქვენნაირი უსუსური ელემენტებია ჩვენთვის. ოღონდ მათი ხნოვანება მილიონობით წლისაა. თქვენი კი მოკლეა პეპელასი არ იყოს. უთუოდ უფორმო და უხილავი სამყაროს უკვდავების სამოც ვართ. ხომ გეუბნები ადამიანები კიდევ დიდ დროს ვერ გაერკვევით ამ მოვლენებში. წადი ეხლა იმქვეყნიური მომავლის შვილო და მოულოდნელად წამოგენევი, მეტი არავითარი შეღავათი არ ძალმიძს... უფრო შედი ღამის სიღრმეში, შეეჩვიე მარადიულ სიბნელეს – უკუნეთს, მე კი ჩემეულად მოგყვები; ხოლო იცოდე: შენი კოსმიურ-პლანეტარიუმის მომავალი მე არ მეხება...

„ჩვენ არასოდეს არა ვართ ბედნიერნი: ჩვენი ბედნიერება მხოლოდ უბედურების დუმილია“. ჟიულ რენარ.

ძვალ-ტყავად ქცეული, თავჩაქინდრული, თმებჩამოყრილი, დაღონებული და სევდით სავსე ტერენტი ანენილ-აფორიაქებული ფიქრებით ბრმა სიბნელეს შეერწყა და ადუდუნდა: როგორ მინდა ჩემს უღარიბესსა და ჟამიან გასვენებას მეც დავესწრო, რომელიც მალე შედგება და შემდგომ ახალ ქვალორღიან მიწამიყრილ საფლავს დავხედო, დაღონებული და უმწეო ვარდ-ყვავილებით ღარიბად მოფენილს, სადაც შავებში გამონყობილი განუყრელი მუზა, მდულარე ცრემლებით დამტიროდეს იქნება...

უკვე მთლად მისუსტებული ტერენტი ბარბაცით დაიძრა და დრომ (დრო უხილაობა და უძლეველი, რომელიც სიკვდილისა არ იყოს ყველაფერს ერევა – აბერებს და შემდგომ ჩვეულებრივ განმჩინებელს გადააბარებს) მგოსანი მკვდარი შეახვედრა ადამიანებს: მათ შორის ბრიყვებმა კი გაიხარეს, რაში აწყობდათ უპატრონო პოეტის დღემოკლეობა ეს მხოლოდ ეშმაკმა უწყის.

ჩემეული ანალიზით, სიკვდილს ჩვენ ცუდად ვიცნობთ და მხოლოდ გამშაგებით ვებრძვით მილიონი წლებია, უძველესი ცივილიზაციებიდან მოყოლებული, მეცნიერებით-მედიცინით, ხელოვნებით, ჯადოქრობით, მოგვებით, ქურუმებით, საფლავ-სარკოფაგებით, მუმები-პირამიდებით, ღმერთებით, წინასწარმეტყველ-ანგელოზებ-

ბით, მოციქულ-წმიდან-პატრიარქებით, პაპებით, მეფეებ-იმპერატორ-გმირებით. პლანეტის ერთობლივი გენითაც, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ქრისტიანულმა ეკლესიამ კი შეუტია მთელი ძალებით, და მხოლოდ ჩვენს დასაიმედებლად მკვდარი გარდაცვალებად გარდაგვისახეს, სხვა სახება ხომ რთულდება და მიუწვდომლობის ლაბირინთები უფრო მეტად ბუნდოვანდება. სიკვდილმა და დრომ (ორთავე უმკაცრესი და ულმობელი ფორმაა) უთვალავი პლანეტები ჩააქრო ათასწლეულებში უძლეველი და უძველესი ღმერთებიც წარსულში გადაგზავნა და სამყაროს სიღრმეებიდან საბედნიეროდ ახალი რელიგიები აღმოცენდა.

მგონი ყველაზე მართალია, მიცვალებულის შიშველ მიწაზე უშუალოდ მიბარება და არა წვალება სხვადასხვა გზით...

როგორც ვთქვით, ცოცხალი არსების მოკვდინებით ორსულდება სივრცე არსებული – რაც ქვეყნიურ საოცრებაზე მეტია, მერმე კი, ისევ მშობიარობსო, მეცნიერნი ასე იტყვიან. კითხვა: სიკვდილიც ხომ არ მონანილეობს მისგან მოკლულ-შობილის მერმე ცოცხალ არსებათა ჩასახვაში? დიახ, სიკვდილით ნაშობი უხილავი არსება, უცილოდ დიდი დროით არსებობს შორეულ თუ უახლოეს სივრცეში, რომელთაც უსასრულობის მეხსიერებაში მოიხსენიებენ, შემდგომი ჟამი რომ მოაღწევს ამა თუ იმ ქალის თუ რომელიმე მიწიერი არსების საშობი ჩასახვისა. ალბათ ამდაგვარ სივრცობრივი სავსეობიდან ჩაეგზავნება და ესაა სამყაროსეული ჯერჯერობით ჩვენთვის შეუსწავლელი, მაგრამ მიახლოებითი, უნიკალური უკვდავების პროცესი, სიცოცხლის გაგრძელების და უხილაობის ფასდაუდებელი მარად უწყვეტი კოსმიური კავშირი. სიკვდილი თუ შობს სიცოცხლეს ანუ სამყაროში სიახლის შექმნის ერთ-ერთი კოსმიური გლობალურ-გარდამავალი მექანიზმთაგანია მაშინ ის, დადებითისკენ გვაფიქრებს... მეც, ჩვენგან და ყოველ არსებათაგან უსაზღვრო სიძულვილის გამო, უდანაშაულო გველისა არ იყოს, თავდაცვისას მასში არსებულ სიკვდილს აღვიძებს და იხმობს, მკაცრად აძლიერებს აამოქმედებს, და ქვენარმავალი სიკვდილი-სეული არსებად გარდაიქმნება, მაგრამ გონ-მარტივად ჩავიხედოთ ჩვენს ბუნებაშიც უმეტესობა ადამის მოდგმისა ხომ სიკვდილის მთესველ-გამმეტებელია: ძალათ სიკვდილის მოწვევა და განვრცობა ეს უკვე ზედანაშაულია და თავისი მოქმედებით უბოროტესი ფუნქციებისაა. სრულიად მართებულად მგონია, გრანელი მოკლეს, რადგა-

ნაც, მართალი, გაბედული და თავდადებულ-და-უოკებელი, მაღალი ნიჭიერებიდან გამომდინარე, საგიჟეთშიც ვერ მოთოკეს და იძულებულებმა საბოლოოდ მკვლელს მიუგზავნეს, გაკვირვებულმა სიკვდილმაც ფერი იცვალა და არგაგონილი პაემანი დაუნიშნა თვისტომთაგან გამეტებულ მგოსანს; ამ შემთხვევაშიც სიკვდილი შესაბრალისია ის თითქმის ზნემიუნვდომელი ბოროტება, ხშირად გარემოს ბრმა მორჩილია და არღვევინებენ ქვეყნიერების და მისეულ მარადიულ კანონებს...

„მხოლოდ მწუხარების ცრემლებში ირეკლება უკეთესი სამყაროს ცისარტყელა“. ფრიდრიხ ჰებელი.

როდესაც ვამხელთ გაუგონარ პაემანს სიკვდილთან მგოსნისა, ამ დროს უფალთან მორიდება და მორჩილებითი თავმდაბლობაა საჭირო, რადგანაც მგოსანი შემოქმედებაში ღმერთის ენით მეტყველებს, მაგრამ სიკვდილი მაინც უმკაცრესია, სამარეზე უფრო ცივია და კოსმიური გამყინვარებითი აფეთქებაა. იშვიათად ან საერთოდ შემოთავაზებულს არ არჩევს, არც აპროტესტებს და გამძვინვარებული მარტორქასეული თავდასხმითი შემსრულებელია – პირდაპირია და უკიდევანობის ყველგან მწვდომი სხივივით გარდაუტეხავია. ამ შემთხვევაში გონებრივად ძლიერ თუ ავმაღლებით და ისე დავაკვირდებით კისვდილს, მართლაც რომ მრავალმხრივი გააზრებგაანალიზების ღირსია...

უსულო და უგონო სიკვდილი! განუსჯელად ჯვარს გაკრულ ნამებულ მაცხოვარსაც ეახლა და... შორსმწვდომი მკვლევარები შავსხეულა დაუდგრომელს ჩვენსავით ამართლებენ: იესო ქრისტე ხომ ტანჯვის მომგვრელი ტკივილებისაგან იხსნაო...

გრანელს უძლიერესად ჰქონდა განვითარებული გრძნობა გარემოს ინსტინქტ-შეთვისების ორგანო. მგოსანი ფიზიკურად და ფსიქიურად დროთა ჟამში რამდენადაც უფრო სუსტდებოდა მისდა საპირისპიროდ სათუთი სალოცავი ტაძრისეული სულიერი ნატიფი აღმატებულობა მატულობდა, რითაც მოუსვენარი იყო და შეუნყვეტლივ უკიდურესობაში მყოფი ვარსკვლავეთ-მიცვალებულთა საფლავებში ეძიებდა რასაც ირგვლივ რეალობაში ვერ პოულობდა, მაგრამ...

მოვიხმობ სითამამეს და ვიტყვი, უთუოდ მრავალზე მართალი, გაბედული და პატიოსანი მგოსანია გრანელი, ქვეყნიური ზნეობრივ მიუწვდომლობათა წვდომა-გლოვაში...

ხშირად მიფიქრია, დროულად მართლაც

ხომ არ უშველა სიკვდილმა ტერენტი გრანელს?! სამყაროს და ვარსკვლავეთის მგოსანზე, ამდაგვარი კითხვის დასმა მგონი შესაძლებელია, რადგანაც ახლოვდებოდა ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წელი...

ნანყვეტი უკანასკნელი პაემანიდან: სიკვდილო! შენ რომ გიყურებ მინდა გავიღიმო; მიმართავს მგოსანი თითქოსდა ყრუ შეუსმენელს. ჩემს წინაშე ჯერ არავის უსიამოვნია და, შენ რა?! ვითომ არ გეშინია? – შეიძლება საბოლოოდ შეიგრძენი ის ურთულესი კოსმიური საიდუმლო დანიშნულება, რომელსაც უმწვავესი შედეგი რომ მოაქვს. თუმცა ადამიანები ყოველივე ამას ბოლომდე კიდევ დიდ ხანს ვერ ჩანვდებით. შესაძლებელია წარმოუდგენელი მომავლის ცივილიზაციის შედეგად ნაწილობრივ გაერკვეთ – მე თუ, რამხელა უკიდევანოდ ფართო და სიკვდილ-სიცოცხლის აუცილებელი ფუნქციებისა ვარ, რომლის ახსნა ამჟამად უშედეგო იქნება. თუმცა უნიჭიერესი და მგრძნობიარობით ზეციურობის გაგების ხარ – უფრო რომ მიისწრაფი, პლანეტარიუმის ურთიერთობის საიდუმლოებათა სიღრმეებში. რადგანაც ამ მთავართან მიუწვდომელი ბრძანდები, მიტომაც წვალობ დღედაღამ. კარგად ვიცი თქვენი მაცხოვარიც ამ საკითხზე შორეულ სამყაროშიც ფიქრობს, მაგრამ ჩვენ, ანუ მე, სრულიად განსხვავებულნი ვართ ყველასაგან და ზოგჯერ ჩვენივე თავისაც გვიკვირს...

ქმედებით უკიდურესო! ყოველი ამქვეყნიური ცხოვრების და შემოქმედებითი გზები გამიუბედურდა და დაუნდობელთაგან გადამეკეტა, მხოლოდ შენსკენ მიმავალ, უკანასკნელსა და უმძიმეს გზათა ფიქრებს შევრჩი. და ამჟამად ნამდვილად ხდები ჩემი მხოლოდ პატრონ-უკანასკნელი. უშენოდ ვერც კოსმოსში ავალ და მიწასაც ვერ ვეახლები. დადებითია, მრავალთან შედარებით დამყოლ-მიმნდობი რომ ხარ, დადუმებულო მსხვერპლო! იშვიათად შევხვედრივარ შენისთანა გამბედავ მორჩილს: მიუგო გრანელს სიკვდილმა, მერმე დადუმდა და ირგვლივ რატომღაც უფრო დაბნელდა... უბედურების მომტანმა ისევ იჩინა თავი და, ხო, ერთსაც გეტყვი, უკვე ჩვენთან მყოფო სივრცისეულო, შენი მოდგმისანი უფრო ხშირად თავისი თავის და ჯიშის მტანჯველად და ნამებისთვისაა გაჩენილი. დღენიდავ რატომღაც ღმერთსაც არ აძლევს მოსვენებას და აწვალებს; უთუოდ ნებისმიერ გვერდში მდგომ უახლოეს პიროვნებასაც უმეტესწილად ვერ იტანს, ხასიათი აქვთ უხიაგი, მრავალი ციური ბრაზიანი პლანეტებისა არ იყოს, მაგრამ იქ

ბევრად უფრო შენარჩუნებულია მათი კანონ-
ჰარმონია, ვინემ თქვენთან, ვითომდა ღვთის სა-
ხიერნო!..

გრანელმა, უკანასკნელი პაემანისას, მეო-
რედ შესჩივლა დიდ მსაჯულს: დედამინელებმა –
ჩემიანებმა სიკეთე ქვეყნის სიყვარულისა და პო-
ეზიის ნიჭის გამო აღარ დამინდეს, მომავლის
იმედად მხოლოდ ვარსკვლავეთი დამრჩა, რო-
მელზეც შესაძლებელია შენც გეშინია; პასუხი არ
მიუღია გრანელს და ბნელი ისევ უფრო მეტად
ჩაქრა... მერმე არამინიერი ხმა გაისმა განწირუ-
ლი ძახილისა: მე, როგორც პოეტი, სიკვდილს
არასოდეს ვეძებდი, მაგრამ უმაგისოდ კოსმიურ-
მინიერი ცვლილებები თუ გაურკვეველი ქვეყნი-
ური სიცოცხლის ურთიერთობათა პროგრესი არ
ხდება თურმე!!!

მაგ საშინელ ძალას განუწყვეტლივ მაინც
ვებრძვით, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ამ
დროს რალაც უცნობი სამყაროსეული ხმა ჩაგ-
ვძახის, შეისმინეთ, რომ სიკვდილ-სიცოცხლე გა-
ნუყრელია თავიანთი მუდმივი შეურიგებლობი-
თაც და იძულებულნი ხართ ქვეყნიერების კანო-
ნით ეზიაროთ ამ სამყაროსეულ ამოუხსნელ შავ
და ფერადგვირგვინოსან უძლეველობასო! გმირ-
გულოვანი მგოსანი, შეეცდება, სიკვდილის ავ-
ლით კოსმოსს ეახლოს, მაგრამ ყოვლად შეუძ-
ლებელია, თურმე, მანამდე, სანამ ადამიანი უხი-
ლაობად არ გარდაიქმნება...

კაცთაგან განადგურებული ტერენტი დამო-

უკიდებელი სულის ნათებით გზას მიიკვლევს
ბნელებისა, მაგრამ უკვე უკიდურესად გაღიზია-
ნებული სიკვდილი ყინულის ლოდად მისდევს და
უმაღ ყველაფერს აქრობს – უმთავრეს სიცოც-
ხლესაც: შემდგომ საოცრებითი განცვიფრება;
გრანელის წინაშე იფეთქა მრავალპლანიანმა
სხივ-შუქმა და განსხვავებული სიახლე ხედვით
წარსდგა ოცნება ვარსკვლავეთის წინაშე; რისი
აღწერა და დასურათება ჩვენთვის შეუძლებელ,
მიუღწეველ-მიუწვდომელია...

„გენიოსი – ეპოქის მგრძნობიარე ნერვი“.
ფრიდრიხ ჰებელი.

ყოველივე ზემოთ აღწერილი ალბათ მხო-
ლოდ ასეა ზეენარულად დადგენილი, რომლის
საიდუმლოების ქვეშ მარადიულად ვმარტვი-
ლობთ. როგორც გიამბეთ ბოლომდე ჩამოუთ-
ვლელ ამ ურთულეს კოსმიურს, ტერენტი გრა-
ნელი, თვითნებურად მწვავედ ითავისებდა, რი-
თაც იქმნებოდა სევდაშეპყრობილი მისტიკური
პოეზიის ლექს-სიახლეები, რომელსაც განსხვავე-
ბული აზროვნების სრულიად მართალი გრძნო-
ბებიც ერთვოდა. ამდაგვარი უმძაფრესი განცდე-
ბით დამთავრდა დიდი ხელოვანის უკანასკნელი
პაემანი სიკვდილთან, სადაც ზესკნელ-ქვესკნე-
ლის სამომავლო სურათები გარკვევით დაიხატა.

თუ პოეტს ყოველთა სიცოცხლის მკვლელი,
მართლაც შეეცოდა, ვალდებულნი ვართ, მორჩი-
ლად ჯვარი გადავსახოთ დიდ, მარადიულობა
მგოსან – ტერენტი გრანელს...



გარი ჩაფიცი



სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №№28-38-ში)

არ ვიცი რამდენ-
მა დრომ გაიარა
სანამ დავმშვიდდე-
ბოდით, შემდეგ
ნარგიზის ზენარი
წავაფარე და ლა-
მარასთან ერთად
ერთი ბოთლი კო-

ნიაკი გამოვცალე მხნეობის აღსადგენად. კონი-
აკმა სიმხნევე შეგვმატა და ცოტა თუ ბევრად
დაგვამშვიდა, გარეთ გამოვედი და არემარე
შევათვალე, მთვარიანი ღამე იყო, ტბა
მშვიდად ლივლივებდა – „სწორედ ის დროა,
ერთი ძილი წყალსაც რომ ძინავს“ – ვუთხარი
ლამარას და ნავსაყუდელისაკენ წავედი. და-
რაჯის ჯიხურთან ჩავიარეთ, მას მშვიდად ეძი-
ნა. ჩემი ძმის ნავზე ბოქლომი შევამტვრიე,
ზედ ლამარა დავსვი და მე გვამის გამოსატა-
ნად წავედი, არავის დაუნახივარ, გვამი ზენარ-
ში შევახვიე და ფრთხილად ჩავანვინე ნავში,
შემდეგ შევბრუნდი, შენობის უკან ტრაქტორის
სახნისები მეგულეობდა და ორი ცალი სახნისი
მოვიტანე, მთვარის შუქზე შევამჩნიე ლამარას
გაკვირვებული მზერა:

– რისთვის დაგჭირდა ორი ცალი სახნისი? –
წყნარად შემეკითხა ის.

– ტბა ღრმაა, იქნებ ერთმა ვერც კი ჩაძიროს
ფსკერამდის! – ჩურჩულითვე მივუგე მე და ნა-
ვი წყალში შევაცურე.

– ცუდი არაფერი გაიფიქრო თორემ იცოდე,
ჩემი შვილების ცოდვა მინაშიც არ დაგაყენებს!
– თავისი ეჭვი გამოთქვა ლამარამ.

– ნუ სულელობ! – ვუთხარი და ნიჩბები
წყნარად მოვუსვი ტბის ზედაპირზე... ტბის შუ-
აგულამდის გავცურეთ, ნარგიზის გვამს ერთი
ცალი სახნისი შევაბი, ლამარა აკანკალებული
მიცქერდა, ის უკვე გრძნობდა თუ რისთვის მე-
საჭიროებოდა მეორე სახნისი და წყალში გა-
დახტომა განიზრახა, მაგრამ ხელის შეშვლება
მოვასწარიდა ზენარი, რომელიც ხელში მეჭირა
კისერზე შემოვუჭირე, ორიოდ ნუთში ყველა-
ფერი დამთავრდა და მეორე სახნისი იმას ჩავა-
ბი, ვისთვისაც იყო გამიზნული. პირველად ლა-
მარა და შემდეგ ნარგიზი ისე მშვიდად გავ-

გზავნე ფსკერისაკენ, თითქოს უზარმაზარი
ტვირთი მომხსნოდეს მხრებიდან...

– ნარგიზის მკვლელობა შეიძლება შემთხვე-
ვითობისათვის მიგვეწერა, მაგრამ ლამარა
რისთვის მოკალი ვერ წარმომიდგენია!? შეე-
კითხა მთლად ფერდაკარგული გამომძიებელი
ნიკლაურს, რომელიც ისე მშვიდად ლაპარა-
კობდა ამ დროის განმავლობაში, ერთი ნაკ-
ვითიც არ შერხევია სახეზე.

– სხვაგვარად არ შეიძლებოდა, – საუბარი
განაგრძო ნიკლაურმა – ალბათ იგივე დანაშა-
ული რომ ახლა ჩამედინა იგივეს მოვიმოქმე-
დებდი, რადგან ლამარა პირველ რიგში ქმრის
განთავისუფლებას მომთხოვდა, შემდეგ საი-
ღუმლოს შენახვისათვის ხარკის გადახდას და
ვინ იცის შემინახავდა საღუმლოს? მე ხომ მუ-
დამ შიშში უნდა ვყოფილიყავი? ამიტომ ეს წი-
ნასწარ მოფიქრებულ განზრახ მკვლელობად
შეგიძლიათ ჩამითვალოთ.

– დაპირების თანახმად ლამარას ქმარი თუ
ასარგებლე რაიმე შეღავათით? ან სიმართლე
თუ არ დაუკარგე მაინც კარგია.

– მაგ საკითხზე ბევრი ვიფიქრე და გადავ-
წყვიტე მთელი სიმკაცრით დამესაჯა, რადგან
ციხიდან დაბრუნებული არჩილ მუზაშვილი მე-
უღლის მოძებნას დაიწყებდა და გამორიცხული
არ იყო კვალისთვის მიეგნო. ახლა კი ნახევარი
საქართველო იმაზე ლაპარაკობს, თუ როგორ
მიატოვა პატიმრის მეუღლემ მცირეწლოვანი
შვილები, აიყოლია მეზობლის მცირეწლოვანი
გოგონა და სადღაც გაუჩინარდნენ ამორალუ-
რი საქციელით დროს სატარებლადო. ზოგი ამ-
ბობს: – „შავი ზღვის სანაპიროზე ვნახე, საცუ-
რაო კოსტუმში გამონყოფილი და კეკლუცი ტა-
ნის რხევით იზიდავდაო მამაკაცებს!“ – ზოგი
კიდევ – კასპის ზღვის სანაპიროს ასახელებს!
– ზოგიც ამბობს: – „მამის ტოლ კაცს გაჰყვა
ცოლად და თვითონ თუ ბედნიერად იცხოვრა,
შვილებს რას დაგიდევსო“ და სხვანი და სხვანი
სხვაგვარად და სხვადასხვაგვარად თხზავენ
თქმულებებს.

– ალბათ თქვენი ღვანლიც იქნება ამ თქმუ-
ლებების გავრცელებაში.

– რასაკვირველია!

– და დღეს თქვენ არ გრცხვენიათ თქვენივე ნამოქმედარის.

– არა! უბრალოდ გული მწყდება, თუ სიცოცხლის მეტი დღე არ მენერა კიდევ მეტი ბოროტება უნდა ჩამედინა, რადგან სიკეთის გაკეთება არ შემიძლო, ადამიანი კი სახელგანთქმული ან ბოროტებით უნდა იყოს, ან სიკეთით.

– არჩილ მუზაშვილი რამდენი წლით მოაშორეთ თავისუფალ სამყაროს?

– თოთხმეტი წლით!

– ვერ მოვიხელთე, თორემ ცოცხალი არ უნდა აღმოჩენილიყო. ასეთი იყო ჩემი გეგმა, მაგრამ თუ აღმოჩნდებოდა, არც ეს იყო საგანგაშო, რადგან მართმსაჯულება იშვიათად გრძნობს თავს დამნაშავედ, მეორეც, შმაგი მაგალობლიშვილის მშობლები და ახლო ნათესავები გლეხები არიან, მათ არც სახსრები გააჩნიათ და არც გზა იციან სიმართლისაკენ მიმავალი. შმაგი მაგალობლიშვილი თუ გაიგებდა შორენას არსებობას და იყვირებდა არც ეს იყო სახიფათო, რადგან პატიმრები ყველანი ყვირიან, მაგრამ მათი ხმა მავთულხლართს ვერ ცილდება.

ერთი იყო საშიში პიროვნება მათ შორის, რომლის თავიდან მოშორება ადრე შეიძლებოდა, მაგრამ არ მეგონა საკუთარ შვილს თუ დაგმობდა და სასიძოს გამოსახსნელად თავს გასწირავდა.

– თქვენ მასწავლებელი მინდია ძიძიგური გყავთ მხედველობაში?

– დიახ!

– იმის თავზედ დატეხილი ავტოკატასტროფაც თქვენი ნახელავია?

– ჩემი დავალებით. თუმცა ამ ბოროტმოქმედებასაც მე ვიდეო ჩემს თავზედ.

– იმ კეთილ მოხუცთან რაღა გინდოდა?

– ის ყველაზე ადრე ადრე იყო მოსაკლავი, მაგრამ ჩემი ბრალია, საქმის მოგვარება უხიაგსა და უძირს დავავალე.

– კმარა! – წამოიყვირა თვალელები სისხლჩაწოლილმა ზვიადაურმა და მუშტი მაგიდას დაჰკრა. – შენ მშობელმა ხალხმა გამოგზარდა, სახელმწიფომ შენი აღზრდისათვის ხარჯები გაიღო და შენ რითი უხდი ამ გრანდიოზულ ვალს შენსავე ერს? მკვლელობით გამოძალვითა და უდანაშაულო ხალხის ციხეში გამომწყვდევით?

– ნუ ღრიალებ თუ კაცი ხარ, არა ვარ ნაჩვევი, როდესაც მაშინებენ, მე შენ საუბრის დასაწყისში გითხარი, ორი კვირის სიცოცხლე დამრჩენია—მეთქი და ჩემ მიერ განვლილი გზა მინდოდა შენთვის ჩამებარებია, როგორც წმინდანისათვის. შენ კი ჩემს წინაშე დიდ მოუთმენ-

ლობას იჩენ., რითაც მე მამუნჯებ და გამოძიებას თითონ თქვენ მოაქცევთ ჩიხში. – ისე დინჯად უპასუხა იროდიმ გამომძიებელს, რომ ერთი ნაკვთიც არ შეკრთობია.

– განაგრძეთ! – მოჩვენებითი სიმშვიდით უთხრა გამომძიებელმა იროდი წიკლაურს და რომ შეეთამემებინა გაუღიმა კიდევ. მაგრამ ყოფილ გამომძიებელს არ გამოპარვია მხედველობიდან მლიქვნელური ღიმილი, რომლის მსგავსიც თვითონაც მრავალჯერ დასჭირვებია. მაგრამ იმისთვის ახლა სულ ერთი იყო, ვინ იდგა ბოროტმოქმედის წინ, მას სიკვდილადამდის სათქმელი უნდა მოესწრო და ხალხს უნდა სცოდნოდა იმის ნამდვილი დაავადების მიზეზი. კარგად იცოდა და გრძნობდა, რომ დღეს იმის ორგანიზმში გაიღვიძა აქამდის მიძინებულმა ადამიანობის მარაგმა, რომლის ამოძიკვაც არ შეძლებია, არც ისტორიის უკუღმართობას, არც გაცოფებული მანიაკების სასტიკ იდეებს და არც საყოველთაო შეშლილობას ყოველი ადამიანის სულში, სადღაც თვალთ უხილავ უჯრედში იმალება სიკეთის დაუხარჯავი მარაგი, მხოლოდ ეს უჯრედი გამონთავისუფლებას ითხოვს ადამიანის ბოროტი სულისაგან და აი, დღეს იროდი წიკლაურის ორგანიზმიდან სიკვდილის მოლოდინმა გამოათავისუფლა სიკეთის გრძნობა. ის არხეინად დგას მართლმსაჯულების წინაშე და სრულებითაც არ განიცდის უარყოფითად ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ერთი თვალის გადავლებით ეამაყება კიდევ. როდესაც ზვიადაურმა ესოდენ უდარდელობა ამოიკითხა ბოროტმოქმედების სახეზე, რომ მთლად არ დამუნჯებულიყო შეკითხვა ლმობიერად განუმეორა:

– განაგრძეთ!

– როდის მომხდარა, ავადმყოფი ვერ მოარჩინაო, მკვდარს ექიმიც ჩააყოლონ მინაში, ბოროტმოქმედება დასაბამიდან მოსდევს ადამიანის მოდგმას – წყნარად და აუღელვებლად თქვა წიკლაურმა, თითქოს სკოლაში ისტორიის გაკვეთილს უხსნიდა ბავშვებს. – ჯერ კიდევ როდესაც ერთი ოჯახი ცხოვრობდა ჩვენს პლანეტაზე, კანმა აბელი მოჰკლა, იმის შემდეგ სისხლისღვრა არ შენელებულა და ბოროტმოქმედთა უმეტესობა გმირად არის ნალიარები. ტარას ბუღბამ შვილი მოჰკლა – ეროვნულ გმირად აღიარეს, ხევისბერგმა გოჩამ შვილი მოჰკლა – ისიც გმირად აღიარეს, სუფოროვმა თუ ნაპოლეონმა, ჰიტლერმა თუ სტალინმა რა გააკეთეს ადამიანთა ხოცვა—ჟლეტის მეტი, რომ ორდენები უმშვენებდათ მკერდს? მე კი სადღაც ერთი გათახსირებული ნუპაკი გომბიო

შემომაკვდა და კარიერაც დამაკარგვინეს და საციხედაც მიმეტებენ მგონი...

ზვიადაურს გაელიმა – ეს ნამდვილად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს, – გაიფიქრა და დღეს ნიკლაურთან საუბრის გაგრძელება მიზანშეწონილად არ ჩათვალა, ელექტრო ზარის ფარულ ლილაკს თითი დააჭირა, კაბინეტში თვალებზე ქუდჩამოფახტული მილიციელი შემოვიდა:

– გაიყვანეთ და იზოლიატორის საავადმყოფოში მოათავსეთ, ექიმების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, – უთხრა გამომძიებელმა კაბინეტში ახლად შემოსულ მილიციელს და ნიკლაურზე მიაჩინა. ნიკლაური მოულოდნელობისაგან სახეზე წამოენთო, ზეზე წამოიჭრა და ხმამაღლა წამოიყვირა:

– მე ხომ კიდევ მქონდა სალაპარაკო?

– უმჯობესია ხვალ გავაგრძელოთ, დღეს თქვენ დალლილი გამოიყურებით! – უთხრა ლიმილით ზვიადაურმა და ზეზე წამოდგა, რომ ნიკლაურსაც დროულად დაეტოვებინა კაბინეტი, მაგრამ ნიკლაური დაჯდა და ადგომას არ აპირებდა. პირიქით, მარცხენა მუხლზე მარჯვენა ფეხი გადაიდო, სავარძლის საზურგეს ბეჭებით მიაწვა და უფრო ნებივრად და მოხერხებულად მოთავსდა სავარძელში. დაჯდა და ადგომას არ აპირებდა. რამოდენიმე წუთს ასე იყო თვალებმინაბული და შემდეგ თითქოს ძილის ბურანიდან გამოიყვანესო, წყნარად წარმოთქვა:

– მე დიდი საათის ყოფილი პატარა ნაწილი ვარ, ბრწყინვალედ მესმის ყველა საათის მუშაობის პრინციპი, ჩემი არსებობის ხანგრძლივობა ორი კვირაა, მაგრამ შესაძლებელია ერთი კვირის შემდეგ ლაპარაკსაც ვეღარ შევძლებ, ამიტომ მინდა მოვასწორო მართლმსაჯულების წმინდა სავანეში ვთქვა ჩემი აღსარება, რადგან მართლმსაჯულების არქივი შთამომავლობას შემოუნახავს ჩემს მიერ განვლილ გზას, რომლებიც თავისებურად განსჯიან ჩემს სიმართლეს, რომელშიც ზოგი ბოროტებას დაინახვს და ზოგიც სიკეთეს. ამიტომ სიცოცხლისათვის დარჩენილი ორი კვირა მინდა წასულს მივუძღვნა და მოგონებებით ვისაზრდოვო. რადგან წარსული ვიცი რაც იყო, ვნახე და განვიცადე

იმისი სიტყბო—სიმწარე, ვერავინ ვერ შემოიცვლის მას და კიდევ რომ შემიცვალონ უარს ვიტყვოდი, რადგან არ ვიცი მომავალი როგორი იქნება. ამიტომ თქვენ თუ არ გექნებათ დრო მოისმინოთ ჩემი იღბლიანი თუ უიღბლო წარსულის შინაარსი, გთხოვთ რესპუბლიკის პროკურორს შემახვედროთ, ის მიცნობს და უარს არ იტყვის რამოდენიმე საათი მოცდეს ჩემი აღსარების მოსასმენად.

ზვიადაური მიხვდა, რომ სწავლულ გაიძვერასთან ჰქონდა საქმე, უხერხულობა რომ დაეფარა, მილიციელს უთხრა – „დაგვტოვეთ“ – და თვითონ სავარძელში ჩაჯდა ნიკლაურის აღსარების მოსასმენად, რომელიც არც თუ საინტერესო იყო მისთვის, მაგრამ ახლა სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

– კარგი, გისმენთ, მხოლოდ გთხოვთ ცოტა შემოკლებით ილაპარაკოთ. ჩემთვის სრულებითაც არ არის საინტერესო ისტორიის გაკვეთილი – უთხრა ზვიადაურმა და თვალებში ჩახედა ბოროტმოქმედს.

– ცდებით, კოლეგავ! – წამოიძახა ნიკლაურმა. – თითოეული ადამიანის წარსული ისტორიაა და სხვისი წარსული თუ არ გაინტერესებს, ეს იმას ნიშნავს არ გიზიდავს შენი ერისა და საკუთარი თავის ისტორია. მე მინდა გითხრა, თუ რატომ გავხდი ხალხთმოძულე. ეს ჩემი ისტორიის ერთ—ერთი თავფურცელი იქნება და ვინ იცის იქნებ კეთილისაკენ გარდაქმნას შთამომავლობა ჩემმა მახინჯმა წარსულმა. აღზრდა ოჯახიდან იწყება და ცოდნა სკოლიდან, ამ ორმა წმინდა სავანემ, აღზრდისა და ცოდნის კერამ ჩემში რევოლუცია მოახდინა.

ოჯახი კატცმოძულეობას მინერგავდა, ჩემი მშობლების წარმოდგენით ადამიანი მხოლოდ ბოროტებისათვის იყო დაბადებული და რომ გვეცხოვრა, ყოველგვარი უხამსობით უნდა მოვრგებოდით ცხოვრების აღმა მდინარეობას.

სკოლა კი, მხოლოდ კეთილსინდისიერებას გვიქადაგებდა. გვასწავლიდა გასაჭირში ურთიერთდახმარებას, კეთილშობილებას, პატისონებას, დიდსულოვნებას და გვინერგავდა ყოველგვარ ადამიანურ კეთილ ზრახვებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ლილე



სასტუმროს ოთახის დაბალ მაგიდაზე მობილური ტელეფონი აწრიალდა. თვალები ვერ გაახილა და თითების ეძება აპარატი, ვერ მოიხელთა, – შორს იდო. თავი ასწია, წამოდგომა სცადა, გაუჭირდა. ისევ სცადა: თავი გასკდომამდე ჰქონდა, ტან-ფეხი არ უსმენდა, ძუძუსთავები ეწვოდა. როგორც ქნა მარჯვენა ქუთუთო ასწია, – შედედებულ რძისფერ სივრცეში შავი ბუზები დაფრინავდნენ, საძინებელი ოთახის ყველა კუთხე კუდიანი მაჭლაჭუნებით იყო სავსე.

ტელეფონი გაჩუმდა და შვება იგრძნო, თუმცა მალევე თავბარდამცემად უღერდა ოდესღაც მისი საყვარელი მელოდია.

შეეშინდა ლილეს, კედლის საათს შეხედა, – დილის ხუთი ხდებოდა. ელდა ეცა: შინაურებს რაღაც უჭირთ, ალბათ,-იქნებ, გიო-ბიჭი? – გაჰკრა თავში ლილეს. რაც მუშაობა დაიწყო, გიო-ბიჭი ნანასთან რჩებოდა, დეიდას საიმედო ხელში.

ლოგინიდან დაოთხილი ჩამოვიდა და მაგიდამდე მიხობდა. აპარატი აიღო. ნანა რეკავდა. იბოდიშა ალიონს ზარისთვის, ლილე მოიკითხა, ისე როგორც სჩვევია ხოლმე და მშვიდად დაამატა: გიო-ბიჭი არ მომწონს რაღაც, სიცხე აქვს, ღამით სასწრაფო დახმარების ექიმები მყავდა, – ნახეს, ნემსი გაუკეთეს, ახლა მეტი აქვს, 40-მდე, შეეშინდა, კანკალებს, ხელში მყავს აყვანილი.

ლილემ თავს ძალა დაატანა და ყურმილში ჩასძახა: გამაგრდი ნანა, ახლავე წამოვალ, სასწრაფოს დაუძახე, მამიკო გააღვიძე, ნუკრის დედასაც დაურეკე, თუ ფული დაგჭირდათ,-არ მოგერიდოს, მე ვნახავო.

ტელეფონი დადო და ენაზე იკბინა,-მისი ქმარი, გიო-ბიჭის მამა, ბავშვობის მეგობარი და მისი ერთადერთი სიყვარული, კარგი ხანია არ უნახავს: ნეტა სადღაა ახლა ნუკრია, ისევ ციხეში თუ გარეთ? წამალს არ შეეშვა ნუკრი, დაიტანჯა თავად და ლილეს გაანამა. როცა არაფერი გამოუვიდა, ცოლმა დასაჯა ქმარი: გაეხუტა და ბინაში არ შეუშვა, მერც არ გაიკარა.

– ისევ ციხეშია ალბათ, იქნებ არა– 333-ე დღეა დღეს, რაც არ უნახავს, – შეეცოდა ცოლს ქმარი, გიო ბიჭის მამა. ყოველ დღეს ითვლის, რაც გიოს გარეშე არის, თავადაც გაუკვირდა, როგორ გაძლო მთელი ერთი წელიწადი ნუკრის გარეშე.

რატომღაც თავი სწრაფად ასწია მაღლა და ჭერს შეხედა. იკვილა, თითქოს დანა ჩაარტყესო, ეტკინა კისერი. შეაქანა, უმაღლეს მდგარ მეფურ სავარძელზე ჩამოჯდა. ახლალა შეამჩნია, რომ დედობილია იყო, მისი და მურად-ბეის საცვლები კი იატაკზე ყვარა.

ლოგინისკენ მიბრუნდა: მურად-ბეი, ახლა მისი უროსი და სხვა უფროსების უფროსი, დიდი თურქული სავაჭრო კომპანიის დამფუძნებელი და აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი, დედობილია ინვა მის ლოგინში, თავზე აბრეშუმის ჭრელი ბალიშისპირი ჰქონდა წაფარებული.

წუხანდელ ამბების გახსენება არ უნდოდა ლილეს, არც რამეზე უნდოდა ფიქრი: იგი ახლვე, დაუყონებლვ უნდა წასულიყოთბილისში, გიო-ბიჭთან უნდა წასულიყო!

თავი უკან მიაბრუნა, – კედელში ჩადგმულ უზარმაზარ სარკეში ჩაიხედა. შეკრთა, იკვილა, თითქოსდა, ურჩხული იჯდა სავარძელში: ქალს თავზე რქები ესხა და სატანის წვეტიანი ყურები ჰქონდა დაცქვეტილი. აი, ისეთი, როგორსაც საბავშვო მღაპრების ფერად წიგნებში ხატავენ ხოლმე. გასაკვირი ის იყო, რომ ამ სატანას ლილეს ანგელოზი სახე ჰგავდა, უფრო მუსტად, ლილე იყო, თურქული კომპანიის წარმომადგენელს დასავლეთ საქართველოში.

წელიწადზე მეტია, რაც ლილეს დედოფალივით ხვდებიან კომპანიის საქალაქო და რაიონულ ფილიალებში: მას კოცნიან და ეხვევიან საბითუმო და საცალო მაღაზიების და ტერმინალების თანამშრომელი ქალები, ელაქუცებიან ასაკოვანი ვაცები, საჩუქრებით ანებივრებენ ახალგაზრდა მამაკაცები. მურად-ბეიც წელს მესამედ ჩამოვიდა ქუთაისში და ლილესთან ერთად მოიარა კომპანიის ფილიალები. გუშინ სამუშაო თათბირი დანიშნა ქუთაისში და ფილიალების უფროსები მიიწვია, შემდეგ კი საოცრად თბილი მიღება მოაწყო. საღამოს კი კომპანიის რეგიონული უფროსები ქალაქგარეთა რესტორანში მიიწვია საგანგებო სუფრაზე. მურად-ბეიმ სუფრაზე გამორჩეულად ადღეგრძელა ლილე, იმდენი აქო და ადიდა ქალი, რომ ლილეს ეუხერხულა კიდევ. როცა დაიშალნენ და ქალაქში დაბრუნდნენ, მურად-ბეიმ საქმიანი საუბრის

გასაგრძელებლად თარჯიმანი და ლილე სასტუმროს რესტორანში მიიწვია. გაუკვირდა და ეუხერხულა ქალს ასეთი ყურადღება, მაგრამ უარი ვერ უთხრა უფროსს.

გვიანობამდე დარჩნენ სუფრასთან. უჩვეულოდ თბილი ადამიანი და ჩვენებურად მომლხენი კაცი გამოდგა მურად-ბეი: საკმაოდ დალია, მუსიკები შუკვეთა, თარჯიმანი და ლილე საცეკვაო განვია. თარჯიმანს ქმარი ელოდებოდა სასტუმროს მისაღებში და ღამის 12 საათისთვის წავიდა.

ღამის პირველი თუ ორი საათი იქნებოდა, -ვარგად არ ახსოვს ლილეს, როცა მურად-ბეიმ ხელში აიყვანა ლილე და ბავშვური ჟინით კიბეს საფეხურებს აუყვა. საოცარი რამ ხდებოდა რესტორანში სასტუმროს მისაღებში: აღტაცებული ადამიანები ტაშით აცლებდნენ მურად-ბეის და ხელში ატატებულ მის ულამაზეს პარტნიორს.

თავიდანვე კაცის ხელებიდან დასხლტომას სცადა ლილემ, ბევრი ასავსავა ფეხები, მაგრამ არაფერი გამოვიდა: მეტისმეტად ზორბა, ძლიერი, თანაც თბილი და სურნელოვანი იყო მურად-ბეი.

ასე აღმოჩნდა ლილეს ნომერში უცხო მამაკაცი. თავიდან მისი გაგდება უნდოდა, მაგრამ, თითქოსდა რაღაცა აკავებდა, ვერ გაბედა, მით უფრო, რომ ლილეს კიდევ ერთი სასწაული ელოდა ნომერში: იქ მეფური სუფრა იყო განწყობილი ორისთვის.

მურად-ბეიმ თავადვე გახსნა ფრანგული კონიაკის და შამპანურის ბოთლები. ძვირფას ბროლის ხატულა ჭიქებში მაცდურად ბრწყინავდნენ კონიაკის ოქროსფერი ყლუპები. ლილემ კონიაკი არჩია. არ ახსოვს რაზე და რამდენ ხანს ისაუბრეს, რამდენი დალია... როგორც კი მორიგ სადღეგრძელოს წამოიწყებდა მურად-ბეი და თავის ქართულ ფესვებზე რამე ახალ რამეს იტყოდა, ისიც ყურადღებით უსმენდა, -ცდილობს გახსენებას ლილე.

სარკეს განერიდა ლილე და სავარძლის უზარმაზარი სახელურზე ჩამოდო თავი: ძალიან უნდოდა, რომ წუხანდელი ღამე არ ყოფილიყო, და თუ ის იყო, მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა ქალის ლამაზი სიზმარი ყოფილიყო.

ისევ ახმიანდა ტელეფონი. ყურთან მიიტანა აპარატი. ნანა იყო: ეტყობა ჩემი ტელეფონი დაიცალა ამ ორომტრიალში,... ბავშვი ისევ ცხელია,... მგონი ძალიან მაღალი სიცხე აქვს, მემინია... მამიკოს, იქნებ, შენ დაურევო, - დამარცვლით ყვებოდა და ტიროდა ნანა.

ეს უკვე არ იყო სიზმარი, თბილისში უნდა წასულიყო: სიცხისგან იწვოდა ბიჭი, ციოდა, კანკალებდა გიო, იგი დედას ეძებდა, მისი უსინდისო და მოსაკლავი დედა კი აქ ერთობა,- აი ვინ არის ნამდვილი ლილე! - თქვა ლილემ და სავარძლიდან წამოხტა.

* * *

დილაუთენია შავი „ლენდ კრუიზერ 200“ ქუთაისიდან გავიდა და სამ წუთში უკვე წითელ ხიდზე შედგა. ელექტრონულ საათს შეხედა, - ტაბლოზე ხუთი საათი და 30 წუთი ციმციმებდა. შემხვედრი მანქანები ჯერ კიდევ ცოტა იყო, მაგრამ ავტომაგისტრალი ცოცხლდებოდა.

მარცხნივ გაიხედა, - ვარდისფერი ჰორიზონტიდან ბაგრატის ტაძრის სილუეტი გადაჰყურებდა მძინარე ქალაქს. ტაძრის გუმბათი და ჭვარი ლურჯ-მწვანედ ბზინავდა. ოქროს ჭვარი ხან ქრებოდა, ხანაც შარავანდედით შემოსილი უკან ბრუნდებოდა. მანქანა შეაყოვნა და პირჯვარი გადაინერა, - წუხანდელი ამჩატება და ბავშვური ანცობის პატიება შესთხოვა მაცხოვარს.

მურად-ბეისთან თუ რა იყო წუხელ, არ ახსოვდა, თუმცა წარმოუდგენელია, რომ არაფერი არ ყოფილიყო, - ფიქრობდა ლილე. რამე სერიოზულის წარმოდგენაზე, რაც ქალსა და კაცს შორს ხდება ხოლმე, ტანში ჟრუანტელი უვლიდა და ცივი ოფლი ასხამდა.

- ბევრი დალია ლილემ, უგონოდ დათვრა, გაგიჟდა და უცხო მამაკაცი თავს საძინებელში შეუშვა...ბრაზობდა ქალი, მერე რა, რომ ეს კაცი მისი უფროსია, მით უფრო, თავად ამბობს, რომ ცოლი და შვილები ჰყავს, შესაძლოა შვილიშვილებიც კი!-საკუთარ თავს უწყრებოდა ლილე.

- არა, არა! მათ შორის არაფერი ყოფილა, მკვდარი ლილეც არ დაუშვებდა ამას... საკუთარ თავთან საუბრობდა ლილე. შესაძლოა იყო მამაკაცის მცდელობა, როგორც ხდება ხოლმე, თუმცა ახსოვს, რომ ლილემ არ დათმო, გაუნყრა, გაუძალიანდა უფროსს, ახლოს არ მიიკარა კაცი, საცვლებზე არ გააკარა და ამით გააბრაზა კიდევ.... ასე იყო, ნამდვილად ასე იყო,-ფიქრობს ლილე, მით უფრო, რომ ახლა მურად-ბეი სულაც არ ჰგავს ახალგაზრდა ქალთან ყოფნით გაბედნიერებულ მამაკაცს: არ მიესალმა, ყავა არ მიართვა ლოგინში, შესთავაზა, არც კი ადგა, როგორც ამას ჩემ ნუკრია აკეთებდა ხოლმე,-გაბრაზდა ლილე.

- ეს კი ვინ არის, - არ იკადრა და სასტუმროდანაც კი არ გამოაცილა ქალი, რომელთან ბევრი იცეკვა და დაიპყრო კიდევ...

გაახსენდა, რომ განრისხებულმა ლილემ დილით ხმაურით გაიხურა სასტუმროს ოთხის კარი და საფეხურებზე ქარივით საეშვა თავდაღმა. ერთბაშად შეეზიზღა ეს მურად-ბეი ლილეს,-ფულს ტომარა და ბებერი ცვედანი კაცი! უკვე ეზიზღებოდა ეს ურჯულო თურქი და, უფრო, საკუთარი თავი, რადგან დანებდა ამ ვირს, იმასაც არ მოეწონა იგი, როგორც ქალი და, შეიძლება, ყველაფერიც დაეკარგა.

– იქნებ ივაჟკაცა ლილემ და არც არაფერი დაუთმო. ასე იქნებოდა უთუოდ, მე ხომ ვიცი ჩემი სიმტკიცის ამბავი, – თავი ინუგეშა ქალმა და სიჩქარეს უკლო: წინიდან თურქული სატვირთო ავტომანქანების დაუსრულებელი კოლონა მობობდავდა.

– ეგ ჩემ მურად-ბეიც ისეთივე ტრამპლიერია თუ ტრამპი, როგორც სხვა ფულიანი ვირთხა, – ისევ ფიქრებში გაიხლართა ლილე. თვალწინ საზიზღარი წითური, ბებრევი და გაიძვერა ამერიკელი, უფრო ზუსტად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დაუდგა, რომელსაც ცოლად მსოფლიოში ყველაზე ლამაზი მოდელი და ახალგაზრდა ქალი ჰყავს! ეს ის ტრამპი, რომელსაც ჩვენმა პრეზიდენტმა ას ხუთი მილიონი დოლარი გადაუხადა ბათუმის სასტუმროს ფასადზე „ტრამპ-თაურის“ რეკლამის სანაცვლოდ. ეგეც არაფერი, ამ თაღლითმა იტრაბახა კიდევ, – მე მენარმე არა ვარ, ჩემ ფულებს ჩემი იურისტები შოულობენო გაკოტრებულ მენარმეთა საქმეებზე. მე კი ამ ფულებით „მის-მსოფლიოების“ შოუებს ვანყობ, რომ დედამიწის ყველაზე ლამაზი გოგონები ჩემს სარეცელში გავაბედნიერო!....

– ეს მიხრწნილი მელა რამ გამახსენა, – მუნუხდა ლილე, თანაც იგი რალა შესადარია მურად-ბეისთან,-ეს ხომ სულ სხვა კაცია, გაცილებით ახალგაზრდა და ფიზიკურად სასიამოვნო, თანაც ზრდილი, გულუხვი და თავაზიანი, – შეებრაღა მურად-ბეი ლილეს.

– არა, ყველა მამაკაცი ერთნაირია, ყველა ოხერი და საზიზღარი, მით უფრო, თუ ბევრი ფული აქვს, – გაუნყრა საკუთარ თავს ლილე. თვალწინ ნუკრია დაუდგა, – რა ნაზი, თბილი და ვაჟკაცურია ეს ბიჭი, სანამ ცოცხალია, მასთან დარჩება პირველი და ყველა შემდგომი დაუვიწყარი ღამე.

– არა, ეს გამორიცხულია, მე არავის შევუშვებდი ჩემს სხეულში, – რა შუაშია აქ მთვრალი თუ ფხიზელი ლილე, – გაიფიქრა ლილემ და შვება იგრძნო.

– მაშ რატომ ვიყავი დედიშობილა? მეჭიდავა ეს კაცია, იძალადა და მომერია?...არა, არა მგონია ასე იყოს, არ იკადრებდა მურად-ბეი ამას, ვერ გამიბედავდა, იგი ხომ უცხოელია, მე კი ჩემს ქვეყანაში ვარ, ჩემიანებში ვარ! შესაძლოა, მოვწონვარ კიდევ, პატივს მცემს, მათვასებს და, რაც მთავარია, საქმეში ვჭირდები...

ქალაქი ზესტაფონი გაიარა და თბილისისკენ გაუხვია. უფრო დაანვა პედალს და ძრავამაც ამოისუნთქა. გზას დააკვირდა, – ხეები და ბოძები გზისპირებიდან ბუდეშოშოლილი ბზიკებივით მისკვენ მოქროდნენ და საქარე შუშის კუთხესთან უმაღლ იკარგებოდნენ.

– მაინც რა იყო ნუხელ, – მურად-ბეიც მთვრალი იყო, მეც, მახსოვს, იგი ძალიან ღელავდა, თითქოსდა პირველად იყო ქალთან, თვალეზიც რალაცნაირად უბრწყინავდა, ნუთუ აბოლებს ან უარესი?

ნუხანდელი ამბებზე ფიქრს უნდა გაექცეს ლილე, – კიდევ უფრო დაანვა პედალს, – ეს საზიზღარი და ჭიუტი ფიქრები კი თოვლის ზვავით იზრდებიან და უკან მოსდევენ ლამენათევ, უსაშველოდ დაქანცულ გოგონას. ათასნაირი ამბები ჭიანჭველებად ჩნდებიან მისი ფეხის დიდი თითის წვერზე, მერე ჭიანჭველების ჯარებად ესევიან მთელ ტანზე, ბოლოს კი თავზე, თმის ძირებზე და ტვინში ჩადიან...აკი, თავიც ვერ მოუფხანია გემოზე. ამას კიდევ არა უშავს, როგორმე, მოითმენდა ლილე, მაგრამ ნახეთ, ნახეთ რა ხდება: რამდენიმე ჭიანჭველა გაიზარდა და უკანალები დაუმრგვალდათ და, აი საოცრება, ქალის ტანები და თავები მოისხეს, თანაც, ძალიან ლამაზი ნორჩი გოგონები არიან და, ლილეს ჭინაზე, შველივით აფახულებენ თვალეზს! აი, სასწაულიც: ეს ლამაზი თინეიჯერები ურცხვად ტიტვლდებიან მურად-ბეის საწოლთან, ლილეს იხსნიან, საცვლებს იატაკზე ყრიან და რიგში კაცის დგებიან...

ღორღიან გზაზე შეჯანჯლარდა მანქანა და დაფაზე განგაშის ნათურა აბრიალდა: ასფალტი დასრულდა და შორაპნის აღმართი დაიწყო. შეკრთა ლილე, – გზაზე შავმა კატამ გადაირბინა. კატას მიადევნა თვალი და ლამის საჭე გაექცა: მანქანა ხევის კიდვზე გადაეკიდა. კიდევ კარგი, რომ კარგი მუხრუჭები და განწევა აქვს ამ მანქანას.

როგორც იქნა, მოსახვევი დასრულდა. შორაპნის ციხის ისტორია გაახსენდა, თუმცა დაფაზე ისევ ციმციმდნენ ნათურები. დროის და თარიღის ტაბლოზე ინგლისურად ეწერა: 06.13. 13.10.13, დღე მე-5. შეკრთა ლილე, – არ უყვარს 13, თანაც ოქტომბერი და ისიც პარასკევი. ვერ

გაიხსენა სად და როდის წაიკითხა: – ასეთი დღე, როგორც წესი, წელიწადში ერთია, დიდი-დიდ სამი! შვერთა ლილე, – ეს უიღბლო და უბედურების მომტანად მიაჩნიათ ქვეყნების უმეტესობაში...

– ჰო, ოდესღაც ეს ამბავი სკოლაში უამბეს ბავშვებმა თუ მამა მოუყვა, – ვერა და ვერ გაიხსენა...

კიდევ რამდენიმე მოსახვევი გაიარა და ერთმანეთზე მიტყუებულ ყვითელ გორაკებს მიაშტერდა. და აი, გაიხსენა: „1307 წლის 13 ოქტომბერს, პარასკევ დღეს, საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ბრძანებით, რომელსაც „ლამაზი“ ერქვა მეტსახელად, ასობით მდიდარი ტამპლიერი (ქრისტესა და სოლომონის ტაძრის ღატაკი რაინდები, ფრანგულად მეტაძრეები) რაინდი შეიპყრეს და დააპატიმრეს, რადგანაც საფრანგეთის მეფის კარს მათი უამრავი ვალი ემართა, რომლის გადახდა არ სურდა. ამ ტამპლიერებმა ბევრი ოქრო და ბევრი განძი იშოვეს ჯვაროსნულ ომებში და არც ბიზანტია დაინდეს: სამჯერ გაძარცვეს ეს წმინდა ქალაქი და ბოლოს, დიდ ფასად, ოსმალეთის იმპერიად ჩააბარეს. **ფულმა და** ძალაუფლებამ ტამპლიერებს ცუდი სამსახური გაუწია შემდგომში და მთელ მსოფლიოში გაიტყვეს სახელი. სმენია, რომ არსებობენ ფაქტები, რომ თანამედროვე მასონები, რომლებიც მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობენ, ტამპლიერების მემკვიდრეები არიან, თუმცა ეს ყველაფერი დღესაც ღრმად არის გასაიდუმლოებული. ფაქტია, რომ ბიზანტიის დაცემით მართლმადიდებელ სამყაროს და მართლმადიდებელ ქვეყნებს დედაბოძი გამოეცალათ, საქართველომაც დაკარგა ერთმორწმუნე მფარველი სახელმწიფო და უამრავ პატარა ქვეყნებად დაიშალა. ამის შემდეგ საქართველო არც არასდროს ყოფილა დიდი დავითისა და თამარის საზღვრებში, თანდათანობით დაკარგა აფხაზეთ და საინგილო“ სად წაიკითხა? თითქოსდა გახსენა კიდევ, ახლა კ ისევ ამოუვარდა თავიდან...იქნებ ეს არის 1000-დოლარიანი ფრანგულ კონიაკი? გაჰკრა თავში ლილეს!

– ახალი ტამპლიერები მალე მოვლენ საქართველოში, -დაფიქრდა ლილე. უცხოელები ახლაც დიდ სესხებს არიგებენ ჩვენსავით პანანინა ქვეყანაში და ხალხს გააყიდვინებენ ყველაფერს, რაც უფლისგან არის ნაბოძები. აი, თუნდაც ჩვენი მიწები, ოდითგან ყველას პატრონ და დედა მარჩენალი. კარგა ხანია კახეთის მიწები ლამს მუქთად იყიდება ირანელებზე, ისინიც, თავის მხრივ, მცირე ნაკვეთებად ახურდავებენ ამ მიწებს და სხვა უცხოელებზე ძვრად ჰყიდიან უფრო დიდ ფასად, -წუხდა ლილე.

გზაზე ფერადი ნაჭერი შენიშნა. დაფრთხა ლილე და ტერფის წვერი გაჰკრა მუხრუჭს. უმაღლესი დაწყნარდა მანქანამ და ტამპლიერებიც დაბრუნდნენ ლილეს თავში: „დუმდნენ მამაცი რაინდები და კლემენტ V შეხვედრას ითხოვდნენ...“.

ცოტაც და გზის მარცხენა მხარის გორაკის ციცაბო ფერდობზე ლილე კითხულობს: „მაშინ მხეცურად აწამეს რაინდები, რათა მათი საიდუმლო ამბები გაეგოთ, მაგრამ ამოდ. 1314 წლის 19 მარტს კოცონზე ცოცხლად დაწვეს ისინი. მათი ბოლო დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლი, როცა იგი ცეცხლში იხრუკებოდა, სამეფო ოჯახს და რომის პაპს მიმართავდა თურმე: „არ გემშვიდობებით, სულ მალე ისევ შეხვდებითო ერთმანეთს!“ აუხდა მაგისტრს: ერთ თვეში რომის პაპი მოკვდა, რომელსაც მალევე ფილიპე ლამაზიც მიჰყვა, ცოტა ხანში კიდევ მეფის ყველა შთამომავალი. საფრანგეთის სამეფო სხვა დინასტიის ხელში გადავიდა...“.

რაც არ ხდება ახალ საქართველოში, ეტყობა, კარგად დავინწყებული ძველია, – ფიქრმა ისევ მოიპარეს ლილე. – ოო, ეს ტამპლიერები, ფულსა და სიმდიდრეს დახარბებული, უზნეო, გარყვნილი და გათახსირებული ადამიანები, რომლებიც ყველგან არიან უკვე და თავსი ფარული მთავრობების ის მეშვეობით სამყაროზე ბატონობენ. თუ არა მათი დაკვეთა, სხვა რა იყო „ვარდების რევოლუცია“ და „დემოკრატიულად გაფორმებული“ პრეზიდენტი? ნუთუ მურად-ბეიც მათი ნაწილია, მათი მემკვიდრე და გამგრძელებელი? თუ ასე არ არის, მაშინ რას ეძებს საქართველოში, საიდან აქვს ამ კაცს ამდენი ფული და გავლენა, თანაც ამდენი ეშმაკობა, სიხარბე, ამდენი სინაზე და სიამაყე ერთბაშად?

და მაინც სულ სხვაა ჩემი მურადი, – ვერ გამეტა თავისი უფროსი ლილემ, თანაც გაუკვირდა, -რატომ „ჩემი“?

აი, ეს ქუთაისელი ბენდუქიძე კი ნამდვილად არ ვიცი ვან არის, გაახსენდა ეკონომიკის მინისტრი ლილეს, როცა გზისპირზე ჩაის ბუჩქს მოჰკრა თვალი. ჩვენს ძველებს ზემო იმერეთშიც გაუშენებიათ ეს ჩინური სასწაული, იმის შემდეგ, როგორც კი ჩაის კულტურას კოლხეთის ჭაობებში გაუხარია. როგორც მაშკო ამბობს ხოლმე, ჩაის აუყვავებია სურამს იქეთა საქართველოს მოსახლეობა. ჩაის თურმე 700 მილიონამდე დოლარი შეჰქონდა ქვეყნის ეროვნულ ყულაბაში ყოველწლიურად. და ახლა სადღა დარჩა ჩაი საქართველოში: – ქართული ჩაის გარეშე

დაილუპება რუსეთით და მოსკვს ჩაის კულტურა საქართველოში. არც ეს იკმარეს: არ არისო საქართველო აგრარული ქვეყანა, თქმულა ბენდუქიძის სამინისტროში და თურმე ვენახსაც მადგა კახელი გლეხი....

ჯანდაბას ყველა, ნეტა როგორ არის ჩემი გიო-ბიჭი? ნანასთან მეხუთედ რეკავდა ლილე, ნანა კი დუმდა. არა უშავს, მამკო იქ არის, არაფერს გაუჭირვებს ჩემს გიო-ბიჭს, თავი დაიმშვიდა ლილემ და სიჩქარეს უმატა.

ნუხელ, გაახსენდა ლილეს, მურად-ბეიმ მითხრა, რომ ეს მანქანა კომპანიის კი არა, ჩემი პირადი საკუთრებაა და შენ გჩუქნის. თუ განწყვიტავ, რომ ჩემგან საჩუქარს მიიღებ, დოკუმენტებს საბარგულში ნახეო. დავიჯერო? თქვა და უმაღ საბარგულის ლილავს დააჭირა თითი. საბარგულში ლამაზი პაკეტი იდო, რომელშიც მანქანის რეგისტრაციის მოწმობა და კიდევ რაღაც სხვა საბუთები იდო!

– ეს, მეტისმეტია, ვინა არს ეს მურად-ბეი, რატომ ამაზე ადრე იფიქრა ლილემ? შევრთა ქალი. ცოტაც და წყნამ გაუარა,-ესიამოვნა საჩუქარი, რასაც საქართველოს მთელი ნახევარი საქალეოთი ნახევარი იოცნებებდა. მიხვდა, რომ მის მხრიდან ეს იყო ჩვეული ქართული უმადურობა და მეტად უადგილო გაზვიადება,-ასეთი რამ უცხოეთის ელიტურ სამოგადოებაში ხომ ჩვეულებრივი ამბავია ხოლმე და სახელად სიურპრიზი ჰქვია. ლილეს კი სამდურავი არაფერი ჰქონდა: მას ვარგად ახსოვდა ის დრო, როცა მის პანანინა გაყინული ბინაში შიმშილი და სიცივე ააბიჯებდა, ხმელი პური სანატრელი ჰქონდა და ყოველ დილით მუხლმოყრილი შველას ვევედრებოდა მაცხოვარს. ამ დროს მურად-ბეის კომპანიის თბილსში გამოჩენა და იქ სამუშაოს პოვნა უფლის სასწაულის ჰგავდა უფრო.

ლილემ მურად-ბეი პირველად თურქული კომპანიის საწყობში ნახა. საწყობში იგი მისმა მეგობარმა მტვირთავმა გოგონამ დამხმარე მუშად მიიწვია: მაშინ გარე ვაჭრობა აიკრძალა თბილისში და ლილემაც თავის დახლი დაკარგა. მამამისის ხელფასი კი გიო-ბიჭის პამპერსებს თუ იყიდოდა. ლამს 24 საათ ფეხზე ტრიალებდა, რომლის სანაცვლოდ ყოველ საღამოს 15 ლარს აძლევდა მისი მეგობარი გოგონა, რითაც ბედნიერი იყო ლილე.

-ეს ძირულაა, წერია საგზაო ნიშანზე, ეს რიკოთულა, ეს ჩუმათელეთი, ისევ რიკოთულა,-ისევ ჩუმათელათი. -ეს რა ამბავია, ადრეც ასე იყო? გაუკვირდა ლილეს. -რაც არ უნდა იყოს, სურამის უღელტეხილი ულამაზესია, ბუნების სასწაულია, თუმცა სვანეთ ვერ შევედრება სიდიადით, - გაუელვა თავში ლილეს.

– აი უბისა, აქ, ცოტა ზემოთ, დიდებული ტაძარი და სალოცავებია, სადაც ორჯერ არის ნამყოფი ლილე,-ერთხელ იქ მამიკომ მიიყვანა ბავშვები, ერთხელაც სკოლამ. უბისა წმინდა მინაა, აქედან დაიწყო გრიგოლ ხანძთელი და მისი უდიდესი სამონასტრო მშენებლობა სამხრეთ საქართველოში და შეიქმნა უნიკალური კულტურული მემკვიდრება, თუმცა ვერ მოუარა ქვეყანამ და ამჟამად მათი დიდი ნაწილი თურქეთშია...

მობილური ტელეფონმა დარეკა და ფიქრი გაუნყდა. ნანა იყო: ბავშვი ისევ ცხელია, ადებინა კიდევ, იციან ბავშვებმა, აბა რა ქნება, – მალე მამიკო მოვა, ცოტა ხანში შენი ქმარიც გამოჩნდებაო,-ამშვიდებდა ნანა.

– ქმარი? – ახლა ესლა მავლდა, რა ვუთხრა ნუკრიას, ნუხანდელი ამბის შემდეგ როგორ შევხედავ თვალებში... ის ხომ მართალი ბიჭია, – ეს არის რომ, არ გაუმართლა, ოჯახს მოევიდა, მამაც მოუკვდა და, ოჯახს სარჩენად ბეტონის მუშად წავიდა. ვერ გაუძლო ფიზიკურად შრომას და წამოვიდა იქიდან. ვარგად მესმის მისი,-ფიზიკურად ნაზი და სულით პოეტა ეს ბიჭი, ლექსებსაც წერს, თუმცა მართლმე მჩუქნის ... არ უყვარს პოლიტიკა, მაგრამ პარტიული შტაბიც სცადა მუშაობა და ღამით პლაკატებს აკრავდა შენობის კედლებზე. სწორედ აქ ასწავლეს მარხუანა და სხვა რამეები უფასოდ. არჩევნებზე ჩამთავრდა და ჩემი ნუკრი უსაქმოდ და უნამლოდ დარჩა. ბოლოს და ბოლოს იქამდე დაეცა კაცი, რომ ჩვენი ქორწინების ბეჭედიც ბალახზე გაცვალა,- ფიქრებმა გაიტაცეს ლილე. მაშინ მაგრად გაბრაზდა ლლე, ერთ დროს მის მოკვლასაც კი აპირებდა, თუმცა წამლების მოხმარებისთვის მალევე დააკავეს და გადარჩა კიდევ.

ახლა კი ვინ არის ლილე? მას გული ერეოდა ვიღაც თურქის გამო, რომელმაც ნუხელ უმანკოება წაართვა, გაღეშილი და უმწეო ქალი თავის ხასად აქცია.

– არა, არა, არც ისეა საქმე, თავის თავს გაუბრაზდა ლილე. – ეტყობა, მეც მესიამოვნა დიდი კაცთან ყოფნა, მის ხიბლი და მზერა, მასაც მოეწონა ჩემი კვლუცი და კუდის ქიცინი და ამიტომაც დამითრია ბუღამ, – შეეცდა გულწრფელობას ლილე.

წამით ხელი უშვა საჭეს და შუბლზე დაიშინა მუშტები: ვინ არის ახლა ლილე თუ არა ის საზიზღარი ქათამი და მისი მახინჯი ბარკლები, რომელიც ერთხელაც ნუკრიმ მოიტანა ბინაში და მთელი ორი წელიწადი ეგდო მაცივარში!...არა, არა, ლელა ცოცხალი კია, მაგრამ ახლა ქათამია, რომელსაც წინილის ტვინიც არა აქვს, – მოეწონა საკუთარი თვითშეფასება ლილეს.

გვირაბში შევარდა მანქანა. შორიდან შენიშნა: გასასვლელთან, თაღის ღიობში ლილეს დედა იდგა, ქალბატონი წელი, რომელსაც შარავანდედი ადგა თავზე, ისეთი, როგორც ღვთისმშობელის სატყეა. გაბრაზებული ჩანდა დედა, შორიდან თითს უქნევდა ლილეს, ბრაზობდა და რაღაცას ანიშნებდა თავის გოგონას. დაიძაბა ლილე, თუმცა რამდენიმე წამში გვირაბი დასრულდა და დედა-მოჩვენებაც გაქრა.

როგორც კი გვირაბიდან გავიდა, მანქანა გააჩერა და ლოდის კიდებზე ჩამოჯდა იქვე. თავი მაგრამ გაბრუებულ ჰქონდა, მაგრამ არ ტკიოდა, ტუჩები დასივებული ჰქონდა, მუცელი, მკერდი და ტან-ფეხი უხუროდა, დუნდულები და თეძოები ეწვოდა, წვივები და ტერფები დაბუჟებული. ლილეს გონს ნათელი ეპარებოდა, მაგრამ აზრის მოკრებას ჯერაც ვერ ახერხებდა. ესიამოვნა ლოდის სველი სიცივე, მით ურო, რომ უკანალიც ეწვოდა.

ნანას დაურევს, – ბიჭი უკეთ არის, მშვიდად სუნთქავს, – იყო პასუხი. მანქანა დაქოქა და დაიძრა.

საწყობში მურად-ბეი ჯერ კაცებს ესაუბრა, მერე ქალებს, – იხსენებს ლილე. მურად-ბეიმ სკამი შესთავაზა მტვერში ამოგანგლულ ლილეს და დიდხანს უყურა. მოეჩვენა, რომ იმ დღეს მურად – ბეის ესიამოვნა გოგონას ბავშვური საუბარი თავის პრობლემებზე და დიდხანს უსმინა. უცხო კაცს თვალეები გაუფართოვდა, როცა გოგონასგან მოისმინა თუ რამდენ გაზქურა, მაცივარი და სარეცხი ინახება მის საწყობში, ყოველი მათგანის წონა და ფასი, საქონლის შემოსვლა-გასვლის დინამიკა, მოგება-წაგების ბალანსი, გაყიდვის რისკები. მონუსხული თურქი უსიტყვოდ უსმენდა მტვერში ამოგანგლულ გოგონას, რომელის მეხსიერება თავში ინახავდა ათას წვრილმანს სხვს საწყობის ში, თუმცა საკუთარ ტანზე ძონძებს ვერ ამჩნევდა. მურად-ბეის ასეთი რამ არ ენახა, ვერც წარმოედგინა. ეს გურჯი გოგონა ნამდვილი ენციკლოპედია იყო, თანაც უამრავი მიმართულებით. ბოლოს მურად-ბეიმ თურქეთის ისტორიაზეც რაღაც ჰკითხა გოგონას. თურქი – სელჯუკების, ფაშების და სულთნების ამბები, ოსმალთა იმპერიის ისტორიის წვრილმანებიც კი ამ ციციქნა გოგონამ ათასჯერ უკეთ იცოდა, ვიდრე მურად-ბეიმ.

იმ დღიდან მურად-ბეი მფარველი ლილეს. მალე კომპანიის თბილისის ყველაზე დიდი ტერმინალის ადმინისტრაციის რიგით თანამშრომლად დაინიშნა, შემდგომ, ყოველ ექვს თვეში წინაურდებოდა სამსახურში: მატულობდა ხელფასი, იზრდებოდა პრემიები, მალდებოდა კარიერული კიბე. ახლა ლილე კომპანიის უამრავ ქონებას და საქონელს განკარგავდა. სული მოითქვა გოგონამ: გიო-ბიჭი ბაღში წავიდა, ბინაში ახალი ავეჯი და ტექნიკა გაჩნდა, ლილემ და ნანამ ქალურად ჩაიცვეს, მამკოს „ჟიგული“ შეკეთდა, თავადაც ავტომანქანის მართვის მოწმობა აიღო.

სურამში შევიდა ლილე. მარჯვნივ გაიხედა, ეკლესიას შეავლო თვალი და პირჯვარი გადაინერა. იქ ციხეა, ზურაბის ციხე. რამდენი ტონაა ციხე შეკეთების შემდეგ? რამდენია მისი მოცულობა? რამდენი ქვა და აგურია ახალ ნაშენზე? ეკითხება ლილე თავისთავს ლილე და თავადვე უპასუხა. გაუხარდა გოგონას, კარგი რამეა, მტოვებს ფრანგული კონიაკი, ვხედავ, რომ გიო – ბიჭი კარგად ქნება, – გაიმხნევა თავი ლილემ და გაზის პედალს დააწვა.

რატომ ჩააშენეს ზურა-ბიჭი კედელში? როცა პატარა იყო, ციხის ლეგენდა დაიჭერა ლილემ და ბევრი იტირა. ახლა კი ეცინებოდა ამაზე, მით უფრო, რომ ბოლო წლებში საქართველოში ძალიან მომრავლდნენ ეჭვიანი და ბოროტი ქალები. ციხე კი იმიტომ აშენდა იმ წლებში, რომ ბოროტი ლეგენდა მეფის ყურამდევს მივიდა და მისივე ბრძანებით კედელის საყრდენები ხელახლა გამართეს ოსტატებმა.

იქეთ გორის ციხე და ძველი და ახალი გორია, იოსებ ჯულაშვილის სახლ-მუზეუმი. თუ გინდა უცხოელის ყურადღება მიიპყრო, სტალინი უნდა ახსენო: ეტყობა, ნამდვილად დიდი ყოფილა ეს კაცი, რადგან მისი დაბადებიდან 100 წლის შემდეგაც ახსოვთ ახსოვს და ანუხებს იგი ძველ და ახალ მსოფლიოს. როგორი იყო იგი: ბოროტი თუ კეთილი გენია? თავის დროზე ამას ისტორია განსჯის, თანაც ძალიან დიდი ხნის შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე. ფრანგებს 100 წელი აუკრძალეს ბონაპარტი, შემდეგ კი ხალხის დროშა გახდა! – ხალისობდა ლილე.

აქ სადღაც სამხედრო ბაზები და ქართველ სამხედროების დასახლებაა, – ვარგია, რომ ფეხზე დგება ეროვნული ჯარი, შენდება ახალი სახლები, მოედნები, სკვერები, – ხარობდა გოგონა.

– წინ სვეტიცხოველის ტაძარი ელვარებს და ზედ ოქროსფერი გუმბათი ლივლივებს. სვეტიცხოველი ერის სულია, მართლმადიდებელი ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი საყრდენი, ბიზანტიური აია-სოფიას ქართული ტყუპისცალი. ძრავა გამორთო, როგორც კი სვლა შენელდა, ლილემ პირჯვარი გადაიწერა: უფალი ჩვენი, ჩვენი მაცხოვრის სახლი, გაჭირვებულთა და გლახაკთა, უძლურთა და დაცემულთა, ცოდვილთა და უცოდველთა წმინდა თავშესაფარი, მათი ბოლო რწმენა და იმედი, – ძალი მოეცა ლილეს.

აგერ კლდის კიდიდან მომზირალი ჯვრის მონასტერი, რომელიც 15 საუკუნეზე მეტია დინჯად დასცქერის სამარადჟამოდ ერთმანეთთან შეუღლებულ მტკვარსა და არაგვს, საქართველოს გულის, – ქართლის სანახებს.

– რა ბედნიერი ვარ, რომ სამშობლო მაქვს, ხალხში ვარ, საქმე მაბარია, შრომა არ მეზარება, თანაც ძალიან ვარგი ანაზღაურება მაქვს. რომ ეს არაა, ვინ ვიქნებოდი მე ახლა, რა ეშველებოდა ჩემებს და ჩემიანებს. ახლახან თემურ-ბეიმ ჩემი ძმის ამბები გამომპკითხა, იცის, რომ არ მუშაობს, იმედია, მასაც მოუნახავს საქმეს და ხელფასს.

ავტობანზე ავარია მომხდარა: დაღწილი ავტობუსი მოაჭირებს იქით ვგდო და ირგვლივ უამრავი ჩინელი ტრიალებდა. – ჩვენში აძაგებენ, მაგრამ ეს წითელ ჩინეთი მალე მსოფლიო ეკონომიკის მბრძანებელი გახდება. ჩინური ვხვდები, რომ საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ელექტრონიკის შიშით ჩემს ყოვლისშემძლე მურად-ბეის ღამეები არ სძინავს, ელიმება ლილეს.

დაიხარა და სავარძლიდან ტელეფონი აიღო. ნანა რეკავდა: პირდაპირ ბავშვთა საავადმყოფოში ამოდი, ბიჭი ძალზე მივარდნილია, სასწრაფო დახმარების მანქანით მოვედით, მამა და ნუკრიც აქ არიანო, – თქვა ნანამ. წამით გაირინდა ლილე, ღილაკი არ გამორთო და აპარატს მოუსმინა, – ნანა ქვითინებდა.

– მე მოვკვდი ნანა! იკივლა ლილემ.

– რა იყო ქალო, ვის არ ჰქონია სიცხე, მით უფრო ბავშვებს, – გაისმა ტელეფონში.

ჰო, ჰო, თუმცა მე მაინც მოვკვდი, თქვა და ტელეფონი წინა სავარძელში მოისროლა.

– დავიღუპე, იკივლა ლელამ და ყველა შეუქვარი ჩართო, საჭეს ჩააფრინდა და მანქანა ბოლომდე მიუშვა.

ტელეფონს ეკრანი განათდა. ლილემ მანქანა შეანელა. მურად – ბეი წერდა: „ნამდვილი ქალი ხარ, ნამდვილი ძე ვფეხვი, ლოგინშიც ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე დედაკაცი... მე რაც გთხოვე, ყველაფერი ამისრულე, თუმცა არ დამნებდი და ნეტარება არ მაღირსე, რითაც ძალიანაც მანყენინე! მიუხედავად ამისა, ვფიცავ ჩემს ალაჰს, რომ შენი სადარი ქალი მთელ თურქეთში არ მოიძებნება, ლეგენდარული გურჯი ხათუნიც ვერ შეგედრება შენ! მაღლობა დაუვინყარი საღამოსთვის, რაზედაც კიდევ დიდხანს ვიფიქრებ, ვიოცნებებ და რამე ორივესთვის მისაღებ გადანყვეტილებას მივიღებ...“.

– „შენ ვაცი კი არა, საქონელი ხარ მურად-ბეი, – ძალით მომერიე წუხელ, – დამათვრე, მერე დამჩაგრე, მომერიე, დამლუნე, დამანგრიე, მატკინე.... რამდენი გეხვინე არ მომეკარო და ლოგინში არ შემომიძვრე– მეთქი... მაინც შენი გაიტანე და კიდევ იძალადე მგონი,... ვერ შეგასმინე, რომ მე ქმარი მყავს, შვილი მყავს, მამა მყავს, და მყავს, სინდის და ღირსება მაქვს... შენ კი წუხელ მე მომკალი და ჩემი ღირსებაც ფეხით გათელე, მოერიე მთვრალ ქალს და იხმარე, რომელიც შვილად გეკუთვნის!... შენ მე მომკალი!... მე თუ ვერ შევძელი, ჩემები არ შეგარჩენენ ჩემზე ძალადობას... დაიკარგე ჩემგან!“ – მისწერა ლილემ.

– „შენი ჯიუტობით და უმანკოებით შემყვარე თავი, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი სუსტი ვარ, შენ ჩემი მბრძანებელი გახდი ხათუნ...!“

ლელა ისევ ბოლომდე დაანვა გაზის პედალს.

– ზარი შემოვიდა, – მურად – ბეი იყო.

– ფრთხილად იარე, ნანვიმარია, უკან ჩემი ბიჭები მოგყვებიან, არ შეგეშინდეს, ბინამდე მიგაცილებენ!

არ დააცალა ლილემ: „გეყოფა ცხოველო, ჩვენ სხვადასხვა რამეზე ვლაპარაკობთ, გატყობ, ვერ ხვდები რაზეა საუბარი, მორჩა, გათავდა!“ მთელი ხმით იკივლა ლილემ და აპარატი სავარძელზე მოისროლა.

მალე შეტყობინება მოვიდა: „ამერიკული ლიცენზია მაქვს და თურქეთში კიბოს პრეპარატების წარმოების იმპერიას შევქმნი, ამ საქმეს შენ ჩაგაბარებ, მალე მონვევას მიიღებ, სტამბულში, ჩამოხვალ და სათავე ოფისში იმუშავებ... საქმე შენ არ გაგიჭირდება, უფრო ინგლისური და თურქული გვაქვს მისახედი...შენი მურად-ბეი...“

– ესლა მაკლდა! – ვვლავ ივვლა ლილემ და ტელეფონის აპარატი ფანჯრიდან მოისროლა.

რამდენიმე წუთში მანქანა დედაქალაქში შეფერინდა. ჟინჟლავდა თბილისში. უეცრად მუქნიშანი შეეფეთა ლილეს, – წითელი ენთო. რაც ძალა და ღონე ჰქონდა დაანვა მუხრუჭს: „ლენდ კრუიზერი 200“ ცად ავარდა და მეზობელ ქუჩაში დაფრინდა, თანაც სავალი ხაზის წინააღმდეგ...წინ მიკროავტობუსი მოძრაობდა, უკან ნაგვის მანქანა... მარჯვნივ სცადა,-არ დასცალდა: წამიც და ამოყირავდა, გადაგორდა, მერე დიდხანს იგორავა და მანამ ისრიალა ზურგით, სანამ გზისპირა ჭადარს არ შეასკდა....

მალე სამი საპატრულო მანქანა და ორი სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა. ხალხით გავსო ქუჩა. სისხლიან ქალი მანქანიდან გადმოიყვანეს და საკაცებზე დაანვინეს. დიდხანს სინჯა ექიმმა, ბოლოს თავი გააქნა: „აქ ექიმი უძღურია, გოგონა უკვე მკვდარიაო!“...

* * *

კვირა დღეს დაკრძალეს ლელა, ქალაქგარეთ, დედამისი გვერდით. გასვენებაზე უამრავი ხალხი მოვიდა. კლდოვან გორაკებზე შეფენილი ძველი სასაფლაოდან ფეხით ბრუნდებოდა ხალხი. თურქული კომპანიის მანქანები და ლილეს მეგობრები რესტორანთან იდგნენ და ყველას ლელას ქელეხზე ქართული თავაზიანობით ეპატიჟებოდნენ.

შევყოვნდი, ლილეს მამას, გიორგი არეშიძეს დაველოდე. გიო-ბიჭს თავზე გადავუსვი ხელი. ლელას მამას მკლავში მოვკიდე ხელი, შევეცადე მოვფერებოდი. ბავშვივით ტირდა გიორგი, თვალებს ცხვირსახოციით იფარებდა.

– მე ვარ ამ გოგოს მკვლელი, რა უნდოდა გოგონას თურქულ კომპანიაში, როცა ამდენი მეგობარი მყავს მთავრობაში და პარლამენტში, – მოთქვამდა გიორგი. კარგი შვილები მყავს, მაგრამ ლილე გამორჩეული იყო... დაბადებიდან დიდი ქალივით არის, ლამის არამინიერი, საკმაოდ უცნაური, როგორც ყველა მერწყული, ...ვაი დედა, ეს რა ნიჭი ჩავიდა მიწაში,-შემომტირა გიორგიმ.


თავად გიორგიც უჩვეულო ნიჭის და უნარს პატრონია, თუმცა ერთი დიდი ნაკლით: საცოდაობამდე პატიოსანი და წესიერი ვაცია, - 90-იან წლებში, როცა ქვეყანა იძარცვებოდა, მას ისეთი თანამდებობა ჰქონდა, რომ მისი ერთი ხელმოწერით ძალიან დიდი ფული კეთდებოდა და დიდი ქონების პატრონი ხდებოდა ხალხი. მიუხედავად ამისა, მისი ოჯახი მაღლივი კორპუსის პირველი სართულის ერთოთახიან პატარა ბინაში ცხოვრობდა. ლილე ერთი წლისაც არ იყო როცა გორგის მეუღლეს მკერდის კიბო დაუდგინეს და ორ წელიწადში მოთავდა კიდევ. დედით ობოლი ბავშვები მამა გაზარდა.

არეულ თბილსში რალაც ღონისძიებაზე გავიცანი გიორგი: აფხაზეთიდან დევნილები თავის ბინაში ნაგვიყვანა და არყით გვიმასპინძლა. გაყინულ სამზარეულოში შუა ღამემდე ვისხედით და ქვეყანაც დავალაგეთ. დღემდე მახსოვს გიორგის ხუმრობა: „ბოდიშით, ჩემი მეუღლე და უმცროს გოგონა გაცივდნენ და საძინებელში ათბობენო ერთმანეთს!“ ცოტა ხანში კი დედის და ბავშვის საძინებლიდან ნავთის პანაწინა ქურა გამოტანა ჩვენ დაგვიდა ფეხებთან.

ქელეხში არ წავედი, - წარმოვიდგინე, რომ სწორედ ლილე იყო გიორგის ის ნაბოლარა გოგონა, რომელიც სასიკვდილოდ განწირულ დედის ძუძუებს ეტანებოდა და დედის მკერდით თბებოდა.

ათგზის ვუბოდიშე გიორგის და სახლში წავედი.

თბილისი, 6 მაის, 2020.



კატია



თებერვალია. ზამთრის კვირა დილით კატია ხმაურით შე-
აღო ტაძრის მაღალი ხის კარი და ირგვლივ მყოფნი შეათვა-
ლიერა. ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ გულის გამანვრილებელი
ყვირილი დაიწყო. ტაძრის მრევლთაგან ზოგი გაოცებული უყუ-
რებდა უცნაურად ჩაცმულ მოხუცს, ზოგსაც უკვირდა და უბრა-
ლოდ ეღიმებოდა მის ხმამაღალ შეძახილებზე... კატია ზურგს
უკან მდგარი ადამიანები კარებშივე შეჩერდნენ და ადგილიდან
ფეხი მანამდე არ მოიცივალეს, სანამ მოხუცი არ ჩაწყნარდა....
სანთლის გამყიდველმა მაღალმა, გამხდარმა, პირმცინარმა
ქალმა კატია თავისთან მიიხმო და ტკბილი ფუნთუშა მიანოდა.
მესანთლეს არც სხვები ჩამორჩნენ. მრევლთაგან რამოდენიმემ
კამფეტები, ხურდა ფული და ერთმა მათგანმა შოკოლადის
დიდი ფილაც კი მიანოდა კატიას. მოხუცს გემოც არ გაუსინჯავს,
ისე ჩაყარა შავი ფერის, ძველ, გაცვეთილ ჩანთაში ყველაფერი.

ხურდა ფული გაცრეცილ ღია ყავისფერ ქურთუკის დიდ ჯიბეში ჩაიყარა, ყვირილი შეწყვიტა,
თავისთვის რაღაც გაუგებრად ჩაიჩიფჩიფა და ღვთისმშობლის ხატისკენ აიღო გეზი. ხატზე
ახალგაზრდა ქალს მიედო თავი და თავისთვის რაღაცას ჩურჩულით ევედრებოდა მას. კატია
მიუახლოვდა ახალგაზრდას, საკმაოდ გემოვნებით გამონყობილ ქალბატონს, ღვთისმშობლის ხატის
წინ დაიჩოქა, ფარულად კი მისი მხერა ქალის სხეულს არ მოშორებია... როცა ქალბატონი ხატს
მოშორდა, დაჩოქილმა კატია მას ფეხზე ხელი წაავლო. შეშინებულმა ქალმა ზემოდან დახედა
უცნაურ მოხუცს და შეეცადა მისგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ კატია ახლა ორივე ხელით მის
ფეხს ჩაებლაუჭა და რაღაც გაურკვეველი სიტყვები თავისთვის ჩაიბურტყუნა. შეშინებული ქალი
ცდილობდა თავი დაეღწია მისგან, მაგრამ ამაოდ, მოხუცი ხელების გაშვებას არ აპირებდა.

ანალოგიასთან მდგარმა ტაძრის მსახურმა შუახნის ქალმა, როგორც კი დაინახა, თუ როგორ
ეჭიდებოდა კატია ახალგაზრდას, გემოვნებით ჩაცმულ, შეშინებულ ქალბატონს, მათთან მივიდა.
კატია ქალის ფეხებზე ხელები გააშვებინა და ფეხზე წამოაყენა.

– მრევლს ნუ აწუხებ, კატია. წამოდი, გამომყევი, მე მომეხმარე, – ისე დაუყვავა ტაძრის
მსახურმა მოხუცს, გეგონებოდათ პატარა ბავშვს ეფერებოდა. კატია ისევ ღვთისმშობლის ხატთან
მდგომ ქალს მიუბრუნდა და ჩიფჩიფით მიაძახა:

– ღვთისმშობელმა შეისმინა შენი თხოვნა... კარგად იქნება!... გოგონა კარგად იქნება!...

ახალგაზრდა ქალბატონი გაოგნებული მიშტერებოდა კატიას ზურგს, რომელიც პატარა
ბავშვივით ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა ტაძრის მსახურს. ქალი კვლავ ხატისკენ მიბრუნდა და
თვალეები ცრემლით ავესო. იქვე მდგომმა ხანშიშესულმა მამაკაცმა ხმადაბლა უთხრა:

– ეს კატიაა!... თქვენ რა, მას არ იცნობთ?

– არა, – გაოგნებულმა უპასუხა ქალმა.

– ამბობენ ხილვები აქვსო, წინასწარმეტყველიაო. თუ რამეს იტყვის, აუცილებლად ახდება!...
დაუკვირდით მის სიტყვებს, გენიშნათ რამე? – ჩაეკითხა მამაკაცი ახალგაზრდა ქალს.

– დიახ, მენიშნა, ამიტომაც ძალიან დავიბენი. ხუთი წლის გოგონა საავადმყოფოში მიწვეს,
ხვალ რთული ოპერაცია უტარდება. ძალიან ვნერვიულობ. – უპასუხა ქალმა.

– ყველაფერი კარგად იქნება. ღვთისმშობელი შეისმენს თქვენს თხოვნას. ხომ გაიგონეთ,
კატიაშვიდო დაგიდასტურათ, – ღიმილით მიმართა მამაკაცი ქალბატონს, იქვე მდგარ დიდ შანდალზე
სანთელი საგულდაგულოდ დაანთო და პირჯარი გადაიწერა...

ტაძარი ხალხით იყო სავსე. მოძღვარმა სახარების კითხვა დაამთავრა, მგალობლები
გალობდნენ... კატია გაფაციცებით აკვირდებოდა ტაძარში მყოფ ადამიანებს... როგორც კი წირვა
დამთავრდა, ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისკენ აიღო გეზი...

კატიას ასაკი არავის იცოდა. ამბობდნენ სადაცაა ასი წლის გახდებაო. ოქროს უბანში მის მებობლად მცხოვრები ადამიანები ჭორის დონეზე ლაპარაკობდნენ: „გათხოვილი არასოდეს ყოფილაო. მამამისი სამხედრო პირი იყო. კატია ბავშვი ყოფილა, როდესაც მინსკიდან საქართველოში, სოხუმში, გადმოსულან საცხოვრებლადო. არც და ჰყოლია და არც ძმაო. დედისერთა იყო. ახალგაზრდობაში მაღალი არ იყო, მაგრამ ლამაზი, თეთრი ფერის სახე, ქერა თმა და ლამაზი ცისფერი თვალები ჰქონდაო... მამა ადრევე გარდაეცვალაო. დედა ვარგა ხანს იყო ლოგინად ჩავარდნილი, კატია უვლიდაო. მისი არც ნათესავი და არც ახლობელი არავის არასოდეს უნახავსო. როდესაც მარტო დარჩა, სოხუმში, ქალაქის გულში მდებარე ხარების საკათედრო ტაძარს დაუკავშირა მისი ცხოვრებაო. მოხუცდა, ღრმად მოხუცდა და მაინც ტაძარს არ შორდებო“...აფხაზეთში დაწყებულმა ომმა, სოხუმის ხარების ტაძრის მამებს, ყველა სასულიერო პირს, დაატოვებინა საოცარი ტაძარი და თბილისის ნეველის სახელობის ტაძარში მიუჩინა თავშესაფარი...ომის შემდეგ კატია არავის არ გახსენებია, მანამ სანამ ერთ მშვენიერ დღეს ნეველის ეკლესიის დიდი ხის კარი არ შეაღო და ხმამაღალი თავისებური შეძახილებით არ შევიდა მისი სულის ახალ ნავსაყუდელში.

შუადღე იქნებოდა. ტაძრიდან შინ დაბრუნებულმა კატია ჯაჯგურით შეაღო ოქროს უბნის ერთი პატარა ეზოს ჩაჟანგებული რკინის ჭიშკარი. ფეხების ბაკუნით შეაბიჯა დაცარიელებულ ეზოში. მიწისპირად მდგარი ერთსართულიანი ჩაჟანგებული, პატარა სახლის დაბრეცილ ხის კართან შეჩერდა. გამხდარი, მოკლე ფეხები, რომელზეც ზამთრის ხორცისფერი, დახეული წინდები ეცვა და ზედ ორი ზომით დიდი თეთრი ფერის გაცვეთილი ბოტასები სასაცილოდ წამოეცვა, კიდევ ერთხელ ააბაკუნა და კარი შეაღო. შინ შესულს ხუთი მოხუცი, მათ შორის ორი მამაკაცი და სამი ქალი ხელების ქნევით შეეგებნენ.

– მოხვედი, კატია?! – წამოიყვირა თმაჭაღარა, თმადაუვარცხნელმა, გაბურძგნულმა აუუჟომ.

– მოვიდოდა, აბა რას იზამდა, – წაილულულა ფეხზე მდგარმა და ცალი ხელით ყავარჯენზე დაყრდნობილმა დიმიტრიმ და დანაოჭებული შუბლი უფრო მეტად დაუნაოჭდა.

– ნეტავ თუ მოიტანა რამე კატერინამ? შიმშილით თვალებიდან ვეღარ ვიხედები, – ხმის კანკალით წარმოსთქვა ოთახში ერთადერთ რკინის საწოლზე წამომჯდარმა ნინამ.

– მოიტანდა, ისე არ დაბრუნდებოდა, არ იცით მისი ხასიათი?! – თქვა წელში მოხრილმა, საცოდავად დაუძღურებულმა ტიტემ და თავის ფხანა დაიწყო.

– დააცადეთ, მხოლოდ თქვენს თავებზე რომ ფიქრობთ, მოისვენოს, ამოისუნთქოს. ეგ რომ არ გვყავდეს, რა გვეშველებოდა ამდენ ინვალიდ და უპატრონოდ დაყრილ ლეშს?! ჩვენ ხომ ადამიანებში აღარ ვწერივართ! – ბურღუნით წარმოსთქვა იატაკზე, კუთხეში, ჭუჭყიან ბალიშზე წამომჯდარმა ქეთუშამ.

– კატია ჩანთა გადაყვითლებული გაზეთებით მიმოფანტულ ძველისძველ მაგიდაზე დაახეთქა და ისევ გარეთ გავიდა. ცოტა ხანში უკანვე დაბრუნდა. ხელში ორი თონის პური ეჭირა, რომლებიც მაგიდაზე დაყარა და თვითონ იქვე მდგარ ვოჭლ სკამზე ჩამოჯდა. მაგიდის გარშემო, ნელ-ნელა, წვალებით შემოკრებილი მოხუცები მაღიანად მიირთმევდნენ კატიას მირთმეულ „ნობათს“ და თან უფალს მადლობას წირავდნენ კიდევ ერთი ნაჩუქარი დღისათვის.

აპრილია. კოკისპირულად წვიმდა და რადგან ტაძარში არც ისე ციოდა, როგორც გარეთ, კატია მაც გადაწყვიტა წვიმის გადაღებას დალოდებოდა. მის თავთან აღმართულიყო მაცხოვრის ჯვარი. იქვე მდგარ შანდალზე სამი დიდი ველაპტარი ინვოდა. კატია მიშტერებოდა ველაპტრებს. ხან მაცხოვრის ჯვარს ახედავდა, ხანაც ველაპტრებს უყურებდა რაღაც იდუმალი და ამოუცნობი მზერით. ტაძრის მსახური ქალი დრო და დრო გახედავდა ხოლმე კატიას და თავისთვის გაიფიქრებდა: „ღმერთო ჩემო, ვერ ვგებულობ, ვერ ვხვდები, რა ამოქმედებს ამ ადამიანს...“

იქვე მდგარმა ტაძრის მეორე მსახურმა ქალმა, რომელიც შანდალს ასუფთავებდა, როგორც კი კატიას შეხედა, ფრთხილად უთხრა:

– კატია, ჭუჭყიანი ხარ, სახე გაგსვრია.

კატია ხელი სახეზე მოისვა და ჩიფჩიფით უპასუხა:

– ეს ჭუჭყი არ არის, ეს მხოლოდ ტალახია!... ჭუჭყი შიგნით არის, გარეთ მხოლოდ ტალახია!

– სად შიგნით, კატია? – ინტერესით ჩაეკითხა ტაძრის მსახური. კატია მგაბრაზებულმა შეხედა მას და თავისთვის ჩაიჩივჭიდა:

– შიგნით სულში, ამას რა მიხვედრა უნდა, – თქვა და მზერა ღვთისმშობლის ხატისკენ გადაიტანა.

კატია მხარზე ხელის დადება იგრძნო, მოტრიალდა და ახალგაზრდა ქალს შეეფეთა. მოხუცმა შუბლშეკრულმა შეხედა, თავი გააქნია და ზურგი შეაქცია. ქალმა კვლავ დაადო ხელი მხარზე კატიას და თითქმის ძალით მოატრიალა მისკენ. მოხუცმა უხეშად მოიშორა ქალის ხელი და დაკვირვებით შეათვალიერა.

– ეს მარიაშია, კატია, – უთხრა ქალმა და მის გვერდით მდგარი ხუთიოდე წლის პირმცინარი, შავთვალწარბა, ლამაზი გოგო თითქმის ძალით მიიყვანა მოხუცთან. კატია ბავშვს გულწრფელად გაუღიმა, თვალეში შეხედა და უცებ მოულოდნელად ისეთი სიცილი აუვარდა, სული ვეღარ მოითქვა. იცინოდა კატია, ისე იცინოდა, რომ თვალეებიდან ლაპა-ღუპით წამოსულ ცრემლებს მუშტებითაც ვეღარ იშრობდა. სიცილით გული რომ იჭერა, ჭიბეებში ხელების ფათური დაინყო. ქურთუკის ორივე ჭიბიდან სანუნნი, ხილის კამფეტები ამოიღო და პატარა მარიამს ძალით შეაჩეჩა.

– გამოართვი, შვილო, უარი არ უთხრა, – მიმართა ბავშვს ტაძრის მსახურმა, წელში მოხრილმა ქალმა.

– მადლობა გადაუხადე, მარიამ, – უთხრა დედამ პატარა გოგოს. ბავშვი დაბნეული უყურებდა ხან დედას, ხანაც ეკლესიის მსახურს და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

– გამოართვი და მადლობა გადაუხადე, გულით გაძღვეს, – ოდნავ მკაცრი ხმით გაუმეორა ქალმა ბავშვს. ბავშვიც აღარ დაფიქრებულა და კატიას მიცემული კამფეტები ქურთუკის ჭიბეში ჩაიწყო.

– საოცარი მოხუცია, რაც არ უნდა აჩუქო, ცდილობს, რომ იმით სხვას სცეს პატივი... აქვე, ოქროს უბანში ერთი პატარა ოთახი აქვს, სადაც უსახლკარო მოხუცები ჰყავს შეფარებული. რასაც უწყალობებენ, ყველაფერი მათთვის უნდა, ყველაფერს მათ უწილადებს... იმასაც ამბობენ, საოცარი წინათგრძნობა აქვსო, – მსახური ქალი თან მარიამს და მის დედას ესაუბრებოდა, თან შანდალს დამდნარი სანთლის ნარჩენებისგან ასუფთავებდა.

ახალგაზრდა ქალმა თავის პატარა გოგონას თავზე ხელი გადაუსვა. უცებ თავში რაღაც აზრმა გაუელვა. ჩანთიდან საფულე ამოიღო და ოცლარიანი მომცინარი სახით მდგარ კატიას ქურთუკის ჭიბეში ჩაუცურა. მოხუცმა ჭიბიდან სწრაფად ამოიღო ფული და მნიშვნელოვნად დახედა. შემდეგ გაოცებული სახით ქალს შეხედა და მადლიერების ნიშნად მისი ბებერი, გაუხეშებული ხელი ახალგაზრდა ქალის ნაზ ხელს ფრთხილად შეახო. მერე ქალთან ახლოს მივიდა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– ბედნიერი დედა ხარ. კარგად იქნება შენი შვილი... დაგეხმარება..., – უთხრა კატია და ღვთისმშობლის ხატისკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი. შემდეგ ქალის ნაჩუქარი ფული ისევ ჭიბეში ჩაიღო. სწრაფად შებრუნდა და ტაძრის გასასვლელი კარისკენ ფეხების ბაკუნით გაემართა.

კოკისპირულად აღარ წვიმდა. კატია ნაწვიმარზე ფეხების ტყაპა-ტყუპით მიდიოდა. ქუჩაში გამვლელები ალმაცერად უყურებდნენ უცნაურად ჩაცმულ მოხუცს. მას ხომ ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად ეცვა, გრძელი ფართხუნა ქურთუკი. თავზე ბენრიდან გამოჭრილი, ჭუჭყიანი, თეთრი თავსაფარი ეხურა, საიდანაც უშნოდ გაკრეჭილი თეთრი თმა სასაცილოდ მოუჩანდა. ხელებზე, გარეთ გამოსულს ყოველთვის ფეხის წითელი, გაცვეთილი წინდები ჰქონდა ხოლმე წამოცმული. ფეხებზე ზამთარ-ზაფხულ ბამბის დახეული წინდები უნდა სცმოდა. რამოდენიმე ზომით დიდი ბოტასები, რომლებიც ასევე ზამთარ-ზაფხულ „ამშვენებდა“ მის მოკლე ფეხებს, ყოველთვის ღიმილს ჰგვრიდა ხოლმე ყველა შემხვედრს... ასე „მშვენივრად“ გამოწყობილი მიდიოდა კატია ნაწვიმარ ასფალტზე და წყლის გუბეებსაც კი არ ერიდებოდა... მიდიოდა და მიტყაპუნებდა... ავტობუსის გაჩერებასთან რომ მივიდა ცოტა ხნით შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და ისევ გააგრძელა ფეხების ტყაპა-ტყუპით გზა. გაზეთების ჭიხურს მიუახლოვდა. იქაც გაჩერდა, აქეთ-იქით ისე იცქირებოდა, ვინც არ იცნობდა, იფიქრებდა, ვინმეს დაეძებსო... უცებ ახლოს პატარა ბიჭის ხმა მოესმა:

– იყიდეთ ბაჭია, ძალიან გთხოვთ, იყიდეთ ბაჭია!

კატია შევკრთა. ჭიხურის გვერდით, ხის ყუთზე ოთხი თეთრი და ორი ნაცრისფერი, ულამაზესი პატარა ბაჭიები ისხდნენ. პატარა შვიდიოდე წლის ბიჭი კი ხმამაღლა, მთელი მონდომებით გაჰყვიროდა:

– იყიდეთ ბაჭია, ძალიან გთხოვთ, გემუდარებით, იყიდეთ ბაჭია!...

კატია ბიჭს მიუახლოვდა და თავისი იდუმალი მხერა მიაპყრო. ბიჭს ყურადღებაც არ მიუქცევია მოხუცისთვის, ყელმოღერებული იდგა და რაც შეეძლო ხმამაღლა გაჰყვიროდა:

– პატარა და მყავს, შვიდი თვის, ავად არის, გადასხმები სჭირდება!... ძალიან გთხოვთ, გეხვეწებით, იყიდეთ ბაჭია!... ამით ჩემს დას დაეხმარებით!... იყიდეთ ბაჭია!... გეხვეწებით, იყიდეთ ბაჭია!

კატია დაიხარა, ბაჭიებს მოეფერა. ცოტათი შეეცვნდა. თავში რაღაც აზრმა გაუელვა. ჭიბიდან ნაჩუქარი ოცლარიანი ამოიღო და ბიჭს მიაწოდა. ბიჭმა თვალებს არ დაუჯერა. მსხვილი, დიდი თაფლისფერი თვალები მეტად გაუფართოვდა, წამწამები აახამხამა და მოხუცს ხმის კანკალით ჰკითხა:

– რამდენი ბაჭია გინდათ?

– არც ერთი, – უპასუხა კატიამ ჩიფჩიფით და უარის ნიშნად ხელი გაუქნია.

– აბა, ფულს რატომ მაძლევთ? – ჩაეკითხა ბიჭი.

– შენი იყოს ეგ ფული! – ისევ ჩაიჩიფჩიფა კატიამ და ისე სწრაფად გააგრძელა გზა, რომ ბიჭისკენ არც კი მოუხედავს. ბავშვი გამოევიდა, გააჩერა მოხუცი და ძველ შავ ჩანთაში ძალით ჩაუჭინა ორი თეთრი ბაჭია... კატიაც დამორჩილდა...

სახლში შესულს მობუზული მოხუცები იმედის თვალით შესცქეროდნენ. კატია დაბნეული მივიდა მაგიდასთან. ჩანთა გახსნა და იქიდან სათუთად ამოიყვანა შეშინებული და მობუზული ბაჭიები.

– რა ლამაზები არიან! – შეჰყვირა ნინამ.

– ვინ მოგცა? – იკითხა დიმიტრიმ.

– საიდან მოიყვანე? – ჰკითხა აუუომ.

– რა მობუზულები არიან, ალბათ სცივათ, – თქვა ტიტემ და ბაჭიებს მოეფერა.

– ალბათ შიათ კიდევ, რა უნდა ვაჭამოთ? – წამოიკვნესა ქეთუშამ და ორივე ხელი შეშინებული ბაჭიებისკენ გაიშვირა.

– რასაც ჩვენ შევჭამთ, ამათაც ის ვაჭამოთ. რა კარგები არიან, – არ ცხრებოდა ნინა.

კატია დადუმებული უყურებდა ბაჭიებს. შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, ბაჭიებს მივარდა, ხელში აიყვანა, ისევ ჩანთაში ჩასვა და ჩანთიანად, სწრაფი ნაბიჯებით დატოვა ოთახი. ქუჩაში თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიჩქარით მიაბოტებდა. ისევ განვიმდა. კატია კი სულმოუთქმელად, თითქმის სირბილით მიდიოდა. როგორც იქნა მიაღწია გაზეთების ჭიხურამდე. შეჩერდა, სული ძლივს მოითქვა. წვიმამ უმატა. პატარა ბიჭი ისევ იმავე ადგილზე იდგა და გაჰყვიროდა:

– იყიდეთ ბაჭია! ძალიან გთხოვთ, იყიდეთ ბაჭია!...

კატია მიუახლოვდა ბიჭს, ბაჭიები ჩანთიდან ამოიყვანა და თავის ადგილზე სხვა ბაჭიების გვერდით დაუსვა. ბიჭმა შეშინებულმა შეხედა მოხუცს. კატია მიუხვდა ბავშვს და გაუღიმა. ბიჭმა ხმის ამოდებაც ვერ მოასწრო, რომ მოხუცი იქ აღარ იყო...

კატია ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ტაძარს. მაღალი ხის კარი ფრთხილად შეაღო. იქ მყოფ მრევლს იმედის თვალთვალად გადახედა და შვებით ამოისუნთქა... გარეთ კი გაზაფხული იდგა და კოკისპირულად წვიმდა.



გულნამ ხარაიშვილი (ცისკარელი)

დედის წრემლი



დედეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიან საერთაშორისო აკადემიაში, ჩატარდა ნანა მომცელიძის საღამო. საღამოზე მონვეული იყო მწერალთა კავშირის თავჯდომარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი და მხატვართა კავშირის თავჯდომარე, ბატონი გურამ ცერცვაძე. ნანა მომცელიძე ერთი წელიც არაა, რაც აკადემიის წევრი გახდა, მაგრამ როცა ადამიანის სულში სიკეთე ჭარბობს, მაშინ ურთიერთობებს დიდი დრო არ ჭირდება. შენი კეთილი გული, რომ დაანახო საზოგადოებას. ღონისძიება ათი კაცისაგან შედგებოდა, საქართველოში არსებული პანდემიიდან გამომდინარე. აკადემიიდან ესწრებოდენ, პოეტი ეთერ ჭელიძე, ბატონი თემურ გოგსაძე, ცნობილი ადვოკატი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. პოეტი ლამზირა შეყილაძე, ეკა

ბრეგვაძე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. პოეტი მამუკა ოჩიაური. ქალბატონი ნანას მეგობარი, ცნობილი ადვოკატი ნანა მუმლაძე და მისი ქალიშვილი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. ოჯახის წევრები: დედა, ქალბატონი მარი მომცელიძე რძალი და შვილიშვილი პატარა ნუსა. საღამო იყო სიხარულის ემოციით დატვირთული. ქალბატონი ნანა დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგა როგორც პოეტი, როგორც მხატვარი, და როგორც უნიკალური ხატების შემქნელი. ბატონმა გურამ ცერცვაძემ აღიარა, მისი ნიჭი და სრულფასოვანი მხატვარობა, რომელიც დაპირდა, რომ მის საკითხს წარადგენდა მხატვართა გამგეობის სხდომაზე, გაზაფხულზე მოუწყობ-



დნენ სამხატრო აკადემიაში პერსონალურ გამოფენას და მხატვართა კავშირის წევრად მიღებაზეც დადგებოდა საკითხი. როგორც გამონაკლისს თვითნასწავლ ნიჭიერ მხატვარს, სამხატრო აკადემიაში აირჩევდნენ. როგორც პოეტს ქალბატონ მაყვალა გონაშვილმა, გადასცა მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემია. ბატონმა თემურ გოგსაძემ აღიარა მისი დიდი ნიჭიერება და გზა დაულოცა წარმატებებისაკენ. ქალბატონ ეთერ ჭელიძემ გულწრფელად, მიულოცა, ეს დიდი აღიარება ხოლო, ლამზირა შეყილაძემ, ლექსი მიუძღნა.ამ ყველაფრის მომსწრე გახდა, დედა, რძალი და შვილიშვილი. დედის ცრემლები, შვილისგან გამონვეული სიხარულის, არასოდეს დამავიწყდება. ვერ წარმოვიდგენდი, ცნობილი მოცეკვავე უძლიერესი ქალბატონი, სიხარულისგან იტირებდა. ვუყურებდი დედას და მინდოდა გულში ჩამეკრა, მოვფერებოდი ასეთი შვილის აღზრდისთვის. ნანას, ნიჭს გვერდს აუვლი და მის ადამიანობაზე, სინესიერებზე და ზნეობაზე

შევაჩერებ ყურადღებას. ნანას ნიჭს გადანონის მისი სითბო და ზრდილობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ქალბატონი ნანა მომცელიძე მიწვეულია იტალიაში. ასე მიდის ჩვენი ნიჭიერი შვილები, მიდიან და დაბრდებიან თუ არა, ვგ, უკვე საკითხავია. ვიმედოვნებ, მას გზას გადაუღობავს, თავის-ვე ნაქარგი ხატები და საქართველოში გააგრძელებინებს შემოქმედებით საქმიანობას. ღონისძიების მსვლელობის დროს, ბატონმა თემურიმ თხოვა, ქართული ეროვნული დროშის მოქარგვა, რომელიც სიმბოლო იქნებოდა, საქართველოს სიმშვიდის, სიყვარულის და ერთიანობის. 27 თებერვალი მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ, რომ აკადემიას შეემატა ორი პოეტი: პოეტი მალვინა ჭელიძე და პოეტი გიორგი კუბლაშვილი. აკადემიაში არჩეული იყო კინორეჟისორი, ქალბატონი თათია ახალშენაშვილი.



იქ, სადაც სიყვარულია



სიმდიდრე, სიყვარულია... ტყესაც კი, გავარვარებულ სიცხეში თავს არ შეაფარებ, თუ მისგან გამოყოფილი ჰაერი ჯამრთელობას დაგიზიანებს. ასეა ოჯახიც. თუ, დედმამიშვილებს ერთმანეთი არ უყვარს, იქ, მისვლას არ მოინდომებ და მითუმეტეს ამ დროში, პანდემიის ბატონობის ხანაში. ჭიათურის, რაიონ სოფელ ხრეთს ვინ არ იცნობს. ამ ბუნების წალკოტში, ერთ ალაღ, ტარასი შეყილაძის და ნინი გველასიანის ოჯახში, გაიზარდა ცხრა დედმამიშვილი. ნარგიზი, ეთერი, ქეთევან, ლამზირა, ნანული, ზოია, ზაირა, ამირანი და ავთო შეყილაძეები. იქ, სადაც სიყვარულია, ხვავი და ბარაქა იქ, გროვდება. ამ, კეთილ ოჯახში ყველას ჰქონდა ერთმანეთის მორიდება და სიყვარული. აქედან ყველაზე უფროსი ნარგიზია. როგორც უფროსს, მეტი ტვირთი და პასუხისმგებლობა ისე ჰქონდა გათავისებული, თქმა არც ჭირდებოდა. ის, ეხმარებოდა

მშობლებს შვილების გაზრდაში. გათხოვდა და დედმამიშვილებმაც, უფროსი დისკვენ გადაინაცვლეს. მონერიგებული ცოლსდები სიძემ აკაკი ბინაძემ გულით მიიღო. ულამაზეს გოგონებს მთხოვნელები ბევრი გამოუჩნდა და ზაირა შეყილაძე, ბრწყინვალე ოჯახმა მოინონეს სარძლოდ. მათ ერთადერთ ვაჟს, სტანგელი ბინაძეს შეხვდა, ოჯახის ერთგული, ულამაზესი, ქართულ ტრადიციებზე, აღზრდილი მეუღლე. დის უბე – კალთაში გაზრდილი დედმამიშვილების ყურებისას, აუცილებლად დაგვეუფლება ის სურვილი, რომ იცხოვრო და გიყვარდეს ისე, როგორც მათ უყვართ, გიხაროდეს ისე, როგორც მათ უხარიათ. ვცდილობ, არ მოვფუჩქო სიტყვები და რეალური ფაქტებიდან გამომდინარე მივანოდო მკითხველს, ჩემი ემოცია. პირადად ვიცნობდი, მათ დედას, ქალბატონ ნინის, რომელმაც, მეათე შვილად მიმიღო. ერთხელ მირეკავს, ოთხმოცდათორმეტი წლის ქალბატონი და მეუბნება: იცი შვილო გულნაზი, ახლა ხრეთში, ცხრა შვილი მყავს და სრულ ბედნიერებას, შენ აკლიხარო. რამხელა სითბო ვიგრძენი ამის ახსნას რა სიტყვები შეუსაბამო, არ ვიცი. ერთ წელსაც, მე და ლამზირას ვვლავ მოგვინია ჭიათურაში ჩასვლა, იმ წლებში, ჭიათურის გამგებელი იყო ბატონი სულხან მახათაძე. მე ვხელმძღვანელობ ჯუმბერ ლეყავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიას, სადაც გამოდის ჟურნალი „ათინათი“, ბატონი სულხანის პერიოდში, მთელი ხუთი წლის განმავლობაში, ჟურნალი „ათინათი“, შედიოდა, ჭიათურის ბიბლიოთეკის ფილიალებში. ჩვენი ჩასვლა აუცილებელი იყო. ჭიათურაში ცხოვრობს, ნარგიზის ერთად ერთი ქალიშვილი ხუთი შვილის დედა, ჯუნა ბინაძე. ლამზირა ჩემზე წინ შევიდა, დედას გადაეხვია და ქალბატონმა ნინიმ წამოიძახა, გულნაზი დედა? გულნაზი არ ჩამომიყვანე? იმ წუთში კარები შევადე და აღრფრთოვანებულმა დედასავით საყვარელმა ქალბატონმა, გულში ჩამიკრა და მომეფერა. ასე გაგრძელდა საკმაოდ ბევრი წლის ურთიერთობა პოეტ ქალბატონსა და ჩემს შორის.



ჩვიდმეტი აპრილი, ზაირას დაბადების დღეა, ამ დღეს ზაირა სამოცი წლის გახდა, შეიკრიბა ცხრა დედმამიშვილი, შვილებით და შვილიშვილებით. აქ იყო სიხარული, სიმღერები, ცხრა დედმამიშვილის ცეკვა. ჭიათურის რაიონის სოფელ საკურნეში, ჩვიდმეტ აპრილს, ეზოს ყვავილებიც ცეკვავდა, დარწმუნებული ვარ, ამ დღეს საცხოვრებელი ადგილიდ დედას მირონი გადმოეღვრებოდა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, უფაღს, ქართული ოჯახების გამრავლება და სიყვარული ძალიან გაეხარდებოდა. დედაღვთიმშობლის წილხვედრ ქვეყანაში სიყვარულის კოცონი იყო დანთებული და მის ახლოს, ყველა დედმამიშვილის გული იყო მიფიცებული. ეს ბედნიერი იუბილარი პოეტ ლამზირა შეყილაძის და გახლავთ, ზაირა შეყილაძე.



(მარჯვნიდან დგანან) ავთანდილ, ლამზირა, ზოია, ამირან, ნანული, (სხედან) ქეთევან, ნარგიზა, ეთერი, ზაირა შეყილაძეები და გულნაზ ხარაიშვილი

იუზილარი ზაირა შაყილაძე

ცხრა დედმამიშვილიდან ყველაზე სათუთი და მისაფერებელია ქალბატონი ეთერი, მას ყველა განსხვავებულად ეფერება, ამიტომაც, რომ ზაირას იუბილზე კვლავ ეთერის მივუძღვენი ლექსი.

გიმზერს, თვალებში,
არ გეტყვის სიტყვას...
კითხულობს, ხვდება,
მასზე რას ფიქრობ,
 თუ, ვერ მიგიღო,
 მინც არ გრიყავს,
 სულის სინაზით,
 გამგვანებ ფიფქო.
მისი სიტყვები,
წყაროა, სიბრძნის...
თოვლს გავს ქათქათას,
უბინოს, წმინდას,
 ქმარშვილი უყვარს
 შრომობს და იბრძვს,
 იმედის სხივიც
 მით გამობრწყინდა.
ყველას დედაა,
ყველას დაიკო,
არასდროს ცდილობს
სხვა რომ გარიყოს...
 ცდილობს, რაღაცა,
 თითონ დაიკლოს,
 უნდა სუყველას,
 ლუკმა გაუყოს.



დედმამიშვილებიდან ყველაზე უფროსი ნარგიზა. პოეტ ქალბატონ ლამზირა შეყილაძეს ყველა დედმამიშვილზე აქვს მიძღვნილი ლექსი. ამჯერად გადავწყვიტე, ჩემს სტატიაში უფროსი დისადმი მიძღვნილი ლექსი მომეთავსებინა.

ღვთის წყალობა

(ჩემს უფროს დას ნარგიზა შეყილაძეს)

შენ ხარ ჩვენი უფროსი და
შენ გვისრულებ ყველას წყურვილს,
როცა დედა გვენატრება,
შენით ვიკლავთ დედის წყურვილს
ზეციური მოვლენა ხარ,
ვეფიცხებით ღვთიურ ტაძარს...
სიცოცხლით და მადლით გვავსებ,
სულის საგზლად, თბილ გულს გვატან.
შენ, ჩვენთვის ხარ ღვთის წყალობა,
გვინდა სულის შემწედ გვყავდე,
ქვეყნად დიდხანს იმზიანეო,
და არასდროს არ დათავრდე.



ნარგიზა შეყილაძემ ერთი შვილი გაზარდა, სამაგიეროდ, მისმა შვილმა, ჯუნა ბინაძემ ხუთი შვილი აჩუქა ოჯახს.



გივიგამებარდაშვილი და ჯუნა ბინაძე.



ოჯახის სიმდიდრე. ხუთი შვილი ყავთ, გივის და ჯუნას. გიორგი, ლიზი აკაკი, ელენე და ლილე გამებარდაშვილები.

სათუთია პოეტის გული. სწორედ ლამზირა შეყილაძის დამსახურებაა ჩემი მოხვედრა ამ დიდებულ ოჯახში. მისმა დედამ, ქალბატონმა ნინიმ მეათე შვილად მიმიღო. ისევ ლამზირა შეყილაძის პოეზიას მივუტრიალდები და ჩემი გულიდან წამოსულ სიტყვებს, რომელიც უსასრულოა და არასდროს დამთავრდება, წერტილს დავუსვამ. კვლავ პოეტის ლექსს ვთავაზობ მკითხველს, რომელსაც იბუღარ დას – ზაირას უძღვნის.

* * *

გაზაფხულზე გაჩნდი ქვეყნად,
მზის გულა და თვალციმციმა,
აპრილივით ხალასი ხარ,
თვალეებიდან მზე რომ გცვია.
ხარ, ციური გულის ვარდი,
სიცოცხლე და სიხარული,
რას დაგაკლებს სევდა დარდი,
გულში გიდგას გაზაფხული.
აპრილის მზე გულით დაგაქვს,
აპრილივით მოტრფიალე,
გზას გინათებს დღისით მზე და...
ღამით შუქით გავსებს მთვარე.
საქმით დალლას არც კი იმჩნევ,
დიდი ჯაფით მოუღლელო,
გულში დარდებს არ აღვივებ,
ღიმილ-ღიმილ გაგაქვს ლელო,
ხარ ღვთიური გულის ცემა,
ცის ნაჟურით დანამული.
როგორ მინდა ერთად ენოთ,
შენ და ტურთა გაზაფხული.



ლამზირა შეყილაძე



=სიცოცხლეს ქონია ფარები=

* * * * *

მთებმა ნისლი იცის, ბარში იშვიადად წვიმს. საჩხერის რაიონის სოფელ, ხვანის, ჭალვანის, ლიჩის, სოფლები ბუნების ოაზისშია ჩაფლული.

სოფლებს მდინარე ძირულა ჩამოუდის. მიდის მდინარე და მიაქვს წარსული, ტალღებით. წარსლში გასახსენებელმა ძალიან ბევრმა ინტელიგენტმა,

შემომაფინა თვალეები. ალექსანდრე და ბიძიანა შუბითიძეებმა, ჯუმბერი და სერიოჟა ხარაიშვილმა, ჯამბული შუბითიძემ, ლიანა და ლენა ხარაიშვილმა, სკოლის დირექტორმა გრიგოლ შუბითიძემ და უკ! ბევრი არიან. აქ, გავჩერდები, რადგან ისევ ნისლებში ჩავიკარგები. მე კი ვცდილობ, რომ მზის სხივებს ავედვნო და როცა ჩასვლას დაინწყებამზე, სხივებზე დავეკინწიალო და თან ჩვყვე. დილით ისევ ამოვიდე ლექსებად, ნოველებად, იმედად, რომ გავატბო თქვენი გული. ვიცი, რომ მიმიღებთ, ვიცი, რომ ვუყვარვარ უმრავლესობას. უმცირესობას კი... რას გაიგებ, ბედისწერისას, ვილაცა დამენდურება, ვილაცას ვაკე მრუდედ მოეჩვენება. ყველა ერთნაირად არ მსჯელობს, ყველა ერთნაირად ვერ აღიქვამს ჩემი სულის სინრფელეს. 2021 წლის ხუთი მაისი მამა ამირან ამირანაშვილმა დად მაკურთხა და ხუთი გარდაცვლილი ძმის

სანაცვლოდ დედამიშვილური სიტბო მაგრძობინა. წინა წელს მეცნიერებათა აკადემიაში ბატონ რეზო ადამიას წიგნის პრეზენტაციამ დამარწმუნა, მზის სიცოცხლის მნიშვნელობაზე. ხოლო, იმავე წელს ჩემმა ემიგრანტმა დედაშვილმა, ანერი კილაძემ, ყველა ტკივილი ნუთიერად მაინც დამავინცა და ბავშობის სახლში მატარიალა. კარგია მოგონება და სიცოცხლის წყაროს ძებნა. დიას, ვეძებ, ვპრობობ, ვქმნი და მერე კი მზის სხივს ჩავყვები, რომ კვლავ ამივიდე. პირველ სურათში, ჩემი პოემის გმირია, ბატონი ივერი ჭელიძე. ამ პიროვნების დარდიანი თავგადასავალი, პოემაშია აღწერილი. მწამს სულის უკვდავების, მწამს ის, რომ გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს. მინდა იმედი მივცე ყველას და მადლის სამოსში გავახვიო. დავრწმუნდი, რომ სიცოცხლეს ფერები ქონია. გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)



ჰოჯიის საღამო



ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიამ, 30 აპრილს უმასპინძლა, არაჩვეულებრივ პოეტებსს ქალბატონ ხათუნა ჩიტაძეს და ბატონ მამუკა ოჩიაურს. ორივე პიროვნება არის ამამავე აკადემიის წევრი და მწერალთა კავშირის წევრი. ღონისძიებას ესწრებოდნენ, რუსთავიდან, ლეგანდად აღიარებული ვერძო სკოლის მშეკაბადანის დირექტორი ქალბატონი ბელა ჯანგიძე, და პოეტი ქალბატონები: ქალბატონი ლამშირა, შეყილაძე და მათა გოშნიაშვილი, ექიმი, პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი. კახეთის რეგიონიდან, ამავ აკადემიის წევრი და მწერალთა კავშირის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თეა გურგენიძე. მოწვეულმა სტუმარმა, ქალბატონმა მაგდა ახალკაცმა, წარმოაჩინა ხათუნა ჩიტაძის ბავშობა. ისაუბრა იმაზე, თუ ამ არჩვეულებრივ ქალბატონს, როგორი მშობლები ზრდიდნენ. ყველაზე გულში მოსახვედრი იყო ის ფაქტი, რომ როდესაც ხათუნა გათხოვილა, მას დედამთილი გარდაცვლილი დახვედრია. თბილ და კეთილშობილ რძალს, მოუგროვებია დედამთილის აღიარებები წარსულიდან და წიგნი გამოუშვია. ქალბატონი ხათუნა ხუთი შვილის დედაა, თუ როგორი პოეტია, მოუსმინეთ ვიდეოს, ხილო პოეტი მამუკა ოჩიაური, როგორც ოთხი შვილის მამა და სასაზღვრო ზონის დამცველის პოეზიამ არ, შეიძლება, რომ არ დაგაინტერესოთ. უფრო ვრცელ იმფორმაციას იხილავთ, ჟურნალ „ათინათში“, რომელიც ივნისში გამოვა.



სიხარულის ცრემლი

თვალს მოწყვეტილი ცრემლის წვეთი, რამდენჯერმე ჩამოსრიალდა სახეზე თვა გურგენიძეს და... ამ ფონზე, გაღიმებაც უხდებოდა ნიჭიერ პოეტს. ოთახში სრული სიმშვიდის ჰარმონია სუფევდა. სიჩუმეში გამეფებული უთქმელი სიტყვები, თავისთვის საუბრობდნენ სიკეთეზე. თუმცა, პატარა მინი საღამოს დაწყებამდე, პირად მე, ჯერ შინაგანად ვინერვიულე და მერე შეშფოთებით დავიწყე აქეთ – დარეკვა. ბარი არ გადიოდა და ჩემი ნერვიულობა რეალური იყო რადგან, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრებს, ქალბატონ ლია შენგელიძეს და თია გურგენიძეს მოსვლა დაავიანდათ. კარგს ხომ არ, ფიქრობს, ასეთ დროს ადამიანი, შინაგანი ღელვა უკვე სიტყვიერადაც გამოვხატე და შიშის ფიქრმა იძულებული გამხადა, მენერვიულა. შიში



თია გურგენიძე



ლია შენგელიძე

სიხარულმა შეცვალა. აწრიალებული დარდის შემდეგ, აკადემიის კარები გაიღო და თია და ლიაც შემოვიდნენ. ღონისძიება დაიწყო.

თია გურგენიძის, პატარა მინიატურულმა, ლექსებმა მოწონება დაიმსახურეს და შესაქებ სიტყვებსაც არ იშურებდნენ, პოეტი ქალბატონები: ნინო უძილაური, ნანა მომცელიძე, ლამზირა შეყილაძე, ლია შენგელიძე, მზიური აფციაური, ნანა მუმლაძე და სხვები. თეას საპატივსაცემოდ პოეტმა ნინო უძილაურმა და პოეტმა ნანა მომცელიძემ სიმღერები შეასრულეს. სიხარულით აცრემლებულ თეას ბოლოს, ყველასათვის საყვარელმა მწერალთა კავშირის თავჯდომარემ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა, მწერელთა კავშირის მოწმობა გადასცა. ასეთი ცრემლი ბევრჯერ წასკდეს თეას და დარდის ცრემლისგან კი უფალმა დაიფაროს.



=== ხარაიშვილებო ===

იქნებ არ იცით

26 მაისს უწმინდესმა და უნეტარესმა, დალოცა ხარაიშვილების გვარი. ახალგაზრდების ინიციატივით კერძოდ ლაგოდუხელი გვანცა ხარაიშვილის და გვარის რამოდენიმე აქტივისტით, შექმნილია, ლომისის წმინდა გიორგის ხატი. რამოდენიმე წლის წინ გვანცა ხარაიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ხატს თუ სად უნდა დაედო ბინა. ამის თაბაზე ვთხოვე, ამაღლების მოძღვარს, მამა ამირან ამირანაშვილს. მამა ამირანმა დიდი პატივი გვცა და ხარაიშვილების საგვარეულო ხატს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ამაღლების ეკლესიაში. ახლოვდება 26 მაისი, შეიძლება ყველამ არ იცის, თუ სად არის ლომისის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ხარაიშვილების მფარველია. ამიტომ ამ იმფორმაციის მიწოდება თითოეული ხარაიშვილისათვის საჭიროდ ჩავთვალე! ... და ბოლოს გფარავდეთ ლომისის წმინდა გიორგი და მამა ამირანს კი დიდი მადლობა თქვენი სახელით მინდა გადაუხადო.



===:ცხრამეტი მაისია:===
შვილო გელა



ცხრამეტ მაისს ყოველთვის ჩემს ოჯახში ქარელის რაიონის სოფელ კოდაში, ოჯახური იდილია, სანათესაოს თავყრილობა იმართებოდა. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო დიდი ოჯახის ფუძის თავკაცი (ჩემი მამათილი) შალვა სხირტლაძე და დიდი ოჯახის დიდი დედა (დედამთილი) ვარა გოგატიშვილი. მათ სიტყვას ყოველთვის ფასი ქონდა. სამი ვაჟკაცი და ერთი გოგონა გაზარდეს. უფროსი ჩემი მეუღლე (ვახტანგ სხირტლაძე), ჩემი მამლები: ჟორა (გიორგი), თამაზი და მული გულნაზ სხირტლაძე. სოფელში სამი სახლი იდგა, დიდი ფუძიდან ფუტკარივით განაყარი ორი სახლი, ჩვენი და ჩემი მამლის.

ცხრა მაისს პირველი ჩემს ოჯახში იყრიდნენ თავს, სამი ოჯახის გამრავლებული ნათესაობა. 2021 წლის ცხრამეტი მაისი კი ჩემი შვილის გახსენების დღედ გადავაქციე.აი, რა არის ბედის ირონია. ცნობილმა მხატვარმა დახატა ჩემი შვილის სურათი. მამა ამირან ამირანაშვილი უძღვებოდა, საღამოს. ნაიკითხეს ლექსები სევდის სამოსახლოდან. ხოლო ცნობილი პოეტი ნინო უძილაური კი რომელიც ოცდაშვიდ აპრილს არის დაბადებული ჩემი შვილის დაბადების დღეს. გარდაცვლილი ჩემი გელა ძმად მიიღო. ეს, არის პოეტის სული, რადგან ქალბატონი ნინო დარწმუნებულია, რომ გელას სული უკვდავია და ზეციდან დალიცავს მას. როცა ასი წლის შემდეგ ნინო უძილაური ცას ესტუმრება გელა მას გადაეხვევა და ეტყვის: მადლობა დაო, რომ ჩემი დედიკოს გულს მალამოდ ეცხებიო. ცხრამეტ მაისს ჩემი შვილის პორტრეტი გადმომცეს, სამხედრო სამოსით, მას დამთავრებული ქონდა ლესელიძის სახელობის სამხედრო სასწავლებელი. ცხრა აპრილს ამ სასწავლებლის მოსწავლეები გაიფიცნენ და იმ ტკივილიანი აქციის გვრდით იდგნენ. გელა იყო, ძალიან ძლიერი და თბილიც ყველას უყვარდა და ყველა უყვარდა მას. ცხრა წელია რაც დატოვა მინიერი სამყარო და ზეცას შეუერთდა. ცხრამეტ თებერვალს გარდაიცვალა. დიდი თოვლი მოვიდა, გზები ჩაკეტილი იყო დიდი თოვლის გამო. სოფელ კოდის მოსახლეობა ფეხზე დადგა გზის გასაწმენდად დიდი და პატარა. სოფელი გავდა ტიანშანის მიუალ მთებს. დღეს მომეცა საშუალება და საბაბი მადლობა გადაუხადო, სოფელ კოდის მოსახლეობას. ხალხს, რომელსაც დიდი სიყვარული შეუძლიათ. ახლა ამ სიტყვების დაწერის დროს უკვე ოცი მაისია. სოფელში გეიმია, საზეიმო დღეები არ გამოგილიოთ ღმერთმა. მე ჩემი დარდის სამოსახლოდან გლოვავთ. არც ერთ დედას არ ენახოს ის ტკივილი რაც ჩემს თავზე ტრიალებს. მიყვარხართ. ჩემი აკადემიის ყველა წევრი კი ჩემს გულში საკუთარი შვილებივით დააბიჯებენ ჩემი დარდის არემარეში. ვქმნით, ვწერთ და არ არსებობს მათი კალამი სიკვითით არ მოგვწვდეთ. ეს,

დღე უსათოდ დადგება. თქვენ იმსახურებთ, რომ თქვენი სახელი ისტორიის ნაწილი გახდეს. გაგიკვირდებათ ახლა რასაც ვიტყვი, გელას პორტრეტი შეეშა ცნობილმა მხატვარმა ალექსანდრე ცხელაშვილმა, იგი 93წლისაა, მისი ნახატები დაცულია მსოფლიოს ყველა მუზეუმში. ამ დღის საპატივსაცემოდ, მწერალთა კავშირის თავჯდომარემ, ბატონ ალექსანდრეს გადაცა, ჩემი ან გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის პრემია. გულნაზ ხარაიშვილი(ცისკარელი)



==+ ნარეჟარი ჰვარი+ ==

გაბათხულის ლამაზი დღე იყო. სიტბო და ყვავილების სურნელება, ლამაზ განწყობილებას მიქმნიდა. აკადემიის, ახალ გამოცემულ ანთოლოგიის წიგნე ვფიქრობდი. თბილმა და ლამაზმა დღემ, თერჯოლაში წასვლის იდეის გზისკენ მიმანიშნა, დაუკავშირდი პოეტ ლამბირა შეყილაძეს და იდეა გავაცანი. ძალიან კარგი მაგრამ იციან, რომ უნდა ჩახვიდე? კითხვა შემიტრიალა პოეტმა. კი, იციან. კერძოდ ქალბატონა თამარ გავაშელმა. თამარი ვინ არის? თამარი პიეტია, ინვალიდია, არაჩვეულებრივი პროზაული და პოეტური წიგნების ავტორია. თან გამგებელთანაც დარევილი მაქვს. თერჯოლის გამგებელი ჩვენი ჭიათურელია, ბატონ თემურ ჯაფარიძე. დამპირდა ოც ეგზემპლიარს ავიღებ და თანხასაც ჩაგირიცხავ, აკადემიის ანგარიშზე. თემური ჯაფარიძე? ეგ, ხომ ჩემი კლასელია. აღტაცებით წამოიძახა, ჩემმა მეგობარმა და ეტყობოდა ფიქრებში ჩაიძირა, რადგან ტელეფონში დუმილმა დაისადგურა. დუმილის შემდეგ, ისევ ალაპარაკდა, თემური ვარგად სწავლობდა, ძალიან ვაჟკაცი და სამართლიანი მეგობარი იყო. ჰოდა, ძალიან კარგი, ჩვენი აკადემიის წევრის ბატონი ონერ ძაძუას მანქანით მივდივართ. ერთ საათში თბილისიდან, დასავლეთის მიმართულებით მივდიოდით და მაინც ეჭვით ვუყურებდი ჩემს გადამწყვეტილებას, რომ არ დამიხვდეს? ამხელა გზაზე, ისე ჩავიდე. ხომ შეიძლება, გამგებელია და სასწრაფოდ გამოიძახოს ქუთაისის გუბერნატორმა. გზაში მხიარულ განწყობილებას ვინარჩუნებდი, მაგრამ შინაგანად ვღელავდი. ვღელავდი იმიტომ, რომ წიგნი კომპიუტერმა შეცვალა და ყველანაირ ინფორმაციას, ინტერნეტ სივრციდან ღებულობენ. თან აკვიატებული ფიქრი, რომ არ დამიხვდეს? სამ საათში თერჯოლაში ვიყავით. ორსართულიანი შესასვლელ კარეთთან, მოკრძალებულად ტირიფებს დაეხარათ თავი. სასწრაფოდ ავირბინე კიბები, მეორე სართულზე კარებს, თემურ ჯაფარიძის სახელი და გვარი ამოვიკითხე. კარი ოდნავ შევადე და მდივნის ლამაზმა სახემ, თვალეები შემომადგეთა. გამგებელი არ არის. ეტყობა მდივანია, მაგრამ ეკითხა ვინ ვარ, რა მინდა, ასე სასწრაფო პასუხი რა არის. ქალბატონო, მე დაბარებული ვიყავი. მესმის, მაგრამ სასწრაფოდ გამოიძახეს. ჩემი აკვიატებული ინტუიცია, გულში გავიფიქრე, რომ არ დამხვდეს??? ცივად გამოვტრიალდი. დაბლა დაცვას ვთხოვე, წიგნები მოვიტანე, გამგებელი არ დამხვდა, დაბარებული ვიყავი, იცის რაც უნდა მომეტანა. წერილსაც დავტოვე და შეგიძლია დახმარება, რომ გამინიო? მოწესრიგებულმა, ახალგაზრდამ დახმარება გამინია და გზა ინვალიდ პოეტისკენ განვაგრძე. დაფიქრებულ გულდამძიმებული ავიარე კიბები, გვერდით მდუმარედ მომყვებოდა ლამბირა. თამარი მეორე სართულზე ცხოვრობდა, კარები ახოვანმა, ახალგაზრდა მამაკაცმა გააღო. მობრძანდით, მობრძანდით, თავაზიანად შეგვიპატიჟა შინ და საწოლიდან ულამაზესმა სახემ გამოანათა. სახლში ტელევიზია დაგვიხვდა, არ შევიძინე გაოცება და ჩამოვჭექე. თამარ, საყვარელო, ანთოლოგიის წიგნი მოგიტანე, შენი ლექსები დავბეჭდე. თამარმა გულში ჩამიკრა, თავისი ნაზი თითები წიგნს შეახო. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, თამარს ლამბირა წარუდგინე. თამარიმ კი იქ, დამხვდნის გამაცნო, უმედის ტელევიზიაა, ბატონმა თემურიმ გამოგზავნა, თქვენგან ინტერვიუ



თემურ ჯაფარიძე

უნდა აიღონ თუ ძალიან არ შეგანუხებთ. რას ამბობ თამარ, საყვარელო, შენთვის ჩამოვედით. ვიცი გამგებელმა, ხილი, ტორტი და შამპანიურები გამოგზავნა საპატივსაცემოდ. რაღაცა ხდება, კვლავ ჩემს თავს ვეკითხები, მაგრამ რა? ჟურნალისტების, დასმულ კითხვებზე სასწრაფოდ პასუხი გავეცი და წამოვდექი. რას, ბრძანებთ, წასვლა არც იფიქროთ, მიირთვით, გზანამოვლილები ხართ. არა, არა, ძალიან გვეჩქარება და კარებისკვებ გავინიე. თამარ საყვარელო, იმედი არ დაკარგო, კარგად გახდები დავემშვიდობე. დაბლა ჩავედი, ლამზირა თავისი ჩვეული სიმშვიდით გვერდით მომყვებოდა. ბატონი ონერის მანქანისკენ წავედი, წინ ახალგაზრდა გადამიდგა. რა გნებავს? თქვენ წასაყვანად გამომგზავნეს. ვინ გამოგზავნათ, მე მანქანით ვარ. ვიცით ქალბატონო, თემურ ჯაფარიძემ გამოგვაგზავნა, აუცილებელი საქმე მაქვს და უნდა შევხვედეთ. ლამზირას შევხედე, რა ვქნათ? ლამზირამ მხრები აიჩეჩა, გადანწყვეტილ პასუხს არ მაძლევდა. მყუდროება ბატონმა ონერმა დაარღვია. რა პრობლემაა, თქვენ წადით და უკან გამოგყვებით. მანქანაში ჩავჯექით, კვლავ რა ხდება? ეს, ფიქრი არ მცოდნება. რაიონი ხუთი კილომეტრით ჩამოვიშორეთ. ჩვენმა დამპატიყვებელმა პიროვნებამ რეტორანისკენ შეუხვია, ჩვენც იძულებული ვიყავით უნდა მივყოლოდით. მობრძანდით, შემოგვეგება ბატონ თემურ ჯაფარიძე. გაცვებულმა სალაში უთხარი, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე ჩემი პიროვნება დაბნეული, რადგან დარბაზი, სადაც თვითონ შეგვიძღვა, სავსე იყო, სასულიერო პირებით. ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი,



ჯუმბერ ხარაიშვილი

საიდან არა და ვინ არ იყო. დასავლეთის რეგიონის საჯარო მომსახურეები, გამგებლები, არაფერს ვაჭარბებ, ამდენი რჩეული, სხვადასხვა ეპარქიის წარმომადგენლები, მეუფეები, მამაობის თავყრილობა, არსად მინახავს. ბატონმა ორი მეუფის გვერდით დაგვსვა, იმერეთის გუბერნატორთან ერთად. ჩვენი თავი წარუდგინა, იქ, დამხვედრებს. თვითონ არ დაჯდა, თავზე, დაგვტრიალებდა. გამიკვირდა, დიახ! უკვე ყველაფერი იყო, ზომას გადაცილებული, რაღაც არა ამქვეყნიური, ზეციური. ასეთი სიმშვიდე, მერე ქართული ანსამბლი ვეღარ ვიხსენებ, რომელი ანსამბლი ყავდა მონვეული. თავის ხელით გვილაგებდა სხვადასხვა ვერძებს, ხილს რას აღარა. ეს, იყო სამოთხე. მერე ლექსების წაკითხვა გვთხოვა, ჩვენც წავიკითხეთ. მეუფე გრიგოლმა მეც და ლამზირასაც ჯვარი გვაჩუქა და გვითრა: ატარეთ,

ჯერ-ჯერობით, მერე კიდევ გაჩუქებთო. წამოსვლა ნახევარი საათის შემდეგ დავაპირე, ბატონმა თემურმა გაიღიმა და დარბაზს მიმართა. მაპატიეთ, ამ ქალბატონებს დაუთმე განსაკუთრებული ყურადღება რადგან, ქალბატონი გულნაზის ბიძაშვილმა, ჯუმბერ ხარაიშვილმა დამირევა და მთხოვა, ჩემი ბიძაშვილი მოდის და აბა, შენ იციო. ახლა მიდის და ყველამ ერთად დალოცეთ. ასეთ რამეს ვიცი არ დაიჭრებთ, მაგრამ უნდა დამიჯეროთ, რადგან უკვე გარდაცვლილ თემურ ჯაფარიძეზე და გარდაცვლილ ჯუმბერ ხარაიშვილის სულის საპატივსაცემოდ ირწმუნეთ ეს, ჩემი მონოლოგი. ის, დღე ზეციური, არამინიერი იყო. თემურის ფოტო ფეისბუქში ვნახე და გარდაცვალებას, რომ წერდნენ ავლაპარაკდი. გზა ნათელი გემრიელო და გულიანო იმერელო. ახლა ჯუმბერ ხარაიშვილიც ზეცაშია და იმოგზაურეთ უკვდავებაში.



ასეთი ქალბატონები უმრავლეს საქართველოს

მოკლე ბიოგრაფია

თვა ვაჟას ასული ვანდელაკი დაიბადა ქ. თბილისში 1975 წლის 22 ენკენის თვეს. 1987 წელს ამთავრებს ძერჟინსკის სახელობის სახლთან არსებული ქართული ხალხური ცეკვების სტუდიას,

1992 წელს კი წითელ დიპლომზე ამთავრებს ი. ი. სუხიშვილის სახელობის სახელმწიფო სტუდიას, არის ამავე სტუდიასთან არსებული ქალ-ვაჟთა ანსამბლის სოლისტი. მოგვიანებით ანსამბლ „როკვა“-ს მოცაკვავე, შემდეგ კი, „ხერთვისი“-ს, „ვარაზი“-ს წამყვანი სოლისტი.

1990 წელს კი, ქ. თბილისის მე-10 სპეც. მუსიკალურ სასწავლებელს.

1992-93 წლებში ცეკვავდა ი.ი.სუხიშვილის ქართულ ნაციონალურ ბალეტში მოცეკვავე სტაჟიორად.

ამავე 1992 წელს მისი ხელმძღვანელობით იქმნება საქართველოს ჰიონერთა სასახლის ისნის რაიონის ფილიალთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამება“რომელიც 1995 წლიდან მოღვაწეობას აგრძელებს ქ. თბილისის მედ. მუშაკთა სახლთან „გელათი“-ს სახელწოდებით.



1997 წელს ანსამბლი „გელათი“ მსოფლიო ხალხთა ცეკვების I საერთაშორისო ფესტივალზე გახდა „ოქროს ირემი“-ს მფლობელი ნომინაციით – ინტერნაციონალური ცეკვის საუკეთესო შესრულებისათვის. წარდგენილ იქნა ებრაული ცეკვა–“იმანუელ”

1993/94 წლებში საქართველოს ქორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის დირექცია თეა კანდელაკს აჯილდოვებს სიგელით – საუკეთესო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

1996 წელს წარჩინებით ამთავრებს ქ. თბილისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ფაკულტეტს.

1998 წლის დეკემბრიდან თეა კანდელაკი 6 თვიანი საგასტროლო პროგრამით მიემგზავრება აშშ.

2002 წელს ნიუ-იორკის სამოდელო სააგენტოს OPTIONS TALANT GROUP-ის მიწვევით ხდება ფლორიდის შტატის JC John Casablancas Modeling & Career Center –ს ფოტო მოდეელი.

2003 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ – ქალბატონ დენიზა სუმბაძესთან ერთად არის ნიუ-იორკის ქართველოლოგიურ ცენტრის „ბიბლია და საქართველო“-ს თანადამფუძნებელი.

2005 წლიდან გახლავთ ნიუ-იორკის წმ. ნინოს სახელობის პირველ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძართან არსებული საკვირაო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი (დეკანოზი – ალექსანდრე თანდილაშვილი)

2005 წლიდანვე საფუძველს უყრის ქართულ-ებრაული კულტურის ცენტრს „TK ART SCHOOL“-ს

2006 წელს აარსებს ნიუ-იორკის არასამთავრობო საერთაშორისო ასოციაციას – INTERNATIONAL ASSOCIATION “ERTOBA” INC -ს.

2007 წელს, თეა კანდელაკის ლექსზე „ო, ბედისწერავ, რას მემდური, რას მემართლები“ შეიქმნა სიმღერა „მუხამბაზი“ რომელიც გამოყენებულ იქნა ლერმონტოვის პიესის „მწირი“-ს მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „DEMON“ სახელწოდებით “Spirit of Tamar”, რომლის მუსიკის ავტორი და შემსრულებელიც გახლდათ ქ. თამრიკო დავითაშვილი, (რეჟისორი – ანდრეი დიონი, სცენარი და დემონის პარტია -რუსტემ გალიჩი). ქორეოგრაფიული დადგმა თეა კანდელაკის.

2016 წელს ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრი „ბიბლია და საქართველო“ -ს ეგიდით იბეჭდება თეა კანდელაკის პირველი კრებული „ცისფერ ცრემლთა ძონისფერი ნაფეხურები“ (გამომცემლობა უნივერსალი).

2016 წლის 24 სექტემბერს კი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საპარლამენტო დარბაზში გაიმართა ამავე წიგნის პრეზენტაცია.

2017 წელს ემიგრანტი ბავშვებისთვის ქმნის ქართული ანბანის გართიმულ ვარიაციას, პროექტით – „ვითამაშოთ ქართულ ანბანთან ერთად“

2017 წლის 9 ივნისს ხდება საქართველოს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი და ენიჭება ამავე აკადემიის აკადემიკოსის წოდება.

2019 წლიდან კი ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათი“-ს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების ერთერთი რედაქტორი.

2019 წელს საქართველოში იბეჭდება თეა კანდელაკის მეორე კრებული „ ანანკე“.

2019 წლის ივნისის თვეში ხდება საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი

2019 წელს საქართველოს „დიასპორის სახლი“-ს მიერ თეა კანდელაკი ჭილდოვდება „წარმატებული ემიგრანტი -2019“

2019 წელს საქართველოს პარლამენტის სახელით თეა კანდელაკს გადაეცა აღიარების სერთიფიკატი (სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნების, ადგილსამყოფელ ქვეყანასა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში განეული ღვაწლისთვის

2020 წელს საფუძველი ჩაეყარა ქართლი დიასპორის საერთაშორისო კოალიციას – თეა კანდელაკი INTERNATIONAL ASSOCIATION “ERTOBA -სთან ერთად გახლავთ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ამავე წელს ხდება მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის “TIA GEORGIA” წევრი.

2020 წელს კი BKS Community Center Corporation ერთ-ერთი დამფუძნებელია.

2020 წელს მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია „TIA GEORGIA“ გადასცემს სამადლობელ სერთიფიკატს ემიგრაციაში სამშობლოს წინაშე განეული ფასდაუდებელი ამაგისათვის.

ამავე 2020 წლის 04.10 საქართველოს გენერალური საკონსულო ქალაქ ნიუ-იორკში მადლობას უცხადებს აშშ-ში საქართველოს ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის

შენარჩუნების ხელშეწყობისთვის და ქართველი ემიგრანტი ბავშვებისათვის მშობლიური ქართული ენის სწავლებაში შტანილი წვლილისათვის.

თეა კანდელაკი ადრეული ასაკიდან იწყებს ხატვნერას.

მათ შორის მთავარანგელოზის ხატი (დაბრძანებულია მანჰეტენში მე-2 ავენიუზე ნმ. მარიაშის სახელობის ბერძნულ საკათედრო ტაძარის საკურთხეველში, (წინამძღვარი მამა კრისტოფერი),

მოგვიანებით კი ნმ. ნიკოლოზის ხატი, რომელიც დაბრძანებულია ნიუ-იორკის ნმ. ნინოს სახელობის ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში, (დეკანოზი – ალექსანდრე თანდილაშვილი) და იესო ქრისტეს ჰანტოკრატოსის ხატი .

თეა კანდელაკს ყავს მეუღლე – სოსო ჩალიგავა (ექიმი თერაპევტი) და ოთხი ქალიშვილი – მართა, ქეთევანი, თეკლა და მარიაში.



ყველაფერი ამ აღიარების შემდეგ გადავწყვიტე თეა კანდელაკის, ეს ბიოგრაფიული ცნობები მიმეწოდებინა, მწერალთა კავშირის თავჯდომარის ქალბატონი მაყვალა გონაშვილისათვის. ჩემი რეკომენდაციით როგორც გამგეობის წევრისთვის ნდობა გამოეცხადებინათ და თეა კანდელაკისთვის მინიჭებიათ, პრემია: – „თამარ დედოფლის ენდალმა“ მადლობა მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ბატონ რეზო მიშველაძეს, ბადათერ არაბულს, თემურ ჩალეშვილს, სოსო სიგუას, რომ თეა კანდელაკს გადასცეს პრემია, რასაც რელურად იმსახურებს, მისი ბიოგრაფიიდან და წიგნებიდან გამომდინარე..

მკითხველს ვთავაზობ თეა კანდელაკის რამდენიმე ლექსს

ფანტომის ხორუმი

ყოველ გზას, ყოველ წამს შენთან მოვყავარ.
 მე შენი დიდების უტყვი მონა ვარ...
 ვერა რამ ვერ შთქანთქა შენზე ფიქრები,
 სიზმარშიც მზის დარი სირმით ირთვები.
 ფირუზით ნაქარგო ჩემო თბილისო –
 ვერ შევძელ უშენოდ ცხოვრება ვიტვირთო,
 მეტეხთან ჩაივლის მტკვარი დუდუნით
 და აბჯარს აისხამს ზართა გუგუნით...
 იქით კი გორგასლის მზერა ამაყი
 ველება მთა-გორებს, ველებს ალაზნის...
 რიყებზე მივყვები ბორანს ტაატიო,
 ეს წუთის სოფელი ვის რას დააცლის?!
 მფარლნევ! უმღერე თბილისს ნაფიცარს,
 ამ ქვეყნის წალკოტს და სულის საფიცარს!

დიდებულ მთანმინდას კრძალვით ვეახელ,
 მარტო არ დამტოვო ჩემო მფარლნევ!
 რიყესთან ელვარებს გრდემლი ოპიზრის!
 ფიესტა მოზიდავს არბალეტს მოისრის!
 ვერ დავთმე ვარაფრით მე შენზე ფიქრები,
 ფანტომით დაჭრილი შენს სულად ვიქმნები...
 მაცხოვრის ტაძართან, სადღაც – ერთ ნაბიჯში,
 მეჩეთს და მოსეს ღვთის ტაძრებს რომ იხილავ,
 რა გონმა იტიოს... რა გულმა ატაროს
 ეს ღმერთი – მაღალი, თუ არა – თბილისმა?!
 მინდა რომ ამ ქუჩებს, ამ ტაძრებს, ამ ზეცას,
 ფარდაგად ვიფენდე ჩემს სულის თილისმად,
 ისე ნუ მოვკვდები, ისე ნუ წავხდები,
 რომ არ დამიტიროს მე ჩემმა თბილისმა!..

08/30/20

ენავ ქართულო...

ყველა მიელტვის „ახალს“ და უცხო სიტყვათა ლექსიკონს...
 გაუსაძლისი რბოლა აქვთ, ზენიტს კი ბევრი ვერ იყოფს...
 „ძველი“ საღორეს მიაგდეს, ღვთის მადლით ქმნილი, მცხოვანი...
 ნეტავ სად ნახეთ სადარი ნუსხა-ხუცურის, მრგვლოვანის?!
 შენი თუ არ დააფასე, სხვის – ფიქრადაც კი არ ღირხარ!
 სხვათა მიბაძვით იცოდე, კვლავ ბენვის ხიდზე გადიხარ!
 შენ ის გმართებს რომ სხვა ერი შენს სულში შემოახედო
 და არნახული საუნჯის დიდება შემოაგებო.
 როგორც სამება უფალში, ენაც ისევე იდიდა!
 სამსახოვანი ანბანი – გზად, რომელ ერმა იფინა?!
 მხოლოდ ღვთისმშობელს ესმოდა ჯვრიდან მაცხოვრის ძახილი!
 ახლაც მოისმის სვანეთში ლალხორის გადმოძახილი.
 „იავ ქალდი და ბებუცი“ – ვარსკვლავთ სადარო, მთვარისავ!
 სხვა ენამ რა გზით დაგჩრდილოს, არ გასაგონო ავისა...
 მოვა დრო, შენით ემცნობა მკა – ცხვრებისა და კრავისა
 ენავ ქართულო, იდიდე! ენავ! – ხელ – არ საკრავისა!!!

ნიუ-იორკი, აშშ.
09/07/2020



==:: 2021 ::== =ხუთი მაისი==



აღდომის მესამე დღეა, გულდამძიმებული ჩამოვედი, ჩემი სოფლიდან რუსთავში. დაღამდა, ძილის დროა, არ მეძინება, ფიქრის კორიანტელში ამოვყავი თავი. ბედისწერა ზემოდა, გამარჯვების იერით, შევატყვე, რომ დამცინოდა. ძალა მოვიკრიფე და სულის სიძლიერის რკინის ვედელი ავღმართე ჩემსა და ბედისწერას შორის. ცრემლები შევიმშრალე და ხვალინდელ დღეზე დავიწყე ფიქრი. ჩამეძინა, თვალი გავახილე და ჩემს საძინებელ ფანჯარასთან, წვიმის წვეთები ტიროდნენ. მოვძლიერდი, წვიმის წვეთებს, მოვეფერე, გამოვკითხე დარდის მიზეზი. წვეთებმა ერთად წამოიყვირეს, შენ გდარდოფთო. გამიკვირდა, ნუთუ თქვენც? შევძახე და ლოგინიდან, სწრაფად წამოვდექი, გამახსენდა რომ ხუთი მაისი ჩემი დაბადების დღე იყო. ნუთუ ზეცას მიწვდა ჩემი დარდის მიზეზი? დიას! შემეხმინა, ჩემივე ფიქრი. ჩემმა, თბილმა მშობლებმა, ხუთმა ძმამ, მეუღლემ, შვილმა გელამ, ძმიშვილიშვილმა დათამ, და ჩემი პოემების პერსონაჟებმა, „მდულარე ცრემლი,, „ერთი ლამაზი ქართული ოჯახის ისტორია,, „მკვლელობა საკუთარ სახლში,, სევდის ბალიშზე მიძინებული, რომ დამინახეს, იტირეს? დიას, ტირიან! კვლავ ხმა მჰასუხობს. ზეციდან ცრმლების სახით, კოკისპირული წვიმის წვეთები ფანჯარასთან აახმაურეს რათა

გამოფხიზლებულიყავი. ეს, რა გავაკეთე, შეუძახე, საკუთარ მეს და ტელეფონს მიწვავდი. ჩემი ფეიბუქის გვერდი, ყვავილებითა და თბილი სიტყვებით იყო, გასხიოსნებული. სულ პირველი მამა ამირან ამირანაშვილის მეუღლე ქალბატონი თამარ გველესიანი მილოცავდა. კეთილი სურვლებით და ხვალინდელი დღის იმედით გაგიბრწყინდეს დილაო. ქალბატონი თამარი თვითონაც ხუთ მაისს არის დაბადებული და მეც მივეფერე: = შენ ქალურობის ეტალონი ხარ, ფიზუკურობით ჩემო თამარი. მერე, იმდენი მოლოცვები და იმდენი თბილი სიტყვები, მოძღვნილი ლექსები, რომ დავინახე, სახელდახელოდ ასეთი ღონისძიება დავგეგმე. ჩავსულიყავი აკადემიაში, მომეყვანა რეჟისორი, წამეყვანა ჩემი სულიერი და ლამზირა შეყილაძე და ყველასთვის მადლობა გადამეხადა და ფეისბუქზე დამედო. ტაქსი გამოვიძახე, რადგან პანდემიის გამო ტრანსპორტი არ იყო. სანამ ლამზირამდე მივდი, მამა ამირანი მირეკავს და მილოცავს დაბადების დღეს. გამეხარდა მამაოს დალოცვა. მამაომ, დალოცვის შემდეგ, ასეთი რამ შემომთავაზა, რომ მისვლიყავი, მისივე ტაძარში, დაველოცე და შემდეგ, სუფრასთან, შენი დღე ავღნიშნოთო. რადგან, ახლახან, გარდაგეცვალა, ძმა რომელსაც, ამირანი ერქვა, ჰოდა მე ვარ, უკვე შენი სულიერი ძმა ამირან ამირანაშვილიო. ღმერთო, დაილოცოს შენი სიძლიერე, მადლობა უფალო, რომ ტკივილის მსხნელად, მომივლინე მამა ამირანი-თქო. ეს, სიახლე მეგობარსაც გავანდე და ერთ საათში, ამალღების ეკლესიაში აღმოვჩნდი. შვებით ამოვისუნთქე, აქ, არის დაბრძანებული ჩემი საგვარეულოს, ლომისის წმინდა გიორგის ხატი. გამახსენდა ამალღების დღე, სწორედ წინა წელსაც, პანდემია იყო, და ტაქსით ამოვედი, ამალღების ეკლესიაში სალოცავად. სწორედ, იმ დღეს წაიყვანა უფალმა თავისი ანგელოზი თავისთან დათა შუბითიძე, ჩემი ძმიშვილიშვილი. მეორე წელია 2021 წელი ხუთი მაისი და მამაოს ლოცვა კურთხევით მოვხვდი, ამალღების ეკლესიაში. მამაომ თვითონ დაგვირიგა საჩუქრად დიდი სანთლები, შეგვიძღვა ეკლესიაში დაგვლოცა და ჩემს საგვარეულო ხატთან, ჩემთან ერთად სურათიც გადაიღო. რა, სტყვები დავწერო, რითი გამოვხატო, ასეთი კეთილი მამაოს მიმართ ჩემი მოკრძალებული პატივისცემა, უკვე ესეც, უფლისთვის მიმინდია. აბა რაა, მე რა შემიძლია, ერთ უბრალო ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანს. მამაო მოგმართავ დიდი პატივისცემით, დიდხანს იცოცხლე უფლისგან სულის ხსნად მოვლინებულო, (სულიერო ძმაო) მამა ამირან ამირანაშვილო. სურპრიზები გაგრძელდა, ჩავედი ერთ – ერთ რესტორანში, სადაც ყველანაირი დისტანციით გათვალისწინებული ადგილები იყო შერჩეული. მამაო, კრძალვით მივმართე, ოთხი ვართ და შვიდ ადამიანზე რატომ გააშალევინეთ სუფრა? ამაში ხომ იხდით და ასე რომ იხარჯებით, განვიცდი. გაიღიმა და წარმოთქვა: აქ, მოვლენ სამი ისეთი აკადემიის წევრები, ძალიან რომ გაგეხარდებო. ვინ მამაო? კითხვა შევბედე. ქალბატონი ეთერ ჭელიძე, ბატონი ივერი ჭელიძე და ქალბატონი ხათუნა ელიაშვილი. არა მამაო, ეთერი აქ, ვერ მოვა, ნუხელი მესაუბრა, სიცხე აქვს. უფალი მიცემს ძალას, ეთერი კარგად იქნება, დამჯერებლად წარმოთქვა

მამამ. არ, არსებობს მამაო, ეთერი გაცივებულია. კარგად იქნება და სურათებისკენ გვანიშნა სანამ მოვლენ სურათები გადავიღოთო. ჩვენც დავმორჩილდით და თეთრ ქათქათა იასამნის სურნელებით გაბრუებულნი დაველოდეთ მოვლენებს. არ გასულა ნახევარი საათი და შემოდის პოეტი ეთერ ჭელიძე და ბატონი ივერი ჭელიძე. ჩემს ჯერ გავკვირვებას და მერე სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ხუთ წუთში ქალბატონმა ხათუნა ელიაშვილმაც ლამაზი წითელი ვარდებით შემოანათა ოთახში. ეს, დღე ჩვეულებრივი დღე არ იყო, ეს დღე სულიერი დედამიშვილების შეძენისა და სიცოცხლის გაგრძელების დღე იყო. ქრისტე აღდგა. ჭეშმარიტად აღდგა. ყველა გარდაცვლილი ზეიმობდა, ზეიმობდა, ჩემი პოემის პერსონაჟები, ქალბატონი ნელი გელაშვილი, პატარა ივიკო ასაკით და სახელით კი სიცოცხლეშივე აღიარებული ფეხბურთელი. ამ დღემ კიდევ ერთხელ სასწაული დამანახა და ვკლავ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დამაყენა. ვინც ჩემი გულითვის, თბილი სიტყვები დაწერა, დრო დამითმო და მომეფერა. უფალო, სიკეთის დაუპრეტელ წყაროდ გადამაქციე, რათა ყველას ვაამო და მოვეფერო.



ნელი გელაშვილი



ივიკო ჭელიძე

სიკეთის იარაღი

მიყვარს, ცა, მთები, ყვავილები, ზღვა და დედამინა...

სიძულვილი არ ვიცი რაა, სიყვარულით ვტკვები. ბედმა სასიკვდილო წვეპლა ბევრჯერ გადა-
მანნა. შეცდა ბედი, ეგონა მომკლავდა. თვალთ უხილავი ძალა იმ წუთშივე წამომეშველა და ძალა
მომცა. არასოდეს მიგვრძენია სულის შიმშილი. ან რატომ უნდა მეგვრძნო? მე ხომ მდიდარი ვარ.
სიმდირე სიყვარულია. ჰოდა, ისე უხვად მაქვს ეს სიმდირე ხვთისგან ბოძებული, არ მენანება. თუ,
მოისურვებენ სხვებსაც ვუნანილებ. თუმცა, წლობით გაცემული ამაგის მიუხედავად, სიძულვილის
ქვები დაუშენიათ. გამოგიტყდებით და გეტყვით: გამკვირვებია, თუ რატომ ან რისთვის? ხმა არ
ამომიღია. არასოდეს არ გამომიყენებია სიძულვლის იარაღი. სიკეთის იარაღის ხმარებას არაფე-
რი ჯობია. დუმილით დავდივარ და სიყვარულის ჯავშანი მაცვია. ვიცი არასოდეს მოვკვდები. ისიც
ვიცი, რომ გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს, ღვინის სავსე ქვევრივით, გულის სარქველი,
სიკეთისა და მადლის თესვით მაქვს ავსილი.



ნანა მომცემილიძე

ალექსანდრე ციხელაშვილის შეუდარებელი ფუნჯი



გუშინ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში სულიერად მძიმე, მაგრამ, ამავდროულად, სასიამოვნო საღამო გაიმართა. ჟურნალ "ათინათში" ქალბატონ გულნაზს ახალი რუბრიკა აქვს. "დარდების სამოსახლო", სადაც იმქვეყნიურ ზეციურ ქვეყანაში გადასახლდებულ ახლობელთა სულებს მოეფერება ხოლმე თავისი არაჩვეულებრივი პოეტური კალმით. ანგელოზივით ვაჟკაცის და ხუთი ვაჟკაცი ძმის დამპარგავ დედას და დას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა მათი სულების მოფერებისა. ასევე ეფერება ჩვენი აკადემიის წევრების ახლობელთა გარდაცვლილ სულებს. გუშინ უჩვეულო დღევც გახლდათ. უდიდესმა მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა ქალბატონი გულნაზის ვაჟი, გელა სხირტლაძე მარადისობაში გააცოცხლა თავისი შეუდარებელი ფუნჯით.

დიდია შვილმკვდარი დედის ტკივილი. სხვა რა უნდა ვუთხრათ მას გარდა მანუგეშებელი სიტყვებისა. მამა ამირანმა გახსნა საღამო. გარდაცვლილ გელას მოეფერა ჩვენი უსაყვარლესი პოეტი ნინო უძილაური, ექიმი, პოეტი მაგდა გომბიაშვილი და მე, თქვენი მონა-მორჩილი. ჩვენი აკადემიის წევრმა, პოეტმა ლამბირა შეყილაძემ, რომელიც ქალბატონი გულნაზივით უდიდეს ტკივილს ინახავს გულში, დეტალებში გაიხსენა გელას გარდაცვალების ამბავი. ბევრი მოსაგონარი ისტორია მოვისმინეთ დედისა. ბატონი ალექსანდრეს მიერ შესრულებული გელას პორტრეტიდან კი გვიმზერდა მაღალი სულის და ზნეობის ვაჟკაცი, თვალებით ეფერებოდა თავის დედას დარდების სამოსახლოდან.



დღეს კი ბათუმში ჩატარდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აჭარის ფილიალის პრეზენტაცია. წილად მხვდა ბედნიერება და აკადემიის პრეზიდენტის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის გადანყვეტილებით დავინიშნე ვიცე-პრეზიდენტად. პრეზენტაციაზე არაჩვეულებრივი სტუმრები მობრძანდნენ: ოთარი ბოლქვაძე კარგი პედაგოგი და აქტიური რგოლი აკადემიისა, რომელიც, ქალბატონი გულნაზის გადანყვეტილებით, დაინიშნა ჩემს მოადგილედ. ბატონი თემურ ტუნაძე-ცნობილი ეთნოლოგი, პროფესორი. ბატონი გურამ პაპუნძე-აკადემიკოსი და უდიდესი მეცნიერი. აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი გურამ ფუტკარაძე. დიდი პიროვნება, მეცნიერი, გეოლოგი ბატონი ოთარ ბოლქვაძე. დიდი მეცნიერი და უდიდესი პროექტების ავტორი ბატონი ნიამ ბოლქვაძე, რომელიც აკადემიის მეცნიერულ მიმართულებას ჩაუდგება სათავეში. ჩემი მეგობარი იურისტი ნანა მუმლაძე მეუღლესთან ერთად. თამუნა პაქსაძე, რომელიც უხელმძღვანელებს ახალგაზრდულ ფრთას და მისი არაჩვეულებრივი დედიკო ქალბატონი მაგული ვასაძე, ჩემი მეგობარი. აქვე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩემს მეუღლეს თანადგომისათვის.

მჭიდრო და ნაყოფიერი მუშაობის გეგმები დავსახეთ. იმედია გავამართლებთ ქალბატონი გულნაზის იმედებს და აჭარას ერთ-ერთი საუკეთესო კულტურული კერა შევმატება ჩვენი აკადემიის სახით.

მინდა წარმატებები ვუსურვო აკადემიას და ნაყოფიერი მუშაობა.

აკადემიის მისამართია: ქ. ბათუმი. აღმაშენებლის ქ. 13. მე-2 სართული. ოთახი-10. ყოფილი კვლევითი ინსტიტუტი.



ელგუჯა მგელაძე

შიშვილი ტახა-პრაჟისას



ვან-ზომლეთის საშუალო სკოლაში სწავლის დროს ბავშვები ძალიან ხშირად ვიყავით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა შემოდგომაზე სიმინდის აღების დროს, რომელსაც ენაკვიმატი გურულები „ტეხა-კრეფას“ ეძახიან.

ერთხელაც, შემოდგომაზე, ერთ-ერთ ღრმად პატივცემულ პედაგოგს ვეხმარებოდით სიმინდის ტეხვაში. ალბათ ათამდე ბიჭი ვიქნებოდით ამ ე.წ. „ნადში“ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ. ეს იყო მდინარე სუფსის პირას არსებული სიმინდის ყანა, (რომელსაც სოფლელები რატომღაც „მერეს“ ეძახდნენ). ზუსტად პირველ საათზე შევეუდექით მუშაობას და თავიდან ისეთი ტემპი ავიღეთ, რომ პირველ ორ საათში თითქმის ორი ტონა სიმინდი მოვტეხეთ, შემდეგ კი, დაღლილობამ (უფრო შიმშილმა) იჩინა თავი და მუშაობის ხალისიც გაქრა და ტემპიც დაიკარგა.

ამ დროს პატივცემული პედაგოგი ჩვენთან არ იმყოფებოდა, იგი შინ იყო წასული, რათა ჩვენთვის სადილი მოეტანა. მის ნაცვლად კი თავს მამამისი დაგვტრიალებდა, უაღრესად პატივცემული და ამასთან მეტად ენაკვიმატი პიროვნება. დაახლოებით სამი საათისთვის, ჩვენმა იქ მყოფმა მასპინძელმა შესვენება გამოაცხადა, მაღალი ხის ძირში მიგვიყვანა და შეგვპირდა, ახლა მალე სადილს მოიტანენ, ვისადილოთ, დავისვენოთ და შემდეგ კვლავ ისეთივე ენთუზიაზმით შევეუდგეთ საქმეს, რომელსაც საღამომდე უსათუოდ დავამთავრებთო. მერე ვიღაცამ ცივი წყალიც მოიტანა და მას დავენათეთ. დროის მოკვლის მიზნით ჩვენმა მასპინძელმა ანეგდოტების მოყოლა დაიწყო, რაზეც თავიდან კარგად ვიხალისეთ, მაგრამ შემდეგ შიმშილმა იმძლავრა და ყველამ იმ გზას დავუწყეთ ყურება, საიდანაც საჭმელი უნდა მოეტანათ. მაგრამ მისი მომტანი არადა, არ ჩანდა.

ამასობაში, საიდანღაც მომავალი ჩვენი სოფლელი ორი ქალბატონი მოგვიახლოვდა და იმ მაღალი ხის ქვეშ შეისვენა, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. ერთ-ერთ მათგანს პატარა, ძალიან სასიამოვნო გარეგნობის, ასე 2-3 წლის ბიჭი ახლდა, აშკარად ეტყობოდა, რომ მისი შვილი იყო.

ქალბატონებს სახელდახელოდ მონყობილ ქვის დასაჯდომებზე დავუთმეთ ადგილები და დედამ ის ბიჭი მუხლებზე დაისვა. ბავშვს ჩვენმა მასპინძელმა ხუმრობა დაუწყო: თავდაპირველად შეეკითხა: აბა, დათო (ცხადია მას და მის ოჯახს კარგად იცნობდა), მაჩენე პასპორტი სად გაქვსო. ბიჭმა შარვლის გახდა დაიწყო, რაზეც ჩვენ სიცილი ავტეხეთ, მაგრამ დედამისმა შარვლის გახდის და იქედან გამოჩენილი სიმდიდრის ხილვის საშუალება არ მისცა. შემდეგ ჩვენმა მასპინძელმა ისევ მიმართა, აბა დავით, ამ ხალხს საჭმელი ჩამოურიგეო. დათო მკვირცხლად ჩამოხტა დედის მუხლებიდან, დაიდო ხელი შარვალზე წინ და ვითომ, მართლა საჭმელს არიგებდა, მოჩლექვით ატიტინდა: აჰა, შეჭამეო! ამასთან ხელს შარვლის წინ იდებდა, შემდეგ რომელიმე პიროვნებას პირთან მიუტანდა, ისიც პირს გააცმაცუნებდა, ვითომ ჭამდა და ასე აგრძელებდა. ამასობაში მოაწია ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის, ბადრი ვადაჭკორიას რიგმაც, რომელიც შიმშილს ძალიან განიცდიდა. როცა პატარა დათომ მასთანაც იგივე გაიმეორა, ხოლო ბადრიმ პირი არ ააცმაცუნა, ბავშვი მას გაბრაზებული მიაშტერდა და იქით შეუტია. შენ რატომ არ ჭამო! ჩვენ, რა თქმა უნდა, სიცილი ავტეხეთ. ბადრიმ კი სავსაოდ ხმადაბლა, თავისთვის ჩაილაპარაკა: მაგი რომ იჭმებოდეს აგერ ნახევარ ფუთიანი მკიდიო! ამაზე ხომ სიცილისგან ჩავბუჟირდით.

მალე ნამდვილი საჭმელიც მოგვიტანეს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

კარტოფილი და გოჭავი

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონში (ამჟამად სამგორის რაიონი) საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მმართველად ჩემი მუშაობის დროს, ზემდგომი ორგანოების დავალებით, სახლმართველობებს დავალებული ჰქონდა დედაქალაქის მოსახლეობიდან კვების ნარჩენების შეგროვება და კრწანისის მეურნეობის ახლადგახსნილ მელორეობის ფერმაში ჩაბარება.

ამ ღონისძიების წარმატებით შესასრულებლად სახლმართველობებს გადაეცა გერმანიიდან სპეციალურად შემოყვანილი „მულტიკარის“ ფირმის მცირე ზომის სატვირთო ავტომანქანები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალური გადანყვეტილებით ნაგავშემკრები ურნების გვერდით დადგეს სპეციალური კონტეინერები, სადაც გროვდებოდა კვების (ძირითადად პურის, ხილ-ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა) ნარჩენები.

ყველა სახლმართველობას მიცემული ჰქონდა სათანადო გეგმა, რომლის შესრულებას დაბეჯითებით ითხოვდნენ. რაიონების მიხედვით გეგმის შესრულების საკითხი განიხილებოდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოველკვირეულ თათბირზე, რომელიც ტრადიციულად ორშაბათს, დილის 9 საათზე იმართებოდა.

გეგმის შესრულება ყოველთვის ჭირდა და დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ მუშაობა განსაკუთრებით თვის ბოლო დღეებში აქტიურდებოდა, ვინაიდან გეგმის შეუსრულებლობას თითქმის არავის პატიობდნენ და სამსახურიდან გათავისუფლებასაც არ ერიდებოდნენ. ამასთან გეგმის შესრულებას თავად რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეები აკონტროლებდნენ.

იმჟამად, როგორც აღვნიშნე, საქარხნო რაიონში ვმუშაობდი და, გულახდილად რომ ვთქვა, ქალაქის დანარჩენ ცხრა რაიონთან შედარებით იოლად ვასრულებდით გეგმას. ეს ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე, ლილოს დასახლებაში, მდებარეობდა დედაქალაქის ხილ-ბოსტნეულის ცენტრალური ბაზა, სადაც გადარჩევისა და დახარისხების შედეგად სისტემატიურად გროვდებოდა ხილ-ბოსტნეულის (კარტოფილის, სტაფილოს, კომბოსტოს, ჭარხალის და სხვადასხვა მწვანეხილის) სოლიდური რაოდენობის ნარჩენები, რომელიც ჩვენივე რაიონის პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მხოლოდ ჩვენივე რაიონის სახლმართველებს მიჰქონდათ მელორეობის ფერმაში, აბარებდნენ და ბუნებრივია კვების ნარჩენების გეგმასაც სისტემატიურად ასრულებდნენ.

გეგმის შესრულებაში ხელს გვიწყობდა ისიც, რომ ჩვენივე რაიონის ტერიტორიაზე, აეროპორტის ტრასაზე მდებარეობდა „თბილრძის“ კომბინატი, რომელიც ხელს გვიწყობდა იმით, რომ ძალიან ხშირად თავისივე ავტოცისტერნებით გვაძლევდა რძის შრატს, რომელიც ყველის დამზადების შემდეგ რჩებოდა და უმეტეს შემთხვევაში იგი კანალიზაციაში იღვრებოდა.

სახლმართველობების მიერ ავტოცისტერნებით მელორეობის ფერმაში შეტანილი რძის შრატი დიდი მოწონებით სარგებლობდა, ვინაიდან მას იყენებდნენ ღორების საკვების ერთ-ერთ შემავსებელ კომპონენტად...

ერთხელაც, ქალაქის სხვა რაიონის ერთ-ერთმა სახლმართველს, რომელსაც ადრე მილიციაში უმუშავია და რაღაც დარღვევის გამო სისტემიდან წამოსვლის შემდეგ სახლმართველად დაუნყია მუშაობა, ლილოს ხილ-ბოსტნეულის ცენტრალური ბაზის რომელიღაც პასუხისმგებელი მუშაკის დახმარებით ერთი სატვირთო ავტომანქანით მოუხერხებია იმ კარტოფილის ნარჩენების გამოტანა, რომელიც სავაჭრო ქსელისთვის გამოუსადეგარი იყო.

ერთ-ერთი თვის მიწურულს, ახლად დანიშნულმა იმ სახლმართველმა, ნუნდებული კარტოფილით დატვირთული ავტომანქანა მიაყენა კრწანისის მელორეობის ფერმას და მოითხოვა მისი ჩაბარება, რითაც თვის გეგმა წარმატებით ექნებოდა შესრულებული.

მელორეობის ფერმის პასუხისმგებელმა მუშაკმა ანონხით კი აუნონა ნუნდებული კარტოფილი, მაგრამ როცა გაიგო, რომ ხსენებული სახლმართველობა საქარხნო რაიონს არ ეკუთვნოდა, მის მიღებაზე უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ ღორი ასეთ კარტოფილს არ ჭამსო. სათანადო შელაპარაკებისა და საქმეში მელორეობის კომპლექსის დირექტორის ჩარევის შემდეგ კარტოფილი არ ჩაიბარეს და დატვირთული ავტომანქანა უკანვე გამოაბრუნეს. ყოველივე ეს ხდებოდა კვირა დღეს (მელორეობის კომპლექსი 24 საათიან რეჟიმში მუშაობდა).

მილიციაში ნამუშევარმა და ინტრიგებში გამობრძმედილმა სახლმართველმა ასეთი გადან-ყვეტილება მიიღო: იმავე დღეს შეიძინა ორი საკმაოდ მოზრდილი გოჭი, რომელსაც ბურვაკობამდე ბევრი აღარაფერი აკლდა. გოჭები, თავისივე სამოქმედო ტერიტორიაზე ერთ-ერთი მობინადრის კერძო ეზოში კარგად დააბანინა, შემდეგ დილაზე აშიმშილა. მეორე დილით, ორშაბათს, თოკთან ერთად ყელზე წითელი ლენტებიც შეაბა და ორშაბათ დილით, ათის ნახევარზე, მაშინ როცა საქალაქო საბჭოს აღმასკომში რაიონების აღმასკომის თავმჯდომარეების, ცალკეული საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისა და ქალაქის პასუხისმგებელი მუშაკების დასწრებით ყოველკვირეული თათბირი უკვე დაწყებული იყო, ოთხ ტონამდე წუნდებული კარტოფილით დატვირთული ავტომანქანა „ზილის“ მძღოლს მაშინდელ ლენინის მოედანზე (ამჟამად თავისუფლების მოედანი), საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესასვლელის წინ დააყენებინა და იქვე სასწრაფოდ ჩამოაცლევინა. ეს, ისე სწრაფად მოახერხა, რომ მოედანზე გაჩერებულმა სახელმწიფო ავტონსპექციის მუშაკებმა მისი შეჩერება ვერ მოასწრეს. ე.წ. „გაიშინებმა“ მძღოლს საბუთები ჩამოართვეს და ოქმის წერას შეუდგნენ. ამასობაში კი, სახლმართველმა თავისი „მოსკვირის“ მარკის ავტომობილის საბარგულიდან ნაშიმშილევი, გამონკეპილი გოჭები ამოიყვანა და კარტოფილის გროვაზე მიუშვა. გოჭების ყელზე გამობმული თოკები ხელში ეჭირა და გახარებული შესცქეროდა, როგორი სიამოვნებით თქვლეფდნენ გოჭები კარტოფილს. შემდეგ მან ფოტოაპარატ „ზენიტით“ ამის ამსახველი რამდენიმე კადრი დააფიქსირა.

ამ სანახაობის საცქერლად მოედანზე ხალხმა მოიყარა თავი, მათ ალყაში მოიქციეს სახლმართველი და მისი გოჭები და ჩამოცლილი კარტოფილი. ისეთი ჩოჩქოლი და სიცილ-კისკისი ატყდა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლებიც გარეთ გამოეფინენ და ხელმძღვანელობას თათბირზევე მოახსენეს ფაქტის შესახებ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, უალრესად პატივსაცემმა და ყოველმხრივ განონასწორებულმა პიროვნებამ, მაშინვე საკითხის დეტალურად შესწავლა და სათანადო ზომების მიღება დაავალა თანამშრომლებს.

როგორც შემდგომში გაირკვა, კრწანისის მეღორეობის კომპლექსის ხელმძღვანელობის ვერსია, თითქოს ღორები არ მიირთმევდნენ გაურეცხავ და წუნდებულ კარტოფილს არასწორი გამოდგა, რადგან არსებობდა ფოტოები, რომელშიც კარგად ჩანდა როგორი სიამოვნებით შეექცეოდნენ კარტოფილს გოჭები. სხვათა შორის აღნიშნული ფაქტი რამდენიმე გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმაც გადაიღო, მაგრამ ეს მასალა გაზეთებში არ დაბეჭდილა.

რამდენიმე დღეში, ზემდგომი ორგანოების გადანყვეტილებით კრწანისის მეღორეობის კომპლექსის დირექცია შეიცვალა და ამ ინციდენტში მონაწილე მუშაკები სამსახურიდან გაანთავისუფლეს. იგივე ბედი გაიზიარა იმ ცნობილმა სახლმართველმაც.

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, ეს გენიალური ანდაზა ზუსტად მოუხდებოდა იმ სახლმართველს, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა რა შედეგით დამთავრდებოდა მის მიერ მოწყობილი კლოუნადა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ვერ გათვალა, თვითონაც თუ დაზარალდებოდა.

სხვათა შორის, ამ ამბის მოყოლით კარგა ხანს ერთობოდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები და არა მარტო ისინი.

„სიზირსკი“

იმ დროს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ძირითადად საღამოს საათებში გვიხდებოდა სწავლა. დღისით კი მე და ჩემი ინსტიტუტელი მეგობრები ვმუშაობდით. ამასთან, ყოველი სემესტრის ბოლოს დეკანატში წარვადგენდით ცნობას სამუშაო ადგილიდან, ურომლისოდაც, წესით და რიგით, გამოცდებზე არ დაგვიშვებდნენ.

ხშირ შემთხვევაში ინსტიტუტში მისვლისთანავე ჩვენ ე.წ. „შატალოზე“ მივდიოდით კინოში, ან რომელიმე იაფფასიან რესტორანში. ფულს ე.წ. „ნემეცკი შჩოტით“ ავკრეფდით, ანუ, ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენს დადებდა და ძირითადად ხინკალზე, ქაბაბზე და მწვადზე გადავდიოდით.

ერთ-ერთი ასეთი „კულტურული ღონისძიების“ დროს იმჟამინდელ სასტუმრო „აფხაზეთის“ შენობის პირველ სართულზე არსებულ სახინკლეში ამოვყავით თავი. ამ სახინკლეში ყველაფერს

გემრიელს ამზადებდნენ და დასაჯდომი ადგილებიც ყოველთვის იყო, თუმცა, ვისაც მარტო ხინკალი უნდოდა, მათთვის ფეხზე დასადგომი მაგიდები ცალკე იყო გამოყოფილი.

ჩვენ დაახლოებით 10-მდე კაცი შევიკრიბეთ. კარგად მახსოვს, თებერვლის თვის ბოლო რიცხვები იყო და ხელფასები ჯერ კიდევ არ გვექონდა აღებული. ამიტომ, ვისაც რამდენი შეგვეძლო, იმდენი შევაკონინეთ, რაც საკმარისი იყო ხინკლის, ქაბაბის, ყველის, მწვანე ხაჭაპურის, მჭავეულის და კიდევ რამდენიმე იაფფასიანი კერძებისთვის. დასალევად 10 ბოთლი კახური „რვა ნომერი“ შევუკვეთეთ, რომელიც, როგორც მახსოვს, 1 მანეთი და 30 კაპიკი ღირდა. მიმტანმა ქალბატონმა, ალისამ, რომელსაც მანამდეც ვიცნობდით, დაუყოვნებლივ შეასრულა ჩვენი თხოვნა და საქმესაც შევუდექით. შეგროვებული თანხა, როგორც ამ „რეზიდენციის“ უფრო უკეთ მცოდნეს, მე გადმომცეს. ასე რომ, სრულ დანახარჯზე უკვე მე ვიყავი პასუხისმგებელი. მალე თამადადაც ამირჩიეს და საქმესაც შევუდექით. პირველი სასმისი ყველამ სულმოუთქმელად შევსვით, მაგრამ მეორე ჭიქაზე, რატომღაც ჩვენმა ჯგუფებელმა გელა ფიცხელაურმა, იგივე „ოპტიკამ“, ხმამაღლა განაცხადა, რომ მას შაქარი აქვს და მისთვის ღვინის დაღვევა არ არის რეკომენდებული. ამიტომ მან ჩვენი მიმტანი ალისა მოიხმო და არაყის მოტანა დაავალა. იმჟამად ძირითადად არაყი „მასკოვსკი“ ან „პშენიჩინი“ იყო მოლაში, რომელიც არც ისე ძვირი, სულ რაღაც ოთხი მანეთი ღირდა.

მიმტანმა არაყი „მასკოვსკი“ მიუტანა გელას, რომელმაც ნახევარლიტრიანი ბოთლი ჯერ ხელში შეათამაშა, შემდეგ, რატომღაც, მისი ეტიკეტით დაინტერესდა, ნაკითხვის შემდეგ შეანჯღრია, არაყის ძენკვს დააკვირდა და ალისას უკანვე დაუბრუნა და სხვა არაყის მიტანა მოსთხოვა. ალისა უკან გაბრუნდა და მალე ორი სხვადასხვა სახეობის ნახევარლიტრიანი არაყის ბოთლით დაბრუნდა გელასთან. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ დაათვალიერა ბოთლის ეტიკეტები, კვლავ შეანჯღრია ბოთლი, კარგად დააკვირდა და მიმტანს ერთ-ერთი ბოთლი გაახსენებინა, ხოლო მეორე უკანვე დაუბრუნა.

მე და ჩემმა სხვა მეგობრებმა ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა არ მივანიჭეთ და ღვინის სმა ჩვეულებრივად გავაგრძელეთ. მალე გელას არაყის სმაში მის გვერდით მჯდომი გოგი ჭუმბურიძეც შეეზიარა და ის ნახევარლიტრიანი ბოთლი უფრო ადრე გამოცალეს, ვიდრე ჩვენ იმ 10 ბოთლ ღვინოს შევსვამდით. გელამ მიმტანს მეორე ბოთლი არყის მიტანაც დაავალა, ხოლო მე 6 ბოთლი ღვინო დავამატებინე. როცა სასმელი მთლიანად მივიროთვით და პურისჭამა დავამთავრეთ, ალისამ გადასახდელი თანხის ანგარიში მომიტანა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი შეგროვებული 50 მანეთი არ ყოფნიდა დანახარჯს, რომელიც სულ 95 მანეთს შეადგენდა. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი დავინტერესდით რამ გამოიწვია ეს გაუგებრობა. ალისამ კი განმარტება მოგვცა, რომ გელასთვის მიტანილი ძვირადღირებული ორი ბოთლი არაყი „სიბირსკი“ თურმე 60 მანეთის ღირებულების ყოფილა, ამასთან ღიმილით, ნიშნისმოგებით გვიპასუხა, რომ გელასთვის თავდაპირველად მიტანილი, დაუნებელი არყის ერთი ბოთლი მხოლოდ 4 მანეთი ღირდაო.

რაღას ვიზამდით, კვლავ მონყალეების თვალეებით გადავხედე ჩემს მეგობრებს, ყველამ ჭიბებზე გავიკარით ხელი, მაგრამ სახლამდე მისასვლელი გზის ფულის გარდა დამატებით მხოლოდ 22 მანეთი შევაგროვეთ. ასე რომ ალისას მხოლოდ 72 მანეთი მივეცი. ამასთანავე ხელიდან მოვიხსენი ჩემი „ორიენტის“ მარკის იაპონური საათი და იგი ალისას გადავეცი იმ პირობით, რომ მეორე დღესვე დარჩენილ 23 მანეთს მივუტანდი და ჩემს საათს უკანვე დავიბრუნებდი, რაც შევასრულე კიდევ.

შემდგომში ეს ამბავი ინსტიტუტის ჩვენს ჯგუფში გახმაურდა და ერთი პერიოდი გელას „სიბირსკიც“ შევარქვით, მაგრამ ამ ზედმეტსახელმა დიდხანს ვერ იარსება, ვინაიდან მას ორი ზედმეტსახელი „ოპტიკა“ და „სერაფინო“ უკვე ჰქონდა შერქმეული და თქვენ წარმოიდგინეთ უხდებოდა კიდევ.

თავის ფხა

ოჯახში მყოფ ჩვენს სამივე „პრინცესას“, მათი ბებია, მარინა ქავჭავაძე, თითქმის ყველაფერს საკუთარი ხელით აჭმევს. ეს ძირითადად მორიგეობით ხდება. ბებო სამივეს ერთად დასვამს მაგიდის ირგვლივ, თვითონ შუაში ჩაუჭდება და იწყება გაუთავებლად ერთი და იგივე:

- ჰე, თათია, დააღე პირი!
- თეო, ჩქარა დაღეჭე!
- მია, ჩქარა გადაყლაპე!

ამ დროს ბავშვები მობილურ ტელეფონებში რალაცას გატაცებით თამაშობენ ან ტელევიზორში მულტფილმებს უყურებენ და ანგარიშმიუცემლად ილუკმებიან.

შემდეგ იწყება იგივე სიტყვების ხელმეორედ, მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ და ა.შ. გამეორება ჭამის საბოლოოდ დამთავრებამდე, რასაც დაახლოებით თითქმის ერთ საათამდე სჭირდება.

როცა სადილად ბავშვებს მოხარშული ან შემწვარი თევზი აქვთ, მარინა წინასწარ გამოაცლის თევზს ფხებს და ისე, როგორც იტყვიან, პორცია-პორციებად უწყობს ყველა ლუკმას ბავშვებს თევზზე.

ერთხელაც მარინა ბებო სათვალის გარეშე შეუდგა თევზიდან წვრილი ფხების გამოცლას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, თეოს თევზზე დანყობილ ლუკმებში ერთი ფხა „გაეპარა“, რაც ჭამის დროს ნაბოლარა „პრინცესამ“ აღმოაჩინა და ერთი ამბავი ატეხა. ამბზე განაწყენებულმა, გაგიკვირდებათ და ტელეფონში თამაშსაც კი დროებით თავი მიანება და ბებოს ჭკუის დარიგება დაუწყო, რომ თევზიდან ფხების გამორჩევის დროს სხვა რამეზე არ უნდა ფიქრობდე და თევზის ფხა სათანადოდ მომზადებულ ლუკმებში არ უნდა გაგეპაროსო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მარინა თავჩაქინდრული ისმენდა ამ სამართლიან შენიშვნებს და ჩანდა, აღარ იცოდა თავი რით ემართლებინა. სწორედ ამ დროს იგივე რამ განმეორდა მეორე ტყუპისცალის შემთხვევაშიც. მანაც, ისევე, როგორც ნაბოლარა თეოს ლუკმაში, პატარა, მაგრამ აშკარად ფხას მიმსგავსებული ძვალი აღმოაჩინა. თუმცა თათიას ამბზე ისეთი ამბავი არ აუტეხავს და არც აგრესია გამოუხატავს, როგორც მის პრეტენზიულ ტყუპისცალს.

მარინამ ორივე ლუკმიდან მაშინვე ამოაძრო თევზის ფხა და ბავშვებმაც მართალია, უღიმღამოდ, მაგრამ მაინც გააგრძელეს ჭამა.

მოულოდნელად, მესამე, ოჯახის უფროსი „პრინცესას“, მიას, ლუკმაშიც აღმოჩნდა თევზის ფხა! მან პირში ჩადებული ლუკმიდან თვითონვე გამოიღო თევზის პატარა ძვალი. თავდაპირველად პატარა თითებში რამდენჯერმე დემონსტრაციულად შეატრიალა იგი, შემდეგ ბებოს მიაჩერდა და მთელი სერიოზულობით მიმართა: მარინა ბებო! გუშინ მე და ჩემმა დაიკოებმა, რომ გაგაბრაზეთ, თევზის ფხები იმიტომ ჩავვითოვე საჭმელში თუ ეს საქმე მართლა სათვალის უქონლობის გამო მოგივიდაო?

ეს ისე ბუნებრივად და ისე გულიანად იყო ნათქვამი, რომ ჩვენ, მე, და ბავშვების უსაყვარლესმა მამიდამ, მაიკო მგელაძემ, სიცილი ძლივს შევიკავეთ, ხოლო დარცხვენილმა მარინა ბებომ აღარ იცოდა თავი რით ემართლებინა!

„დობრა“

მთელი ჩემი ბავშვობა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში გავატარე. სოფელი მთავორიანია. იგი იწყება საქართველოს სამხედრო გზის ჩოხატაური-ოზურგეთის მონაკვეთის მიმდებარედ არსებული მდინარე სუფსის ჭალებიდან.

ჩვენი სოფელი 1964 წლამდე ჩოხატაურს და ოზურგეთს (ყოფილი მახარაძე) მდინარე სუფსაზე გაბმული 80 მეტრამდე სიგრძის ხილით უკავშირდებოდა.

მდინარე სუფსა გაზაფხულზე, როდესაც აჭარა-გურიის მთებზე თოვლის დნობა იწყება და პიკს აღწევს, დიდი წყალდიდობა იცის. მახსოვს, ყოფილა შემთხვევები, როცა ჩვენი სოფლის

დასაწყისში სუფსა ისე მოდიდებულა, რომ მას მთელი 400 მეტრამდე სიგანის ადგილები დაუტბორავს.

წყლით იტბორებოდა სახნავ-სათესი ადგილები, სადაც, მდინარის ჩვეულ კალაპოტში ჩადგომის შემდეგ, რჩებოდა დიდი რაოდენობით შლამი და სხვადასხვაგვარი შემა კუნძებთან ერთად.

წყალდიდობის გადავლის შემდეგ მოსახლეობა ავტომანქანებით, ტრაქტორებით და ურმებით, შინ ეზიდებოდა ამ შეშას, საყანე ადგილებში დარჩენილი შლამი კი საუკეთესოდ მოქმედებდა სიმინდის მოსავალზე.

სწორედ ამ სოფელში, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გამოჩნდა ერთი ადგილობრივ ცხენებზე დაახლოებით ორჯერ უფრო დიდი, უაღრესად თვინიერი ცხენი, რომელსაც ყველა „დობრას“, ანუ „კეთილს“ ეძახდა.

სოფლის მოსახლეობამ ბევრი არაფერი იცოდა მის წარმომავლობაზე. მაგრამ მასზე მაინც ბევრ რამეს ყვებოდნენ: ერთ-ერთი ვერსიით, იგი ომის დროს თურმე რუსეთის ტერიტორიაზე „დროგის“ ცხენის ფუნქციას ასრულებდა. ამ ვერსიას ამყარებდა მის კისერზე გადაყვლეფილი ბალანიც. ამბობდნენ, იმასაც, რომ იგი იმდენად ძლიერი ყოფილა, თამამად შეეძლო ერთი ტონა ტვირთით სავსე საზიდარის გადაადგილება. მეორე ვერსიით, დობრა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის კუთვნილება ყოფილა და ომის დამთავრების შემდეგ გამოჩენილი გმირობისა და თავგანწირვისთვის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას უჩუქებია ჩვენზე სოფლის ერთ-ერთი დაჭრილი მეომრისთვის, რომელსაც დემობილიზაციის შემდეგ ის სათანადო საბუთით აღჭურვილი ჩვენს სოფელში ჩამოუყვანია და კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის ჩაუბარებია, ცხენი კოლმეურნეობას ბალანსზე აუყვანიათ და მისთვის მესაქონლეობის ფერმაში მიუჩენიათ ადგილი.

თავის დროზე, სოფელში ამაზე კიდევ რამდენიმე სხვადასხვა ვერსიას ჰყვებოდნენ, მაგრამ აქედან რომელი იყო დასაჯერებელი არავინ იცოდა.

სოფელში ვერ ნახავდით სასკოლო ასაკის ბავშვს, ან მამაკაცს, რომელიც „დობრაზე“ არ ყოფილიყო ნაჯდომი. მისთვის არასდროს დაუდგამთ უნაგირი და მასზე ყველა უმისოდ ჯდებოდა. „დობრა“ არასდროს არავის უნახავს გაჭენებული. ძალზე იშვიათად, მხედრის თავგამოდებული მცდელობის შემთხვევაში, იგი მხოლოდ ფეხს თუ აუჩქარებდა. მისი დაჭერაც საკმაოდ მარტივი იყო. თუნდაც ორი ბავშვი, მას ჩაის რომელიმე პლანტაციის ადგილად შეედინა და დობრაც „გასკვანჩული“ იყო. მაღალ ჩაის მწკრივებს იგი ვერ გადაახტებოდა. ერთი ბავშვი თოკით წინ დაუდგებოდა, მეორე უკან და დობრაც ბედს ემორჩილებოდა. მერე მას კისერზე თოკს შეაბამდნენ, შემდეგ ამ თოკს ცხვირზეც გაუნასკვამდნენ და ასე მიიყვანდნენ რომელიმე მაღალ ღობესთან, რადგან მასზე შეჯდომა მხოლოდ ღობეზე ან ხეზე ასვლის შემდეგ იყო შესაძლებელი. როცა ერთი ბავშვი მის ზურგზე მოექცეოდა, მას კვლავ ღობესთან მიიყვანდნენ და დანარჩენი ბავშვებიც ასე მოკალათდებოდნენ მასზე.

როგორც მახსოვს, ყოფილა შემთხვევა, ცხენზე სამი-ოთხი ბავშვიც ერთდროულად მჯდარა, დობრა კი ისე მშვიდად იყო, რომ არ ყოფილა შემთხვევა მისგან ვინმე ჩამოვარდნილიყო და რაიმე დაზიანება მიეღო, ან კიდევ ცხენით გასეირნება ვინმეს მოენდომებინა და ეს სურვილი ვერ აესრულებინა. ჩვენს სოფელში იგი არასდროს არც „დროგში“, არც „კავში“ ან „საზიდარში“ არავის არ შეუბამს. იგი ყოველთვის თავისუფალი იყო და განმარტოებით ბალახობდა სოფლის საძოვრებზე და სოფელში არსებულ 10-15 ცხენთან ერთად ვერასდროს ნახავდით.

მეც და ჩემმა ძმამ, რაინდი მგელაძემაც, ისევე როგორც სოფელში იმჟამად მცხოვრებმა სხვა ბავშვებმა, ცხენზე ჯდომა სწორედ „დობრაზე“ ვისწავლეთ. იგი ხშირად ჩვენი საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ, ჩაის პლანტაციებში, ან საძოვრებზე მოდიოდა და, როგორც აღვნიშნე, მისი დაჭერა რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ვან-ზომლეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1966 წელს მე თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. მის შემდეგ „დობრა“ აღარ მინახავს და გულახდილად რომ ვთქვა, მისი ბედით აღარ დავინტერესებულვარ, თუმცა როცა „დობრაც“ და მასთან გატარებული დღეებიც თვალწინ მიდგება, საოცარ ნეტარებას ვგრძნობ!

ელექტრო დენი და აღმართი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მთელ საბჭოთა კავშირში და ბუნებრივია საქართველოშიც, დაიწყო აღმშენებლობითი სამუშაოები. დიდ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და მიმდებარე სოფლებში ძირითადად სწორედ ამ პერიოდიდან მასობრივად გაჩაღდა ელექტრო და რადიოფიცირების სამუშაოები.

მამაჩემი – ალექსანდრე მგელაძე, რომელიც სპეციალობით ენერგეტიკოსი იყო, 1947 წელს დაინიშნა ჩოხატაურის რაიონის ელექტროქსელების დირექტორად. იმახად მხოლოდ რაიონული ცენტრი იყო ელექტროფიცირებული და 127-ვოლტიანი ძაბვით და ძაბვა მხოლოდ ღამის საათებში ირთებოდა.

მაშინ ქვეყნის წინაშე იდგა საკითხი: ელექტროენერგია დაჩქარებული ტემპით უნდა მიეწოდებინათ ყველა დასახლებული პუნქტისთვის, მაგრამ ეს საკითხი არ იყო ასე ადვილი მოსაგვარებელი, ვინაიდან იმ დროისთვის ძალზე ჭირდა ელექტროგადამცემი, „ბიტუმით“ გაჟღენთილი ხის ბოძების და ალუმინის ელექტროსადენების, აგრეთვე სხვადასხვა მარკის ელექტროჯიხურების შოვნა, რომლის მომარაგებაშიც უშუალოდ იყვნენ ჩართული პარტიის რაიკომების და რაისაბჭოს აღმასკომების ხელმძღვანელები. რაიონებში წინასწარ ჰქონდათ შედგენილი სპეციალური გრაფიკები, თუ რომელ სოფელში როდის უნდა ჩაერთოთ ელექტროენერგია და გრაფიკის დარღვევის უფლება არავის ჰქონდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, როგორც იქნა, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთშიც დაიწყო ელექტროგადამცემი ხაზების დამონტაჟება, რომელმაც თითქმის მთელი წელი გასტანა. სოფელს დენი მიეწოდებოდა მხოლოდ ღამის საათებში. თავდაპირველად, ბუნებრივია, იყო ხშირი შეფერხებები, თანაც 127-ვოლტიანი შუქი იმდენად დაბალი იყო, რომ ღამის საათებში ბავშვებს წიგნის წაკითხვაც კი უჭირდათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად იყენებდნენ 40 და 60-ვატიან ნათურებს, რაც, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფდა კარგ განათებას. მოსახლეობა ასე ნელ-ნელა თანდათანობით ეჩვეოდა ნავთის ლამპებიდან ელექტროენერგიაზე გადასვლას.

მამაჩემი თავად ხელმძღვანელობდა სოფელ ზომლეთის ელექტრო და რადიოფიცირების ამ საქმეს რაიონის ელექტრიკოსებთან ერთად. ამ საქმეში ჩართული იყო სოფლის თითქმის ყველა მამაკაცი, რომლებიც სრულიად უანგაროდ შრომობდნენ საქმის დასაჩქარებლად და ყოველი დღის ბოლოს რომელიმე ოჯახში ვახშამი იმართებოდა.

1958 წლის ერთ მშვენიერ დღეს, სოფელ ზომლეთში ელექტროენერგია პირველად ჩაირთო. მოსახლეობის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. პირველ დღეებში დახარჯული ელექტროენერგიის აღრიცხვა არ სწარმოებდა და მთელი ღამის განმავლობაში შუქი ყველას ანთებული ჰქონდა. მისასალმებელი იყო ისიც, რომ ხის ელექტროგადამცემ ბოძებზე, დამონტაჟდა ე.წ. ხაზის რადიოს სადენებიც და უკვე ყველა ოჯახში შეეძლოთ რადიოგადამცემების მოსმენა, რა თქმა უნდა, რადიოაპარატის შეძენის და ქსელზე შეერთების შემდეგ.

ერთხელაც, საღამოს, ჩვენს ოჯახს, როცა მეზობლები სტუმრობდნენ, სწორედ იმ დროს ჩაირთო ელექტროენერგია და მთელი სახლი ეზოსთან ერთად განათდა. ერთ-ერთმა მეზობელმა, პატარა ხევს გაღმა მცხოვრებმა ქეთო გოგუაძემ, შეამჩნია, რომ მასთან და მის სამეზობლოში კი დენი არ იყო ჩართული. ამაზე მან ღამის შეიცხადა: „ვაიმე რა მეშველება, ჩემთან მოსვლამდე დენს რაიმე ხომ არ შეემთხვაო“. ჩვენმა უახლოესმა მეზობელმა ფაცა წითლიძემ იგი „დაამშვიდა“ და გურული იუმორით ასე შეაგულიანა: „რა მოხდა, ქალო! დენი ჩახატაურიდან აქამდე ნამგზავრია და ალბათ დეიღალა, დასვენება სჭირდებაო; ამასთან შენს ეზომდე, ხომ ხედავ, რამხელა აღმართია და იქინე ასვლამდე, ჩამოჯდა სულისმოსათქმელადო!“

ამ საუბარში იყვნენ, რომ უცებ მასთანაც ანთო შუქი. ფაცამ, რომელიც 70 წელს გადაცილებული იყო, ნიშნისმოგებით გამოუცხადა მეზობლებს: „ჩემი ხნის ქალს, სიმართლე კი არა, ტყუილიც დაეჭერებაო“.

იმახად, არცერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ სინათლის გავრცელების სიჩქარე წამში სამასი ათასი კილომეტრია. არც ის იცოდნენ, რომ სოფლის ელექტრო ქვსადგურში, მორიგე მონტიორი რიგრიგობით, ცალკეული უბნების მიხედვით, ანარმობდა დენის ჩართვას.

ნიჭლის წყარო

მიმაჩნია, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ იშუშებდა მეორე მსოფლიო ომის იარებს, ცხოვრება უფრო ხალისიანი იყო. ნებისმიერი სოფლის თუ ქალაქის ე.წ. „ბირჟებზე“ ისეთ საუბრებს მოჰკრავდით ყურს სხვადასხვა საკითხზე, რომლებიც დღეს არავის აინტერესებს. სამაგიეროდ, იმჟამად უცხო იყო ისეთი ტექნოლოგიური მიღწევები, რომლებსაც დღეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით.

ბავშვობა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში გავატარე. სოფელი იმჟამად დაახლოებით 300 კომლს ითვლიდა და მოსახლეობა ათას კაცზე მეტი იყო.

სოფლის სხვადასხვა უბანში, ანუ ბრიგადაში, როგორც მაშინ მას უწოდებდნენ, ორი-სამი თუ არა, ერთი ადგილი მაინც იყო ისეთი, სადაც ნებისმიერი, ასაკის ხალხი იკრიბებოდა, სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდა და ისმოდა გურული მოსწრებელი სიტყვა-პასუხი.

ამ მხრივ, სოფელში იყო განსაკუთრებულად გამორჩეული ერთი დასასვენებელი ადგილი, რომელიც სამ საუკუნეზე მეტი ხნის წიფლის ქვეშ მდებარეობდა. გარდა იმისა, რომ ხის ძირში ცივი, ანვარა წყარო მორაკრავებდა, მას მდებარეობაც ისეთი ჰქონდა, რომ, აქ სოფლის უბნების გზაგასაყარი იყო და განსაკუთრებით ბევრი ხალხი მიმოდიოდა.

ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, სიცოცხლით სავსე ადგილი იყო!

აქაურები ამ ადგილს „იაგორის საცივს“ უწოდებდნენ. ეს სახელწოდება შემთხვევითი არ ყოფილა. წყარო იქაური გლეხის იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობდა. არავინ იცის, ხსენებული ბუმბერაზი წიფელი უფრო დიდი ხნის იყო თუ წყარო, რომელსაც ენაკვიმატი გურულები რატომღაც „საცივს“ ეძახდნენ. ერთი კია, რომ ამაზე ლამაზ, იდუმალ ადგილს ძნელად იპოვიდა კაცი.

წყაროს წყალი, ამჟამად სპეციალურად გამოჭრილ დაახლოებით ერთ ტონამდე ტევადობის ქათქათა, თეთრ, წყალგაუმტარ კლდის ფიქალში გროვდებოდა და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მარტო ბუნების დამსახურება კი არა, ადამიანის ხელის დახმარებით, ჭკვიანურად იყო მოფიქრებული და შესრულებული. აუზს, ზედმეტი წყლის გასატარებელიც ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ მასში ერთ ტონამდე წყალი სისტემატიურად იდგა. წიფლის ხის მიწის ზედაპირზე ამოზიდული ფესვებიც წყაროს თავზე ისე მოხერხებულად იყო განლაგებული, რომ მორაკრავე წყლის მსურველს შეეძლო ერთი მეტრის სიღრმეში შეეყო ხელი და სპეციალური ჭურჭელი პირდაპირ წიფლის ფესვების ბუნებრივ ტერასაზე შეედგა წყლისთვის.

„იაგორის საცივი“ უშუალოდ სამანქანო გზის პირას მდებარეობდა და სოფლის მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვისაგან დასაცავად აკაცის მეტრნახევრიანი სიმაღლის მესერით იყო შემოღობილი. ნებისმიერ მსურველს ღობის დაბალ „ალაგზე“ გადავლით შეეძლო ცივი წყლის დაგემოვნება. წყლის ჭურჭლად წვერნათლილ მესერზე ჩამოკიდებულ კონსერვის თავმოჭრილ ქილებს იყენებდნენ.

უზარმაზარი წიფლის გარშემოწერილობა სულ ცოტა ოთხი მეტრი მაინც იქნებოდა. იგი მართლ-მართო იდგა იაგორ მგელაძის ფერდობიანი ეზოს ყველაზე დაბალ ადგილზე. ძნელია სიტყვებით იმის გადმოცემა თუ როგორი იყო ეს ხე. მისი ტოტები ერთნაირად თანაბრად იყო გაშლილი ყველა მიმართულებით და უზარმაზარ ქოლგას მოგაგონებდათ. იგი მთელ არემარეს ავსებდა. მიუხედავად იმისა, რომ წიფელს მეხის რამდენჯერმე დაცემის კვალი აჩნდა და რამდენიმე ფულუროც ჰქონდა, მაინც ისეთი ბუმბერაზი და მდიდრული იერი ჰქონდა, რომ მის ქვეშ წყაროც რომ არ ყოფილიყო, საკუთარ ღირსშესანიშნაობას მაინც არ დაკარგავდა. ხის უზარმაზარი ტოტები თავის დროზე ალბათ ზეცისკენ იყო აღმართული, თუმცა დროთა განმავლობაში ნელ-ნელა დაბლა დაშვებოდა და მას სხვანაირ იერს მატებდა. ის კი არა, დასავლეთ მხარეს, ერთი, დაახლოებით 60 სანტიმეტრის დიამეტრის ტოტი, იმდენად ჩამოიწია ქვემოთ, რომ მის ქვეშ გამავალ გზაზე თივით ან ჩალით არაგაბარითულად დატვირთული ავტომანქანები და ტრაქტორის მისაბმელები გზაზე თავისუფლად გავლას ვერ ახერხებდნენ. ადგილობრივი მძღოლები ყოველთვის ითვალისწინებდნენ ამ გარემოებას და ტვირთი წიფლის გვერდის ავლით, შემოვლითი გზით მიჰქონდათ.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში წიფელზე იმატა კოდალების სტუმრობამაც. ისინი დილიდან საღამომდე უკაკუნებდნენ ხეს თავიანთ გრძელ ნისკარტს და წიფელიც არასდროს ღალატობდა მათ. სისტემატიურად უმასპინძლდებოდა ნაირნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

ყოფილა შემთხვევა, როცა წიფელზე ერთდროულად 4-5 კოდალა კაკუნით იკლებდა არემარეს.

წიფელი ხელშეუხებელი იყო ყველასთვის და არც არავის მოსვლია აზრად, რომ მისთვის დაბლა ჩამოწეული ტოტი ჩამოეჭრა. იგი წყაროსთან ერთად სოფელ ზომლეთის სავიზიტო ბარათი იყო. ხის სიმაღლისა, ტოტების სიხშირისა და სიდიდის გამო, გვიან შემოდგომაზე, ჩრდილოეთიდან სამხრე-

თისაკენ მიმავალი ნაირნაირი გადამფრენი ფრინველები მასზე ისვენებდნენ, სულს მოითქვამდნენ და გზას აგრძელებდნენ, ეს იყო საოცარი სანახაობა.

უზარმაზარი წიფლის აქ ბინადარ ფრინველებს, რომ იტყვიან, თვლა არ ჰქონდა!

გადმოცემით ვიცი, რომ ამ ხეზე შემოძვარი ნებისმიერი ფრინველი სოფლებს თავისიანად მიაჩნდათ და თავში აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ მისთვის თოფი ესროლა ვინმეს.

ვინ იცის რამდენი გასაჭირის, თუ ლხინის მომსწრე ყოფილან ეს წყარო და წიფელი! რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. რამდენ გამვლელ-გამომვლელს მოუკლავს წყურვილი, მოუოხებია გული და დასვენებული და დარდისგან განტვირთული წასულა შინისკენ. ალბათ რა მტკივნეული იქნებოდა მათთვის იმ დაუდევარი ახალგაზრდების საქციელი, რომლებსაც ხის ტანზე ბასრი საგნით ამოტვიფრული არათრის მთქმელი ასოები – „მ.მ“, 1740 და კიდევ სხვა წარწერა, ანუ ე.წ. „დამლა“ რომ დაუტოვებს საუკუნოდ. ღამით მართო დარჩენილი ხე ფოთლების შრიალით, წყარო კი რაკრავით უზიარებდნენ ერთმანეთს დარდსა თუ სიხარულს!

მაშინ, როცა ფრინველთა გადაფრენა დამთავრდებოდა, როცა ხეზე მობინადრე ჩიტებიც შეძლებისდაგვარად გამოსაზამთრებლად დროებით მიტოვებულ ბუდეებს მიაშურებდნენ და ხეს შერჩენილი უკანასკნელი ფოთოლიც ფარფატით დაეშვებოდა დედამინაზე, წიფელი თვითონაც ღრმა ძილს მიეცემოდა გაზაფხულამდე. აი, სწორედ იმ დღეს მეგობრები კეთილი სურვილებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს იმ იმედით, რომ წიფელი გამოღვიძების შემდეგ კვლავ ცხოვრების ჩვეულებრივ რეჟიმს დაუბრუნდებოდა.

წყარო კი ძველებურად მოჩუხჩუხებდა, მიუხედავად მისი სახელისა, არასდროს იყინებოდა, რაკრავით აცოცხლებდა მიძინებულ არემარეს და მოუთმენლად ელოდა წიფლის გამოღვიძებას, რადგან მას ბევრი რამ ჰქონდა მოსაყოლი ერთგული მეგობრისთვის.

წიფელის გამოღვიძების შემდეგ იწყებოდა გაზაფხული ჩემს სოფელში.

ალბათ, ძნელი იქნება ამხნის (სამი საუკუნის) ხის პოვნა საქართველოში! როგორც ვიცით, მხოლოდ ძელქვა, მუხა და ჭადარი ცოცხლობს სამას წელზე მეტ ხანს. მაგრამ ზომლეთის წიფლის ხე, იშვიათი გამონაკლისი იყო.

ზომლეთში მცხოვრები და ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში მიმავალი ვერც ერთი ადამიანი გვერდს არ აუვლიდა ამ ადგილს. დაისვენებდა და მიერთმევდა ანკარა წყაროს წყალს, იგივე „საცივის“ წყალს, რომელსაც ზამთარ-ზაფხულს რატომღაც ერთი და იგივე ტემპერეტურა ჰქონდა. სწორედ ამის გამო ყველა მოწინებით ეპყრობოდა წიფელს და მის ძირში მორაკრავე წყაროს.

P.S. ამ ორიოდე წლის წინ კვლავ ვესტუმრე ჩემს მშობლიურ სოფელ ზომლეთს. გვიანი შემოდგომა იყო და ხეები უკვე გაძარცვული იყო. ამიტომ სოფლის შესასვლელიდანვე, რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა. მისი ტერიტორია რაღაც იერშეცვლილი მომეჩვენა. წარმოიდგინეთ ჩემი მწუხარება და იმედგაცრუება, როცა სულისშემძვრელი სურათი დამხვდა. წინა წლის დიდთოვლობას, ულამაზესი ბებერი წიფელი ზედ ძირში გადაუტეხავს.

გაოგნებული ვუცქერდი დაცარიელებულ არემარეს. მოსახლეობას წიფელის ის ნაწილი, რომლითაც სავალი გზა იყო ჩახერგილი, შეშად დაუშუშავებია, ხოლო მისი ვებერთელა ტანის ნაწილი, რომელიც ღელეში ჩავარდნილა, საცოდავად ისევ იქ ეგდო.

მისი შემხედვარე ადამიანი უკვე ვეღარც კი წარმოიდგენდა, რა დიდებული სანახავი იქნებოდა წიფელი თავის დროზე.

ხეებს ლაპარაკი ესმითო, მიაჩნდა ბუნების მესაიდუმლო დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველას. იმასაც ხომ ამბობენ, „ხეები ზებუელად კვდებიანო“. აი ჩვენი წიფელი კი სხვანაირი სიკვდილით მოკვდა. უაღრესად დანაღვლიანებული, თვალცრემლიანი მივედი წიფლის გადამტვრეულ ძირთან, რომელიც უსიტყვოდ, თითქოს დარცხვენით მომჩერებოდა და თვალს ვერ მისწორებდა. თვალი შევაავლე წყაროს, რომელიც თავს დამნაშავედ გრძნობდა. ალბათ თოვლთან ერთად წყალმაც თავისი როლი შეასრულა წიფლის ფესვებისთვის ძირის გამოთხრაში. წყარო ტიროდა ცხარე ცრემლით და ამიტომ მომეჩვენა, რომ ახლა უფრო მეტი წყალი გადმოდიოდა წიფლის ფესვებიდან, ვიდრე ადრე. სწორედ ეს ცრემლი ავსებდა წყაროს. მართოდ დარჩენილი მგლოვიარე წყარო ტიროდა განუყრელი მეგობრის დაკარგვის გამო. მე კი, იმაზე ვწუხდი, რომ დაუდევრობით, ან მოუცლევლობით ამ დიდებული ხის და დიდებული ადგილის ფოტოსურათი არ შემომრჩა.



ვარდენ მეკალმიშვილი
ვარდენიუსი



**ჩეალური ისტორიები.
„ვერიკა“
ანუ, გიჟოვე ჩემო სიყვარულო“**

დღეს 30 მარტია, ჩემი ულამაზესი ლალის დაბადების დღე. და, სწორედ მას ეძღვნება წინამდებარე ნოველა.

წინამძღვარი: სწორი და დროული არჩევანი წარმატების აუცილებელი წინაპირობაა.

მეკალმე ვარდენი.

მოგესალმებით ბიძაშვილებო, ჩემო ადამიანებო. თქვენი სიყვარულის იმპერატორი ვკლავ თქვენთანაა. მისი განუყრელი აბგა ისევ სავსეა ნაირნაირი საგზალით. დღესაც მსუბუქი, სიყვარულითა და ათასნაირი

სანელებლებით შეზავებული ამბავი მოგიმზადათ ვარდენიუსმა. მას უნდა, რომ გადატვირთული, ყოველდღიური, შინაურ-გარეული საფიქრალ-საზრუნავი როგორმე, დროებით მაინც გვერდზე გაგიჩოჩოთ და ასე მშობლიური აკვნის რწევით დაგაძინოთ.

ცოტა არ იყოს, უცნაური რესპოდენტი ჰყავს დღეს ვარდენიუსს. არა, არა, ვერ გამოიცნობთ. ასე რომ, მოდი დავიწყოთ:

- ჩიტმა ამბავი მომიტანა, მითხრა იუბილე გქონიათ! მართალია ქალბატონო?-
- ასეა ვარდენიუს, დიას.-
- რამდენის გახდით?-
- 45-ის-

-გილოცავთ. შეგიძლიათ თქვენს პროტეჟეებზე მომიყვებთ? თუნდაც მათ პირველ შეხვედრაზე?

-რასაკვირველია, მე ხომ მათი სიყვარული ვარ და მთელი ეს წლები მათი ცხოვრებით მიწევდა ცხოვრება? ჰოდა, დიდი სიამოვნებით მოგიყვებით.

ასე, რომ დავიწყოთ:

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი დედისერთა სოფლელი ბიჭი. ის თბილისში, დიდუბის რკინიგზის სატვირთო სადგურში მუშაობდა. ვარანცოვზე, სამკუთხედ ბალთან, ბიძის ოჯახში ედო ბინა. მოკლედ, მთელი ოჯახი შვილივით უვლიდა და სიყვარულით თავს ევლებოდა ჩვენს გმირს.

ერთ დღესაც, მობეზრდა სოფლელ ბიჭს ბოჰემური, უდარდელი და უზრუნველი ყოფა. დედისერთას და ბავშვობიდანვე საკმაოდ განებივრებულს უკვე დამოუკიდებლობა იზიდავდა, სიძნელეებთან ჭიდილი და ახალი გამოწვევები სწყუროდა. ბოლო-ბოლო, საკუთარი კუთხე უნდოდა ჰქონოდა და თავის ჭკუაზე ეცხოვრა. ასე რომ, ვაცი ამჟამად, მომავალზე დაფიქრებულიყო.

სამსახურში მეგობარი ჰყავდა. ბევრი საერთო ჰქონდათ. წიგნები, სამშობლოს სიყვარული, ახალგაზრდობა და თითქმის ერთგვარი, ქართულად, მამაპაპურად შეზავებული და ზემოდან პილპილმოყრილი, პირის მშუშხავი ცხოვრებისეული გემოვნება. არ უყვარდა ბიჭს აჩქარება, პირიქით იცოდა ვისგან მიეღო რჩევა. უფროს მეგობარს გაანდო თავისი გადაწყვეტილება. ჰოდა, მანაც ურჩია. სანერგის უბანში, სადაც მე ვცხოვრობ, ერთი შესაფერისი, პატიოსანი ოჯახი აქირავებს



ბინას, მივიდეთ, დაველაპარაკოთო. ერთმანეთთან ახლოს ვიქნებით, მე მგონი ასე აჯობებსო. შეთანხმდნენ. არ უყვარდა სოფლელ ბიჭს გადადებული საქმე და მათაც, იმავე საღამოს მიაშურეს ასე საოცრად რომანტიკულად მჟღერ სანერგის უბანს...

პატარა ეზოს კედელს მიმდგარ მეგობრებს, რკინის კარებგადაღმიდან, გოგონას სირინოზივით ხმა შემოესმათ. და რატომ სირინოზივით? ანუ, რითი იყო გოგონას ნამღერი განსაკუთრებული? მისი ნამღერი ხომ, ვთქვათ გამვლელისათვის, ჩვეულებრივი იქნებოდა? დიახ, გამვლელისათვის და არა ჩვენი დედისერთასათვის. იმიტომ, რომ ეს იყო დიდი სიყვარულის ქვეცნობიერად მომლოდინე და დედობის ახლად სურვილგაღვიძებული ქალის უძლიერესი და უსაიდუმლოესი გალობა. ქალი, არსება, რომელსაც უფალმა უბოძა უძლიერესი და გამორჩეული ნიჭი დედობისა, დედობისა როგორც მიწიერ სიყვარულთა გვირგვინისა, თავდავინწყებით მღეროდა. ბიჭს უნებურმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. რაღაც უცხომ, აქამდე უცნობმა და მოუსვენარმა გრძნობამ ჩამოურბინა მთელ სხეულში. და მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა ის, რომ თურმე ეს, ცხოვრებაში დიდი ცვლილებების წინათგრძნობა ყოფილა.

კარები, ოდნავ შემალღებულ კარიბჭეზე მდგარმა, ახალნამოჩითულმა, შველივით ყელმოდერებულმა და კიკინებიანმა გოგონამ გააღო. ლამაზ სახეზე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და საოცარი სიკეთით გაცისკროვნებული, ბუნებრივი ღიმილი დასთამაშებდა. მნიფე ალუბალივით მუქ წითელ, სიყვარულის მომლოდინე და ერთმანეთს საყვარლად დაშორებული ტუჩების სიღრმეში, თუ თოვლივით ბრიალა კბილები უბრწყინავდა, რომლებიც საალღუმო მწყობრში ჩამდგარ და სამაგალითოდ განვრთნილი ჯარისკაცებივით სასიამოვნოდ გამოიყურებოდნენ. თითქმის უკვე ნაწნავში გარდამავალი, საკმაოდ დიდი მარჯვენა კიკინა წინ, ჯერ კიდევ ნორჩ მკერდზე გადმოეწვინა. მაღალ შუბლზე გადმოფენილი და მშვილდივით მორკალული „ჰიოლკა“ საოცარ ხიბლს მატებდა მის, ისედაც მიმზიდველ სახეს. გოგონას, მწვანე და რაღაც უცნაურად, თითქოსდა მწველად მზირალი თვალები ათასფერ ბურმუხტად აბრიალებოდა, ხოლო შუამზედ გაყოფილი, გვერდებზე ბავშვურად გადავარცხნილი და შავად მბზინავი თმები კი ღირსეულად ასრულებდნენ გოგონას, ისედაც თოჯინასებრ გამომეტყველებას.

ყვავილებიან და ბოლოებგაშლილ ჩითის უბრალო კაბაში გამოპრანჭულ ახტაჯანას, მარჯვენა ხელში ცოცხი, ხოლო მარცხენაში მწვანე ფერის ჩაიდანი ეჭირა. ბიჭმა წამიერად, წყლის რვიანებით ლამაზად მოხატულ ეზოს გადაავლო მზერა, ამ სურათს გენიოსი ნიკალას თვალთ შებედა, მისი ახალი შედევი, „გოგონა ჩაიდნითა და ცოცხით“ წარმოიდგინა და უნებურად ჩაელიმილა. შემდეგ ოდნავ გვერდზე გაიხედა, ღიმილზე ხელი ჩამოისვა და ერთი შეხედვით უხერხული, ღირიული გადახვევის კვალი სახეს ოსტატურად წაუშალა.

-ქალბატონო, ერთი რამე მაინტერესებს. ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორ ადვილად იპოვეს გოგო-ბიჭმა ერთმანეთი?-

- რასაკვირველია. უფალი ყველას უგზავნის საჩუქარს, მაგრამ სამწუხაროდ ყველა ვერ ხედავს მას. და სწორედ ეს, გამჩენის მიერ ბოძებული ნობათის სწორად დანახვა ან ვერ დანახვაა ალბად ის, რასაც ადამევასიანი ბ ე დ ს ან უ ბ ე დ ო ბ ა ს ეძახის ხოლმე. ხოლო, სწორი და დროული არჩევანი, ანუ იგივე ბ ე დ ი, ნებისმიერი დიდი წარმატების აუცილებელი წინაპირობაა.

ჰოდა, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრო ჩვენმა სოფლელმა ბიჭმა თავის ერთადერთ სიყვარულს. მაგრამ ამის შესახებ, ცოტა მოგვიანებით. ახლა კი გავაგრძელოთ ჩვენი თხრობა:

კლასობანას მოთამაშე ბავშვივით ასკინკილათი მისდევდნენ ერთმანეთს ულამაზესი, სიმბრის დარი დღეები. მთის ფერდობს შეფენილი სანერგის უბანი კოპნია პატარძალივით საყვარლად გამოიყურებოდა. დედისერთას ძალიან იზიდავდა აქაური მეტად თბილი და სოფელივით ლაღი, უშუალო ატმოსფერო. ბიჭის ოთახი, მასპინძლების საცხოვრისიდან განცალკევებით იდგა და მეორე სართულის სიმაღლიდან გადასცქეროდა ქუჩას. უბნის გოგო-ბიჭები მალე გაუშინაურდნენ ფანჯრიდან გადმომდგარ, ღიმილიან და გულუხვ ახალგაზრდას. ცოტა ხანში, ახალთახალი მაცივარი, ტელევიზორი და ყოველნაირი ავეჯი მოზიდა დედისერთა მდგურმა. ბიჭს, ნაქირავებ

ოთახამდე, საკმაოდ დიდი აღმართი ჰქონდა ამოსავლელი. ჰოდა ისიც, თითქმის ყოველდღე ტაქსით ამოდიოდა სახლში და იმარაგებდა ათასნაირ სასმელსა და ტკბილეულს. სოფელშიც ხშირად უწევდა ჩასვლა და მშობლები იმდენ სურსათ-სანოვავს ატანდნენ თავიანთ ერთას, რომ ბიჭი ტაქსში ძლივს ატევდა დალოცვილ სოფლის ნობათს. ნელნელა უბნის გოგონებმაც გამოიდეს თავი. ხომ უნდოდა ამდენ პურმარილს გამზადებაა? ჰოდა, აკურკურდნენ ბატონებო სანერგის უბნელი ლამაზმანები და ერთმანეთს ვერ ასწრებდნენ შუაში თითით ნახვრეტგაკეთებული მჭადების ცხობას. მოკლედ, გამოაცოცხლა უბანი დამოუკიდებლობა მოპოვებულმა და გალიიდან თავდაღწეული ჩიტივით თავისუფალმა და გალაღებულმა, უზომოდ ბედნიერმა მდგურმა.

-ქალბატონო, და გოგოო? ნეტავი რა ხდებოდა მის ნორჩ და სიყვარულისთვის ჯერ კიდევ უცხო გულში?-

- იცით რაა? გოგო-ბიჭის შუაში უკვე ჩამდგარიყო ნორჩი კუპიდონი და მოზიდული მშვილდიდან ისარს ხან ერთს უმიზნებდა და ხანაც მეორეს. ახტაჯანა არ იმჩნევდა, მაგრამ მას მოსწონდა ის იმიტი, რომელსაც ასე სადად იხდენდა საიდანაც და მოულოდნელად მოვლენილი, იდუმალი სოფლელი ბიჭი. ის ხომ არცერთი ფიზიკური ნიშნით არ გამოირჩეოდა? მიუხედავად ამისა ახალგაზრდას, რომელიც თავისი დახვეწილი, ყველასგან განსხვავებული მანერებით, რომელიღაც ფრანგი კლასიკოსის რომანიდან გადმოსულ მხიარულ, მაგრამ ამასთან საკმაოდ თავშეკავებულ გმირს მოგაგონებდათ, ძალიან უხდებოდა იდუმალი იმიტი. ის, თითქოს მაგნიტივით გიზიდავდა და იმავდროულად, არც მიახლოვების საშუალებას გაძლევდა. ასე რომ, ცენტრიდან მოშორებული, საკმაოდ მაღალ გორაკზე კუნძულივით შეფენილი ჭრელი დასახლება და ჩვენი სოფლელი პერსონაჟი, ერთმანეთთან სრულ დისონანსში იმყოფებოდნენ. და ახტაჯანას ჩათვლით, უბნის ვერც ერთი მაცხოვრებელი ვერ მიმხვდარიყო, თუ რას აკეთებდა ეს, ერთი შეხედვით საკმაოდ შეძლებული და მათ თვალში უკვე ავტორიტეტად ქცეული ბიჭი ქალაქის ამ უფერულ უბანში?

მაგრამ, სწორედ ამაში იყო დედისერთას ხიბლი, მის არაორდინალურ გადანყვეტილებებსა და არაპროგნოზირებად ცხოვრებისეულ სვლებში. და გოგოც ნელნელა იხიბლებოდა. და არა მართო. მისი უბნელი ლამაზმანებიც ვერ მალავდნენ ბიჭის მიმართ გაჩენილ გრძნობებს.

დედისერთას ხშირად უწევდა სამუშაოზე ღამისთევა. მის ოთახთან ახლოს, შუა ეზოში, სოფლელი ბიჭის მასპინძლებს წყლის ონკანი მოეწყოთ. ხოდა, სწორედ აქ და სწორედ ღამენათევი მდგმურის სამუშაოდან მოსვლისას ატეხავდა ხოლმე ჩვენი ახტაჯანა ქვაბებისა და თეფშების რახარუხს. არ აძინებდა ღამენათევი ბიჭს. მოკლედ, სისხლს უშრობდა და არ ასვენებდა პატარა ალქაჯი სოფლელ ახალგაზრდას. მასთან არც ხვდნა სჭრიდა და არც მუდარა. უფრო მეტსაც გეტყვით. ჩვენი მდგმურის ოთახის კარებთან კედელზე მიდგმული კიბე, შენობის მობეტონებულ სახურავზე ადიოდა. კიბესა და მდგმურებისთვის განკუთვნილი ოთახის შუაში, სარდაფში ჩასასვლელი იყო მოწყობილი, რომელიც ზემოდან ლითონის სქელი, საკმაოდ განიერი ფურცლით დაეფარათ. სწორედ ეზოს ეს ატრიბუტები გამოიყენა პატარა ალქაჯმა დედისერთას წინააღმდეგ გამართულ

"სამკვდრო-საციცოცხლო ომში." მოკლედ, სახლის სახურავზე ასული ახტაჯანა, მთელი ძალით ისკუპებდა და თავისი ბაკუნა ფეხსაცმელებით, პირდაპირ სარდაფის, კარგი პატრონის მიერ, ცხვირსახოცი თ საგულდაგულოდ დაჭიმული დოლივით სახურავს დაახტებოდა ხოლმე. ვინ იცის, ამის გამო რამდენჯერ გადმოვარდნილა, მთელი ღამე რკინიგზის ლიანდაგებში ნარბენი და ახალჩაძინებული ჩვენი საცოდავი მდგმური დივანიდან! ასე რომ, ღამის ცვლის დასრულების ფარულ სიხარულს, ბიჭს ახტაჯანას ოინების გახსენება ჩააშხამებდა ხოლმე. და დაღლილს არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, თუ რა

"სიურპრიზს" უმზადებდა დღეს მას ქალაქელი ალქაჯი. მიუხედავად ამისა, ჩვენი დედისერთა უკვე ძალიან ხშირად იჭერდა თავს იმაზე, რომ ყოველივე ეს მას რაღაც უცნაურ , აქამდე განუცდელ სიამოვნებას ანიჭებდა.

-ქალბატონო, საინტერესოა თუ რა ცვლილებები ხდებოდა ამ დროს გოგო – ბიჭის დაბნეულ გონებაში?-

-იცით რა? ვერც ერთი მათგანი ვერ აცნობიერებდა, თუ რა ხდებოდა მათ თავს. იყო მხოლოდ ძლიერი ფორიაქი და საშინელი გულისცემა. იყო რაღაც არამინიერი ნეტარება და აღმაფრენა. და ამ პროცესებში მათი გონება თითქმის არ ღებულობდა მონანილეობას. მხოლოდ ორი ახალგაზრდა, ბაგა-ბუგა გული მართავდა ცადანვდენილ გრძნობებს და ქვეცნობიერად ილტვოდა სიყვარულის თვალუნვდენელი სიმაღლეების დასაპყრობად.

იმ საღამოს, შორიახლო მცხოვრები დაქალი ესტუმრა ახტაჯანას. შენს მდგმურთან მინდა შესვლა და აბა შენ იცი, ყურადღებით იყავი, ოთახში არავინ შემოვიდესო. საკმაოდ ლამაზმა, ნაკითხმა მეზობლის გოგომ ადვილად იპოვა საერთო ენა, ასევე წიგნის უზომოდ მოყვარულ სოფლელ ბიჭთან. გოგოს დაქალი აშკარად შეყვარებული იყო ახალგაზრდა მდგურზე და ახტაჯანასთან არც მალავდა ამას. ჩვენს ალქაჯასაც ეჭვიანობის ჭია შეუჩნდა... მაგრამ ბოლომდე ვერ გარკვეულიყო გოგო, თუ რა ხდებოდა მის თავს. ხდებოდა კი ის, რომ უკვე აშკარად იკვთებოდა მისი უდიდებულესობა სიყვარულის კონტურები.

ახტაჯანას სასწავლებელში ნახაზების გაკეთება დაავალეს. გოგო აშკარად მოიკოჭლებდა ამ საქმეში. ჰოდა, ბიჭმაც მას დახმარება შესთავაზა. მაგრამ ერთი პირობით, კინოთეატრში ფილმის ერთად ნახვის სანაცვლოდ. სხვა გზა არ ჰქონდა ახტაჯანას და ისიც დასთანხმდა.

თბილისში ხავერდოვანი ოქტომბერი იდგა. სასიამოვნოდ ელამუნებოდა დედაქალაქელთა სხეულებს შემოდგომის უკვე საკმაოდ ძალაგამოცლილი მზე. ის თითქოს ცდილობდა, მოახლოვებული ზამთრის წინ, სითბოთი და სახეზე ღიმილით დამშვიდობებოდა საყვარელ თბილისელებს. უამრავი ხალხი ირეოდა ოქროს ფერებში მოელვარე ულამაზეს რუსთაველის პროსპექტზე. უკვე შუადღე გადასულიყო. მზე დასალიერისკენ გადახრილიყო. კინოთეატრის წინა, ფართო ტროტუარი, ფილმის დაწყების მომლოდინე მაყურებელთა პატარ-პატარა ჯგუფებს, ძირითადად ახალგაზრდებს დაეკავებინათ. მთის ფერდობიდან დაშვებული გამოცდილი სლალომისტებივით შერეოდნენ მათ რიგებს, ლენინის მოედნისა და ოპერის მხრიდან მიმავალ-მომავალი გამვლელები. ერთი ყრიაშული და მხიარულება იდგა. მოკლედ, ბედნიერების ზეიმი გამეფებულიყო მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის უმშვენიერეს პროსპექტზე.

რუსთაველის კინოთეატრის ეკრანზე, ახალგამოჩენილი ფილმი-შედევი, „შერევილები“ გადიოდა. ბილეთები უკვე კარგახანი იყო რაც გაყიდულიყო. შეჯგუფულ ადამიანთა შორის ბარიგები მიდი-მოდიოდნენ და დაგვიანებით მოსულებს მომსახურებას სთავაზობდნენ. ჩვენი ნოველის გმირები, რომელთაც სახეზე აშკარად ეწერათ დაბნეულობა, მთავარი შესასვლელის შორიახლოს იდგნენ. განსაკუთრებით ბიჭს უჭირდა. ბედი არ გინდა კაცო? მაინცდამაინც მაშინ დათანხმდა მას გოგო კინოთეატრში წაყოლას, როცა ჭიბეში კაპიკი არ უჭყაოდა. ნუხელ ბაგებში, ტურბაზის რესტორანში გვიანამდე ქეიფობდნენ ძმაკაცები. ხუთნი იყვნენ. და მათგან ერთერთი დედისერთას რჩეულის ძმა იყო...

ერთი ნახვით დაუახლოვდნენ ბიჭები ერთმანეთს, უცებ დაძმაკაცდნენ. სოფლელ ბიჭზე რამოდენიმე წლით უმცროსი ახტაჯანას მეტად დიდგულიანი ძმა, ასაკთან შედარებით გაცილებით უფროსად გამოიყურებოდა. ის საოცრად კეთილი, ჭიგრიანი კაცი იყო, ღიმილიანი და სიყვარულით სავსე. უყვარდა ძმაკაცებთან ქეიფი. და უყვარდა სიმღერა. არ არსებობდა სუფრაზე „ცივ ზამთარში“ რომ არ ემღერა. კიდევ, ჩაქაფული უყვარდა ძალიან. თავისი ხელით აარჩევდა ხოლმე ბატკანს და ხორცსა და ტარხუნასაც დიდი სიყვარულით, ფენა-ფენა ჩაანიკნიკებდა ქვაბში.

მრავალი წელი გაატარეს ერთმანეთის სიყვარულში, დაძმობილებულმა ბიჭებმა. სამწუხაროდ, მხოლოდ ნახევარი ცხოვრება გამოიარა და ახალგაზრდა წავიდა იმ ქვეყნად, ჯერ კიდევ შუახნის კაცი. ნათელი მის ხსოვნას. ეეჰ...

მოდით, კვლავ რესტორანში დავბრუნდეთ. შამპანურს მიირთმევდნენ ბიჭები, საბჭოთა ნახევრადმშრალს. სუფრაზე ჩიტის რძეც კი არ აკლდათ. ისე რომ, სამი მათგანი თუ შავ ხიზილალას შეექცეოდა, ჩვენი დედისერთა საყვარელ, ტკაცუნა ნითელს მისძალებოდა.

გვერდით მაგიდას რუსეთიდან ჩამოსული გოგო-ბიჭები მისხდომოდნენ. ღარიბად გამოიყურებოდა სტუმარი ახალგაზრდების სუფრა. ბიჭებმა მიმტანს დაუძახეს და გვერდითა სუფრაზე მწვადები და შამპანური გააგზავნეს. ქეიფი ეკვადორს კარგახნის გადაცილებული იყო, ახტაჯანას ძმამ ნაცადი სიმღერა რომ შემოსძახა. გვერდზე მაგიდაზე მოქეიფე ახალგაზრდა მოსკოველმა ტურისტებმა ნელნელა შეაპარეს თავიანთი ხმები სიმღერის იმტაზე მოსულ ქართველებს. ჰოდა, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ შეზარხოშებულმა მომღერლებმა მაგიდები გააერთიანეს. მოკლედ, კარგად ისიამოვნეს ჩვენმა ბიჭებმა და ძვირადაც დაუჭდათ. აბა, სტუმრებს ხომ არ გადაახდევინებდნენ ბატონებო სუფრის დანახაარჯს?

ჰო მართლა, სად ვიყავით? შესასვლელთან ახლოს მდგარ გოგო-ბიჭს, კინოთეატრის ფოიედან სენსის დანყების გამაფრთხილებელი პირველი ზარის ხმა შემოესმათ. მიდიან ბიჭთან ბარიგები, სთავაზობენ ბილეთებს. ის კიდევ, სხვადასხვა მიზეზით იცილებს მათ თავიდან. ანერვიულდა გოგო და ეჭვიანი, კითხვით სავსე თვალებით მიაცქერდა ბიჭს. ახტაჯანა ცდილობს ჩვენი გმირის მზერის დაჭერას, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ვაჟის თვალები ჯიუტად გაურბიან ქალიშვილის, მის სდევნაში უკვე გადაღლილ მზერას. და ბიჭსაც რა ექნა, ვერ გაუძლო და გამოტყდა ბოლო-ბოლო, არ მაქვს ფულიო, ამოილულულა. გოგომ, ჩუმად მიიხედ-მოიხედა, მხარზე გადაკიდებული, საკმაოდ დიდი, ნითელი ფერის ჩანთა გახსნა, ხუთმანეთიანი ამოიღო და ბიჭს გაშლილ ხელისგულში ჩაუდო. დედისერთამ ორი ბილეთი იყიდა და მორჩენილი მანეთიანი ახტაჯანას დაუბრუნა. გაბრაზებულმა გოგომ ხელები გაასავსავა და გამონვდილი ფული ცივად შეატოვა სირცხვილისაგან აჭარხლებულ დედისერთას. სოფლელმა ბიჭმა ის მანეთიანი სამახსოვროდ შეინახა და ეს გაცრეცილი, მაგრამ უსაყვარლესი საბჭოთა კუპიურა დღესაც ამშვენებს მათ საოჯახო რელიკვიას, მათ მშვენიერ მოგონებებს. მოკლედ, ჰაემანიც ასეთი ორიგინალური გამოუვიდა ჩვენს დედისერთას. დაპატიჟა თავისი რჩეული, აყიდინა ბილეთები და... შეიყვანა ფილმის საყურებლად.

ერთმანეთს მისდევდნენ უბედნიერესი დღეები და გოგო და ბიჭის ცხოვრებაც ერთ დიდ ზეიმს დამსგავსებოდა.

იმ დღესაც ულამაზესად გათენდა. გათენდა, თითქოსდა ერთი რიგითი კვირა დღე. ბიჭი ოთახიდან გამოვიდა. დილის ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა და ცას სიყვარულით სავსე თვალებით აჰხედა. მზის მწველ სხივებს მზერა ღიმილით მოუჭეტა და მოულოდნელად თავისი მასპინძლების ოთახის გამოღებული კარი შეამჩნია. არც გარედან და არც ეზოდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ბიჭი სახლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა. გოგოს დაუძახა ხმადაბლა. ისევ სიჩუმე სუფევდა, გარშემო რაღაც საოცარ იდუმალებას დაესადგურებინა. დედისერთა ჩუმად შევიდა სახლში და ოთახის სიღრმისაკენ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა. შემდეგ შეჩერდა, თავი მიატრიალა და გოგოს საძინებლისკენ გააპარა თვალი. საძინებლის კარები ოდნავ ღია დარჩენოდათ. იქიდან ქალიშვილის სანოლის ბოლო ნაწილი და ჩვენი ახტაჯანას, თითქოსდა საღამურიდან გადმომხტარი, აშკარად "მძინარე" და გაკრახმალბულ თეთრეულზე უდარდელად მისვენებული, მხოლოდ ერთი ულამაზესი ფეხილა მოსჩანდა. მოულოდნელად ბიჭს უცნაური აზრი დაებადა თავში. მისი ტვინი, აშკარად ინსტიქტურ და ალოგიკურ მოქმედებაზე გადასულიყო. მან ფრთხილად გამოაღო საძინებლის კარები და გოგოსკენ ისეთი ნაბიჯებით გაემართა, როგორითაც კატა ეპარება ხოლმე საცოდავ მსხვერპლს. ბიჭი სანოლთან შეჩერდა და მძინარე ანგელოზს მონუსხულივით დააცქერდა. გოგოს ცისფერი, ულამაზეს მატყმანებშემოვლებული ზედა-ქვედა საღამური ეცვა. მარჯვენა, მოხრილი ფეხი, გაშლილ მარცხენა ფეხის მუხლისთავთან მიედო. მკლავები სანოლის მთელ სიგანეზე ლამაზად გადაეშალა და ამოტრიალებულ ხელისგულებზე თითები ოდნავ მოხრილი დარჩენოდა. ისე, რომ კაცი უნებურად იფიქრებდი, ხელში საჩუქრის

ჩადებას ელოდება, მერე რომ მუშტები სწრაფად შეკრასო; არც თუ გრძელი თმები ისე ლამაზად გასწვრივდა, გეგონებოდა ვიღაცამ სპეციალურად იზრუნა ამისთვისო; საკმაოდ მოზრდილი ორივე კიკინა კი, საოცრად მიმზიდველ, ჯერ ისევ ბავშვურ მკერდზე, სათამაშოებივით გადმოიწვინა. გულაღმა მწოლიარე ქალიშვილს თავი კედლისკენ გადაებრუნებინა და მისი ვარდით გადაშლილი ბაგეები გაბუტული ბავშვის ტუჩებივით სასაცილოდ გამოიყურებოდნენ.

ბიჭი ნელნელა იხრებოდა მძინარე ქალიშვილისაკენ. მთელი მისი არსება რაღაც სასწაულებრივ გრძნობას მოეცვა, რომელიც მისთვის უცხო, მაგრამ ამავდროულად ანდამატივით მიმზიდველი იყო, როგორღაც არარეალური, არამინიერი. დედისერთა თითქოს საოცრად სასიამოვნო მზანებას ხედავდა და იმის შიშით, რომ არ გამოფხიზლებულიყო, სუნთქვას იკრავდა და გულის ცემასაც იჩერებდა. ჩვენი გმირი ნელ-ნელა იხრებოდა მძინარე მზეთუნახავისაკენ. ის უკვე აშკარად გრძნობდა გოგოს მშვიდ, მონოტონურ სუნთქვას და ხარბად ისრუტავდა ახტაჯანას უმშვენიერესი სხეულიდან მომავალ მათრობელა სურნელს...

და აი, მისი ათროთლებული ბაგეები ქალიშვილის წითლად აბრიალებულ მარცხენა ლოყას შეეხო. არა, ეს არ იყო კოცნა, არა. ეს ამბორი იყო. წმინდა და სუფთა, თავისუფალი ყოველგვარი ქვენა გრძნობებისაგან. სიყვარულის ცეცხლში თავიდან ფეხამდე გახვეული, თვალემბილულული და ნეტარებისგან თავდაკარგული ახალგაზრდა ვაცი, საოცარი სათნოებით დასწაფებოდა მძინარე ქალიშვილის ლოყას და მთელი არსებით შეერთებოდა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე სხეულს...

ისევ არ იშლიდნენ დღეები თავისას. და გარბოდნენ და გარბოდნენ თავდავინწყებით. და, სულ უფრო და უფრო იკრებდა ძალას ორი ახალგაზრდა არსების ულამაზესად გაღვივებული სიყვარულის თესლი.

ბიჭს პერიოდულად მეგობრები სტუმრობდნენ. ჰოდა, დაფრინავდა გოგო, აცხობდა უგემრიელეს მჭადებს და კისკისებდა თავდავინწყებით. დედისერთას სახეზე სიყვარულის ღიმილი დასთამაშებდა და ბედნიერებისაგან თვალეები უბრწყინავდა. ხედავდნენ სოფლელი ბიჭის ძმაკაცები რაც ხდებოდა და შეჰხაროდნენ წყვილის ბედნიერებას. ჰოდა, იყო ერთი ხუმრობა და სიცილ-ხარხარი.

საღამოხანი იყო. ბიჭი დივანზე წამოწოლილიყო და კითხულობდა. გულს ვერ უდებდა საყვარელ საქმეს. ის გოგოს ელოდა. ახტაჯანა, სადაცაა უნდა დაბრუნებულიყო სასწავლებლიდან. დედისერთამ, გადაშლილი წიგნი იქვე, დივანთან მდგარ სკამზე დადო და ჩაფიქრდა. მერე, ის იყო, ეზოს კარების გაღების სასიამოვნო ხმაც რომ გაისმა. ბიჭს სახე გაებადრა, დივანზე წამოჯდა და ოთახის კარებს მოლოდინით სავსე მზერა შეავლო. მისი გულის ცემა წამი-წამ მატულობდა. იმ დონეზე მატულობდა, რომ ვაცი იფიქრებდა, გული სადაცაა თავისივე ფიცრიდან გადმოხტება და საყვარელ არსებას თვითვე შეეგებებო. ფეხსაცმელების ბაკუნი შემოესმა, გოგოს მოდური, მაღალქუსლიანი, წითელი ფეხსაცმელების ბაკუნი, დედისერთას. ოჰ, როგორ უყვარდა ბიჭს ეს ხმა! თუმცა, მას უკვე ყველაფერი უყვარდა, რაც ახტაჯანას უკავშირდებოდა და რაც მის თავს ახსენებდა.

და შემოფრინდა ალქაჯი არსება სიყვარულის სურნელით გაჟღენთილ ოთახში. სახე უღიმის, დრო და დრო უმიზნობდ კისკისებს. ბიჭი დაუმუნჯებია გოგოს სილამაზესა და ამდენ ემოციას. და თითქოსდა გამოხატვის უნარი დაუკარგავს. ერთადერთი, სახეზე გაურკვეველი ღიმილი დასთამაშებს და ახტაჯანას თვალს ვერ უსწორებს. ჰოდა, მზერა უაზროდ გაურბის ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ.

ამასობაში, გოგომ თავისი დიდი და ასევე წითელი ჩანთა დივნის ბოლოში მოისროლა და თვითონაც მის გვერდში წამოსკუპდა. ბიჭს ენა აქვს ჩავარდნილი, ახტაჯანა კი, კვლავ ერთ ამბავშია.

დედისერთა ბევრს კითხულობს ხოლმე, იმდენს რომ ბოლოში გასასვლელად დრო არასოდეს არ ჰყოფნის. ახლაც, გოგოს წინ სკამზე დევს ჯერ კიდევ წაუკითხავი, კვირის განმავლობაში დაგროვილი რუსულ-ქართული გაზეთების, საკმაოდ დიდი დასტა. ბოლო-ბოლო,

ვერ აიტანა ახტაჯანამ ბიჭის პასიურობა, აქეთ-იქით დაუწყო რაღაცას ძებნა და... დაერია მის წინ დალაგებულ გაზეთებს. ბრდღვნის და ბრდღვნის. ახლა კი გადაირია ბიჭი და წამოხტა ფეხზე. ჰოდა, წამოხტა ახტაჯანაც და გავარდა ღიად დატოვებულ კარებში!

მიხურა გაბრაზებულმა ბიჭმა კარები და შემოტრიალდა. მთელი იატაკი გაზეთების ნაგლეჯებით იყო მოფენილი. გოგოს იქაურობა ნაომარი ველისთვის დაემსგავსებინა. დედისერთა დივანზე ჩამოჯდა, თვალები დახუჭა და მკლავები სიამოვნებისაგან გადაშალა. მოულოდნელად, მისი მარცხენა რაღაც ცივ მეტალს შეეხო. ბიჭმა თავი მიაბრუნა და მხერით ახტაჯანას წითელ ჩანთას გადააწყდა....

დედისერთას მამას ხშირად უწევდა თბილისში მივლინებით ჩამოსვლა. ფოთი-თბილისის მატარებელი დილაადრიან ჩამოდიოდა დედაქალაქში. ისე რომ, ბიჭთან ჩამოსულ მამას შვილი ჯერ კიდევ მძინარე ხვდებოდა. ჰოდა, წინა ჩამოსვლაზე, როცა ოთახის, ჩვეულებრივად ღიად დატოვებული კარები შეაღო, უცნაური სურათი იხილა ვაცმა. დედისერთა, ეტყობა რაღაც უბედნიერეს სიზმარში დაფრინავდა. სახეზე ღიმილი არ შორდებოდა და უცნაურად ღრმად სუნთქავდა, გეგონებოდა, სადაცაა ბედნიერებისგან სიცილი წასკდებო. სიზმრის განცდებისაგან აფართხალებულ ბიჭს, თხელი საბანი იატაკზე ჩავარდნოდა და დილის სიცივისაგან საცოდავად მოკუნტულიყო. მაგრამ, ეგ კიდევ არაფერი. მოულოდნელად, ვაცმა ისეთი რამ დაინახა, ასი წელი რომ ვერ მოიფიქრებდა. მოკლედ, მრავლის მნახველი ვაცი ისეთ დღეში ჩავარდნილიყო, სოფლიდან წამოღებული და ათასნაირი მეგრული ნობათით გაძეძგილი ორი დიდი ჩანთის ძირს დადგამაც კი ვერ მოეფიქრებინა. მოკლედ ბიჭს, წინა საღამოს მის ოთახში ახტაჯანას მიერ შემოტანილი და წასვლისას გადავიწყებული, საკმაოდ დიდი თოჯინა ისე მაგრად ჩაეკრო მკერდში, რომ ვაცი იფიქრებდა, ცოტაც და დაახრჩობსო.

ხო მართლა, სად გავჩერდით? ჰო, ჩანთა რომ დარჩა ახტაჯანას ბიჭთან. ჰოდა, ბედი არ გინდაა, ვაცო! სწორედ მეორე დილით, ისევ ჩამოვიდა თბილისში, სამინისტროდან სასწრაფო საქმეზე გამოძახებული დედისერთას მამა და რას ხედავს. ჩაუხუტებია მის შვილს წიგნებით გაძეძგილი, გოგოს წითელი ჩანთა და ბედნიერი სახით სძინავს...

საღამოთი, რკინიგზის სადგურზე წასვლამდე მამა-შვილმა ერთად ივახშმა. და, დამოძღვრა მშობელმა ერთადერთი ვაჟი:

– შვილო, არ მომწონს მე შენი საქციელი. იცოდე, სირცხვილი არ მაჭამო, სასწრაფოდ უნდა გადაბარგდე ამ პატიოსანი ოჯახიდანო -

ლამაზ, საოცრად ხიბლიან და მიმზიდველ გოგოს თაყვანისმცემლები არ აკლდა. მაგრამ არავინ მიიღო მისმა პრეტენზიულმა, უცნაურმა ხედვამ. ზოგი იმის გამო დაიწუნა, რომ ფეხზე ჩაცმული ბამბის წინდა დაუწუნა, ზოგიც იმიტომ, რომ სანდლებს ატარებდა და ზოგიც... მოკლედ მიზეზი არ გამოელა. სინამდვილეში თურმე მას ელოდა, თავის დიდ სიყვარულს. ახტაჯანას ერთ-ერთი მეგობლის სტუდენტი ნათესავიც ყურებამდე იყო კუდრაჭა გოგოზე შეყვარებული. მაგრამ ჩვენი სანერგის უბნელი ლამაზმანი ახლოსაც კი არ იკარებდა სანდლებსა და ბამბის წინდებში შემოსილ ახალგაზრდას და საშინელ დღეში აგდებდა ხოლმე...

წინა ზამთარი დიდთოვლიანი გამოდგა თბილისში. იმ დილითაც ხვავრიელად თოვდა ქალაქში. ახტაჯანა თავისი სახლის კუთხეში, სანერგის უბნის მთავარი ქუჩის საკმაოდ ციცაბო აღმართის თავში იდგა. მეგობლის ნათესავი ყოველ დილით ქვემოთ, პატარად წოდებული ბაზრის გასტრონომში დადიოდა, თავისი პატარა ბიძაშვილებისათვის რძის ნაწარმი მოჰქონდა ხოლმე. ჰოდა, აი ისიც გამოჩნდა. ხელში შუშის, რძითა და მანვნით სავსე ბოთლებით გატენილი ბადურა-ჩანთა ეჭირა და ტაატიტ მოუყვებოდა დათოვლილ ტროტუარს. გოგომ მოზრდილი ქვა აიღო, სველ თოვლში კარგად გამოკრა და საკმაოდ მძიმე გუნდა, მოახლოებული ბიჭისაკენ მთელი ძალით გაისროლა. მერე, ის იყო, ციდან უწყვეტ ნაკადად მფრენი თოვლის ფანტელების თანმდევი სიჩუმე, დამტვრეული ბოთლების ჩხარა-ჩხურის ხმამ დაარღვია. შეყვარებული ბიჭის რეაქცია უცნაური გამოდგა გოგოსთვის. მან საოცრად შემსუბუქებული ბადურა ერთი კი ასწია მაღლა,

მაგრამ ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თავი ჩაქინდრა, სახეზე კმაყოფილებით სავსე ღიმილი გამოესახა და დამსხვრეულ ბოთლებიანი ბადურის ქანაობით გააგრძელა გზა...

1974 წლის 23 ოქტომბრის დილა გათენდა. იმ დღეს პირველად ნახა დედისერთამ ატირებული გოგო. საშინლად დაეწვა გული. შეყვარებულები ბიჭის ოთახში, დივანზე ისხდნენ. ახტაჯანა სლუკუნით უყვებოდა დედისერთას თავის გასაჭირს. მეგობრისგან საიდუმლოდ გაეგო, რომ დღეს, მეზობლის ნათესავი სტუდენტის მშობლები ჩამოდიოდნენ რაიონიდან. ისინი საღამოთი მათთან უნდა მოსულიყვნენ და ახტაჯანას ხელი უნდა ეთხოვათ გოგოს მშობლებისათვის. მშობლებისათვის, რომელთაც მოსწონდათ კიდევ პატიოსანი, მორიდებული, შრომისმოყვარე სტუდენტი.

ჰოდა, ყველაფერი ასე მოულოდნელად გადაწყდა. სხვა გზა არ იყო. ისინი სასწრაფოდ უნდა გაპარულიყვნენ.

დედისერთას პიჯაკის ჯიბეში სამად-სამი მანეთი, ხოლო მკერდში კი, სიყვარულით ანთებული გული ედო...

მინაწერი:

ყველაფერი თითქოს გუშინ იყო. უკან მოხედვა ვერ მოასწრეს. დედისერთა უკვე 70-საა, ახტაჯანა-65-ის. გოგო, ისევ ისეთი მხიარულია, ბიჭი კი, ისევ ისეთი იდუმალი. დღეს 30 მარტია, ახტაჯანას დაბადების დღე. ჰოდა, დედისერთამ ამ ნოველითა და მასავით ცქრიალა შამპანურით მიულოცა თავის ერთადერთ სიყვარულს ეს ულამაზესი დღე. 45 წელი გაატარა ერთად ბედნიერმა წყვილმა. ისე გაატარა, როგორც ერთი ლამაზი, უწყვეტი საღამო, როგორც ერთი ღრმა და საოცრად სასიამოვნო ამოსუნთქვა. და მათ კიდევ ბევრი, უკვე გავლილ ცხოვრებასავით ლამაზი საღამოები ელოდებათ წინ.

მე მუდამ თქვენთან ვიქნები ჩემო ძვირფასებო, ჩემო დედისერთავ და ჩემო ახტაჯანავ. იცოდეთ, რომ თქვენი ლამაზი სიყვარული არასოდეს დაგტოვებთ!

სიყვარულის იმპერატორი ,

მეკალმე ვარდენი.

პარიზი 28.03.2020.

ულრმესი მადლობა ნაკითხვისათვის

მომავალ შეხვედრამდე.



გიორგი კველიძე



///

ოდესმე გინახავთ წვიმაში, მიცვალებულის მომლოდინე სასაფლაო? შორიდან ამოთხრილი მინა მოჩანს. თქვენ გგონიათ ცარიელია და ამ დროს გამზადებულ სამარეში ოთხი მესაფლავე ზის – გოგილო, ომარიე, ზურიე და ბუგატა. მალალი რეზინის ფეხსაცმელებით. გაქეჩილი ბუმლატებით. დახეთქილი ხელებით. აქვთ ჰომიდვრის მჟავე. ყველი. პური. არაყი. თავზე დიდი ცისფერი ცელოფანი

ახურავს ამოთხრილ საფლავს, დაბრეცილ ჯოხებზე გაფენილი.

– ე, გამოჩენ ადმრათზე, ამეიყვანენ სანყალს უკვე – ამბობს, ომარა, წვერიანი, გაბურძნული კაცი, მუდამ გაფუჭებული თევზის სუნი რომ ამოსდის პირიდან.

– მუვასწრებთ ვორ-ვორს – პასუხობს გოგილო. ცოტა ენა ებმება და მეზღვაურის მაისური აცვია. ჭუჭყიანი და სველი.

– აბა, გუუმარჯოს საცხა წავა და იქნება!

– გუუმარჯოს, გუუმარჯოს – იმეორებს ყველა.

– უფ, რაფერი ენამოსწრებული კაცი იყო სანყალი – ამომარცვლავს დალევის შემდეგ ომარა, არაყის სიმჟავისგან დაჭყანული და აგრძელებს. – აბა, უცბათ ვახსენოთ ყოვლადწმინდა და მივასუფთაოთ აქოურობა, თვარა ამეიყვანეს მკტარი. აქანე თუ დავხდით, აღარ მოგვცემს ნათელიე არც საროჩკას და აღარც ნასკებს და ჩაატანს ჟორაიას.

ნათელიე გარდაცვლილის ცოლია. საროჩკა და ნასკები – სავარაუდო საჩუქარი მესაფლავეებისთვის. და ალაგებენ. და სანამ მიცვალებულს მოასვენებენ, სადღაც ქრებიან. ასე იოლად და მსუბუქად უთმობს ადგილს სიცოცხლე სიკვდილს და მერე პირიქით. ოდესმე ბუგატასაც დამარხავენ და ომარიასაც. მათ საფლავშიც იჯდება ვინმე. და რატომღაც ასე მგონია, რომ სანამ ვინმე იჯდება საფლავში, სადღაც, რომელიმე სოფელში მაინც, მანამდე დაამარცხებს სიცოცხლე სიკვდილს. რატომ მგონია, არ ვიცი. მაგრამ მგონია.

///

ცოტა ვიარე თუ ბევრი, მამაჩემიც გამოჩნდა. ის ეზოც ძალიან ჰგავდა ჩვენსას, სურებისას, მაგრამ ღობე არ ჰქონდა. არც სახლი ჩანდა. ხეები ჰგავდნენ და ჩრდილები. ქარი ჰგავდა. მამა დაღლილი იყო, ოფლიანი და არ ჩამეხუტა. ასე იცოდა – დაგსვრიო.

მე სიგარეტი ამოვიღე. ოთხი ბლოკი. მივეცი.

– კაი, რათ გინდოდა ახლა მაი, მაგდენი, რეიზა ხარჯავდი ფულს! აბდალი ხარ შენ! თქვა მამაჩემმა და იქვე, ხის ძირას ჩამოჭდა. ისე, როგორც ადრე აკეთებდა, თითქოს, პირიქით, დგებაო – ჰოოოჰა! და ჩამოჭდა.

– აიღე კაცო, ერთი თვე გეყოფა.

– არ ვარგა მაი. კაი რო ყოფილიყო, ხომ მოწვევდი იქინეც. წვილე უკან იცრუა მამაჩემმა. იქაც უყვარდა. თუ რამე უყვარდა, ეს და ლუდი. მაგრამ ჩუმად და იშვიათად ეწეოდა, თითქოს თავისთავს ემალეობდა. გაჭირვებებისას დაანება თავი. მერე, უფრო აქეთ, დედაჩემს მღვდელმა უთხრა ეგ ეშმაკის საკმეველიაო. ეგ – სიგარეტიო. დედაჩემმა მამაჩემს გადმოსცა. მამაჩემმა ან დაიჭერა, ან არა, მაგრამ საკუთარი „მარხვა“ ამითაც გაამყარა. თუმცა ხანდახან, მე ჩამქონდა და მერე ვხედავდი, როგორ ეწეოდა, სადღაც შორს, თვალმოფარებული – მალულად და რიტუალის განცდით. ამიტომ ახლაც ასე ვუთხარი:

– დაიტოვე და მიეცი ვინმეს, თუ არ გინდა შენ!

– აკრძალეს აქანე მოწვევა. რაცხა ადგილები დატიეს მოსაწვევად მარტო.

– ვაჰ – გამიკვირდა მე – იქაც აკრძალეს. მაგრამ ასე ღია ადგილებში შეიძლება.

– აქანე მარტო ღია ადგილებია – თქვა მამაჩემმა და გაიცინა.

მერე რაღაც დრო ვდუმდით. მერე უკან მიიხედა და ასე, კვებით მითხრა:

– წაი ახლა, მეესწრები აქანე მოსვლას.

– კარგი, წავალ – ვუთხარი მე – მაგრამ ეს სიგარეტები მაინც დაიტოვე. დღეს შენი დაბადების დღეა.

– უი, მაი სულ არ მახსოვდა – თქვა მამაჩემმა. ან იმ ხემ თქვა. ან არ ვიცი. რადგან ხმა გავიგონე და ველარავის ვხედავდი. ეს ცოტა ხანი. ძალიან ცოტა. მერე ვხედავდი ჩემს ჭერს. და მესმოდა მეზობლის გინება, რომ ვერ გაურკვევია, სად მოიწიოს, რადგან ყველა ორმოცდაათ მეტრში ახალი საგანმანათლებლო დაწესებულება ხვდება.

მამაჩემი სამი წლის წინ გარდაიცვალა. მეზობელი ცოცხალია.

///

ოცი სექტემბერის მერე მოდიოდა წვიმა. წვიმა ნიშნავდა ტილოზე ბათხულის მობერებული საღებავით შემორჩენილი ფერების ჩამორეცხვას და სხვა დროს – თხილის და სიმინდის რჩევის დროს, ფეჩის შენთების მოსინჯვის დროს, ადესის დაწურვის დროს და სალამოობით მივიწყებული ლაპარაკების გახსენების დროს. თითქოს ყველა სიტყვა, რაც ბათხულის სიჩქარეებმა ჩაყლაპეს ერთად უნდა გვეთქვა სევდიან სახლში, ლამპის დაღლილი ნათლის თანხლებით, როგორც გარდაუვალი ლოცვა დიდი ღამეების შეგებებისას.

წვიმდა ყველგან და ყველაფერს წვიმა ერქვა. ანუ ნაცნობი ადგილები სხვაფერდებოდნენ. ჩემამდე მისასვლელი გზაც მავთულის თანმდევი ღობით, სადაც კვახის ჭერ კიდევ მწვანე ფოთლები დუმფარებივით იგუბებდნენ წყლის წვეთებს და წამით ყოველთვის შევჩერდებოდი ხოლმე. ხელს ვკრავდი, ჩამოვფერთხავდი და გზას გავაგრძელებდი თავზე მოხურული ბუშლატით. ეგ იყო შემოდგომის შესავლისას ტუალეტში წასვლის აუცილებელი რიტუალი.

ანწვიმდა ღამეებსაც და ხანდახან წვიმა სიზმრებში გამოუარდა, როგორც სახლის მოძველებულ სახურავში. სიზმრის წვიმა დიდად გასაკვირი ვერ იქნება – არ მასველებდა, სახლში შემოპარულისთვის კი აუცილებლად უნდა შეგეგდა რამე და მერე გეცვალა. ტაშტი, ვედრო ან ლახანკა. როგორც წესი, ეს საქმე სხვენში ხდებოდა და მანდ ასვლა ტაშტის გამოცვლა კილიმანჯაროზე ასვლისოდენა რიტუალი იყო, ეგ იყო – ლეოპარდი არ გვხვდებოდა.

ანწვიმდა დენის კაცსაც, რომელიც სიმბოლურად მიდიოდა ნემსით გაჩერებულ მრიცხველთან, მერე მიდიოდა მაგიდასთან, აიღებდა კარალიოკს, ერთ რონკა ოტკას გადაკრავდა და მერე საერთოდ მიდიოდა.

ანწვიმდა გელა კიკვაძესაც და სველი გელა კიკვაძე ბრძნული სახით ამბობდა, რომ კაცმა ქოლგა არ უნდა დაითაროს. გელა ადრე გარდაიცვალა. ცეროზით. მერე გელა გაასვენეს. და იმ დღეს განწვიმდა. მივდიოთ აღმართზე და მიგვყავდა გელა მოყავისფრო კუბოთი. ვიდაცას ხელში ქოლგა ეჭირა და აფარებდა. გელა ქოლგის ქვეშ პირველად და უკანასკნელად იყო. შეიძლება ამიტომაც ხუჭავდა თვალებს. არ უნდოდა ქოლგის დანახვა.

ოქტომბერზე სხვა დროს მოგიყვებით.



ლეილა გაფრინდაშვილი



ნეტავ!

დღეს ხომ პირველი აპრილია... ნეტავ ტყუილი იყოს, რომ შენ აღარ გყავხარ.

სიყვარულის ნერგმა, რომელიც ჩვენმა ბაბუამ, ალექსანდრე გაფრინდაშვილმა დარგო და ახარა, მერე ჩვენი მშობლები ფესვებს ურწყავდნენ და იმ ხის ჩრდილში ზნეობის, სიკეთის, სიყვარულის გაკვეთილებს გვიტარებდნენ, ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა, ჟამთა ცვლამ ვერ შეასუსტა, პირიქით, გაამაგრა, გააძლიერა და ჩვენ, შვილნი, „ფუძესახლის“ შვილიშვილები, სიყვარულის ძაფით გადაგვნასკვა ერთმანეთში.

ჩემო ლევიკო, (ლევან გამყრელიძე) ჩემო ტკბილო ძამიკო, მხოლოდ შენს ოჯახში ვი არა, ჩემი, ლენდას, ნუგზარის, უზანას, ცისმარის, გურამის გულებში, ის იარა, რომელიც შენმა წასვლამ გააჩინა, არ მოშუშდება. იმ ადგილიდან მუდამ, ვიდრე ჩვენ ცოცხლები ვართ, იდენს სისხლის წვეთი და ჩუმი ცრემლი, ცრემლი დამალული, (რომ სხვა არ შევანუხოთ, თავს არ მოვახვიოთ ჩვენი ტკივილი). ერთმანეთის გამხნევებას ვცდილობთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, მოდის და მოდის ცრემლების ნიაღვარი...

დაგვრჩა ჩვენი ბავშვობის, სტუდენტობის ერთად ცხოვრების ტკბილი მოგონებები. ჩვენი შეხვედრებით განცდილი სიხარული, ბედნიერება რომ გვცხატა ყველას სახეზე. გულში ჩახუტება, ურთიერთის გაფრთხილება და პატივისცემა! ჩვენს ურთიერთობებში არ ყოფილა ერთი ზედმეტი უკადრებელი სიტყვაც კი.

გაგრძელდება ჩვენი ცხოვრება ჩვენო ტკბილო ძმავ, მაგრამ ჩვენს შეკრებას აღარ ექნება ის ხიბლი, ხალისი, დააკლდება ის ნაპერწკალი, სიხარულის ცეცხლს რომ ააალებდა ხოლმე ყველგან, სადაც ჩვენ ვიყავით. ამ ყველაფრის მომსწრე ჩვენი შვილები და შვილიშვილები ჩვენსავით იზიარებდნენ ამ ბედნიერ წუთებს, მივლიდინებდით ერთად, ვაკავშირებდით ჩვენს მომავალ თაობას და ა. შ...

ერთი მონაკვეთი ჩვენი ცხოვრებიდან: ტელეფონის ზარია, უზანა მირეკავს: „ჩქარა, მოემზადე, ზვიადმა დამირეკა, იმერეთისკენ ყველა, „ფუძესახლში“, საქეიფოდ, ერთმანეთის მოსაფერებლად – დილომში, ქალაქის გასასვლელში ვიკრიბებითო.“ ერთი კი წავიბუბლუნე, ასე უცებ, როგორთქო, მაგრამ პარალელურად სამზადისიც დავინწყე, ან ვინ მომცემდა დაფიქრების დროს, ითქვა და მორჩა!

იმ პერიოდში შუქები ქრებოდა, გენერატორი წავიღეთ და სამი ბედნიერი და დაუვინყარი დღე ვაჩუქეთ ერთმანეთს!

და კიდევ რამდენი...

ბოლო შეკრება, უდიდესი მხიარულება, დედას 90 წლის იუბილე იყო, რა თქმა უნდა, შენ იყავი თამადა, თბილი, კულტურული, სიტყვანყლიანი, იუმორით გაჯერებული...

დედა აღარ მყავს, მაგრამ... შენი წასვლით გამონვეულ ტკივილს მაინც ვერ გადაიტანდა... ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე, რარიგად აფასებდით ერთმანეთს და როგორ ეხატებოდა სახეზე შენი დანახვის სიხარული!

დედას 40-ზე მიმავალს საავადმყოფოდან დამირეკე: მებოდიშებოდი, გული გწყდებოდა, რომ ჩვენთან არ იყავი, ტირილით მოვკვდი, ზნემაღალო, გულიანო და თუ

რამ სიტყვა არსებობს, ადამიანის შესაქებლად, ყველა რომ გესადაგება, ჩემო და ჩვენო ტკივილო და სიამაყევ!

როგორ დაგტირის შენი ქალაქი ჭიათურა, რომელსაც ვერ შეელიე, ვერ უღალატე მეგობრებს, კოლეგებს... ავი გქონდა შემოთავაზებები, დედაქალაქში გადმოსულიყავი. რა გულწრფელია კომენტარები, რომლის ნაკითხვაზეც ცრემლად ვიღვრები, რადგან ვიცი, რა სიმართლეა თითოეულ სიტყვაში!



გივი მოდებამდე – ქალაქ ჭიათურის მერი: „ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ, ბატონ ლევან გამყრელიძის გარდაცვალების გამო. ძალიან დასანანია, რომ ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა: თხემით-ტერფამდე ინტელიგენტი ადამიანი, თავისი ქვეყნის, ქალაქის პატრიოტი და კარგი მოქალაქე. ბატონი ლევანის ცხოვრება მთლიანად იყო დაკავშირებული თავის ქალაქთან, სამთო მრეწველობასთან. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა „ჯორჯიან მანგანუმის“ სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ამჟამად, შ. კ. ს. „პროფიუნიტის“ ხარისხის მართვის კოორდინატორი გახლდათ, ასევე – ჭიათურის მერის საკონსულტაციო საბჭოს წევრი. აქტიურად იყო ჩართული ქალაქში მიმდინარე პროცესებში.“

გულწრფელად თანავუგრძნობ ბატონი ლევანის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, და კოლეგებს ამ დიდი დანაკლისის გამო.“

მაია ტყემალაძე – ქალაქის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი: „ბატონი ლეო! უსაზღვროდ მენყინა, მეტკინა. ის ხომ გამორჩეული ადამიანი იყო, ნამდვილი ინტელიგენტი, ქალაქის კოლორიტი, ჭკუის საკითხავი ვაცი...“

ვნუხვარ, გითანაგრძნობთ მთელი არსებით! ნათელში დამკვიდრებულიყოს მისი ლამაზი სული!“

რამაზ გამეზარდაშვილი : „ძალიან მძიმე განცდაა, რომ ლევან გამყვრელიძე აღარ არის. სიკეთის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, საქმის ცოდნის, პროფესიული ღირსების ეტალონი. სრულად გამოვლენილი სიკეთე, წონასწორობა და უკომპრომისობა ერთ ადამიანში. მშვიდობით უფროსო მეგობარო, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა!“

ეთერი ზედანია: „სუნთქვა შემიჩერდა ამ მოულოდნელი ელდისაგან. რა დიდებული პიროვნება, როგორ ღირსეულ ოჯახში აღზრდილი. დიდი დანაკლისია ყველა ჭია-თურელისათვის, ვისთანაც ჰქონია ურთიერთობა. ნათელში იყოს მისი ფაქიზი სული.“

მამუკა გოგატიშვილი: „ღიმილიანი, კეთილი, განათლებული, ინტელიგენტი... ძალიან ბევრი სიკეთე მახსოვს! ვიზიარებ, ღმერთმა გაანათლოს მისი სული!“

რომელი ერთი დავტოვ ფურცლებზე...

გმადლობთ ყველას, ვინც გულთან მიიტანეთ, თბილი სიტყვები არ დაიშურეთ...

შენ გენაცვალე, ჩემო ზვიად, როგორ თავდაუზოგავად იბრძოლე, ძალას გაძლევდა უზარმაზარი სიყვარული და პატივისცემა შენი ბიძის, მეგობრის, მესაიდუმლის, მაგალითის მომცემი პიროვნების მიმართ!

ილო, მოსიყვარულე, გულიანო ვაცო,მადლობა ჩვენგან, რომ მთელი გულით იდექი შენი საუკეთესო სიმამრის გვერდით.


ვაი, რომ დავმარცხდით!

ზემაღალი სიყვარულის ვაცო, ჩემო ლევიკო, მიყვარხარ! ამ გრძნობას არა აქვს საზღვრები. დაგვაკლდები და, მერე როგორ. რას ვიზამთ, უნდა გავუძლოთ... მჯერა, შენი წმინდა სული

ადგილს დაიმკვიდრებს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!



გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)



შორეული ახლოგაღი
(მხიარულ თემაზე)

ჩემს მეგობარს, ანდრო ახალკაცს, ახლოგაღი გარდაეცვალა. ბიძა-ძმისშვილები მეტროს სადგურ „ღრმადელესთან“ შეიკრიბნენ და ერთად გაემგზავრნენ დაკრძალვაზე. მისამართი ზუსტად არ ახსოვდათ, სადღაც, ხსენებულ მეტროსთან ახლოს რომ ცხოვრობდა, ეს იცოდნენ მხოლოდ. ჰოდა, მიაგნეს, ვიდრეც, სასურველ კორპუსს, რომელიც ცენტრალური მაგისტრალის პერპენდიკულარულად იდგა, სადღაც, მეორე რიგში.

ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მღუმარედ ჩაუარეს დამხვდურთ და სადარბაზოში შევიდნენ. ანდროს გულმა რეჩხი უყო-დამხვდურებში ვერც ერთ ნაცნობს ვერ მოჰკრა თვალი, მაგრამ, ვიდრე ეჭვის გამოთქმას მოასწრებდა, ბიძამისმა უკვე სადარბაზოში შეჰყო თავი. პირველ სართულზე ჰყოლიათ დასვენებული, არადა, ანდროს მესამე სართული ახსოვდა, მაგრამ, უკან ველარ გამოზრუნდებოდნენ. ვიდრე

ერთი უცნაურობაც-მათი გარდაცვლილი ახლოგაღი ქალი იყო, აქ კი მიცვალებულის თავთან იდგა გადიდებული სურათი, რომლიდანაც შავ-ფართოულვაშიანი მამაკაცი

შემოჰყურებდათ, თანაც, ქართველიც არ უნდა ყოფილიყო(!) უცხო ხალხის დანახვაზე ჭირისუფალმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხა,რა თქმა უნდა, ქართულად:

– აზიზა! რა კაი კასი იყავი, აზიზა!... რამდენმა დაგაფსეს(დაგაფსესო! – გ. მ.) გალსტუხიანებმა, აზიზა!.. სულ ერთმანეთზე კარქები და ლამაზები კიდიათ (ჰალსტუხებიო! – გ. მ.) ანდრომ ჭირისუფალს შეხედა და მწუხარების გაზიარების ნიშნად მხარზე ხელი მოუთათუნა. რომ მოიხედა, წინ მიმავალი ბიძამისი უკვე მიცვალებულზე იყო გადამხოზილი. ძლივს ააწყვიტეს უბედურს...

- იცანი?! – ჰკითხა ბიძას გაკვირვებულმა ქუჩაში გამოსვლისას.
- ვიცანი არა, კვახი!..ამოვარდნილ პარკეტს წამოვკარი ფეხი და... თავი ველარ შევიკავე!
- თავი იმართლა ბიძამისმა.

ამ დროს მეზობელ კორპუსთან მათკენ მომავალი პროცესია გამოჩნდა, რომელსაც წინ მათი ახლოგაღი ქალბატონის გადიდებული სურათი მოუძლოდა...

შემთხვევა მაღაზიაში
(მხიარული გვერდი)

დახლის მიღმა ბოლთას სცემდა ულვაშებაპრეხილი ფირუზა-გამყიდველი. ცოლ-ქმარმა შემოალო მაღაზიის კარი. ქმარს ეტყობოდა, საკმაოდ ნასვამი იყო. ლაპარაკიც მან გაუბა გამყიდველს.

- ორმოციანი ლურსმანი რა ღირს?
- ორი ლარი!
- სამასი გრამი ამიწონეთ!

ფირუზამ ქალაღის სამკუთხა ტოპრაკში ვარაუდით ჩაყარა ლურსმნები და სასწორზე დადო. ოთხას გრამზე მეტი აღმოჩნდა, სადღაც, ოთხმოც თეთრზე მეტის... თან ხურდის დეფიციტსაც განიცდიდა გამყიდველი, ამიტომ კლიენტს მუდარის თვალით გადახედა:

- ლარისას გავხდი, რა?
- რა თქვი? - წამოწითლდა კლიენტი და ფიზიკურად ისედაც გაფართოებული თვალები მიმოავლო გარშემო.
- ლარისას გავხდი, თუ შეიძლება?..
- ოხ, შენი!.. - იფეთქა მყიდველმა, გამყიდველს გადასწვდა, საყელოში ხელი ჩაავლო, თავისკენ მოიზიდა, ერთი ვახურად შეუკურთხა და ისეთი ამოსდო ყბაში, გაცეცხლებული ფიზიკურად ლურსმნების ტომრებზე უგონოდ გადაესვენა.
- სვანმა მეუღლეს ხელი მოჰკიდა და გარეთ გამოიყვანა.
- წამოდი, ლარისა!.. ეგ, მე მგონი, დღის შემდეგ აღარასოდეს არავის გახდას აღარ მოისურვებს...

“მგონი, გვეყოფა!”

(მხიარულ თემაზე)

- შემოდგომის მიწურულს მიტოს ჯერ ისევ შარშანდელი ღვინით ჰქონდა სავესტო ორი ექვსფუთიანი ქვევრი. ბიჭები ვერ ისვენებდნენ, - მალე ახალი დაგვიღვინდება, შენ კი წუწურაქი ვაცივით ახალ წელს ძველი ღვინით გინდა შეხვდეთ!.. ერთი ქვევრი მაინც გაიმეტე, დაგვალოცეო!..
- პირდაპირ ვერ ჰკადრეს, რა სიტყვაც მისი მისამართით იხმარეს. მოხადა...
- დამხარებელიყო!
- ძუნწის ღვინო აღრე ძმარდებაო! - პირდაპირობაზე და ქილიკზე გადავიდა ბიძა-შვილი გედევანი,-მეორეც მოხადე, ნახე, ისიც ძმარი იქნებაო!
 - მართლაც ძმარი გამოდგა მეორეც!
 - ქვევრებს სარქველები დაახურეს და არაყით დაიმშვიდეს ღვინისათვის საღერღელაშ-ლილი მუცლები.
 - ორიოდე დღეში, მოულოდნელად, მიტოს სიდვდრმა თქვენი ჭირი წაიღო. გედევანმა მიტოს კარნახით საყიდლების სია ჩამოწერა. თევზეულამდე რომ მივიდნენ, ლოქოს გასწვრივ მიტომ-12 კილოგრამი-ჩააწერინა.
 - ქინძი? - ჰკითხა ბიძაშვილმა.
 - კილონახევარი!
 - ძმარი?
 - ძმარი არ გინდა, ორი ქვევრი მაქვს,-ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მიტომ, - მგონი, გვეყოფა!..

ცოცხალი ავტობიტი

(მხიარულ თემაზე)

60-იანი წლების მიწურულს მე და ჩემი თანაკურსელი, ნოდარ ადვიშვილი, „11“ ნომერი ავტობუსით ინსტიტუტში მივდივართ. ახალგაზრდები ფეხზე ვდგავართ.

წინიდან ბილეთის შესაძენად ხურდა გადმოაწოდეს, მე ჩემს გვერდით მდგომ ქალიშვილს გადავაწოდე, მას კი, სხვისთვის გადაწოდებას რომ ცდილობდა, ფული ხელიდან გაუვარდა და ვერცხლის მონეტამ მის წინ მჯდომი სოლიდური აღნაგობის მამაკაცის კისერში მოადინა ბლართანი. მამაკაცი უხერხულად შეიმშუშნა, ხელითაც კი წაეპოტინა თავისივე პერანგს გარედან, მაგრამ, მიხვდა, ამ მოძრაობისას ფული უკვე

დაბლა, პირველ განყოფილებაში (უხერხულ ალაგას) იქნებოდა გადასული. გამოსავალი მაინც მონახა:

– რამდენი იყო?-ჰკითხა მან გოგონას.

– ოცკაპიკიანი!-უპასუხა ქალიშვილმა.

კაცმა შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ორი ცალი ათკაპიკიანი ამოიღო და გოგონას გაუწოდა.

– ვა, ავტომატია?-გაიკვირვა ნოდარმა.

მისი ხმა საერთო ხარხარმა დატარა.

ქსენიას პროტესტი

(მხიარულ თემაზე)

ომიანობის შემდეგ (მეორე მსოფლიო!) ქვეყანას ძალიან გაუჭირდა. ამიტომ შემოიღეს კოლმეურნეობებში წესად: გეგმა რომ შეესრულებინათ, მოსახლეობას გარკვეული რაოდენობის რძეს და კვერცხს „შეაწერდნენ“ ხოლმე ხელმძღვანელები. განსაკუთრებით ადვილად ახერხებდნენ ამას კომუნისტური პარტიის წევრ გლეხებთან.

ასე მოიქცნენ ახმეტის რაიონის სოფელ არგოხის კოლმეურნეობაშიც. ნიკოც ახალი შესული იყო კომპარტიაში და პარტორგანიზაციის მდივანს და თავმჯდომარეს თხოვნაზე უარს როგორ ჰკადრებდა! ერთი კი დააყოლა: – აი, ჩემი ცოლი ქსენია თუ დავითანხმეო...

– შენ დაგვთანხმდი და ქსენიას ჩვენ მოვუვლითო, – ანუგეშეს გამგეობაში.

არც მთლად ეგრე ყოფილა საქმე. ქსენიამ ქვა აავდო და თავი შეუშვირა: - მაგ ძროხით უდგას სული ჩემს ოჯახს, ჩემი შვილების ლუკმას წყალში გასარევედ ვერ გავიმეტებო


(აღბათ, იცოდა, რძეს რომ წყალსაც ამატებდნენ ფერმის თავკაცები).

– რას ამბობ, ქალო! შენმა ქმარმა ვალდებულება აიღო და ხელი მოგვიწერა! პარტიის წევრებისაგან ჩვენ უფრო მეტს მოვვლით, და არა თუ კვერცხის, ან, თუნდაც, რძის გეგმის ჩაშლას!
– შეიცხადეს ხელმძღვანელებმა.

– არც მე ვარ კომუნისტი და არც ჩემი ძროხა!.. ვინც პირობა მოგცათ, რძეც იმას ჩამოწველეთ და კვერცხებიც იმისი მიითვალეთ! – მიუგო გაბრაზებულმა ქსენიამ.



სიბრძნის სკივრი



ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

თვალთახილვა (აზრები)

ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მოწალი



სინამდვილეს თვალე-ბში გამუდმებულად უნდა უცქირო, რათა თვალი არ გაგეყცეს არარეალურისკენ...

ადამიანის საქმე და ნააზრევი კონკრეტულ დროში ცალმხრივი აზროვნების და შესაბამისი განზოგადებების ნაზავია, მაშინ, როდესაც ბუნების ნაირსახეობა, თავისი აზროვნებით და განზოგადებით, სრულმომცველობითი განზოგადებაა, რაც უფლის აზროვნებასთან უფრო ახლოა.

ადამიანი ყოველთვის თავისი სხეულის ირგვლივ ტრიალებს... ეს „სხეული“ შეიძლება გიგანტური ზომებისაყ კი იყოს...

იცოდეთ, ამ სასტიკ რეალობაში სუსტი და ავადმყოფი არავის სჭირდება; ნაკლები ისაუბრეთ თქვენს ავადმყოფობაზე და ეცადეთ გამოიყურებოდეთ უფრო მხნედ, შეუვალად და ძლიერად, ვიდრე ხართ, – თუ გინდათ ვინმემ თქვენი არსებობა გაითვალისწინოს...

მომავალ გეგმებზე გამუდმებული საუბარი თქვენი პიროვნების სერიოზულობაზე ეჭვს ბადებს... ეცადეთ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დადოთ შედეგი, თუნდაც უმნიშვნელო!..

ადამიანებს, თავისდასასიკეთოდ, ესაჭიროებათ ერთიდაიგივეს ჩიჩინი და, ბევრჯერ, მაინც, არაფერი გამოდის აქედან.

ადამიანმა თამამად რომ გამოთქვას თავისი

მოსაზრებები, ამისათვის საჭიროა ბევრ მოსაზრებას გაეცნოს, გონებაში შედარების მექანიზმი უნდა ამუშავდეს, რომლის გარეშე ძნელია, დაადგინო რა არის საჭირო და რა არა, რა არის გენიალური და რა არა...

ნიჭი „ენა-მწარმოებლობისა“ არ არის პირდაპირპროპორციული გონება-მწარმოებლობისა...

ჩვენი ცხოვრება – ჩვენი გეგმებია.

ჩვენი წარმოდგენები სხვადასხვა საკითხზე ერთმანეთს ავსებენ, სხვანაირად ყოფიერებაზე სრულ სურათს ვერ მივიღებთ.

რა გირჩევნია – უზნეო, ბოროტი ადამიანები არ არსებობდნენ; არსებობდნენ და გებრალებოდეს, თუ, მაინცადამაინც, არსებობდნენ – გძულდეს და მტრებად გეგულებოდეს ისინი?..

ადამიანს არ აქვს ხანგრძლივი ცხოვრება – იყოს მემბოხე, გმირი, შემოთავაზებული წესრიგის დამშლელ-დამამხობელი, თავისი შეხედულებისამებრ მისი ხელახლა ამწყობ-გამრიგებელი, ამიტომ ის, უპირველესად, კონფორმისტია (შეგუება ხომ გადარჩენის საშუალება და კანონია)... თუმცა კონფორმიზმი მართო ამ მიზეზით არ აიხსნება. ის უფრო ზოგადი კანონებით და სხვა ფენომენებით ახსნას საჭიროებს...

დღევანდელი ადამიანი ტექნოლოგიების პირმშოა, მთლიანად მიეჭაჭვა და გახდა „საშიშად“ დამოკიდებული მასზე... მისგან მოწყვეტა არარაობად ხდის მას... დროა, ადამიანმა ეჭვი შეიტანოს ამ პირობით

მონესრიგებულობაში, სასწრაფო წესით დაადგინოს, რა ელოდება თაობებს ვირტუალური ცხოვრების წესისაგან, – არის ეს განვითარება – წინსვლა-პროგრესი თუ გარდაუვალი რეგრესია.

...როდესაც წყალი გადაასწორებს დედამიწას... ქარი ინავარდებს ტალღებს ზემოთ, წაიშლება კაცობრული აზროვნების კვალი, დაიკვცება ფრთები ანგელოზისა – უფალი შეისვენებს ჩვენს გამო... დარჩება „ის“ და დანარჩენი სამყარო ჩვენს გარეშე... წყალთა ზემოთ დაიძვრება მარადიული ჰანგები, – მელოდია ტრაგიკული დასასრულისა... ამ მელოდიაში, დროდადრო, სოლო ხმად აღიძვრება კითხვა ადამიანისა: შეგვწევდა თუ არა ძალა, შეგვენარჩუნებინა ჩვენი არსებობა, თუ, ჩვენი „მოღვაწეობა“ იყო კანონზომიერი სვლა დასასრულისაკენ...

იმის გარდა, რაც ისწავლა და გამოცდილება მიიღო ადამიანმა, კიდევ “რალაც“ იცის, მაგრამ არ იცის როგორ თქვას და გამოხატოს ის...

მთავარი ის კი არ არის, რას იტყვი, არამედ, რას გააკეთებ ადამიანებისთვის.

როცა შენს სათქმელს სხვა ამბობს – შეგრცხვებს!..

როცა ახლობლები გულწრფელად გადიარებენ, შენი სჯერათ და მეტს მოელოდი – ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც მუდმივ ტონუსში ყოფნას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს შენგან.

დღე გითენდებოდეს, მზე დაგნათოდეს, ყანაში მარცვალნი გიმწიფდებოდეს და ამ დროს კაცის მოსაკლავად ან მოსაპარად მიდიოდე – ეს წყევლაა...

დროის უსასრულობაში მსრბოლმა ადამიანმა თავის თავში მოძებნა მიზანი – გაადამიანურებისა...

შენ ვინ ხარ – ვინც არსებულ სინამდვილეს ეწინააღმდეგები, ებრძვი, ეჭიდები, თუ ვინც შემოთავაზებულ წესრიგს ეგუები?..

როგორი ადამიანი მომწონს? – ლალი, სალი, თავისუფალი...

მძიმე სოციალური და სულიერი კრიზისის ფონზე ამ სამყაროს მშვენიერი ფერები თანდათან უფერულდება....

ამ სამყაროს იმ სახით დანახვა და შეგრძნება, როგორიც უფალმა შექმნა, ადამიანისთვის, თითქმის, შეუძლებელია.

ამ ბოლო დროს, ადამიანის გონება წარიტაცა აზროვნებისა და არსებობისათვის არაარსებითმა საგნებმა და მოვლენებმა...

თუ წინათ, შესაძლოა, არსებობდა ადამიანის ბედნიერების დეკორატიული მოდელები, დღეს მასზე წარმოდგენა გამქრალია. ბუნებით, ადამიანს აქვს სწორი რეფლექსია, ის აღიქვამს შეზღუდულ სამყაროს, რომელიც მისთვის თანდათან ვინროვდება... ჩაკეტილი სივრცე ხუთავს, ახრჩობს – გასაქანს არ აძლევს, – არ უტოვებს პერსპექტივას თავი დაიძვრინოს ამ მდგომარეობიდან...

ზოგჯერ, ბედისწერულად ვუკავშირდებით და გაუცნობიერებლად მივყვებით ავანტიურისტ ლიდერებს; გენიოსებად ვაღიარებთ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა აზროვნებას, იდეებს, საქმეს მოჰყვა გამოუსწორებელი შედეგები – ნგრევა, მსხვერპლი, გადაგვარება, დეპრესია – რეგრესია; გასაკვირია, ამ პიროვნებების ჩრდილში ვაყენებთ უდიდესი ჰუმანური იდეების – მშვიდობისმყოფელ პიროვნებებს, მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს; ისინი, თითქოს არ დაბადებულან და არ უცხოვრიათ...

ჭექა-ქუხილის შემდეგ გამოდარებას უნდა ველოდოთ, ხოლო უღრუბლო ცაზე მოულოდნელად ღრუბლების გამოჩენისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

ხარბი ადამიანი – ოღონდაც სხვამ არ გაიხაროს – მისთვის და „მტრისთვის“ საზიანო საქმეს ჩადის და საკუთარ თვალებს ითხრის...

ყველა ჩვენი მსჯელობა საგნისა და მოვლენის შესახებ, არის ცალმხრივი, სუბიექტური, პიროვნულ-მიკვრძობითი, არასრულმომცველობითი...

ადამიანი მხოლოდ ზომიერების კატეგორიაში მყოფი შეასრულებს თავის ადამიანურ მისიას და დანიშნულებას..

დღევანდელმა ყოფამ, ხვალ, შეიძლება ახალი მიდგომები წარმოშვას... თანამედროვე ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ მისი შეხედულებები ბევრ საკითხზე შესაძლოა დაიმსხვრეს. დადგება დრო, ნაძალადევად არავინ მოახვევს სხვას იდეებს, შეხედულებებს. ადამიანი აზროვნებაში, გადანყვეტილებაში, არჩევანში იქნება სრულიად თავისუფალი...

ფანტაზიები, რომელთაც „ბედნიერი ცხოვრება“ წარმოშობს, სასარგებლო არაა; ბევრჯერ, მაცდუნებელ-დამღუპველიცაა. მხოლოდ ტკივილიანი ცხოვრება გვაძლევს საშუალებას, შევექმნათ აზროვნების შედეგები, ხოლო, თუ ვის როგორ ტკივა – ეს ძალზედ ინდივიდუალურია.

მეგობრის ღალატი ჟანგის წვეთია, რომელიც გულს ისე ამოჭამს, მას ვერ ამრთელებს ვერც დრო და ვერც შერიგება...

ზოგიერთს!!! – იმდენი კი იცოცხლე, რომ რამე გესწავლა!..

ადამიანი მანამ ქმნის მითებს, აფართოებს წარმოდგენებს, სანამ მისთვის სიცოცხლე მისაღებია და მას ებლაუჭება, ხოლო იმ დროიდან, როცა მისი სასიცოცხლო ტენდენციების განმახორციელებელი სისტემები იმდენად დაბლოკილია, რომ ფანტაზიის ადგილი არ რჩება, მოქმედებას იწყებს თვითგანადგურების სისტემა-ინსტინქტები.

თუ შენი ყვავილი ლამაზად გაიშალა, სიბინძურეში ნუ ჩაკარგავ...

მახინჯ სარკვეში, თვით ვეთილშობილიც – მახინჯ გამოსახულებას შესცქერის...

დიდ თავს, დიდი პრობლემები აქვს.

ის დღეა ცუდი, როცა არ იცი, რას აკეთებ.

ყოველთვის ელი „ვილაცას“ და გაინტერესებს „ვინ“ არის იგი...

ერთ დღეს მოიცალე და შეხვდი საკუთარ თავს, მაგრამ... ჯერ იპოვე იგი.

პიროვნების, მოვლენის, შეხედულებათა შეფასებისას; რომელიმე საკითხზე აზრის აღიარებისას, ადამიანი იძულებულია დაეთანხმოს სხვათა აზრს შემდეგი მიზეზით:

1. თავისი აზრის უქონლობის ან ჩამოუყალიბებლობისას
2. ხათრით – სხვათა აზრის თანამონაწილედ წარმოჩენისას (ავტორიტეტების ზეგავლენით)
3. გაუბედაობით – არ აღმოჩნდეს გამონაკლისი (თეთრი ყვავი)
4. შიშით – არ დასწამონ უცოდინრობა – არაკომპეტენტურობა.

ეს ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია იმისთვის, რათა ადამიანი სხვათა უგუნური აზრის, სურვილების, გეგმების ან ავანტურის გაუცნობიერებელი მონაწილე-მსხვერპლი გახდეს...

ცხოვრებამ კი არ უნდა გაგიტანოს, ცხოვრება უნდა გაიტანო...

შეუძლებელია, ცხოვრობდე ეპოქაში და მისი სულისკვეთებით (პრობლემებით) არ იყო გამსჭვალული.

დღეს, დაისმის კითხვა: რას ვჭამთ, რა გარემოში ვიმყოფებით, რით გვასხივებენ, ზემოქმედებენ, გვაზომბირებენ, – რას გვაჩვენებენ ხელში... ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა ირგვლივ მიმოიხედეს, გამოფხიზლება დაიწყეს – ეს კარგია... რაღაცას რომ მოიკითხავ, მისი მოძებნაც მოგიწევს, – დასმულ შეკითხვაზე, ადრე თუ გვიან, პასუხს მიიღებ...

ზოგი ადამიანი რომ მიუშვა, – ქვეყნიერებას გადაყლაპავს...

სიტყვიერმა რახარუხმა ადამიანის აზროვნებაში ვერაფერი შეცვალა...

ადამიანი მარადიულობის შეგრძნება-შეგნებით

უნდა იზრდებოდეს, იფურჩქნებოდეს, ყვაოდეს, მოღვანეობდეს, რათა თაობებში ტოვებდეს კვალს, რომ მან ნამდვილად ადამიანურად იცხოვრა, ხოლო ამ სამყაროდან თანდათანობით გადასვლა-გარდასახვებით გასვლისას, შთაბეჭდილებას – რომ ის ჭეშმარიტად აღესრულა.

ზოგჯერ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ფენომენებს და მოვლენებს ადამიანთა ჯგუფები, პოლიტიკოსები, ხელოვანები, ფილოსოფოსები, ლიტერატორთა წარმომადგენლები დიდი რიტუალებით, გაზვიადება-გაბუმბერაზებით (უტრირება-ამფლიფიკაციით) თავიანთ მიმდინარეობად გადააქცევენ და წარმოადგენენ. ამ მიმდინარეობას ინარჩუნებენ, იცავენ და ებღაუჭებიან მანამ, ვიდრე ახალი თაობა ზეატკინებული მდგომარეობიდან კარგი სილის გარტყმით ან სრულიად უცერემონიოდ არ ჩამოართმევს წლობით გამოზომილ საარსებო-საცოხნ მასალას...

თავისი ნამოქმედარის აწონ-დაწონისას და თავის თავთან ჭიდილში ყველა ადამიანში იღვიძებს სინდისი.



ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-39-ში



სირცხვილი, სინდისი, ღირსება, თავისუფლება

მოდით იდეალურობიდან, ეტალონურობიდან მატერიალურ რეალობას დავუბრუნდეთ. ზემოთ აღნიშნული განშტოებებიდან გამომდინარეობს, რომ სირცხვილი და სინდისი შიშის ერთგვარ გამოვლინებას წარმოადგენს. ვნახოთ, რა შინაგან არსს მოიცავენ ეს ცნებები.

სირცხვილი მაშინ ჩნდება თავისთავად ინდივიდუალურ სულში, როდესაც ღმერთთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიმართებაში მორჩილების და თავყვანისცემის აუცილებლობას ივინყებს და მათ მსახურებაზე, მათი ინტერესების გათვალისწინებაზე წინ საკუთარი ინტერესების და სურვილების დაყენებას იწყებს. ეს ძირითადად რალაციის და საკუთრების, მითვისების სურვილებია ხოლმე, რომლებიც ავხორცობიდან მომდინარეობს, ხანდახან კი ეს ღმერთისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების შეხედულებებთან არ დათანხმების, მათ მიერ მართულ ინდივიდუალურ სულთა მიმართ უფრო ლოიალური მიდგომის (შეცოდების) შედეგად ხდება ხოლმე. ფაქტიურად, ხდება ღმერთის დადანაშაულება არალმობიერებაში და ხდება დაპირისპირება მასთან ე. წ. კეთილი სურვილებით. რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს, უკვე განათლებული, განსწავლული სულები ისევ ეცემიან საკუთარი უადგილო აქტიურობის გამო. პირველ ნაწილს თუ სირცხვილის იგნორირებისკენ უცერემონიო მიდრეკილება აქვთ და უსირცხვილობას ადვილად სჩადიან, მეორენი სასირცხვილოს არ ჩადენას ცდილობენ და მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირების შემდგომ ისინი სრულიად გარიყულნი არიან მათი მხრიდან, ვისი შეცოდების გამოც მოხვდნენ მატერიალიზირებულ მდგომარეობაში. მაგრამ აუცილებლად მინდა აღინიშნოს, რომ სირცხვილის ფენომენი არის უდიდესი მეგობარი და არა მტერი, რომელსაც გამალებით უნდა ეომო. სირცხვილი არის გარემოში არასასურველი მოქმედების ბლოკირების, შეფერხების მექანიზმი კოდირებული ინდივიდუალურ სულში. საბოლოო ჯამში სირცხვილის აღქმა უნდა მოხდეს ღმერთთან მიმართებაში საკუთარ თავში. ვინც სასირცხვილოს არ ჩადენს, მას სირცხვილის შეგრძნებაც არ ექნება, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია მატერიალიზირებული არსებებიდან, რომ მას არაფერი აქვს სასირცხვილო, ის უკვე უსირცხვილოა, რამეთუ, რომ არა ამ სასირცხვილოს არსებობა, არავინ მოხვდებოდა მატერიალურ სამყაროში.

სინდისი უდიდესი მეგობარია ცოცხალი არსებისა და ვინც მას დაკარგავს, ის სულიერი სიბინძურის გაზრდით დაჯილდოვდება თავისი უდიდესი უგუნურებისთვისა და უმეცრებისთვის. სირცხვილი თუ ღმერთთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან ჩადენილი ცდომილების, ცოდვის აღიარების საშუალებაა, სინდისი ამ ჩადენილი ცოდვის თავისში აღქმის საშუალებაა. წარმოიდგინეთ რამხელა მაღლის მატარებელია ეს ცნება.

სირცხვილი თუ მატერიალური სხეულის საჭირო მიმართულების წარმართვაში გამოყენების საშუალებაა. სინდისი სულის, ინდივიდუალური სულის საჭირო მიმართულებით წარმართვაში გამოყენების საშუალებაა. ვისაც შიში ღვთის წინაშე თავის არასრულყოფილ ნაწილში პირველ ადგილზე აქვს დაყენებული, ის არც უსირცხვილობას ჩადენს და არც უსინდისობას. სინდისი გახლავთ საკუთარ „მე“-ში ღვთიური დოგმატური კანონების, რელიგიური პრინციპების დაცვის ხარისხის მოკარნახე მექანიზმი კოდირებული ინდივიდუალურ სულში.

იქ, სადაც მთავრდება (არასრულყოფილების ნაწილში, რა თქმა უნდა) შიში ღვთის წინაშე თავისი უარესი ნეგატიური ნიშნით ანუ უსირცხვილობისა და უსინდისობის შეტანით საკუთარ მატერიალურ ცხოვრებაში, იწყება შიში გარემოს წინაშე, რაც შიშების თემის დასაწყისში შეძლებისდაგვარად არის განხილული. ჩვენდა საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ არსებობს ღვთის შიშის დასასრული დადებითი პოზოტიური ნიშნით, ანუ სირცხვილი გადადის ღვთის მსახურებაში, ღვთისნიერებაში, უშუალოებაში, ხოლო სინდისი გადადის სრულყოფილებისკენ სწრაფვაში, თანამიმდევრულ მონაფეობრივობაში, ზომიერებაში, სიყვარულის გამოვლინებაში. აქ შიშები ამ კონკრეტული ინდივიდისთვის შეწყვეტენ არსებობას, ისინი მასში სახეს იცვლიან და სიყვარულად გადაიქცევიან. იგი გათავისუფლდება თავისი არასრულყოფილებისაგან და მატერიალური სხეულიდან გასვლის შემდგომ აღარ მატერიალიზირდება, სულიერ სამყაროში, მამა ღმერთის სასუფეველში, მის გარემოცვაში ყოფნის უფლებას მიიღებს.

ეს არის შიშებთან დაკავშირებული მოკლე ანოტაცია, რომელსაც ამ წიგნში აქვს დათმობილი ადგილი. მათ გარშემო უსაშველოდ ბევრი ასპექტია, რომელთა განხილვაც, ვგონებ, ცალკე თემა და ალბათ, ცალკე წიგნად უნდა ჩამოყალიბდეს.

ასევე საჭიროდ მიმაჩნია ერთი სერიოზული ფასეულობის ცნების შემოტანა, რომელიც თითქოს არა-

პირდაპირ, მაგრამ ერთგვარად გაკვრით, ირიბულად (косвенно) დაკავშირებულია შიშების თემასთან, მაგრამ უფრო აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, ღმერთთან, სიყვარულთან არის დაკავშირებული. ეს უფრო გონების პრეროგატივას განეკუთვნება და გონების არ დაცემის, უგუნურების არ შემოსვლის პროფილაქტიკის, კატალიზატორული ფორმაა, რომელსაც ამავედროულად ობიექტურ რეალობასთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებისკენ მიდრეკილება გააჩნია და უსამართლობის შეგრძნების დამკვიდრებაში ლომის წილი მიუძღვის. **ეს ფასეულობა გახლავთ ღირსება.** იგი ორიენტირებულია საკუთარი თავის არ ღალატზე, არაკომფორტიზმზე. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში იგი ობიექტურ რეალობასთან უკომპრომისობაში გადაიზრდება ხოლმე. უდიდეს აღმოჩენად მიმაჩნია ის, რომ არსებობს ფასეულობა, რომელიც ღირსებაზე ერთი თავით მაღლა დგას, ეს არის **თავისუფლება.** თუკი სირცხვილი უმეცრებისგან თავის დაზღვევის, უმეცრებისგან პროფილაქტიკის საშუალებაა, სინდისი ვნებისგან თავშეკავების და პროფილაქტიკის საშუალებაა, ასევე ღირსებაც სათნოებისგან (ამ შემთხვევაში ბრმა სიკეთისაგან), ბოროტების ხელის არ შეწყობის, შეცოდების პროფილაქტიკის საშუალება გახლავთ. ღირსება, ძირითადად, საკუთარი „მე“-ს გარემოსთან მიმართების და გარემოს მხრიდან ჩემს „მე“-ზე არსებულ შეხედულებას განიხილავს და განსაზღვრავს. ღირსების ცნებაზე დამოკიდებული ადამიანები საკუთარ ქმედებებში ჩადენილ უღირს საქციელებს (იმას, რასაც თავად მიიჩნევენ უღირსად) საშინლად მტიკინეულად განიცდიან საკუთარ აღქმაში. როდესაც ვინმეს მხრიდან დამსახურებულად იღებენ შეურაცხყოფას, ეს მათთვის სიკვდილის ტოლფასია, ხოლო როდესაც ვინმეს მათთვის დაუმსახურებლად სურს შეურაცხყოფის მიყენება (როგორც ისინი მას თვლიან, რაც თავისთავად ნონსენსია და შეუძლებელია), ისინი მზად არიან საკუთარი კეთილი, ღირსეული სახელის დასაცავად მოიმოქმედონ ყველაფერი, რაც კი შეიძლება და რაც კი არასასურველია. ანუ თითქოს ასე არ სჩანს, მაგრამ ისინი იმდენად არიან დამოკიდებულნი იმაზე, თუ რას იფიქრებს მათზე გარემო, რომ ამ შეხედულებათა სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის მზად არიან ჭეშმარიტების კანონებიც კი დაარღვიონ, რომლებიც მათთვის იმ წამამდე ესოდენ წმინდა და ძვირფასი იყო. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ღირსება, რომელიც პატიოსნებაზე ბაზირდება, კრიტიკულ მომენტებში პატივმოყვარეობაში უცერემონიოდ გადაიზრდება. ვისაც უნდა ღირსების ავადმყოფური ფორმიდან განიკურნოს, არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ის, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში ღვთის ნება ვლინდება. რომ მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ რას ფიქრობს ჩვენზე, არამედ ის, თუ რეალურად რანი ვართ და პიროვნულ ასპექტში არ უნდა გვანუხებდეს ეთიკურად დაბლა მდგომნი რას ფიქრობენ. ეს პატივმოყვარეობით დაავადების პირდაპირი გზაა. უმჯობესია გსურდეს გაიგო ეთიკურად უფრო მაღლა მდგომნი შენზე რას ფიქრობენ და ავტომატურად ორიენტაცია საკუთარ „მე“-ზე დადის, მაღალის, საბოლოო ჯამში კი ღმერთის ძიებისკენ იქნება მიმართული და არა პატივის მიღებისა და შენარჩუნებისკენ. ვინც გარემოს მხრიდან მის მიმართ არსებულ შეხედულებებზე დამოკიდებული არ არის, ის შინაგანად თავისუფალია და ბედნიერებისაგან არ არის შორს. ვინც ამას შეძლებს, ის ავტომატურად დამოკიდებული გახდება თავის ჭეშმარიტ დონეში ჩაღრმავებაზე, ღმერთზე, როგორც მისი რეალური მდგომარეობის ერთადერთ ჭეშმარიტად ობიექტურ შემფასებელზე. მას აღარ აღაფრთოვანებს ვინმეს დაუმსახურებელი ან თუნდაც დამსახურებული შექება (მზე ყოველგვარი შექების გარეშე მოძრაობს და აცოცხლებს მატერიალურ სამყაროს) და აღარ აღაშფოთებს ვინმეს მიერ მისი დამსახურებული ან თუნდაც დაუმსახურებელი ძაგება (პირველ შემთხვევას თუ თვითაღზრდისთვის გამოიყენებს, მეორეს ადამიანთა განსაზღვრისთვის მოიხმარს). შინაგანი ბალანსისა და წონასწორობის მდგომარეობის შენარჩუნების უნარი ნებისმიერ მდგომარეობაში, როგორც მატერიალური, ისე სულიერი თვალსაზრისით ენითგამოუთქმელი, უზარმაზარი ბედნიერების მიღწევას ნიშნავს. ეს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ბედნიერებისა და ბუნებრივობის უმაღლეს გამოხატულებას ნიშნავს.

აგრეთვე, ფრიად საინტერესოა ის, თუ რა მოხდება ამ „ბარიერის“ გადალახვის შემდეგ. მე ვიტყვოდი, შემოდის ძალიან უცნაური ტიპის „ბარიერი“, რომელიც მატერიალურ სამყაროში როგორც ასეთად არანაირად არ აღიქმება. ამ პერიოდამდე თუ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას ადამიანად მოვლინებულს, ასე ვთქვათ, მწუხარებასთან ანუ საკუთარ არასრულყოფილებასთან გამკლავებისთვის შესაბამისი სიტუაციები და ყოფითი პრობლემები ეძლეოდა, ამის შემდეგ მიღწეული ჰარმონიის შესაბამისად, რეალურ ცოცხალ სიტუაციაში განხორციელების, თვითრეალიზაციის უფლების, გადატანის უნარის შემოწმების პერიოდი დგება. ეძლევა რა მინიერი თუ სულიერი კეთილდღეობა მატერიალურ სამყაროს პირობებში არსებული მაქსიმალური ფორმით. ამაში ძალიან დიდი აზრია ჩადებული. ადამიანს მწუხარების გადატანა ძალიან უჭირს, იქნება ეს მატერიალური გასაჭირი, სულიერი დისკომფორტი, თუ უპატივცემულობა გარემოს მხრიდან, მაგრამ მე ვიტყვოდი ადამიანის ყურისთვის მეტად უცნაურად აღსაქმელ რაიმეს — სიხარულის გადატანა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მწუხარებისა. ის, ვინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მწუხარება, რომელიც მას შეხვედრია მატერიალური ცხოვრების პირობებში, მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი, მისთვის სიხარულის მინიჭება უკვე შეიძლება. თუკი სიხარულით მიღებულ სიამოვნებას ის არ მიეჯაჭვება და იმის აღქმის უნარს არ დაჰკარგავს, რომ ეს ისეთივე ილუზიაა,

როგორც მწუხარების შეგრძნება, რომლებსაც ის ცხოვრების მანძილზე შეხვედრია, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ამ ადამიანმა სიხარულის გადატანა შეძლო. ანუ მიაღწია იმას, რომ საკუთარი პირობითი და უპირობო რეფლექსების მონობისაგან გათავისუფლდა, რა თქმა უნდა, ეს ცალმხრივი და ზედაპირული მიდგომაა და კომპლექსური გაშლა აშკარად აკლია, მაგრამ ემოციური ხედვითი გადასახედიდან ეს ყოველივე ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც არის აღწერილი. ვფიქრობ, სასურველია და საჭირო სირცხვილის, სინდისისა და ღირსების ცნებების შემდგომ მომავალ საფეხურებრივ თანმიმდევრობით ცნებასაც კონკრეტული ფასეულობრივი სახელწოდება მიეცეს, რომელიც ესოდენ დიდი ნონადობისაა ადამიანის შემთხვევაში. ჩემი განსაზღვრებით, ეს ცნება გახლავთ ყველაზე უფრო მაღალი ეთიკური დონის მქონისთვის დამახასიათებელი — ღმერთის ერთგულება. მე მსურს მისი აღქმა გავათავისუფლო ყოველგვარი ფანატიკური დატვირთვებისაგან და გონებრივ-ჭკუით-გრძნობითი დატვირთვა მივცე, თუმცა რეალურად ემოციური განყოფილების სისტემებში ვიმყოფებით და თვითონაც, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ფასეულობა ემოციურ დონეს გადმოსცემს, წიგნის IV ნაწილში მოყვანილი მასალა თითქოსდა ერთგვარ უთანხმოებაში მოდის III ნაწილში მოყვანილ მასალასთან, მაგრამ აუცილებელია განისაზღვროს ეს გაურკვეველი, თითქოს ურთიერთგამომრიცხაობა (მათთვის, რა თქმა უნდა, ვინც ჭეშმარიტად გულდასმით წაიკითხავს ამ წიგნს). აღრევის შთაბეჭდილების მიზეზი ინდივიდუალური სულის რეალური მდგომარეობაა, ანუ ის, თუ რას ეძახის ის სიტყვა „მე“-ს ანუ თავისი „მე“-ს რა ნაწილად აღიქვამს თავის თავს. ისე რომ, რაიმე გაურკვეველობის მიზეზი სჯობს საკუთარ „მე“-ში ექებოს ნებისმიერმა. ეს ჩემი დაბეჯითებითი თხოვნა იქნებოდა. ახლა უკვე თქვენი ნებაა, როგორც გსურთ ისე მოიქცით. ის, ვინც ცას წითელს დაარქმევს, მზეს კი — შავს, ამით არც ცა განითლდება და ვერც მზე გაშავდება, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ იქნება უაზრო ილუზიაში და მეტი არაფერი.

განსაკუთრებულად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ეს IV ნაწილი ემოციური განყოფილების დამახასიათებელი და განმსაზღვრელია, რაც მატერიალიზაციის შედეგობრივ ასპექტებს უფრო მოიცავს, ვიდრე დანარჩენ სხვა რამეს. მაგრამ ღრმად, არაზედაპირულად შეხედვის შემდეგ ადვილი დასანახი გახდება, რომ უთანხმოება წიგნის არც ნაწილებს შორის და არც ნაწილებში თვითონ არ არსებობს, რამეთუ ის მთლიანად „მე“-ს ოთხი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრაზე და მათთვის შესაბამისად განსაზღვრულ ოთხ ძირითად პრინციპზეა აგებული, რომლებიც წიგნის დაწყებამდე, სარჩევამდე არის მოყვანილი.


მაშ ასე, გავაგრძელებ თემატიკას იქიდან, სადაც გავჩერდი, ანუ ღვთის ერთგულების ფენომენის არსს. ერთგვარ ღირსულ გადახვევას გავაკეთებ და ამ ცნების არაფანატიკური ახსნისთვის ჩემსავე მონაწილისა და აღსარებისმაგვარ რალაცას გამოვიყენებ, რომელიც გარკვეული პერიოდის წინ იქნა ამოსული ჩემი „მე“-დან და ფურცელზე გადმოღვრილი. სიტყვა სიტყვით ვცეტირებ საკუთარ „მე“-ს წარსულიდან: **„ეს არის ცოცხალი არსების „აქილევსის ქუსლი“**. თავისი სიყვარულის ფრქვევისას და სიამოვნების გაცემისას ცოცხალი არსება ვიზუალურმა ფარდობითობამ არ უნდა „დააბრმავოს“ და სიყვარულის სახელითა და გულწრფელობის სახელით სუბიექტურობა არ უნდა გამოიჩინოს, მავნებლობაში არ უნდა გადავიდეს და ღმერთს თავი არ უნდა გაუთანასწოროს, გასამართლება არ დაიწყოს და თუ ჩარევა აუცილებელია, გარჩევის, განსჯის დროს დაიცვას ობიექტურობის, ნებაყოფილობითობის, არაძალადობისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვის აუცილებლობის წმინდათაწმინდა პრინციპები. ე. ი. ეს არის „ეგო“-ს არ გაზრდის გზა გრძნობისმიერი საშუალებით. ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი რაოდენობით ზრდის „ეგო“-ს და სამწუხაროდ, ყველაზე ხშირია ცოცხალი არსებების ცხოვრებაში და საერთოდ, მის გამო მოხდა პირველი დაცემა. მე ძალიან ძნელად წარმომიდგენია როგორ მოხდება ე. წ. „რეაბილიტაცია“ ანუ ცათა სასუფეველში დაბრუნება, თუ ამის აღქმა სრულად არ მოხდება ცოცხალ არსებებში. მე პირადად ჩემს მთელს არსებას ვუსურვებდი ამაში ჩანვდომას. „ეგო“-ს „მე“-დ გადაქცევას ცდილობს ადამიანი, თუ „მე“-ს „ეგო“-დ არ გადაქცევას, ორივე შემთხვევაში ერთი რამ არ უნდა დაავინწყდეს და უნდა ახსოვდეს, რომ არავითარმა ფარდობითობებმა არ უნდა ჩაითრიოს და ღმერთის რეალობით, ე. ი. აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნებებით უნდა ხელმძღვანელობდეს და თავის შეზღუდულ ფრაგმენტალურ ჭეშმარიტებას მისით ავსებდეს. სთხოვდეს ღმერთს, რომ მან ურჩიოს თუ როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში და დახმარებას რჩევის სახითაც და სხვა ნებისმიერი სახითაც ყოველთვის მიიღებს.

„გთხოვ, უფალო ღმერთო, მამაო, მუდამ ჩემთან იყო და რამეთუ ამისთვის ჩემი რწმენით არ უნდა მავინწყებოდე არასოდეს, გთხოვ, ისე მოაწყვე, რომ არასოდეს მავინწყებოდე, რაც არ უნ-

და მოხდეს. მე მსურს ისე მიყვარდე, როგორც ეს საერთოდ შესაძლებელია ცოცხალი არსების მხრიდან შენდამი. ამაზე ღიდი სურვილის ქონა, ჩემი აზრით, უბრალოდ შეუძლებელია. მე მსურს, რომ ჩემი გული ერთი მთლიანი გახდეს და მას გაორება, გასამება და ა. შ. არ დასჭირდეს, რომ მისი ნაწილი კერპებმა არ წარიტაცონ, მაშინ „მე“-ც გამთლიანებული იქნება და მე სამყაროს უზენაესი განმგებლის, ყოვლადღიერი და ყოვლისმცოდნე ერთი ღმერთის, ყველასი და ყველაფრის მამის ერთგული და შვილი გავხდები და როგორც პინოქიო, ხის ბიჭიდან ნამდვილ ბიჭად გადავიქცევი. უფალს, ღმერთს ვთხოვ პატიებას, თუ ჩემი უმეცრებით რაიმე მკრეხელობა დაინერა, ჩემი გულის კარნახითა და ჭკუის გადმოცემით“.

აი, ასეთი სახით აღვიქვამ მე ღვთის ერთგულების ცნებას და მის ფუქციონალურ თუ ფასეულობრივ არსს. ღვთის ერთგულება გახლავთ ავტომატური გარანტი სირცხვილის არ არსებობისა საკუთარ ემოციებში, რამეთუ სასირცხვილოს ჩადენა ვერანაირად ვეღარ მოხდება ინდივიდის მიერ, რამეთუ ღვთის ნება, ღვთის სიტყვა, ღვთისადმი დაკისრებული მოვალეობა აღარ დაირღვევა. გავიხსენოთ თუნდაც ძველი აღქმიდან პირველქმნილი ცოდვა ადამის მიერ რა სიტყვით იქნა გამომჟღავნებული. მან თქვა — „მრცხვენიო“ და დაიფარა ფოთლებით ის ადგილი, რითაც შესცოდა ანუ ღვთისაგან დამალულად მისი დანაბარები დაარღვია. ღვთის ერთგულება გახლავთ ასევე გარანტი სინდისის გამრთელებისა შინაგანი დისკომფორტის ყველანაირი ფორმისა გონებაში, რამეთუ შიში ვერანაირი ფორმით ვეღარ დაიმკვიდრებს ინდივიდში და ამ შიშების ნაცვლად სიყვარული დაივანებს, ჩაულრმავდება რა იმას, ვისი სიღრმეც უნაკლოა. სინდისი ხომ მაშინ ანუხებს ინდივიდის გონებას, როდესაც მნიშვნელოვნების გრძნობით დაავადებული საკუთარ მიზნებს მიწებებული ჭეშმარიტების არსს ამახინჯებს. თუ ჭეშმარიტების განუხრელად დამცველს მიეჯაჭვება, აბა ჭეშმარიტების დარღვევას როგორღა მოინდომებს და თუ ჭეშმარიტებას არ დაარღვევს, არც ამ დარღვევის კარნახის „ინსტრუმენტი“ სინდისი შესძახებს შიგნიდან — „ეი, რა ქენიო?“ შინაგანი ცენზურა ქების მეტს სხვას არაფერს ეტყვის შიგნიდან. და ბოლოს, ღვთის ერთგულება გახლავთ გარანტი ღირსების და, თუ გსურთ, პატივისა და დიდების მიღებისა, რამეთუ ღირსება სხვა არაფერია თუ არა გახდეს ღირსი დაიმსახურო ის, რაც დასამსახურებელია და რაც მთელს სამყაროში უნდა ფასდებოდეს და ამ ყოველივეს საუკეთესო განმსაზღვრელი კი გახლავთ სხვა არავინ, თუ არა სამყაროს უზენაესი პიროვნება, უფალი ღმერთი. რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდს აღარ დასჭირდება იმაზე ფიქრი, თუ რას ფიქრობენ მასზე მის გარშემო მყოფნი და პატივის ხელოვნური გზით მისაღწევად არ დაინყებს ათასგვარი უცნაური ხრიკებისა და წინასწარ განსაზღვრული იმიჯის შექმნას სხვადასხვა ხერხების გამოყენებით. ის მას ბუნებრივად ექნება დამსახურებული, თუ ღვთის სამსახურს ღირსეულად და პატიოსნად შეასრულებს და თქვენ წარმოიდგინეთ, სხვა არაფრით, გარდა ღვთის ერთგულებისა.

მხოლოდ ამ ყოველივეს შემდეგ, როდესაც ღვთის ჭეშმარიტ ერთგულებაში ჭეშმარიტად მტკიცე და ურყევი გახდება, ინდივიდს მიენიჭება ახალი ფუნქცია თავად უფალი ღმერთის მიერ, რომელსაც ასეთი სულსწრაფობით ცდილობს ყოველი მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული — თვითრეალიზაციის უფლება. მაგრამ ეს მაშინ მიეცემა ინდივიდუალურ სულს, როდესაც მას თვითრეალიზაციის სურვილი სრულიად გაუქრება ღვთის ერთგულებაში განვრთნილს. ეს იქნება ნიშანი მისი ჰარმონიის დონის მიღწევისა და თვითრეალიზაციის უფლების მიღების შემდეგაც კი, იგი ეცდება ღვთის ნების რეალიზაციის საშუალება იყოს და ყოველგვარი პირადი იმპროვიზაციები მასში ფაქტიურად აღარ იქნება. რა თქმა უნდა, დღევანდელი მოსახლეობის თითქმის ას პროცენტს ეს მონობად მოეჩვენება, რამეთუ მათ დღეს, დემოკრატიის ცნების შხამით მონამულეებს, ღვთის მსახურების სიტკობ და ბედნიერება უჭმურობად, მუდოობად, უაზრობად, შუასაკუნებრივ ველურობად და სიბრმავედ, გაუნათლებლობად, არაკაცთმოყვარეობად და მოკლედ, ყველაფერ საზიზღრობად აქვთ მონათლული, თუ რაიმე არასასიამოვნო შეიძლება ითქვას საერთოდ. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია დაწვრილმანებით ფორმატში განხილვა ისეთი თემისა, როგორც გახლავთ, ვფიქრობ, ურთულესი ცნება.



გაგრძელება შემდეგ ნომერში



შემეცნებითი სემინარი
—•••••

ნაინა უგულაუა (ნია გონდელი)



ბრალის თეორია

გავრძელება

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №10 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-ში

იდეა და იდეოლოგია როგორც ბრალი

ადამიანის წარმოსახვის, თვანტაზიების დამთვისებანებელ-მაკულტივირებელი ეს უმაღლესი იერარქი – იდეა (იდეოლოგია) დამასნებოვნებლად მოქმედებს ადამიანთა მასაზე, რომელიც ხშირად იდეით აღჭურვილი, ერთ მთლიან ბირთვად შეკრული, ბრალით წარუდგება რომელიმე სხვა საზოგადოებას. კაცობრიობას მრავლად ახსოვს დესტრუქციული იდეებით შეპყრობილი ლიდერები და მათგან მართული მასები, რომლებმაც გაანადგურეს მილიონობით ადამიანი, მოსპეს კულტურები. იდეოლოგია, თავისი საშიში ტენდენციებით აფრთხობდა და აშინებდა ეკლესიის და სახელმწიფოს საჭეთმპყრობელებს. ისინი განსაკუთრებული სისასტიკით დევნიდნენ ერებს. სამეფო დინასტიები დესპოტური ძალით ახორციელებდნენ ძალაუფლების შენარჩუნებას, სახელმწიფოს მართვას. ხელისუფალი არ ინდობდა უახლოეს ნათესავებს, შვილებს, მშობლებს, და-ძმებს. ისინი მოღალატეებად აცხადებდნენ არამართო მათ, ვინც სახელმწიფოს მართვაში ეწინააღმდეგებოდა ან პრეტენზიას აცხადებდა მემკვიდრეობაზე, არამედ, ვისაც განსხვავებული აზრი ან იდეა გამოაჩნდებოდა. ამიტომ, ანადგურებდნენ ადამიანებს თავიანთ იდეებთან ერთად... დღესაც, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკა, ბიზნესი, საუბედუროდ, ხელოვნების დარგიც სავსეა ბრალის მაკულტივირებელი და მისი მაიდეოლოგიზებელი მოხალისეებით.

წარმოუდგენელია, იდეოლოგია ავსნათ და დავახასიათოთ ბრალის მონაწილეობის გარეშე. იდეოლოგია ოდითგანვე ადამიანთა მასების იარაღად ქცევის საშუალება იყო. უკეთესი მერმისის მოლოდინში იდეოლოგიის თავდაჯერებული ლიდერები მასათა წარმოსახვებს იმ შეხედულებებითა და ილუზიებით ავსებდნენ, რაც მათ აწყობდათ და ხელიდან არ უშვებდნენ შანსს, ხელსაყრელ მომენტებში, იგი თავიანთი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. იდეოლოგია წარმატებით მუშაობდა, მუშაობს და იმუშავებს მომავალში. საკითხავია, კაცობრიობას რატომ არ დაუგროვდა გამოცდილება მის საწინააღმდეგოდ და ახალ-ახალი ლიდერების ხელში რატომ მუშაობს იგი წარმატებულად. როგორც გენში ამინომუჟავათა კომპლემენტურობა (ერთიერთმემავსებლობა), ასევე იდეოლოგია კარგად ერგება და ეჭიდება მასათა განწყობილებას. ის ისე აახლოებს და ადუღებებს მასათა განწყობილებას, რომ მათ წარმოდგენებს შეუქცევადს ხდის (გარკვეულ დრომდე, რა თქმა უნდა...). იდეოლოგია თავის მიმდევრებს მაქსიმალურად კვებავს ილუზიით, გარდა ამისა, მასში მონაწილეობს დარაზმვის, მთავონების, იდენტიფიკაციის – ეგოს მნიშვნელობის, მიზანდასახულობის და ბრალის ფენო-

მენები. ეს შეჭიდული ფენომენები ადამიანების მასას იდეოლოგიის იარაღად აქცევს, რომელიც მზად არის თავის გზაზე გაანადგუროს ყოველივე, რაც წინ გადაელობება.

შეიძლება ითქვას, რომ ბრალი იდეოლოგიური მანქანის მუშაობაში საბაზისო და საწყისი ვნებათაგანია. აქ, ბრალმომართება თავისი გამოსახულებით და განსახიერებით ორგანიზებული, მიზანმიმართულ სახეს იღებს. იდეოლოგიურ მანქანას, ბრალის მონაწილეობის გამო, მასების აღტაცება-აღტკინება შეუძლია ყოვლად უსაფუძვლო, ამორალური, განვითარების არ მქონე, დესტრუქციულ – დამანგრეველი, კაცთმოძულე და უტოპიური იდეებით.

იდეოლოგია ბრალმომართებასთან, ასევე, როგორც ფენომენი – თავისი მრავალფენიანი ელემენტებით და მასთან შეკავშირებული მასათა ფსიქოლოგიით, მოითხოვს მრავალი კუთხით განხილვას და შესწავლას.

ბრალი და მოსაზღვრე ვნებები

ბრალი წარმოიშობა, არსებობს და მონაწილეობს სხვა ვნებათა ფორმირებაში. „დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა უკეთურებამ ამ ქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამუამს მათი ყოველი გულისთქმა“ (დაბ. 6: 5). „უკეთური გულისთქმა“ – ბრალი ცისა და ქვეყნიერების წინაშე, უფლისა და ადამიანის წინააღმდეგ მბრუნავი და ბოზოქარი, განაპირობებს ყოველგვარ ცოდვას და ბოროტებას. მტვრისაგან შექმნილი ადამიანი ადვილად ვერ შეერთო უფალს □ მის განზომილებას და ბოროტ ბრახვათა მდინარეებში გაითქვითა; ზეციური სწრაფვა მას უდავოდ ჰქონდა თავის არსში, მაგრამ მიწიერი ვნებები ისე ბოზოქრობდა, რომ თან მიიყოლა ღვთაებრივი არსის „ნამსხვრევებიც“.

ტერმინი „ცოდვა-ბრალი“ ადამიანის არქეტიპული აზროვნებიდან მომდინარეობს, □ ზოგადად ბოროტების აღსანიშნავად. ბუნებრივად დაისმის კითხვა, – შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგან რომელთან უფრო ახლოა ბრალი? ვნებები, რომლებიც ხშირად განაპირობებენ ბრალს, არის შური, ამპარტავნება და მრისხანება. ამ ვნებათაგან ნებისმიერი შეიძლება გახდეს ბრალის აღძვრის მიზეზი და, პირიქით, გაუაზრებელ-დაუთრგუნველი ბრალი, თავისთავად, გახდეს ამ ვნებათა გამომწვევი.

„შური მწუხარებაი არს ნათესავისა სიკეთესა ზედა“ – ამბობს ბასილი დიდი. ღვარძლი და შური უკეთურებაში მიმოაქცევს ადამიანის ფიქრს და ფანტაზიას, სამტროდ აგულიანებს მას და მრავალ ბრალს წარმოშობს. ამ ბრალმა აქცია კენი ძმის მკვლელად, კაცობრიობის ისტორია სავესა ამ ცოდვით ჩადენილი დანაშაულებებით. მასზე შექმნილია მრავალი კინოფილმი და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. ამის მრავალი მაგალითია ჩვენს სინამდვილეშიც.

ამპარტავნება – მედიდურობა-სიამაყე, სხვათა დამცირების და საკუთარი თავის განდიდების ბრალია. იგი უამრავ ბრალისმიერ შინაარსს შეიცავს... „სიყვარული არს სული წმინდაი, ხოლო ეშმაკი – ამპარტავნება, ძვირისსიტყუა, შურ, ხდომა“ (ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია გ. ნინუა 1982). ამპარტავნება სიამაყის, კაცთმოძულეობის, მრისხანების ფესვზეა აღმოცენებული. აქ თავს იშვებს სხვადასხვა ფორმის ბრალი – წარუმატებლობის სხვაზე გადაბრალების, მრისხანების, უსამართლო განსჯის და დასჯის, სისასტიკის ბრალი და სხვა, რაც განაპირობებს კიდევაც ამ ბრალის სიმყარეს და დაუძლეველობას. ამპარტავნება ხშირად შენიღბულია ყალბი თავმდაბლობით, თუმცა კრიტიკულ მომენტებში კარგად იშიფ-

რება ეს მოჩვენებითობა, რითაც შეიძლება მისი გამოცნობა... უბედურებათა დიდი წილი, რაც ადამიანებს ემთხვევათ, სწორედ, ამ ბრალის მონაწილეობით და დაუთოკავობით ხდება.

მრისხანებას წმინდანები სხვადასხვანაირად განმარტავენ. ღირსი იოანე სინელი მას ასე განმარტავს: „მრისხანება დაფარული სიძულვილის ხსოვნაა, ე.ი. ბოროტმეხსიერებაა“. „რაიმე უკუე იყოს უძვრეს და უსაწყალოებელეს კაცისა მის, რომელი მარადის გულ-მწყრალ არიან, რამეთუ ვითარცა ეშმაკვეულთა, არა აქუს განსუენება ამას განსასვენებელსა“ (მამათა სწავლანი 10-11სს-თა). იოანე სინელის განმარტებული „ბოროტმეხსიერება“, სწორედ, ბრალმატარებლობაა, რომელსაც მივუძღვენით ეს წიგნი. მართალია, მრისხანება შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგან ერთ-ერთია, მაგრამ მრისხანებაზე ხელაღებით მსჯელობა მაინც ძნელია. ამ ვნებას ადამიანის შინაგანი და გარეგანი კონფლიქტები განაპირობებენ. მას შეიძლება ჰქონდეს, როგორც სრულიად უმიზეზო – უნიადაგო აფეთქების სახე, ასევე, საფუძვლიანი მიზან-მიმართულება. მრისხანების სახეს განაპირობებს ადამიანის კონსტიტუციური წყობა □ მისი ფსიქოტიპი. ზოგჯერ ის ნერვულ-ფსიქიკური აშლილობის ფონზე მიმდინარეობს და ნებელობას არ ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში არაპროგნოზირებადია და ძნელად დასარეგულირებელი. დღევანდელი დაუბალანსებელი, აგრესიული მსოფლიოს განწყობილებებიდან გამომდინარე, მრისხანების ბრალის განხილვა კაცობრიობისათვის მრავალგზის მიყენებული ზარალისა და ბოროტების, მომავალში მისგან წარმოშობილი კიდევ მრავალი საფრთხის და, ზოგადად, მისი დარეგულირების ჭრილობა განსახილველი.

ინტენსიურად ზრდადი ბრალი

ძირითად სასიცოცხლო ტენდენციებზე, როგორც ბაზისზე, აღმოცენებულმა ფსიქიკური წარმონაქმნების სიუხვემ ბრალის გამრავალფეროვნება გამოიწვია, რამაც ადამიანის აგრესია, ცხოველთან შედარებით კი არ შეამცირა, არამედ გაზარდა. ადამიანმა ე.წ. „განვითარების“ გზაზე მრავალი სისხლიანი კვალი დატოვა. დღესდღეობით, ადამიანთა ვნება-ბრალი მიკრობული სპორების მსგავსად შეინიღბა, შეიმოსა, კატუსულირება განიცადა, ე.წ. „აბსურდულ ჯავშნად“ გადაიქცა და არავინ იცის ვნებააშლილი რა ფორმით, რა ბრალით წარმოსდგება და დაატყდება კაცობრიობას ანუ საკუთარ თავს...

უფლის კანონზომიერებების უარყოფელი, ადამიანური არსის სამყოფელიდან გასული ადამიანის ამპარტავნობამ, ამბიციამ, გარყვნილობამ, აგრესიამ, ზოგადად დაუკმაყოფილებლობამ – ვნებითა ფანტაზიებმა და ბრალმა შეიძლება საშიში სახე მიიღოს. როდესაც დაკმაყოფილების „პათოლოგიურ“ საშუალებებს საზოგადოების დიდი ნაწილი მიმართავს, მაშინ ამუშავებას იწყებს ამ საზოგადოების თვითგანადგურების მექანიზმები. განწირული მასა გაუცნობიერებლად აკეთებს ისეთ „მოძრაობას“ და სვლებს, რომლებიც იწვევენ ამ საზოგადოების კრახს. ძლიერი იმპერიების წარმოშობა, გარკვეული ხნით არსებობა და შემდეგ გაქრობა, გვაფიქრებინებს არა მარტო გარე ფაქტორებით მათ რღვევაზე, არამედ მათში თავისთავად მოცემული წინააღმდეგობების შედეგად მათ კანონზომიერ დაშლაზე. იგივე შეიძლება ვთქვათ კაცთმოძულე იდეოლოგიების პერიოდულად წარმოშობასა და გაქრობაზე... ჰიტლერის მიერ მსოფლიოს დასაპყრობად, თითქოსდა, უაღრესად ორგანიზებული გერმანელი ნაცია, სწორედ ისეთ მოძრაობას ახორციელებდა, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაეღუპა გერმანელი ხალხი მახინჯი იდეოლოგიის მატარებელ ლიდერთან ერთად. არის კიდევ სხვა ხერ-

ხი ასეთი საზოგადოებების გასანადგურებლად. ეს გახლავთ „უნივერსალური“ განმწმენდი საშუალებები, როგორცაა, ბიბლიური წარღვნა და სოდომ-გომორივით აღგვა პირისაგან მიწისა. ადამიანური სახის წაშლისა და გადაგვარების საშიში ტენდენცია დღევანდელ საზოგადოებებშიც შეინიშნება და თუ სხვა საშუალებებმა არ გაჭრა, კატასტროფა ვარდაუვალია, რაც, რა თქმა უნდა, უფლის ნება იქნება...

ადამიანურ ვნებათა ბრალი ფროიდთან

ფროიდი ის კუნძულია, რომელთანაც ყველა, მისით დაინტერესებული, მოგზაური შეივლის, მოინახულებს, გაეცნობა მას და იქედან შემფოთებული, გაორებული, ბევრჯერ, იმედგაცრუებული ბრუნდება... ფროიდმა სექსუალური ლტოლვის ენერგია, რასაც იგი ლიბიდოს უწოდებდა, ადამიანის მთავარ მათრეგანიზებელ, მაკორდინირებელ ენერგიად გამოაცხადა. ადამიანის მიერ ამ ლტოლვათა დაუძლეველობის გამოცხადებით შიში, შემფოთება და გაუგებრობა გამოიწვია. ფიზიკური სხეულის ამ „ნაკლის“ – ვნებადაუძლეველობის აღიარებით, პირველ რიგში ადამიანს დასდო ბრალი. ლტოლვითი ენერგია – ფროიდის თქმით, მის აზროვნებას, ცნობიერსა და ქვეცნობიერს იპყრობს; მისი დათრგუნვა და განდევნა ნებელობითი სფეროების მიერ, ადამიანის ფსიქიკის დეფორმაციებს – ფსიქიკურ აშლილობებს იწვევს. ბუნებრივია, დაისმის კითხვა – რა იყო, ფროიდის მხრიდან, საფუძველი თავისი ფსიქოანალიზის შეურყეველ თეორიად გამოცხადებისა და, საერთოდ, რა იყო ნაკლი ამდაგვარი მიდგომებისა. მიუხედავად ფროიდის ანალიზური უნარის დიდი შესაძლებლობებისა, როგორც ყოველთვის, მის თეორიასაც ჰქონდა ნაკლი; ფროიდმა ავადმყოფის ფსიქიკა (თუნდაც ნევროზიანის) ჯანმრთელ ფსიქიკასთან გააიგივა; ფროიდს არ ჰქონდა ღვთაებრივი სულის ნაპერწკალი; ის რომ მასში ანთებულებიყო, შეძლებდა გასულიყო ამ ჩაკეტილი აზროვნებიდან, და თუ იქიდან შემოხედავდა ადამიანური ყოფის არსს, მაშინ ნაკლებად აღძრავდა ბრალს მხოლოდ ფიზიკურ სხეულში განხორციელებული ვნებების გამო. ის ერთ მოცემულობაში განიხილავდა ღვთაებრივი აზრის ნაწარმს – ადამიანს, რომელიც მართო ფიზიკური განხორციელება არ არის. ფროიდი, როგორც ურწმუნო, უიმედოდ ტოვებს ადამიანს თავის ფიზიკურ ნაკლთან და ვნებებთან ერთად. მისი ეს ჩაკეტილობა და თავისი „აღმოჩენა“ – მხოლოდ ადამიანის ვნებათა გამო, „შიშველ რეალობაში“ – ღვთის შემოსილების გარეშე, უიმედოდ ტოვებს ღვთაებრივ არსებას. რწმენა, რომელსაც ფიზიკური რეალობიდან გაჰყავს ადამიანი, მასში არ არსებობს. ფროიდი ერთ სისტემაში აზროვნებდა; მან არ დაუშვა ღვთაებრივი სული ადამიანში, რომელიც ფიზიკური სხეულიდან გამოდის – დროდადრო ტოვებს და განწმენდილი უბრუნდება მას, რათა სწორედ მასში – ვნებების ჭურჭელში ხელახლა წარმოიშვას. მორწმუნე ადამიანი ბრალს არ უყენებს ადამიანს ფიზიკური ნაკლოვანების და ვნებათა გამო, არ განსჯის და არ განიკითხავს მას; მისთვის მისაღებია ეს დაშვებულობა – ადამიანის განხორციელება ფიზიკურ სხეულში და მისი ხელახლა დაბადება. ფროიდმა, თავისი ურწმუნოების გამო, ვერ დაუშვა, რომ შესაძლებელია ადამიანმა თავის დაცემულ სხეულში ღვთაებრივი სული აღადგინოს...

გავრძელება შემდეგ ნომერში



ცერილები



ლუარა სორდია



ბიბლიური პარადიგმაში რობერტ მესხის პოეზიაში

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა უმეტესად ენიგმურია, სიმბოლურ-მეტაფორული, იგავური.

ძველი და ახალი აღთქმა სავსეა იგავებით, ალეგორიებით, რომლებიც გადატანით, დაფარულ აზრს, ანდაზას, ზნეობრივ-დამრიგებლურ დასკვნას შეიცავს.

„ყურს მოვუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს გამოცანას“, აცხადებდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 48,5) (1,572).

რობერტ მესხის პოეზიაში მრავლად გვხვდება სიმბოლურ-მეტაფორული, ენიგმური სახეები.

პოეტი ზედმინვნით კარგად იცნობს წმინდა წერილს, მითებს, ლეგენდებს, ქართულ თუ უცხოურ კლასიკურ მწერლობას, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ფილოსოფიას, რაც საშუალებას აძლევს, თავისი სათქმელი ნისლით, ბურუსით შებუროს და მკითხველს ამოცნობის სიხარული არგუნოს. მისი შემოქმედება სავსეა ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, აპოკალიფსური პარადიგმებით.

პოეტი აქცენტირებას ახდენს სოციალურ, ეროვნულ სატკივრებზე, პოლიტიკურ პროცესებზე, იკვლევს მოვლენების მიზეზ-შედეგებს, რათა სწორი ორიენტირები დაუსახოს საზოგადოებას.

აფხაზეთელს, საუკუნის ტრაგედიების მხილველს ხელენიფება საბედისწერო პროცესების შეფასება ობიექტური თვალთახედვით. პოეტი ხან პირდაპირ, ხან სიმბოლურ-ალეგორიულ ჭრილში წარმოაჩენს მოვლენებს, ხშირად მიმართავს ბიბლიურ, აპოკალიფსურ სახეებს, რომელთაგან უპირველესი ადგილი უკავია გველის, გველგესლას, გველეშაპის, ქვეწარმავლის, ტრიტონის, ხვლიკის, დინობავრის, მგლის ავაზას სახეებს.

სამოთხის პირველი ადამიანების – ევას და ადამის მაცდუნებელი გველის სახე ჯერ კიდევ წმინდა წერილის დასაწყისში გვხვდება. ქვეწარმავალმა უკვდავ ადამიანებს უბიძგა სამოთხის ცნობადის ხის აკრძალული ნაყოფის მიღებისკენ და მთლიანად შეცვალა მათი ცნობიერება, რაც უზენაესის ყოვლისმხილველ თვალს არ გამოეპარა, ამიტომაც სამოთხიდან განდევნა და მოკვდავად აქცია ურჩი ადამიანები.

რობერტ მესხი ძალზე ხშირად მიმართავს გველის სახეს და მის ვარიაციებს განსაკუთრებით მაშინ, როცა აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებს წარმოაჩენს.

ლექსში „რინა“ აფხაზეთის სამოთხეს გველი (მტერი) შემოხვევია და იობივით დატანჯულ პერსონაჟს ლექსისა მხოლოდ მაცხოვრის იმედი აქვს.

კვანძის ჩახლართვის ოსტატებმა „მარჯნის ტროპიკს“ გველი შემოუსიეს და იობისებური ტანჯვისა და მოთმინებისთვის გასწირეს ძირძველი ქართველობა: „ღანძილისფრად შეიღება რინა და არ ვიცი, რა თილისმა მიცავს. ჩაიხლართა უხილავი კვანძი, ვინ გამოძავს შენს ტალღამდე მანძილს?“

ამ უბედურების მთავარი რეჟისორი გველია, რომელმაც შხამი და გესლი დათესა მშვიდობიანად მცხოვრებ ეროვნებებს შორის: „მოეხვია მარჯნის ტროპიკს გველი და იობის მოთმინებით ველი ამდაგვარი მოთმინების საზღვარს, გადმოხედე, მაცხოვარო, აქ ვარ“ (2, 29).

ლექსს პოლიტიკური ქვეტექსტიც აქვს, რადგან აფხაზეთის დაკარგვა გარეშე, ბოროტ ძალებთან შეკრული ვერაგი შინაურის ხელშეწყობით მოხდა.

ეროვნული უბედურებით განამებულ პოეტს მუდმივად ჩაესმის „ასპიტა ხროვის სისინი“ კვლავ შემოდგომის ფოთლებად მაცლის) (2, 74).

შემთხვევითი არ არის მაცდური გველის მუდმივი მოლანდება, რომელმაც მთლიანად შეცვალა სამოთხის მკვიდრთა ცხოვრება, რადგან საუკუნის ბოროტების წინააღმდეგ შემტევი ძალა იყო საჭირო: „რა იოლია, ყველაფერი გველს დააბრალო, გველს და ვაშლის ხეს, როცა უბრალო სიზმარიც კი ვერ ამიხსნია“ (მსგეფო) (3,113).

საშინელი ღალატის მომხრეს, ღიმილიც კი გველის, მახრჩობელას, გესლიანი კობრას ხსოვნას უტოვებს: „...ხშიადში სანამლაავი... ღიმილი ჰგავდა გველს, მახრჩობელას, ან კობრას, გესლიანს“ (შუალამის ლოცვა) (4,152).

დავით წინასწარმეტყველი სიცრუის მსახურ მოსამართლეთა, ბოროტეულთა მისამართით აცხადებდა: „მათი შხამი მსგავსია გველის შხამისა, ყრუ ასპიტისა, ყურს რომ დაიჩულებს“ (ფს. 57,5) (1,581).

„ასპიტა ხროვა“ არ შორდება პოეტის მოგონებას: „... როგორც ბიბლიურ ჟამთა მირაჟი, ასპიტა ხროვა მიხმობს სისინით“ (კვლავ შემოდგომის ფოთლებად მაცლის ქარნაფიქრალს) (5, 74).

გზა და ქვაფენილიც კი ასპიტს დამგვანებია: „და გზა იყო ჩხრიალა ასპიტის მსგავსი და ქვაფენილი—აჯაგრული ხორკლი“ (რენე) (6,7).

„შენ გაგბანრავენ ჭრელი გველები“, ჩივის პოეტი (მარტოობა) (3,90-91).

სუბტროპიკული სამოთხიდან გამოდევნილი ადამიანი მუდმივად უდაბნოს არსებად გრძნობს თავს: „...ყბედობს ორაკული: უდაბნოს ნიღაბი ეგვიპტის ბედია, ახლა იქ ქარიღა დაიდგამს გვირგვინს და შეიბამს სისინა გველების ყელსაბამს“ (ნილოსის ლოტოსი) (3,112).

„ოქროს ნაპირსაც“ „გორგონების გესლი“ წამლავს, არც იმ ტალღების „ძველი მოტივი“ ისმის, უცნობი ბილიკვებია წინ: „ო, იმ ტალღების რა ხანია შეწყდა მოტივი, ოქროს ნაპირი გორგონების გესლმა გამურა და სიჭაბუკე-ქარვისფერი სიასამური უცნობ ბილიკვებს გაედევნა ქარაშოტივით“ (ფერადი სონეთიფიქრის) (2,60-61).

„შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით“, ჩიოდა იერემია წინასწარმეტყველი (51,34) (6,177).

ეგვიპტის მეფე ფარაონი მოიხსენებ, როგორც „დიდი გველეშაპი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,35) (7,221).

აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის რეჟისორად რობერტ მესხი „შავ ვეშაპს“ მოიაზრებს: „...ხან გემებს ყლაპავ, ხან დედაბარს ლურჯი მონასტრის, ჩემი ქალაქი, ჩემი ერთი ციციქნა დონაქსი, რომ მიუგდე ტალღის ეშაფოტს, დამიბრუნე, შავო ვეშაპო“ (შენი ბრაღია) (8,7).

„უძილობის სეზონის“ ლირიკული პერსონაჟი ამხელს, რომ მისი საცხოვრისი „ვეშაპის ზურგია“: „...შენ რომ დასახლდი, ის კუნძული სინამდვილეში ცისფერი ვეშაპის ზურგია“ (3,22).

„გარეული მხეცები, გველები ნართაულად გამოხატავენ სულიერ მდგომარეობას“, განმარტავს ნეტარი ავგუსტინე (აღსარება) (9,294).

„წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე გვიჩვენებს: „...რწმენის მახვილით მოჰკვეთე თავი ამ გველებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან“ (10,263).

ოქროს საწმისზე არგონავტების თქმულებაში საწმისს გველეშაპი დარაჯობს. საწმისი სულიერი განძია, ეს კი ნიშნავს, რომ ეს სიბრძნე ქვენა ძალების ხელშია“ (11,176).

მზისკენ, ცისკენ აფრენის სურვილი ილუზია აღმოჩნდა, ცაში „ქერცლიანები“ დამკვიდრებულან, ხოლო ღირსეულთათვის ქვენარმავალივით მიწაზე ღოღვა მიუსჯიათ: „მზისკენ აფრენას ვფიქრობდი და ახლა რას ვხედავ?! – ცა გაუვსიათ ქერცლიანებს, მე კი დავლოღავ, როგორც უცხო ქვენარმავალი“ (CLASSREPTILIA) (6,147).

რობერტ მესხი უდაბნოდან გამოქცეულს ჰგავს, „ქვენარმავლის სიბეცე“ აწამებს, მისი სულის იარა კი ზღვის ზვირთებს უკავშირდება: „ნარეკლით სავსე უდაბნოდან გამოვიქცევი, მგეს გავფრიდე მწვანე ხვლიკივით, სად დამეკარგე? ქვენარმავლის მტანჯავს სიბეცე—შენს ლანდს მივკივი“.

მტანჯველია წარსულის „ნაქორალი ქარების“, ძველი იარის—სიყვარულის და ზღვის ზვირთების მოგონება: „ო, წარსულიდან ნაქორალი ქრიან ქარები, წლები მკორტნიან კდებით, კირთებით... რად მომაგონდით, როგორც ძველი ნაიარევი, შენ და ზვირთები?“ (შენ დაზვირთები) (2,17).

ხსოვნაში დასადგურებულა ყარაყუმის უდაბნო, ქვიშა, სიციხე და „რუხი გველგესლა“: „ყარაყუმისკენ მიცურავენ ბედუინები, მზის დიადეშით მორკალული ცახცახებს ქვიშა. მახრჩობს ცხელება... რუხი გველგესლა სვირინგივით ამის ბარხანას, შენ სად ხარ ახლა? ქარავანი, აქლემის სევდა... უდაბნოს ხვატი, ხორშაკი ქვიშას მიხვეტავს (იზმორება უდაბნოს ხვატი), – შენ სად ხარ ახლა, ზღვაო, ჰე, ზღვაო“ (უდაბნოში) (2,30-34).

ასე გამუდმებით აედევნება პოეტის ხილვას მშობლიური ზღვა, საკუთარი სულის სახლი.

არა სირბილი, არა ფრენა და ცაში ამაღლება, არამედ „რეპტილიებივით ღოღვა“ გამხდარა სულ სხვა ხვედრისთვის გამზადებულთა ხვედრი (ფრთოსნებით) (3, 69-70).

ზოგჯერ შურისძიების გრძნობა ივანებს სულში მზისკენ მიმსწრაფი ქვეწარმავლის ბოროტების გამო, რომელმაც ცხოვრება უდაბნოდ უქცია: „...უდაბნოა ირგვლივ, ქვიშების ბინადარი გველი. გაუჭყყყე თავი, რას გაიგებს გველი – ტანცივი, რას იდარდებს გველი?! მისრიალებს მზისკენ! მზე არ დაანებო, მირსა“, ასეთი პოლიტიკური ქვეტექსტის მატარებელია ლექსი „მირსა“ (4,24).

მაგრამ შურისძიების გრძნობას ისევ გარდაცვლილი ბოროტების შებრალება ენაცვლება: „გუშინ გულყვითელა მცურავი დავკრძალე და ვგლოვობ“ (მონაჟამა) (4, 150-151).

სისხლის წყურვილს მაინც ვერ იცხრობენ დაუნდობელი არსებები და ჭლექვით ევლინებიან უდანაშაულოთ: „გამოვიზამთრე, როგორც იქნა, არდაღამებით და გრძნობებს, ჩემი სისხლის წვეთებს, ხვრევენ გველები, მაგრამ წამებით, წამწამებით, წამის წამებით ეს ჭლექიანი წელიწადიც წავა ხველებით“ (რაც ხარ, ის ხარ) (5,36).

ისევ უდაბნო, გველი, ქრისტეს ოცდაათ ვერცხლად გამყიდველი იუდა ეცხადება პოეტს და სიზმარში ტუტანხამონის ხარხარი ჩაესმის: „გველის თვალებით მიმზერს საჰარა, მიმზერს იუდა – მსხვერპლი მამონის და სიზმრებიდან მესმის ხარხარი ტუტანხამონის“ (გველის თვალებით მიმზერს საჰარა) (5, 85).

გველის, მაცდურის ჩაგონებით გაუხდება კოლხეთის მეფის აიეტის ასული მედეა უცხო იაზონს მოკავშირედ ოქროს საწმისის მოტაცებაში და უბედურებას მოუტანს როგორც ქვეყანას, ისე საკუთარ თავს“ (გველის ელადა) (5,71).

„ზოლიანი ასპიტებია“ გესლიანი ადამიანის სულის მახასიათებელი ლექსში „დაცული ტერიტორიები“ (3,67).

ზოგჯერ ასპიტვით იდევნება კეთილიც: „ხედავ, მდევნიან როგორც ასპიტს, როგორც შაჰმერანს“ (შაჰმერანი) (3,93).

„...როგორც ბიბლიურ ჟამთა მირაჟი, ასპიტთა ხროვა მიხმობს სისინით“, ჩივის პოეტი (კვლავ მემოდგომის ფოთლებად მაცლის ქარი, ნაფიქრალს) (5,74).

„ზოლიანი ასპიტების“ ჩასაფრებაა, ლექსში „დაცული ტერიტორიები“ (3,67).

არც ქამელეონის დალატია დავიწყებული: „შენ რომ წარსულში მიმატოვე, დიდი ხნის წინათ, ჩამოთლილი რუდიმენტივით, აქა ხარ ახლა, მაგრამ იქ ხარ იმავდროულად, – მარცხენა მხარზე ამომწვარი ჭრელი ფარვანა... ქამელეონი“ (ქამელეონი) (6,68).

ასპიტი, ქამელეონი ვერაგი, დაუნდობელი ადამიანის სულის მახასიათებელია ლექსში „უნდა მაცალო“ (2, 24-20).

„ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბდას ქსოვენ“, ნათქვამია ესაიას წინასწარმეტყველებაში უკეთურებზე (59,5) (7,117).

ზოგჯერ „ლიტონი სიტყვა“ „ჭრელი ტრიტონია“, დინოზავრივით შემზარავი (თ/ვ/ბ/ვ) (2,56-57).

არც სისხლისმსმელი ვამპირის ქმედებაა დავიწყებული: „...დამზრალი მიწა დაემგვანა მომაკვდავ ვამპირს და ტერფზე ხარბად ამილოკა სისხლის წვეთები“ (შენი სარკმელი) (5,53).

სევდა ასოცირებულია შავ, სისხლით გაუმადლარ ტარანტულთან: „ტარანტულივით შავი, ტარანტულივით ცივი, შემომეხვია სევდა, ვით მარგალიტის მძივი“ (ტარანტულივით შავი) (2,23).

მტაცებელი შავი ავაზა ადამიანის თანამდევია ცხადსა თუ სიზმარში, რაც სიცოცხლეს ამოკლებს: „სიზმარში ვნახე შავი ავაზა, თუ ცხადში იყო – გინდა იცოდე, ბორგავ, თითქოსდა ბოლო ნავაზთან ტოვებ სიცოცხლეს“... (ცეკვა ღამესთან) (5,90-91).

აფთრები, მტაცებლები ნადირობენ პატიოსნებაზე, სიკეთეზე: „...როცა სანადიროდ გამოვლენ აფთრები, უკონოდ დავთვრები“ (გიჟი ვარ ისეთი) (5,35).

ბოროტეულნი „დაგეშილნი ძაღლებივით“ დაეძებენ სიკეთის მსახურთ (ილუზია) (3,26).

მავანნი ყორანივით, მგლებივით დახარბებულან გემრიელ ლუკმას, მეფისტოფელები დაფნის გვირგვინს: „...მზეზე ყორანი ბებერ ძვლებს ითბობს, ჩხავის და ზამთრის სიცივეს წყევლის. დაფნის გვირგვინი მეფისტოფელებს... გემრიელ ლუკმას ელიან მგლები, ძმას და სიმართლეს – სხვათა შვილები“ (უცხო ხარ ახლა) (3,92).

არავის ესმის განწირული ადამიანის მგლისებრი ყმუილი (მარტობა) (3,29).

„მოჩვენებითი მეგობრობა დამალულ მახვილს ჰგავს. არა არის რა მგლურ მეგობრობაზე უფრო ბილწი... სათნოს, მართალსა და კეთილმოსურნე ვაცს თვალებით იცნობ“, წერს მარკუს ავრელიუსი (19,263).

„მიქცევის“ პერსონაჟი „მგელდაცემული ბატკანივით“ განწირულია: „...მიქცევასავით ვარ დღეს და სავსემთვარეობას ველოდები. რა მომიტანა ღამისთევამ? მგელდაცემული ბატკანივით მითრთის სხეული“ (3,94).

მგლები იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ქრისტე –კრავი გასცეს და განირეს: „...შენა ხარ კრავი, შენირული, ჩვენა ვარ მგლები, – გვშია თუ არა, გვირჩევნია კრავები ვხოცოთ“ (ზიარება პირველი) (10-67).

„იქ, სადაც მგლები დადიან ლადად, სულ ერთიანად განყდება ცხვარი“, ამბობდა საადი შირაზელი და ასეთ რჩევას იძლეოდა: „... უნდა ყოველდღე ერთი მაინც მოიკლას მგელი, რომ მის ღრიალზე დანარჩენი შეძვრეს ბუნაგში“ (13,10).

პოეტი იმედოვნებს, რომ საყდარში მაინც იქნება უკეთურთაგან დაცული: „ძლივს მივაგენი კელაპტარს, ბურუსში ხელის ცეცებით, – იმედს ვიტოვებ, მგელ–აფთარს აქაც არ შევეფეთები“ (მირქმა) (8,71).

მშიერ მგლებთან არიან ასოცირებული ის ვაიადამიანები, რომლებიც სტომაქის ამოყორვისთვის, დროსტარებისთვის ცხოვრობენ: „ეს გადამბული დროსტარება არ გათავდება, ნადიმი ერქვას, გინდა ღრეობა, – ყბა ყბას დასცილდეს, არაფერი მოაკლდეს სტომაქს“ (გულისამრევი სიტყვა „ვძლები“) ...მავანს ჰგონია, ეს გადამბული დროსტარება არ დამთავრდება, დიონისოს და სხვა ტირანებს, რომლებმაც გლახაკ–მშიერთათვის ფუთა გამოკრეს ძვლებით სავსე და მახვილის ქვეშ დასვეს დამოკლე... გარეთ ვარდის და დენთის სუნი ერთად ტრიალებს, ვიდრე ქეიფი დასრულდება და დროსტარება, ვიდრე ერთმანეთს ვძიძგნით, როგორც მშიერი მგლები“ (ეს გადამბული დროსტარება) (8,45).

ასევე, დაგმობილია ანგარებით შეპყრობილი, სალაფავს დადარაჯებული ძაღლის სახეში მოაზრებული ვაიადამიანი: „...გულის მიღმაც შეიძლება იყოს მორყეული ბოგირი, სადაც მშიერი ძაღლი სალაფავს ელის და სცივა“ (ქარის მეტამორფოზა. სეხნიას) (11,72-73).

ვეფხვი და ლამა ნუკრთან არის დაპირისპირებული ლექსში „მუზის პასეანსი“ (3,45).

პოეტი გულისტკივილით ვითხულობდა: „...რატომ ძიძგნიან თვისტომნი თვისტომთ გაუმძღარი სვავებივით, ერთმანეთს რად ანანვერებენ? ნუთუ იმიტომ, რომ კამათლები გამოთალონ მათი ძვლებისგან და მყისვე იღბალს გაუგორონ საეგებიოდ?“ (რომელი მედიუმი მე ვარ, დედოფალო) (8,84-85).

წმინდა იოანე ოქროპირი უღირს ვაცს ლემის მჭამელ მგელს ადარებს: „უღირსებო ვაცი ლემის მჭამელ მგელს ჰგავს (17,98).

საუბრობს რა „პატივმოყვარეობს საშიშ კუნძულზე მცხოვრებ ურჩხულებზე“, წმინდა მამია-იოანე ოქროპირს – ასეთ ურჩხულებად მიაჩნია „მრისხანება, სასონარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, სიხარული მტერთა გაჭირვების გამო, მწუხარება მათ ვეთილდღეობაზე, თავის ქება, თვალთმაქცური ალერსი, უგულებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა, გაუბედაობა, სიმკაცრე უბრალო ხალხის მიმართ, ძლიერთა წინაშე უსიტყვობა“...(10,160-161).

რობერტ მესხი გაბედულად ამხელს ადამიანის სახით მოვლენილ ნადირ-ქვენარმავლებს და მსახურებს არა წარმავალ, არამედ მარადიულ იდეალებს...

დამონმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. რობერტ მესხი, ნაშლილი ბაიათი, თბ. 2004
3. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ. 2008
4. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ. 2013
5. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
6. რობერტ მესხი მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ. 2010
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
8. რობერტ მესხი, HARCOSIS თბ. 2020
9. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1995
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, 1992
11. გვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
12. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები9 ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1972
13. გაზ. „სხვა დრო“, 2020, 3(8) 15 ნოემბერი, გვ. 10



Ratiani Lali

Doctor der deutschen Philologie



KULTURELLE VIelfALT IN DER KOMMUNIKATION

Ziel des Vortrags besteht darin die Themen Interkulturalität und kulturelle Diversität aus interkultureller bzw. kulturvergleichender Perspektive in den Blick zu nehmen und etwa der Frage nachzugehen, wie die beiden Themen in anderen kulturellen Kontexten diskutiert werden und dabei hilft uns die präzise Bestimmung solcher Begrifflichkeiten, wie es Migration, Multi- und Interkultur, Integration, Kulturbegriff, Kulturelle Diversität, Sprachenvielfalt, sprachliche Kompetenz und Kultur der Kommunikanten, kulturelle Ebene und Faktoren, kultureller Hintergrund, Kommunikations- und Lingvokulturologischer Prozess sind. Das wird auf Beispiele der Abarten der Antonymie (Antithesen und Enantiosemie in den georgischen, russischen und deutschen Sprachen gezeigt. Es sei erwähnt, dass ein Bestandteil von kultureller Vielfalt die Sprachenvielfalt ist. Das ist symbolisch, sich zum Welttag der kulturellen Vielfalt für Dialog und Entwicklung, zum Aktionstag der UNESCO zusammenzukommen, der jährlich am 21. Mai begangen wird, und für kulturelle Vielfalt Bewusstsein schafft.

Begriff der **kulturellen Vielfalt** (oder der kulturellen Diversität) wurde in weiteren internationalen Erklärungen und Übereinkommen aufgegriffen. Durch die internationale Diskussion, vor allem die Aktivitäten der *UNESCO*, hat sich etwa seit der Jahrhundertwende die **Begrifflichkeit Kulturelle Vielfalt in Deutschland** verbreitet. Einen Meilenstein bildet hier die im Oktober 2005 verabschiedete „Konvention über den Schutz und die Förderung der Vielfalt kultureller Ausdrucksformen“. Sie trat am 18. März 2007 in Kraft und wurde von der Bundesrepublik Deutschland am 12. März 2007 ratifiziert.

In den interkulturellen Diskursen haben in den letzten Jahren auch immer stärker die **Begrifflichkeiten „Diversity“ oder „Cultural Diversity“**, Verbreitung gefunden. Sie bedeuten mehr als das deutsche „**Vielfalt**“ im Sinne von Mannigfaltigkeit, sondern auch **Diversität und Verschiedenheit**.

Darin werden „die differierenden Werte, Traditionen, Erfahrungen, Lebenspraxen erkannt, zueinander in Bezug gesetzt, in der gesellschaftlichen Interaktion erprobt und einvernehmlich in diesem Prozess entstandenen Regeln unterworfen. Dieses Konzept von **Vielfalt und Verschiedenheit**, das **diversity** bedeutet, scheint die **einzig mögliche langfristige Leitlinie für moderne demokratische, plurale Kulturpolitik** und damit Förderung zu sein“ (Kolland 2007:42; siehe hierzu auch ausführlicher Kolland 2006 und Dorothea Kolland „Kulturelle Bildung zwischen den Kulturen“).

Diversität behandelt heterogene Zusammensetzungen **der Belegschaft in Hinblick auf Kultur, Alter und Geschlecht**. Die Herausforderung des „Diversity Management“ besteht weltweit.

Die Industriegesellschaften sind durch **Immigration geprägt**. Insbesondere multiethnische Nationen aber auch Länder mit sehr hohen Anteilen an Migranten betroffen.

In Georgien sind beispielsweise zunehmend **Mitarbeiter mit asiatischem Hintergrund zu integrieren**.

Das Schlagwort "**Diversität**" beschreibt die **Entwicklung**(politische Öffnung von Märkten, schnelle und günstige Transport- und Reisemöglichkeiten), die zu sozialen Effekten führen. Bevölkerungen und Mitarbeiter werden im Zuge des Schlagwortes "**Globalisierung**" zunehmend **kulturell divers**. In Georgien kommt zu den Migrationsströmen aus anderen Kulturen verschärfend die Abschmelzung der ethnischen Bevölkerung dazu.

Dabei hat **diversity zwei entscheidende andere Stoßrichtungen** als andere Konzepte: „**Zum einen** zielt“, wie Mark Terkissidis schreibt, „**das Konzept auf die Institutionen selbst [...], nicht auf die Personen**, die in diesen Institutionen nicht der Norm entsprechen. **Zum anderen** stehen nicht bestimmte Gruppen im Zentrum des Konzepts, **sondern das Individuum**. Hierin besteht **der Unterschied zum Ansatz der Integration**. Dieser geht weiterhin davon aus, dass es ein großes Ganzes gibt mit einer Normgruppe und abweichenden Gruppen. Das Ziel ist erreicht, wenn die abweichenden Gruppen in der Norm aufgehen und so ein idealer, aber letztlich nie da gewesener Ursprungszustand wiederhergestellt wird“ (2007:15).

Unter **kulturellen** (selten auch als Soziodiversität bezeichnet) und **sprachlichen Vielfalt** versteht man die Existenz von vielfältigen Kulturen zwischen menschlichen Gruppen und Gesellschaften. Eine Gesellschaft, in der eine Vielzahl von Kulturen nebeneinander existieren, ist – rein begrifflich – eine **multikulturelle Gesellschaft**. In diesem Verständnis sind auch alle ethnisch homogenen Gesellschaften –

(Benjamin Barber 1999:18) – **მულტიკულტურული**, denn ab einer bestimmten Stufe ihrer Entwicklung bestehen dort immer **mehrere Kulturen nebeneinander**. Schon bei einem engen **Kulturbegriff stehen in entwickelten gegenwärtigen Gesellschaften** neben der traditionellen „legitimen“ staatlich geförderten Kultur verschiedene Formen von **Breiten-, Sub- und Alternativkulturen, vielfältige Jugend-, Frauen-, Senioren- und sonstige Kulturen, die Kulturen der jeweiligen Lebensstilgruppen und Milieus und Ähnliches**

Die *Allgemeine Erklärung zur kulturellen Vielfalt* der Vereinten Nationen postuliert, dass kulturelle Vielfalt – *als Quelle des Austauschs, der Erneuerung und der Kreativität – für die Menschheit ebenso wichtig wie die biologische Vielfalt für die Natur ist.*[2]

Kulturelle Vielfalt wird als eine der Wurzeln des **Kulturwandels** betrachtet, wobei dieser nicht allein im Sinne des wirtschaftlichen Wachstums gefasst werden soll, sondern als Weg zu einer erfüllteren intellektuellen, emotionalen, moralischen und geistigen Existenz.[3] Ein Versuch zur Erfassung und Klassifizierung der Vielfalt auf der Erde stellen die Modelle der **Kulturareale** dar.

Eine besonders große Vielfalt verschiedener **indigener- und lokaler Kulturen** findet sich insbesondere in Gebieten, die sich ebenfalls durch eine außergewöhnlich hohe **Biodiversität** auszeichnen.[4]

Kulturelle Vielfalt bezieht sich danach „auf die mannigfaltige Weise, **in der die Kulturen von Gruppen und Gesellschaften zum Ausdruck [...] gebracht, bereichert und weitergegeben (werden und auf die) vielfältigen** Arten des künstlerischen Schaffens, der Herstellung, der Verbreitung, des Vertriebs und des Genusses von kulturellen Ausdrucksformen, unabhängig davon, welche Mittel und Technologien verwendet werden“ (Deutsche UNESCO-Kommission 2006:20, 17f.). **Zentrales Ziel der Konvention ist**, „a) die Vielfalt kultureller Ausdrucksformen zu schützen und zu fördern; b) die Voraussetzungen dafür zu schaffen, dass Kulturen sich entfalten und frei in einer für alle Seiten bereichernden Weise interagieren können; c) den Dialog zwischen den Kulturen anzuregen, um weltweit einen breiteren und ausgewogeneren kulturellen Austausch zur Förderung der gegenseitigen Achtung der Kulturen und einer Kultur des Friedens zu gewährleisten; d) die Interkulturalität zu fördern, um die kulturelle Interaktion im Geist des Brückenbaus zwischen den Völkern weiterzuentwickeln ...“ (ebd.).

Kulturelle und sprachliche Vielfalt soll als Weg zur interkulturellen Existenz betrachtet werden. **Interkulturalität**“ (siehe Susanne Keuchel/Ernst Wagner „Poly-, Inter- und Transkulturalität“), heißt es im *UNESCO-Übereinkommen über den Schutz und die Förderung der Vielfalt kultureller Ausdrucksformen*, „**bezieht sich auf die Existenz verschiedener Kulturen und die gleichberechtigte Interaktion zwischen ihnen sowie die Möglichkeit, durch den Dialog und die gegenseitige Achtung gemeinsame kulturelle Ausdrucksformen zu schaffen**“ (Deutsche UNESCO-Kommission 2006:21). **Kultur und Sprache**-es sind solche zwei semiotische Systeme, die viel Gemeinsames und durch die strukturellen Unterschiede bedingte Eigentümlichkeiten besitzen. Die Sprache als Grundlage und ein wesentliches Zeichen der Kultur, Phänomen, das ziemlich ausgeprägte national-spezifischere Eigenartigkeiten besitzt, wird durch ethnische Integrität, ethnodifferenzierende Mittel behandelt werden. Die Bestimmung und die genaue Interpretation des kulturellen Hintergrundes soll es für den Sprachträger als obligatorischer Begleitmoment für die linguistischen Forschungen angesehen werden.

რატინი ლალი

**კომუნიკაციის კულტურული მრავალფეროვნება
რეზიუმე**

კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის გაფართოებას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს კომუნიკაციისა და სწავლების პროცესში ენაში კულტურათაშორისი კომპეტენციის საფუძვლების გადაცემას.

Ratiani Lali

**Cultural Diversity in Communication
Resume**

Expanding the importance of cultural diversity should have a special place in the process of communication and teaching in the transfer of the foundations of intercultural competence in language.



მანანა კვატაია

დანაშაული და სასჯელი საბჭოური სტანდარტებით

მეოცე საუკუნემ ბოროტების ახლებური პარადიგმა დაამკვიდრა. ჰანა არენდტმა მას “ბანალური ბოროტება” უწოდა და ებრაელთა სიკვდილის ბანაკებში გაგზავნის ზედამხედველის, ადოლფ აიხმანის საქმიანობის აღსანიშნავად გამოიყენა. ამ თეორიის თანახმად, ბოროტებას მხოლოდ შექსპირის გმირების მსგავსი პირები ვი არ სჩადიან, არამედ რიგითი, ბანალური ადამიანები და ეს ახლებური, უსახო, ბიუროკრატიული ბოროტება მათთვის ყოველდღიურ რუტინად იქცევა. ტოტალიტარული რეჟიმების, მათ შორის, კომუნისტური მმართველობის, სულიერებისაგან დაცლილ მსახურთა განუკითხაობას და ანტიადამიანურ ქმედებებს მილიონობით უდანაშაულო ნიჭიერი ადამიანის სიცოცხლე შეეწინა. კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლთა შორის იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბაგრატიონ-გრუზინსკების ჩამომავალი სვიმონ ციციშვილი და მისი ოჯახი.

ემიგრაციაში მცხოვრები ეს უაღრესად საინტერესო მოღვაწე ავტორია 1941-1942 წლებში გერმანიაში დაწერილი “საქართველოს ნაციონალ-სოციალისტური სამეფოს გარიგებისა”. ეს გახლდათ ქართული სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი, ორიგინალური მოდელი, რომელიც დიდი ფორმატის ორ ფურცელზეა მოთავსებული. პროექტი შედგება ორი ნაწილის, სქემისა და ტექსტისაგან.

სვიმონ ციციშვილის მიერ შედგენილი “გარიგების” სქემის მიხედვით, სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, მისი მოადგილეა “მაგიერი”, პარლამენტის ფუნქციას ასრულებს “ერის დარბაზი”, რომელსაც განაგებს “მეთაური”. “ერის დარბაზი” ირჩევს “მელადს”, ქართული ეროვნული პოლიტიკის ხელმძღვანელს (პრემიერ-მინისტრს), რომელიც მთავრობას აყალიბებს. მთავრობაში კონკრეტულ მიმართულებებს “მთავრები” (მინისტრები) განაგებენ. როგორც ჩანს, ემიგრაციაში მოღვაწე მოღვაწეები ფიქრობდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად ახალი მსოფლიო წესრიგი დამყარდებოდა და საქართველო ამ გარდაუვალ პროცესს მომზადებული უნდა შეხვედროდა. 1942 წელს ემიგრანტებმა სვიმონ ციციშვილი საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტად დაასახელეს, თუმცა 1942 წლის მაისში მან თავადვე დაწერა მოწოდება, სადაც თანამემამულეებს მეფობის კანდიდატად ირაკლი ბაგრატიონი დაუსახელა.

ემიგრაციაში მოღვაწე მამულიშვილს შეუდგენია ასევე საქართველოს უნიკალური ატლასი, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. პატრიოტი მოაზროვნის საქმიანობას კარგად ახასიათებს ნ. ყიფშიძე: “საქართველო უწინარეს ყოვლისა”, - ეს ფრაზა აქვს წამძღვარებული სვიმონ ციციშვილის “გარიგებას” და.. მის მოღვაწეობასა და განვლილ ცხოვრების გზასაც სწორედ ეს აღნიშნული სიტყვები გასდევს” (ყიფშიძე 2017: 37).

სვიმონ ციციშვილი მრავალი ცხოვრებისეული ქართველის მომსწრე და მონაწილე გახლდათ. იგი დაიბადა 1886 წელს ქარელის რაიონის სოფელ ქარელში, თავადის, არჩილ ციციშვილის ოჯახში. სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ მან უმაღლესი საინჟინრო განათლება მენავთობე ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით მიიღო. 1906 წელს ის საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი გახდა. 1920 წლის დამლევს ფრანგულმა ნავთობკომპანიამ სვიმონ ციციშვილი საფრანგეთში მიიწვია. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო იგი იძულებული გახდა, საფრანგეთში დარჩენილიყო.

ემიგრაციაში ყოფნის დროს ციციშვილი აქტიურად თანამშრომლობდა იმ ორგანიზაციებთან, რომელთა მიზანი ბოლშევიკური მარჩუხებიდან საქართველოს საბოლოო გამოხსნა იყო. 1924 წლის დამლევს პარიზში შეიქმნა ეროვნული ერთობის დანაშაულობა “თეთრი გიორგი” გენერალ ლეო კერესელიძისა და პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ხელმძღვანელობით. 1928 წელს ორგანიზაციის წევრად სვიმონ ციციშვილიც მიიღეს, რომელიც ამ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში 20 წლის მანძილზე საქმიანობდა. 1941 წელს ციციშვილი ბერლინში ჩავიდა და 1942 წელს აქტიურად მონაწილეობდა “ქართული ეროვნული კომიტეტის” შექმნაში, რომელსაც მიხეილ წერეთელი ხელმძღვანელობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წელს, საბჭოთა რეჟიმმა ზოგიერთი ემიგრანტი საქართველოში დააბრუნა. მათ შორის იყვნენ სვიმონ ციციშვილი, მისი ქალიშვილი ელენე, სიძე ირაკლი ლორთქიფანიძე და შვილიშვილები. 1951 წლი 4 დეკემბერს საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა სვიმონი, მისი სიძე და ქალიშვილი დაპატიმრა და სამივე მათგანს სამშობლოს დაღატაკის ბრალდება წაუყენა. სვიმონ ციციშვილს დახვრეტა, ირაკლი ლორთქიფანიძეს 25 წლით, ხოლო ელენე ციციშვილს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ბოლო მომენტში სვიმონს დახვრეტა ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს, სადაც მან 10 წელი გაატარა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ის ქალიშვილთან ერთად თბილისში ცხოვრობდა და 1973 წელს გარდაიცვალა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარქივში დაცულია სვიმონ ციციშვილის სისხლის სამართლის საქმე (ფონდი 6, საარქივო № 51234, ტ. 8/1, ყუთი 115), სადაც ინახება 1951 წლის 30 ნოემბრის დადგენილება (დაპატიმრებაზე). საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროს გამომძიებელს, უფროს ლეიტენანტ ქათამიძეს განუხილავს მასალები სიმონ (სვიმონ) არჩილის ძე ციციშვილის დანაშაულებრივ საქმიანობაზე.

ამავე დადგენილებიდან ირკვევა, რომ დაპატიმრებამდე სვიმონ ციციშვილი საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ინჟინერი გახლდათ. ბრალმდებელი პატიმრის ემიგრაციის პერიოდის ანტისაბჭოთა მოღვაწეობაზე მიუთითებს (“თეთრი გიორგის” წევრობა, “ქართული ნაციონალ-სოციალისტური სამეფოს გარიგების“ ავტორობა, ორგანიზაცია “ზამატის” წევრობა, რომელიც სსრკ-ს დამხობას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ისახავდა მიზნად და ა.შ.). დადგენილების მიხედვით, ციციშვილი სსრკ-ში გამომგზავრების წინ შეხვდა ქართული ემიგრაციის ლიდერებს და მათგან გარკვეული დავალებები მიიღო. ამავე დროს, მან საქართველოში დაბრუნებისას თავისი წარსული სრულად დამალა.

ჩამოთვლილი ბრალდებების საფუძველზე სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელს გამოუტანია დადგენილება სვიმონ ციციშვილის ბინის ჩხრეკისა და მისი დაპატიმრების შესახებ. ბრალდებულის ანკეტაში დასახელებულია დაპატიმრებულის ოჯახის წევრები - მშობლები: არჩილი და ეფემია - გარდაცვლილები, მეუღლე – მარიაში – გარდაცვლილი; შვილები: ელენა, არჩილი, დავითი.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი მოწმის, ყოფილი გენერლის, სპირიდონ ჭავჭავაძის დაკითხვის ოქმიდან (1951 წლის 28 დეკემბერი) ცნობილი ხდება ციციშვილის მეუღლის სიკვდილის მიზეზი: “საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, რომ სვიმონ ციციშვილის საქართველოში გამომგზავრებამდე მან თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე”, - განუცხადებია სპ. ჭავჭავაძის.

1952 წლის 4 მარტის დადგენილებით, სვიმონ ციციშვილის საქმესთან გაუერთიანებიათ მისი ქალიშვილის ელენესა და სიძის, ირაკლი ლორთქიფანიძის საქმეები. მათი დაპატიმრების საფუძველიც აღნიშნული პირების ანტისაბჭოთა საქმიანობა გახლდათ (“თეთრი გიორგის” წევრობა, გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობა და სხვ.). იქვე ხაზგასმულია, რომ სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ მათ საბჭოთა ორგანოების წინაშე ასევე დამალეს თავიანთი წარსული, აქებდნენ საზღვარგარეთ ცხოვრების დონეს და ა.შ.

სვიმონ ციციშვილის სიძე ირაკლი დავითის ძე ლორთქიფანიძე 1910 წელს სომხეთის ქალაქ ლენინაკანში დაიბადა. უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერი დაპატიმრებამდე რუსთავის ავტომექვათეფელი ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. 1929 წელს მან არალეგალურად გადაკვეთა თურქეთის საზღვარი, ემიგრაციაში წავიდა და პარიზში დამკვიდრდა. 1930-1933 წლებში ის “თეთრი გიორგის” წევრი გახლდათ. 1941 წელს ირაკლი ლორთქიფანიძე სხვა ემიგრანტებთან ერთად გაუგზავნიათ ქალაქ ორლეანში, სადაც 3 კვირის განმავლობაში სადაზვერვო-დივერსიულ სკოლაში სწავლობდა. მისი დამთავრების შემდეგ ის ქ. ვენაში ახლადჩამოყალიბებულ “თამარ-2”-ში ჩაურთხავთ, სადაც საომარ და ტაქტიკურ წვრთნებს გადიოდა (ყიფშიძე 2017: 118). 1941 წლის დეკემბერში მას დაუტოვებია “თამარ-2” და 1942 წელს ბერლინში ისევ “თეთრი გიორგის” ორგანიზაციაში დაბრუნებულა. იმავე წელს, მ. კედიას წინადადებით, ის სტავროპოლში გაუგზავნიათ, რათა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია საქართველოს დაიპყრობდა, პოლიციური ფუნქციები შეესრულებინა.

1943 წლის მარტში პარიზში ირაკლი ლორთქიფანიძემ გაიცნო სვიმონ ციციშვილის ქალიშვილი ელენე, რომელზეც იმავე წლის ნოემბერში დაქორწინდა. ომის დასრულების შემდეგ ლორთქიფანიძე ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში გაემგზავრა, სადაც ამერიკულ ნავთობმომპოვებელ აქციონერთა კუთვნილ რადიოსადგურში მუშაობდა.

იმავე სისხლის სამართლის საქმეში დაცული დოკუმენტების მიხედვით, სვიმონ ციციშვილის ქალიშვილი ელენე 1915 წელს დაიბადა და მშობლებთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. ის “თეთრი გიორგის” დარაზმულობასთან აქტიურად თანამშრომლობდა. ემიგრანტ ზალდასტანიშვილთან ერთად ელენე ლორთქიფანიძემ ემიგრანტებისაგან ჩამოაყალიბა ახალგაზრდული ნაციონალური დაჯგუფება, რომლის მმართველ კომიტეტში თავადაც შედიოდა. 1943 წლის აპრილში გიორგი კერესელიძის მიწვევით მან მუშაობა ბერლინში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ემიგრანტების აღმწერ რეგისტრატორად დაიწყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ელენე ლორთქიფანიძე უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენის მასწავლებელი გახლდათ.

როგორც 1951 წლის 18 დეკემბრის დადგენილება მიუთითებს, სვიმონ ციციშვილსა და მისი ოჯახის წევრებს ბრალი წაუყენეს, რომლის თანახმად, ისინი საფრანგეთსა და გერმანიაში ცხოვრების დროს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას ეწეოდნენ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი აგრძელებდნენ მას.

1951 წლის 20 დეკემბრის დაკითხვის ოქმში სვიმონ ციციშვილს ანტისაბჭოთა საქმიანობაზე კონკრეტულად ეკითხებოდნენ, რაზეც ბრალდებული მიუგებს, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას არ ეწეოდა. ამავე დროს, იგი არ უარყოფს, რომ დაბრუნებული ემიგრანტები ერთმანეთს სოციალური ხასიათის უკმაყოფილებას უზიარებდნენ.

საქართველოს შსს არქივში (ფონდი 6, საარქივო № 51234, ტ. 8/4, ყუთი 116) ინახება 1952 წლის 29 იანვრის დადგენილება, რომლის მიხედვით, საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს პოლკოვნიკ შავგულიძეს განუხილავს საქმე №4308 - სვიმონ არჩილის ძე ციციშვილისა,

რომელიც ბრალდებულია დანაშაულობებში 58-4, 58-1, 58-14 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით. დადგენილებაში მეორდება ბრალდებულის დანაშაულობათა ჩამონათვალი და მოთხოვნილია, გამოძიების ვადა 10 დღით გაიზარდოს, რათა სვიმონ ციციშვილის სიძე-ქალიშვილის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ნიუანსებიც განიხილონ.

“ბოროტების ბანალურობის” ნიშნითაა აღბეჭდილი 1952 წლის 13-17 მაისის განაჩენი №112 (იხ. ფონდი 6, საარქივო № 51234, ტ. 8, ყუთი 116), რომლის თანახმად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა დახურულ სასამართლო სხდომაზე ქ. თბილისში დაადგინა: ელენა ციციშვილ-ლორთქიფანიძეს მიესაჯოს 58-4 საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში 10 წლით, მთელი ქონების კონფისკაციით, ასევე, სამოქალაქო უფლებების შეზღუდვით 5 წლით, ირაკლი ლორთქიფანიძეს – 58-1 ა-ს საფუძველზე მიესაჯა 25 წელი შრომა-გასწორების ბანაკებში, ქონების კონფისკაციით და 5 წლით უფლებების შეზღუდვით. სვიმონ ციციშვილს – 58-1 ა მუხლით გამოუტანეს უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა, მთელი ქონების კონფისკაციით. დოკუმენტების მიხედვით, 1952 წლის 26 აგვისტოს სვიმონ ციციშვილის საქმეს გადახედეს და დახვრეტის განაჩენი 25-წლიანი ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს.


სვიმონ ციციშვილისა და მისი ოჯახის ტრაგიკული ისტორია ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ “ბოროტების ბანალურობის” მსახურთა სიბრმავეს და უსულგულობას ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისათვის საჭირო მილიონობით გულანთებული პროფესიონალი ეწირებოდა. მათ რეჟიმის მორჩილი დაბალი კვალიფიკაციის კადრებით ანაცვლებდნენ, რაც ქვეყნის გარდაუვალი რეგრესის წინაპირობა იყო.

ლიტერატურა:

1. ყიფშიძე 2017: ყიფშიძე ნ. სვიმონ ციციშვილი – “საქართველო უწინარეს ყოვლისა”. – ჟ. “საარქივო მოამბე”, 2017, №17.
2. ყიფშიძე 207 ა: ნ. ყიფშიძე. ემიგრანტი ცოლ-ქმრის ისტორია. – ჟ. “საარქივო მოამბე”, 2017, № 17.



ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე



გრძელდება უსასრულოდის ნაწარმოების გაშეფრება.

ამოუნურავი თემა, სამყაროს აზრი და გრძნობა!

იონი – ცნობიერება კვანტური ნახტომის პირასაა, სულიერების გზაზე მყოფი ადამიანები ამას უკვე აცნობიერებენ და მზად არიან რომ გააღვიძონ საკუთარი ფესვები და პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ თავზე, რათა დედამიწაზე დაამკვიდრონ სიყვარულისა და სინათლის უდიდესი ძალა.

საზოგადოების ცნობიერება აუცილებლად უნდა ატარებდეს მაღალ მუხტს, ამას იმ და იანი ენერგიები წარმოშობს, ისინი ერთმანეთს ავსებენ და ქმნიან მაღალ ძალას, ეს ენერგია მხოლოდ და მხოლოდ ეფუძნება სინამდის და სულიერებას, სიყვარულს, ერთგულებას და ურთიერთობებს.

გზა გულამდე! ანუ გულისა და გონების, სხეულის გამთლიანებას გულისხმობს, უნდა შემოვიტანოთ სიტყვები გულწრფელობა, გულკეთილობა, გულმართლობა! სულიერი გადარჩევა მიდის,

როდესაც სიტყვა ემ-ოცია – იასთან ერთად მუშაობს და ეს პოზიტიურ ფრაზებს მიესადაგება, მაშინ შეგრძნებებით ხდება ამის გადაცემა სამყაროში, რაც სამყაროს შენებას იწვევს და ღვთის ძალას აძლიერებს.

ნეგატიური ემოციები კი პირიქით აუქმებს და აქვეითებს და მდაბალი ენერგიების გაძლიერებას ახდენს. აქ მიზიდულობის კავშირი იზრდება და სავალალო შედეგი იდება.

ამიტომ დაკვირვება და დაფიქრებაა საჭირო. გაფრთხილება უნდა ამ ყველაფერს.

უნდა ვენდოთ საკუთარ თავს, უნდა გამოვიმუშაოთ უმაღლესი ენერგია, მიზიდულობის კანონი ავამოქმედოთ მხოლოდ უმაღლეს ენერგიაში, რადგან მდაბალი ენერგია უფრო ძლიერია და სწრაფად მისალწვევი, ამიტომ მის გასანეიტრალელებლად საჭიროა დიდი ძალისხმევა.

უნდა გწამდეს!
და როცა გწამს ის უკვე შენშია.

სიტყვა მატერიის სულია, რასაც ვლაპარაკობთ რეალობაში ახდენს აქტივაციას, აქ ცხოვრების დაპროგრამება ხდება, ამიტომ ყოველმა სიტყვამ თავისი პოზიტიური ენერგია რომ შეინარჩუნოს და გამოვლინდეს მთელი თავისი სრულყოფილებით სწორედ უნდა წარმოვთქვათ.

აქ სიცოცხლისა და ცხოვრების მიზანია ჩადებული.

ადამიანობის შესწავლა სიყვარულს ეფუძნება, სამყაროს თავისი მოთხოვნები ააქვს, ახლა ღიაა სივრცე, გაცნობიერებული ცხოვრება - სწორი ურთიერთობაა სამყაროსთან.

ეხლა გაფიქრებულიც კი ფორმას იძენს.

დრო აჩქარებულია, იზრდება ვიბრაციული სიჩქარე, ამიტომ ფეხი უნდა ავაცოლოთ, ანუ შევეუერთდეთ უმაღლესს და მივიზიდოთ უნივერსალური.

სამყაროს უყვარს იდეა!
სულის სიმბოლო ირმის ნახტომია!
ეს ზეციური მოვლენა ადამიანების სულიერ ნახტომს განასახიერებს ცნობიერებაში.

უკვდავების იდეა ჭუჭყის მოცილებაა. სულის კანონის დაცვაა აუცილებელი.

ღმერთი იქაა სადაც მაჭა ფეთქავს. ოქრო კი არის მინაში, მაგრამ მინა აყრია, ამოღებაა მიწიდან მთავარი!

თუ სულიერ განვითარებას არ მიჰყვება ადამიანი გადაშენდება.

აზრი სიცოცხლის პრინციპშია და მის განვითარებაში. შეცდომა არათავსებადია სხეულში და განცდაში გადადის.

განსაკუთრებულია შინაგანი სინამდის. ცოდნა ცოცხალს სჭირდება, მომავლის ხედვის უნარი, – სიბრძნე ზეცაში გვაბრუნებს.

ემოცია არის ყველაზე დიდი ძალა! ემოციურ აზრს ააქვს ადამიანის გაცემის – ოცამდე ზრდის ენერგიის თვისება.

ყველაფერი იყოფა სამყაროში,
ცოდნის გაყოფა არ არსებობს, ცოდნა მრავლდება.
ცოდნის თავში შესვლაა მთავარი.
გვირგვინი თავზე იდება!

უდიდესი შემოქმედება ეს სამყაროა. მის გულში არსებული სრულყოფილება კი მოიცავს
ოთხ პერიოდს. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

აქ ღვთის არსია. სულიერი ზრდა გვაძლევს ნიშანს, რომ ეს გულს ეხება და მისი ოთხი
პარკუჭის შემადგენელია.

მზე გულიდან – დედის მზე!

ანუ გულის ოთხივე პარკუჭიდან მზის ნათელი გამოედინება და ათბობს სამყაროს, ახლის
შენებით აყვავებული სამყარო ვარდის ჭრილში დარქმეული სახელი – ალიონია!

ძიება ახალ ახალ უნარებს ანვითარებს, სამყაროს შენაძენია, ეს ჰიმნის ბეჭედი და მას
ყვავილების ფორმა ააქვს და ფერებში ხდება გარდამავალი.

ჩვენი რჩეულია სხივთა, ყვავილთა ფერი და ფორმა.

წყალიც ცოცხალი მცენარეა და ეს ფიფქთა ფორმაშია ნაჩვენები.

ცნობიერის განსჯის საფუძველი მაძლევს ნებას რომ სამყარო ახალ ახალი ხედვით
განვავითარო და შევიგრძნო, ეს ისაა რაც ახალ განზომილებაში დანახვა და ამაღლება, სულიერ
ზრდას გამოიწვევს ჩვენი სანყისისას.

ამ ყველაფრის მიღმა ფრთების შესხმა და ცნობიერის გამოვლინების უმაღლესი საფეხურია,
რომლის გარშემოც ტრიალებს ღმერთი!

გულის გასაღები – გული უნდა გაიხსნას, უნდა გახდეს მშვენიერი. ეს ის სხივია რომელიც
ათბობს სამყაროს და დედამინას.

ვარდში ალქიმიია!

ვარდისაგან წარმოიშვა სამყაროს დედის სიმბოლო და ეს ოთხი სტიქია ვარდშია. ასევე
მზისა და მთვარის არსი.

როდისაც ხდება გულის შიგნით ალიონი ერთმანეთში ფერთა სივრცეს ავსებს და ამაღლებს.
ეს ცისკარია!

ალიონი – დედის ღვთიური არსის ძალაა და ეს ცისკარი უკვე ქრისტეს სიმბოლოა, ცისკარის
გაღების უნივერსალური ეტაპი.

აქ ქრისტე იბადება.

ცისკარის დროს ლოცვა იწყება, მთებიც კი იწყებენ ტრიალს და უერთდებიან ლოცვას.

იესოს ლოცვა შიგ გულშია, – გულით ლოცვა.

რა ფერშია ალიონი იმ ფერშია ლოცვაც, – დედის ლოცვა.

დედა იქ არის. ყველგან და ყველაფერში, ყველა დროის ღვთისმშობელია. აქედან იწყება
გულის კარების გაღება, აქედან რჩება გ უ ლ ი.

ვარდის ძირი როგორც მზის, ასევე მთვარის დაბადებაა, ის ყოველი ახალი ალ ქიმიია.

შავი ვარდი – ღამე მიგვანიშნებს ამას, ვარდის ფესვი, ძირი, პირველადი ჩანასახი გულის
კოკორშია, სხივთა კონა, კოკორი მზესავით ასხივებს.

ემბრიონშია ბადრი მთვარე მანათობელი

სიცოცხლე მარად მზარდია და მუდმივმყოფელი

ვარდი ყვავილი იდუმალი ფერის მფლობელი

ღამემ იწება ეს ყვავილთა მახარობელი.

ახალი აზრის დაბადება, ახალი განვითარებაა. გამოვლინების ფერი ახალი ტალღაა
გადარჩენის, როგორც კი იქნება ამ ფერის (შავის) გაცოცხლების ტალღა ვაცობრიობის
გაცოცხლებაც იმ წამში იწყება!



ი ს ტ ო რ ი ა

ნიკო ხერკელაძე



ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-39-ებში და ანთოლოგიის მე-5-10 ტომებში)

ოპოზიციური მხარისაგან გ. სააკაძის სალიკვიდაციო გეგმა და მისი განხილვა

1626 წელს, ცხინვალში, ამ საიდუმლო შეკრებაზე, სანამ თეიმურაზ I-სა და სააკაძეს შორის, დომენტი ავალიშვილის მეშვეობით, დიალოგი გაიმართებოდა. (საიდუმლოს ვამბობ იმიტომ, რომ სააკაძე გააფრთხილეს სალიკვიდაციო სამზადისისაგან თავი დაეცვა) მანამ ამ ორ პიროვნებას (თავიანთი თანამოაზრეებისაგან) ცალ-ცალკე რა შთაბეჭდილება ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ, რა ეწადათ, რა მიზნები ამოძრავებდათ.

თეიმურაზ I-ის მიმართ სააკაძისგან უნდობლობა, შაჰის საზავო პირობაზე დათანხმებამ გამოიწვია, ახსენებოდა მარაბდის ომში მეფის თადარიგმოკლებული სარდლობა, სადაც 20 ათასი ქართველიდან 9 ათასი, თითქმის ნახევარი განადგურდა. მართალია, 9 ათასმა ქართველმა 14 ათასი ყიზილბაში შეინირა, მაგრამ სად 50 ათასიდან (მათ მოგვიანებით 10 ათასი მიემატათ) 14 ათასი კაცის დაკარგვა და სად 20 ათასიდან 9 ათასი კაცის დაკარგვა? ბუნებრივია, ქართველ მოსახლეობაში უკმაყოფილება იქნებოდა ასეთი მსხვერპლის გამო, მცირე დროის უკან, მარტყოფის გამარჯვებით, ქართველმა ხალხმა გაიხარა, იმ დროის ქართველ საზოგადოებას, მარტყოფისა და მარაბდის ომების შესახებ მსჯელობა ექნებოდათ. იმსჯელებდნენ იმაზე, რომ მარტყოფში მცირე დანაკარგებით 27 ათასი ყიზილბაში განადგურდა, რასაც ასეთი გამარჯვება მოჰყვა, მარაბდის ომში 20 ათასი კაცის თავმოყრა ცოტა არ იყო, მაგრამ აქედან 9 ათასი რომ განადგურდება და თან ომის წაგებაც მოჰყვება ეს მაშინ, როცა სარდლობაც მეფეს აქვს ჩაბარებული, ასეთი მოვლენები, მკაცრ ანალიზებსა და კრიტიკას ვერ გადაურჩებოდა, ეი მარტყოფის გამარჯვებით, ხალხში ისმოდა სააკაძის ქება-დიდება, მარაბდის ომის მარცხით, ხალხში თეიმურაზ I-ის მიმართ ისმოდა უკმაყოფილება. დამაფიქრებელი იყო, როცა მეფის სარდლობით, ომის წაგება ხდება, და საშუალო აზნაურის სარდლობით კი ომის მოგება ხდება. ასეთ ვითარებაში საშუალო აზნაურის ავტორიტეტის ამღვლელობაში გაიზარდა და რაც მის მონინააღმდეგე მხარისათვის ადვილი შესაგუებელი არ იყო. იმ გარკვეული დროის მონაკვეთში, ქართველ საზოგადოებაში მსჯელობა ხდებოდა ორ გადამწყვეტ საკითხზე, უსმინონ და მიიღონ სააკაძის გეგმა, რაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ითვალისწინებს, და რაც იმას ნიშნავდა, როცა ერთიანი იყო საქართველო, ძლიერიც მაშინ იყო, და დამპყრობელსაც სათანადო პასუხს აძლევდა.

თუ უსმინონ და მიიღონ თეიმურაზ მეფის გეგმა, რომელიც შაჰ-აბასის საზავო პირობაზე დათანხმებას ფიქრობს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ყიზილბაშური ირანის გავლენაში, იგივე მონობაშიც კვლავ დარჩენას ნიშნავდა.

მარტყოფის აჯანყებამდის წარმატებული შაჰი თავის კუთვნილ სახელმწიფო ტერიტორიაზე ველარ ეტეოდა, დამპყრობლური ომებით მადა გაზრდოდა, აწიოკებდა მეზობელ ქვეყნებს და აწიოკებდა საქართველოსაც, მაგრამ მარტყოფის გამარჯვებით და შემდეგ მრავალათასიანი ჯარების განადგურებით, ფერი შეეცვალა. შაჰი ქრისტიანულ ქვეყნებისთვის ამდენი ავის მოსურნე რომ არ ყოფილიყო, საქართველოც გადარჩებოდა და ქართველებშიც ურთიერთმტრობაც მინიმუმამდე დავიდოდა. როცა შაჰ-აბასი საქართველოს საზღვრებს მოადგა და კახეთის სამეფო დიდ გასაჭირში აღმოჩნდა, სწორედ მაშინ სჭირდებოდა თეიმურაზ I-ს შაჰისაგან დანდობა და განა ზავის საფუძველი არ იყო? შაჰთან მიმართებაში, როცა დედა ქეთევან დედოფალი და ორი შვილი მასთან გააგზავნა, შაჰ-აბასმა რატომ არ მიიღო ზავის პირობა? ეს უნდა ხსომებოდა თეიმურაზ მეფეს და შაჰთან სამომავლო ურთიერთობა ისე გაეთვალა, რომ მისგან ბევრჯერ ჭრილობამიყენებულ სა-

ქართველოს შენიღბული ზავი არ სჭირდებოდა, ამიტომ „ქვეყნების მპყრობელთან ზავი მგლის თავზე სახარების ნაკითხვას ნიშნავდა“.

იმ დროის ქართველი ხალხის თვალწინ მოხდა საქართველოზე შაჰ-აბასის ლაშქრობები. კახეთის მოუწველებელი ტრაგედია, ხალხის გადასახლება ირანში. ამდენად ქართველი საზოგადოება შაჰის ზავის პირობას ასე მარტივად ვერ მიენდობოდა, იქნებოდა ორჭოფული, სკეპტიკური მდგომარეობა. სააკაძის თანამოაზრეებმა მშვენივრად იცოდნენ, შაჰის დროებითი ლმობიერება, მაგრამ იქნებოდნენ ისეთებიც, რომელნიც ვერ ერკვეოდნენ თუ რის მომასწავლებელი იყო შაჰისაგან ზავის პირობა. რადგან სააკაძე ირანში იყო და კარგად იცნობდა შაჰ-აბასს, რჩევას ეკითხებოდნენ, სააკაძე ასეთ ხალხს მთელი ენთუზიზმით გაუწევდა აგიტაციას, რომ შაჰს მხოლოდ დროებით ესაჭიროებოდა ქართველებთან დაზავება და თავის დამპყრობლურ მიზნებს საქართველოსთან კვლავ განახორციელებდა. სააკაძისაგან ასეთი აგიტაციები აღწევდა თეიმურაზ მეფის ყურამდის, ხალხი სააკაძისაგან ახსნა-განმარტებას, შაჰ-აბასის ზავის პირობის არასანდოობას, გაფრთხილებად აღიქვამდა, თეიმურაზ I და მისი მომხრეები „მჩურჩნელად“.

ვახუშტი ბატონიშვილი, სააკაძის მიმართ, თეიმურაზ I-ის განწყობას გამოხატავს როცა ასე მიმართავს – „რომ დღითი-დღე არა დასცხრები ლაპარაკისაგანო და ჩურჩულისაგანო“. როცა შაჰ-აბასი თავისი დამპყრობლური გეგმების განხორციელებას ცდილობს აღმოსავლეთ საქართველოში, რახან ამას ვერ მიაღწია ახლა, ზავის პირობით, გავლენის შენარჩუნებას ფიქრობს. სააკაძისაგან კი მტრის სანინალმდეგო თადარიგების დაჭერა, ხალხისათვის სწორი ინფორმაციის გაცნობა, რომ შაჰს ზავი მხოლოდ ძალების მოკრებისთვის სჭირდება დროებით. მკითხველმა თვითონ გამოიტანოს ანალიზი, სააკაძისაგან ეს „მორჩურჩულება“ იყო თუ ერისაგან, ხალხისაგან, შინაგანი ძალების გამოხმობა, რომ როგორმე თავი დააღწიო მტერს?

მკითხველი ბუნებრივად მიაქცევს ყურადღებას იმ მოვლენას, რომ შაჰისაგან გამოგზავნილი დაუდ-ხან უნდილაძე, თბილისში კონფიდენციალურად შეხვდა თეიმურაზ I-ს. საუბარი ძირითადად საზავო პირობას ეხებოდა, ანუ ეს შეხვედრა, ქართველ ხალხისადმი ხომ იყო არასასურველი, იძულებით თავსმოხვეული მდგომარეობა. რადგან იძულებითი იყო, ამიტომ თეიმურაზ I და დაუდ-ხან უნდილაძე კონსპირაციულად შეხვდნენ თბილისში.

საკაძის მიმართ „მჩურჩნელობა“ არა მართებულადაა ნათქვამი, და იგრძნობა, მეთვრამეტე საუკუნის თეიმურაზ I-ის ნათესავთა და მომხრეთა ზეგავლენა ამავე საუკუნის მემბტიანზე. მჩურჩნელობა იგივე მეჭორავესაც ნიშნავს და სააკაძის ხასიათიდან ძალზედ დაშორებულია. მაღალი ზნეობის ადამიანები და სამაგალითო ვაჟკაცები ქართულ მოდგმას არასოდეს დაეღევა, ვინაც შრომაში გულმოდგინედ ირჯება, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კონკრეტულ საქმეში და ამით ღირსეული სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას, ასეთ ადამიანებს საჩურჩულოდ და საჭოროოდ დრო არ რჩებათ! კაცს, რომელსაც არც ერთი თავისი მოძულე, უფრო სწორად, დამაქცევარი არ დაუხვია, შვილები ანაცვალა თავის ქვეყანას, იობის მოთმინებით იტანდა დამცირებას და ცილისწამებას, რისთვის აკეთებდა ყოველივე ამას, თუ სააკაძეში მაღალი ბუნება და თავისი ხალხის მოსიყვარულე გული არ ფეთქავდა? სააკაძეს თავისი შვილის პაატას სიყვარული, თავისთავზე მაღლა ედგა, პაატას სიყვარულზე უფრო მაღლა კი სამშობლოს სიყვარული. ეს რომ ასე იყო გაცხადებული იმ ვითარებაში, რომ ირანში ჩასული როგორც კი გააცნობიერებს შაჰ-აბასის ავ გეგმებს საქართველოს მიმართ, ვალდებულებას იღებს თავის თავზე, კონსპირაციულად, შაჰის წინააღმდეგ აჯანყება მოამზადოს. სააკაძეს განდიდების სურვილი, მიზანი რომ ჰქონებოდა, იგი ირანში დაამთავრებდა უშფოთველ სიბერეს და პაატა და ავთანდილიც ცოცხლები შერჩებოდა, ე.ი. იბადება კითხვა, გ. სააკაძე ფუფუნების მოსურნე რომ ყოფილიყო, შაჰ-აბასმა ორივე ხელით ირანის კარი გაუღო. მაგრამ რაღაც ზე ძალა ირანში სამუდამოდ დარჩენის უფლებას არ აძლევდა, მაშ ის სხვა რაღა ძალა იყო? რაზე გაიტანჯა თავი და მთელ ოჯახს მოუსვენარი დღეები დაუყენა. აქ თავის მინაზე, მოსვენება თავისმა თანამემამულეებმა დაუკარგეს, აყარეს დედა-ბუდიანად და ირანისკენ ლტოლვილობის გზას გაუყენეს. იქ ირანში ჩასულმა სააკაძემ თვითონვე დაუკარგა საკუთარ თავს მოსვენება. ირჩია სარისკო გზა და მთელი თავისი ოჯახის წევრები დააყენა შფოთიან გზაზე, შაჰის წინააღმდეგ აჯანყება წარმატებით ჩაატარა, მაგრამ, აბა, წარმოვიდგინოთ, აჯანყება წარუმატებელი გამხდარიყო, პაატა ორივე შემთხვევაში ხომ განწირული იყო. როგორც ჩანს, თვით-განცხრომით ცხოვრება მისი მიზანი არ იყო და საერთოდ სააკაძე განცხრომისათვის არ იყო დაბადებული. ოღონდ თავისი ქვეყანა გადარჩენილიყო, ორივე შვილი ამ მისიას ანაცვალა და ირანის კარიც მისთვის სამუდამოდ გამოიკეტა. სააკა-

ძეს განსაცხრომი, დასაწყნარებელი დრო არასოდეს არა ჰქონია, მისი დაცხრომა შეუძლებელი იყო მანამ, სანამ მტრის საომარი ჯარები ქართულ მიწას არ დაეხსნებოდნენ.

ენერგიაჩამცხრალი რომ ყოფილიყო სააკაძე, ამდენ ომებს ვერ გადაიხდიდა, და სიყვარულ და ემოცია ჩამცხრალი კაცი ვერც საქართველოს გაერთიანებაზე იფიქრებდა.

მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ცხინვალში თავყრილობის შესახებ. ისტორიულად არ არის ცნობილი, თუ რა საჭიროება ითხოვდა ცხინვალში ქართლ-კახეთის მეფე დიდებულების თავმოყრას, მაგრამ ფაქტი აშკარად გამოჩნდა, რომ სწორედ ამ შეკრების თაობაზე ორჯერ გააფრთხილეს სააკაძე, რომ თეიმურაზ I მის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდა და ბაზალეთამდის კი მცირე დროა დარჩენილი. რადგან მეფე და დიდებულები ცხინვალში შეიკრიბნენ, მათი თავმოყრა საგანგებო კრებას ჰგავს, მათთვის რალაც არასასურველი მოვლენა უნდა განიხილონ, რაც ფაქტად დადასტურდა, რომ ინფორმაცია საიდუმლოდ გაჟონა სააკაძის ლიკვიდაციის შესახებ. (ცხინვალის შეკრება 1612 წლის 20 მაისის წავკისის შეთქმულებას ჰგავს, მაშინაც გააფრთხილეს და აქაც აფრთხილებენ სააკაძეს) რადგან სააკაძეს ჰყავს ერთგული ხალხი და ისინი ატყობინებენ მოსალოდნელ განსაცდელებს, თეიმურაზ I-საც ხომ ჰყავდა თანამოაზრეები, და მათი ერთგვარი სამსახურებრივი მოვალეობაც კი იყო, მეფისათვის საიდუმლო მოვლენების შეტყობინება.

რა უნდა ყოფილიყო სააკაძისგან საიდუმლო გეგმა? 1. მეფისგან შაჰის საზავო პირობაზე დათანხმებით გამონვეული აღშფოთებით ანალიზის გაკეთება, თუ ყოველივე ეს თეიმურაზ I-ს რისთვის ესაჭიროება, როცა მეფისგან ასეთი მდგომარეობა ჩრდილს მიაყენებდა საქართველოს გაერთიანების გეგმას. ვინმეს ბაგეზე სიტყვა გამოკრთება, რომ სააკაძეს თეიმურაზისთვის, კახეთთან ერთად ქართლის მეფობაც არ შეეთავაზებინოს? –

ქართულ ეროვნულ ინტერესებს შაჰის ზავის პირობა და მასზე მეფის დათანხმება უფრო ესაჭიროებოდა, თუ მთელი ქართული ენერჯის ერთ მუშტად შეკვრა და მტრის წინააღმდეგ ბოლომდის ბრძოლა? რადგან შაჰმა ქართველთა შორის თავისი ზავის პირობით განხეთქილება ჩამოაგდო, ცხადია, სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულების და ლიკვიდაციის მიზეზიც გამოიძებნებოდა. რადგან ცხინვალში. მეფე თეიმურაზისა და ქართლ-კახეთის დიდებულთა შეკრება განსაზღვრულ დღესა და გარკვეულ დროს უნდა შემდგარიყო, ჩანს სააკაძეც იმ შეკრებაზე მიწვეულია; მთავარია, ნათელი მოეფინოს, სააკაძეს შეთქმულების შესახებ გაფრთხილება ორჯერ რატომ დაჭირდა?

საკაძეს თავისი ერთგული ხალხი პირველად მაშინ გააფრთხილებდა, როცა შეკრება დაინიშნა და შეკრების მოთავემ სააკაძეც მიიწვია. წავკისური 1612 წლის, მსგავსი მდგომარეობაა, სააკაძის გააფრთხილებელი ბაკა ხერხეულიძის მსგავს მდგომარეობაშია, რომ მეფის საიდუმლო შეკრების გეგმა სააკაძეს უნდა შეატყობინოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ საგანგებო ცნობის მიმწოდებელს დრო აქვს, და სააკაძისათვის გამხელის შემდეგ საიდუმლოდ დარჩება. (წავკისის შეთქმულებაში როგორც კი ინფორმაცია შეიტყო, ბაკა ხერხეულიძემ, სააკაძის ლიკვიდაციის შესახებ იმ ნუთიდანვე სიკვდილის რისკზე დააყენა თავისი სიცოცხლე) წავკისისა და ცხინვალის, ორივე შეთქმულების შემთხვევაში მეფეები იყვნენ ჩარეულნი, თავიანთი ავტორიტეტებით და მეფური მდგომარეობით, ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ვთქვათ, როგორი მაღალი ზნეობის ხალხია, ეს ორივე პიროვნება, რომ არად აგდებდნენ მეფეთა მონაწილეობას შეთქმულებაში, სადაც მათი სიცოცხლეც, ამ ვითარებამ შესაძლოა სიკვდილის ზღვარზე დააყენოს. მაინც, თავიანთი ქვეყნისათვის სააკაძის სიცოცხლე ურჩევნიათ და აფრთხილებენ თავი გადაიჩინოს. (განსაკუთრებით ბაკა ხერხეულიძე) პირველი გაფრთხილებისას, როგორც ჩანს, სააკაძეს არ ეჯერება თეიმურაზისაგან თავის წინააღმდეგ შეთქმულება, და გულდანდობილად მიდის შეკრების ადგილას. როგორც კი მისი ერთგული ხალხი დაინახავს, რომ სააკაძე ალაღად მიემართება, სადაც ის მიიწვიეს, მეორეჯერ გააფრთხილებენ მას.

რადგან სააკაძე მეორეჯერ იქნა გაფრთხილებული, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ის მოჩურჩულეობა, როგორც მას იმ დროს უნოდეს, მისაგან მოჩურჩულეობა თუ ავ მიზნებს შეიცავდა, მაშინ ასე გულდანდობილად და უშფოთველად შეკრების ადგილას არ გაემართებოდა. სიმართლე გაუზარავი ფოლადია, როგორც იმ დროის სააკაძის შესახებაა ნათქვამი „რით ვერ დასცხრები ჩურჩულისაგან“ მოჩურჩულეობა ხომ შეთქმულების საფუძველია. წიგნის მკითხველს ვეკითხები: – სააკაძე აწყობდა შეთქმულებებს თავის თანამოძმეებთან თუ სააკაძეს უწყობდნენ შეთქმულებებს?

დავაკვირდეთ, სააკაძეს გულადობა და უშიშრობა არ აკლდა, მაგრამ ცხინვალის შეკრებაზე ისე გულ-მინდობილად მიდის, მცირედი ეჭვიც კი არა აქვს, თუ თეიმურაზი მას შეთქმულებას მოუწყობს, მით უმეტესი, მარტყოფის ომის გამარჯვების ორგანიზატორს, თავის ქვეყანას დიდი სიყ-

ვარული შვილის განირვითაც რომ დაუმტკიცა, ვერ წარმოუდგენია ასეთი უმადურობა და ამ საფუძველზედ მიდიოდა ასე უშფოთველად.

როგორც ჩანს, მეორეჯერ გაფრთხილება სააკაძისათვის დამაფიქრებელი გახდებოდა, ნაკვის შეთქმულებაც გაახსენდებოდა და სიფრთხილეს გამოიჩინდა, სადარბაზოდ თავშეყრის ადგილას აღარ შევიდოდა, ეს ჩანს იქიდან, რომ დომენტი ავალიშვილს აგზავნის თეიმურაზ I-თან, ახსნა-განმარტებისათვის, რატომ გადაუწყვეტია მის წინააღმდეგ შეთქმულება. თეიმურაზს, რომელიც არ ელოდა თუ მისგან – სააკაძისადმი შეთქმულება გაცხადდებოდა, შეუცხადებია, – ჩემს ერთგულ კაცზე ამას როგორ ვიფიქრებდიო, თუმცა, შინაგანი განწყობა მაინც ვერ დაუმაღლავს და შეუთვლია, – შენ იყავ მეფე ლუარსაბ II-ის სისხლის მღვრელიო.

სწორედ აქ არის შაჰ-აბასისაგან და თეიმურაზისაგან, თავის თანამოაზრე დიდებულებთან ერთად, მოფიქრებული ასეთი ვერაგი აზრი და გეგმა, რომ სააკაძის ლიკვიდაციას მიზეზად ლუარსაბ II-ის სიკვდილი წაუმძღვარეს.

შაჰ-აბასს, რომელსაც სააკაძემ ჯარი გაუნადგურა, ჩაუშალა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის გეგმა, მით უმეტესი, წერილების საშუალებით, ერთმანეთზე წაკიდების შეუცვლელი ოსტატი და ინიციატორი შაჰი, რომელმაც დიდი მცდელობით ლუარსაბ II-ე ირანში წაიყვანა, და სარწმუნოების შეუცვლელი გამო 1622 წელს მოაკვლევინა, და ამით შვება იგრძნო, რომ ქართლი თავის ნებაზე ემართა, ახლა ამ დაუდგრომელმა გურჯმა მოურავმა, მარტყოფის აჯანყებით, ირანის სახელმწიფო ძალმოსილება შეარყია, ეი შაჰ-აბასმა ღრმად გააცნობიერა, თუ საქართველო გაერთიანდებოდა, ის თავის ჩვეულ გავლენას ვეღარ იქონიებდა აღმოსავლეთ საქართველოზე და ხელიდანაც გამოეცლებოდა.

ქართველმა ხალხმა იცის და არ დაივიწყებს იმას, რომ ტაშისკარის ომის გამარჯვების განმსაზღვრელი, და ამ საფუძველზე პოპულარული სააკაძის დას მეფე ლუარსაბ II-ე ცოლად შეირთავს, იგი ქართლის დედოფალი გახდება; სააკაძის პოპულარობასთან შეუთვისარი, ნაწილ დიდებულთა ფსიქოლოგია, 1612 წელს, მას ლიკვიდაციის მიზნით, შეთქმულებას მოუწყობენ, იგი გადარჩება და როგორც მიუსაფარი ირანის გზას დაადგება.

ქართველმა ერმა იცის და არ დაივიწყებს, ირანის გზაზე დამდგარ სააკაძეს მოსაკლავად წინ კოლოტაური შემოეყრება, სააკაძე მას დაინდობს, არ მოკლავს და ირანისკენ გააგრძელებს გზას. კაცს, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, კაცს, რომელსაც სახლ-კარი გადაუწვეს, კაცს, რომელსაც ლტოლვილის ხვედრი არგუნეს, კაცი, რომელიც ჯერ ირანში ჩასული არ არის და ამდენად, არც შაჰ-აბასის დამპყრობლური გეგმები საქართველოსადმი იცის, და ამდენად არც აჯანყებისთვის სამზადისია, და საამისოდ არც სასამართლოს შესახებ, რომ პირადი მტრები შემოირიგოს ფიქრიც კი არ ჩანს, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი, გულდამდურული ადამიანი გაერიდა თანამოძმეებთან ქიშპობას და სხვა ქვეყანაში მიდის, თანამემამულეებისაგან მთელი ოჯახიანად განწირული. ამ კოლოტაურს მისი მოკვლა ან შეპყრობა უნდა, სააკაძე მაღალი ბუნების კაცი რომ არ ყოფილიყო, კოლოტაურს მოკლავდა.

ქართველმა ერმა იცის და არასოდეს დაივიწყებს იმას, რომ 1615 წელს, როცა სააკაძე ქართლში დაბრუნდა, შეშინებულმა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა იმერეთის გზას მიაშურა, სააკაძის ხალხმა შემოაბრუნა და შერიგების ხელი გაუწოდა, მიუხედავად ამისა, მან ფარსადანს ჯარი სთხოვა სააკაძის ხელმეორედ მოსაკლავად.


ქართველმა ერმა იცის და არ დაივიწყებს იმას, რომ 1620 წელს სააკაძე სასამართლოს აწყობს იმ მიზნით, რომ პირადი მტრები შემოირიგოს და შაჰ-აბასის წინააღმდეგ აჯანყების თადარიგი წარმატებით ჩაატაროს.

ქართველმა ერმა იცის და არ დაივიწყებს იმას, რომ ნაწილ დიდებულთაგან, ქართლიდან სააკაძის გაძევების შემდეგ, ლუარსაბ II-ს ცოლი არ შეურთავს, ძე არ დაუტოვებია. ის, როგორც მეფე, მოვალეც იყო ეს მისია შეესრულებინა, ვინაც სააკაძე გააძვეს, მათი ასულები მზად იყვნენ, თუ ლუარსაბი მოისურვებდა, რომელიმე მათგანი დედოფლად გვერდით დაესვა და ჯვარი დაენერა, როცა უკვე ცოლგანტევებული იყო, რაღა უშლიდა ხელს?

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ეკონომიკა



ვალერი მოსიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ



ბანკები-კარტნიორების საიმედოობისა და გადახდისუნარიანობის არსებული მეთოდის სრულყოფის საკითხები

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სექტორში ამჟამად გამოყენებადი მეთოდის რიგ თვალნათელ უპირატესობებს ფლობს, მაგრამ მას გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნია. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე:

1. მეთოდის საფუძველში ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების მუხლების ეკონომიკურად ერთგვაროვან ჯგუფებში დაჯგუფებაა ჩადებული. მაგრამ დაჯგუფების ლოგიკაში შეიმჩნევა რიგი უზუსტობები. უპირველეს ყოვლისა, ლიკვიდური აქტივების ჯგუფში არ არის ჩართული – ბანკის ფასიანი ქაღალდების უცხოურ ვალუტაში ნომინირებული პორტფელის (კერძოდ, ქვეყნის შიდა სასესხო ობლიგაციები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და ა.შ.) გამომსახველი ანგარიში (ანგარიში 083ა). აღნიშნული აქტივები ლიკვიდობისა და საიმედოობის ისეთივე ხარისხს ფლობენ, როგორც სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციები – სსო (ГКО), რომლებიც ანგარიში 194-ზეა „დალექილი“.

მეორეს მხრივ, არსებულ მეთოდის აქტივების – ლიკვიდურებად და მომუშავეებად (რისკიანებად) დაყოფისადმი მკაცრი მიდგომა გააჩნია. მეთოდის ავტორის მოსაზრების მიხედვით, ლიკვიდური აქტივები – არის არამუშა აქტივები, ხოლო მუშა აქტივები – არის არალიკვიდურები. აქტივების დაჯგუფებისადმი ასეთი მიდგომა ბოლომდე კორექტულად არ გვესახება. ბანკებს გააჩნიათ მომუშავე აქტივების მასა, კერძოდ „მოკლე“ ბანკთაშორისო კრედიტები – ბმკ (МБК), რომლებიც ნულოვანი რისკიანი გირაოების ფორმის მიხედვით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, დეპოზიტების სახით არის დაფარული. ჩვენი მოსაზრებით, აქტივების აღნიშნული კატეგორია ერთმნიშვნელოვნად – ლიკვიდური „აბრის“ ქვეშ უნდა იქნეს მოქცეული. გასაგებია, რომ აქტივების მსგავს თავისებურებას ბალანსები არ ასახავენ, მაგრამ იგი უნდა იქნას დაკანონებული და ერთი და იგივე აქტივების როგორც ლიკვიდური აქტივების ჯგუფისადმი, ასევე მომუშავე ჯგუფისადმი მიკუთვნების პრობლემა იქნება აღმოფხვრილი.

2. მეთოდის ავტორი გვთავაზობს ოპტიმალურად საიმედო ბანკები – კოეფიციენტების „ეტალონური“ მნიშვნელობებისაკენ უნდა მიისწრაფოდნენ, რაც ჩვენი მოსაზრებით, მცდარია, რამდენადაც ასეთი ბანკები არა მარტო ოპტიმალურად საიმედოები გახდებოდნენ, არამედ ფინანსური ინსტიტუტების სახით მალევე შეწყვეტდნენ თავანთ არსებობას. აღნიშნული მეთოდის მიხედვით ოპტიმალურად საიმედო ბანკის კოეფიციენტების მნიშვნელობები ჩვენს მიერ შემდეგი სახით გვაქვს კომენტარებული (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 1. მეთოდის მიხედვით ოპტიმალურად საიმედო ბანკის კოეფიციენტების მნიშვნელობების კომენტარიები

| ბანკის საიმედობის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოქმედი მეთოდის მიხედვით | კომენტარიები: |
|--|--|
| $K_1 = \text{კაპ} / \text{მშ.აქ} = 1$. საიმედობის გენერალური კოეფიციენტი – საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა მუშა აქტივებთან; მოცემული კოეფიციენტი ნიშნავს, რომ ასეთი ბანკი მუშა აქტივებში სახსრებს აბანდებს საკუთარი კაპიტალის სიდიდით. | როგორც წესი, ნორმალური ბანკის ფასიანი პასივები რამდენჯერმე აჭარბებს უფასოებს (საკუთარ კაპიტალს) და მას მოზიდული სახსრები 85-90%-ის ფარგლებში და საკუთარი მხოლოდ 10-15%-ის ფარგლებში გააჩნია (პლიუს ბანკის მულტიპლიკატორის საფუძველზე რესურსების ჯერადად, საშუალოდ 5 – 20 – ჯერ გადიდების შესაძლებლობა). თუ |

| | |
|---|--|
| | <p>ვი ბანკი შემოსავლის მომტანი მუშა აქტივების საკუთარი კაპიტალის მოცულობით განახორციელებდა ოპერირებას, მაშინ უახლოეს მომავალში გახდებოდა ზარალიანი, რამდენადაც მოზიდული რესურსების თვითღირებულების დაფარვას ვერ შეძლებდა.</p> |
| <p>$K_2 = \text{ლკ. აქ} / \text{ვდ. მთ} = 1.$ მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი - ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა მოთხოვნამდე ვალდებულებებთან; მოცემული კოეფიციენტი ნიშნავს, თუ ბანკი რამდენად შემძლეა ნებისმიერ მომენტში უკასუხოს მოთხოვნამდე ვალდებულებების მიხედვით, ანუ ბანკი იყენებს თუ არა კლიენტების ფულს საკუთარი საკრედიტო რესურსების სახით და როგორი ოდენობით.</p> | <p>საიმედობის გენერალურ კოეფიციენტზე (K_1) მაქსიმალური წონის (45%) მინუჭება და მისი ნებისმიერი ბანკის საიმედობის ყველაზე მნიშვნელოვან კოეფიციენტად, ანუ რისკიანი დაბანდებების საკუთარი კაპიტალით დაფარვის ხარისხზე მიკუთვნება, ბოლმდე სამართლიანი ვერ იქნება. დღეს, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო აქტუალური – მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტია, რომელიც მოთხოვნამდე ვალდებულებების მიხედვით ბანკის მიერ ნებისმიერ მომენტში პასუხის გაცემის შესაძლებლობის მახასიათებელია. ამდენად სწორედ მას მაქსიმალური წონა უნდა მიენიჭოს.</p> |
| <p>$K_3 = \text{ჯმ. ვდ} / \text{მმ. აქ} = 3.$ კროსს-კოეფიციენტი - ჯამური ვალდებულებების თანაფარდობა მუშა აქტივებთან; მოცემული კოეფიციენტი ნიშნავს, რომ ასეთ ბანკ ჯამური ვალდებულებები სამჯერ მეტი აქვს, ვიდრე მუშა აქტივები.</p> | <p>როგორც წესი, ნორმალური ბანკის ფასიანი პასივები ანუ მოზიდული სახსრები 85-90%-ის ფარგლებში და საკუთარი მხოლოდ 10-15%-ის ფარგლებში გააჩნია და ისინი ბევრად აღემარება ამ უკანასკნელს. თუ ვი ბანკი შემოსავლის მომტანი მუშა აქტივების საკუთარი კაპიტალის მხოლოდ 3-ჯერ მეტი მოცულობით განახორციელებდა ოპერირებას, მაშინ უახლოეს მომავალში გახდებოდა ზარალიანი, რამდენადაც მოზიდული რესურსების თვითღირებულების დაფარვას ვერ შეძლებდა.</p> |
| <p>$K_4 = (\text{ლკ. აქ} + \text{დც. კაპ}) / \text{ჯმ. ვდ} = 1.$ ლიკვიდობის გენერალური კოეფიციენტი - ლიკვიდური აქტივების, დაცული კაპიტალის, სავალდებულო რეზერვების ფონდში სახსრების ჯამის თანაფარდობა ჯამურ ვალდებულებებთან; მოცემული კოეფიციენტი ნიშნავს, რომ ასეთ ბანკს ლიკვიდურ ფორმაში და კაპიტალური დაბანდებების სახით სახსრები გააჩნია ჯამური ვალდებულების ტოლი მოცულობით.</p> | <p>კოეფიციენტის მოცემული მნიშვნელობა „მოუნოდებს“ ბანკებს აქტივების კაპიტალიზაციის („გაყინვის“) განხორციელებისაკენ. საბანკო პრაქტიკიდან მრავალი მაგალითია ცნობილი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ის ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც საკუთარი ოფისების და ა.შ. მშენებლობაზე გადაერთდნენ, სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ (ამიტომ თანამედროვე პირობებში ბანკები უმეტესობა ფილიალებს (სერვისცენტრებს) ძირითადად ნაქირავებ სათავსოებში განათავსებენ). ადრინდელი ლიკვიდობის დაკარგვის გამო საბანკო უძრავი ქონება დღეისათვის ვალდებულებების ასპროცენტიან დაცვას არ წარმოადგენს.</p> |

3. არსებული მეთოდის კოეფიციენტების შენონვის სისტემის ძირეული ნაკლოვანება წონების ზღვრულ სუბიექტივიზაციაში მდგომარეობს, რომელთა მეშვეობით საიმედობის ექვსი საბაზო მაჩვენებლის შენონვა ხორციელდება. საიმედობის გენერალურ კოეფიციენტზე (K_1) მაქსიმალური წონის (45%) მინუჭება და მისი ნებისმიერი ბანკის საიმედობის ყველაზე მნიშვნელოვან კოეფიციენტად, ანუ რისკიანი დაბანდებების საკუთარი კაპიტალით დაფარვის ხარისხზე მიკუთვნება, ბოლმდე სამართლიანი ვერ იქნება. დღეს, ჩვენი აზრით, K_1 კოეფიციენტთან ერთად, ასევე ყველაზე უფრო აქტუალური – მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტია (K_2), რომელიც მოთხოვნამდე ვალდებულებების მიხედვით ბანკის მიერ ნებისმიერ მომენტში პასუხის გაცემის შესაძლებლობის მახასიათებელია. ამდენად სწორედ მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი (K_2), საიმედობის გენერალურ კოეფიციენტთან (K_1) ერთობლივად, ბანკის საიმედობის ყველაზე მნიშვნელოვან კოეფიციენტებს წარმოადგენენ და მათ, ჩვენი მოსაზრებით, მაქსიმალური და თანაბარი წონა უნდა მიენიჭოს. ამდენად ბანკის საიმედობის განმსაზღვრელი ექვსი მნიშვნელო-

ვანი კოეფიციენტებიდან, ორ უმნიშვნელოვანეს კოეფიციენტს – საიმედობის გენერალურ კოეფიციენტ K_1 და მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტ K_2 – თითოეულს 40% მივაკუთვნეთ, ხოლო დანარჩენ ოთხ თითქმის თანაბარ კოეფიციენტებს კი – თითოეულს 5% მივანიჭეთ (იხ. ცხრ 6).

ცხრილი 6: კოეფიციენტების შეწონვის სისტემა

| | | |
|--|--|------|
| I.საიმედობის კოეფიციენტი ($K_{სა}$) | $K_{სა} = (K_{სა1} \times 0,5) + (K_{სა2} \times 0,5)$ | 40% |
| $K_{სა1}$ = საკუთარი კაპიტალი/ /აქტივები, შემოსავლის მომტანები. | გვიჩვენებს ბანკის სარისკო დაბანდების გადაფარვის ხარისხს საკუთარი კაპიტალით. | 0,5 |
| $K_{სა2}$ = დაცული კაპიტალი / საკუთარი კაპიტალი. | გვიჩვენებს, თუ ბანკი რამდენად ითვისინებს ინფლაციურ პროცესებს და თავისი აქტივების როგორ წილს განათავსებს უძრავ ქონებაში, ღირებულ მონეობილობაში. | 0,5 |
| II. ლიკვიდობის კოეფიციენტი ($K_{ლკ}$) | $K_{ლკ} = (K_{ლკ1} \times 0,5) + (K_{ლკ2} \times 0,5) + (K_{ლკ3} \times 0,3)$ | 40% |
| $K_{ლკ1}$ = ლიკვიდური აქტივები / / მოთხოვნამდე ვალდებულებები. | მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი – გვიჩვენებს, თუ ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება იმაგდროულად იქნას გადახდილი. | 0,35 |
| $K_{ლკ2}$ = ლიკვიდური აქტივები + დაცული კაპიტალი / / ჯამური ვალდებულებები. | ლიკვიდობის გენერალური კოეფიციენტი – ახასიათებს ბანკის შესაძლებლობას გაცემული სესხების დაუბრუნებლობისას კრედიტორების მოთხოვნილებები ზღვრულად გონივრულ ვადაში დააკმაყოფილოს, | 0,35 |
| $K_{ლკ3}$ = ლიკვიდური აქტივები / / აქტივები, შემოსავლის მომტანები. | გვიჩვენებს, თუ ბანკის მუშა აქტივების როგორი ნაწილია გათვალისწინებული მიმდინარე ვაკლდეულებების მაშინათვე გადახდისათვის. | 0,30 |
| III. რენტაბელობის კოეფიციენტი ($K_{რბ}$) | $K_{რბ} = (K_{რბ1} \times 0,5) + (K_{რბ2} \times 0,5)$ | 5% |
| $K_{რბ1}$ = მოგება + მიმდინარე სიფთა შემოსავალი/ / საკუთარი კაპიტალი. | გვიჩვენებს საკუთარი სახსრების დაბანდების ეფექტიანობას. | 0,5 |
| $K_{რბ2}$ = მოგება + მიმდინარე სუფთა შემოსავალი / / აქტივები, შემოსავლის მომტანები. | გვიჩვენებს აქტივების „მუშაობის“ ეფექტიანობას | 0,5 |
| IV. აქტივების ხარისხის კოეფიციენტი ($K_{ახ}$) | $K_{ახ} = (K_{ახ1} \times 0,5) + (K_{ახ2} \times 0,5)$ | 5% |
| $K_{ახ1}$ = ვადიანი დეპოზიტური ინსტრუმენტები + + საკუთარი კაპიტალი / კორპორატიული კრედიტები. | გვიჩვენებს, თუ ვადიანი დეპოზიტური ინსტრუმენტები და საკუთარი კაპიტალი რამდენად ფარავენ გაცემულ კრედიტებს. | 0,5 |
| $K_{ახ2}$ = სახელმწიფო ფასიანი ქალაღდები / / აქტივები, შემოსავლის მომტანები. | გვიჩვენებს, თუ შემოსავლიანი აქტივების რა ნაწილი მიეკუთვნება მინიმალურ რისკიან აქტივებს. | 0,5 |
| V. ბანკის სარესურსო ბაზის კოეფიციენტი ($K_{სბ}$) | $K_{სბ} = (K_{სბ1} \times 0,5) + (K_{სბ2} \times 0,5)$ | 5% |
| $K_{სბ1}$ = საკუთარი კაპიტალი / / ჯამური ვალდებულებები. | გვიჩვენებს თავიანთი ვალდებულებების უბრუნველყოფის ხარისხს საკუთარი სახსრებით. | 0,5 |
| $K_{სბ2}$ = სახსრები საანგარიშსწორებო ანგარიშებზე და საკორესპონდენტო ანგარიშებზე / ჯამური ვალდებულებები. | მახასიათებელია ბანკის საკლიენტო ბაზის განვითარების დონის. | 0,5 |

აღნიშნულიდან გამომდინარე და ზემოთ განხილული თუნდაც ბანკი „კრედოს“ ბალანსის რიცხობრივი მნიშვნელობების გამოყენებით, ბანკის საერთო საიმედობა, სტანდარტული რეიტინგული შეფასება, ანუ საიმედობის მიმდინარე ინდექსი ტოლი იქნება:

$$N = K_1 \times 40 + K_2 \times 40 + (K_3 / 3) \times 5 + K_4 \times 5 + K_5 \times 5 + (K_6/3) \times 5.$$

$$N = 0,25539 \times 40 + 12,56346 \times 40 + (0,30779 / 3) \times 5 + 0,83642 \times 5 + 0,08566 \times 5 + (0,91176 / 3) \times 5 =$$

$$= 10,2156 + 502,5384 + 0,5130 + 4,1821 + 0,4278 + 1,5200 = 519,40.$$

მიღებული მნიშვნელობა საკმაოდ დამაიმედებელია ბანკის საიმედობის გაანგარიშებასთან მიმართებაში.

რაც შეეხება ბანკი „ინვესტის“ საერთო საიმედობას იგი ტოლია:

$$N = K_1 \times 40 + K_2 \times 40 + (K_3 / 3) \times 5 + K_4 \times 5 + K_5 \times 5 + (K_6 / 3) \times 5.$$

$$N = 0,14415 \times 40 + 1,326 \times 40 + (0,87439 / 3) \times 5 + 0,3539 \times 5 + 0,19273 \times 5 + (1,04379 / 3) \times 5 =$$

$$= 5,766 + 53,040 + 1,457 + 1,769 + 0,964 + 1,740 = 64,74.$$

მიღებული მნიშვნელობა წინა მონაცემებთან მიმართებაში 20%-მდე გაუმჯობესდა და კოეფიციენტების წონის ავტორისეული განაწილებამ, ბანკის საიმედობის დადებითი შედეგი გამოიღო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. შესწავლილია კომერციული ბანკების მდგრადობის შეფასების „კოეფიციენტების მეთოდიკა“, რომელთა გაანგარიშების საფუძველში „იდეალური ბანკის“ ცნებაა ჩადებული. კონკრეტული ბანკის საანგარიშო კოეფიციენტების „იდეალური“ მაჩვენებლებისადმი მიახლოვება, ბანკის ფინანსური მდგრადობის საიმედობის ამაღლების წინაპირობად არის მიჩნეული.

2. გაანალიზებულია ბანკები-პარტნიორების საიმედობისა და გადახდის-უნარიანობის შეფასების არსებული მეთოდიკა და აღნიშნულია, რომ მეთოდიკის საფუძველში ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების მუხლების ეკონომიკურად ერთგვაროვან ჯგუფებში დაჯგუფებაა ჩადებული.

3. შეთავაზებულია არსებულ მეთოდიკაში არსებული ცალკეული უზუსტობების აღმოფხვრის აუცილებლობა, როგორებიცაა: ლიკვიდური აქტივების ჯგუფში ბანკის უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების ნომინირებული პორტფელის ჩაურთველობა, ასევე აქტივების – ლიკვიდურებად და მომუშავეებად (რისკიანებად) დაყოფისადმი მკაცრი მიდგომის არსებობა. აღნიშნულია, რომ ბანკებს გააჩნიათ მომუშავე აქტივების მასა, კერძოდ „მოკლე“ ბანკთაშორისო კრედიტები – ბმკ (МБК), რომლებიც ნულოვანი რისკიანი გირაოების ფორმის მიხედვით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და დეპოზიტების სახით არის უზრუნველყოფილი. აქტივების აღნიშნული კატეგორია ერთმნიშვნელოვნად – ლიკვიდური „აბრის“ ქვეშ უნდა იქნეს მოქცეული.

4. შეთავაზებულია ბანკის საიმედობის განმსაზღვრელი კოეფიციენტების წონის შენონვაში ავტორისეული მნიშვნელობების გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, ორ უმნიშვნელოვანეს კოეფიციენტს – საიმედობის გენერალურ კოეფიციენტ K_1 და მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტ K_2 , მაქსიმალური მნიშვნელობა – თითოეულს 40%, ხოლო დანარჩენ ოთხ თითქმის თანაბარ კოეფიციენტებს კი – თითოეულს 5% უნდა მიენიჭოს, რამაც ბანკის საერთო საიმედობის მაჩვენებლის მნიშვნელობის გაუმჯობესების შესაძლებლობა მოგვცა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). – თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 500 გვ.
2. Белых Л.П. – Устойчивость коммерческих банков: Как банкамизбежать банкротства. – М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1996. – 192 с.
3. Сухова Л.Ф. – Практикум по анализу финансового состояния и оценке кредитоспособности банка-заемщика. – М.: Финансы и статистика, 2003. – 152 с.
4. www.sabanko.com
5. www.nbg.gov.ge



ქეთევან ცაბაძე
სასწავლო ცენტრი უნიკუმი



**სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების
თავისებურებები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში**

სასწავლო დაწესებულებათა დაფინანსების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ქვეყნების მაგალითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფის რეფორმირების საერთაშორისო ტენდენციები და მიმართულებები. განვიხილოთ ფინანსური უზრუნველყოფის რეფორმირების საერთაშორისო ტენდენციები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების პრინციპები და მეთოდები.

ჩეხეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წყაროებია:

- ა) ბლოკური გრანტი¹ (the block grant) – სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სასწავლო, აკადემიური, სამეცნიერო, კვლევითი და სხვა საქმიანობის განსახორციელებლად;
- ბ) სუბსიდიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- გ) სწავლის საფასური;
- დ) დაწესებულების საკუთრებაში არსებული ქონებიდან შემოსავალი;
- ე) შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან.

გრანტის ოდენობა განისაზღვრება აკრედიტირებული პროგრამის უზრუნველყოფისთვის. სამინისტრო გასცემს ბლოკურ გრანტს თავისი ანგარიშიდან დაწესებულების ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის საშუალებით, ხოლო დაწესებულება წლის ბოლოს უგზავნის მას ბალანსს დარჩენილი ბლოკური გრანტიდან. სამინისტრო დარჩენილი ბლოკური გრანტის გაუქმების დადგენილებას გამოსცემს, თუ პროგრამას ამოენურა აკრედიტაციის ვადა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია აქტივები (assets), რომელიც მოიცავს მოძრავ და უძრავ ქონებას. საგანმანათლებლო დაწესებულების აქტივებს განკარგავს რექტორი და განკარგვაში მონაწილეობს აგრეთვე სამეურვეო საბჭო. აქტივებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ძირითადად იყენებს თავისი ძირითადი (სასწავლო, აკადემიური და კვლევითი) და დამატებითი საქმიანობის (ადამიანური რესურსების მართვა) შესრულების მიზნით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ანგარიშვალდებულია განათლების მინისტრის წინაშე გრანტების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად გამოყენებისათვის. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მინისტრს წარუდგენს წლიურ ანგარიშს.

რაც შეეხება *პოლონეთის* უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს 90 % ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო დანარჩენი 10 % კი დამატებითი წყაროებიდან მოდის. ხოლო დანარჩენს დამატებით ფინანსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს კვლევების, რეცენზიების, სწავლების გადასახადების, დიპლომების სერთიფიკატების და სხვა დოკუმენტების გაცემით შემოსული თანხების და კუთვნილი შენობების იჯარითი გაცემის საშუალებით. აუთვისებელ თანხებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განკარგავს თავისი სურვილისამებრს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესზე განკუთვნილი თანხების 70% გამიზნული არის პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასებისთვის, ხოლო დანარჩენი 30 % მოდის სამეცნიერო საქმიანობის და კვლევების უზრუნველყოფაზე, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მაგალითზე.

პოლონეთის განათლების სამინისტრო გასცემს ინვესტიციებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების შესანახად და სტუდენტების საერთო საცხოვრებლით და კვების უზრუნველსაყოფად.

¹ განკუთვნილი არის სპეციფიური პროგრამების დასაფინანსებლად.

უნგრეთის სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ფინანსდება ძირითადად ბიუჯეტიდან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება იგეგმება განათლების სამინისტროს საბიუჯეტო განყოფილებაში.

საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შესაძლოა ჰქონდეთ საკუთრების ნებისმიერი ფორმა (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო) და ნებისმიერი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია არაკომერციული ორგანიზაციებისთვის.

აღნიშნული ორგანიზაციები ბუღალტრულად აწარმოებენ ორ პარალელურ ბალანსს: საბიუჯეტო აღრიცხვით და ბუღალტრული აღრიცხვის ჩვეულებრივი სქემით, რომელიც მიღებულია მეურნე სუბიექტებისთვის. როგორც წესი, საბიუჯეტო დაფინანსების წილი უფრო დაბალია, ვიდრე კომერციულის. არასახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია, პირველ რიგში, საგანმანათლებლო მომსახურების განვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსულობები, ხოლო აკრედიტირებულებისთვის შესაძლებელია დამატებითი წყაროს არსებობა საბიუჯეტო დაფინანსების სახით.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსებზე საერთო ფაქტორების (მეურნეობრიობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დარგობრივი ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებები) გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს:

1. ობიექტური ხასიათის ფაქტორები. უწინარესად სოციალური ფაქტორები, მოცემული რეგიონის ან ქალაქის დემოგრაფიული პირობები, კლიენტთა (შემსწავლელთა) გადახდისუნარიანობის დონე, მაკროეკონომიკური ფაქტორები;

2. სუბიექტური ხასიათის ფაქტორები, ანუ შესაძლო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა საშუალებით შეიძლება საბოლოო ანგარიშით საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ მაჩვენებელზე ზემოქმედება. მაგალითად, საგანმანათლებლო სფეროში სუბიექტური ფაქტორები შესაძლოა იყოს:

- პროფესიული მომზადების რეალიზებადი პროგრამები და მიმართულებები;
- საგანმანათლებლო პროცესის კომპიუტერიზაციის, ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებები;
- ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები (მაგალითად, ბრძანება სწავლის გადასახადის დადგენის შესახებ, ხელ-შეკრულებები იურიდიულ პირებთან სტუდენტების მიერ პრაქტიკების გავლის თაობაზე და სხვა);
- სასწავლო პროცესის გრაფიკების და სასწავლო გეგმების ოპტიმიზაცია და ა. შ.
- პროფესიული მომზადების რეალიზებადი პროგრამები და მიმართულებები;
- საგანმანათლებლო პროცესის კომპიუტერიზაციის, ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებები;
- ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები (მაგალითად, ბრძანება სწავლის გადასახადის დადგენის შესახებ, ხელ-შეკრულებები იურიდიულ პირებთან სტუდენტების მიერ პრაქტიკების გავლის თაობაზე და სხვა);
- სასწავლო პროცესის გრაფიკების და სასწავლო გეგმების ოპტიმიზაცია და ა. შ.

განათლების დაწესებულების მუშაკთა შრომის ანაზღაურება, მათ შორის: შტატიანი მასწავლებლების, შემთავსებელ მასწავლებლების; ადმინისტრაციის მუშაკების; სასწავლო დამხმარე პერსონალის; დანამატები შრომის ანაზღაურებაზე.

1. გადასახადები, მოსაკრებლები, გადარიცხვები მიზნობრივ ფონდებში, მათ შორის ბიუჯეტში.

2. აღჭურვილობის შენახვის და გამოყენების ხარჯები: კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების და მიმდინარე რემონტის, სწავლების ტექნიკური საშუალებების შენახვის ხარჯები; გამამრავლებელი ტექნიკის რემონტის და შენახვის ხარჯები; სასწავლო ავეჯის რემონტის და შენახვის ხარჯები; ელექტროენერგიის გადახდის ხარჯები; სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა აღჭურვილობის შენახვის ხარჯები; ინტელექტუალური აქტივების ღირებულების ამორტიზაცია.

3. ხარჯები შენობების, სასწავლო და დამხმარე ფართების შენახვაზე: იჯარის გადასახადი; შენობების სასწავლო და დამხმარე ფართების მიმდინარე რემონტის ხარჯები; რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯები; სასწავლო და დამხმარე ფართების

დალაგების ხარჯები; კომუნალური მომსახურების, განათების ხარჯები; დაცვის და სახანძრო სიგნალიზაციის ხარჯები.

4. მიზნობრივი ხარჯები: სასწავლო ლიტერატურის შეძენის ხარჯები; დამხმარე მეთოდური მასალების, დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადების და გამოცემის ხარჯები; საკანცელარიო ხარჯები, დოკუმენტების ბლანკების შეძენა; სამივლინებო ხარჯები; ელექტროკავშირის ხარჯები; გარკვეული სახის მეცადინეობების ჩასატარებლად სპეციალური ფართების იჯარის ხარჯები.

5. ერთჯერადი ხარჯები: სასწავლო აღჭურვილობის, მათ შორის სპეციალური ლაბორატორიული აღჭურვილობის, სადემონსტრაციო სტენდების ერთჯერადად შეძენის და განვითარების ხარჯები; სასწავლო ავეჯის ერთჯერადად შეძენის ხარჯები; სასწავლო ფართებისთვის დამხმარე აღჭურვილობების შეძენის ხარჯები; საკუთარი შენობების რემონტისთვის კაპიტალური ხარჯები.

6. დამატებითი ხარჯები: საკუთარი ან იჯარით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შენახვის ხარჯები; დამატებითი სამივლინებო ხარჯები (მეცადინეობების სხვა ქალაქში ჩატარებისთვის); კონფერენციების, სამეცნიერო თათბირების ჩატარების ხარჯები; საგანმანათლებლო საქმიანობის ატესტაციის, ლიცენზირების, განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების და მივლინების ხარჯები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსების მართვასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულების და ფასის, როგორც მთავარი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების მართვა.

აღნიშნული მაჩვენებლების მართვა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად სტადიებს (ეტაპებს):

- ფინანსური ანალიზი (განმსაზღვრელი ფაქტორების, თვითღირებულების და ფასის სტრუქტურის, ხარჯების მუხლების ცვლილების დინამიკის და ა. შ. ანალიზი);

- ფინანსური დაგეგმვა (პირველ რიგში შემოსავლების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის შედგენა, საგანმანათლებლო მომსახურების კალკულაცია, შემოსულობების და გადახდების გრაფიკი და ა. შ.);

- მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზაცია და მისი შედეგების ანალიზი.

თვითღირებულების და ფასის ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მათ შორის, ახლადშექმნილებისთვის, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, არ ფინანსდებიან ბიუჯეტიდან. მათთვის აღნიშნული ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ძირითადი საშუალება კლიენტისთვის (სწავლის მსურველისთვის) კონკურენტულ ბრძოლაში.

საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, რისკავენ მოხვდნენ ორ უკიდურეს სიტუაციაში. საგანმანათლებლო მომსახურების ფასის შემცირებამ (მოსწავლეთა შესაძლო ბევრი ოდენობის მოზიდვის მიზნით) შეიძლება გამოიწვიოს სწავლების ხარისხის მკვეთრი დაწევა და პირიქით, ფასის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს შემსწავლელთა მკვეთრი გადინება სხვა დაწესებულებებში მათი გადასვლის გამო. როგორც შედეგი – ეს გამოიწვევს ფულადი შემოსულობების შემცირებას და ფინანსური მდგრადობის შესაძლო დაკარგვას.

ზოგადად, საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური სტრატეგიის და იმავდროულად საფასო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც სწავლების ფასის ოპტიმიზაცია ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწავლების მაღალი ხარისხი მინიმალური დანახარჯებით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებიდან წმინდა მოგების მიღების გარეშე.

ფასის და თვითღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას, შეიძლება აღვნიშნოთ მათი დიდი მრავალფეროვნება და დაჯგუფების და კლასიფიკაციის სირთულე, აგრეთვე, რაოდენობრივი კავშირის დადგენის სირთულე საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულებაში ხარჯის მუხლსა და ცალკეულ ფაქტორს შორის. როგორც ერთ-ერთი უმთავრესი, შეი-

ძღვება მიენიშნოს სპეციალობის ფაქტორი. მაგალითად, საავიაციო-კოსმოსური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობებისთვის საჭიროა ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება ძვირადღირებულ მატალის სიბუსტის სასწავლო აღჭურვილობაზე. კომპიუტერული სპეციალობებისთვის საჭიროა პერსონალური კომპიუტერების დიდი ოდენობა, ქსელებში ხანგრძლივი მუშაობა. ზოგ ტექნოლოგიურ სპეციალობაზე საჭიროა სასწავლო-გამოსაცდელი პოლიგონების არსებობა და ა. შ.

ფინანსური დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა აქვს კალკულირების მეთოდის შერჩევას და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას. ნორმატიული მეთოდის პარალელურად, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბიუჯეტო საგანმანათლებლო ორგანიზაციების პრაქტიკაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვებიც, თვითღირებულების მაჩვენებელზე დამოკიდებულებით. მაგალითად, სწავლების თვითღირებულების მაჩვენებლისთვის სპეციალობის მიხედვით მთლიანობაში სწავლების მთელი პერიოდისთვის შესაძლოა ერთდროულად გამოყენებულ იქნეს ნორმატიული და დეტალირების მეთოდები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეტაპობრივად ატარებს არაკომერციული ორგანიზაციების (ფონდები, კავშირები, პოლიტიკური, რელიგიური, საქველმოქმედო და სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციები) წლიურ გამოკვლევას.

როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მათ უკვე საქართველოშიც არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Evaluating Financial Sustainability of Higher Education Institutions Sergei P. Sazonov¹ , Ekaterina E. Kharlamova¹, Irina A. Chekhovskaya¹ & Elena A. Polyanskaya¹ 1 Volgograd State Technical University, Volgograd, The Russian Federation Correspondence: Ekaterina E. Kharlamova, Volgograd State Technical University, – 2016
2. Funding Systems and Their Effects on Higher Education Systems – Kruminis Juris, Kavale Lucija, Eglite Sandra, Leduskrasta Zane, Puce Juris, Sloka Biruta, Stonis Janis, Zaksa Kristine – 2016 წ;
3. H. Ajagbawa; – Quality education and Financing Challenges in Nigeria – los Journal of Research and Metod in education, 2016;
4. S. Ketteridge; S. Marshall – Teaching and Learning in Higher Education, 2021 წ;
5. S. Ketteridge; S. Marshall – Teaching and Learning in Higher Education, 2021 წ.
6. mof.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.04.2021;
7. www. gse.buffalo.edu/org – Higher Education Finance and Cost-Sharing in Hungary უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2021;
8. www. gse.buffalo.edu/org – Higher Education Finance and Cost-Sharing in Hungary უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 02.05.2021;



ხელოვნება

გულიადა სანოძე



კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!

ჩემს ქალაქს ერთი პატარა ქუჩა ამშვენებს, უფრო სწორად პატარა ჩიხი, რომელიც რევამ შამათავას სახელს ატარებს.

ბევრის მომცველია ეს სახელი და გვარი...

რევამ შამათავა...

ბატონი რეზო ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგი გახლდათ, ასევე უნიჭიერესი მსახიობი და სამხატვრო ხელმძღვანელი ხონის სახალხო თეატრში.

სამაგალითო პიროვნება იყო, თავისი კაცობით, ღირსებით, საოცარი აღნაგობა ჰქონდა, მაღალი იყო, მხარბეჯიანი, თეთრი პირსახით, ოდნავ კეხიანი ცხვირით, ცისფერი თვალებით, ჭალარა თმით! რაიონში ყველას უყვარდა! თეატრშიც არავინ მონდურავი არ ჰყავდა, თავისი წონა ჰქონდა.

მაშინ ვერ წარმოვიდგენდი ჩემი ყველაზე საყვარელი მსახიობის გვერდით თუ ვითამაშებდი სცენაზე.

პირველად მასთან პატარა „სკეტში“ მისი შვილის როლი შემომთავაზეს, მე შიშისგან ტირილი დავინწყე. გაუკვირდა რეჟისორს.. რა გატირებსო? – მკითხა, არ დავმალე და სიმართლე ვუთხარი, რომ ასეთი დიდი მსახიობის გვერდით დგომა მეშინია-თქო!

მას შემდეგ უამრავმა წელმა გაიარა. ბატონ რეზოსთან ერთად ვი ბევრ სპექტაკლში მივიღე მონაწილეობა.

ის იყო საოცარი მსახიობი, როლში ისე შევიდოდა, გეგონებოდა, აი, სწორედ ახლა ხდება ეს ამბავიო.

ისე გამიტაცებდა სცენაზე ბატონი რეზოს თამაშის ყურება, რამდენჯერმე როლიც დამვიწყებია. ამისთვის ვი საყვედური მიმიღია რეჟისორისგან.

ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდა 1968-69 წლები. ეს ის წლები იყო, როცა ჩვენს თეატრს დაუბრუნდა დიდებული პიროვნება და რეჟისორი – მარკვი ბახტაძე. მან დაიწყო მუშაობა ირეთელის პიესაზე „ქრისტინე“.



ახლაც თვალწინ მიდგას ბატონი რეზო მამის როლში; როგორ მიდის მოხუცებული მამა თავის შვილიშვილთან ერთად ქალაქში შვილის მოსაძებნად, შემდეგ კი შეხვედრა სამიკიტნოში, მის გაუბედურებულ ქალიშვილთან.

ეს იყო ისეთი ტრაგიკული სცენა, დარბაზში მაყურებელი კი არ იცრემლებოდა, ხმამაღლა ტიროდა. ჩვენც სპექტაკლის მონაწილეები ცრემლებს ვერ ვიკავებდით.

არასოდეს დამავინწყდება იტალიელი დრამატურგის **ჯოკომეტის** პიესა „დამნაშავის ოჯახი“ /რეჟისორი **მურმან ფურცხვანიძე**/, ის კატორღელს თამაშობდა, რომელიც გამოქცეული იყო საპატიმროდან.

მისი შეხვედრა ოჯახთან, მისი ცრემლით სავსე თვალები, როგორ ეხვეწებოდა მეუღლეს, რომ ეპატიებია დანაშაული. სამწუხაროდ, ამ პიესის არც ფირი და არც ფოტო შემოგვრჩა.

ეს პიესა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ორივე მთავარ როლს ვთამაშობდით. ბატონი რეზოს გვერდით ყველა მოთამაშე თავს კომფორტულად გრძნობდა.

დასამახსოვრებელია და წარუშლელი ჩემს მოგონებაში **წულეისკირის** პიესა „მსხვერპლი“, რაც 9 აპრილის ტრაგედიას გვახსენებს: ის მამა იყო, მე კი შვილი, რომელიც ამ ტრაგედიას შეეწირა.

ეს პიესა საქართველოს თეატრალურ ფესტივალზე წარმოადგინეს, სადაც ჩვენმა დასმა პირველი ადგილი აიღო, ბატონმა რეზომ კი განსაკუთრებული ჭილდო.

მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა, ვფიქრობ, რომ ძალიან გამიმართლა.

ისეთი პიროვნებების გვერდით მიწვედა ყოფნა, ალბათ, ბევრ მსახიობს შეშურდებოდა. ესენი იყვნენ: ულამაზესი **ციცი ტაბიძე**, რომელიც ჩემთვის მაგალითი იყო, როგორც ქალი და დედა, ასევე **მარიამ ჩაჩანიძე**, **გურამ უგულავა**, **დურმიშხან მენაბდე**, **ზურაბ აბზიანიძე**, **ანატოლ ჭიშკარიანი**, **გიორგი ვაკაბაძე**, **ვერა ქვათელაძე**, უდროოდ წასული **მერაბ ფაილოძე**, თეატრის დირექტორი **ტატიანა ჩიხლაძე**. რეჟისორები: **მარკი ბახტაძე**, **ტარიელ ხაჟალია**, **მურმან ფურცხვანიძე**, **ალექსანდრე ყვინჩია**, **სიკო ვაჩნაძე**.

1970-71 წლებში დაიდგა **შალვა რადიანის** პიესა „იდვა გაიმარჯვებს“ /რეჟისორი **სიკო ვაჩნაძე**/. ეს სპექტაკლი, რომელიც რევოლუციურ თემას ეხებოდა, დიდი წარმატებით დაიდგა. მართლაც საოცრება იყო ბატონი რეზო რევოლუციონერ **საშა წულუკიძის** როლში და **ზურაბ აბზიანიძე** ახალგაზრდა კობას /სტალინის/ როლში. ესენი ორივე გაჭრილი ვაშლივით ჰგვანდნენ მის გმირებს. თამაშითაც ხომ საოცრად თამაშობდნენ. გრიმიორი გახლდათ რუსთაველის თეატრიდან **ათაბეგოვი**. ისე მაღალ დონეზე ითამაშეს ეს სპექტაკლი, სტუმრებს თბილისიდან მოწვეული მსახიობები ეგონათ, ან რა დამავინწყებს **გ.ბათიაშვილის** პიესას „ლალი, სიყვარული და სხვები“, სადაც ბატონი რეზო მთავარი ინჟინრის როლს თამაშობდა. ეს პიესა ხონის სახალხო თეატრის სცენიდან დიდხანს არ ჩამოსულა, ამ სპექტაკლით თბილისშიც მიგვინეს. ის უარყოფით როლს თამაშობდა, მე კი მაშინ მიკვირდა, როგორ შეეძლო ასეთ კეთილშობილ ადამიანს ასე კარგად მოერგო და ბრწყინვალედ ეთამაშა ეს როლი. ახლაც მახსოვს მისი გაყინული სახე, ალმაცერი გამოხედვა. ზემოდან როგორ უყურებდა მასთან მისულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც დახმარებას ითხოვდა.

საოცარი იყო **მიტროფონოვის** პიესაში „მკვლევლობა სადგურზე“ /დამდგმელი რეჟისორი **ტარიელ ხაჟალია**/, ბატონი რეზო კოლონიის უფროსის როლში, მისი გამოჩენა სცენაზე დიდ ოვაციებს იწვევდა; ერთი სიტყვის თქმაც კი საკმარისი იყო, რომ მაყურებელი, როგორც იტყვიან, ხელში აყვანილი ჰყავდა. სპექტაკლში „მილიონერი დეიდა“ /რეჟისორი **ტ.ხაჟალია**/ მახსოვს სცენის ყველა დეტალი. ბატონი რეზოსა და ქალბატონი ციცის გამოჩენა, ეს მართლაც ულამაზესი

წყვილი, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. როგორ ამშვენებდა ბატონ რეზოს ინგლისელი ლორდის ჩაცმულობა და ბაკენ-ბარდები, ქ-ნ ციცის – დიდი შავი შლიაპა და გრძელი ხელთათმანები. ორი არისტოკრატი, ორი გამორჩეული სახე დიდად აღაფრთოვანებდა ყველას.

ასევე აღსანიშნავია ვალერიან კანდელაკის პიესაში „მაია წყნეთელი“ /დამდგმელი რეჟისორი საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი რატიანი/ ამილახვრის როლში. კინო-კადრით გაიფიქრებს ხოლმე ჩემს თვალებში ერეკლე მეფის სასახლის კიბიდან ნელ-ნელა ჩამომავალი, მაღალი, მედიდური, წარბ-ანეული, ქორისებრი გამოხედვით, გრძელი უღვაშებით, შავი პრილა მოსასხამით, თავადური ქუდით, მრისხანე გამომეტყველებით, ნამდვილი მოღალატე თავადი. ეს პიესა თითქმის მთელმა საქართველომ ნახა 1994-95 წლებში. ქვეყანაში სამოქალაქო ომი იყო, ამის მიუხედავად, მაინც თეატრის დარბაზები ყველგან გადაჭედული იყო. როცა ეს სპექტაკლი თბილისელ მაყურებელს ვუჩვენეთ, აღფრთოვანება ვერ დამალა პროფესორმა, კონომცოდნემ ბატონმა გოგი დოლიძემ და სპექტაკლს ვრცელი წერილი მიუძღვნა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. განსაკუთრებით კი გამოყოფილი იყო ამილახვრის როლის საუკეთესო შემსრულებელი ბატონი რეზო.

დიდია მისი წვლილი ხონის სახალხო თეატრში, უამრავი მთავარი როლი ითამაშა ბატონმა რეზომ, რომლის ჩამოთვლაც გამიჭირდება. ბევრი წავიდა თეატრიდან და მათ დაგვიტოვეს თბილი მოგონებები...

რეზო შამათავას ბავშვით სუფთა გული ჰქონდა. უსაზღვროდ უყვარდა მისი ერთადერთი ქალიშვილი თამარი, როცა პატარა იყო, მამამ რამდენიმე ლექსი მიუძღვნა სათაყვანებელ შვილს, ხოლო ყოველ ახალ ლექსს, თვალცრემლიანი მამა მეგობრებს გვიკითხავდა და ჩვენც აგვაცრემლიანებდა.

ახლაც თვალნათლივ ვხედავ, როგორ უბრალოდ ჩაცმული, უკან ხელებდანყობილი, ჩაფიქრებული მოაბიჯებდა თეატრისაკენ. ფეხსაცმელებზე თასმები ყოველთვის შესხნილი ჰქონდა, როცა თეატრის ეზოში ჭადრის ძირში მდგარ სკამს მიუახლოვდებოდა, ჩაახველებდა, გამარჯობას გვეტყოდა და იქვე ჩამოჯდებოდა, გვერდზე მიიხედ-მოიხედავდა, თვალებს ოდნავ მოჭუტავდა და დიდი სიხარულით გვიყვებოდა ახალ ამბებს, თუ რა მოხდა სკოლაში. ყველამ ვიცოდით, მისი მოსწავლეების გვარი და სახელები. ნამდვილად მჭერა, ჩვენც კარგად გვიცნობდნენ ისინი, ის იყო სამაგალითო პიროვნება თავისი სუფთა გულითა და სულით.

ამეკვიატება ხოლმე აზრი იმის შესახებ, რომ დიდი ქალაქების ნიჭიერ მსახიობებს თითქმის მთელი საქართველო და არა მარტო საქართველო, მის ფარგლებს გარეთაც იცნობენ... გვიცნობენ ჩვენც!

დიდი მადლობა ჩვენს მაშინდელ რაიონის ხელმძღვანელობას, რომ ჩემს ქალაქს, რომელსაც ერთი პატარა ქუჩა ამშვენებს და მას ბატონი რეზო შამათავას სახელი ჰქვია.



ალექსანდრე ცისელაშვილის შემოქმედება



ავტოპორტრეტი.



ჯუმბერ ლევაშვას პორტრეტი.



ბეჟან ხარაიშვილის პორტრეტი.



გულნაზი ხარაიშვილი
ჩვიდმეტი წლის.



გულნაზი ხარაიშვილი.



ან გარდაცვლილი გულნაზ ხარაიშვილის ვაჟიშვილი გელა სხირტლაძე.



ნორჩი ათინათელი



ნუსა ჩიტაძე

ლიმის ნიღაზი

კმარა ღიმილს ნიღაზი სახეზე!
ჩაქრა, მის იქით ვინ იცის რა ხდება,
რომელი გამიშრობს წამწამებს თვალებზე?
ყველა გაიქცევა სევდა თუ გაჩნდება.
კმარა, ჩამოვიხსნი ჭრელ ნიღაზს სახიდან,
ამ მოჩვენებითი ლხინის დრო გავიდა!
რა ვქნათ, ზოგჯერ გვსტუმრობს ყველას განსაცდელი,
გვერდითი ვინ დარჩება ეს არის სათქმელი.
ნიღბის ქვეშ დამალვა მრავალს ურჩევნია,
ვერც კი მიხვედრილან დარდი თუ გამჩნევია,
კმარა, თვალთმაქცობა რა შესამჩნევია?!
ვტირი თუ ვიციანი ეს გრძნობა ჩემია.

მძიმე ჯაჭვი

ცხოვრება მჭიდროდ გადაჯაჭვულა
ადამიანთა მზაკვრული რგოლით,
ცოტას თუ ნახავ კეთილი მიზნით,
ბევრი წინ ილტვის სიავის სრბოლით.
იკარგება და უფერულდება
სიყვარულისთვის განწირულობა,
ყალბი სიმართლე ბევრს უცრუვდება,
ძნელად ვინმესთან იპოვნი შვებას.
სიყვარული და სიკეთე განყვეტს
მხურვალე რკინით ნაჭედ მძიმე ჯაჭვს,
მისით დააბამ მხოლოდ ავ მწევარს,
თავისუფლებას ვეღარ შეებოჭავს!

დილას აქეთ

დილის ჩურჩულს ყურს დავუგდებ,
მზის სინათლის ქვეშ დავტკბები,
ხეებს შორის, კონწიალა
საქანელას შორს გავყვები.
გამაქანებს თბილი ქარი,
ზურმუხტისფერ ტყეებს ვუცქერ,
ამ ოცნების შესადარი უღევია
და ნარნარი...
სად იწყება, სად მთავრდება,
უსასრულო მელოდია?
ამ სიმღერის სტრიქონებმა
მისახსოვრეს ორქიდეა.
ალიონის სუსხი მხრებზე
გრილ მოსასხამს მომთავრებს,
ნაცრისფერი საღამოს ჟამს
ცის სიბნელე ინავარდება.

სიამე

რა უცნაურად აინთო დილა,
ცას ფარდად ფარავს ღრუბელთა
ფთილა,
მთელ აივანზე ყვავილებს ღვიძავთ,
უღიმის „უმღერს ველებს გვირილა.
კიბის საფეხურს რომ ჩაუყვები,
გამო გაცილებს თან ფლორის დასი,
მთების კიდეებს აბრწყინებს ჭირხლი,
მოსჩანს ელვარე როგორც ალმასი.
სამყაროს თუკი მოსწყურდა წვიმა,
ფუმფულა ღრუბლებს ქარი აერთებს,
ცა გაანათა ელჭექის ბზარმა,
შავ ღრუბლებს გაყრის, გამოიდარებს.
ყვავილთა ფოთლებს, ვარდთა კოკორებს,
გარს შემოუნწავთ აივნის კიდე,
წვიმის შხაპუნით, წვეთით დანამვით,
ილაღობებენ ისინი კიდევ.



დარღების სამოსახლოში



გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)



ლოცვა შენთვის

ლოცვა შენთვის რას მიქვია,
 თვითონ გვლოცავ ანგელოზო...
 ის ძირულა, ის, იქვეა,
 ბედი უნდა გამოვროზგო.
 მორაკრაკე, ჩემო წყარო,
 სად გატრინდი, რას ირკვევო.
 შენ არავის შესადარო,
 ხვიჩა, ხათოს საძირკველო.
 აიკრიფე ზეცავ კალთა,
 ვილა დაგრჩა წასაყვანი...
 ანგელოზი არის დათა,
 ჩემი შვილი მის მაყარი.
 იმდენია ძმებს ვერ დავთვლი,
 ლევან, ბეჟან, ბაბუ თამაზ,
 ამირანს კი არ მივათვალა,
 აქვე ვეძებ, ჩემს ძმას ლამაზს.

დათა

ერთი წელია, დედას ცრემლი დის,
 მამა დაგეძებს, ერთი წელია,
 ციდან ცოტახნით, მაინც ჩამოდი,
 ლოდინით ძალა გამოვლიათ.
 წასული არ ხარ, შენ ჩემთვის დათა,
 ჩემს გულში დარჩი, სამიდღემჩიოდ,
 უნდა ვირწმუნო, აქახარ მართლა,
 მოლოდინს უნდა გადავეჩვიო.
 უნდა მჭეროდეს, სწავლობ თბილიში,
 დალაზღანდარობ, ისევ ტოლებში,
 სუფრას გამიშლი, სოფლად ივლისში,
 ან დასეირნობ, ქუჩის ბოლოში.
 დიანას ნორჩ გულს, ისრის ტარება,
 შენს ბედს რა უთხრა, რამ შეგაგუა...
 ტანჯვის ცეცხლი ხარ და თავარება,
 შენი დაიკო დარდის გოგოა.
 ხარ, მონყვეტილი, გულის ძარღვი და...
 დამატებული დიდი ტკივილი,
 წასაკითხავად, ლექსიც არ ღირს და...
 შემომეფეთე თბილი ღიმილით.

დათა

აღდომას შენ ხვანში მხვდებოდი,
 ახლა კი ცაში ხარ ვარსკვლავო,
 ღიმილავ, წინ შემომხვდებოდი,
 ეს, ბედი, რას ვუკუმალაობს.
 შენ აქ, ხარ, ვერ გხედავთ უბრალოდ,
 ვარსკვლავად ანთიხარ, ციმციმებ,
 ძირულის სიო გსრუს დაღალო,
 რომ ვდარდობთ, ამაზე დაგვცინებ.
 ვერ ვხვდებით, რომ ღმერთმა გიშვილა,
 არ გვესმის, რომ სული არ კვდება,
 ბაბუა მადა გყავს ღიმილავ,
 ცას ბევრი ნაცნობიც შეგხვდება!

უკვდავებაში

დაბადების დღეს
 გილოცავ დათა,
 უსიმღეროთ და
 სულ უხმაუროთ,
 ამ დღეს მე ახლა,
 ცრემლებით ვნათლავ,
 ვცდილობ, რომ სიკვდილს,
 შევეხმაურო...
 ვერ მოერევი
 სიკვდილო, დათას,
 ეს, მზე ჭაბუკი შენზე დიდია,
 მაღლა ზეცაში,
 მნათობებს მართავს,
 დათა ვარსკვლავზეც ,
 დიდზე დიდია.
 მერკურზე მაღლა
 აჭრილა ცაში,
 ხედავ? პლუტონსაც მიუახლოვდა,
 შენ როს დაგახვრჩე
 სიკვდილო, ზღვაში,
 უკვდავებაში დათა გალობდა!



სიზმარში ვნახე ყმანვილი
 ღიმილიანი მცინარე,
 ვარსკვლავებს დასთამაშებდა.


მზის სხივებს სწვავდა მღიმარე,
 ვკითხე აქ, როგირ აღმიჩნდი,
 რად არ ბრუნდები შინაო.
 ღიმილით მითხრა:

უფალმა აქ, მიმიჩინა ბინაო.
 უნდა ვილოცო ამათზე,
 ვინც ჩემზე ცრემლი ღვარაო,
 უფალთან ყოფნა ვარჩიე,
 უფალმა შემეყვარაო.
 ნელი გიუნაშვილი.

ნელი გიუნაშვილი

ძმამ

აღდომას გილოცავ ძამიკო,
 ჩემზე პატარა და ძლიერო...
 ნახავდი დედას და მამიკოს,
 მითხარი თუ ბედნიერობ.
 ამირან, ლევანი, ბეჟანი,
 თამაზი, იუზა, ვახტანგი,
 არავინ იყავით ბეჩავი,
 არავინ იყავით ნატანჯი.
 დათა და გელა თუ ნახე,
 ძირულის ტალღებში გაზრდილნი,
 ძმამ, შენებურად შესძახე,
 უთხარი, ცრემლით ვარ დაღლილი,
 შვილივით გაგზარდე გასწავლე,
 ენა და ბაჩიბუჩები,
 მივსტირი იმ, ამაგს ნანვალებს,
 და ჩემს ბედს, კვლავ, ვეურჩები.
 ზეცში ნახვედით, დაწყვილდით...
 ვიტყვით? ვის ესმის, გოდება,
 მადლს ვთესავ, არავის დავწყევლი,
 იციცხლონ, მტერიც ნუ მოკვდება!



ამირან ძმამ

(ვლოცავ ბექა ფიფიას, ბიძას სიყვარულის ძეგლი დაუდგა)

ვლოცავ სუყველას, სხვა რაღა ვქნა, როგორ მოვიქცე...
 როგორ გავუძლო ამ ტკივილებს, ჯვარცმულ ცხოვრებას,
 ვძალაობ ძმამ და არ მინდა ძირს რომ წავიქცე,
 ეს ტკივილები, ყველა ერთად, გულში გროვდება.
 ნასერ სხეულებს, ნატყვიარს და ნაგლეჯს სეტყვისაგან,
 მევე მკურნალობ, სხვა პატრონი არცა მყოლია.
 ზურგი აღარ მაქვს არც ქმარშვილით, აღარც ძმებისგან,
 ნატყვიარი ვარ ...ცხოვრებაა, ჩემთვის ომია.
 შენ მახარებდი, ნაბოლარავ, მაძლიერებდი...
 შვილივით გზრდიდი, მე გასწავლე სიტყვის ტიტინი,
 ვერ გაამაყე ძმამ ჩემი ბედნიერებით...
 სხვის საიმედოდ, ამირანო, მაინც ვიცინი.
 ბედისწერაა, ჩემი მკვლეელი, სულის მხუთავი,
 „ბექას“ კი მჭერა, გაახარებს ვიცი უფალი,
 მან ჩემს ძამიკოს, უსაჩუქრა ძეგლი უკვდავი,
 მართლაც ყოფილა, ძმამ შენი, ჭირისუფალი!





ნახატი ალექსანდრე ციხელაშვილისა


მაძლიერაბ

ჩურჩულობენ,
ის დღეები რაც წახვედი,
იბადება ისევ კითხვა,
რატომ, რისთვის?
ქარი იყო, ბოროტი
და თან თავხედი,
როგორ მტკივა,
არ მითქვია შვილო, სხვისთვის.
მაძლიერებ,
ყველა ძალას, ვიცი ხარჯავ,
რომ ვიცოცხლო,
რადგან იცი დედის ფასი,
შენა მხედავ,
დედი იცი ჩემი ტანჯვა,
თვით უფალმა,
შემომბატა ძალა ვაცის.
არ დაუშვებ,
რომ სისუსტით, დავიჩოქო,
ააცდინე, ეს ჯვარცმები
დედებს ღმერთო,
ბედისწერამ, სულ რომ
გული დამიჩეჩქვოს,
მაინც ჩემში მადლის
ცეცხლი უნდა მენთოს!

დამილოცე შვილი

დღეს შენ უნდა დამილოცო შვილი,
ბეჟან, ძმაო, ჩემი გელა ცაში,
ძლიერია, ვაჟკაცი და თბილიც,
ირჩეოდა სილამაზით ხალხში.
პოეტი ხარ, მიუძღვენი ლექსი,
ითამადე, დღევანდელ დღეს მასთან,
მე ვი ძმაო, სულ უჩემრად ვკნესი,
ამ სიჩუმით გული, ლამის გასკდა.

იმდენი ხართ, ალბათ ვეღარ დაგთვლით,
საიმედოდ მხოლოდ რწმენა შემრჩა,
ბედისწერა, ხორცებს, დანით მათლის,
დამიპირებს ალბათ ცოცხალად შეჭამას.
არ მიდარდოთ, ბედისწერას დავდლი,
სიკეთით და მადლის თესვით ბეჟან...
შევანწყციტავ, სიბოროტის აღვირს,
დაანებებს, ჩუმი ხორცის ყეჟავას.





დედის ტკივილი

ცხრა წელიწადი გავიდა დედი,
ჩემი ტკივილი უფალმა იცის,
ეს, რანაირი მქონია ბედი,
ოთხი ძმაც შვილო,

შენთან რომ მიცდის.
ძმისშვილიშვილი
ღიმილა დათა,
მამაშენი და ვინ აღარ გელა,
შენს მონატრებას,
ძარღვები ართავს,
დარდის მდინარე,
ღმუის და ღელავს.
შენა ხარ, დედი
ტკივილის კერა,
შევჩერებივარ,
ცას ღრუბლებიანს,
ცოცხალი რომ ვარ,
თვითონ არ მჯერა,
უშენოდ ყოფნა, ან რა წლებია.
გილოცავ შვილო,
დაბადების დღეს,
პირველს უკლია,
რალაც წამები ...
აღბათ თამადა
იქმები შენ და...
მე დარდითა ვარ, განანამები!

თუკი

თუკი გარდაცვლილი აღდგება,
მაშინ ნუ, ზეიმობ სიკვდილო...
მივალ, ყველა ერთად დამხვდება,
ვნახავ, რაც არ უნდა მირბინო.
ვთესავ, სიკეთეს და თან მჯერა,
მშვიდად დავისვენებ ზეცაში,
სამოსს ჭრეჭრულას, შევკერავ,
ჩემი სიცოცხლის ვეცვაში.
იას სიფაქიზით შევხედავ,
შემომჭიკჭიკებენ მერცხლებიც...

მტრისიც შემიძლია დახვედრა,
მასაც გულს მალამოდ ვეცხები.
ბოროტს ვაიძულებ, შეჩერდეს,
სიცოცხლე ხანმოკლე ხილია,
თუკი მას არ უნდა, შეჩვენდეს,
აჯობებს, წაიკითხოს ბიბლია.
მე გავცემ თუ კი მაქვს, რად მინდა,
შრომა მომავლისთვის მჭირდება,
ბედო, შენით თუ განვიმდა,
სულს ფრენა არ გაუჭირდება.



ბახსენება



ლეილა გაფრინდაშვილი



დროის მცირე მონაკვეთში, ორი უძვირფასესი ადამიანის დედის, ნორა ჩიტინის და მამიდაშვილის, (იგივე ძმის) ლევან (ლევკო) გამყრელიძის გადასვლამ იმქვეყნიურ სამყაროში უდიდესი განცდისა და ტკივილის წინაშე დამაყენა.

ჩემო ძვირფასებო, თქვენს პიროვნულ დახასიათებას რომ შევუდგე, ალბათ ვერ შევაჩერებ ვალამს, მხოლოდ ურთიერთობებზე მოკლედ ვიტყვი, რომ, ის პატივისცემა, ერთმანეთისადმი ზრუნვა, მოკრძალება, თანადგომა,

სიყვარული, რაც თქვენში სუფევდა, სამაგალითოა და მისაბაძი!

ახლა ვი, ისევ რითმებით მოგეფერებით, რითაც ოდნავ შევიმსუბუქებ თქვენი განშორებით გამონწვეულ სევდას!

მაინც ვერ ვთქვი



ახლა დედის მონატრებამ სული შეძრა,
ჩავნვდი წარსულს, ცრემლმა დამისველა თვალი,
ვსევდიანობ, განცდამ ისე ჩამიყოლა,
გულში ცეცხლად ავარვარდა ნაპერწკლი.

„დამიობლდნენ შვილები, არ დამეჩაგრონ“-
შენ მიზნებში ბობოქრობდა მხოლოდ ერთი...
მოგეფერე, ფიქრშიც გხატე, ლექსად ვწერე,
სათქმელი, ვერ ამოვწერე, მაინც ვერ ვთქვი...

მკერდში ხომ და... ხელისგულზეც გული გედო,
გასცემდი და უშურველ მაღლს აყოლებდი,
ან რა რკინის ძალა მოგცა ზეციერმა,
არც არასდროს იღლებოდი, არც გოდებდი.

ერთხელ თურმე უცაბედად ჩამოთოვა,
შებინდებას, გადათეთრდა არემარე,
„მიგაძინეთ ყველანიო, ვინცე ქსოვა“,
მამა, თურმე, გააოცე, გაახარე!

სამსახურში წავაო და... რომ შესცივდეს?
მთელი ღამე გიქსოვია ღაზლის წინდა,
წინდა რაა? მაგრამ ნათენები ღამე
ერთგულებად, სიყვარულად მართლა ღირდა!

მოფერება სულის საზრდოდ გაგატანე,
შენს სივრცეში დამატარებს ფიქრის ღმერთი,
დედაშვილობის სიღრმეებს ჩავვძიე...
სათქმელი, რაც გეკუთვნოდა, მაინც ვერ ვთქვი.

გაუფერულდა
/ლევან გამყრელიძეს/

გაუფერულდა ჩვენი სუფრა, ეშხი დაკარგა,
გადიარა ცრემლების ზღვამ, გზაგასაყართან,
ინურებოდი სიყვარულად, სიტკბოდ, ბადაგად,
რა ტკივილია, ჩემო ლევი, შენ რომ არ გყავხარ.


რა ერთგულებით გვადუღაბეს ჩვენმა მშობლებმა,
ოქროს ძაფებით გადაგვკვანძეს, გზა დაგვილოცეს,
ბედნიერების ჩირაღდანი გვენთო გზამკვლევად,
თავშეყრა ჩვენი ნათელს გვფენდა, ჩქეფდა სიცოცხლე!

სამაგალითო, მისაბაძო, ავკარგიანო,
სისადავით რომ ამშვენებდი შენს ვარგაკობას,
ოჯახის ბურჯო, ერთგულებაგ, გულმადლიანო,
რა სევდით არის სავსე ჩვენი ერთად არყოფნა.

როგორ ვიგრძენი აჩქარება ჰულის ქალაქის,
სადაც სივეთით დაიბერტყე ვალთა ბარაქის,
სად მწეობის ნერგს წყალს უსხამდი, არსობის დღიდან
და ჭიათურაც, კლდის არწივი, ვაცურად გზრდიდა!

ხელს შემოგვაქრა ტკბილწარსული, დაგვრჩა ოცნებად,
რაც იყო ის ხომ აღარასდროს განმეორდება...
რა წლებიც განვვლეთ, სილამაზით, ტკბილად ვიცხოვრეთ,
ამ გახსენებად, ერთი დღითაც ღირდა სიცოცხლე!

ზღვა სიყვარულის სკივრს ზიდავდი, არსობის დღიდან,
რა ვიცი, მშვენო!!!
იქნებ ... ასე სიკვდილიც ღირდა!



ლამზირა შეყილაძე



რა მნარაა უშენობა შვილო!

ჩემო სულისდგამავ, რაც წახვედი ამქვეყნიდან, მას აქეთ დედამიწაზე დავიკარგე, ცხოვრების უაზრო ლაბირინთებში გავიჭედე და ვერ ვპოულობ ვერანაირ გამოსავალს. აქეთ-იქიდან მიწვდიან გამოსაყვანად ხელებს, მაგრამ ყველანი უძლურები აღმოჩნდნენ, მე მხოლოდ შენ გიხმობ, მხოლოდ შენი შეხება და დანახვა მსურს და მწადია. მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი სიცოცხლეში დაბრუნება, მაგრამ ვაგლახ, რომ ვერ მწვდები, ველარც მე მოგაწვდინე ტირილისგან ჩახლეჩილი ხმა. უწინ, როცა დაგიძახებდი, მაშინვე მაგონებდი ხოლმე. გული სიამით მევსებოდა ვაჟკაცი მეზრდებამეთქი, რალა გამიჭირდება, როცა ასეთი თბილი და გულიანი შვილი მყავსო. მაგრამ, ვაი, რა უბედურება და თავსატეხი მელოდა თურმე! ახლა? ახლა უშენობით გაოგნებული და განრეტებული ვდგევარ ცივ სადგურთან, მიდიან სადღაც ლიანდაგები, ვდგევარ შავ ძაძებში გახვეული, ჩაცვნილი თვალებით, ღრმა ფიქრებში, გულდარდიანი. ყურში მატარებლის თქარათქურის ხმა ჩამესმა, უცებ ფეხზე წამოვდექი, მაგრამ ხალხით სავსე მატარებელმა ისე სწრაფად ჩამიქროლა, თვალის შევლება ძლივს მოვასწარი. მგზავრები თვალებით და ხელის დაქნევით მემშვიდობებოდნენ, მათ შორის ბევრი ნაცნობები იყვნენ, ბევრიც უცნობები, მაგრამ ყველა თითქოს ჩემიანები ყოფილიყვნენ, ისე გავაყოლე ცრემლიანი თვალები... და დამენანა, მე რატომ დამტოვეს ამ ცივ ლიანდაგებზე მზირალი. მე ხომ შენი წასვლის შემდეგ აქ ვდგევარ და ველოდები, ველოდები იმ დღეს, როცა შენთან მოვალ და ძველებურად გულში ჩაგიკრავ, დაგიკოცნი შენ თბილ, მეტყველ თვალებს. რამდენი სიამე მახსოვს მაგ თვალთა მზერით, ახლა კი... დედას შენი თავი დაანატრულე. ვინ იცის, შენც როგორ გენატრება შენი დედიკო, რომლის იმედიც ყოველთვის გქონდა. ბოლოს კი, ბოლოს დედა უძლური აღმოჩნდა ბედთან ჭიდილში და ველარ გიშველა. ახლა კი ყოველი დღე ჩემთვის მწარეა, ღამე კი მძიმე და უკუნი. უცაბედად მეხის დაცემას სიგიჟემდე და სიკვდილამდე მივყავარ. რამდენჯერ მიფიქრია, რომ შენს საფლავს დავაკვდე, მაგრამ ისევ შენს სულზე ვფიქრობ და არ მინდა სული დაგიმძიმო და აგიფორიაქო.

წუხელ ქარმა სამძიმარი მიტხრა

წუხელ ქარმა შემომიხსნა კარი,
შენს სურათთან გაეპარა მზერა.
ცრემლით ჰქონდა დატბორილი თვალი,
გულში ედგა უსაშველო წყენა...

და ვიდექი უსათლაო მკვდარი,
ჩემს სატკივარს ქარი თავად მიხვდა...
ჩემთან ერთად ქვითინებდა ქარი,
ქარმა წუხელ სამძიმარი მიტხრა.

ქარი იდგა მდუმარედ და ცივად,
ცრემლი ღვარად მოსდიოდა სანთელს.
გულში შენი მონატრება წვიმდა,
გულგამქრალი ვბუტბუტებდი სათქმელს.

დღეს შენი დღეა შვილო ალიკა,
რა ვენა სხვაგვარად ვერ გილოცავს
შენი გატანჯული დედა ამ დღეს.
მაპატიე, მაპატიე, ეს ცრემლებიც მაპატიე.

თამარ ჯაჭვამძე

ძაძისფერი ფიქრი

ლამზირა შეყილაძეს, ალიკას



ახლა მეგობრის ლექსებთან მივალ...
და მწარე ცრემლი თუთქავს წამწამებს...
მე დედაშენის ტკივილი მტკივა,
მე დედაშენის დარდი მაწამებს.

ო, რატომ, შვილო, ამ ძაძებისთვის
და ცრემლებისთვის რად გაიმეტე?!
დააიმედე, რომ ჯობდა შენთვის,
რომ დაისვენე, დააიმედე!

რომ სიყვარულით გააძლებინა
დედას სიცოცხლე გაუთბო შვილმა...
დღეს კი ედემში დაიღო ბინა,
დედის იმედმა, დედის ტკივილმა...

მაგრამ რაღა ქნას დაღლილმა დედამ,
საით წავიდეს, ვის შეეკედლოს...
დადის, შვილს ეძებს, გამოხრა სევდამ,
რა ბედნიერი ყოფილა ერთ დროს!..

მარქვი უფალო, შენ გვედრეები,
დედაშვილობას ვინ უთვლის წამებს?...
ცას აწითლებენ დედის ცრემლები,
და ძაძისფერი ფიქრი აწამებს!





ჟუჟუნა სხირტლაძე


ქალი რომელიც სიკეთეს თესავდა

ქალვატონი ჟუჟუნას არაჩვეულებრივი ოჯახი ქონდა. მის დიდ ოჯახში სიყვარული და სინესიერე სუფევდა. იყო კარგი მეზობელი, თუ ვინმეს გაუჭირდებოდა, მის გვერდში გაჩნდებოდა, რითაც შეეძლო იმით ეხმარებოდა. მისგან მხოლოდ კარგს ისწავლიდი. დაგარიგებდა, არ გექნებოდა და მოგცემდა. მისი მშვიდი ოჯახი ცუდმა ბედისწერამ შეცვალა. არაჩვეულებრივი ვაჟი სიმონი (ლენგური) სხირტლაძე დენმა იმსხვერპლა. ფერადი კაბა შეცვალა სევდის ფერმა (შავმა). კვლავ გამაგრდა, კვლავ ფეხზე დადგა. ერთადერთი და ყავდა ელიკო, ისეთი ტკბული დედამამიშვილობა ჰქონდათ. ერთმანეთს ლუკმას უყოფდნენ. უხაროდა, შვილიშვილები, უყვარდა მათზე საუბარი, იმიტომ, რომ გამორჩეულები იყვნენ კარგი თვისებებით.

ერთხელ საყვედური მითხრა, ყველას მიუძღვენი ლექსი და მე ხომ იცი როგორ გაფასებ და... აღარ დაამთავრა. ახლა უნდა შეგისრულო სურვილი კარგო ქალბატონო.

ზეცის სივრცეს ღამით შენატროდი,
უყურებდი, დაეძებდი ქმარშვილს,
მე ვიცი, რომ ბევრჯერ განმარტოვდი,
დარდითა და შავი ფერის თავშლით.
არ იმჩნევდი, რომ გიდუღდა გული,
ღიმილ-ღიმილ მოგვაგებდი სიტყვას,
შვილით იყავ, დამწვარ დადაღული,
ახლა ცაშიც ვიცი ყველა გიყვარს.

გულნაზი ხარაიშვილი





ხევისბერი

დღეს, 18 მაისს, დაბადებიდან 92 წელი შეუსრულდებოდა ავტორიტეტულ სამეურნეო მუშაკს, იმდროინდელი აღმასრულებელი ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენელს, საზოგადოებაში ნამდვილ ხევისბერად ცნობილ ალექსანდრე შუბითიძეს.


ბატონმა ალექსანდრემ ჭალოვანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, პირადი ინიციატივითა და ორგანიზატორობით მრავალი პროექტი განახორციელა ძირულის ხეობის სოფლების ინფრა-სტრუქტურის, კულტურის, განათლების, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების, საავტომობილო, საუბნო გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობის, ტყეების განაშენიანებისა და გარემოს ეკოლოგიური, ესთეტიკური იერსახის გაუმჯობესებისათვის.

პირდაპირობა, უშუალოება, ადამიანებთან საქმიანი დამოკიდებულების დამყარების უნარი, ქართული ეროვნული ტრადიციების ერთგულება იყო ის თვისებები, რომლებიც გამოარჩევდა მას ყველასაგან.

მისაბაძი იყო საკუთარი ოჯახითაც, თუმცა მისთვის ერთ დიდ, მთლიან ოჯახს წარმოადგენდა მთელი ხეობა, სადაც არ წყდებოდა „ფიქრთ-გასართველად“ და „ჭკუის კითხვად“ მოწადინე ხალხის ნაკადი!

ნათელი ადგეს ფიზიკურად და მნეობრივად ამ მაღალი პიროვნების ხსოვნას.

საზოგადოება „საჩხერელი“





ზურაბ ჭელიძე

სვანეთის კოლორიტი

ულამაზესი ოჯახის თავკაცი, მედიატორი, ჭირში და ლხინში ყველას გვერდში მდგომი და გამაზიარებელი, ვაჟკაცობის და ვაცობის მაგალითი...

სვანეთის ერთ-ერთ ლამაზ სოფელს, მელეს და მთელ სვანეთს ალამაზებდა. იმედს და ძალას მატებდა მისი სამართლიანი სიტყვა თუ საქმე.

მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. ხუთი და და ორი ძმა ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემით იზრდებოდნენ. ბევრი შენატროდა ერმანობ ჭელიძის და პაპა ნემსაძის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამორჩეულ ოჯახს.

ბედნიერების იდილია და ოჯახური მყუდროება 23 წლის ძმის სიკვდილმა რომელიც თბილისში ავტოავარიით გარდაიცვალა, უდიდეს ტრაგედიადა აქცია... თავისებური დალი დაასვა მის ცხოვრებასაც. ამ პერიოდში ის თბილისში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ ვალდებულება იმისა, რომ დედას და დებს, თავზარდაცემულ მამას ნუგეში და ძალა სჭირდებოდა. მხნეობა და გვერდში დგომა, ვის უნდა ეტვირთა არათუ მას, ამის გამო ის იძულებული გახდა მიეტოვებინა თბილისი სოფელში დაბრუნებულიყო და ოჯახისთვის მიეხედა...

სამსახურებრივი მოღვაწეობა და საზოგადოებრივი საქმიანობა დაიწყო, ალჰინის-ტურ ბანაკ „აილამაში“ რომელიც დაარსა დიმიტრი ობოლაძემ.

საბჭოთა კავშირში იმ პერიოდში თავისი მასშტაბურობით თორმეტი ბანაკი სახელდებოდა , ერთ-ერთი იყო „აილამა“ს ბანაკი, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან

თავს იყრიდნენ როგორც მოყვარულები, ასევე გამოცდილი მთამსვლელები, სადაც ხდებოდა ახალგაზრდების მომზადება, დახელოვნება და ასევე გასვლები სხვადასხვა მწვერვალებზე.

ზურაბ ჭელიძემ 22წელი იმუშავა მთავარ ბუღალტრად. ერთი წელი აწ გარდაცვლილ ჯოკია გუგავასთან ერთად ზესხოს ბანაკში, რომელის შექმნასაც თვითონ ზურაბმა და ჯოკია გუგავამ ჩაუყარეს საფუძველი. ხოლო აილამის დირექტორის, სოზარ გუგავას გარდაცვალების შემდეგ, სადაც უდიდესი კონკურენცია გაიმართა აილამას დირექტორობასთან დაკავშირებით, ერთ მშვენიერ დღესაც მოსკოვის სამმართველოდან ლენტეხის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, ზურაბ ჭელიძის დირექტორად დანიშვნის შესახებ. ეს ერთგვარი შოკი იყო რადგან ზურაბი მთამსვლელი არ იყო,, უბრალოდ ყოველ ჯერზე მოსკოვიდან ჩამოსული ალპინიზმის სამმართველოს დელეგაცია მოხიბლული იყო მისი მენეჯერული ნიჭით და სწორი მართვით.

9 წელი მან ღირსეულად გაართვა თავი ბანაკის მართვას.

სვანეთში დატრიალებული სტიქიური მოვლენების გამო თანდათან დაიწყო სვანეთის სოფლების დაცლა. ვინაიდან შვილებიც ქალაქში გადავიდნენ, გადაწყვიტეს წინწყაროში გაეგრძელებინათ ცხოვრება.

მის უდიდეს მჭვრეტმეტყველებას და სამართლიან მიდგომას უკავშირდება სვანეთში 40-მდე უდიდესი საქმის მედიატორული ნიჭიერებით მშვიდობიანი მოგვარება, ასევე გრძელდებოდა მისი სამახვშო სტატუსი წინწყაროშიც, სადაც მრავალეროვანი დასახლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის აზრს და გადაწყვეტილებას...

არ დამავიწყდება ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის, აზერები,აჭანელი, ბერძენი და აჭარელი მოსახლეობა, როგორი გულწრფელი და ალალი ცრემლით მიაცილებდა მას, უკანასკნელ გზაზე...

ზურაბ ჭელიძე იყო კოლორიტი ქართველი კაცი, კარგი ცოლ-შვილის წინამძღოლი, გვარის და სვანეთის კარგი მახვში.

ეთერ ჭელიძე,
პოეტი



ნანა მოსიაშვილს, უშანგი მოსიაშვილის მეუღლეს




როგორ შევაქო

ისეთი თბილი, თანაც კეთილი, ქალი – მე არსად არ შემხვედრია. გული დარდით აქვს გადაფლეთილი, ყველას ტკივილი, მისი ხვედრია. სტკივა და უყვარს ირგვლივ მყოფები, თავის შვილები, სხვისიც ასევე, და საქართველოს დანაყოფები კუთხე-კუნჭულის, მის ფიქრს ავსებენ. ლოცვა ამშვიდებს, ლოცულობს დღისით, ქალი-ქართველებს, უფალს ავედრებს, თავისას ეტრფის, არ უნდა სხვისი, სიკეთის მარცვალს მტერშიც დაექებს. ლექსით რას ვიტყვი, მის დიდ ღირსებას, ან რას ჩამოვთვლი, რითი შევამკო, დღეს ჩემი ფიქრი მისით იწყება, მაგრამ კალამით როგორ შევაქო?

არასოდეს არ მიდის ის პიროვნება შენგან, როცა მის გულში მზე არის ჩაბუდებული. ქალბატონი ნანა მოსიაშვილი, უფლის რჩეული ქალბატონი იყო. მას დედაოს სამოსი შინაგანად ეცვა. ის იყო რაღაც არა ამქვეყნიური, უკეთილშობილესი. მისი ოთხი შვილი სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, ღვთის სიკეთით იყო დამოძღვრილი. სადაც ქალბატონი ნანა გაივლიდა ბუნებრივად ამოვარდნილი ქარიშხალიც კი იმ წამს მშვიდდებოდა. მის კეთილ აურას ზეციური მადლი დატრიალებდა. კეთილი ქალბატონი, ბედისწერამ არ დაინდო და მისი შვილი უღროოდ, დაუპურებლად გაიყვანა მიწიერი სამყაროდან. გახდა ცრემლიანი კეთილი ქალი. ყველას უფრთხილდებოდა და თავის დარდს თავზე არავის ახვევდა. ამის შემდეგ აირია მსოფლიო, კოსმოსმა დაიწყო დედამიწლების მართვა. ახალი შფოთის კოვიდის მსხვერპლი, გახდა, უკეთილშობილესი ქალბატონი.

გულნაზი ხარაიშვილი



მილოცვა



გულნაზ ხარაიშვილის იუბილუ



ნინო რეხვიაშვილი
6 მაისი, 08:48-ზე

ქართული სიტყვის ბაირალი, რითმისა და ტაყების დედოფალი, აზრთა კონის დედა მშობელი, შემოქმედი, დედა-დედობილი, ენატკბილი და ენაბუღბულიანი, ყველას მფარველი და დამცველი, უამრავი დამსახურების მფლობელი, მწერალთა კავშირის წევრი, ჩემი ნათლია და დედობილი, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი იუბილარია! ❤️❤️🌻🌻სწორედ ვარდობის თვეა მისი სამყარო, ყვავილოვანი, სურნელოვანი, სიცოცხლისა და იმედისმომცემი 🌻❤️
🌻🌻🌻🌻გილოცავთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, მრავალი ვარდობისთვე მოელოცოს თქვენთვის საამაყო ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს! 🌻🌻🌻🌻გეფერებათ თქვენი ნინო ❤️🌻🌻🌻🌻





ლალი ვეკალაია პერპერედი

პოეზია უპირველეს ყოვლისა

დედი გილოცავთ დაბადების დღეს
ჩემს სულიერ დედას

ჩემ სულიერი დედისთვის,
მადლობას ვწირავ ზენასა,
გფარავდეთ უკუნისამდე,
სულს ნუ მოაკლებს ლხენასა,
თქვენს არსებობით ვიხარი,
გულიც ეცემა ლხენასა,
თქვენი შესამკვი სიტყვები
ვერ ძალს აღმოსთქვას ენამა.
თქვენით მიხარის არსობა,
ცად ვინცებ აღმაფრენასა,
სკდებიან გრძნობის კვირტები
მადლის ხმით ვინცებ მღერასა.
თქვენ ირგვლივ სითბოს ასხივებით,
გულში ღრმად იკრავთ ყველასა,
ამიტო თქვენ გინოდებენ,
ყოველ სულდგმულის დედასა.
მეამაყებით დედილო
წმინდა სული გაქვთ ნამდვილი,
თქვენებრ სიკეთეს იქმიან,
საწუთროდ მხოლოდ მართლები
დალოცვილ იყოს ეგ უბე
მრავალი შვილის გამზრდელი,
გფარავდეთ მაღალი ღმერთი,
გიკურთხოთ თავზე მანდილი.
რომ ჩაგეხუტო ბავშვივით,
ეს არის ჩემი წადილი,
რითმებს გადმოვცემ გრძნობებით,
მადლიერებით აღვსილი,
გულები ძალზეა ახლოა,
გვაშორებს მხოლოდ მანძილი,
მიყვარხართ მეამაყებით,
ჭეშმარიტი ხართ ნამდვილი.
როდის გიხილავთ მე იმდროს
მოთმენით დაველოდები,
მინდა რომ გულში ჩაგვეკრათ
ჩამოგხსნათ, დარდის ლოდები,
მინდა ბავშვივით მოგიყვეთ
ჩემი ცხოვრების ავ კარგი,
დედილო არ გაგშორდები,
თქვენთან ვიქნები მარადის.
თქვენ დედის სითბო მაჩუქეთ,
თქვენში ვგრძნობ წმინდა სულია,
თქვენს გაკეთებულ სიკეთეს
არა აქვს დასასრულია,
მინდა ხარობდეს მარადის
ეგ თქვენი თბილი გულია,
ჩვენი კავშირი მუდმივი,
უკვდავი, სიყვარულია.

ეთერ ლობჯანიძე

თქვენ დედის სითბო მაჩუქეთ,
თქვენში ვგრძნობ წმინდა სულია,
თქვენს გაკეთებულ სიკეთეს არა აქვს
დასასრულია,
მინდა ხარობდეს მარადის
ეგ თქვენი თბილი გულია,
ჩვენი ჰავშირი მუდმივი, უკვდავი,
სიყვარულია. ❤️იხარეთ!

* * *

გნამდეს, რომ გაზაფხულია,
პოეტის სილის ციალი,
ჩემი სხეული გულია,
ბედია ორომტრიალი.
გნახამ და მოგეფერები,
დარდებს მოვისვრი ყანაში,
რაჭისგან მონაფერები,
თვალს ვლულავ იავნანაში.

Nodar Kurashvili

მუხლმოდრეკითა და საუკეთესო სურვილებით
გილოცავთ დაბადების დღეს! დღეგრძელობას
გისურვებთ მრავალთა გასახარად და
საიმედოდ, "გულნაზი-დედა"❤️



ირაკლი გოცირიძე

გილოცავთ, ქალბატონო გულნაზი დაბადების
დღეს 🌸🌸🌸🌸🌸

უფალმა დაგლოცოთ,გაგაძლიეროთ,
გაბედნიეროთ მრავალჟამიერ 🌸🌸🌸🌸🌸



ციური ხუჭუა

ჩემს უნიჭიერეს ბავშვებთან ერთად გილოცავთ,
ჩემო საუკეთესო მეგობარო, ❤️
დიდო პოეტო 🌸, მწერალთა ჰავშირის სულო
და გულო, 🌸აკადემიის მხედართმთავარო, 🌸
ყველა წევრის, განურჩევლად ასაკისა,თბილო
დედავ, თქვენს დაბადების დღეს! 🌸🌸🌸
გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა
და წარმატებებს
შემოქმედებთ საქმიანობაში.

უფალმა დაგლოცოთ, და გაგაძლიეროთ 🌸🌸
🌸🌸🌸🌸🌸🌸



ეკატერინე ციციშვილი

გილოცავთ ქალბატონო გულნაზი დაბადების დღეს! 🌹🌸🌺🍷🍷🍷



დავით იოსებაშვილი
<<ქალი მგოსანი>>

საქართველოში ტვირთია დიდი,
იყო დედა და უბრალოდ ქალი...
საქართველოში ჯვარია მძიმე ,
იყო ქალი თანაც მგოსანი...
მაგრამ ვერავინ შესწვდება -
ვარდისფერს ღრუბლებს,
როგორც ფარფატი -
პოეტი ქალი..
მამ დაილოცოს ,
უფლის განგება ,
დაბადა ჩვენში ,
ნიმფა მუზების-
დიდი მესიტყვე...,,
რითმის ჰანგების-
ქნარი ზღაპრული...
სიყვარულით -
სავსე თვალებით,
ვარდ-ზამბახების-
სურნელით მთვრალი...,
საქართველოსთვის-
გზნებით მლოცველი -
დედა და მგოსანი ქალი.



Lia Javaxishvili

როგორ მინდა ახლოს ვიყო
გულმა იგრძნო შვილი ღვთისა,
დიდებული და თან ტკბილი,
პირმშო ხუთი მაისისა.
დაბ დღეს გილოცავთ ქალ. გულნაზი.



Avraham Paata Yosef



5 მაისი, 2020 ·

**ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ
მ გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ს !**

პოეტს, ჯუმბერ ლეჟავას სახელმწიფოს მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ "ათინათინის"

რედაქტორს, საოცარ ადამიანს, ტკბილენიანს და გულთბილიანს, ხალხის მოყვარულს და მათი სულის გამმზიანებელს, გილოცავთ და ბ ა დ ე ბ ი ს დ დ ე ს !

მსურს ახლო წარსულში მიმონერის ეს მშვენიერი დიალოგი გავიხსენო ბ ა ტ ო ნ პ ა ა ტ ა

ჟურნალი „ათინათი“, რომელიც წმინდა ნინოს ხატით გამოდის გამოვიდა, ამ მძიმე ჟამს

მოვახერხე, სადაც თქვენდამი მოძღვნილი ქალბატონი მადონა დვალის წერილია დაბეჭდილი და პატარა მოსაფერებელი მწირი სიტყვა ჩემგანაც მიუთბუნე, რომ კარგად მყავდეს ჩემი აკადემიის შვილი აბრამ პაატა იოსებაშვილი!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი

საერთაშორისო აკადემია მადლობას საჭაროდ უცხადებს მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ

მ ა ყ ვ ა ლ ა გ ო ნ ა შ ვ ი ლ ს ბატონო აბრამ პაატა, თქვენი კანდიდატურა, რომ წამოაყენა აკადემიაში და სიხარულით გადმოგვცით საერთაშორისო აკადემიის დიპლომი.

მიხარია, რომ სიტყვა მეტეჟმის ისეთ პიროვნებასთან, როგორც თქვენ ბრძანდებით. მეიმედებით, მემამყებით და გლოცავთ აკადემიის შვილო აბრამ პაატა იოსებაშვილო!

ეს საოცარი და მოულოდნელი წერილი ჩემ ერთ ერთ პოსტში მომწერა ძვირფასმა პოეტმა, აკადემიკოსმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დამაარსებლებმა და მისმა პრეზიდენტმა

გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ მ ა ! ქალბატონო გულნაზი, გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც თვენ ბრწყინვალეობას არა ერთხელ უთქვია, არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ხალხს უყვარხარ და აფასებს შენს განუვლ ღვაწლს ხალხის საკეთილდღეოდ!

თქვენი სიტყვებით, თქვენი ჩემში ღრმა რწმენით, პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიაში განევრიანებით და მისი დიპლომით დაჟილდიებით მომანიჭეთ, დიდი სიხარული და ბედნიერება, რაც ჩემთვის ყველანაირ ღირებულებაზე მაღლა დგას!

ასე მოგწერეთ პასუხი: ქალბატონო გულნაზი, უკეთილშობილესო ადამიანო, შესაფერის სიტყვებს ვერ ვპოულობ, ბევრს, ძალიან ბევრს აკეთებთ ჩემთვის, უღრმესი მადლობა!

მადლობას ვუხდი ძვირფას ქალბატონს, უსაყვარლეს მეგობარს, პოეტს, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, სპეტაკ ქალბატონს, მაყვალა გონაშვილს, რომ ჩემში დაინახა ღირსეული ადამიანი, რომელიც შეეფერება იყოს თქვენი აკადემიის დიპლომირებული აკადემი-

კოსი, რისთვისაც მიგითითად ჩემ დაჯილდოებაზე!!

გმადლობთ ძვირფასო ქალბატონო!

გფარავდეთ უფალი!

ქ-ნო გულნაზი, გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მრავალ შემოქმედებით წარმატებებს და დასახული მიზნების განხორციელებას!

მომავალ შეხვედრამდე!

თქვენდანი ღრმა პატივისცემით, უსაზღვრო სიყვარულით და თაყვანისცემით:

აბრამ შაატა იოსებაშვილი

საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე!

საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში!

დავით აღმაშენებლის აკადემიის პროფესორი და სრულუფლებიანი წევრი!

4 სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიების წევრი თქვენი აკადემიის ჩათვლით!

პროფესორი აკადემიკოსი!

არქიტექტორი!



Eteri Chelidze

5 მაისი, 2020

დაბადების დღეს გილოცავთ, ქალბატონო გულნაზი! ჩვენი ურთიერთობის არცთუ ისე ხანგრძლივმა პერიოდმა ნათლად დამანახა რომ შესაძლებელია ცხოვრების უკუღმართი ბედისწერის მიუხედავად, დარჩე ისეთ ადამიანად, მეგობრად, დედად, ქართველ ქალობის მაგალითად, როგორც თქვენ ხართ!!!

ცხოვრებამ, ჭირხლის უღელში შეებმულს მოგახრევეინა ვერასდროს მუხლი, დღეს ანაფორა შემოხვეული შენს დამბადებელს მადლობას

ვუხდი!

და ცისკენ ვიშვერ ღაღადით ხელებს ღმერთო! რა ძალა შთაბერე ნეტავ?! რომ უდიდესი ტკივილის დარად, იყო და არის რამდენის დედა!

ბოლთა ნაცემი გოგმანობს ქარი, ნისლივით ბოლავს წარსულის სევდა, და გვედრი ღმერთო! მიცოცხლე ქალი, სათნოების და სიკეთის დედა!!!



June Bicadze

5 მაისი, 2020

ძალიან თბილს, მოსიყვარულე და საიმედო ქალბატონს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ საქართველოს საიმედოდ მიყვარხართ

Temur Gogsadze

5 მაისი, 2020

დღეს – მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პოეტის, სიკეთით, სითბოთი და სიყვარულით სავსე ქალბატონის, რაც მთავარია, ჩემთვის დედის ენერგეტიკის მატარებელი – გულნაზ ხარაიშვილის იუბილეა! ვლოცავ და ვეთაყვანები!

უსაზღვრო სიყვარული, ჩემგან! 🌹🌹🌹



ციური ხუჭუა
5 მაისი, 2020.

ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, მეგობარს, შესანიშნავ პოეტს, მწერალთა კავშირის გულს, მრავალი წიგნის ავტორს, თანამედროვე აკადემიის დედას – გულნაზ ხარაიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

დაე, ბედნიერებით და სიხარულით სავსე წლები შეგმატოთ უფალმა მისი წყალობით, შემწეობითა და მფარველობით.

მიყვარხართ და მიხარია რომ არსებობთ 🌹🌹
🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹🌹
🌹🌹🌹



Eteri Chelidze

გუშინ 08:00-ზე დაბადების დღეს გილოცავ დედა ფუტკარივით სივეთისთვის, სიყვარულისთვის, უამრავი ადამიანის გაბედნიერებისთვის მოფუსფუსე დიდო ქალბატონო 🌹🙏 დარდი და ცრემლი თქვენი ცხოვრების აქ დასრულებულიყოს, დღეის შემდეგ მხოლოდ სიხარულის და ბედნიერების მრავალი ათეული წლები მოგმადლოთ უფალმა 🌹🌹🙏. ქალს გაუმარჯოს დედას და ასულს, უსაზღვრო ტკივილს, სიყვარულს, სევდას, ქალს გაუმარჯოს სიცოცხლის სანყისს, ქალს გაუმარჯოს სამყაროს დედას!!!

Maria Cerbone

გუშინ 06:07-ზე ·

დამათრობელი იასამნის ნაზი სურნელით გაღიმებული შემოიჭრა შენთან მაისი, შემოიარა კარ-მიდამო ნაბიჯით ნელი და შენს სახეზე მოაფრქვია თავის ხალისი.

მოგვალერსა, შემოგხვია გაშლილი ფრთები, როგორც რომ პირმშოს ეფერება თავის მშობელი, თუ რა ძალიან ყვარებიხარ ალბათ მიხვდები იგი ხომ შენი ნაწილია განუყოფელი.

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს ქალბატონო გულნაზი, უფლის წყალობას და უამრავ სიხარულს გისურვებთ.



სერგი ლომაძე

გუშინ 00:10-ზე

პირველად მე ვუწოდებ ლეგენდა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ დღესაც ამ აზრზე ვრჩები. დიახ, დღეს ლეგენდარული ქალბატონის დაბადების დღე! მაშ ყველამ მიულოცოთ ქალბატონ გულნაზს დაბადების დღე!.....

Sazogadoeba Poezieli

ლ ე ქ ს ი ს ა ვ ვ ა ნ ი

დღეს პოემიელში იუბილარი გვყავს წარმატებული და ყველას გვერდით მდგომი მეგობარი

გ უ ლ ნ ა მ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი
ქ-ნი გულნაზი გახლავთ პრემიდენტი, ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიისა. მთავარი რედაქტორი ჟურნალისა ათინათი. რედაქტორი პოეტური ანთოლოგიებისა.

ლ ე ქ ს ე ბ ი

მე დავიბადე
მე, დავიბადე ათას ცხრაას ორმოცდაათ წელს, ხუთი მაისი გახდა ჩემთვის ცხოვრების წილი. უფალს უნდოდა, მოვსულიყავ, გაზაფხულის დღეს, გულს მიმეზნია, სიყვარულის, გრძნობების ღილი. თუმცა ავდარმა ამატირა, ბევრჯერ დამძალა, ნუნუნ – კრუსუნი, არ დავინყე, ბრძოლა ვარჩიე, თუ, კვლავ იავა, ავ ქარიშხალს, თითონ დავკრძალავ, ამ სიძლიერით, მე, სიცოცხლე გადავარჩინე!

სულის სინრფელე
ცეცხლი ანთია, წიფლის ტოტი, ინვის ბუხარში... ბზას ჩაუთქვი და აალებულ ცეცხლში ვისროლე. ჩემად, უთქმელად, ბზის ნედლ ფურცლებს ასე ვუთხარი... მინდა ვხედავდე, შინ და გარეთ, სულის სინრფელეს.

მე, ხომ ალაღად, თაფლს ვაგროვებ, დედა ფუტკარი!

დედამინავ
გაუძელი, გაუძელი, დროჟამს, დედამინავ, ტკივილებით სავსე, გეცა არის, შენი გულის „ბროშვა,, წყურვილის დროს, წვიმის წვეთებს გასმევს. თქვენ ორ შორის გამყოფია სივრცე, უფალი კი, გლოცვთ, ტყუპისცალებს. დაგპატრონობს, გითანაგრძობს, გიცქერს... წყვილიათში კი, მთვარე გიხელს თვალებს.

რა აზრი აქვს
რა აზრი აქვს იმ გაზაფხულს, ან ყვავილთა გადაფურჩქვნას... თუ უყურებ გულს გამოხრულს, ან დარდისგან დანაქურჩდა. როგორ ვნატრობ, მინდორ ველზე, მიწის ბელტებს ხნავდეს ხარი, შრომისაგან ნაკოჟრ ხელზე, ცოლს კოცნიდეს, თავის ქმარი. ეს, მნამს, ასეთ დროს ვნატრულობ, ნიგვზიან მხალს, ცხელი მჭადით, გულო, დარდით გაფატრულო, გამძლეობით ფოლადს გადრი. უნდა გაძლო, რაღას იზამ, შენთან ერთად, ვბრძოლობ კარგო, დრომ თუ, თოფი დაგვიმიზნა, ერთმანეთი არ დავკარგოთ!

იმედი
მთები, დგანან დევებივით, ამაყად და დიდსულოვნად... წლები მირბის მწვეარივით, დრო შემომრჩა გულში ხსოვნად. საიდღანაც, ველი იმედს, არ, არსებობს არ მოვიდეს... ვთესავ მარცვალს, თანაც იმდენს, ჯეჯილად მსურს ამოვიდეს. მჭერა ჩემი წინათგრძნობის, ერთხელ ჩემთვის გათენდება. ველი ამ დღეს, დიდი გრძნობით, თოვლ-ყინული გამოდნება. ჩემი მერცხლის ლამაზ ბუდეს,

იჭიკჭიკებს მერცხლის გუნდი,
დარდი ჩუმად გამოვგუდე,
იმედებს კი გულში ვბუდნი!
გილოცავთ დიდი პატივისცემით ქ-ნო გულნაზი
თქვენს დღეს. იხარეთ.
გერმანე საზანოელი

2021 წელი.



ნანა მომცელიძე
გუშინ 01:27-ზე

დაბადების დღეს გილოცავ დედი
რაც არ უნდა ვთქვა ყველა სიტყვა ცოტა იქნება
რაც არ უნდა ვთქვა ბევრი რამე მრჩება
სათქმელი,
დიდსულოვნება თქვენს გარშემო ისე იქმნება
ისე იღება ყველას გულში ოთხი სარქველი.
სიყვარულს აფრქვევთ უანგაროს,წრფელს და
მადლიანს.
თქვენს წინ ანთია გულწრფელობის წმინდა
სანთელი,

ყველას უკვალავთ გზა-ბილიკებს ყველა
აზრიანს
თქვენი წყალობით წინ გზა გვხვდება უკვე
ნათელი.
მინდა იცოცხლოთ საუკუნოდ,ჩვენს საიმედოდ
მინდა სიცოცხლის ნაპერწკალი ღვიოდეს
მარად,
და სიყვარულის ქალბატონო, ჩვენო იმედო
ყველას გულებში ისევ რჩები უდიდეს ქალად.



ბუნების წიაღში, ძირულას ჰანგებში
აღზრდილო პოეტო, გილოცავ დღეობას!
წრფელი ერთგულებით დაგლოცავ, გააკოცებ,
გიგზავნი სითბოს და გისურვებ მ ხ ნ ე ო ბ ა ს! ❤️
❤️❤️🌸🌸🌸🌸🌸🌸 იმ დღესვე მოგწერე, რადგან
მიხვდი, რომ ვერ ნახე, აქ გწერ! 🍷🍷🍷



Tamar Gvelesiani
გილოცავთ
ქალბატონო გულნაზ!
გისურვებთ
ბედნიერებას
ჯანმრთელობას და
ღვთის უღვევ
წყალობას!!! ❤️💋❤️

თვა კანდელაკი



ჩემს უსაცვარლეს და უკეთილშობილეს ადამიანს ❤️ ქ თბილისის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა ფართოპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის სულის ჩამდგმელსა და პრეზიდენტს -ქალბატონ გულნამ ხარაიშვილს ვულოცავ მის დღეს 🌻🌻🌻🌻🌻 ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და უღვევ სიხარულს ვუსურვებ ❤️ ადამიანს რომელსაც ყველა დედათი მიმართავს დედა ღვთისმშობელი ფარავდეს მუდამ ან და მარადის 🙏❤️ მიყვარხართ და მუამაყებით 🎂🍰🍩🍪🍫🍬🍭🍮🍯🍷🍸🍹🍺🍻🍽️🍴🍵🍶🍷🍸🍹🍺🍻



ღვთისო ღვთიური

ქ. გულნაზი ხარაიშვილი
(უდიდესი პატივისცემის ნიშნად...)

სიკეთისათვის შობილო,
თბილო და გულისხმიერო,
ჭირში სუყველას დობილო,
სულით-ხორცამდე ძლიერო...
ვიცი ტკივილებს გაუძელთ,
ხელოვნებაში გადასვლით,
ქალობას ძეგლი აუგეთ,
სულში მოქარგეთ ფატა მზით...
ყალბსა და ორპირს არასდროს,
არ პასუხობდით სიყალბით,
ჭეშმარიტს ღმერთი ჩუქნის დროს,
იარეთ მარად უფლის გზით...
სარეველაა ცხოვრება,
დავდივართ და ვგლეჯთ ნარ-ევალს,
სულ მუდამ გვემახსოვრება,
რით ვუმკურნალეთ ნაევლარს...
თქვენ კი, ცხოვრებამ მრავალგზის,
შემოგახვიათ ნარი და
სიყვარულისგზით გადარჩით,
არ ჩამოსულხართ ნავიდან:
უფლის, რომელშიც მიხართ და
მართავთ ცხოვრებას ზეცისკენ,
ცისა და მიწის ტიხართან,
ადამთა მოღვმა შეიცნეთ...

რთულია მართო საჭე და
ერი მიგყაბდეს იმედით,
ბედმა რაც თქვენთვის გაჭედა,
მეტად ვერ დაიმძიმებდით...
მთა-კლდე გადავლილს, ცრემლიანს,
დღეს სიკეთის მზე განათებთ,
ბრძენნი გონებას ეტრფიან,
უგნურნი,-ყალბ ამანათებს...
იდღეგრძელეთ და იცოცხლეთ,
თავად სიცოცხლის მთესველო,
საამურია სიცოცხლე,
ერის უჭკნობო ფესვებო...
ხალხისთვის გულგადაშლილო,
სიკეთის ტაძარის გუმბათო,
ფრთადაპნტილო აპრილო,
მნამს სამშობლოსთვის სულს დათმობთ...
ტკივილი მაშინ ყუჩდება,
როდესაც ერი გიშვილებს,
მჯერა, რომ გაგიყუჩდებათ,
რაც დღემდე ჭირი იწვნიეთ...
ლაბირინთებში მავალი,
გზები, სინათლეს გპირდებათ,
ამაყობს შთამომავალი,
თქვენს დიდებას და ღირსებას...

...

04.07.2021



გულნამ ხარაიშვილი (ცისკარელი)



მამაოს დიდსულოვნება

.....

გააჩნია იმას ვინ გამოიჩენს შენს მიმართ ყირადღებას. როცა ყინვისგან გათოშილი შინაგანად ძაგძაგებ. როცა, შენს ირგვლივ ღრუბლებია. დარდის ზღვაში ცურაობ და ნაპირს აღარ ეძებ, რადგან საითაც არ უნდა გაცურო, მნიშვნელობა არ ააქვს, ყველგან ერთი და იგივე დაგხვდება. ცრემლი, ხავს მოჭიდებული საზოგადოების უმრავლესობა. ამ დროს, თვალდახუჭული მიდევ მდინარის დინებას და რომც არ გააღწიო ნაპირს, მაინც სიკვთებზე ფიქრობ, ასეთია ჩემი

შინაგანი მრწამსი. ხუთ მაისს ვვლავ ჩემ დაბადების დღეზე, ისევ ჩემს ირგვლივ მყოფთა საზოგადოებაზე ვფიქრობდი და უფალმა მამაოს სახით, გამომიგზავნა, ჩემი გარდაცვლილი ძმის (ამირანის) სული. მამა ამირანმა, ამაღლების ეკლესიაში თავის დად მაკურთხა და აკადემიის რამდენიმე წევრსაც მოალოცინა ჩემი დაბადების დღე. ხოლო ქალბატონი ეთერი ჭელიძის მოსვლამ და ბატონი ივერი ჭელიძის მობრძანებამ დიდი სიხარული გამოიწვია. მათი მოსვლით აღფთოვანებულმა კულმინაციამ ზეცას მიაღწია და ჩემს წარმოსახვაში ციდან დედამინაზე ჩამოვიდა ნელი გელაშვილის და ივიკო ჭელიძის



სული, ჩემი პოემის პერსონაჟები. დიდი მადლობა უფალს, ამხელა სიხარულისთვის, რომ მამა ამირანის სახით სულიერი ძმა შევიძინე. დიდი მადლობა აკადემიის წევრებს: ქალბატონ ხათუნა ელიაშვილს და პოეტ ლამზირა შეყილაძეს. იმ დღეს, ერთ რამეში დავრწმუნდი. დარდიან გულს ვვლავ შეძლებია სიხარულის შეგრძნება.



სარჩევნი

სატმწერები: ხატია და გიორგი ლარიაშვილები
 წმინდა გიორგი..... 2
 წმინდა გიორგის წამება ბორბალზე..... 3
 წმინდა გიორგის წამება კირის
 ღუმელში 4
 გულნაზ ხარაიშვილი. მამა გაბრიელ 5
 ლაშვირა შეყილაძე. რომ ყველაფერი კარგად
 იქნება. უწმინდესს და უნეტარეს
 ილია II-ს..... 6
 გულნაზ ხარაიშვილი. უფალო..... 7
გინდ ღაიჯურეთ, გინდ არა
 ვაჟა ეგრისელი
 კოლხური ფსალმუნები
 (100-ტომეული) 8
 პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“ 9

პოეზია

მაყვალა გონაშვილი 10
 ეთერ ჭელიძე 12
ჯგუფი ზღვარი
 სერგი ლომაძე 14
 კახა ბაცივაძე 16
 გიორგი ზუხბაია (ზუხბა)..... 18
 ნაინა უგულავა (ნია გორდელი) 22
 ედუარდ უგულავა..... 24
 იზა შუბითიძე..... 26
 ხათუნა ჩიტაძე..... 28
 მალვინა ჭელიძე 30
 მზიური დათიაშვილი-აფციაური 33
 ლია ჯავახიშვილი 34
 გერმანე საბანოელი 36
 ია კურტანიძე 38
 ლია შენგელიძე..... 44
 ღვთისო ღვთიური 46
 თეა გურგენიძე..... 56
 შორენა ჩხიკვიშვილი..... 58
 მარი კუმლაშვილი..... 60
 ლეილა ვადაჭკორია..... 64
 გერონტი მესხი 66
 ნინო უძილაური..... 69
 ლალი ევლაღია პერპერდი 70
 ლეილა გაფრინდაშვილი 74
 ნიკა ფუხაშვილი 76
 ეკატერინე ნადირაშვილი 78
 შორენა გამელაშვილი 81
 მაგდა გომიაშვილი 82
 ეთერ ლომბჟანიძე..... 86
 ნელი სანგელიძე 88
 გიგი თეთრაძე 91

მარი ბიბილური 92
 ნონა გაგნიძე..... 96
 ნანა ჩარუვიანი..... 98
 ანამარია ლილუაშვილი..... 102
 ქეთი ატენელი 106
 თორნიკე ჩხიკვაძე 108
 მარინე შანიძე 110
 მამა ამირან ამირანაშვილი 112
 გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 116

პროზები

ლია ძამუკაშვილი
 მოხუცთა ხვედრი..... 136
არღვინყება მოღვანეთა
 მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 146
 ბეჟან ხარაიშვილი 148
 გურამ-ანგურა (გურამ გელევანიშვილი) 150
 გურამ ჭავჭავანიძე..... 151

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი. მარ ბაჰნიშვი. პოემა 152
 Ratiani Lali. Aus Samebas Glockenturm
 (Fortsetzung)..... 156

საბავშვო განყოფილება

ნათია დაშნიანი..... 158
 ლელა კობერიძე ჭიაურელი 160

პროზა

რეზო ადამია. პაემანი სიკვდილთან.
 ტერენტი გრანელი დასასრული 164
გარი ჩაფიძე
 სიყვარულის ლაბირინთი 168
ნაფიელ გელანტია
 ლილე 171
ირმა კვეციანი
 კატია..... 179
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
 დედის ცრემლი 183
 იქ, სადაც სიყვარულია 185
 იუბილარი ზაინა შეყილაძე..... 187
 =სიცოცხლეს ქონია ფერები= 189
 პოეზიის საღამო 190
 სიხარულის ცრემლი 191
 === ხარაიშვილებო === იქნებ არ იცით 192
 ==:ცხრამეტი მაისია=:== შვილო გელა 193
 ==+ ნაჩუქარი ჯვარი+ == 194
 ასეთი ქალბატონები უმრავლეს
 საქართველოს 195

== 2021 == =ხუთი მაისი== 200
 სიკეთის იარაღი 201
ნანა მომცემილიძე. ალექსანდრე
 ციხელაშვილის შეუდარებელი ფუნჯი 202
ელგუჯა მგელაძე
 შიმშილი ტეხა-კრეფისას..... 204
 კარტოფილი და გოჭები..... 205
 „სიბირსკი“..... 206
 თევზის ფხა..... 208
 „დობრა“..... 208
 ელექტრო დენი და აღმართი..... 210
 ჩიფლის წყარო 211
ვარდენ მეკალმიშვილი. ვარდენიუსი
 რეალური ისტორიები. „ევრიკა. ანუ, გიპოვე
 ჩემო სიყვარულო“ 213
გიორგი კვეციანიძე
 /// (ოდესმე გინახავთ წვიმაში...)..... 221
ლეილა გაფრინდაშვილი
 ნეტავ! 223
გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)
 შორეული ახლობელი..... 226
 შემთხვევა მაღაზიაში 227
 “მგონი, გვეყოფა!” 227
 ცოცხალი ავტომატი 227
 ქსენიას პროტესტი 228
სიბრძნის სკივრი
ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
 თვალთახილვა (აზრები). ადამიანი –
 ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მონალი..... 229
თიღოსოფია, თსიქოლოგია, დოგმაც
დათო ყანდაშვილი
 სულიერ ფასეულობათა ანბანი 233
შემეცნებითი საძეარო
ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
 ბრალის თეორია 237
ტეროლოგია
ლუარა სორდია
 ბიბლიური პარადიგმები რობერტ მესხის
 პოეზიაში 241
Ratiani Lali
 Kulturelle Vielfalt in der Kommunikation..... 245
მანანა კვატია
 დანაშაული და სასჯელი საბჭოური
 სტანდარტებით 247

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე
 გრძელდება უსასრულობის ნაწარმოების
 გაშიფრა 251
ი ს ტ ო რ ი ა
ნიკო ხერკელაძე
 ცრემლში ნალესი ხმალი 253
ეკონომიკა
ვალერი მოსიაშვილი
 ბანკები-პარტნიორების საიმედობისა და
 გადახდისუნარიანობის არსებული მეთოდის
 სრულყოფის საკითხები 257
ქეთევან ცაბაძე
 სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების
 თავისებურებები აღმოსავლეთ ევროპის
 ქვეყნებში 261
ხ ე დ ო ვ ნ ე ბ ა
გულიადა სანოძე
 ვაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს! 265
ალექსანდრე ციხელაშვილის შემოქმედება 268
ნ ო რ ზ ი ა თ ი ნ ა თ ე ლ ი
ნუცა ჩიტაძე..... 270
დარდობის სამოსახლოში
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 271
ბ ა ხ ს ო ნ ე ბ ა
ლეილა გაფრინდაშვილი
 მაინც ვერ ვთქვი 276
 გაუფერულდა..... 277
ლამზინა შეყილაძე
 რა მწარეა უშენობა შვილო!..... 278
 წუხელ ქარმა სამძიმარი მითხრა 278
 თამარ ჯაჭვაძე 279
ძაძისფერი ფიქრი
გულნაზი ხარაიშვილი
 უუყუნა სხირტლაძე
 ქალი რომელიც სიკეთეს თესავდა..... 280
 ხევისბერი 281
ზურაბ ჭელიძე
 სვანეთის კოლორიტი 282
გულნაზი ხარაიშვილი
 ნანი მოსიაშვილს, უმანგი მოსიაშვილის
 მეუღლეს..... 284
მ ი ლ ო შ ბ ა
გულნაზ ხარაიშვილის იუბილე 285



ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით სა-ქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემონირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „ნმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „ნმინდა გიორგი“. გარეკანის მეორე გვერდზე თეა კანდელაკის შექმნილი „ნმინდა ნიკოლოზის“ ხატი.



ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:

თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

მათემატიკის განყოფილების რედაქტორები: სოსო ფოჩხუა – პროფესორი და ლალი ქელბა-
ქიანი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული აკადემიის ვიცეპრე-
ზიდენტი

მხატვრული განყოფილების რედაქტორები:

სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.

ედვარდ უგულავა – პოეტი

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,

ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.

მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური

იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლამზირა შეყილაძე-პოეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,

პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.

ტელეფონი: 593 65 79 21;

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარში